

საქართველოს

გატონუოზის

უაჭიური

უასალეზი

2
11



— ბიკეზო, აზა შუაბით ეს „ვირებო“ ხარების ნაცვლოთ!!
(იხ. 3 ტომი გვერდი 25).

ბზილისი

1924

2-3 ტომი

საქართველოს
გაბთნეუბების ფაქტიური
მასალები

1. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სა-
მაზრო და საგუბერნიო არხივებიდან ამო-
ღებული,
2. მომსწრე და თვით მნახველ პირთა წაამბობი,
3. ხალხში ნაპოვნი საბუთებით აღნუსხული

ზაქარია ზიჰინაძის და სხვათა მიერ

2—3 ტომი.

საქართველოს საგამომცემლო კოოპერატივი „მწიგნობარი“-ს გამოცემა
შირ. ხუხუნაიშვილის რედაქტორობით

თფილისი — 1924

პატივცემულ მკითხველთა საუბრადღებოდ.

„საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები“ — დანაწილებული გვაქვს ექვს ტომათ.

თვითეულ ტომში გამოყოფილია ცალკე განყოფილებებათ: ქართლი, კახეთი, ჭურია, სამეგრელო, იმერეთი და აჭარა.

სპეციალური განყოფილებები აქვს შიკუთვნილი: ა) ყმებით ვაჭრობას და ბ) საერთო მნიშვნელოვნების ამბებს.

რედაქციის ცდილობს ისტორიული ცნობები არ გადაამახინჯოს და შეუნახოს მას დედანის შართლწერა და კილო...

... თუ ვინცობაა, ამ მხრივ იმედები, სავსებით, არ გაგვიმართლდეს, რედაქცია სთხოვს პატივცემულ მკითხველთ ნუ დაგვიმღერებიან

რედაქცია.

გლებ-კაცობის განთავისუფლება ბატონ-ყმურ დამოკიდებულებისაგან *)

8 ნომბერს შესრულდა ოცდამეტიწელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენში პირველად გამოცხადდა გლებ-კაცობის განთავისუფლება ბატონ-ყმური დამოკიდებულებისაგან. ჩვენ მწერლობაში ჯერ კიდევ არ არის საკმარისათ გამორკვეული და დაფასებული ამ ღირსშესანიშნავი საზოგადოებრივი ცვლილების მნიშვნელობა; შეუსწავლელი და გამოურკვეველია აგრეთვე თვით ბატონ-ყმობის ისტორია ჩვენში. ამიტომ უნდა გვეცადოთ, რომ მომავალ ორმოცი წლის იუბილეისთვის მაინც ავიშოროთ თავიდან ეს დიდი ნაკლი, თუ სწულებით არა, რამდენიმეთ მაინც; აქ კი ჩვენ გვსურს შევეხოთ ერთ ფრიად საყურადღებო საკითხს ბატონ-ყმობის შესახებ, სახელდობდ იმას, თუ ვინ იყო ის, ვინც ჩვენში პირველად გამოეპარჩლა ყოველგვარ ბდამიანურ უფლებას ჩამორთმულ, დაჩაგრულ და მიწასთან გასწორებულ გლებკაცობას, ის, ვინც პირველად აღიმარლა ხმა ფეხქვეშ გათელალი ქეშმარიტების და სხმართლის აღსადგენათ, ვინც პირველად უშიშრათ და გაბედულათ საქვეყნოთ დაგმო ბატონ-ყმური წესწყობილება, რომელიც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი მაშინდელ საზოგადოებას? მართალია, ეს დიდი ხნის ამბავს არ არის, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, როგორც ჩვენ მწერლობაში, ასე ჩვენ საზოგადოებაშიაც ამის შესახებ, თუ

*) ამავე გამოცემის პირველ ტომში, ჩვენ გვქონდა მოყვანილი ძვერფასი მასწავლებლის და ბელადის ამბ. ფილიპე მახარაძის, აზრი ბატონყმურ ურთი-ერთობის შესახებ.

მეორე ტომში, ჩვენ ვაძლევთ თავს ნებას, შოგათავსოთ ამბ. ფილიპეს-მიერ 1901 წელს ჟურნალ კვალში. „მოსაუბრე“ ჰესვედრონით გამოქვეყნებული წერილი „გლებ-კაცობის განთავისუფლება ბატონყმურ დამოკიდებულობისაგან. დღეს, ჩვენ ბედნიერი ვართ გამცნოთ საზოგადოებას, რომ დიდი საზოგადო მოღვაწის ამბ. ფ. მახარაძის მრავალმხროვან შრომებში აღმოჩენილია, და ამიერიდან განდეთათ მთელი საზოგადოების წილათ, არა მარტო „დანიელ ჭონქაძე და მიიღრო“, როგორც ეს მოვიხსენიეთ ჩვენი გამოცემის პირველს ტომში, არამედ მრავალი სხვებრც, უფრო მნიშვნელოვან და ძვირფასი მასალები. —

რ ე დ.

როგორ წარმოიშვა ეს წეს წყობილება, ე. ი. თუ როგორ მოხდა, რომ თავისუფალი საზოგადოების თუ თემის თავისუფალმა წევრმა როგორ დაკარგა თავისუფლება და გახდა ყმა, რომელიც მთელი თავისი სარჩო-საბადებელით და მიწა-წყლით მებატონეს სრულ საკუთრებას შეადგენდა. ყოველივე ეს ჩვენ უნდა მივიღოთ არსებულ ფაქტათ, ე. ი. უნდა მივიღოთ, რომ ვახტანგ VI კანონი, რომლითაც მებატონეს მინიჭებული ჰქონდა ყოველგვარი უფლება, როგორც თვით ყმაზე, ისე მის ოჯახზე, და ყოველგვარ მის სარჩო-საბადებელზე (ვახტ. კანონი §§ 258, 260, 95), ცხოვრებაში უმწვერვალეს ხარისხამდე განმტკიცდა, ასე რომ, პრაქტიკამ. ბევრათ გადააჭარბა თვით კანონს და როგორც ამბობს ა. ხახანაშვილი, „ვახტანგის კანონით ბატონს არ შეეძლო ის რაც მიანიჭა შემდეგ ჩვეულებამ“ *). აქ ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ თავის თავი ისე, ვათმოც ჩვენ ცხოვრობთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში. ეს ის დროა, როცა დასავლეთ ევროპაში ბატონ-ყმური ურთიერთობა დიდი ხნიდან გამქრალია, ადამიანის უფლება აღდგენილია და ყოველგვარი პრივილეგიები ანუ უფლებრივი უპირატესობანი მოსპობილი. ჩვენში კა ამ დროს ადამიანის პიროვნება მხოლოდ სახმარი ნივთია (res), რომელსაც პატრონი ყავს და როგორც მისი ნებაა, ისე ექცევა. ეს ის დროა, როცა რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში იშვა და განვითარდა ეგრედ წოდებული-მესამოცე წლების მოღვაწეთა განმანათლებელი მოძრაობა, მთელი თავისი ძალ-ღონით მიმართული უმთავრესათ იმ სულის შემხუთავ წეს-წყობილების წინააღმდეგ, რომელსაც ბატონ-ყმობა ეწოდებოდა და რომელმაც მრავალ მამულიშვილს აუღლევა გული და თავ-განწირულს სიმამაცით გამოიყვანა საბრძოლველ მოედანზე. დასასრულ ეს ის დროა, როცა 1861 წლის მანიფესტი სამუდამოთ სპობს რუსეთში ბატონ-ყმურ მონობას. ჩვენში ჯერ კიდევ ბატონ-ყმური ურთიერთობაა გაბატონებული. როგორ უყურებდა მას მაშინდელი ჩვენი საზოგადოება ან მაშინდელი მოწინავე პირები, თუ ასეთები მაშინ ჩვენ გვებადენ?

მოგეხსენებათ, რომ საზოგადოების აზრის და შეხედულების გამოწვეული ორგანო არის ერთი მხრით ჟურნალ-გაზეთობა და მეორე მხრით მწერლობა. პირველი ჩვენ ამ ნახევარი საუკუნის წინათ არ გვებადა, რადგანაც ვერც გ. ერისთავის „ცისკარს“ და თითქმის ვერც

*) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე.

ი. კერესელიძისას, პირველ ხანებში მაინც, ჰსენთ ორგანოთ ჩვენ ვერ ჩავთვლით; ხოლო რაც შეეხება მწერლებს, ვერ ვიტყვით, რომ ჩვენში ამ დროებაში ისინი არ ყოფილიყვენ, რადგანაც ეს ფაქტების უარყოფა იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროთ, იმათ არც ლიტერატურულ წერილებში და არც კერძო ბარათებში ბატონ-ყმობის შესახებ სრულებით არაფერი არ აქვთ ნათქვამი; როცა კითხულობთ იმ დროის ჩვენი მწერლობის ნაწარმოებთ, ისე გეგონებათ, რომ მაშინ ჩვენში ბატონ-ყმობა სრულებით არ უნდა ყოფილიყოს. ამნაირათ არც ჩვენი ქებული მგოსანი ნ. ბარათაშვილი, არც ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანი, არც თვით გ. ერისთავი, რომელმაც, ბ-ნ მეუნარგიას სიტყვით, „სამსახური გაუწია ერის კეთილდღეობას“ და შექმნა „ახალი, კაცისთვის გულშემატკივარი (?) სამოქალაქო მწერლობა**), და შემდეგ არც დ. ყიფიანი და არც დ. ბაქრაძე ბატონ-ყმობის შესახებ კრინტსაც არ ძვრენ. ასევე ითქმის თვით ილია ჭავჭავაძეზედაც, რომელიც სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა 1857 წელს, რადგანაც მისი ერთი ლექსი „ჩიტი“ ამ წლის „ცისკარში“ დაბეჭდილი, და რომელსაც ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ არა ერთხელ მიუძარტდეს ამ საგნისათვის. ამნაირათ, თუმცა აქ ჩამოთვლილი მწერლები სრულ სიჩუმეს იცავენ იმ წესწყობილების შესახებ, რომელშიაც ისინი ცხოვრობდნენ, მაგრამ ჩანს, რომ თვით საზოგადოებაში ამ დროს დიდი მითქმა-მოთქმა, ლაპარაკი უნდა ყოფილიყოს ბატონ-ყმობის შესახებ. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამ დროს ურთიერთ შორისი დამოკიდებულება მებატონეებსა და ყმებს შორის უმაღლეს წერტილამდე გამწვავდა, რის გამო ვახშირდა მებატონეთა მთელი ოჯახების ამოწყვეტა ყმების მიერ, როგორც, მაგ., თ-დ სუქბათაშვილების ქართლში და ერისთავების გურიაში. ჩვენ აზრს ამტკიცებს თ-დ ვახტ. ჯამბაკურ-ორბელიანის წერილი „ცისკარში“ ამ სათაურით: „უწინდელ დროს ბატონ-ყმობა საქართველოში“**). ამ წერილის ავტორი ამბობს, რომ „საქართველოში მებატონეთა ყმა მონათ არ ითქმის, უწინდელ დროში მებატონე თავის ყმას შეილივით ყურს უგდებდა და შეილის მსგავსათ გული ტკიოდა ყმისთვისო“...***) თავის მხრით „ყმასაც მებატონე მამასავით უყვარდა, მამასავით შიში ჰქონდაო“... „უწინდელ დროში ყოველიყვე მებატონე იმას ცდილობდა,

*) იხ. თხზ. ერისთავისა, წინასიტყვაობა, გვ. XVII.

***) იხ. „ცისკარი“ 1858 წ. № 11.

***) აქედან წარმოდგა ზღაპარი: ბატონ-ყმობა ჩვენში მამა-შვილობა იყო.

თავისი გლეხკაცნი გაკეთებული ყოლადარაჲდა შემდეგ ასე ათავებს
ავტორი თავის წერილს: „ჰეი, ჰეი! სოფელო, ეს არის წესი შენი? -
აქედან ჩანს, რომ ორბელიანი ძლიერ უწყაყოფილო უნდა ყოფილიყო
იმ გამწვავებული მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფებოდნენ მის
დროს ერთი მხრით მებატონეები და მეორე მხრით ყმები. ამ ორ
მოწინააღმდეგე წოდებათა შორის ატეხილი იყო-ხასტიკი, სხმკედრო-
სასიცოცხლო ბრძოლა; და ძველი დროის მაგალითით მას სურდა
გაეკიცხა ის მებატონეები, რომლებმაც არ იცოდნენ არაერთადი საზ-
ღვარი თავის ქვეშევრდომების, ე. ი. ყმების დაჩაგვრაში და მიწას-
თან გასწორებაში. უკმაყოფილო აწმყოით, ის იდეალს ეძებს წარ-
სულში, როცა ბატონ-ყმობა, მისი სიტყვით, მამაშვილობა იყო. ამ-
ნაირათ თუდ ორბელიანს არ მოსწონდა ის უკიდურესი მიმართულე-
ბა, რომელიც ბატონ ყმობამ მიიღო განსაკუთრებით მე XIX საუკუნე-
ნის პირველ ნახევარში. რაც შეეხება თვით ბატონ-ყმურ წეს-წყობი-
ლებას, ორბელიანი მისი ნამდვილი მომხრე იყო, და ან კი საღი ექნე-
ბოდა მას იმოდენა სულგრძელობა და ზნეობრივი ძალა, რომ ის ამ
წესწყობილების წინააღმდეგი გამხდარიყო და სხვა ვინ იქნებოდა მ.
შინ ჩვენი ბატონ-ყმობის წინააღმდეგი? ვის შეეძლო მის წინააღმდეგ
ხმის ამოღება? ლიტერატურა, თუ ეს სახელი დაერქმევა ამ დროინ-
დელ ჩვენს მწერლობას, იმავე მებატონეთა ხელში იყო და საიდან
შეიძლებოდა რომ ეს უკანასკნელი თავისი თავის წინააღმდეგ ამხე-
დრებულიყვნენ? თვით დაჩაგრული წოდების წარმომადგენელთ ჯერ
კიდევ არ ჰქონდათ საშუალება თავი გამოეჩინათ მწერლობაში და ამ
გზით საზოგადოებისთვის გაეცნოთ ყმების მდგომარეობა მკითხველს
კიდევ მოვავგონებთ. რომ ჩვენ ლაპარაკი გვაქვს ბატონ-ყმობის მი-
წურულ დღეებზე. ორი წლებს შემდეგ იგი უქმდება რუსეთში და ამის
შემდეგ გაივლის ოთხი წელიწადი და ჩვენშიაც ასე ხდება, და წარ-
მოიდგინეთ, რომ ჯერ კიდევ (ბატონ-ყმობის გაუქმებაზე) ჩვენ მწერ-
ლობაში არაფერი არ თქმულა ბატონ-ყმობის საწინააღმდეგოთ; ჩვენ
მაშინდელ სახელოვან მწერალთათვის ასეთი კითხვა ჯერ კიდევ არ
არსებობს. ამ დროს კი რუსეთში ბატონ ყმობის გაუქმების საქმეს
საკმარისათ დიდი წაბიჯი ჰქონდა გადადგმული საზოგადოებრივ
მოძრაობას, რომელმაც თავი იჩინა განსაკუთრებით მესამოცე-წლე-
ვის რუსეთის ლიტერატურაში, და გლეხების არეულობათ; რომ თავი
დავანებოთ, თვით მთავრობა ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ
რწმუნდება, რომ არსებულ წესწყობილების გაგრძელება პარდაპირ
სახელმწიფოს დამხობას მალეწავებდა, და ამიტომ შეუდგა ბატონ-

ყმურ ურთიერთობათა გაუქმებას. თუ როგორ უყურებდა რუსეთის მაშინდელი მთავრობა ბატონ-ყმურ წესწყობილებას, ეს სჩანს, სხვათა შორის; იმპერატორ ალექსანდრე II სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა 1858 წელს 3 აგვისტოს მოსკოვის კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში და რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი საყურადღებო სიტყვები იყო: „სამწუხაროთ ჩემდა—ამბობდა იმპერატორი—ახლა მე არ შემიძლია გითხრათ მადლობა. გახსოვთ თქვენ, როდესაც ორი წლის წინათ ამისა, თვით ამავე დარბაზში გეუბნებოდით, რომ ადრე იქნება თუ გვიან, უნდა შეუდგეთ ბატონ-ყმობის უფლებათა ცვლილებას და უმჯობეს არს დაწყება მაგლიდან, ვიდრე ქვედან“ (сверху, нежели снизу). ეს სიტყვები მოყვანილია „ცისკრის“ 1858 წლის უკანასკნელ ნომერში: ეს გარემოება საყურადღებოა მით, რომ სიტყვას „ბატონ-ყმობა“ თქვენ ვერ იპოვით აქამდე ვერც „ცისკარში“ და ვერც სხვა რომელიმე იმ დროის ნაწერში. მაგრამ ეს გარემოება კიდევ სხვა მხრითაც არის საყურადღებო, სახელდობრ, იგი გვეუბნება, რომ თვით „ცისკრის“ რედაქტორი, ი. კერესელიძე, ბატონ-ყმობის წინააღმდეგი ყოფილა იმ დროს, თუმცა ამას აშკარათ ვერც აცხადებს. ასევე ითქმის „ცისკრის“ ერთ მაშინდელ თანამშრომელთაგანზე, სახელდობრ „მოლაყებზე“ (ფსევდონიმი თ-დ მიხეილ თუმანიშვილისა), რომელიც ზევით მოყვანილ იმპერატორ ალექსანდრე II სიტყვების გამო „ცისკრის“ იმავე ნომერში ამბობს; „იმ სიტყვების წაკითხვაზე ყოველი ჩემი გონება, სული და თითოეული ასო გარდაიქცა გრძნობათ... ჭარბდებოდა... ჩვენი მეფე შედგომია იმისთანა საზოგადო კეთილ აზრს, რომელზედაც კვირობს მთელი ევროპა“ *). როგორც ხედავთ, აქაც ყრუ პროტესტი ჩანს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ; ალბათ სხვა ვვარი პროტესტი ან შეუძლებელად იყო საცენზურო პირობების გამო და ან ძნელი გასაბეღლავი თვით ავტორების მხრით.

შემდეგ ამისა გაივლის სწორეთ ერთი წელიწადი და იმავე „ცისკარში“ დაიბეჭდება დ. ჯონკაძის**). „სურამის ციხე“, რომელშიაც აშკარათ და გულახდილათ დაგმობილ იქნება ბატონ-ყმური წესწყობილება. „სურამის ციხეში“ მაშინდელ მკითხველ საზოგადოებას გადაეშლება ბატონ-ყმური ურთიერთობა მთელი თავისი შემადრწუნე-

*) „ცისკარი“ 1858 წ. № 12.

**] დ. ჯონკაძის ცხვრების და მოღვაწეობის განხილვა მხადდება დასაბუქდათ. „სურამის ციხე“ დაბ. კდილია 1859 წლის „ცისკრის“ უკანასკნელ ნომერში და 1860 წლის „ცისკრისავე“ პირველ ნომერში.

ბელი და აღმაშფოთებელი მხარეებით. არც ჭონქაძემდის და არც მის შემდეგ ასე ცოცხლათ და სინამდვილით არც ერთ მწერალს აღარ დაუხატავს ჩვენთვის ბატონ-ყმური ცხოვრების სულის და გულის შემზარავი პირობები. დ. ჭონქაძე „სურამის ციხეში“ გვიხატავს ჩვენ იმას, რაც მის დროს ჩვენში ხდებოდა. ამ დროს ყმების ერთ ნაწილს უკვე შეგნებული ჰქონდა თავისუფლების მნიშვნელობა და ამიტომ თქვენ აღარ გიკვირთ, რომ „სურამის ციხეში“ დურმიშხანი ამბობს: „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება“. იმის დასახასიათებლათ, თუ როგორი განწყობილება იყო ამ ნახევარი საუკუნის წინ ჩვენში, მოვიყვანოთ, აქ „სურამის ციხიდან“ ერთი მისი მოქმედი პირის, ოსმან აღის, თავგადასავალი, იმ სიტყვებით, როგორც ეს თვით მოთხრობაშია.

— ბატონმა — ასე იწყებს ოსმან-ალა თავის თავგადასავალს — ჯერ წაგვართო ვენახი... მერე თითო-თითოთ ხარ-კამეჩი და უკანასკნელათ უბრძანა დედა-ჩემს, რომ გადასულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწყალი დედა-ჩემი! უნდა გენახა რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! ღმერთო, რა გვართ არ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რომ დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ესმოდა. — იტირებს, იტირებს და დაჩუმიდება, — აი აზრი რომელთამე ბატონთა. იმათ გონიათ, რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ გონიათ, რომ ჩვენ არა გვქონდეს გული, არ გვქონდეს სჯა“. მეორე დღეს, როცა ესენი ბატონის სახლში მოიყვანეს, ოსმან-ალის დედა დააყენეს პურის მცხოვრებლათ, თვით ნოდარ (ასე უძახდნენ ოსმან-ალის გამაჰმადიანებამდე) და იმისი — და პირის მოსამსახურეებათო. — ამბობენ კაცი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო; ჩვენც შევეჩვიეთ ჩვენს ცხოვრებას და თითქმის ვიყავით იმითი კმაყოფილი. არ ვიცო, იმიტომ ალბათ, რომ უარეს ცხოვრებას მოველოდით“. ერთხელ მოვიდა ჩემ ბატონთან ერთი მღვდელი კახეთიდან. ვახშამზე რომ ვემსახურებოდი იმათ, იმ მღვდელს ჩემმა ბატონმა თვალი აჩვენა ჩემზე... მეორე დღეს ბატონმა დაიბარა დედა-ჩემი და უბრძანა, რომ მოვემზადებინეთ მე და ჩემი და იმ მღვდლის გასაყოფათ. — რათა, შენი ჭირიმე, რათა? გავეყიდე და იმიტომ, — იყო პასუხი. დედა-ჩემი შებარბაცდა ცოტათ დამიჭირა თავი და გულზე მიმიკრა. ხელებზე შევატყე, რომ ცივი ჰქონდა ყინულივით და უკანკალებდნენ. შემდგომ რამდენიმე წუთისა დედა-ჩემი დაემხო მიწაზე და დაუწყო ხვეწნა ბატონს ისე, როგორც შეუძლია ხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოთ ართმევენ

შვილსა: ბატონმა უბრძანა ბიჭებს, რომ გაეგდოთ ის კარში“ საბრალო დედა ველარ შეურიგდა შვილების სამუდამოთ დაკარგვას და არჩია გაპარვა: იგი თავის შვილებით დიდი გაჭირვების შემდეგ ჩამოვიდა თბილისში. აქ მან დ ირქვა სომხობა და შვილებსაც სახელები გამოუცვალა. ამ ვაი-ვაგლახში იმათ გაატარეს რამდენიმე წელიწადი.— „ერთხელ მარიამობის მარხვაში დედა-ჩემი ატყდა, რომ თუ არ ვეზიარე ქართულ ეკლესიაში, არ იქნებო. მე ვთხოვე, რომ მღვდლისთვის არ ეთქო სრულებით თავის ჩამომავლობა. დედამ მოშტა პირობა, მაგრამ ეტყობა, რომ სინიდის ძლიერ შეეწუხებინა და ეთქო სუყველა. ამავე დღეს ვილაც კაცები დაგვესხნენ, შეგვიკრეს ხელები და გაგვიგდეს წინ... ბატონთან რომ მიგვიყვანეს, იმან შემდგომ სხვათა და სხვათა სასტიკ ტანჯვათა, უბრძანა ბიჭებს, რომ შევებით გუთანში, დიახ, გუთანში! ისე, როგორც აბამენ ხარებს, ხარის უღელი დაგვადგეს კისერზე! მაგრამ ეს სასჯელი ბატონმა ჰპოვა სუბუქათ... მეორე დღეს შეგვაბა კევრში, კევრზე დაჯდა თითონ და გვერეკებოდა... როგორც იყო დედა-ჩემმა თითქმის ათჯერ შემოურბინა: კალოს ისე, რომ ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდან. მეთერთმეტეა რომ უნდა დაგვეწყო შემოვლა, დედა-ჩემი უეცრათ წაიქცა და მოკვდა. საწყალს დედა ჩემს არც კი დააცალეს მშვიდათ მომკვდარიყო: ბატონს ეგონა, რომ ატყუებდა იმას და სახრით დაუწყო ცემა, რომ აეყენებინა. სახრის ქვეშ ამოუვიდა სული“.— გავიდა სამი წელიწადი ჩემი მოყვანის შემდეგ. ბატონიც შემირიგდა. ეგონებ იმიტომ, რომ პოვა ჩემში სასარგებლო ნივთი: იგი ეძებდა ჩემში ერთგულებას და დარწმუნებულნიც იყო, რომ მე ვიყავი მისი ერთგული. ხა, ხა, ხა! ერთ ულებას ეძებდა იმაში, ვისაც დედა მოუკლა უღელში!“ ამ დროს ნოდარს შეუსრულდა 23 წელიწადი, შეუყვარდა თავისი ქალბატონის გოგო, სახელათ ნატო და მოინდომა იმის შერთვა. მაგრამ ბატონმა არ მისცა შერთვის ნება და თითონ მოინდომა იმ გოგოს ძალით გაუპატოურება. გოგომ ველარ აიტანა ეს, წყალში გადავარდა და დაიხრჩვა. როცა ამას გაიგებს ნოდარი, მისი მოთმინების ფაალა უკვე გავსებულა, ამიტომ იგი ველარ იტანს ამ უკანასკნელ შევიწროებას და კლავს როგორც ბატონს, ისე ქალბატონს შვილითურთ. შემდეგ ის გადავარდება ოსმალეთში, ღებულობს მაჰმადის სჯულს გარეგნობით და იძენს დიდძალ ქონებას.

ეს არის ნამდვილი სურათი, ამოღებული მაშინდელი ჩვენი ცხოვრებიდან; აქ გაზვიადებული არა არის რა. ეს არის საჩუკე, რომელშიაც ჩვენმა მებატონეებმა თავით-ფეხამდე დაინახეს თავისი თავი

ვი. თუმცა „სურამის ციხის“ ავტორს, ძველი ლეგენდის ჩართვით სურამის ციხის აშენების შესახებ, მოუნდომებია მკითხველის ყურადღება წარსულისაკენ მიექცია, მაგრამ ყველასათვის აშკარა იყო, რომ *de te fabula narratur*—არაკი შენზე, ე. ი. თანამედროვე ცხოვრებაზეა ნათქვამიო. სამწუხაროთ, ქართული მწერლობა, ზოგი უცოდინარობით და ზოგიც განზრახ, დღემდე ხელს აფარებდა ამ გარემოებას. ზოგიერთ *à la* კიტა აბაშიძის კრიტიკოსების წალობით იმის სახელი, ვინც მართლა პირველათ ამოიღო ხმა ჩვენში დაჩაგრული გლეხ-კაცობის სასარგებლოთ, სრულია დავიწყებულია და სამაგიეროთ ისეთების სახელებს აჩრიან საზოგადოებას, რომლებსაც ეს არასოდეს გულში არ გაუღლიათ. აქ არ არის ადგილი იმის გამოძიებას შევუდგეთ, თუ რათ შობდა ეს ასე; მხოლოდ იმის დასამტკიცებლათ, თუ როგორ დაჩაგრულია ჩვენში ჭეშმარიტებს კვლევა-ძიების საქმე, მოვიყვანთ აქ ერთი ჩვენი ყოფილი პუბლიცისტის აზრს ხსენებულ საგანზე. ჩვენ ვამბობთ ბ. ნ. გ. შაიაშვილზე. მოგვითხრობს რა ჩვენი მესამოცე წლების მოღვაწეებზე, ბ. ნ. შაიაშვილი ასე განაცხადობს: „აუტეხე სასტიკი ომი საუკუნეთა ნაანდერძევ კაცთა სამარცხვინო ბატონ-ყმობას, რომელიც მძიმე ტვირთათ დაწოლიდა ერს და ახლაც არ იკითხავთ, ვინ ამოიღო ხმა დაჩაგრული გლეხ-კაცობის სასარგებლოთ, ან ცდილობდა აღედგინა ფეხ ქვეშ დათრგუნული სახელი ადამიანისა? არ იკითხავთ ვინ მიიტანა იერიში თავად-აზნაურებისა დამის უფლება-უპირატესობის წინააღმდეგ?—წარმოიდგინეთ, რომ იმავე თავად-აზნაურებმა, იმავე გვარით განთქმულ ოჯახის შვილებმაო“, გაიძახის ჩვენი ავტორი. იმის შემდეგ რაც ჩვენ ზევით გამოვარკვიეთ, სწორეთ არ ვიცით, რას უნდა მივაწეროთ ეს გაჭიანურებული და სამ-სამ საოთჯლიანი ხეტყვები.

ფ. მახარაძე.

ჩვენი ზოგადი ზენიშენები.

პირველ ტომში შე ვწერდი იმ დანიშნულებაზე, რომელიც უნდა გამხდარიყო თავად და ბოლოთ ბატონყმობის ფაქტიური მსასაღების გამოყენების საქმეში.

მეორე ტომში, სამწუხაროთ და სავალალოთ, მე უნდა გავკიცხო ის პირნი, რომლებმაც ბავშური სიანცე გამოიჩინეს ამ მასალების შეთვისებისა და მონელების სფეროში. რომ დრო მოჰმული თავად-აზნაურული მსოფმხედველობა და მათი დამქაშ-ამყოლები უსუსურობას დაგვანახებდენ, ეს ჩვენთვის არ იყო მოულოდნელი, მაგრამ, თუ ამდენათ ამხატლებოდენ ზოგიერთი ახალგაზრდა თავად-აზნაურული გვარების მატარებლებიც, ეს კი ჩემთვის მოულოდნელი გახდათ.

მიდგომა, რომელიც დაეტყოთ მათ ამ საკითხში, მართლაც რომ შეუფერებელი და შეუწყნარებელიც გამოდგა და ჩვენ გვაქვს სრული უფლება წყრომის თვალთ შევხედოთ მათ გზა აბნეულ მსჯელობას. რა მოხდა?

— გამოქვეყნდა მასალები ბატონ-ყმურ ურთიერთობის შესახებ. დანიშნულება?!

— საფუძველი ჩაჰყროდა ისტორიულ მართლშემეცნებას და მის გამოცნობაში გზა გაწალდულიყო წითელი პროფესორისთვის.

საჭიროა ეს?!

— უსიტყვოთ, რადგან მთელი ჩვენი ისტორია ამ სფეროში სდუმს და თუ რაიმეს მოვნახავთ, ისიც ყალბს და უსუსურ მასალებს, რომლის მეშვეობით ისტორია მახინჯათვე დაიწერება.

რა შედეგს მივიღებთ?!

— მივსცემთ ჩვენს მოძავალ თაობას საბაბს და საშუალებას იქონიონ ნათელი წარმოდგენა საგანზე. ის ერი, რომელმაც არ იცის თავის უტყუარი წარსული, ვერ ატარებს კულტურულ ერის სახელსა: „ყველანმა უნდა ვიცოდეთ, თუ რანი ვიყავით გუშინ, რომ შევაფარდოთ, თუ რანი ვართ დღეს“.

როგორი იყო თვითეულ მოქალაქის მოვალეობა?!

— მას უნდა ამოელო ხმა, მიეთითებია შეცდომებზე, ეკარნახე-

ბია სურვილებზე და ხელი გაემართა ამ საქმის სასურველ დაგვირგვინებისთვის.

რა ვნახეთ ამის მაგიერ?!

— ჩვენდა სამარცხვინოთ აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებმაც ითაკილენ ამ მასალების გამოქვეყნებით და მუქარით — ტერორის დანიშვნაზე, მიმართენ ავტორს და რედაქტორს. მათ სცხვენიათ წინაპართა ნამოქმედარის და რომ საქმეს უშველონ, თვითვე სამარცხვინო საქმეს სჩადიან:— გვეუქრებიან... ჩვენ მხოლოდ ზიზლით შევხედავთ მათ გააფთრებულ სახეს.

მ. ხუხუნაიშვილი.

წერილები

ქართულ მწერლობაზე.

— 25 —

სწრღასსი.



თიფლისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა.

1888.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 июня 1888 года.

ვინ მიაქცია პირველად საქართველოში ბატონ- ყმობას ყურადღება *)

II **)

დანიელ ჭონქაძე არის მამა იმ მწერლებისა, რომელთაც საქართველოში საქართველოს ერის ბატონ-ყმურ წესებს ყურადღება მიაპყრეს და მის წინააღმდეგ დაიწყეს წერა. როგორც რიგი და წესი იყო, თუ სხვა რამ მიზეზი, ამ საგონობელს საგანს ისევ უბრალო ღემენ რიელმა მიაქცია ყურადღება და ამან დასწერა პირველი წერილი ჩვენებურ ბატონყმობის წინააღმდეგ. ჩვენი ძველი მწერალი მამები ამ გვარ წესებს ისე უცქერდნენ, როგორც სამღვთო რამ კაი საქმეებს, რადგანაც ეს ჩვენთა ძველთა მამათაგან არის დადგენილი და მის მოსპობას შესახებ საუბარი იქმნება ის, რომ ჩვენ ჩვენი ცხოვრებული მამები საფლავში შევარყიოთო. გარდა ამისა, ან რად უნდა ითქვას იმაზე რამე, როცა ჩვენებური ბატონ-ყმობა წმინდა მამაშვილური წესები არისო. მაგრამ განა შესაწყენარისია ეს! არა მგონია, კაცი, ანუ მწერალი სრულიად მოუშაღებელი უნდა იყოს ყოველ ნაირს ცოდნათა კოთხევაში და დაბალ ერის სხვა და სხვა უფლებების მოპოვება და დაცვაში, რო ის ამავების თქმას ბედავდეს. ესენი მხოლოდ იმას დარდობდნენ, რომ ჩვენი ძველი კარგი დრო აღარ არისო, დიდ-პატარავობა გაქრა და ყველა ერთნაირათ ხტისო. ეს ძველი გმირები არამც თუ ამავების შესახებ საუბრობდნენ, არამედ ამის მსგავს სხვა და სხვა კოთხეებსაც ეხებოდნენ და ამ კოთხეებზე გულს იხეთქავდნენ. ასეთ ბნელს მხარეში, სადაც ძმა ძმაზე ლესავდა კბილებს, სადაც ყოველნაირს თანასწორებრივ ჰაზრებს თვის აღორძინების დასაწყისი ძირიანათ ჰქონდა მოთხრილი, ყუეყველია, რომ ასეთ სიბნელით და მონებით მოცულს ერში და მხარეში ვერც არავინ გაბედავდა იმ წესწყობილების წინააღმდეგ რამის თქმას, რაც საუკუნოების განმავლობაში ტირანულს ძალდატანებით მოძრაობას, მთე-

*) გააქცავეთ სრულიად უცვლელად და დედნის მართლ წერის დაცვით.
რედ.

**) გაგოძელდება. იხ. I ტომში.

ლის დაბალ ერისთვის ცხოვრების კანონიერ წესებათ დაედგინა და მიეცა. ჩვენ აქ იმასაც ვიტყვით, რომ მაშინდელ ქართველ მწერლებსთვის 1852—59 წლები არც ისე ადრე უნდა ყოფილიყოს, რომ ამისაგან შინებოდათ და ყურადღებაც მიტომ არ მიეპყრათ; ეს მით უფრო, რადგანაც ტურგენევი რუსეთში 1847 წელს მიაპყრო ამას ყურადღება თავის მწერლობით. გარდა ამისა ბელინსკიმ ხომ რამდენ ნაირი ნაღველი არ ამოანთხია. 1840 წ. თვით მელექსეობაც კი ჰგმო და მასხარათ აიგდო, *) მაგრამ ჩვენი უბედურება იმაში იყო, რომ ჩვენი მამები და პაპები ამ პირობა-ნაწერებს არ კითხულობდნენ, თორემ ამათ რომ იკითხათ ესენი, მაშინ მათაც ეცოდინებოდათ ზოგიერთი რამეები და მის მეოხებით ესენიც დასძრავდნენ თვის ტკბილს ენას მაგრამ ვინ რა თავში იხლიდს ამას, ამათთვის ესენი რა საჭირო იყო, რომ ეკითხნათ და გონებითი წასულიყვნენ წინ. ესენი მხოლოდ მელექსეობით წაუდნენ წინ და რაც ამათ ჩღ უნგ გონებას ენატრებოდა ესენიც იმასევე დაძღვრდნენ. ამ გამოჩენილმა მუხანათმა მამებმა და სხვისის შრომით და სისხლით გასუქებულებმა მხოლოდ თვის დროების გასატარებელს ზღაპრებს მიაქციეს ყურადღება. ესენი სთარგმნიდნენ მარლენსკის მოთხრობებს, მილორდიანს, კოქსაძრიანს, მონებიანთ წესების დაცვას, ჯოჯოხეთში ტანჯვას, სამოთხეში ანგელოზების ყოფნას და ანუ სწერდნენ ისეთ მტკნარსა და შინ არსით უღირს პიესებს, როგორც მასხარობაც გიორგი ერისთავის პიესებია, რომლის პიესების სურათები იქამდის უღირსი, წვრილმ. ნია, მურტალი და საზიზლარი, რომ მის პიესების თანაშობით ისე ზნეობითი მხარეები არ გავრცელდა ქართულ ხალხში, როგორც გარყვნილება და ზნეობითი სიწამხდრე. ამ გამოჩენილმა კომიკმა და მისმა და ქაზებმა თვის დროის ქართველ ერის ცხოვრებაში მხოლოდ თფილისურს ქართულს დამანქულს ენის ქილოს მიაქციეს ყურადღება. ეს გმირნი მხოლოდ ამაზე საუბრობდნენ, რომ ენა წაგვიხდაო, ხედავთ თფილისის ხალხი რა ენით ლაპარაკობსო. გარდა ამების ეხებოდნენ კიდევ ისეთ წვრილმან მასხარულს და უმნიშვნელო კითხვებს, როცელ კითხვების აღძვრას იმ დროში არაფერი მნიშვნელობა ჰქონდა. არც ერთ ამ კომიკთაგანმა ერთის სიტყვითაც არ მიაქცრა ყურადღება თვის დროის დაბალ ერის ბატონყმურს მდგომარეობას, ამ მონური წესების შესახებ ერთი სიტყვა არც გიორგი ერისთავს აქვს ნათქვამი და არც სხვა მის თანამედროვე კამედიანჩიკურს მწერლებს, რომელთა პიესებსაც დღესაც კი-

*) Сочинение Белинского, Т. VI.

დევ სდგამენ ხოლმე და შათ მოგონებასაც დღესასწაულობენ! ამის შესახებ არც ჩვენს გამოჩენილს და მეღვინეობის მცოდნე გრიგოლ ორბელიანს აქვს რამე ნათქვამი, რომელიც თავის კინტოურის მუხამბაზებით დღესაც კიდევ დიდათ იქება და იდიდება ზოგიერთ ცრუ პატრიოტებისაგან. არც ვახტანგ ორბელიანს, რომელიც ქართველთ ციხე-კოშკ-კლდეთ სიყვარულის გამო გახელბული სტირის და ქვითინებს, საქმე კი რომ იქმნეს, მაშინ ის ამ დანერგულ ციხე-კოშკთ მფლობელ ერის ბედნიერებისთვის ერთ გროშსაც არ გაიმეტებს. არა ალექსანდრე ჭავჭავაძეს და არც თვით გამოჩენილს ცრუ იდეალისტ ბარათაშვილს, რომელიც თავის ლექსების შინაარსით ისე მკაცრად მთელის ერის და განსაკუთრებით გლეხი ხალხის ეკონომიურად დაცემის და პირად თავის უფლებათა ღირსების დავრდომას არ ჩივის, როგორც მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს დაუძლურებულს მონარხიულის წესების წარმომადგენს ბაგრატიონთ შვილთ განკერძოებულს უხეირობას და დავრდომილებას. ამ მუხანათობის ცრუ იდეალისტ მეღვინეს დიდი ხანი არ დასცალდა, თორემ მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ცრუ იდეალისტ ფანტაზიორიც იმისთანა სანტიმენტალურს პატრიოტ ცრუ იდეალისტათ გარდაიქცევოდა, როგორშიაც დღეს ჩვენი ფატალისტ და მართლ-მადიდებელთ კედელთ და შთენთ დიდებულთ მომტირალი და დამცველი პოეტები და მწერლები არიან. ნეტავი გამაგებინა და მაცოდინა ის, თუ როცა ზოგიერთნი ჩვენი ძველი მწერლების ღირსებაზე ლაპარაკობენ და საქვეყნოთ აცხადებენ ამათ ღვაწლს, რომ ჩვენმა ძველმა მამა მწერლებმა ეს გააკეთეს და ესაო, ნეტა რა გააკეთეს ამათ და ნეტა ან რა უდევთ თავში იმ დროს იმ მაქებარ ბატონებს. რა უკეთებიან ამ მამებს და თავიანთის ლექსებით ქართველ ქალთა მნიშვნელობა მხოლოდ საკმეჩ ვაშლათ გარდაუქცევიათ, ანუ მაისის სასუნებელ ვარდათ. ქართველ ქალებს რომ განვითარება ჰქონდეთ და იცნობდნენ „ქალების კითხვებს“ მაშინ მათ თავისუფლათ შეეძლებათ რომ საჩივარი შეიტანონ იქ, სადაც რიგი არის, რომ დღეის შემდეგ ქართველ მოღვინეებს აეკრძალოთ ის, რომ მათ ქართველ ქალთა მნიშვნელობა მხოლოდ იმისთვის არ გახადონ, რომ ტურფას თავიანთ ბაღში საყვარელი არ მიეპაროს და არა ჰკოცნოს, ანუ ნინას ვარდი შეადროს, თუ ვარდი ნინას და სხვა ამგვარი რამეები. ასეთის სააძრახის მასხარობის შემდეგ მე მზათა ვარ, რომ ჩვენს უამაპა მწერლები ერთის თქმით და გარდაწყვეტით ვგმო და ყველა მათზე მალლა დანიელ ჭონქაძე დავაყენო. ეს იმიტომ, რადგანაც ლექსს თუ პრო-

ზას, მე მხოლოდ ისეთ რამეს ვაქცევ ყურადღებას, სადაც კაი რამ გამოსჩანს. ასეთ ღირსებიათ მე ჭონქაძეს ვსთვლი. ჩვენს გარდა ეს სხვებისაგანაც ასე უნდა იყოს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ეს ასე არ არის და ჩვენი ქვეყნის უმეტეს ნაწილის კუჭ გამძღარი პროგრესისტები და მათი პატარა მიმბაძენიც დიდათ აფასებენ ისეთ უვიცურ ნაწერებს, სადაც ცარიელ ხელოვნების გარდა სხვა არაფერი სჩანს. ზოგში ესეც არ არის. მართალია, ზოგ ჩვენ ძველ აზიურ მიმართულების წარმომადგენელ პოეტებს „მუშა ბოქულაძეებიც“ უწერიათ და „დაბალ მჩაგვრელთაც“ მაგრამ აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ პირველმა „მუშა ბოქულაძე“ იმიტომ კი არ დასწერა, რომ იგი ამ გრძობათა და მიმართულების ჰაზრებს ჰკუთვნოდეს, არამედ იმიტომ, რომ ძველ მუხამეაზურ ლექსების წერას თავისი ფერი გაუხუნდა და მას არავინ არაფრად ახსენებდა; ამ დროს, ამ მომსტვენავ მეჩონგურემ შენიშნა, რომ ზოგიერთი მელექსეები ისეთ გზას დაადგნენ და ისეთის მიმართულების ლექსებსაც სწერენ, რაც უფრო იზიდავდა ხალხის კითხვის სურვილს და თანაგრძობას; ესეც ადგა და ხალხის მოსატყუებლად „მუშა ბოქულაძე“ დასწერა. ამით, რასაკვირველია, ის არ შეცდა და ჩვენს მახლობლს მოკლე შეხედულობიან უფიც პირებში დიდი სახელი მოიხვეჭა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ზოგიერთ გაიძვერა ტუსლანგეებმა ეს ძველი წესწყობილების ერთგული მოხუცი. კინალამ ახალ აზროვნების ნამდვილ დემოკრატ-სოციალისტად გამოხატეს! ოჰ, რა საძაგლობაა ის, რეც ერთ რომელიმე ძველ აზროვნებით გაქლენთილ პირს აქებენ, აღიდებენ და მას ისეთ აზრების კაცად სთვლიან, რომელნიც ამ კაცს თავის დღეში გულში არ გავლებია. ცხადი საქმეა, რომ ეს არც თავის ლექსებში იტყოდა რასმეს, რაც მას არ სცოდნო, თავის ლექსებში თუ დაუჯღაბნია რამე შესახებ იმისა, რაც თავის გულის სიამოვნებას არ ეკუთნოდა, ეს მხოლოდ წაბაძვით, უცაბედათ მოსვლიათ, თორემ მის გაგება მათ სულ არ ჰქონდათ. მათ რომ სცოდნოდათ, რომ მათი შვილები ამ გვარ ლექსებს ასეთსა და ასეთ აზრებს და განზრახულებას დასწამებდნენ, მაშინ, მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი მათგანი ერთ სიტყვასაც არ იტყოდა იმ გრძობობისა და აზრების შესახებ, რასაც ისინი ხანდისხან რამდენიმე სიტყვას უძღვნიდნენ ხოლმე.

ჭონქაძეს, უეჭველია, კარგად ეცოდინებოდა ის, რომ, მის მოთხოვნის გამოჩენის შემდეგ, მრავალნი მის ბატონყმობის პირუთენელ მძაგებელ პირად ჩასთვლიდნენ, მაგრამ ეს საწყალი სემინარიელი ამას

არ შეშინებია და საჭევუნოდ გამოუთქვამს ის კეთილშობილური ჰაზრები და გრძობები, რაც მას გულში ჰქონია ჩაბეჭდილი და შეთვისებული. დიდო გაბედულება უნდა ჰქონიყო კაცს იმ დროს და ისიც მდაბიოს შეიღს, რომ მაშინდელ ძლიერად დაშთენილ თავად-აზნაურულს არისტოკრატთა მწერალთ წინააღმდეგ, ისეთი რამე ეთქვა და დაეწერა, რაც მათთვის სასიამოვნო არ იქნებოდა. საწყალი კერესელიძის „ცისკარი“-ც ხომ მარტო ჩვენთა უდიდეს სახლის შეილთათვის არსებობდა. აბა ნახეთ ამ ჟურნალის ძველი ნომრების სარჩენი და თქვენ ნათლად დარწმუნდებით ყველა ამებზე. ჩვენ ვერ ვიტყვით იმას, რომ ასეთ უკუღმართ პარების წინაშე მარტო გლეხ-კაცობა და მუშა ხალხი იყო დამდაბლებული და უარყოფილი, არა, ამათ გარეშე იყვნენ ისეთი წვრილმან საწყალ აზნაურებიც, რომელნიც სხვა და სხვა უდიდეს არისტოკრატიულს თავადი-შვილებთაგან სასტიკად იღვენიბოდნენ. მაგრამ ასეთ პირთა და გლეხთა დევნათა შორის მანც განსხვავება იყო. თუმცა მაღალი წოდების პირთათვის კი მანც და მანც არც პირველი შეადგენდა დიდ რამეს. ამების გამო ამათში დიდი ალიაქოთი და ვაი ვაგლახი იყო ატეხილი: ყველა ერთმანეთის დანთქმას და მიწაზე გასწორებას ლამობდა. ამ საგანს ერთობ აშკარად ამტკიცებს ის ცნობა, რომ თ. გრიგოლ ორბელიანს და მის მსგავს დიდრონ არისტოკრატიულს პირებს საკმარისად შენიშნული მოწინააღმდეგე პარტია ჰქონიათ შედგენილი, რომ ამის საშვალებით 1863 წლებში, ტფილისის თავად-აზნაურთა მარშალთ დიმიტრი ყიფიანი, მხოლოდ იმისთვის არ ამოერჩიათ, რადგანაც იგი იყო ერთეულბრალო აზნაურის შვილი. *) ამის შემდეგ ჩვენთვის უეჭვოდ უნდა დარჩეს ის აზრი, რომ, ის მდაბიო პირები, რომელნიც ხალხთან სცხოვრობდნენ და ხალხსაც თავის ცხოვრებით საკმარისად იცნობდნენ ამათი ავი და კარგი, ჭირი, გაჭირება, მონება და სხვანი, რომ ამისთანა პირები იმ დროის ქართველი უდიდეს გვართ წარმომადგენელ მწერალთ შიშის გამო, ვერსად ვერაფერს დასწერდნენ; იმიტომ რომ ამ უდიდეს გვარიშვილთ მკვდარ მწერალთ, მიმართულების წინააღმდეგ წერათვით ამ მწერალთა პირად მოწინააღმდეგობად ჩაითვლებოდა.

საწყალ დანეულ ჭონქაძის მოთხრობას, მიჰყვა მხოლოდ ერთი აზნაურის შვილი ან. ფურძელაძე, რომელმაც „სურამის ციხე“ გაარჩია და ცოტად თუ ბევრად, ავად თუ კარგათ, ამ მოთხრობის საგანი და დედა ჰაზრი მრავალთათვის გახდა საყურადღებოდ. ამ შენიშვ-

*) Русская старина, 1886 года.

ნის შემდეგ, მე ვფიქრობ, ბევრნი უკუღმართის თვლით გადმომხედვენ მე, რადგანაც,—საცა გინდა, და არ გინდა,—ფურცელადეს სჩხირავსო, ფურცელადის თაყვანის მცემელიაო. ამის შესახებ კეზელმა ათასჯერ მისაყვედურა, მაგრამ მე—კი ვიტყვი, რომ ჩვენ კერძობით თაყვანის ცემა არ ვიცით, ჩვენ ფურცელადეს ისეთ ნაირათ ვათასებთ, როგორც ყოველ პატიოსან კაცს შეჭფერის, ჩვენ იმას ისე უტყქერით და ისე პატივს ვსემთ, როგორც ხლია ჭავჭავაძეს, აკაკს, ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს და ზოგიერთა ისეთს ფეხშიშველა და „ბოსი კამანდათ“ ხმობილ მწერლებს, როგორიც იყო სანწყალი „იმედის“ რედაქტორი და დავითაშვილი. რაიც შეეხება ჩვენს წინანდელს მელექსეებს და მწერლებს, მათთან ჩვენ ფურცელადის ხსენებასაც ვერ გავბედავთ, რადგანაც ყველა ჩვენბ ძველი მწერლები ერთ უვარგის, უნამუსო და წამხდარ პირებად მიგვაჩნია. ამათში ყოველი პატიოსანი და კეთილშობილური გრძობანი სრულიად დამხობილი იყო, გამშრალი და გაფუჭებული. ვინც რა უნდა სთქვას, ჩვენ არავის კიცხვა მუქარების არ გვეშინიან, აქ კერძობითი თაყვანისცემა არაფერში გამოისტვრიტება. რაც იყო და რაც მართალია, ჩვენც იმას ვამბობთ და იმას ვსწერთ. დ. ჭონქაძის შემდეგ, ამისაგან არჩეულს საგანს ფურცელადე გაჰყავა, ამან ამოიღო პირველად ამ მოთხრობის შესახებ ხმა და, ნუ თუ ჩვენთვის სირცხვილი არ იქნება, რომ ამაზე ხმა არ ამოვიღოთ მხოლოდ მისთვის, რადგანაც ფურცელადეს ეკუთვნის იგი... ამავე პირთა თანამედროვე პირია ილ. ჭავჭავაძე. ამან დასწერა მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ და პოემა „რავდენიძე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, რომელნიც 1863 წ. მის მიერ დაარსებულს „საქართველოს მოამბე“-შიაც დაბეჭდა. აკაკს კი ჭავჭავაძეზე ერთის წლით წინ ეკუთვნის ბატონ-ყმობაზე ლექსების წერა და „ცისკარში“ ბეჭვდა. ასე, ჭონქაძის შემდეგ ფურცელადე გამოვიდა ამ ასპარეზზე, ამის შემდეგ აკაკი და აკაკის შემდეგ ილ. ჭავჭავაძე. თუმცა ილ. ჭავჭავაძემ თავის „გლახის ნაამბობს“ ბოლოზე დაწერის რიცხვად კი 1859 წ. მოუსო, ე. ი. სწორედ ის წელიწადი, რა წელსაც ჭონქაძის „სურამის ციხის“ ბეჭვდა დაიწყეს, „ცისკარში“, ეს ჩვენ ცოტა საეჭვოდ მიგვაჩნია და ამაზე ნურავინ ნუ შეგვრისხავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჭავჭავაძეს „გლახის ნაამბობი“, 1859 წ. დაეწერა, მაშინ იგი ამ მოთხრობას 1863 წლის დამლევამდე დაბეჭდავდა „ცისკარში“.

დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“ დაბეჭდა 1859 წლის „ცისკარში“, ეს მოთხრობა 1863 წლის „ცისკარში“ გაარჩია ან. ფურცელადე-

ქემ. სწორედ იმ დროს, როცა „გლახის ნაამბობი“ „საქართველოს მოამბეში“ იბეჭდებოდა. ან. ფურცელაძის სტატია ბევრად შესანიშნავია. ვიდრე „გლახის ნაამბობი“, იმიტომ, რადგანაც ამ წერილში უფრო პირუთვნელად და მოურიდებლივ არის საუბარი ბატონ ყობის წინააღმდეგ, ვიდრე „გლახის ნაამბობ“-ში ქეორეც, „გლახის ნაამბობი“ იმ დროს სრულიად არ დაბეჭდილა; დაიბეჭდა ის სრულად „კრებულში“ 1873 წ. სჩანს ბ. ჭავჭავაძეს „გლახის ნაამბობის“ ბეჭდვას მაშინ მორიდებია, რომ მით არავის რა სწყენიყო.

ანტონ ფურცელაძის სტატია თავის მიმართულებით ბევრად მდიდრად და ძვირფასად ჩაითვლება, ვიდრე თვით „სურამის ციხე“, ამაში აწერილია იმ დროინდელ „სურამის ციხის“ ოსმან აღების თავზარის დაცემა და ის დღეუბა, როცა კი მათ „სურამის ციხეში“ ჩაიხედეს და შიგ თავიანთ წამხდარი, გაფუჭებული და უსამართლო თავებიც დაინახეს. ფურცელაძე მკითხველს დალაგებით შოუთხრობს „სურამის ციხის“ შინაარსს. სხვათა შორის ერთ ალაგას ამბობს, რომ „სურამის ციხის“ დედა აზრი უფრო დრამულია, ვიდრე რომანული და ამიტომ ავტორი კარგს იზამდა, რომ ეს მოთხრობა დრამად დაეწერაო. ამაზედ ფურცელაძეს ჩვენ არ ვეთანხმებით, რადგანაც ჩვენ სულ სხვა შეხედულება გვაქვს, როგორც მოთხრობის შინაარსზე, ისე ამ მოთხრობაში გამოყვანილთ პირთ სულის თვისებებზე, ხასიათებზე, მათს მოქმედებებზე და სხვებზე. ამის გარდა ფურცელაძე ბევრს კიდევ ისეთს რამეებს ეხება და არჩევს ამ მოთხრობისას, რომელნიც თავის დროის კვალად საქმარის საინტერესოდ უნდა ჩაითვალოს. ამ გარჩევიდამ სჩანს, რომ ან. ფურცელაძე თავის ახალგაზღობიდანვე დიდად გატაცებული და მიმდევარი უნდა ყოფილიყოს რუსის კრიტიკოსთა ნაწერებისა და განსაკუთრებით ბელინსკის, დობროლიუბოვის, პისარევის, ჩერნიშევსკის და სხვებისა. როცა მე ეს წერილი წავიკითხე, ერთობ გავკვირდი მასზე, რომ ასეთი მიმართულების წერილის დაწერა მაშინ გაუბედია ფურცელაძეს და ამასთანავე ისეთს ჟურნალშიაც დაუბეჭდიათ, რომლის უმთავრესს თანამშრომლებად ჩვენი ძველი ცხოვრების წესების და ჩვეულებების დამცველი ქურუმ მთავრები ითვლებოდნენ. მე გაკვირვებული ვარ იმაზე, რომ ეს წერილი „ცისკრის“ რედაქციას დაუბეჭდია; შევიტყუე, რომ ამ სტატიის ბეჭდვის გამო „ცისკრის“ რედაქციას მრავალ უდიდეს მწერალთაგან საყვედურებიც მიუღია, მაგრამ „ცისკრის“ რედაქციას მეტი რა გზა ჰქონდა, რომ არ დაებეჭდა. ამ წელიწადს გამოვიდა ჭავჭავაძის „მო-

ამბე“ და „ცისკარსაც“ პოლემიკა აუტეხა. „ცისკრის“ პოლემიზატორად ფურცელაძე იყო. უნდა ითქვას, რომ ფურცელაძის სტატიები ისე ჭაჭყავაძეს არ ეწინააღმდეგებიან, როგორათაც თავით „ცისკრის“ თანამშრომლებს. ეს თავით „ცისკრის“ თანამშრომლებსაც შეუნიშნავეთ „ცისკრის“ რედაქტორისთვის.

დ. ჭონქაძე დაიბადა 1830 წელს. ექვსი წლისა გახდა თუ არა, მისმა მშობლებმა იგი მისცეს გორის სასულიერო სასწავლებელში. აქ მან სწავლა პირველ შაგირდათ შეასრულა და 1855 წ. თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა. სემინარიაში ეს პირველ შაგირდათ ითვლებოდა. სწავლა გაათავა 1858 წელს და ამავე წელს იგი დაენიშნეს იმ დროის სემინარიის მახლობლივ დაფუძნებულ სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად. ასეთი თანამდებობის მიღებისთვის საკმარისი ცოდნა და მომზადება უნდა ჰქონიყო დ. ჭონქაძეს, რომ იგი მხოლოდ სემინარიის სწავლით განათლებული, იმ დროის სასწავლებლის ინსპექტორად დაენიშნათ. განსვენებული მეტის მეტი ჩინებული ხასიათის კაცი ყოფილა; ეს, შაგირდობის დროსვე, ისეთ მიმართულებას სდგომია, რომ ამის აგებულებაზე და სულის ძლიერებაზე ერთობ დიდი გავლენა ჰქონია ყოველ ნაირ უბედურებათა სურათებს. ასეთის უბედურის სურათებისაგან ეს ისე გატაცებული ყოფილა ხოლმე, რომ მის მეოხებით ხშირად საუბრობდა კიდევ თავის თანამედროვე კაცებში, მაგრამ, საუბედუროდ, იმ დროს ასეთ რამეებზე საუბარი წმინდა სულელობად რჩებოდა ხოლმე. სწორედ ესევე შეხედულება გახდა იმის მიზეზად, რომ ეს საბრალო კაცი ერთობ ადრე, ახალგაზდა გარდაიცვალა. უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი უბედურება მარტო ჭონქაძეს არ სწევია საქართველოში. ასევე დაუმართა ნიკ. ბარათაშვილს და საბრალო ნიკო ინაშვილს. იმას კი ვიტყვი, რომ აქ ხსენებულ სამ პირთ გარდაცვალებაში საკმარისად დიდი განსხვავება სძევს. პირველზე ძალიანაც შესაძლებელია, რომ ამ მწერლის თანამედროვე დაბალ ერის ბატონ-ყმურს წესწყობილებას ისე ემოქმედნა მის სულის კვეთებაზე, რომ იგიც მალე გარდაცვლილიყო, რადგანაც, როგორ მგრძნობელი ამ უბედურის ხენის დამასთანვე საზოგადოებისაგანაც თანაუგრძნობარი, შეიძლება, რომ მით იგი დიდს ნალკლიანობაშიაც იყო ჩავარდნილი. ცხადი საქმეა, რომ „სურამის ციხის“ დამწერი უბრალოდ არ გაატარებდა თავის დროს, ცხადი საქმეა, რომ იგი თავის თავისთვის იმ დროების წესწყობილებაში გულის გასახეთქის მეტს ვერას ნახავ-

და და შეიძენდა, ამაზე სხვებმაც ასე სთქვეს, ამიტომაც შეიძლება, რომ ამის გარდაცვალების ზედ გავლენაზე ისე მის ცხოვრებას და სხვა და სხვა ნაირს პირობებს და სხეულის უძლურებას არ ჰქონდა მნიშვნელობა, როგორც იმ დროის ქართველ ერის ძველებურ ხავს მოკიდებულ მონურ ცხოვრების წესებთ, რომელნიც მკვიდრად იყო ჩანერგილი იმ დროის ქართველებში. კაცს პატარა გამოცდილება და გონებითი განვითარება რომ ჰქონიყო და მის მეოხებით იმ დროის ერის ცხოვრებისთვის ყურადღება მიეპყრო, მაშინ იგი, ვინ იცის, რა გულის გასახეთქს და სამწუხარო სურათებს არ შენიშნავდა. მე მგონია, რომ „სურამის ციხე“-ს დამწერს საკმარისი ყურადღება ექმნებოდა მიპყრობილი იმ დროის ქართველ ერის უბედურ ცხოვრებაზე და სწორედ ამავე უბედურს ცხოვრების წესებს საკმარისი მნიშვნელობა უნდა მიეცეს ჭონქაძეს სიცოცხლის უძლურებაზე და ავადმყოფობაზე, თორემ ეს თავის პირველის ცხოვრებიდანვე სემინარიის მახლობრივ სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად იქმნა დანიშნული და ამ თანამდებობის ჯილდოთი იგი ისე წინ წავიდა, რომ სულ მცირე ხნის განმავლობაში ცოლიც შეირთო. მაინც ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვიტყვით გარდაწყვეტით იმას, რომ ამის გულში იმ დროის უბედურ დაბალ ერის ცხოვრებათა ცნობები ისე ყოფილიყოს მოზღვაებული და ფესვებ გადგმული, რომ მის მეოხებით იგიც ერთობ მალე გარდაცვალებულიყოს. ვინ იცის, იქნება მის სიკვდილზე სრულიად არაფერი გავლენა ჰქონდა იმ დროის საზოგადოების დავრდომილებას, საძაგლობას და თუ გარდაიცვალა, იგი გარდაიცვალა ისე, როგორც იხოცებიან ამ სოფლის სიამოვნებაში მყოფნი პირნი. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ „სურამის ციხე“-ს დამწერა უცაბედად მოუვიდა და შემდეგ დროებში იგი ამ გვარ მიმართულებას ხლარც-კი ეკუთვნოდა. ამის შესახებ, ჩვენ ცოტათი ეჭვში შევდივართ, რადგანაც მან ამ მოთხრობის შემდეგ სხვა ნაწარმოების არაფერი დაუტოვებია; მაინც აქ მის სიკვდრლს განსაკუთრებითი მნიშვნელობა მიტომ მიუყიბთ, რადგანაც ჩვენს ძველს მწერლობაში უდრო-უდროდ და ანალგაზრდა მხოლოდ „სურამის ციხის“ დამწერი გარდაიცვალა. რატომ სხვა პატრიოტ მწერლები არ იხოცებოდნენ და იქლიტებოდნენ. ასეთივე უბედური ხვედრი ხედა ბარათაშვილს; ამის სიკვდილი უდროვო იყო, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ უდიდეს არისტოკრატიულს ქართველ თავადისშვილის მოდგმის შვილზე, სიკვდილის მიზეზები კი იმითი არ აიხსნება, რომ ვითომც ბარათაშვილის სიკვდილს უმთავრეს მიზეზათ და საგნად მის დროის და-

ჩაგრულ ქართველ ხალხის უბედურებას გამოეწვია. არა, ამისთანა საქმეებთან ბარათაშვილს კავშირი არ ჰქონდა და როგორც უდიდეს არისტოკრატ-ბურჟუაზიანი, არისტოკრატიულ გზასა და კვალსაც ადგა. ამის მიმართულებას და ლექსების წერას არ ჰქონდა დიდი პროგრამა. მისი ლექსების შინაარსი და მიმართულებანი სულ უბრალო რამ კერძო ეგოიზმის ხმარებით არის გარემოცული. არც ერთი ამის ლექსი არ შეიძლება კაცმა აილოს და მისს შინაარსსა და მიმართულებასაც ერთ ნაირი ჭეშმარიტი შეხედულება და მიმართულება მისცეს. ბარათაშვილი, როგორც მკვდარი და ცრუ იდეალისტი, ისე დაძრწის თავ გადაგლეჯილი, გულ მწუხარი და თვალ ცრემლიანი თავის ლექსებში. ყოველთვის და ყოველგან ისე ქართველ დაჩაგრულ მთელის ერის უბედურებას არ დასტირის და დაჰგალობს, როგორც თავის მოდგმათა შეილებთ, გვარიშვილობის დავრომას და გაწყალებას; თვით ამის გამოჩენილი ლექსის „მგრანის“-ს დაწერის მიზეზადაც გამხდარა ერთი ვიღაც ორბელიანის ლექსებში ტყვედ ჩავარდნა. *) ამას თვით ბარათაშვილიც ამტკიცებს თავის წერილებით, მაგრამ ქართველნი-კი ამ ლექსს ათას ნაირ საზოგადო შეხედულებას და ჰაზროვნებას სწამებენ და ამ პოეტის ნიჭით ქვეყანასაც ემუქრებიან. მაგრამ რის საზოგადო მიმართულება, რის უდიდესი დედა აზრები და ღრმა მოაზრება! თვით ბარათაშვილის დრო რა დრო იყო ჩვენში!.. რა სწავლა, რა განათლება იყო იმის დროს, მასაც უდიდესის ღრმა მოაზრების და რეალურის განვითარების მხარეების მნიშვნელობა სცოდნიყო. ისიც ისეთს კაცს, რომელიც თავის წერილებში უმაღლესს სწავლას, მხოლოდ მიტომ ნატრობდა, რომ მის შემდეგ დიდს ალაგს ჩავიდებდით, შუბლზე კაკარდას მივიკრავდიო და ხალხისაგანაც დიდ ძალ ფულებს ავიღებდიო. მალე ისეთი დროც დადგება, როცა ამ ბურჟუაზიულ მოდემის ინტერესებთა დამცველს და მომტირალს პოეტს, ევროპულს ახალ-აზროვნების რეფორმატორებს გვერდით ამოუყენებენ. ბარათაშვილი რომ დიდი გენიოსი ყოფილიყო, ქართველის ერთი ნაწილის დაჩაგრულის ერის საყვარულით დატანჯული და გზა-კვალ არეოლი, მაშინ იგი თავის მამაპაპათა მსგავსს ლექსების წერას არ შეუდგებოდა და იგავ სიტყვაობით ბუღბუღს ვარდზე კი არ ატირებდა, სულმბუღს მწირთან არ გაბაასებდა და სხვა. ასეთ იგავ სიტყვაობით ლექსებს კი არ დასწერდა, რომლის მსგავსი ლექსების მნიშვნელობა

*) ლექსი, თქმულნი ბარათაშვილისა, გვერდი 84 - 1886 წ.

დიდი ხანია რაც დავარდა, არამედ გულახსნით და თვალზე ახილვით დაიწყებდა ქადაგებას. ეს გამოჩენილი თავადი მხოლოდ სანტიმენტალურ, დიდად მგრძობიერ და ფრთა გაუშლელ სათავადო კითხვების ინტერესებთა დამცველ პატრიოტ-იდიალისტ-პოეტად შეიძლება ვაღვიაროთ, თუმცა-კი ორბელიანზე და ყველა თავის დროის მეღექსეებზე, თავის ლირიზმით ეს ისე მაღლა სდგას, როგორც დ. ჭონქაძე—ბატონ-ყმობის შესახებ კითხვის აღძვრით, ყველა თავის თანამედროვე მკვდარ ქართველ ჰწერლებზე. ბარათაშვილი თავის მკვდარის იდეალებით შესანიშნავია მხოლოდ იმით, რომ იგი ყველგან და ყოველთვის დიდად მგლოვიარე და შავებ ჩაცმული რაღაცეებს დასტირის; ეს გლოვობს, კენესის მწარედ, ფარფანასებრ ევლება თავის სატრფიალო სასალუქს გარსა და, რა ამის დაწვას უცქერის, თვითონაც ჰსურს, რომ მასთან ერთად ზედ დაიწოს და ამის დაწვიფთ თავის სიცოცხლეც მოისპოს. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ამ გლოვა-ტირილში და ვაებაში ის გლოვა და ვაება კი არ იხატება, რომ ბარათაშვილი ვითომც დაჩაგრულ ერთა უკიდურეს მდგომარეობით ყოფილიყოს აღელვებული, სიცოცხლე გამწარებული და გულმუტულ ნაღვლით და ბალღით სავსე, არა, ამასთან მას საქმე არ ჰქონდა; იგი, როგორც „დიდი გენიოსი“ მაგრამ მასთანვე უხეირო კაბინეთური თავადი, გატაცებული იყო პოეტურის ოცნებებით, რომ მეღთა სამთავროში ხშირად უფრო ისეთს საგნებს ეძლეოდა ადგილი, რაც უფრო პოეტის ესტეტიკურს გრძნობებს ანელვებდნენ. უნდა ითქვას, რომ ეს გამოჩენილი მონტირალი მეღექსე, თუ დღე და ღამე ქართველების ერთის ნაწილის დაგრდომილებას აქცევდა ყურადღებას და თვის ლექსებშიაც ამაებს ეხებოდა, მაშინ ესეც თავის მამა-პაპულ გზას კი არ უნდა დასდგომიყო, არამედ, თუ რამის დაწერა უნდოდა, მაშინ იგი თავის იგავ სიტყვაობით მწარე გოდებას არ გაჰყვებოდა და თვითონაც ასეთის ვაებათ თვალებს ცრემლებით არ ინამებდა. იქნება იგი თავის ნიქს ხალხში ვერ სტეგდა, ამისი სულის კვეთება ხალხისას ვერ ეთვისებოდა და მიტომ მირბოდა მთებზე სევდის უკუსაყრელად. იქნება გარემოება და იმ დროის ვიწროობა ნებას არ აძლევდა ამ თავადს, რომ თვისი გრძნობები აშკარად განეფანტა თვის მეღექსეობის მეოხებით; იმ დროში, ასე წერას. ამას ვინ დაუშლიდა, ხელთ ნაწერი ლექსებისთვის ხომ არ დაიჭერდნენ და დასჯიდნენ. თუ კი სის კეთილს ოცნებებს საზღვარი არ ჰქონდა და იგი ყველგან კაცთა კაცობრიულს თანასწორობას ჰქადაგებდა დვისს ლექსებში, მაშ სად არის ეს მისი

ლექსები და ან სად გზმოსქვრიტება ამ გვარი აზრები!.. მე აქ თავისუფლად შემძლიან ვსთქვა, რომ ბარათაშვილი უფრო ქართველ კერძო ერთი ნაწილის ინტერესების მომღერა, რადიფერამბების მწერლად მიმაჩნია. მე მგონია, რომ ყველა ამის ლექსებში მხოლოდ ეს გამოიჭრიტება და ამიტომ მასაც თავის თავი ყველგან ობოლ მწერად მიმაჩნია. ამას ყველგან და ყოველთვის მხოლოდ თვის მოდგმა-თა შვილებთ დავრდომა ეგლოვება და ამას სტირის, რომ ქართულ ძველ წესებს თავისი ფერი მისდით და ვარდებო; ამ დავარდნას იგი ისე სამწუხარო და საგრძნობელად ხდის, რომ სჯობს ამის დავარდნით ჩვენც აღვივაგოთ დედამიწიდან. ამის ყოველს ლექსში პიროვნულად ეს გამოიჭრიტება. ამას ყოველგან და ყოველთვის მხოლოდ თვის ტყავზე აქვს კენესა-ტირილი, თვის ჯიშზე და ბაგრატიონთ გვარიშვილებზე, რომელნიც საქართველოს ხან ოსმალს მიჰყიდდნენ და ხან სპარსეთს. ნუ თუ ესენი ღირსნი არიან, რომ ჩვენ მოვიგონოთ როდისმე და მათის მეფობის გულისათვის ბარათაშვილისებრ, თვალნიც ცრელებით ვინამოთ?! თუ ბარათაშვილის ლექსების შინაარსი ამისთანა ოცნებებს არ წარმოადგენს, მაშ ვინ ატანდა მას ძალას, რომ თვისი პოეტური ნიჭი იმის მსხვერპლად გაეხადნა, რომ მთაწმინდაზე ასულიყო და იქიდგან ვადმოეხედა ამ ცოდვით სავსე თბილისისათვის, ანუ ყურადღება მიეპყრო ლურჯი ცრისთვის, დილის განთიადის მზის სხივებისთვის, ღამის ბადრი მთვარისათვის და სხვა ასეთ რამეებისათვის, რომლითაც ყოველთვის უფრო ამათებური მოდგმის შვილები ხარობდნენ. მოვალე იყო ეს გენიოსი, რომ თავისი ნიჭით მარტო იმ დროის მუქთა ყლაპია მდიდარ პირთ სიამოვნების მშვენიებათა შესამკობლად კი არ უნდა გამხდარიყო, არამედ ხალხის ცხოვრების ჯურღმულში უნდა ჩამჯდარიყო; იქ უნდა შეესწავლა ბევრი რამ, დაენახა ის, თუ რა სდევნიდა უფრო იმ დროის ქართველებს, რა აწუხებდა, ვინ იყო უფრო დაჩაგრული; ილაჯ გაწყვეტილი, სიცოცხლე გამწარებული, გაუხარებელი, გაუცინებელი და სხვანი; მასში უნდა გაერჩხა ავი კარგისაგან დაჩაგრული-ბედნიერისაგან: უნდა შეემჩნია ყველასთვის ნაკულევა-ნება და ყველა ამათთვის თავისებური ხელოვნური და მგრძნობიერი პოეტური კბილიც უნდა გაეგლო, კარგი ქებით გამოეხატნა და ავზე კიდევ თავისებური გესლიანი ენა წაეცხრა და გაეკიცხა. მაგრამ არა, ამ კუჭმადღარმა პოეტმა და მოკლე ფრთიან იდილისტ ჯიშისთვის მსხვერპლად შექმნილმა თავადმა, სულ ვერაფერი სამწუხარო სურათები დაინახა იმ დროის ცხოვრებაში საგრძნობი და გასაკიცხი. ბა

რათაშვილის თვალში გლენჯაკობას, ბატონ-ყმობას და ყმათა აუარე-
ბელს გოდებას, წვა, ოხრებას. არაფერი მნიშვნელობა არა ჰქონია;
ასეთის უყურადღებობის შემდეგ განა შესანიშნავი უნდა იყოს ის
მელექსე, ან პოეტი, რომელიც ბატონ-ყმობის დროს სცხოვრობდა
და მასზე კრინტს კი არ სძრავდა? განა სახსენებლად კი უნდა
ღირდეს ისეთი მსტვენარი მოშიარე, რომელიც უდიდეს პოეტად
ჩუი ხმობილი და დამსახურებული მთელს ქართველობაში! განა ეპა-
ტიებათ ჩვენ უდიდესთ მკენესართა და ბაგრატიონთ ტახტთა მომ-
ტირალ პოეტებს, რომ მათ თავიანთ დროის დაბალ ერის მდგომარე-
ობის შესახებ თავიანთ მსტვენავ ხმებთა გარდა ჩვენ არაფერი
გადმოგვცეს!.. არა. მგონია, რაც აქ ბარათაშვილზე ითქმის, იგივე
ითქმის ყველა ჩვენ ძველ გამოჩენილს მეშიარ-ზღაპრე მწერლებზე.
ყველა ეს მწერლები მკვდრები იყვნენ სხვის ტანჯვისთვის და სხვის
უბედურ ყურადღების მიპყრობისათვის; ყველა ესენი თითქმის სისხლ-
გამშრალნი იყვნენ. ამათი გული და გრძნობებიც გაყინული და გა-
ქვავებული იყო და ყველა მათგანს ტანში სისხლის მაგიერ შხამი და
უსამართლობა ედგათ; ამ შხამის და უსამართლობის ძალოვნებით
იგინიც თავიანთზე პატარა პირებს ჰგლეჯავდნენ, ფლეთავდნენ და
მიწაზე ასწორებდნენ. ამათ უმთავრეს გალდებულებას მხოლოდ მათი
კერძო ინტერესების დაცვა შეადგენდა და მასზე კვენესა-ტირილი.
ყველა ამ მწერლებს ისეთი სწავლა და განათლება ჰქონდათ მიღებუ-
ლი, რომლითაც ეხლანდელი ორ-კლასიანი სასწავლებლის მაგიერდაც
ვერ შევადარებთ. ამათ ცოდნას ყველა ისეთი რამეები შეადგენდა,
სადაც საზოგადო თანასწორობრივის სწავლა და განვითარებისა არა-
ფერი გამოიჭერიტებოდა. ამათი ხელობა იყო უზომო ლხინი, ცეკვა-
თამაში, ზურნა, არღანი, დუღუკი, ლამაზები, ქორები, ქალების ერთ-
მანერთზე გადაკიდება, ლეკური და ტანცაობა. რის გამოც თვით-
ბარათაშვილმა ფეხები დაიმტვრია. ცხადი საქმეა, რომ ასეთ ქვეყნის-
დაბალ ერის შრომით მრავლებულ და გამოზრდილთ ყოაპია სიკვ-
დილის მიზეზებში რამე საზოგადო ჰაზროვნების და დაბალ ერის
ეკონომიურად უძლურებას და დავრდომილების მიზეზებს არაფერი
ზედ გავლენა დუ ძსლა ექნებოდა, რადგანაც ამ მწერლებს ქვაც ჰქონ-
დათ და კაკალც, ამიტომ ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ
არც ერთ საზოგადო საქმეთა სულის დავრდომილებას და ამ გვარ
სხვა რამეებს ბარათაშვილზედ გავლენა არ უნდა ჰქონიყო. მას არცა
რა შესაწუხებელი ჰქონდა, არცა რა გასაჭირი და არცა რა ერის უძ-
ლურის მდგომარეობისაგან იყო მგლოვიარობით გარემოცული, რომ

მის სევდით გულ-მუცელი მოწამლული ჰქონიყო და ამის მეოხებით ამიერ სოფელსაც იგი უდროვოდ გამოსალმებოდა. საწყალი ნიკო ინაშვილი კი სულ სხვა შვილთაგანია, სხვა დროის პირი და ამის სიკვდილის მიზეზები კი უფრო ისეთ საგრძნობელ მხარეებს მიეწერება, რომლის მსგავს ჯურღმულის სენებმა არამც თუ ჩვენში მოუღეს მას უდროვოდ ბოლო, არამედ რუსეთში 29 წლის ახალგაზრდა ვაჟკაცს პისარევს და 24 წლის ყმაწვილ-კაცს დობროლიუბოვს და სხვათა ამგვარებს. ნიკო ინაშვილი თბილისის სემინარიაში სწავლობდა. აქ გაათავა და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში წავიდა. ამის გულში ღრმად ჰქონდათ დადგმული იმ ძვირფას მიმართულების ფესვებს ძირი, რაის ასაღორძინებლადაც მრავალნი თავ-დადებით იბრძოდნენ. ეს იყო ერთად-ერთი ნამდვილის რეალურის ცოდნით და მიმართულებით სავსე. ამის აღზრდაზე სემინარიის ძალამ და მოქმედებამ ვერაფერი გავლენა იქონია, და მის სულის ძლიერებას ვერაფერი კლანჭები გაჰკრა, მის გონებითი განვითარებაზე ვერაფერი ძალა და ზედ გავლენა მოახდინა. ეს გამოვიდა სემინარიიდან, როგორც საუკეთესო შეგირდთაგანი. უმაღლეს სასწავლებელში წავიდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო, ეს ყოველად ძვირფასი კაცი თავის სამშობლოში დაბრუნდა და თბილისში გარდაიცვალა 1871 წელს. ამას რომ ეცოცხლა, მაშინ იგი შესანიშნავ პირად დადგებოდა. ეს გატაცებული იყო ევროპის ღრმა მოაზრებათა თხზულების კითხვისაგან; აპას გაცნობილი ჰქონდა რუსეთის მთელი ახალი ლიტერატურული ძალა. ევროპის რეალურ მეცნიერთა ნაწერთა წერილებს მის გულში ღრმა აღვილი ჰქონდათ მოპოვებული. იგი ამაების მეოხებით დიდად მეცადინეობდა, რომ თავის სამშობლო ქართულს ენაზედაც რამე ხეირიანი თხზულებები გადმოეთარგმნა. ამ ახალგაზრდა პირმა სულ ახალგაზრდობაშივე მიიღო მონაწილეობა ჩვენს ლიტერატურაში და რუსულს ენიდამ გადმოსთარგმნა „ქალების განთავისუფლება“ ჯონ სტიუარტ მილისა. სტატია შესანიშნავია მით უფრო, რადგანაც ამ წერილს წინ მიუძღვის თვით ინაშვილის წერილი, რომელიც დიდად შესანიშნავი უნდა იყოს, როგორც წერილში შეტანილის ცნობებით, ისე მწერლის ღრმა მოაზრების გამომეტყველებით. ეს ჩინებული თარგმანი დაბეჭდილია 1869 წელს „მნათობში“. ამავე ჟურნალში დაბეჭდილია კიდევ 2 მისი სტატია. ამის გარდა მან გადმოსთარგმნა ნ. ჩერნიშევსკის „ზნეობითი და ესტეტიკური მხარეების განვითარება“, რომელიც აღრინდელს „დროების“ ნომრებშია დაბეჭდილი. ამ კაცის გონებით განვითარებას დიდად ემსახურებოდა თურმე ის გა-

რემოება, რომ მის სიძეს თბილისში ბიბლიოთეკა ჰქონდა. ეს ის ინა-
 შვილია, რომლის გარდაცვალებაზე ბ. ნიკოლაძესაც აქვს წერილი
 თავის ნაწერების პირველ წიგნში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ
 აი ამ უბედურს შვილზე უნდა ემოქმედნა იმ დროებათა საძაგლობას
 და ვერაგობას და სწორედ ამავე სამწუხარო მხარეებს არა მცირედი
 ხნიშვნელობა და გავლენა ექმნებოდა მის გარდაცვალების უდრო-
 ვობაზე: ეს რომ უკმაყოფილო და გულნატკენი უნდა ყოფილი-
 ყოს იმ დროის სწავლადო წესწყობილებისაგან და განსაკუთრებით
 ჩვენის ძველის მიმართულების მოწადმართე მწერლებისაგან, ცხა-
 დათ სჩანს იმ წერძლებიდან, რომელიც მას ნიკოლაძისთვის მიუწე-
 რია და რომელიც ნიკოლაძის ნაწერებშია დაბეჭდილი*). ამ წერი-
 ლიდან აშკარად გამოსიჭვირება ის აზრები, რომ მის გულში ბევრ
 რამ ვარაძს და ვაებას უნდა ჰქონიყო ადგილი და ყველა ამაებს და
 განსაკუთრებით მის შვეწროებულს მდგომარეობასაც საკმარისი გავ-
 ლენა ექმნებოდა მის სხეულის სიძლიერეზე. აი, ჩვენ მხოლოდ ამ
 საბრალო კაცის გარდაცვალებას ვაპყრობთ ყურადღებას, რადგანაც
 ამას ბევრი რამ შესანიშნავი ნაწერების შემოტანა შეეძლო ჩვენში,
 რადგანაც ამახს ჰაზრად ჰქონია, რომ ევროპის ყველა ღრმა მოაზრე-
 თა ნაწერები ქართულად გადმოეთარგმნა. თავის წადილის ნიშნები
 მან უკვე დაამტკიცა. ამ საბრალო პირის ნამეცადინობით ბევრი ახალ-
 გაზდა კაცი აღიზრდებოდა, ბევრი განვითარდებოდა და ბევრი მი-
 იღებდა ფრცელს ცნობებს ევროპის ღრმა მოაზრეთა ნაწერებზე. ერ-
 თის სიტყვით, უნდა ითქვას, რომ ეს ქართველ ჩერნიშვესკობას და-
 იმტკიცებდა თავის თარგმანებით. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს
 ასე არ იქმნა და იგი ერთობ აღრე გარდაიცვალა ისე, როგორც სხვა
 მრავალი ახალ-ნორჩი ნიქები დახოცილან და გამოსალმებიან ამ ცხოვ-
 რების წუწკ-მურტალ წესებს. მე მარტო იმ პირის სიკვდილი კი არ
 მიმაჩნია სამწუხაროდ, ვისაც რამ დაუწერია, შიგ რაიმე საზოგადო
 კაცობრიობის თანაგრძნობის ხასიათების რამე უთქვამს და თვითონ
 კი თავის მოქმედებით თავის ქადაგების წინააღმდეგი ყოფილა; ასე-
 თი პირები მე ჩალადაც არ მიმაჩნია. ჩვენში რამდენმა უნამუსო და
 სიცოცხლით გამშრალმა პირებმა დასწერეს მუშების მქსახებ ლექსე-
 ბი, სადაც იგინი ამ დაჩაგრულ ხალხთა თანაგრძნობას და შებრაღე-
 ბას დამღერიან, მაგრამ თვით კი თავის დღეში არც ერთის სიტყვი-
 თაც არავის დავრდომილ და დაჩაგრულს პირისთვის დახმარება არ

*) თხზულება ნ. ნიკოლაძისა, წიგნი პირველი, 1878 წ.

მიუციათ ესენი მტრები იყვნენ იმისი, რასაც თავიანთის უნამუსოდ
ენით „მუშა ბოქულაძე“-ებში ჰქადაგებდნენ. ამათ თავიანთი სიტყვა
არც ერთის საქმით არ განუხორციელებიათ აი, ამიტომ უფრო საგრ-
ძნობელია ისეთ პირთ უდრო-უდროით გარდაცვალება, რომელნიც თავი-
ანთ სიტყვას და ქადაგებას ხშირად საქმიანად ასრულებდნენ. ჩვენს
ძველ მწერლებში კი ამას ვერ შევნიშნავთ. ესევე ცოდვა ახვევია
გარს იმ ნ. ბარათაშვილს, რომელიც თავის ლექსებში, ბაგრატიონთ
შვილთ დავრდობილობის გამო, შავებ ჩაცხული ღობე-ყურეს ედება
და მეტაფიზიკურ მჭევრმეტყველურის კილოთი ათას ნაირად უნამუ-
სოდ იდეალისტობს. რა შავქვეში ვაქნევ მე ისეთ უდიდეს პოეტს,
რომ იგი ცხოვრებდენ ოდესმე, სწერდეს ლექსებს და ამ ლექსებით
თვის თანამედროვე დაბალ ერის ცხოვრების შესახებ შებრალებას და
კითხვებსს აღორძინებას კი არ ჰქადაგებდეს, განსაკუთრებით ბატონ-
ყმობის წინააღმდეგ. პოეტი, მე მგონია, ის უნდა იყოს, რომელიც
ძველებურ პოეტებთა მსგავსად თავის მხიარულს გრძნობათ გაეღვი-
ვებას თავს არ ზოუხრის და იმას კი არ დასჯაბნის, რიც კისერ გას-
ქელებულებს გამოადგებათ, არამედ ეს ისეთ საგანს მოავლებს კა-
ლამს და ისეთ რამეს შეეხება, რაც უფრო საყურადღებო და გულის
მწველი იქნება დაჩაგრულთა ცხოვრების შესახებ. ამის მეოხებით
პოეტი არავის უნდა შეუშინდეს, ეს გულ ამაყად უნდა მიეგებოს
ყველაფერს და თავისი ჰაზრები კი მტკიცედ უნდა დაიცვას. გამო-
თქვას ის, რისიც მოვალეა ყველა განათლებული პოეტი, რომ ის თავის
მჭრელის ენით და კალმით მთელს არს ემსახურო. ბარათაშვილს
კი ესეები სულ არა აქვს თავის ლექსებში და იგი რა გზას ეკუთვნო-
ნოდა, რას ემსახურებოდა და რა სურდა თავის ლექსების წერით ქარ-
თველებისთვის, ეს მე მგონია, ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, ამი-
ტომ ჩვენ დ. ქონქაძეს უფრო მეტ ღირსებას ვაძლევთ, ვიდრე ისეთ
ანტი-ლიბერალურს ბურჟუა პატრიოტებს, რომელნიც საქართველოს
დიდ არისტოკრატიულს მოდგმათა ოჯახებს ეკუთვნოდნენ და რომ-
ლებიც ხანდისხან ერის მოსატყუებლად თავიანთ ლექსებში საზოგა-
დო თანაგრძნობათა მხარეებსაც ეხებოდნენ, ესეც მხოლოდ ბოლოს
დროს, ამ მოკლე ხანში, სხვათა მიბაძვით, რადგანაც მათებურის ლექ-
სების კითხვას თავს ანებებდა დაბალი ხალხი, რადგანაც მას (ხალხს)
თავისი უბედური მდგომარეობა აწუხებდა და ბულბულის ვარდზედ
სტვენა და ქალების საყვარული, გატაცება ყოვლად შეუძლებელ მო-
თხოვნილებას შეადგენდა ქონქაძემ ადრე იგრძნო თავისი მოვალეო-
ბა, ადრე გაიგო ხალხის უვარესი ცხოვრება. მისი სატიკივარი თვალ

საჩინად დაინახა და, განსაკუთრებით, ბატონყმობის—იმ დროის ერთ უმთავრეს სენის წინააღმდეგ კიდევ დაიწყო ქადაგება. რასაკვირველია, ამ სენის თავიდან ასაშორებლად, მქადაგებელს დიდი ძალ-ღონე და ნიჭი უნდა ჰქონოდა, ამასთანავე ეს უნდა ყოფილიყო ჩინებულად განვითარებული და სწავლა დამთავრებული, რაც შეეხება ნიჭს, იგი არ იყო ამას მოკლებული, არამედ იყო მახვილ გონიერი კაცი და, რაც შეეხება სწავლის დამთავრებას უმაღლესს სასწავლებელში, ამას-კი მოკლებული იყო, თუმცა თავის დროის კვალად იგი კარგათ განვითარდა სხვა და სხვა წიგნების კითხვით. უეჭველია, რომ დიდი გავლენა ექმნებოდა ჰონკაძეზე ტურგენევის ნაწერებს და იმ ლიტერატორთა ნაწარმებს, როქელნიც შეადგენდნენ იმ დროის რუსეთის ჟურნალ-გაზეთობის ძალას. სასულიერო სასწავლებელში ინსპექტორად ყოფნის დროს, ის აღვიძებდა ბედრაიგ სემინარიის მაგირდებს წიგნის კითხვის სუვილს, რომ ამით ისინიც სწორ გზაზედ გამოეყვანა და ჰეშმაოიტების მომხრეები გაეერკვლებინა.

ჰონკაძის შესხებ „ცისკრის“ რედაქტორმა მიამბო, რომ დიდი გულ შემატევი რა და საწყალო ხალხთა შემბრალებელი კაცი იყოვოხშირად ამის შესახებ ულაპარაკია კიდევცა, განსაკუთრებით ბატონყმობის შესახებ ამ სენის (ბატონ-ყმობის) შესახებ საუბარი იმ დროში მას ყველასთან არ შეძლო. ეს თურმე ხშირად დადიოდა „ცისკრის“ რედაქციაში და ხანდისხან ბატონ-ყმობის შესახებ მხოლოდ კერესელიძეს ელაპარაკებოდა. ამას მიზნად ჰქონდა, რომ „სურამის ციხის“ გარდა სხვა მოთხრობებიც ეწერა, სადაც უმთავრეს საგნად უნდა ყოფილიყო ბატონ-ყმობის შესახებ ცნობები და საუბარი. „სურამის ციხის“ გარდა ამას სხვებიც ჰქონია ნაწერები, მაგრამ მის სიკვდილის შემდეგ ერთობ მალე დაპნეულა და სულ ერთიან დაკარგულან. როგორც მიამბო კერესელიძემ, ამასთან ერთი დაახლოვებული და საყვარელი მეკობარი კაცი მხოლოდ დ. ჰონკაძე ყოფილა. ამის სიკვდილით „წელი მომწყალო“, სთქვა „ცისკრის“ რედაქტორმა. ამან ლექსიც მიუძღვნა, სადაც მართლა და მწარედ დასტირდას ჰონკაძის უდროვიდ გოდაცვალებას, ჰონკაძეს კერესელიძე შაგირდობაშივე გაუცვინა, რადგანაც „ცისკრის“ გულისტვის ხშირად მოსვლია მას რედაქციაში მისვლა.

ოცდაათი წლის ყაწვილი კაცი, დანაილ ჰონკაძე გარდაიცვალა 1860 წელს, 16 ივნისს. აის სიკვდილს მეტის-მეტე თავზარ დასაცემი გაგლენა მოუხდენია იმ დროის სემინარიის მოწაფეებზე, რადგანაც მათ კარგათ სკოლნიათ ჰონკაძის თვისება ხასყათი, მიმარ-

თულება და სხვანი. „ცისკარში“ სწერია: „ბევრი კარგი კეთილისგანძრახვა ჰქონდა (ქონქაძეს), მაგრამ ყოველივე ჩაუშალა უდროვოდ სიკვდილმა“.

მას დარჩა მეუღლე და ერთი ზაჟიშვილი, რომელიც ღღესაც ცოცხალია. კარგი იქნება, რომ ამ შვილმა თავის მამის ნაწერები მოიპოვოს და დაბეჭდოს. ამბობენ, რომ ქონქაძის უდროვოდ სიკვდილი ბევრმა არაფრად ჩათვალესო, რად ანაც მან თავის მოთხრობით მხოლოდ შეურაცყოფა ჩაიდინა: მთელ იმ დროინდელის საზოგადოების წინაშე და სხვებმაც დიდ საწყენად მიიღეს ამის მოთხრობის დაბეჭდვა. გრიგოლ ორბელიანს დიდი საყვედურებიც უთქვამს კერესელიძისთვის, რომ „სურამის ციხე“ რა დასაბეჭდი იყო, რომ დაბეჭდეთ. ყველა ამ გვარ პირთათვის ქონქაძის გარდაცვალება დიდ სასიხარულოდ დარჩენილა და არც ერთი იმ დროის ქართველი მწერალი, ანუ მკითხველი, ბრც კი დასწრებიან ქონქაძის დასაფლავებას. ამის გარდაცვალება შიტომ უფრო დარჩენილა მრავალთათვის სასიხარულოდ, რადგანაც ესენი ჰფიქრობდნენ, რომ „სურამის ციხის“ გარდა კიდევ დასწერს იგი და ვინ იცის, რომელი ძლიერი ოჯახის შვილების საქციელს და ყოფა ქვევას როგორ გამოხატავს შიგ და შეარცხვენსო „სურამის ციხის“ დაბეჭდვის შემდეგ ცემასაც უპირებდნენ თურმე ქონქაძეს. ერთხელ კუკიის ხილზედ კინალამ მიუტყეპნიათ და, რომ ქონქაძეს წინააღმდეგობა არ გამოეჩინა, შეიძლება მაშინ, მტკვარშიაც გადაეკლოთ. ამის გამო ქონქაძე ცოტა ოდნად დაფიქრებასაც მისცემია. მის შემდეგ ყველას ერიდებოდა თურმე და შეცდომად სთვლიდა იმას, რომ „სურამის ციხეს“ ბოლოზე ჩემი სახელი და გვარი მოვაწერეო.

შემდეგ ეს აღარ აპირებდა თურმე ხლის მოწერას. საბრალო ქონქაძემ მაინც თავის „სურამის ციხის“ დაბეჭდვის შემდეგ ერთობ მცირე ხანი იცოცხლა;—სულ ხუთი თვე; 1860 წელს, იანვრის „ცისკარში“ „სურამის ციხე“ გადავდა და ამავე წლის 16 ივნისს ეს გარდაიცვალა. ამის გარდაცვალების გამო „ცისკარში“ სწერია, რომ „ცისკარმა“ დიდი იმედი დაჰკარგაო. ქონქაძის დანაშაულები მხოლოდ „ცისკარისთვის“ დარჩენილია, სხვა არავისთვის. ეს საბრალო ახალგაზრდა კაცი იქამდის მოძულეული ყოფილა და არა საკეთილო პირად მიიღებულა; რომ მის სიკვდილის შემდეგ, მისი ცხოვრების ცნობების დაბეჭდვაც კი საექსოდ ყოფილა რედაქციისათვის. ამიტომაც „ცისკარში“ დაბეჭდილია მხოლოდ ოციოდე სტრიქონი, ესეც დიდის მორიდებით და კრძალვით გაუშვიათ. ასე ყოფილა ჩვენი გამოჩენილ

მამების ძლიერება; ეს პატრიოტ მწერლები ისეთი გამოჩენილი გმირი ყოფილან, საქართველო და ქართველობა ისე ჰყვარებიათ, რომ ვინც კი მათ ცოტაოდნად ცუდს რამეს შენიშნავდა და ამხელდა, მაშინ მას, ვინ იცის, რას არ უზამდნენ. მაშინ იქებოდნენ და იდიდებოდნენ მხოლოდ ისინი, ვინც ტანზედ ნაბად მოსხული, ყელზე გალაღია მოხვეული, ცხენზედ შეჯდებოდა, აქეთ-იქით დააქროლებდა და გლეხის ხალხის... იკვებებოდა. ამის დასამტკიცებლად ჩვენ ბევრი ცნობები გვაქვს. „სურამის ციხის“ შესახებ სიძულვილი ხალხში ერთობ განისმოდაო, მაგრამ ეს მხოლოდ იმ ხალხის ნაწილში, ვისაც ეს შეეხებოდაო. დაბალ ხალხში: სამღვდელო პირთ, გლეხთა და ხელოსანთა შვილებში კი ეს დიდის სიხალისით იკითხებოდა. „ციცკრის“ ნომრებს თურმე აქეთ-იქით დაარბევინებდნენ და აღტაცებით ჰკითხულობდნენ. რედაქცია ძალიან შემცდარა, რომ იმავე დროს ეს მოთხრობა ცალკე წიგნად არ დაბეჭდა, მაგრამ ამის შესახებ რომ ვკითხე კერესელიძეს, მითხრა მან: „რას ამბობ, კაცო! იმისიც მეშინოდა, რომ „ციცკრში“ დაბეჭდევო. აბა გაიხსენეთ, რა დრო იყო მაშინ, ან ქალაქი რა იყო და ან მკითხველები ვინ იყვნენო, მთელი „ციცკრის“ მკითხველებს სულ მარტო თავად-აზნაურობა შეადგენდნენო. მაინც გრიგოლ ორბელიანმა დიდი საყვედური მძებრა ამაზე და მე, ცოტა არ იყოს, შემეშინდაო“. შემდეგ და შემდეგ „სურამის ციხე“ დაბალ ხალხში ერთობ იფინებოდა და ეს გავრცელება იქამდის მივიდა, რომ დღეს ეს მოთხრობა მესამედ იბეჭდება.

წერილი მეორე.

ამ წერილით ჩვენ გვსურს, რომ ჩვენს მელექსეებს შევებოთ, წინდაწინვე ვიტყვიტ ჩვენ აქ, რომ ჩვენ, ჩვენებურ მელექსეობის უმეტეს მელექსეებზე ერთობ ცუდი შეხედულება და აზრები გვაქვს, ამ ცუდ მელექსეებს ჩვენ ყოველთვის უარს ვყოფთ და იგინი სულ უბრალო ჭკუის გლახებათ მიგვაჩნია! ამით არავინ იფიქროს ის, რომ ვითომც ჩვენ მელექსეობის წინააღმდეგნი ვიყვნეთ, არა, ეს ასე არ არის. ჩვენ ვართ მხოლოდ ისეთი მელექსეობის წინააღმდეგი, როგორი ჩიტუნია შაშვიც მთავრამეტე საუკუნის ბესიკი იყო, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ისეთი მელექსეებისა, როგორიც იყო გ. ორბელიანი, რომელმანც თავის მკვდარის და უსაგნო ლექსების ტიტინით მთელი ქართველობის თავად-აზნაურობა, ბაზახებ მოქალაქენი და თვით კინტუებიც უკიდურეს გარყენილობაში ჩაევდო, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რადგანაც ეს სანტი-

მენტალური ცრუ იდიალის პატრიოტი თავის ლექსებში ისე მთელის ერის ვაებას არ სტირის და ჰკლოვობს, როგორც თავის მოდემის ჯიშის და ბაგრატიონთ გვარისას. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ისეთის ეამპაპა მელექსის, რომელმაც თავის კანტურის ლექსებით ისეთი სასახური გაუწია ქართველობას... გარყვნა და გაათუჭა ხალხი, როგორც სხვებმა. აბა რა მელექსე და მელექსეები უნდა იყოს ის ლექსები, სადაც ხალხი აბანოის ლხინების მეტს სხვებზე ვერას სწავლობს. რა ლექსები უნდა იყოს ის ლექსები, სადაც კინტური ლაზლანდარობის, პროშტების, გლეჯის და ფლეთის მეტი სხვა არაფერია. ასეთი ლექსების ბეჭდვა და გავრცელება სწორეთ სამარცხვინოა, სწორეთ საზოგადოების დაბრეყება არის, მასხარათ აღება და სხვანი. სობელიანი დიდათ სწუხს ძველებურს ქართულს გმირებზე და საქართველოს მხედრობაზე, ეს მელექსეები ნამდვილს ძველს წესების მომტირალ პოეტათ ჩაითვლება, რომელიც ქართულ დაცემულებას მწარეთ დასტირის. ასევე უარს ვყოფთ ვახტანგ, ორბელიანს, რომელიც წარსულს მდელოს, ციხეთ დანგრეულს კედლებს, კოშკებს და განსაკუთრებით მართლმადიდებელთ სარწმუნოებას. თითქოს სხვა ქრისტიანები კი მართალი ქრისტიანები არ იყვნენ. ასევე უარს ვყოფთ სუყველა ამ პოეტებს, რომელნიც დღეს დასწერენ ლექსს და ერთს ქადაგებენ და ხვალ დასწერენ მეორეს და მეორეს ამბობენ ეს იმიტომ, რადგანაც ამით იგინი ახალ ნორჩ ყმაწვილებს დიდათ რევენ და გზასა და კვალს უპნევენ. იმასაც ვიტყვი, რომ ამათ მელექსეობას ნიქს მე არ შეეხებები, რადგანაც ლექსების წერის შნო ამათ საკმარისათ აქვსთ გაცნობილი, პაგრამ იმასაც კი ვერ დავმალავთ, რომ ეს მელექსეები და გაცნობილი პირები ისეთ გზასა და მიმართულებასაც აღგანან, რომლის შემდეგ კაცმა არ იცის რა თქვას. მაგალითად დღეს ერთი ამ მელექსეთაგანი სწერს ლექსს, რომლის შინაარსითაც ეხება გაჭირვებულ კაცის მდგომარეობას, ეს ამ გაჭირვებული კაცის ცხოვრების გასაუმჯობესებლათ თითქმის ყველაფერს იმას, რაც კი ქველის ძველთაგან დაარსებულა და დღევანდლამდის არსებობს. ეს თავის თავს ამ ლექსით ნამდვილს დემოკრატათ სახავს, ნამდვილს კეთილ სინდისიერათ და სხვანი, მაგრამ არ გავა ორი კვირა, რომ უცბათ ესევე მელექსე დემოკრატი ხდება ნამდვილს უკიდურეს ძველის დაცემულის საქართველოს შთენ-კლდე ღრეებს მომტირლათა და ხშირათ ამ წეს წყობილობის წარმომადგენ ვახტანგ, ვახუშტ, დიმიტრ-ბაგრატებს ქებასა და დიდებასაც უძღვნის და დიდრონ პოემებს სწერს. ასეთი მელექსეები ნეტა რას

უნდა ემსგავსებოდნენ და ან ჩვენ რაღას უნდა მივაწეროთ იგინი. ესენი ეშმაქსაც ემსახურებიან და ანგელოზსაც, ამათთვის ჯოჯოხეთიც არსებობს თავის ეშმაკებით და სამოთხეც თავის ანგელოზებით. ერთის სიტყვით, ამ ციციერონებს სურთ, რომ ვახტანგ ვახუშტის პატივის მცემლებიც იყვნენ და დღევანდელის გაჭირებულის გლეხის ავიათმყოფის კაცისაცა. მაგრამ ამათ თითქოს არ იციან ის, რომ კაცს ორი ღმერთის თაყვანის ცემა ერთსა და იმავე დროს არ შეუძლიან. ან უ „კაცი ერთის ხელით ორს საზამთროს ვერ დაიჭერს“ აი ჩვენ ასეთ მეღექსეებს ვყოფთ უარს, თორემ რაც წიგნება ისეთ მეღექსეებს, რომელთ ლექსებში ხელოვნებასთან მიმართულებაც მოიპოვება, ამის წინააღმდეგ აბა ჩვენ რა გვეთქმის. ოღონდ საგანი კი ჰქონდეს ისეთი, რომ ის საგანი ერთ თავის ზნეობითი და პროგრესიულის მხარეებისკენ ამგზავრებდეს, და სხვებს, თორემ ეს ჩვენთვის სულ ერთია, თუნდ პროზა ყოფილა, თუნდ ლექსი, ჩვენ ყველას ერთნაირათ ვსცემთ პატივს. გამოჩენილი პრუდონი ბრძანებს მეღექსეთ ლექსების შესახებ; რომ მე მეღექსეობას არ უარ ვყოფო, მაგრამ ის ლექსესი სულ არაფრათ მიმაჩნია, რომელსაც მიმართულება არა აქვსო, მე თქვენს ცარიელს ხელოვნებას და მხატვრობას რა ეშმაკბთ ვაქნეო, მე თქვენის მხატვრობიდგან რა გამოვიტანო და ან რა საქმეში მოვიხმაროვო. უნდა ვსთქვათ ამ გამოჩენილი კაცის სიტყვისამებრ, რომ ეს სწორეთაც ასე უნდა იყოს და ჩვენც სწორეთ ისეთივე შეხედულობა გვაქვს ჩვენებურს მეღექსეებზე და რადგანაც ჩვენ ჩვენს მეღექსეებს სულაც უარს ვყოფთ და არაფერს მნიშვნელობას არ ვაძლევთ. ეს იმიტომა, რადგანაც ყველა ჩვენს მეღექსეთ ლექსებში მიმართულება და პაზრები რითმების და ნათელის ცის სივრცის წყვილიადებშია ჩაფლულ ჩამარხული. ამ მეღექსეებს ჩვენში მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვსთ, მაგრამ არიან ისეთი მშიერი პატრიოტ პირები, რომლებიც მეღექსეების ღირსებით თუ არა, კაი კაცობის ღირსებით აჭყავთ ესენი ცაში და მთელის გვარისთვის ნეტარ სახსენებელ მოსაგონებელ პირებათ ხდიან. ეს მართალია და ჭეშმარიტი, ამას მემგონია ფიქრი არ უნდა, რადგანაც მაგალითები ჩვენ ერთობ ბევრი გვაქვს. ამიტომე ამ წერილში არამც თუ მარტოთ ამ მეღექსეობაზე და ლექსების უვარგისობაზე ვილაპარაკებ, არამედ იმაზედაც, რომ იგინი როგორც კაცები, ამითიც მტერნი და მავნებელნი იყვნენ ყოველნაირის ახლურის წინმსვლელობის ძალოვნებათა აღორძინებისა.

სახელგანთქმული პისარევი სწერს ერთ თავის წერილში, რომ ამ უკანასკნელს დროს, მელექსეობამ უკვე მიახწია იმ წერტილამდის, რომ იგი ერთობ მალე დაეცემაო, მელექსეობა დღეს თითქმის უკანასკნელს მამაკვდავის მსგავს წუთზე სდგასო და ცხადი საქმეა, რომ ყოველი ახალგაზდა კაცი ნათლათ შეიტყობს და გაიგებს იმას, რომ მასზე მეცადინეობა ტყუილ უბრალოდ დროს დაჰკარგავს იქმნებაო. არც ერთი განათლებული კაცი ამაზე ღროს არ დაჰკარგავსო. ესა-სთქვა პისარევა და ესევე განიმეორეს სხვებმაც: ამ თქმამა და განმეორებამ არა მცირედი მნიშვნელობა იქონია რუსეთის ერზე. დღეს ასეთის ჰაზროვნების შვილებით სავსეა მთელი ევროპა და ჩვენში კი ეს სამართლითაც არ მოიძებნება. ბელინსკიმ ხომ ასეთ რამეებს ბრუნდეს თვალთ 1840 წლებშივე შეხედა...

ჩვენში კი მელექსეობის მაზანდის დღესაც, კიდევ ჩვენს არისტოკრატიულთ წესების წარმომადგენ შვილებში, ერთობ საქმარისი ადგილი უკავია. ეს მესტვირული საგანი და ისიც ისეთის მიმართულების, შინაგან ღირსების და სხვების, როგორიც ქართულია, იგი მრავალ ქართველ არისტოკრატიულ ოჯახის წარმომადგენ შვილთათვის გამხდარა სანეტარო. ვინც კი დაიბადება, ენას ამოიდგამს, ლაპარაკს დაიწყებს და წერას ისწავლის, ის მაშინათვე მელექსეობას დაუწყებს შესწავლას საქმე ისე წაუვა ამ პაწაწკინტელა პირს, რომ ბოლოს ლექსების წერასაც დაიწყობს და გახდება ნამდვილ მამულის შვილათ. ასეთ პატარა პირთათვის ყველაზე უმთავრეს გონებრივ ლტოლვილებას მხოლოდ მელექსეობა შეადგენს, ესენი მთელს ჩვენის ცხოვრების უსწორ მასწორო რამეების მოსასპობლათ ამაზე საყურადღებოს სხვას ვერას ჰხედვენ. ყველაზე უმესანიშნავეს და უნიჭიერეს მამულის მოღვაწე გმირებათ მხოლოდ ლექსის მოქმელნი მიაჩნდათ და მხოლოდ ამათის კალმით უქადიან თავიანთ ქვეყანა მის მომავლის რეალურს პროგრესის განხორციელებას და წინ სვლას. ასეთი მიმართულება და ქადილი ჩვენის არისტოკრატიულ ცხოვრების წესების მიმდევარ შვილებთაგან მეტის მეტი სამწუხაროა, რადგანაც ესენი ასეთის ქადილით და წახალისების მრავალ ნორჩსა და ხეირიან ყმაწვილს ურყვნიან გონებას, ჩვენის მომავლის ახალთაობის გონებითი და ჰაზროვნებითი ღრმად მოაზრობის განვითარების სახსრებსაც ორი და სამი საუკუნით უკან სწევენ. ეს პირნი არიან მტერნი ქართველი ერის გონებითი პროგრესის წინმსვლელობისა, ყველა ამისთანა საქმეებში მოწალმართენი და მასთანვე უწვრთნელნი და უზრდელნი არიან თითქმის ყოველნაირს კეთილსა და ერის გონებითი, ზნეობითი და ეკონომიურის წინ წამყვან

ჰაზრებში. ეს სიამოვნების შვილები თავიანთის ლაყის მოსაზრებაებით
წმინდათ ავაზაკებათ შეიძლება რომ კაცმა ჩათვალოს. ამ კუჭმაძღარათ
შვილთ სხეულის ძალოვნებას სხვა ნიადაგი მიუღია, ამათ სისხლსაც
სხვაფხრივი ძალა მისცემია, რაის მეოხებით ესენი თითქმის გაკრე-
ტინებულ-გალაყებულან. ამ საბრალო პირებს მე თამამად შემიძლიან
რომ ლაყე, ანუ მხატვ ჰაზრების მექონ ქართველ რითმათ ცრუ პენ-
ტელა პატრიოტები უწოდო.

ჩვენს ქვეყანაში ბევრნაირი უწმაწური ჯურის ხალხი სცნოვ-
რობს, აქ არიან ბევრნაირი დასების და ამხანაგობის ერნი, სხვათა
შორის ჩვენში მოიპოვებიან ერთნაირი დასის ერნი, რომელთაც მცი-
რე ოდენი განათლება აქვთ, მაგრამ იგინი ამ განათლებით ისე სი-
კეთეს არ სთესვენ მთელის ქვეყნის ერისთვის, როგორც მავნებლო-
ბას და სიმტრეს. ეს პირნი თავიანთის განათლების საშუალებით
სრულს ავაზაკურს გზას გასდგომიან. ამის შესახებ ტყუილათ კი არ
ბრძანებს პისარევი, რომ მსწავლული კაცი თუ გადავაზაკდა, შექვე-
ლია, რომ უსწავლელ ავაზაკს ეს ბევრად გადააჭარბებსო. უნდა
ვსთქვათ, რომ ეს სუფთათ ჩაცმული საიდუმლო კლოუნები ჩვენებურ
ქუჩის სალახანა კინტოებს ბევრათ აჭარბებენ. ამ კლოუნ აფერისტე-
ბის საძაგლობის ხალხში არაფერი სჩანს, არაფერი სჩანს იმიტომა,
რადგანაც ესენი საქვეყნოთ და აშკარათ არაფერს სჩადიან, ჩვენი სა-
წყალი კინტო მუშები კი თავიანთის გამწარებულ ცხოვრებისაგან
ილაჯ გაწყვეტილნი ორ აბაზს იშოვნიან თუ არა, მაშინათვე ხელი-
ხელს მისცემენ ძმა ბიჭები და მიდიან ცარიელი ღვინით სალოთოთ,
რომელთ უბრალო ლოთობას მთელი ქვეყნის ერიც ამჩნევს. ჩვენმა
კლოუნებმა კი ასე არ იციან, ამათ ლოთობაც ზრდილობიანათ იციან,
და ყომარბაზობანიცა. მაგრამ, როგორც მომაკვდავ შვილებს, ამათაც
აქვთ ბევრნაირი იმისთანა მხარეები, რომლითაც ესენი თავიანთ ხა-
სიათებს და საქებ საქციელებს სხვების წინაშე აშკარათ ხდიან, ეს
მხარეები არის ის, როცა ამ ვაჟბატონებს სახეზე ტუსლანგური გა-
რეგან გამომეტყველება ეხატებათ და მათი სულის ძლიერებაც ასეთ-
სავე შესაფერს თვისებას იღებს. ესენი თავიანთის ტუსლანგურის ხა-
სიათების მეოხებით ხშირათ ზოგიერთ უღარსი მელექსე პირები ცა-
ში აჰყავთ და აქებენ, აღიდებენ, ამათ ცალს დედამიწის ზურგზე
არავის ხდიან და მთელ ერსაც ემუქრებიან, რომ თქვენ ასეთი და
ისეთი გამოჩენილი მამები გყვანდადო, მაგრამ თქვენ კი არ იცნობთ
მათო. გხლა მე მსურსო, რომ მის ცხოვრების ცნობებს ფარდა
გადავხადო და დაგანახოთ თუ იგი რა დიდ ბუნებოვანი კაცი

არ ყოფილაო. ასეთი რამეების დასამტკიცებლათ ეს პირები ბევრნაირ ჩინჩხვრებს შეეკრებენ და იწყებენ დამტკიცებას, რომ ესა და ეს კაცი ასეთი და ისეთი იყოვო, მაგრამ მას საზოგადოება ვერ იცნობდა და ვერ აფასებდაო. საზოგადოება ვერ იცნობდა და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მას საზოგადოებისთვის არაფერი გაუკეთებია. საზოგადოებას უფრო კარგი ცოდნა აქვს და ის უფრო კარგათ აფასებს თავის ქვეყნის კაი შვილებს, ვიდრე ეს პირნი, რომელთა ქება, ღიღება და თვისება მხოლოდ იმ განძრახულებით ხდება, რომ ნაქებ პირის მემკვიდრემ ეს სადმე დაჰპარიყოს, ან ხელი ჩამოართოს ხოლმე, ან სადილი აჭამოს და ან ფაიტონით გაასეროს სადმე. აი ამისთანა პირადი და წვრილმანი ეგოიზმები იწყვეს ამ პირებში ასეთ ქებათა და ღიღებათა საღერღელის აშლას და აი მხოლოდ ასეთი ჯილდოებისა და საჩუქრების გამო ჩადიან ამ მაიმუნობასაც.

დიდათ სამწუხაროა და საგრძნობელი ეს ჩვენთვის, რადგანაც დღესაც, ამ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, როდესაც მთელს დედამიწაზე ათას ნაირი კარგი ჰაზრები და რეალური მხარეები მოიფინა, ამ დროს კი, ჩვენში კიდევ მოიძებნებიან ისეთი მელია გაიძვერა ფრთა გაუშლელ პატრიოტ პირები, რომელნიც თავიანთის მოქმედებით, ბრმა თავყენის ცემით და მელიაობით საშუალო საუკუნის დღე გრძელ ტირან მეფეების და თავადიშვილების კარის გდებულ წუწკ ჩაფაროსებისაგან და მეგრულ-გურულებისაგან არაფრით განირჩევიან. ეს გამოჩენილი შვილები და თავიანთის კერძო ეგოიზმებისაგან გადარეულნი და საკუთარის ემანსიპაციის დაცვისა გამო შეშლილნი იქამდის ვერაგი და უზრდელნი არიან, რომ ამათ თავიანთის ნამუსით, ზნეობითის მხარეებით და ცოდნით იმ წერტილამდისაც ვერ მიაღწიეს, რომ შეატყოთ და გაიციანთ ის, თუ დღეს ჩვენში აშოლლანურს ლექსების წერას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ასეთ ლექსებს ჩვენს გონებითი განვითარებაზე და რაიმე მავნებელ ცხოვრების უსწორ მასწორ წესებზე, რომლის გასასწორებლათ და აღსადგენათ ესენი ხშირათაც ჰკენესიან და ტირიან ხოლმე. ასე ჰქმნან და ვნახოთ რას გააკეთებენ ამისთანა ქადაგებათა მოძღვრებით. ზემოთაც ვსთქვით და აქაც ვიტყვით, რომ ჩვენ მელექსეობის წინააღმდეგნი არა ვართ, ჩვენ უარს ვყოფთ ისეთ ლექსებს, რომლებისთანაც ჩვენ უკვე ზემოთ ჩამოვთვალეთ, მაგრამ აქ იმასაც თავისუფლათ ვიტყვით, რომ მელექსეობა მაინცა და მაინც არ არის დიდი რამ საგანი იგი ისეთის გარეგან და შინაგან განვითარებით შესდგება, რაის საშუალობის გამო

ლექსების წერა ყოველ მთიულს და უწიგნო კაცსაც კი შეუძლიან რომ გამოსთქოს, ამიტომაც იყო, რომ გამოჩენილის პრუდონიდან დაწყებული პირსარევით და მთელის რუსეთის 1860—1870 წლის ახალგაზრდებმა მელექსეობა თითქმის სულ უარი ჰყვეს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთ მელექსეებში, არ მოჰყვებიან ისეთი მელექსეები, როგორც რუსეთში ნეკრასოვი იყო, და მისთანანი. ეს იმიტომ რადგანაც თვით ნეკრასოვმაც კი უნდოს თვალთ შეხედა ისეთ ბედრანგ მელექსეებს, როგორც იყვნენ ჩვენებური ქავქავაძეები, ორბელიანები და მათი დამქაშები. ამ ბედრანგ მელექსეებისაგან ჩვენის ერის გონებითი განვითარების აღორძინებისათვის ერთი ჩალის, ან იოტის ოდენი რამეც არ გაკეთებულა. ამის გაკეთება არც შეეძლოთ მათა და არც შესაძლებელია ის, რომ მელექსეობით რამე გაკეთდეს, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენს ბედს ძალიც არ დაჰყვებდა, რადგანაც მელექსეობა საქართველოში ერთობ აღრე აღორძინდა და ამ აღორძინებამ იმ ზომამდის მიახწია რომ მეთორმეტე საუკუნის დასასრულს თამამათ გამოვიდა მელექსეობის ასპარეზე შოთა რუსთაველი. სუყველა ჩვენს ძველს მელექსეებს თითქმის ქვეყნის მთარველათ და ერის დამხსნელათ ხთიდნენ. ამათის სახელის ნატვრა თითქმის ყოველს ფეოდალს, ანუ მცოდნე პირს ენატრებოდა. მთელი წარსულის ერი მუხლს იღრეკდა ასეთ მელექსეთა წინაშე და პატივს სცემდა. ეს ევროპაში დღესაც კიდევ ისეა და ჩვენში ხომ ფიქრი არ უნდა, რადგანაც აქ ყოველი—მელექსეობას ნატრობს... ქართველები თავიანთ მელექსეებს ხან მზეს აღარებდნენ, ხან მთვარეს უწონებდნენ, ხან ვარსკვლავებს ატოლებ-აღარდებდნენ, ხან რომელ მნათობს და ხან რომელს. დიდად აფასებდნენ ჩვენი მამები ამავსა და მიტომაც იყო ის, რომ ჩვენში ყოველი მეფის შვილი, თავადის, თუ აზნაურის განუწყვეტელი სულ მელექსეობას ნატრობდნენ და ამასვე მისდევ-ემსახურებოდნენ. ამავებით ჩვენი სამშობლოს ერი ისე იყო დავარდნილი, რომ ლექსების და იაბიკოების წერას თვით ჩვენი სასულიერო მამანი და მღვდელ მთავარნიც კი მისდევდნენ. თვით ეს ასკეტიკური სწავლის წარმომადგენი მამანიც კი ლექსობდნენ და თვით ესენიც კი ნატრობდნენ იმას, რომ მათი სახელიც ერს თავის საუკუნო სახსოვარ ძეგლათ გაეხადა. ასეთი სულის მამების რიცხვი ჩვენს ისტორიაში ერთობ დიდია და მათ ერთობ დიდათაც უშრომიათ მელექს მეზაირ იამბიკოს წერისთვის.

რაკი ჩვენი ტკბილი და ცხონებული მამები ასე ფიქრობდნენ მელექსეობაზე და ისინი მიტომ მეცადინეობდნენ, მიტომ იჭირებდნენ

საქმეს, დღე და ღამე ოფელს ღვრიდენ, თვალებს იბრმავებდნენ და
ლექსებს კომიტომ სწერდნენ, რომ ამ ლექსებიდამ მათ შთამამაფ-
ლობას. რწმე გამოჩეტანა და ესარგებლნა, ამიტომ ჩვენ სოჭული უფლება
გვაქვს, რომ მათის მეღექსეობის და ღვაწლების შესახებ აქ რაიმე
ვსთქვათ. ამის თქმისა და საკითხველად ჩვენ არავინ უნდა დაგვი-
რაზნოს, რადგანაც ყოველ კაცს სრული უფლება უნდა ჰქონდეს მინი-
ჭებული იმის შესახებ, რომ მას არავითარი დაბრკოლება არ მიეცეს
თავის ჰაზრის წარმოსათქმელათ.

ახლა უნდა ვიკითხოთ ისიც, რომ ამ ჩვენ-გონებებზე ფუჭ მეღექ-
სებმა ჩვენის ძველის ცხოვრების წესების წინ წასაწევით გააკეთეს
რამე თუ არა? მე გარდაწყვეტით ვიტყვი, რომ მაგდენი არაფერი, არ
გაკეთეს მათ და ამის გაკეთება მათ არც შეეძლოთ, რადგანაც მეღექ-
სეობის საღერღელის გორგალს რის გაკეთების ძალოვნებითი მხა-
რეები ეხვევა და საზღვრავს გარს, რომ მის მეოხებით რამის ვაკე-
თებაც შეეძლოთ მათ. ჩვენ ჩვენი ძველი მწერლების ისტორია საქმა-
რისად შევისწავლეთ, თუმცა ეს შესწავლათ არც კი ღირს, მაგრამ
რა ვქნა, დრო იყო, როცა მეც ჩვენი მკვდარი და მოღალატურის
თავად აზნაურული პატრიოტობის მიმდევარი ვიყავი. მეც იმავე
გზას ვადეკი და იმავე ძველ წიგნებს ვღეჭავდი და ვაქებდი, რასაც
სხვები სჩადიოდნენ და რის გამო, მე დღეს თვით სხვებსაც ვკიცხამ
ამის გამო. მაგრამ აქ ვიტყვი იმასაც, რომ ეს ისე ჩემი ბრალი არ
არის, როგორც სხვების. მე ერთი გლეხი კაცის შვილი ვარ, რომლის
მამამ თავის ბატონისაგან 150 მანეთი დაიხსნა თავი, ნუთუ შემეფე-
რებოდნენ ის, რომ ჩვენთა ძველჭებურთა მამათა ცხოვრებათა აღწერას
გავყოლოდი, მათგან დატოვებულ წიგნების შეკრებას, სიგელ გუჯ-
რების და სხვების, ეს რა ჩემი საქმე იყო, ეს რა ჩემს შოვალეობათ
უნდა ყოფილიყო, მე უნდა მემუშაენა ჩემი გონების და ცოდნის შესა-
ძენათ, მე უნდა შემეძინა ისეთი სწავლანი და ცოდნანი, რაც უფრო
გამოსადეგი იქნებოდა, როგორც ჩემთვის, ისევე ჩემი ფერისავე
ქუჩის მუშა ძმა ბიჭებისთვის. ადრე თუ გვიან მეც უნდა მეცენა ეს
სოფელი და მისი მუხანათი წესები, მაგრამ მე ეს ვერ ვიცანი, მე
ვიცანი ჩვენი ძველი ცხოვრება, შევიყვარე ჩვენი ნეტარ ხსენებული
წმინდანი და ტკბილნი ქართველ მამანი, შევიყვარე მონასტრები,
მონასტრის კედლები, ტიხები, კოშკები, თავად-აზნაურობა, სამღვდუ-
ლობა, ძველი წიგნები და ამ ძველი წიგნების სიყვარულისაგან მე ისე
ვიყავ საღერღელ აშლილნი, რომ ქართული წარსულის მჭერლობისთანა
მდიდარ მწერლობათ არც ერთი ერის წარსული მწერლობა არ

მიმაჩნდა ჩემი ესეთი ოცნებობა პირდაპირ სიმკვიდრეთა ინტერესების დასაცვას შეეხებოდა, სათავად-აზნაურო მკვდართა და უსულო საგანთ ფეხზე წამოყენებას და გაძალიანებ გამძლავრებას. აქ ისიც კი უნდა შევნიშნო, რომ ერთის მხრით ჩვენი ძველი მწერლების შესწავლა ჩემთვის უმნიშვნელოთ არ დარჩა, რადგანაც ეს უკანასკნელი დრო ჩვენში საკამათო დროთ გარდიქცა, აქ ხშირათ სტუდება ხოლმე ბაასი იმის შესახებ, რომ ქართული ძველი მწერლობა ასეთი და ისეთი მდიდარი მწერლობა ყოფილაო. ამეებს ლაპარაკობენ ის პირნიც კი, რომელნიც ჩვენი წარსულის მწერლობის ცნობებს სულ ვერ იცნობენ. მართალია არც მე გახლავარ დიდი ვინმე და წითელი კვერცხი, მაგრამ რაც ვარ და რა ცოდნაც მაქვს მე ამითიც შესაძლებელია ჩემთვის რომ გამოვთქო, ის, რაც გულში მაქვს და რასაც ვფიქრობ, ვფიქვამ ჩვენ ნეტარ ხსენებულ ძველ ტკბილ მამების საფლავს, რომ აქ ტყუილი და ძალ დატანებით არა იქმნება რა. რაც იქნება ნათქვამი ყველაფერი მართალი და ჭეშმარიტია.

როგორც ზემოთაც ვსთქვით, მე საკმარისად შევისწავლე ჩვენი ძველი და ახალი მეღექსეების ცხოვრება და ცხოვრების წესები და სისწორით უნდა ვსთქვა, რომ ყველა ამ პირებში მე ერთი ისეთი პირიც ვერ ვნახე, რომ ის ღირსი იყოს რამის პატივისცემის. ყველა ეს პირნი თავის დროის ნამდვილ დესპოტიურ ტირანები ყოფილან, ამათ მეტის მეტი უსამართლოთ და უკანონოთ უღლეტნიათ და უზარავთ თავიანთ ხელში მყოფი მონა გლეხ-კაცობა. ამათ ფეხქვეშ უნახავთ სამოქალაქო მხარეების ასაღორძინებელი ძალები. ესენი ყოფილან სხვა და სხვა პატარ-პატარა თემთ მცხოვრებ ერის სისხლის უბრალოთ მქცეველნი, მაგალითად ამათგან საქართველოში მყოფი მთიელნი და სხვანი ყოველთვის ერთ ვაი ვავლახსა და ჟლეტა წყვეტაში ჰყავდათ, რადგანაც ხშირად ნდომულობდნენ ხოლმე ჩვენი თავაზდური მამები, რომ ეს მთიულებიც დაეპყრათ და თვის დიდების ფეხთა მტერის მონა ყმათ ექციათ. ამის გამო, რამდენჯერ ასობით ატეხილა ომი ორ ძმის შუბ და აუარებელი სისხლიც დაღვრილა მხოლოდ მიტომ, რადგანაც ქართველ ძველს უნამუსო მეღექსე მამას თავის თავის კერძო ეგოიზმების გამო სხვის საკუთარი ემანსიპაციური მხარეები არათ მისჩნევია და მის გამო თავის საძაგლობის მეოხებით სხვებისთვის მონება უქადნია! ეს გამოჩენილი ტირან მამები ისეთი მამულის მოყვარე პატრიოტები ყოფილან და ისეთი მეღექსე მესტვირები, რომ ამათ შეძლება ჰქონიყოთ, მაშინ ესენი მთელ დედამიწის ერს სულ ტუტას აადენდნენ, დედამიწის პირზე უსიკვდილოთ

გააჰქრობდნენ და არსად თავის შესაფერს ადგილსაც არ მისცემდნენ, თითქმის საფლავსაც კი დაუძვირებდნენ.

რაიც შეეხება ამათ განათლებას და ცოდნას, ესეც ხომ სამარცხვინო და საცინელია. ესენი ისეთი უვიცები იყვნენ და ისე მოუმზადებელნი, რომ მათ შავის თეთრისაგან გარჩევაც კი ვერ შეეძლოთ. ამათ სწავლას, შეადგენდა ყველა ის საძრახისი რამეები, რაც დღეს ყოველი პატიოსანი პირისაგან უარყოფილი და გმობილია. მთელმა ჩვენმა ძველმა და ახალ დროს მწერლებმა ისე დაასრულეს თავიანთი სიცოცხლე და ცხოვრება, რომ მათ არც ერთხელ, ერთი ისეთი უბრალო საქმეც არ გააკეთეს, რაის საშუალების მეოხებით ისინი ღირსნი იყვნენ მოგონებისა და პატივისცემისა. ესენი ისეთი ვერაგები იყვნენ, რომელთათვისაც ამ წუთიერს დედამიწაზე მათ შთამომავლობას გარეშე სხვები სულ მონათ უნდა ყოფილიყვნენ აღიარებულნი. ამათ უმთავრესს საგანს ასეთი ნატვრა შეადგენდა. ესენი საცა კი ვისმეს დაეცემოდნენ და აიკლებდნენ, მაშინვე სულ ნაცარ მტვერს ადენდნენ, მიჰყვებოდნენ, და საბრალო დაჩაგრულს ერს ვენახებს გადუჟაფავდნენ, ბოგირებს და ხიდებს დაუქცევდნენ, სახლკარს გადუწვავდნენ, პირუტყვს წაართმევდნენ, საუკეთესო ცხენებსაც თავიანთ საბრძანებელში გამოორეკდნენ, ამაებს არ აკმარებდნენ საბრალოებს და ყველა ზარალს და დანახარჯსაც ამ დაწოკებულს ხალხს აწერდნენ კისერზე და ამათ უნდა გადაეხადნათ ესენიც. *) ამ საბრალოებს ჰქონდათ ამის შეძლება თუ არა, რომ გადაეხადნათ, ამას არავინ კითხულობდა, ესენი სჩაგრავენდნენ და სტანჯავდნენ ამ საბრალოებს. მხოლოდ იმიტომ, რადგანაც იგინი თავიანთ სახლის თავისუფლებას და მყუდროებას იცავდნენ ამათ არ ჰსურდაც, რომ თავიანთ სახლსა და ოჯახში სხვა ჰყოფილიყო ბატონ-ბრძანებლათაო. რა უყოთ რომ არ გინდათო. ძალა აღმართსა ხნავსო და ამიტომ უნდა დაგვემორჩილოთ, თორემ ხმალსა და ხანჯალს ყელზედ დაგაბჯენთ და გაგაქროფთო. ცხადი საქმეა, რომ ასეთი ტირანული რამეების ჩამდენი მამებიც ხეირიანი კაცები არ იქნებოდნენ. ეს გამოჩენილი ტირან პატრიოტ მამები ამ ქვეყნის პირიდან ისე გადიდრდნენ, რომ მათ არსად და არას დროს არც ერთის შეწუხებულის პირისთვის ცარიელის სიტყვიითაც არ მიუციათ იმედი, არსად ერთი დატაკი დედაც არ უნუგეშებიათ, არსად ერთის მოხუცის დავრდომილის პირისთვის, არსად ერთი ობოლ ოხერ ტიალი გამოუზრდიათ, რომელთა გაჩენის და

*) „დროება“, 1883 წ.

უბედურების მიზეზები თვით ამ უსვინილისო მამების და მათი შვილების გარყვნილი მოქმედებები ყოფილა, რადგანაც ამათ თავიანთის შემძლებლობის მეოხებით, მთელი თავიანთი სიცოცხლე სულ გარყვნილობაში უტარებიათ და მრავალ ალაგას და მრავალჯერ მრავალ ლატაკ ქალთათვის ნამუსი უხდიათ და მისი პირადი ღირსებაც ფეხქვეშ ულახავთ. რამდენჯერ მომხდარა, რომ ერთი ქვეყნის მჩაგვრელ და მტანჯველ პირის სიამოვნების გულისთვის ასსა და ოჯახს ნამუსიანს ქალს ახდია ნამუსი, ესენი დაღუპულან სამუდამოთ და მიწაზე გასწორებულან სხვების სიამოვნების გამო. კაი სიამოვნებათ უნდა ჩათვალონ ამ ზნეობითი უნამუსოებმა თავიანთი ასეთი სიამოვნება, რომელსაც სხვების დაღუპვა და უნამუსობა მოსდევს. რამდენი მაგალითი მომხდარა რომ საბრალო ქალი უჯიშო მოტყუილებით დაორსულებულა, შვილები მისცემიათ და ამ საბრალო შვილების უმეტესი ნაწილი ზოგი ორმოებში უყრიათ, ზოგი ფეხის ალაგებში და ზოგიც ვინ იცის ვის კარებზე არ დაუგდიათ და ათასნაირის გამვლელის ფეხქვეშ არ გაქყლეტილან და არ დახოცილან. საბრალო პატარა ყმაწვილებო, ვინ იცის თქვენიდამ რამდენი სასარგებლო და ქვეყნის სამაგალითო კაცი არ გამოვიდოდა, მაგრამ უფრო საბრალოა დედათა სქესი, რომელიც ასეთ სამწუხარო მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რომლის პირადი ნამუსის საქმე ისეა დაყენებული, რომ გუშინდელი ჩათუქსანი ჩვენი ძველი მამა მწერალი რომ ქეიფობდა მასთან და რომლის ქეიფიც გახდა ამ საბრალო ქალის დაორსულების მიზეზი, დღეს კი თვით ეს პირი დასცინის ამ საბრალოს და სძაგს იგი, რადგანაც უნამუსო ყოფილაო, ქმარი არა ჰყოლია და ვილახანაც დაორსულებულაო. ჩვენის გამოჩენილის მამების მეოხებით ასეთ ქალებს სიცოცხლის ჩაქვავება ელოდათ,*) ვირზე შესმა, ლაფის დასხმა და საქვეყნოთ თავის მტკრა. ეს დალოცვილებო იმას კი აღარ კითხულობდნენ და აღარ ჰფიქრობდნენ, თუ ახლა ამ საბრალო ქალების მომტყუებელნი და შემცდენი ვილა იყვნენ. თუ კი ეს საქმე საკიცხი და საგმობია, მაშინ არამც თუ მარტოთ ქალი უნდა დაიჩაგროს, არამედ კაციც, რადგანაც ესეც დამნაშავეა ამ შემთხვევაში, მაგრამ აბა ამას ვინ იზამდა და ან ვინ გაბედამდა, რადგანაც გამოსჩნდებოდა, რომ ყველა ამ უბედურების მომხდენ უმეტეს პირათ თვით ესევე უკანონო კანონმდებლები და ამათი შვილები ბრძანებულან, თვით ამათ უტყუილებიათ ეს საბრალო ქალები, თვით ამათ უხდიათ მის-

*) ვახტანგის კანონები.

თვის წამუსი და თვით ესენი ყოფილან ყოველ ამგვარ უბედურების მიზეზათ. აბა რალა ფიქრი უნდა იმას, რომ ამ შემთხვევაშიაც ეს გმირები ოსტატურათ არ მოიქცნენ. ეს გონებდთი უზრდელი მამები ჩქამდის უსინიდილოები და უწამუსოები იყვნენ, რაის მეოხებით ამათ თავიანთ დაბალ ერში პირველ ღამის მფლობელობაც დიდ კანონიერათ მიაჩნდათ. ეს მწერალ მეღუქსე მამები ამ პირველ ღამეებში ისე ფლეთდენ და გლეჯდნენ საბრალო ქალებს, როგორც მხეცები ანუ მგელი ცხვარს. ეს მშიერი წუწყები ისე ფიქრობდნენ, რომ თითქოს ესენი საუკუნოთ იცოცხლებდნენ და არ დაიხოცებოდნენ. ეს იყო მათი სანატრი და ამავსებე ასწავლიდენ თავის შვილებს. ერთი ძველი მეშაირე დიდის ხვეწნით ამუდარებს თავისზე ახალგაზდა ბიჭს შემდეგს: ახალგაზდა ანტონ! იმზიარულე, შეექეცი, ქალებს დღე და ღამე ეარშიყე და ერთ წამსაც ნუ დაჰკარგავო. რამდენიც შენმა გულმა ინატროს, იმდენჯერ უსუნე და უკბინე გოგოებსო. ასეთის შინაარსის მურტალი ლექსები ჩვენ ერთობ ბევრი გვაქვს. როგორ მურტალ მიმართულებასაც აღდნენ იგინი, ისევე მურტალ ცხოვრებაშიაც ლპებოდნენ.

ესენი თითქმის წინააღმდეგნი იყვნენ ყოველის საგლებ ქველმოქმედებათა საქმეების. არც ძველად და არც ახლა არც ერთ მღვდარ ქართველს ერთი გროშიც არ დაუტოვებია საზოგადოთ. ეს გამოჩენილი ძველი ტირანები ისეთი შვილები იყვნენ, რომელთა წინაშეც რომ ვისმეს ხმა ამოეღო, იმას მაშინათვე შამფურზე ააგებდნენ რაიც შეეხება ბატონყმობის საქმეს, და ყმების წვალებას, ამას ხომ ფიქრი არ უნდა, ამის შესახებ მე აქ ვერ ვილაპარაკებ, რადგანაც სხვაგან მაქვს ნათქვამი. დავიფიცამ პატიოსნებას და სუყველა უდიდეს კაცების სახელს და ღირსებას, რომ მე არამც თუ ჩვენს ძველს მწერლობაში, არამედ მთელს ჩვენს წარსულშიაც ვერ ვპოვებ კაცს, რომ ის ღირსი იყო პატივის ცემის და თანაგრძნობისა. სუყველა ჩვენი ძველი მწერალ მამების რიცხვი ისეთ ტირან ფეოდალთა რიცხვისაგან შესდგებოდა, რომელნიც თავიანთ მოქმედებით მთელს გვარს არცხვენდნენ და ლაფით სვრიდნენ. ამ მოუსვენარ მწერალ მამების საქციელმა მთელი საქართველოს გლეხი ხალხის საქმე ისეთ გზაზე დააყენეს და ისეთი მიმდინარეობა მისცეს, რაის საშუალებით ქართველი გლეხკაცობა ხულაც უნდა გადარეცილიყო დედამიწის პირიღამ, იგინი სრულიად უნდა აღგვილიყვნენ და თუ ეს არ იქნებოდა, მაშინ მათ გადაჯიშება და გადაბაჯლანება მოელოდა. ეს მაინც ასე მოხდა და მთელ ქართლ ქახეთის გლეხკაცობა ხალხს კი არა ჰგვანდა, არა-

მედ ერთ რაღაც სამწუხარო შესამზერ სურათს. ამ ყოჩაღ დილე-
ტანტებისაგან თავიანთი გლახკაცობის პატარა შვილების აღზრდის
საქმე ისე იყო დაყენებული, რომ ესენი ხშირად უსიხარულოთ ილუ-
პებოდნენ ასეთი უსამართლოების მთესველნი კაცნი კი ხანდისხან
ლექსებსაც სჯლაბნიდნენ და თავიანთის პირადის კერძო მხარეები-
საგან დაბრმავებულნი სხვების წინაშე თავიანთ თავებს ნამდვილ კა-
ცებათ ხატავდნენ. ასეთის ეგოიზმებით გარემოცულ პირებს თავიან-
თი თავები ნამდვილ ქართველ პირებათ მიაჩნდა, მაგრამ ამის გა-
გება კი არ ჰქონდათ მათ, თუ ქართველობა და ამის სიყვარული
რას უნდა წარმოედგინა, რომ საქართველოს ერის ნამდვილი სიყვა-
რული ჰქონიყო, მაშინ ისინი დავითის დროს ოთხ მილიონად
აღიარებულ ქართველობას უკანასკნელს ხანს ნახევარ მილიონზე არ
ჩამოიყვანდნენ. ასე უმიზეზოთ ჟღერდენ ქართველობას, მაგრამ ამათ
ჟღერა წყვეტას მაინც თავისებური მხარეები ჰქონდა მიცემული და
მას მრავალი მელექსენი და მეხოტბენიც ამკობდნენ და აღიღებდნენ.
სხვათა შორის ბესიკი დიდის ქებით აღწერს იმას, რომ ერეკლემ
ქრისტეს სჯულისთვის, ოსმალთ ასპინძაში შეება და ხალხი გაწყვი-
ტაო: ამ ხალხის გაწყვეტაში რასაკვირველია ოსმალები იგულისხმე-
ბიან. მაგრამ თვით ქართველებს რაღა ემართებოდათ? ამაზე ისინი
არ დარდობენ და არაფერს მოგვითხრობენ. ნუ თუ საკმარისი არ
არის ჩვენის ტომის ასე შემცირების მიზეზი იმ ძველის კაის დროე-
ბისა, როცა ჩვენი ძველი ტკბილი მამანი სცხოვრობდნენ. ჩვენს მა-
შინდელ საქართველო მეფეებშიაც ვრია ბევრი ასეთი ცუდულია
მეფეებიც, რომელნიც ლექსებსაც სჯლაბნიდნენ. ეს გამოჩენილი მე-
ლექსეები ასეთ საქმეებსაც ჩადიოდნენ, რომ ჯერეთ რომელიმე
მტერს აეშლებოდნენ, აიტეხდნენ და თავის სამშობლო ქვეყანას თავ-
ზე წამოასევდნენ, როცა მტერი გამაგრდებოდა, მაშინ ესენი მთელ
თავიანთ სამშობლო ერს თავს ანებებდნენ და მირბოდნენ იქით,
საითაც კი თავს დაახწევდნენ, ქვეყანა და ერი კი ილახებოდა და
იმუსრებოდა ამათგან წამოსეულ მტრის ფეხ ქვეშ, ამისთანა მუხანა-
თი მეფეები ხშირათ ისეთ ყრუ ადგილებშიაც იმალებოდნენ, სადაც
ცუდათ ყოფნის მაგიერ ლექსებს სწერდენ და მით დროს ატარებ-
დნენ. ასე ჩაიდინა ვახტანგ მეექვსემ, რომელიც თავის სამხედროს
ძალით მხოლოდ თავის თავის გაძალუანებას ნატრობდა. ასევე მო-
იქცა ეს თავის „ქართლის ცხოვრების“ შედგენაში. ასევე მოიქცა
თეიმურაზ მეორე, ასევე მოიქცა ჩვენის მეთვრამეტე საუკუნის დეს-
პოტიურის წესების წარმომადგენი ირაკლი ველის ყვავილი, რომელ-

მაც აღამაჰმადხანის ომში აწარებელ ხალხს და მხედრობას თავი დაანება და თვით კი მთიულეთში გაიქცა დასამალათ. რომელი ერთი მოთვალოს კაცმა, რომ განოხატოს ამათი საქციელი და ხასიათები. ასევე შვრებოდა არჩილ მეფე, რომელიც რაჭაში გადავიდა, იქ სამეფო ტახტი უნდა აღედგინა, მაგრამ ის ვერ მოუხდა, ამის შემდეგ მთიულეთში გადავარდა და იქ ცუდათ გდების მაგიერ ლექსებს სწერდა, ასევე შვრებოდა თეიმურაზ პირველი, ეს უპატიოსნო პირი იმ დროს სწერდა „ვარდ ბულბულიანებს“ და ასეთებს, როცა მის სამშობლო ერს აყრასა და სპარსეთში გადასახლებას უქადნენ. ეს კი ამ დროს იმას დარღობდა, რომ ვაი თუ ბოლოს გასაკიცხი გავხდეთ და მღურვა დამიწყონო, რომ სამლო საგნების ნაცვლად ზღაპრების გალექსვას მივსდევდიო. ამის შესახებ უნდა მოვახსენოთ ამ ცხოვრებულ მელექსეებს, რომ სამლოს წილ ზღაპრების გალექსვაზე კი არავინ გაჰკიცხავს მას და იმაზე კი ფიქრი არ უნდა, კიცხვას, როცა მათ სამშობლო ერს სახლ-კარი ენგრევოდა ამ პირებისაგან. ატენილის მტრებისაგან, ამ დროს კი ეს გამოჩენილი მელექსეები, შორს იდგნენ და ლექსების წერით ატარებდნენ თვის დროს. აი ამის გამო კი ექვი არ უნდა, რომ გასაკიცხიც იქმნებიან ეს გამოჩენილი მელექსე მამები, შესაჩვენებელნიც.

III

ღღეს კი, ჩვენს უბედურს მკვდარს მწერლობაში ხშირად გამოვარდებიან ხოლმე ისეთი მაძღარ პატრიოტ არსისტები, რომელნიც ასეთს მელექსე პირებს ქებას უძღვნიან აქებენ საჯაროთ, მათ სახელს თაყვანს სცემენ, აღიდებენ, ამკობენ და მთელ ქვეყანასაც სიმძლავრით ემოქრებიან, რომ თქვენ ასეთი და ისეთი მელექსე მამები გყვანდათ და თქვენ კი იმ ძვირფას მამებს არ იცნობთო, ვერ იცნობთ მათ შთამომავლობას, მათ შესანიშნ მამაპაპებს, მათ სახლ-კარს, სახლის შინაურს მოწყობილობას, მათ მეპურმარილობას, ზრდილობას, გულ-მოწყალებას, მათ გლახაკთ შებრალებას და გაკითხვას. ამაებს გარდა მოჰყვებიან კიდევ რომ ესა და ეს საქმე ქნაო, ეს კაცი ჩამოხრჩობას გადაარჩინაო, ის ციხესაო, მესამე დახვრეტასაო და სხვანი. აქ და ამ გვართ მოჰყვებიან ხოლმე ეს ქლესა გაიძვერაები, მაგრამ ვერც ერთ საგანს კი საბუთით ვერ დაამტკიცებენ. ესენი ვერც ერთ ცნობას ვერ წარმოადგენენ იმის შესახებ თუ ამ გამოჩენილმა გმირმა როდის და სად ვის დაიხსნა სიკვდილიდამ. ვინ გადაანარჩუნა სახრჩობელას, სად ვის რომელ ღარიბს აღმოუჩინა შემ-

წეობა, რომელი გაჭირებული კაცის შვილი გამოზარდა, რომელ სოფლის ხალხს და ბოგანათ ქცეულს გლეხებს გაუმასპინძლდნენ, რომელი დაცემული წამოაყენეს მათ ფეხზე, სად, ან როდის რა დასტოვეს თავიანთის სიკვდილის შემდეგ თავიანთის აუარებლის ცხოვრებიდამ: მე თამამათ შემიძლიან ვსთქვა, რომ ასეთი წინასწარი ყბედობა ჩვენის ცრუ პატრიოტებისაგან წმინდათ სიცრუე არის, რადგანაც არც ერთი ზემო ჩამოთვლილისთანა საქმე მათ არ გაუკეთებიათ. აქ ამის შესახებ განყენებული მსჯელობა აღარ გამოდგება, აქ ნამდვილი ფაქტებია საჭირო, აქ სწორე ამბებით უნდა იქმნეს წარმოდგენილი და დამტკიცებული, თორემ უამისოთ ჩვენ სულ სიმტყუნეს მივიღებთ. ეხლა ჩვენში ისეთი დრო დადგა, რომ ჩვენ დაბალ ხალხს სრული უფლება გვაქვს, რომ ჩვენ ბატონიშვილ მწერლებს ანგარიში მოვთხოვოთ და გაუსწორდეთ იმაში, რაშიაც გასასწორებელი ვართ. აქ ნამდვილი ფაქტებია საჭირო და აი ესეც ფაქტები.

1878 წ. ერთ გამოჩენილს ქართველ მელექსესთან მივიდა ერთი მეტათ ღარიბი კაცის შვილი, რომელმაც შემწეობა სთხოვა, რომ მე ალექსანდროვის ინსტიტუტში უფულოთ მიმიღეს და ახლა ცხოვრება მიჭირს და თუ შეიძლება დამეხმარეოთ. ამ უბედურებითი თხოვნას „მუშა ქობულაძეს“ დამწერმა უბრძანა, რომ ვინ მომცა, ვინ მამაქვავა, სადა მაქვს!.. ასე რომ ერთი შაურიც არ მისცა. მეორე ასეთ გაჭირებულს ყმაწვილსაც ასევე უთხრა, რომ მე რომ სუყველა შენისთანებს დახმარება მივსცე, მაშინ შეც შენისთანა გავხდებო. მესამე, ამას ჰყვანდა ერთი ღარიბი ნაცნობი აზნაურიშვილი, ამ აზნაურიშვილს სხვათა შორის შვილებიც მოუწათლა, აზნაურიშვილი ლიტერატორი იყო, თვრამეტ წელიწადს ქართულს ჟურნალს ბეჭდავდა, სიბერის დროს მეტის მეტს სიღარიბეში ჩავარდა, უკანასკნელი სახლი ჰქონდა და ესეც ბანკში ეყიდებოდა. ამ დროს ამ გაჭირებულმა კაცმა ჩვენგან ზემოთ ხსენებულს მამულის მოყვარეს წერილით მიმართა და დახმარებას სთხოვდა, ამან შემოუთვალა ასე:— „ქართველ კაცს ფულს ნუ სთხოვ; თორემ დიდად შეაწუხებ და აწყენინებ, ირწმუნე არ შემიძლიან, არა მაქვს, თავი დამანებე!“ მეოთხეს უთხრა, რომელიც არაფერს სთხოვდა, თქვენმა მზემ რომ ლუკმა პური გავგიწყდა, აღარა გვაქვს; აღარა. სხვებთან გავთანასწორდით, უბრალო აზნაურიშვილებიც კი ჩვენზე კარგათ ცხოვრებენ“. უნდა ითქვას, რომ ამ უსვინი-დისოებს არც ერთ გაჭირებულ კაცისთვის დახმარება არ მიუციათ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენს ბედს ძალიც არ დაწყევ-

და... როგორც ცოდნით. ნუ თუ ამათ გულუხვობამ ისე ჩაიარა, რომ მათ ვერც ერთი გაჭივრებული გლახის შეილი ვერ გამოზარდეს, ნუ თუ ამათი დიდი ღვაწლი ისე ჩაიფუშა და ჩაიარა, რომ ჩვენთვის ერთი ცნობაც არ დარჩა სახსოვრათ. არა მგონია, ამათ არც არაფერი უმოქმედნიათ და მიტომ ჩვენთვის არც არაფერი დარჩენილა სახსოვრათ. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ეს გამოჩენილი მამები ხანდისხან მოწყალებასაც შერებოდნენ ხოლმე; მაგრამ ამავსაც ისეთ კაცებს აძლევდნენ, რომელნიც მათი სისხლისა და ხორცის იყვნენ, მათი ჯიშისა და სხვანი. ეს ყმაწვილები აქაც უხეიროები იყვნენ, უხეიროთ სწავლობდნენ და ევროპაში თუ მიდიოდნენ იქაც უხეიროთ შთებოდნენ, იქ ესენი ქეიფების მე-ს სხვას არას აკეთებდნენ, კაფენიებში დაეთროდნენ და სწავლობდნენ ისეთ რამეებს, რაც იმათში ცუდია და ეს ცუდივე შემოჰქონდათ ჩვენში. ამათვის იქ არაფერი საგნები არ არსებობდა, ამათთვის არც პოლიტიკური ეკონომია არსებობდა, არც ბიოლოგია და არცა რა სხვა ამ გვარი რამეები. ამავების ნაცვლათ ესენი სწავლობდნენ ევროპის გარყვნილ რომანების შინაარსს, ამავებს გარდა დადიოდნენ კი ვე გარყვნილ პიესების წარმოდგენებზე, ასეთ ცუდ რამეებთ შესასწავლებელ საგანთ გარდა, იყვნენ კიდევ ისეთი შვილებიც, რომელნიც ცოცხალ საგნების მაგიერ მკვდარ მშვენებათ და ძველთა მწერლობათა ნაშთების შესწავლას მისდევდნენ. ეს დალოცვილები სიძველეთა რამეების შესასწავლებლათ საქართველოდამ ევროპაში არ წასულიყვნენ, განა თვით საქართველო კი არა კმარა ისეთის სიძველეთა რიცხვით? ნუ თუ სიძველეთა შესასწავლებლის ცნობებით საქართველო ევროპას ჩამოუარდება, არა მგონია, მიტომ, რადგანაც იქ რაც არის დღეს მის უმეტესი ნაწილი სულ ახლის დროების ნამოქმედარია. ჩვენში კი რაც არსებობს ნამდვილი ძველია, აზიური ძველის სახე აქვს და ქართული. ასეთ საგნებთა მოსწავლე ყმაწვილებს ეხმარებოდნენ ჩვენი მამანი. ასეთ ყმაწვილებს გარდა თითო ოროლა ისეთი ყმაწვილებიც ერივნენ, რომელნიც პატარა ფხიზელის თვალთ ხუკქერდნენ საქმეს, მაგრამ ერთი უძლურება იმაში იყო, რომ ამათი თვალის სიფხიზლეს მხოლოდ იმას შეიცავდა, რომ ამათ თავადის გრ. ორბელიანის ლექსები გაერჩიათ დი. ამ ლექსების მშვენებით გატაცებულიყვნენ! ესენი მთელ ქვეყანას მრახსხანებით მოუყვებოდნენ იმას, თუ ეს ციცერონ მელექსეები რა შვილები არ ბრძანებულან. ეს გმირები ასეთ მელექსეებისაგან ისე აირევიან, რომ ბოლოს თვითაც მელექსეობას იწყებენ. ესენი დიდათ ყოყობებენ და თავიც მოაქვსთ, მაგრამ სულ

ამანეთ, ბევრით ვერატურით ჩამორჩებიან თავიანთ მკვდარ მელექსე მამებს. ესენიც თავიანთ მამებივით ცალ მხრიდამ საკენკს გვიყრიან და ვფკენკენ და ცალ მხრიდამ გვატყუილებენ ამ ლექსებით და ნელ ნელა ვფკენკამენ. ამ უბედურების ლექსებში ჩვენი ცხოვრებისა სულ არაფერი მოიპოვება, არც ჭირის; არც ლხინის; არც მწუხარების და არც ვაგების, ერთის სიტყვით, ჩვენი ახალგაზდა მელექსეებიც ნამდვილი თავიანთი მეთვრამეტე საუკუნის მელექსე მამის კოპიოები იყვნენ. ამის შემდეგ ჩვენში მაინც კიდევ მოიძებნებიან ისეთი პირები, რომელნიც ჩვენთა ძველთა დროთა მელექსეების სახელებს ხალხში ამაღლებენ და მით რაღაც სწადიანთ, რაღაც სურთ, რაღაცა ებრძვიან. ჩვეთა გამაგებინა ახლა ისიც, თუ ეს მაძლარი პატრიოტები ამას რა მიზნით შვრებიან, ესთქვათ კუჭის მწველი შიმშილი რომ ჰქონდეთ და მიტომ შვრებოდნენ ამას. ეს კიდევ ჰო, მაგრამ ეს არც მაშინ არის საკადრისი, ამათ არც შიმშილი აწუხებს, არცარა სხვა და მაშინვეთა რა ატანთ ასე ათაფების ხეთქვისთვის ძალას! ეს მით უფრო, რადგანაც ევროპაში ასეთი მელექსეები სულ უარყოფილნი არიან და გმობილნი, ჩვენში კი ამათ ჯერ დიდი სახელი აქვსთ კიდევ. სჩანს, რომ ევროპის შვილები სულ შემცდარნი და ბრიყვი ყოფილან, რადგანაც ყველა ჩვენებური ძველი მელექსეებისთანა მწერლები უარ უყვიათ. ამისთვის ამ ვაჟბატონებმა უნდა იცოდნენ ის, რომ საზოგადოებაშიაც შეიძლება მოიძებნონ ისეთი პირები, რომელნიც მათზე უკეთესად დააფასებენ და განარჩევენ ყველა იმ პირებს, რომლებსაც ღვინა აქებენ.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი დღეს ჩვენი მწერლობა ჩვენის არისტოკრატიულის კრიტიკოსებისაგან და უფკველია, რომ ასეთის უკულმართის ნაბიჯითაც ილოლიალებს იგი კარგა ხანს. სამწუხაროა და სამარცხვინო ის, რომ ჩვენი უკულმართი შვილები ხშირად აქებენ ისეთ კაცებს, რომლებსაც თავიანთის ხმებით სხვათა სახლკარის ნგრევის მეტი არა უკეთებიანთ რა. როცა ამისთანა კაცების მაქებრებთან კაცს პირის პირ უხდება ლაპარაკი და ჰკითხავ ამს: თუ მას ნეტა რათ აქებ ასეო იგი მოგიგებს, ეგ მიტომ, რომ იქმნება მის საშუალებით ჩვენში ავალორძინოთ ნაციონალური მხარეების სიყვარულიო. ამათ უთხარი, ბატონო, მე შიმშილით ვკვდები, გონება მეწვის, ლამის მოვკვდე და ამ დროს მე თქვენს ნაციონალურს გრძობებს რის ეშმაკათ ვაქნე და რა ოხრათ დავარჩენ, მაშინ ესენი მოგახსენებენ: ფუ იმ კაცსაო, რომელსაც მხოლოდ ყოველგან და ყოველთვის მხოლოდ თავის კუჭი აგონდებო და ყველ-

გან და ყოველთვის მხოლოდ ამ კუჭისთვის სტირიან და წუწუნებენო. ასეთი საყვედურები მე თვით მიმიღია ხოლმე ჩვენის საეკლესიო პატრიოტ მამებისაგან. მეც მიმიგია: რომ დიას, სწორეთ ასე გახლავსთ შეთქი და ყოველივე დღევანდელი ეკონომიური ბრძოლა მხოლოდ ამ კუჭის ბედნიერების კიოხვებს შეიცავს შეთქი მე ჩემს მამულათ მიმაჩნია ყველგან, ხადაც კი სიკეთე და კაი კაცობა არსებობსო, ოღონდ იქ კი არსებობდეს მშვიდობიანი ცხოვრება... ასეთის შეხედულობისა არამც თუ ჩვენ უნდა ვიყვნეთ, არამედ სწორეთ ესევე სიტყვები აქვს მოყვანილი რენანს ერთ თავის წერილში. ჩვენს გამოჩენილს არისტოკრატიულს პატრიოტებს კი მშიერ ხალხში ნაციონალური გრძნობების გაღვიძება ზღომიანათ და მით მათა დახმარება და განთავისუფლება.

ეს გამოჩენილი ცრუ ლიბერალები თავიანთის რეაქციონურის მიმართულებით იქამდის ვავერაგებულს გზას ადგანან, რომ ესენი თავიანთის მკვდარის ნაციონალიზაციის მეოხებით ლამის სულ უსაგნო ბოდვას გაჰყენენ უკან. ესენი აქებენ ჩვენს ძველს მეღექსეებს და ამ აფერისტებს დიდს ცოდნასაც აკუთვნებენ. გამოდის, რომ ჩვენებურს ძველებურს მამაპაპურს პოეტებს პოლიტიკური ეკონომიაც სცოდნიათ, ეკონომიური სტატისტიკაც, ქალების მდგომარეობის კითხვებიც, მუშა ხალხის და ათასი კიდევ სხვანი და სხვანი, ყველა ამ მეცნიერების შესახებ გულ დადებით და დარწმუნებით მოგვითხრობენ ჩვენი პატრიოტები. ახლა მე მინდა ვიკითხო ის, თუ ამ გამოჩენილმა მეღექსეებმა ყველა ეს მეცნიერება რომელს სასწავლებელში შეისწავლეს, ანუ რომელს უნივერსიტეტში? იქმნება ჩვენს მამებსაც ჰქონიათ ევროპიული რეალური მეცნიერება, მაშ არა ჰქონიათ, მაშ ვახუმტის ზღაპრული გეოგრაფია რა არის, თუ არ მეცნიერება. მეტის მეტათ დიდათ სამარცხვინოა, რომ კაცი კადრულობს ტყუილების თქმას, ჭორების მოგონებას და მხოლოდ მისთვის, რომ ერთი რომელიმე პირს ქება, დიდება უძღვნას და სახელი მოუფინოს და ცაში აიყვანოს, როდესაც ამას საამისო არა მიუძღვნის რა წინ. ეს რასაკვირველია სულ ერთი პირისაგან მოხდება, თორემ ამას უმრავლესობა არაფრათ აგდებს. მაინც დრო მოვა, როცა ამ ცაში აფრენილ პირს ჩალათაც არავინ ჩააგდებს. დიდათ სამწუხაროა ეს მით უფრო, რადგანაც ეს პირნი ხშირად თავიანთ ნაჯღაბნს ქადაგებებს საჯაროთაც კითხულობენ მთელის ერის წინაშე, ამით იგინი მრავალ ყმაწვილს უკარგავენ სწორე შეხედულობის სიმატლეს და მის გონებას ათას ნაირს სიმტყუნის ცნობე-

ბით ჰკვებავენ, ეს გაიძვერა არტისტები მთელს საქართველოს იკლუ-
ბენ და მთელს ერსაც აბეზრებენ, რომ ესა და ეს კაცი რომ არ და-
ბადებულყო, მაშინ ჩვენ ასე არ ვიქნებოდითო. ყველა ასეთ ქებულ
პირებსაც თავიანთ თავები ისე მიაჩნიათ, რომ ჩვენ არ დავბადებუ-
ლიყავით, მაშინ საქართველო ასე არ დაწინაურდებოდაო, ზოგნი
ამბობენ, რომ ვეტხის ტყაოსანი არ გვეკონდეს, მაშინ ქართული მწერ-
ლობა გროშათ არ ეღირებაო, ზოგი „ქილილა და დამანას“ ახსენებს,
ზოგი „ვისრამიანს“ ზოგი ბესიკს, ზოგი ალექ. ქავჭავაძეს, ზოგი გრი-
გოლ ორბელიანს. ზოგი ბარათაშვილს და ზოგიც ვინ იცის ვისა და
ვის არა, ყველას ასე მიაჩნია თავის თავი, რომ მე არ ვყოფილიყავი,
მაშინ საქართველო გაქრებოდაო. ამინ. რაკი ჩვენი მწერლები ასე
ფიქრობენ, ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს, რომ ახლა ვიკითხოთ
ისიც, თუ მათგან წინ წაყვანილი საქმეები რაღა იქმნენ? სად არის
და ან რა ჩანს ჩვენთ თვალთ წინ. აქ უნდა ვთქვათ, რომ ეს გამო-
ჩენილი ცრუ ლიბერალ მელექსეები არამც თუ საქართველოს აღმა-
შენებელნი და წინ წამყვანნი არიან, არამედ თვით ამათის მოქმედე-
ბით და ფოტინით ჩვენის ქვეყნისა და ერის საქმე ერთი და ორი
საუკუნით უფრო უკანაც დაწეულა. ეს იმიტომ, რადგანაც ამათ სჯულ
არაფრის ცოდნა არ ჰქონდად და თუ ცოდნა არ ჰქონდათ, მაშინ
აბა სხვა რაღა შავ ქვას გააკეთებდნენ. ევროპაში არამც თუ ჩვენე-
ბურის მსგავსის ასეთი მესიმღერე დილეტანტები არიან უარ ყოფილ-
ნი, არამედ იმისთანა პირიც, როგორიც შილერი იყო, კომპოზიტო-
რი ბეტხოვენი და სხვანი. ამათ დაბადებას გერმანიის ერისთვის
რეაქციონურს ბიჯათ ჰფიქრობენ, რადგანაც ამათ გამოსვლას მოჰყვა
გერმანიის ერის რეაქციონური მოძრაობაო. თუ კი გერმანიის ში-
ლერს და სხვებს ამავე ხალხის მონებითი რეაქციონურს ჰაზროვნების
ძალათ ჩასთვლიან, აბა ჩვენ ქართველებს რაღა დაგვემართება, რომ
ჩვენს მელექსეებზე კი სუ სხვა შეხედულება ვიქონიოთ და ჩვენ აღმა-
შენებლათ მივილოთ, ისიც ისეთი მელექსეები, როგორიც იყო ბა-
რათაშვილი, ჭავჭავაძეები, ორბელიანები და მრავალიც სხვა მისთა-
ნები. ნუ თუ საპატიო იქნება ის ჩვენთვის, რომ ამ პირებს ჩვენ სა-
ქართველოს აღმშენებლების სახელი უწოდოთ. ამდენი მაგალითებს
შემდეგ რა უნდა იყვნენ ჩვენთვის ჩვენი მელექსეები. ვინ ბრძანდე-
ბიან ეს მელექსე მამები და ან რა იქადაგეს მათ, რა აალორძინეს
თვის ერში და რა სამსახურა გაუწიეს თავიანთ ახალგაზდობის გო-
ჩებითი განვითარების საქმეს... ბარათაშვილი არის და, მომტირალია;
ორბელიანია და ამაზე ხომ ლაპარაკი არა ღირს. სხვა მელექსეები

როგორღა ვახსენო. არც ერთ ამ მეღვინეთაგანს ერთი გვარიანი ჰაზარი არც კი აქვს თვის ლექსებში ფატარებული. ერთი ისიც კმარა, რომ მათ თავიანთ ლექსებში სადმე ქართველი კაცის სიფვარული მცირედის ყალთაბანდურის პატრიოტობით ახსენონ, ოღონდ ამან კი წარმოსთქვას, რომ მე საქართველო და ქართველობა მიყვარსო, თორემ სხვაფრივ კმარა ამის სამსახური. გინდ ეს პირი რომ დაუძინებელი მტერი იყოს, მაშინ ამას სამუდამოთ დაივიწყებენ, ხელს მიაფარებენ და არას დროს არსად არ გაიხსნებენ. ჩვენი მეღვინეები ისეთი შვილები იყვნენ, რომ რასაც იგინი ვენებას აძლევდნენ თვის ქვეყანას, მისმეათასე წილი სარგებლობა არ მოუტანიათ მისთვის განა საქები და გამოსაჩენი არიან ისეთი პირნი მთელის გვარის წინაშე? ჰაი, ჰაი რომ არ არიან, მაგრამ რასა იქმს კაცი, როცა პატიოსნება და სინიდისის საქმე უსვინიდისო არისტოკრატთა მაიმუნების ხელში ჩავარდნილა. ისეთი პირების ხელში, რომელთათვისაც სიმართლე და პატიოსნება ერთი გროშის ფასად არ დაფასდება. ოღონდ ამათ კი ერგოთ რამე, ოღონდ ამათ კი ისარგებლონ, თორემ ქება და დიდება თვითონ იციან. მოჰყვებიან ბატონო და რაებს არ ილაპარაკებენ, რომ ეს დიდბუნებოვანი კაციო! მაგრამ გამოჩნდება, რომ ხვი ყოფილა საშუალ საუკუნის ტირან პირებისთანა ყაჩაღი და მასთანვე მეღვინე, რომელსაც თავის მეღვინეობით მხოლოდ თვის დროება ცეკვით უტარებია. ასეთ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი მწერლობის საქმე ჩავარდნილი და ვნახოთ მომავალი რას მოიტანს. იმედი კია, რომ მომავალი არამც თუ ასეთ მაქებრებს, ათანედ თვით ჩვენ დიდ ბუნებოვან კაცების სახელსაც დაღეწავს. ერთის სიტყვით მე აქ ვიტყვი ამას, რომ ჩვენი ძველი მამები წამბდარნი იყვნენ ყოველ ნაირის მხრითა. როგორც განათლების მქონენი და სკოლდენი, ამითიც ხომ იგინი საცინელნი და სამასხარონი არიან, რადგანაც მათ სულ არაფრის ცოდნა არ ჰქონდათ და მესამეც როგორც მეღვინეები ამითიც ხომ წმინდა მკვდრები იყვნენ და ყოველ ნაირს ღირსებას მოკლებულნი. ამიტომ მე სულ უბრალო ქმნალებათ მიმჩნია და მათ სულ არაფრად ვსთვლი.

უნდა ვსთქვა, რომ ყველა ეს გამოჩენილი მაქებართ შვილთ რიცხვი დაბალ აზნაურის შვილებთაგან შესდგება, ამათ რაღაც ბედით თავი მიუღწევიათ ჩვენთ უმაღლესთ სახლის შვილებამდის. ეს საბრალოები მონაწილეობას იღებენ ყოველ ნაირს იმ საგმოძელს მასხარობაში და გონების გასარყენელს ლაზღანდარობაში, რასაც ჩვენში დიდი გზა ჰქონდა გაკათული ამ პირების საშუალებით მე

ნათლათ წარმომიდგება თვალთ წინ ჩვენი წარსული საუკუნის თავად-აჩნაურობა, რომელი წვრილმანი უპატიოსნო ჩარჩი პირები თვით მეფე ერეკლეს დრომდის სცხოვრებდნენ და რომელთა გონებითი ლტოლვილებას მხოლოდ სისხლის ღვრა წარმოადგენდა, ხმლების ჩახა ჩუხი, ანუ სადმე ბრძოლის ველზე თოვების და ზარბაზნებისაგან დანაცალის ბოლის კვამლისაგან ჰაერის შეკერა და ცის დაბნელება. ნუ თუ შეეფერება მეცხრამეტე საუკუნის ახალგაზდა კაცს, რომ იგი თავის ფრთა გაუშლელის პატრიოტობის მეოხებით ასეთ პირებს საუკეთესო კაცებათ სთვლიდეს და მთელის ერის წინაშეც აქებდეს... ეს პირნი ყოველთვის უფრო ძველის მომხრენი არიან, ახალს მიუხდობელის თვალთ უმხერენ, რადგანაც ახალში ივინი ბევრს ისეთ რამეს ხედვენ, რაც მათის ფიქრით მათვის მეტათ მაგნებელი და საზარალოა. ეს შეიძლება რომ მართლაც ასე იყოს, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ ეს იქმნება მხოლოდ მათთვის, რადგანაც წარსულისთანა დროები მხოლოდ მისთანა ხალხს ჰფინავდა დიდებას, ძალას და შემძლებლობას, რომელსაც უფრო პატარა, მეტი ავაზაკური გამპრიახოზა შეეძლო გამოეჩინა, მეტი ოსტატობა და სხვანი.

კასუხი იმათ, ვინც სანდალას ნაწერ წიბნს ჰგეო- ბენ და ჰკიცხავენ *)**)

ცოტადაც რომ თვალი გადაავლოთ ქართველი ერის ცხოვრებას დაინახავთ, რომ თითქმის თვითეული ქართველი ზრუნავს თავის ერის—ქვეყნის სასარგებლოდ, საკეთილდღეოდ. თვითეულს კაცს, დედაკაცს, ბავშვს ძრიელ შეჰყვარებია თავისი ტურფა სამშობლო—ქველსუცი საქართველო... დიდად სტკებება კაცი, როცა ჰხედავს, რომ ქართველი მამა და უფრო ხშირად ქართველი დედა თავის შვილებს აზებობენ ჩვენი გენიოსი ***) პოეტების ლექსებს, სადაც მშვენივრად დახატულია ტურფა სამშობლო—გადაჭიმული ორი ზღვის შუა; ან კიდევ—სადაც გამოხატულია სიტყვებით, საქართველოს რომელიმე გმირი, მთელის თავის ნოქმედებით. ბავშვს ენის პირველი ამოდგმიდგანვე ეხსნება სიყვარული მანულისადმი და ისე მაგრა იდგამს ეს სიყვარული მასში ფესვებს, რომ ამ გაზებობრულ ლექსებს იგი (ბავშვი) დღეში რავდენჯერმე იმეორებს. ბავშვს რომ ასე უყვარს მამული, რასაკვირველია, დიდრონებს (განსაკუთრებით დაწინაურებულს ქართველებს) უფრო ძრიელ და უფრო ნამდვილის სიყვარულით ეყვარებათ მრავალ-ტანჯული სამშობლო. ასე გასინჯეთ, მამული თვითეულს ქართველს ლობიოს ჭამის დროსაც კი ახსოვს...

სამშობლო... სამშობლო ძვირფასი რამ არის კაცისთვის. ძვირფასია და ამისთვისაც ეპყრობა ქართველი ერი ასეთი ყურადღებით თავის მამულს... ამ ყურადღებას ჩვენ დავინახავთ, ჯერ კი გვსურს ხელი მოვკიდოთ ბ. სანდალას წერილებს, რომლებმაც საყურადღებო წერილები გამოიწვიეს ჩვენს ლიტერატურაში, მკითხველს ჯერ კიდევ ეხსომება, რომ ამას წინად ბ. სანდალამ დასწერა „წერილები ქართულს მწერლობაზედ“; თუმცა ამ წერილებში დიდი ცოდნა, მოაზ-

*) იხ. „ივერია“ №№ 191, 192, 193—1888 წ.

**) ეს წერილი არც ერთმა მაშინდელმა გამომცემლობამ არ დაბეჭდა, ქვეყნდება პირველად.

***) ამ წერილის ავტორი ხშირად ფენს იმტერებს დაუფიქრებლად წარმოთქმულ სიტყვებით, მაგრამ ამაზედ შემდეგ.

რება არ გამოსჩანს, მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ იქ რაც არის ნათქვამი, სულ მართალია და არა მოჭორებულის, მხოლოდ ეს მარჯ თაღი ამბავი სანდალას მოუაზრებლად აქვს წარმოთქმული და ადამაშია მისი უმთავრესი შეცდომა*), რომელიც მართლაც უმნიშვნელოდ ხდის მისს 80 გვერდიან წიგნაკს. ბ. სანდალას სახეში აქვს განათლებულ ხალხთა ლიტერატურა და ლიტერატურის ამ ხალხთან დამოკიდებულება. დროთა ვითარების გამო ზოგი ერის გონებამ, ზნეობამ გამოიღვიძა და ბევრი უსამართლობა დაინახა კაცთა შორის. ამგვარი ერის მწერლობაში ზშირად გაისმის ქადაგება გონებითა და ზნეობით გამოჩენილი კაცებისა, რომ მუშა ხალხიც ღვთის გაჩენილნი კაცები არიან და მაშ მათაც არ უნდა ჰქონდეთ წართმეული კაცის ღირსებანიო. ამასთან იგივე კაცებთ აძლევენ ძმურს დარიგებას, საუკეთესო წესებს საზოგადო ბედნიერ ცხოვრებისათვის. ასეთი გულკეთილი ქადაგება ბ. სანდალას ან წაუკითხავს ან გაუგონია და, როგორც სჩანს, ძრიელ მოხწონებია; შემდეგ გადაუვლია თვალი თავის ერის წარსულისთვის, აწმყოსთვის და უნახავს, რომ იმ დროს, როცა ხალხი ტანჯვაში იყო და არის, ჩვენი მწერლები კიანურებს, ნანგრევ კედლებს, ცის მნათობებს, რიფრაჟ-შებინდებას, ლამაზ-ჟუჟუნა თვალებს შესტრფიან, მათ წინ იდრეკენ მოწიწებით მუხლს; ჰურინავენ საღდაც სხვა (თავის ფანტაზიით გამოგონილ) ქვეყნებში და იღვრებიან ცრემლით, თუმცა კი თვითაც არ იციან-რად. ჩვენი მწერლების ასეთ ქცევას ძრიელ აუღელვებია ბ. სანდალა და ამისათვის სცემია ასე გაშფოთებული ჩვენს „ჟამ-პაპა“ მწერლებს. მაგრამ სანდალას სახეში უნდა ექონია, თუ რა განათლების მქონე მწერლები გვეყვანდნენ ჩვენ იმ დროს; გარდა ამისა, იმ სენით (ბატონ-ყმობით), რომლითაც გაგესლილი იყო საქართველო და რომელზედაც სანდალა ლაპარაკობს, იყვნენ გაგესლილნი ყველა განათლებულ ხალხთა სამშობლონიც და როცა ამ ხალხთა სამშობლონიც იყვნენ განათლებულნი იმგვარად, რა გვარადაც საქართველო იმ დროს, მუშა ხალხზედ კრინტიც არავის დაუძრავს.***) როცა გონებამ, ზნეობამ წინ წაიწია და ასეთი უწესოება ცხადად დაინახეს, მაშინ მიჰყვნენ სენის განკურნას.

ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ბ. სანდილა მართლ მუშა ხალხის ბელზედ ხტარის, თავად-აზნაურობას კი ზიზლით უცქერის, ასე-

*) ამის განსჯას დღეს მკითხველს ვანდობთ.

**) კომენტარებს არ უკეთებთ.

თივე შეხედულებისანი არიან თავად-აზნაურებზედ მრავალნი სხვანიც და არ უნდათ შეიტყონ, რომ ასეთი შეხედულება შემც-
 ღარია. რა ვუყოთ, რომ „გიორგი“ გლეხია, „ლუარსაბი“ კი თავა-
 დი? იმას კი არ უნდა ვეცადნეთ, რომ გიორგი გავათავადოთ,
 ლუარსაბი კი უყუჩადღებოდ დავსტოვოთ, არა, ეს უხინდისობა,
 უსამართლობა იქნება. თუ ვისმეს მამული უყვარს მართალი, პა-
 ტროსნური სიყვარულით, იგი გიორგის ლუარსაბისგან, ან ლუარ-
 საბს გიორგისგან არ გაარჩევს, არამედ ერთგვარის მზრუნველო-
 ბით ეცდება ააცილოს დროთა ვითარებით მიცხვებული სენი რღ-
 გორც ერთს, ისე მეორეს. *) ბევრს თავადი და აზნაური იმისთვის
 სძულს, რომ იგინი გლეხს ისე უცქერიან, როგორც თავისზედ მცირე
 არსებას და ამასთან ყოყლოჩინაობენ თავიანთი ჩამომავლობით. მაგ-
 რამ შმაში იგინი გასამტყუნარნი არ არიან: თავადი და აზნაური დრომ,
 შემთხვევამ დაარწმუნა, რომ იგინი გლეხზედ უდრდესი არსებანი
 არიან და ამისთვის ისე ეპყრობიან გლეხს, როგორც მცირე არსე-
 ბას. ახლა დაარწმუნეთ თავადიც, აზნაურიც, რომ ასეთი შეხედულება
 გლეხზედ „კაცს“ არ შეჰყურის; დაარწმუნეთ და ასე აღარ მოიქცე-
 ვიან. **) ბ. სანდალა ყოფელს ადგილს და შემთხვევაში ზიზლით უცქე-
 რის თავად-აზნაურობას, მაგრამ იძახის კი: „მე მიყვარს ჩემი მამული“
 არამც თუ ცრუ პატრიოტობით, არამედ ისე, როგორც მოვალეა ყო-
 ველი კაცი. რა არის მამულის სიყვარული? ნუ თუ ის, რომ დავეყო-
 მაგნეთ მარტო მუშა ხალხს? სწორედ ასე ესმის ბ. სანდალას მამულის
 სიყვარული: დ. ჭონქაძეს დაუწერია მოთხრობა „სურამის ციხე“, სა-
 დაც გლეხთა შევიწროვებული მდგომარეობა და ბატონთა უსამართ-
 ლობა აქვს გამოხატული. ბ. სანდალა იმისთვის სთვლის დ. ჭონქაძეს
 პატროსან კაცად, ამისთვის აღიღებს მას, იქებს და თანაც სწუხს, რომ
 ამისთანა შესანიშნავი კაცი ასე აღრე მოკვდა და მის შემდეგ. მასზედ
 ცნობები არაფერ მოიპოვაო. დ. ჭონქაძე არც აგრე შესანიშნავი
 ვისთვისმე; ასეც რომ არ იყოს, სანდალას მიერ მასზედ შეკრებილი
 ცნობები მაგდენად არავეისთვის არის საჭირონი. დ. ჭონქაძე სულ
 ბატონ-ყმობაზედ, ქვეყნის ტანჯვაზედ ჰფიქრობდა და იქნება ამ

*) ეს უპიტაჟია ნათლათ ხატავს განსვენებულ დროს მოღვაწეთა ტინის
 სიჩლუნგეს და სილატაკეს.

**) აქ კი ავტორი თავიდან ფეხებამდე უფსკრულში გადაჩეხილა... სამწუხა-
 რო ის არის, რომ მას დღევანდელ საქართველოშიაც მოეპოვება მიმდევრები... ჩვენ
 კი დიდრ ბანია ვარჩიეთ: ცხვარი მგელს სახარებას არ უკითხავდეს. რედ.

ფიქრმა გადაიტანა სულ ახალგაზდა კაცო, ამბობს ბ. სანდალა ჩვენი ფიქრით, ეს აზრი ძრიელ საიქვოა: ჯერ იმისთვის, რომ ზოგად რე კვდება, ზოგი გვიან აი. დ. კონქაძესაც, ჰრგებია ადრე სიკვდილი; მეორეც იმისთვის, რომ ჩვენში ძვირად და სრულიადაც არ მოიპოვება ისეთი კაცი, რომელიც ფიქრობს მამულის ბედზედ, შველაზედ; რომელიც შეწუხებულია, გატაცებულია თავის ხალხის შევიწროვებულის, უბედურის მდგომარეობით მართალია, გვყვანან ჩვენ ზოგიერთა კაცნი, რომელნიც ლაპარაკობენ ხალხის კეთილდღეობაზედ, მაგრამ მართლ კარგის ლაპარაკი რადია საქმე; ხშირად კარგის თქმა ცარიელი სიტყვებია, ცარიელი იმისთვის, რომ აქ გულითად სურვილი, რწმუნება არ არის. ყველა კაი აზრი ამოკიბხულია, გაგონილი, გონებაში შენახული; წყვეული ენის საქმეც ხომ მოგეხსენებათ, ყველას თავისუფლად გამოხატვამს, მაგრამ გული? გული კი შორს არის; ეს სულ სხვას უკავია და საზოგადო ინტერესებს ვერ მოუპოვებიათ მახში ადგილი, თუ მოუპოვებიათ, მცირე, ძრიელ მცირე. *)

მკითხველს ისევ ეხსომება, რა ალიაქოთი გამოიწვიეს ბ. სანდალას წერილებმა „ივერიის“ ფურცლებზედ. მათ შესახებ დაიწერა სამი ფელეტონი და ერთი მეთაური წერილი. მეფელეტონე იწყობს შავროვიდგან, შემდეგ გადადის სანდალასა და ფურცელაძეზედ. იგი იკვლევს სანდალას ვინაობას, დასცინის, ლანძღავს მას და ისეთ უწმაწურ სიტყვებსაც კი ვეღარ ჰპოვებს რომელიც, შეიძლება არ ეკადრებოდეს. ასე უწმაწურად იმისთვის ილანძღება მეფელეტონე, რომ სანდალამ ჩვენი მამანი ლანძღვით მოიხსენია, ლანძღვა კი, მეფელეტონის აზრითაც, პაჭიოსან კაცს არ შეჭფერის. ცოტად რომ დაეფიქრდეთ, სინიღისი ნებას არ მოგვცემს ასე უშვერად მოგვყურათ ვისმეს, მერე ისიც სანდალას—ერთ უბრალო კაცს, მაგრამ, როგორც სჩანს, მეფელეტონე ერთი ცრუ პატრიოტია და ასეთი დაცინვა მასუ გასაკვირალი არ არის იმისგან. მას (მეფელეტონეს) ჩვენ იმასლა შევნიშნავთ, რომ ბ. ფურცელაძეს ტყუელად დასცინის. მაინც ბ. ფურცელაძე ხშირად დაიცინება: სათავად-აზნაურო სკოლის ერთმა

*) ავტორს არ მოსწონს დ. კონქაძე იმიტომ, რომ მან მართლ სიტყვიერათ წარმოხატვა თავისი შეხედულება, გაილაშქრა უსამართლობის წინააღმდეგ... ის ამაშიდ ვერ ჰხედავს რეალურ საქმიანობას... ჩვენ კი პატივს ვსცემთ დ. კონქაძეს იმიტომ, რომ მისი სამაგალითო შეტევა პიუველი გამომახილი იყო მიყრუებულ უდაბნოში, რომელმაც შემდგომ დიდი ამაგი დასდო ჩვენს მშრომელთა რიგებს (იხ. ფ. მახარაძის „დ. კონქაძე და მისი დრო“).

მასწავლებელმა სთქვა: „სემენარიელები უსინიღისო ფურცელაძის ნაწერებს ემოწმებიან, თუმცა ამ ნაწერებში არა ჰყრია რა და ჩვენ შესანიშნავ ილიას და აკაკის უარს ჰყოფენო“. როცა ამისთანა სულ-წასული, კრეტინი მსაჯულები, მოზარდი თაობის აღმზრდელე-ბად იქნებიან და მას (მოზარდ თაობას) ილიებს და აკაკიებს ავტო-რიტეტებად გაუხდიან, რისაკვირველია, თავისგვარ კრეტინებს ბევრს მოუშაადებენ სამშობლოს და ამით წინ წასწევენ ქართველ ერს, თუ მწერლობით ვიტყვი, ვგონებთ, ბ. ფურცელაძის ნაწერები სხვების ნაწერებს არ დაუვარდნენ და აჟ კაცობით, კაცი ხომ ძვირად მოიპოვება ჩვენში...

„ივერიის“ № 193-ში დასრულდა ფელეტონი და ამავე ნომერ-ში მოჰყვა მეთაური წერილი. აქ ავტორს ეტყობა მჭევრ-მეტყველება; იგი ორატორსავეთ გადმომდგარა, იპლადადებს და უსვამს წყეულ სიტყვებს ღრმად სუსტ გულში: „ამ უსინიღისო, უგონო, უტვინო და მოღალატურს ნაწერს მარტო სასაცილოდ აგდება ვერ ვაკმა-რეთო“. ასე მახსარად აგდებას მგონი ის სჯობდა გულდადებით პატიოსნურად გარჩეულიყო სანდალას ნაწერი. მახსარად აგდება, გი-ნება რასაკადრისია! მაგრამ აქ მღელვარებს პატრიოტული გრძნობა და აი ამ მღელვარებამ წარმოათქმევინა მეთაური წერილის ავტორს, რომ სანდალა მოღალატეა. ბ. სანდალა სრულიადაც არ არის მოლა-ლატე; მან ის წარმოსთქვა, რაც უნახავს, რაც გაუგონია. თუ ეს გაგონილი ჯა ნანახი მან არა კეთილშობილურად წარმოსთქვა, ამის-თვის ვერ დასძრახავთ; ჩვენთვის დიდი სირცხვილია ახე უწმაწუ-რად მოვეპყრათ კაცს, მერე ისიც სანდალას, რომელსაც ანაბანა იატაკების წმენდაში შეუხწავლია, ცდილა ეს უპატრონო კაცი და ხაკუთარის მეცადინეობით შეუძენია ცოტაოდენი ცოდნა. აი ამ ცოტაოდენით სანდალას უფრო ბევრი ხარგებლობა მოაქვს, ვიდრე იმათ, რომლებსაც თხუთმეტზედ მეტი წელი საშუალო და უმაღ-ლეს სასწავლებელში გაუტარებიათ, მაგრამ თავისი ენის და ის-ტორიის ხეირიანი ცოდნაც ვერ შეუძენიათ. ზოგი ამ ბატონებთა-განი კი სანდალას დასცინის ლოტიკურ მსჯელობაზედ და ენის უტოდინრობაზედ. ნუთუ მარტო ენაა საქმე? ვითომ რაო, რომ მე-თაური წერილის ავტორი მშვენიერის და თავისუფალი ენით ჰგო-დებს თავის გულის წუხილს? ენა სრულიად უხარგებლოა, როდესაც ტვინი, სწინიღისი, პატიოსნება და მოაზრებულია მასთან (ენასთან).

ბ. სანდალას სიტყვით, ჩვენი უბედურების მიზეზნი ჩვენო მამა-პაპანი ყოფილან და ამისთვის ჩვენი წარსულის ცოდნა, შე-

სწავლა გროზულ არ ღირებულა: „მეც ერთხელ ჩვენი შკვდარი და მოღალატურის თავად-აზნაურული პატიოტობის მიმდევარი ვიყავი; მეც ძველს წიგნებს ვლექდიო“... იძახის სანდალა.—მართლაც, მართო მოქმედებას ჩვენ მამა-პაპათა რომ შევხედოთ, სინდალას გავამართლებთ. ძნელად თუ დავასახელებთ იმისთანა ხალხს, რომელსაც იმდენი ტანჯვა-ვაივაგლახი გამოუვლია გარეშე და შინაური მტრებისგან, როგორც საქართველოს ერს. ერთი ბეწვა ქვეყანა თავის სიკეკლუციტ ბევრს უყენებდა თვალს. ამის დასაპყრობად მოდიოდნენ შორეულის ქვეყნებიდამაც კი და რწყავდნენ ქართველისავე სისხლით. საქართველოს მეფენი ხშირად ქვეყნის უბედურებას ყურს არც კი უგდებდნენ, რადგან გატაცებულნი იყვნენ პიროვნულის ინტერესებით. ამისთვის ხშირად ვხედავთ, რომ როცა საქართველოს შეჭირვებული დღე აღვა, მაშინ ჩვენ მეფეთა და წარჩინებულ პირთა შორის რაღაც არეტულ-დარეულობა ყოფილა და სამშობლოს გაჭირვებიდან ხსნის მაგივრად ძმას ძმის სისხლს აღვრევიებდნენ. არც ერთი მეფე საქართველოსი არ ცდილა ხეირიანი კავშირი დაეჭირა ვისთანმე და შემოეტანა ჩვენში ჰუმანიური წესები. ჩვენი მეფენი მხოლოდ ომებში იყვნენ გამოჩენილნი; მათ მხოლოდ ომი უყვარდათ, და ეს ომები იყო სწორედ ხალხისა და ქვეყნის დამლუპავი სენი: ქვეყანა მუდამ მტრისგან ოხრდებოდა; ხალხი თავ-ზარდაკემული მიეშურებოდა უდაბურს ტყეებში, რომ იქ დაეხსნა სიცოცხლე მაინც. ახ ასეთი მდგომარეობა ქვეყნისა არის მიზეზი ხალხის გონების, ან განათლების სისუსტისა. მართალია, ჩვენ წინაპართა შორის ყოფილან პატიოსანი პირნიც, ქართლის ისტორიაში იგინი გამოსჩანან როგორც პაწია ბუჭტი ვარსკვლავი ცაში...

რაც შეეხება იმ აზრს, ვითომ ჩვენი წარსულის შესწავლა არა ღირს, ამაში სანდალა*) და სხვა ვაჟბატონები, რომლებიც ასევე ჰეიქრობენ, ძრიელ სცდებიან. წარსული ყოველი ერისათვის მასწავლებელი არის; წარსული გვეუბნება, თუ რანი ვართ დღეს ჩვენ; იგი გვიჩვენებს, თუ საით მიდის ცხოვრების გზა: წინ, თუ უკან, თუ წინ, გასწი- და მამათა შეცდომანი ასწორე შენ—დღევანდელმა შვილმა; თუ უკან—ეცადე მაგალითი ისევ წარსულიდან ამოგლიჯო. როგორც სხვისთვის, ისე ჩვენთვის. წარსულის ამასთან აწმყოს შესწავლა აუცილებელი საჭიროებაა. თუ ჩვენი ერის და

*) სანდალას წერილებში ეს აზრი გატარებული არ არის. ავტორი ცდება.
რ ე დ.

მისი მომდინარეობის გვარიანი ცნობა არა გვაქვს, ვერას გავაკეთებთ, თუნდაც გვექონდეს შექენილი მთელი ცოდნა ევროპისა, როცა ჩვენი ერი კარგად გვეყოლება გაცნობილი*) მაშინ შეგვეძლება ცოდნაც მრავალბაროთ მის (ხალხის) მდგომარეობის დაგვარად. შეიძლება წარსული და აწმყოც არ გვექონდეს კარგი, მაგრამ ამას როდი უნდა ვუტყვიროთ, არამედ იმას, რომ ეს ცუდი ჩვენი საკუთრებაა. მაშასადამე ჩვენი ეს ცუდი საკუთრება ისე უნდა მივიღოთ, როგორც წმიდათა წმიდა და ვეცადნეთ შევასწოროთ.

დიან; სანდალას თუმცა არ მოსწონს ჩვენი წარსული (და არც აწმყო), მაგრამ მეთაური წერილის ავტორი სულ სხვას იძახის: „რა უკადრისობა, რა ლანძღვათრევა, რა უწმაწურობა არაკადრის ჩვენს მამა პაპას, ჩვენს წარსულს სასიქადულთ საისტორიო კაცებს, ჩვენს თავმონაწონებელს ძველს თუ ახალ მწერლებს“. სანდალამ თუმცა ცუდად მოიხსენა ჩვენი ყველა, მაგრამ ამით მას დიდო ცოდო არ უქნია, ცილი არავისთვის დაუწამებია; იმან მხოლოდ ის მოსთხოვა ჩვენს წარსულებს, რაც დღესაც არ ესმით ჩვენს ვითომდა ხალხის მეთაურებს. აი უბედურება! ერთი სულ უარს ჰყოფს წარსულს, მეორე კი მხოლოდ წარსულში ეძებს ნეტარებას. საკვირველია, რომ ჩვენში წარსული თავყვანის საცემად არის გამხდარი, ყველგან მოგვსმით: „**ტაც ვიჟავით, ის აღარ ვართ, რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებიო**“... ნუ თუ ის წარსული ვაივაგლახი, ის უწესოება, ეს მხეცური მოქმედება სანატრელია ვისთვისმე??...

ვერც ჩვენი წარსული და ახალი მწერლებით მოვიწონებთ. თავებს; ჩვენი მწერლები უწინ სთარგმნიდნენ ბეტქნულიდგან და უფრო ხშირად სპარსულიდგან. სპარსული ზღაპარ-სიტყვაობა, გაზვიადებული უანტაზიის ქმნილება ძრიელ იტაცებდა ქართველებს და დიდხანს ქტკობდა შემდეგ ცოტად გამოერკვენ ქართველი მწერალნი, მაგრამ მათი სუსტი გონება გარე-მორტყმულ საგანთ და ღვთის დიდებას მაინც ვერ გასცილდა: ერთად ერთი რუსთაველი გვყავს, რომლის წინაც მუხლს იდრეკს როგორც შეგნებულნი, ისე თვითელი ჭკუის გლახა ქართველი. სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ ბევრს არც კი წაუკთხავს „**ვეფხოს ტყაოსანი**“, მაგრამ რაკი ჩვენს „**ტუზებს**“ ეს უქიათ, მაჩანწლებიც უკან ასდევნიბიან, მართალბა, როგორც იმდროის მწერალი რუსთაველი პატივსაცემია, მაგრამ ქართველების

*) ერის წარსული ისტორიის შემეცნება სხვა რამითაც არის სასარგებლო.
რ ე ღ.

მისდამი ასეთი მოპყრობა მხოლოდ ჩვენი ურის გონების სისუსტეს ფვიმტკიცებს. აბა რას შვავს ეს: ამას წინაღ ვილაც მეკამფეტემ თავის კამფეტს „რუსთაველის კამფეტი“ დაარქვა. თანაც შემოუჭირა ამ კამფეტებს პატარ-პატარა სარტყლები, რომლებზედაც რუსთაველის სიტყვები იყო დაწერილი. ხერხიანმა მეკამფეტემ მიიზიდა მრავალი ქართველები, რომლებიც დიდის სიამოვნებით ყიდულობდნენ „ჩვენი რუსთაველის“ კამფეტებს. უთუოდ ეგორათ ქართველებს, რომ ამით კამფეტებს ქართული თვისებები მიეცაჯო. ეს ასე, მაგრამ ჩვენ მაინც ნება არა გვაქვს წარსულს დავემდურნეთ, რადგან სახეში ყოველთვის უნდა ვიქონიოთ საქმისა და გარემოების მიმდინარეობა. წარსულს ვერ დავემდურებით, იქ ბევრი რამ უშლიდა კაცს ხელს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ აწმყოშიც, როდესაც თავისუფლება და ბევრს სახსარიც ხელს უწყობს, თითქმის მეტს ვერას ვხედავთ. მთელი ქართული ლიტერატურა რომ გადაათვალიეროთ, ძლიერ იშვიათად, ე. ი. ძლიერ ძნელად შეიძლება ვიპოვოთ რამ სასარგებლო წიგნაკი. ეს იმ მიზეზით, რომ ჩვენ მწერალთ არ აქვთ მტკიცე ცოდნა შეძენილი, მათ არა აქვთ აღნიშნული თვისი საგანი. მართალია ქართულს ენაზედ არის დაწერალი ბევრი კაი მოთხრობა, მაგრამ უნდა გამოვსტყდეთ, რომ ჩვენ, ჩვენს მოთხრობებს დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევთ, რადგან ვერ ვხედავთ იქ რამე სწავლა-დარიგებას. მწერალს თავის თანამედროვე ცხოვრებაში შეუნიშნავს ცუდი, თუ კარგი მხარე და ასეთი მოვლენა ასე თუ ისე დაუხატავს თვის ნაწარმოებში, ამასთან ზოგ თავის გმირს დასცინის, მიწასთან ასწორებს, ზოგს აღიღებს და თავს ევლება. მოთხრობებში დახატულ მწერლის თანამედროვე ცხოვრება ან ცხოვრების რომელიმე მხარე, ამისთვის მოთხრობებს აქვთ მნიშვნელობა მეისტორიესთვის, რომელსაც შეეძლება მათი შემწეობით გამოიკვლიოს თუ რა მდგომარეობაში იყო ხალხის ცხოვრება სხვადასხვა დროს. მაგრამ არც ამ მხრით არის დიდფასოვანი მნიშვნელობა მოთხრობებისა, რადგან აქ მწერლის ფანტაზია ძრიელ თავისუფლად მუშაობს და ვინ იცის, რა არ დააპბადოს თავისუფალმა ფანტაზიამ. ისევე ესა სჯობს, თავი დავანებოთ ზღაპარ-იგავ-სიტყვაობას და პირდაპირ წარმოვსტყვათ ის, რასაც ვხედავს ჩვენი თვალი, ჩვენი გონება. ვითომ რაო, რომ ბ. პალიკო ყიფიანმა ასე გააგრძელა თავისი მოთხრობა „ხილია ჩატეხილი“! ჩვენთვის სრულიადაც არ იყო საჭირო არა მკითხვე მოამბესავით სიტყვის გაგრძელება... ბ. პალიკო ყიფიანი უკეთესს იზამდა, თუ იგი თორ, სამ ფელეტონში დაფიქრებით გამოსტყვამდა იმას, თუ რა არის

დღეს ჩვენი ნასწავლი ახალ-გაზღობა და რა უნდა იყვეს იგი. ნიკო ნამდვილი ტიპია აწინდელის არამც თუ მარტო თავად აზნაურობის ნასწავლი ახალ-გაზღობისა, არამედ მთელი ნასწავლი ახალ-გაზღობისა საზოგადოდ. მაგრამ ჩვენ სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ნიკოები შვილები არიან პალიკო ყიფიანისთანა მამებისა, რომლებმაც დაჰბადეს დღეს ნიკოები, გამოიყვანეს ცხოვრებაში და დახეთ—ას-კიკუას ათამაშებენ ამ საბრალო არსებათ, ეს პატივცემულნი მშობელნი და თვითვე სტკბებიან ამ თამაშობით. საბრალო ნიკოებო!.. თუ თქვენ კეთილი მამები გყავთ, ეს არა სჯობიან მამაშვილური დარიგება მოგცენ?!. მაშინ ხილსაც გაამთელებდით და უკან ჩამორჩომილ მოძმეს მუდამ ხელ-ჩაკიდელი ატარებდით. ეხლა კი თვითონ თქვენ გეჭირვებათ წინ გაძლოლა... ხილის გამთელებას, დიდი მუშაობა უნდა თქვენ კი სუსტნი ხართ. მაგრამ რას იზავთ; ჩვენში დღეს დაცინვა თუ შემოგესმით, რადგან ყველას მხოლოდ ამ ხელობაში აქვს ტვინი გაფარჯიშებული...

დავანებოთ ამას თავი და დავუბრუნდეთ ისევ მეთაური წერილის ავტორს, რომელიც ჩვენს მწერლებს თავმოსაწონად რაცხს. რითი არიან ჩვენი მწერალნი მოსაწონნი? ნუ თუ იმით, რომ იგინი აღიღებენ ჩვენ წინაპრებს, ჩვენ ყველას, ამასთან ალტაცებით ხატავენ, კავკასიის ისეც მშვენიერს. ბუნებას წვრილმანა ლექსებში, გინდა მოთხრობებში?! ჩვენ ყველა შეგნებული კაცი დაგვცინებს, როცა ჩვენი მწერლებით, ჩვენი „სასიქადულო საისტორიო“ პირებით თავის მოწონებას ვიწყებთ: ჩვენი წარსული, ჩვენი აწმყრ თუმცა ბევრმა კარგად იცის, მაგრამ იმდენად უბედურნი ვართ, რომ გვინდა ჩვენვე დავფაროთ ჩვენი ნაკლი და პატარა ღავშესავითა გვსურს თავების ქება. მეთაური წერილის ავტორი იოცებს: „ნუ თუ ჩვენი პატიოსანი და ნამუსიანი გლეხი იგი ხეა, რომელიც ამისთანა (სანდალასთანა) ხილს ისხავს!“ და ამბობს, რომ სანდალა თავის უწმაწურობით ატურტლიანებს გლეხის პატიოსნებასო. ვინ არის გლეხი? ვის ახსოვს მისი ვინაობა?.. ვინ აფასებს გლეხის პატიოსნებას, რომლის გატურტლიანებაზედ ასე სწუხს მეთაური წერილის ავტორი? ვიცით, ძრიელ კარგად ვიცით, რომ სიტყვა „გლეხი“ ხანდისხან მხოლოდ სიტყვის მასალად იხმარება ჩვენი „თბილ-თბილი“ პატრიოტებისგან თავ-თავის კაბინეტებში. გლეხის ვინაობა, მისი ავ-კარგი, მისი უბედური მდგომარეობა მივიწყებულია. არავის ახსოვს გლეხი, რომელიც მხოლოდ ღვთის ანაბრობაზედ გდია ვრცელ სოფელში და ითვლება ღონიერის ფეხქვეშ. სანდალა კი არ სვრის გლეხის სახელს (რო-

გორც ჰგონია მეთაური წერილის ავტორს) არამედ ამშვენებს, და დიდი ბედნიერი იქნება საქართველო, თუ კი სანდალასთანა გლენები (თუნდა სხვებიც) ბევრი ეყოლება. მხოლოდ სანდალები და ჰბადავენ ნამდვილ მამულის შვილებს და ეს უკანასკნელნი სამშობლოს ბედნიერებას. მეთაური წერილის ავტორისთანა და მეფე-ლტონისთანა იგზუიტები კი მხოლოდ მაჩუყარე^{ად} და ქვეყნის დანტუპელებად იქნებიან. შეიძლება ეს ვინმემ იწყინოს, მაგრამ რა ვქნათ, როცა მართალია. აბა დავფიქრდეთ რას გშერებით... ქვეყანას ვის ვუმზადებთ... დედ მამას საულაღიდან არაკინ ამოიღებს, მამა-პაპას არავინ შეაკვინებსო. აქ უკადრისობა არ იქნება, თუ კი იგინი ამის ღირსნი არიან. ჩვენი ისტორია გვიდგენს წინ ბრბოს სამშობლოს დამლუპველებისას; აი ამისთვის შეგვიძლიან თუ გინება არა, ასე არ ვაღმერთება მაინც. ჩვენ იმას კი არ უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენი ნაკლი ჩვენვე დავფაროთ, არამედ იმას, რომ იგი ჩვენვე გამოვაზიაროთ და შევასწოროთ; ეს თავის შერცხვენა კი არა, ჩვენი გამოფხიზლება იქნება.

„ღიახ, ბატონებო, სანდალას ნაწერისთანა მოვლენა სახუმარო მოვლენა არ არის. ეგ ნაწერი, მართალია, ჩვენის ცხოვრების ჩირქია, უკვე მუწუკიდან გამორწყული, რაკი დაიწერა, მაგრამ ვინ გვითავდებებს, რომ მაგ მუწუკს საზრდო და საკვებავი აღარა აქვს ჩვენში? ვინ გვითავდებებს, რომ რაკი გამოირწყო, მუწუკიც მოგვირჩა და ჩვენს ტანს ცხოვრებისას კვლავ ზედ არ აზის ჩვენდა სამარცხენოდ, ჩვენდა სატკივრად? სანდალასავით რომ ნაცარქექიები მოედანზედ გამოდიოდნენ, ვითარცა აზრთა აღებ-მიმცემნი და მოჭიდავენი, ეს ვერაფერი ნიშანია დანარჩენების ფალავნობისა: იმედი უნდა აიყარო ყველაფერზედ და ხვალინდელი დღე აღარ იწამო. ვაი სანდალას და უფრო ვაი იმ საზოგადოებას, იმ ერს, იმ ქვეყანას, საცა სანდალასავით მბლაჯნავები შესაძლებელნი არიან!“... ამ წუხილით ათავებს ენამეტყველი ავტორი თავის წერილს.

ჩვენც ვიცით, რომ სანდალას ნაწერი სახუმარი არ არის, რადგან სანდალას ხუმრობა სრულიად არ ჰქონია სახეში. მისი ნაწერი ჩვენი ცხოვრების ჩირქია, მაგრამ სანდალამ ისე ვერ გამორწყო მუწუკი, რომ ჩირქს აღარ შევეწუხებინეთ და ტკივილს გაველო; ეს არც შეეძლო მარტო სანდალას. სანდალა მხოლოდ ეკუთვნის იმ დასს კეთილ-მოღვაწეთა, რომელიც ტკივილს იკრძნობს და სენს განკურნას უწყებს. ამგვარ კაცებს თვით დრო ჰბადავს და მაშ ჩვენ ვერ ვუთავდებებთ მეთაური წერილის ავტორს, რომ იმის და იმისთანე-

ბის კრანს ცხოვრებისას“ ასეთი მუწუკი აღარ დაწვდებან, არ განადგურებან. ეს ძრიელ კარგი და სასიამოვნო ნაშენია, რომ სანდალამ ასე შეხება ჩვენს მასხარულს ცხოვრებას: დღევანდელი უვიცი, მაგრამ მგრძობი სანდალა, თესლია ხვალისდელი მცოდნე და ასეთი უწესობების გამანადგურებელ სანდალასი. აქ კიდევ გავიგებოვრებთ, რომ ქება და დიდება იმ ხალხს, რომელსაც სანდალასთანები ბევრი ჰყავს, რადგან სანდალა აჩრდილია შემდეგ პატიოსან მოღვაწეთა. მხოლოდ ვაი იმ ქვეყანას, იმ ერს, რომელსაც რამდენიმე საუკუნე გამოუვლია და დღეს ლიტერატურის ასპარეზზე დაჰბადებიან მხოლოდ მეფეღეტონესთანა და მეთაური წერალის ავტორისთანები...

როგორც ფელეტონში, ისე მეთაურს წერილში გამოსჩანს პატრიოტული გრძობა და მხოლოდ ამის გულისთვის არის წარმოთქმული ის გულის წუხილი, ის წყრომა, თურცა კი ჩვენში ერთიც არავინ არის ნამდვილის პატრიოტულის გრძობით გამსჭვალული.

ყოველი კაცისთვის, თვისი სამშობლო დიდად საყვარელია, ძვირფასზედ ძვირფასია. უნდა ნახოთ, თუ რა ცეცხლი ენთება კაცის გულში, როცა მის სამშობლოზედ სხვა ჯომი ცუდს ამბობს და ისიც უნდა ნახოთ, თუ რა სიხარულის ტალღები ათრთოლებს, როცა სამშობლოს უქებენ, თუნდაც დარწმუნებული იყვეს, რომ ეს ქება ტყუილია, ე. ი. სამშობლო ღირსი არ არის ამ ქებისა. ხშირად ვხედავთ, თუ როგორ სწუხან სამშობლოზედ გარედ მყოფნი, ან როგორ მეგობრდებიან თვით წინად ბტერნი, მაგრამ შეილნი ერთის ქვეყნისა სხვა ქვეყანაში. მამულისადმი ასეთი სიყვარული არც საკვირველია: პირველი დღიდანვე კაცი ჰხედავს ერთ არე-მარეს, ერთ ხალხს, ესმის ერთი ენა; პირველი დღიდანვე ყველა ამას ეჩვენება, ითვისებს, ერთის სიტყვით, სულით და ხორციით უერთდება ყველა მას, რაც გარს არტყია. ამ გვარი სიყვარული თითქმის დაბადებით წყვება ყველა სულიერ არსებას და მაშასადამე ამ სიყვარულით არის გაგესლილი როგორც დიდი მეცნიერი, ისე უკანასკნელი მუშა, პირუტყვი და სხ.

სულიერი არსება ყოველივე ცოტად, თუ ბევრად გამუდმებულს მუშაობაში, მოქმედებაშია. ამ მოქმედებისთვის საჭიროა მრავალი მასალა, საზრდო, რომელსაც სულიერი არსება ჰპოვებს უფრო დაახლოვებით ნაცნობ საგნებში. ხშირად ვხედავთ ცხოვრებაში, თუ რა სასოწარკვეთილებაში ვარდება კაცი, თავის სატრფოს დაკარგვის შემდეგ და ხან კიდევ ისპობს უძვირფასეს ქონებას—სიცოცხლეს. აქ მარტო სისუსტე არ არის დამნაშავე: კაცი ანუ სწორედ ვსთქვათ,

კაცის სულიერი არსება მხოლოდ ამ სატრფო საგანში ჰპოვებდა სამყოფ საზრდოს და ამით ცხოვრებდა. დაიკარგა ეს საგანი და სიცოცხლის ძარღვიც წყდება, რადგან სულიერმა არსებამ სამყოფი საზრდო ვეღარ მოიპოვა. ასეთსავე მოვლენას ვხედავთ პირუტყვშიც.

ავიღოთ თუნდა ძალი, რომელიც დაუშორებიათ შეჩვეულ პატრონს, შეჩვეულ არე მარეს, ეს საბრალი პირუტყვი არც სჭამს, არც სვამს, მხოლოდ გდია და საცოდავად ყბუის მთელ ღღეს და ღამეს. როგორც სჩანს, ამ გვარი სიყვარულით არის გაგესლილი თვითული ცხოველი და მაშ კაცს ნება არა აქვს ასეთი სიყვარული თავის საქებრად მიიჩნიოს. თავის საქებარი სიყვარული მამულისადმი სულ სხვაა და აბ მხოლოდ ეს სხვა სიყვარული უდგამს კაცს დაურღვეველს ძეგლს. სიტყვა „მამულის სიყვარული“ რამდენიმე მნიშვნელობიანია და ამასთან ვრცელ აზროვანი. ერთ გვარ სიყვარულზედ ჩვენ უკვე ვსთქვამთ რავდენიმე ყიტყვა. მეორე და ნამდვილი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი შვილი მამულისა ვალდებულია უყვარდეს მამული იმ აზრით, რომ რამე სარგებლობა აძლიოს თავის ერს, თავის მოძმეს. აი ასე ესმით ამ აზრის მნიშვნელობა და არა ისე, როგორც ჰგონიათ ჩვენს ცრუ-პატრიოტებს, რომელნიც მხოლოდ ფარისევლური სიყვარულით არიან გაგესლილნი, რომელთაც თავიანთი ქართველობა ღიდ რამედ მიაჩნიათ, რომელნიც გაიძახიან: „მამული—ჩვენი (ნეტა სხვა სადღაა!) საქართველო უნდა გვიყვარდესო, ვინც ამაზედ ცუდს იტყვის ის ღვთისგან წყეულია, იმას ქართული სისხლი არ აქვსო“ მარტო ამისთანა ყვირილში როდია საქმე. თუ კაცი ნამდვილი პატრიოტია, იმან სულიც, ხორციც, მამულს უნდა შესწიროს, თუ კი ჰხედავს, რომ მისი მსხვერპლი ტანჯულ ქვეყანას მალამოდ უხდება. ჩვენი ცრუ—პატრიოტები კი, რომელნიც გაიძახიან: მამული გვიყვარსო, ხდებიან ქვეყნის დამლუპველებად; ესენი სცარცვენ, სულს უხუთვენ ისეც შევიწროვებულს მოძმეს და ასეთსავე მცარცველ-მტანჯველებს უმზადებენ, უზრდიან შემდეგისათვისაც. ჩვენის პატრიოტების აზრით, როგორც სჩანს მათის მოქმედებიდან, მამულის სიყვარული იმაში მდგომარეობს, რომ ყოველთვის აქო და აღიღო ყოველივე ქართული; შეიძულიო, შეიზიზლო სხვა ტომი, მხოლოდ იმისთვის, რომ სხვა ტომია; სჭამო ჯამში ხახვ დაჭრილი ლობიო თითებით—ქართულად; სვა ბლომად ყანწით ღვინო და ქეიფის დროს სტკბებოდე ვითომდა ქართული დუღუკის მშვენიერს (?) ხმაზედ. გარდა ამისა, შვილი რომ მოგეცეს, დაარქვი ჩვენი ძველი გმირების სახელი და ყველა ამის შემდეგ იქნე-

ბი ნამდვილი ქართველი, მოყვარე შენის ტურფა სამშობლოსი. ამ სიტყვებს ბევრი მოღალატობაში ჩამოგვართმევს და დაგვცინებს. მაგრამ რა ვქნათ, ჩვენ ვამბობთ იმას, რასაც თვალთ ვხედავთ, რაც ნამდვილად არის. ჩვენი ქვეყანა დიდ შეჭირვებაშია, ბევრი შველა უნდა, მაგრამ ქვეყანა მივიწყებულია და ჩვენი ცრუ-პატრიოტები, მოთავენი მთელი ქართველი ერისა, მხოლოდ პიროვნული ინტერესებით არიან გატაცებულნი. ერთად-ერთს ბ. წინამძღვრიშვილს ვხედავთ, რომელმაც ნათლად შეხედა ჩვენის ქვეყნის შეჭირვებულ მდგომარეობას და დაუარსა საკუთარის ღონით ისეთი შკოლა, რომელიც აუცილებლად სასარგებლოა ქვეყნისთვის. არიან ბევრნი სხვანაირი, რომელნიც ზრუნავენ საზოგადო საქმისთვის, მაგრამ ეს ზრუნვა უსულაა და ამისთვის უსარგებლო. ერთხელ ერთ ადგილას სთქვეს: „წინამძღვრიშვილი შემწეობას თხოულობს თავის სკოლისთვის და უის რა ვალი აქვს, რომ დაეხმარო, როგორც დააარსა, ისე კიდევ უნდა შეინახოს“. ესევე გაიმეორა ერთმა ჩვენმა „ტუზმა“ თავად-აზნაურთა კრებაზე: „წინამძღვრიშვილს საბუთი არა აქვს ჩვენ შემწეობა გვთხოვოს თავის სკოლისთვის; ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი სკოლა და თუ შეგვიძლიან, ამას უნდა დავეხმაროთ“. ჩვენის აზრით. ბ. წინამძღვრიშვილის საბუთი წმინდათა წმინდა იყო, ეს იყო ქვეყნის ბედნიერება. მაგრამ დახედეთ გაყინულს გულს, რომ იმასაც ვეღარ გრძნობს, თუ ბ. წინამძღვრიშვილის სკოლაც იმისი საკუთრებაა, ამასთან უფრო სასარგებლო. აი რა გვესმის იმ პირებისგან, რომლებიც დღეს ჩვენში მოთავეებად ითვლებიან. ამ გვარ პირებს კარგად ვიცნობთ და ამისთვის ვიტყვით, რომ იგინი ქვეყნის მოთავენი კი არა, არამედ თავად-აზნაურთა დაცემულობის მფარველნი და თავიანთი პიროვნული ინტერესების აღმასრულებელნი არიან. დიახ, ასეა დღეს ჩვენში საქმე, რომელსაც არც სიტყვა ჩამოუვარდება. გადაავლეთ თვალი ჩვენს მწერლობას და იქაც იმავე სისუსტეს, უსარგებლობას დაინახავთ. დაიწერა ჩვენში „კაცია ადამიანი“. „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „დედა მათა“, „ლამის მებრე ცეცო“, „ალი“, „ქაჯანა“, „ბედუკუღმართი ჯალაბობა და სხვა ამგვარი წვრილმანები—დაიწერა ყველამ ეს, მაგრამ ამათ ცოდნა, ახალი ცხოვრება ვერ დაბადეს, რადგან აქ კაცის ტვინმა ვერ ჰპოვა საზრდო, დარიგება. მართალია, ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ეს შეცვლა სრულიადაც არ იყო შედეგი ზემოდ ხსენებულის ნაწერებისა; დრო თანდათან წინ მიდის, თან მიჰყავს კაცობრიობა და შეჰყავს სულ სხვა გარემოებაში. მოთხოვია „კაცია ადა-

მიანი* არის ზებრალო ცხოვრება, რომელიც დაჰბადა ათასმა გარემოებამ; აქ მწერალს დაუხატავს ის, რაც თვალით უნახავს, მაგრამ ჭსეთი მხატვრობა სრულიადაც არ იყო მალამო, შეზავებული იმ დროის კაცის წყლულისთვის, იგი მხოლოდ უკი აზრი იყო გაკონილი, რომელსაც ავტორში ღრმად ვერ გაედგა ფეხები... ავტორი დასცინის ბუნების ქმნილებას—ლუარსაბს, რომელიც სრულიად უმანკო იყო თვის ცოდვებში; დასცინის იმ კაცს, რომელიც გადმოაპინტრიშა ბუნებამ ცხოვრების ასპარეზზე და რომელსაც მიზნად ჰქონდა მხოლოდ სიცოცხლე, ჭამა. ეს იყო მთელი მიზანი ლუარსაბისა, რომელმაც მეტი არა იცოდა რა; ამ უცოდინარობაში კი იგი არ იყო დაშინავე. მაშინდელი უგრძნობი ლუარსაბები სრულიადაც არ არიან დასაყინი, როდესაც დღევანდელი მგრძნობი ლუარსაბები თავებს გვაჭამენ, სულს გვიხუთენ. დიახ, დღევანდელი ჩვენი ლუარსაბები ყველაფერს კარგად გრძნობენ, თანაც გვიქადაგებენ ჩატეხილი ხიდების გამთელებას, მაგრამ თვით ისევ მისტირიან თავის სიმსუნაგეს და მზად არიან ამ სიწუწუკეს შესწირონ მთელი თავისი ქონება, ჩატეხილი ხიდებისთვის კი ერთი ფიცარიც ენანებათ. ვაი ჩვენს დღეს, რომ უგრძნობ ლუარსაბებს დღეს ჩვენმა მგრძნობმა ლუარსაბებმა გადააჭარბეს...

*კაცია ადამიანის, დამწერსვე ეკუთვნის მოთხოვნა „გლეხის ნაამბობი“. აქ შესანიშნავი ერთი ადგილია, სადაც გლახა (სწორედ რომ ესთქვათ, ავტორი) გვიხატავს მღვდელს. მაგრამ ეს მღვდელი სუსტი არსებაა, თუმცა ავტორი ძას იდეალად გვიხატავს. იმ მოძღვარს წიგნის სარკებლობის ქადაგებასთან ისეთი სიტყვა უნდა შეესმინა საზოგადოდ ხალხისთვის, რომ ეს სიტყვა გულს იხვედროდა, სული შეემაგრებინა, ამ ორს ნიადაგში იას (სიტყვას) გაედგა ფეხები და შემდეგ ნაყოფი გამოეღო. გლახა გაბრიელი სრულიადაც არ არის ნაყოფი მღვდლის სიტყვებისა, იგი ავტორმა შეამკორაღაც მანქანებით. ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ გაბრიელი მღვდელთან დადიოდა და მის სწავლა-დარიგებას ისმენდა; თუ როგორი იყო, რაში მდგომარეობდა ეს სწავლა-დარიგება, აღარ ვუწყით... მასწავლებლის ხელოვნება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მუდამ ეუბნებოდეს თვის შევირდებს: „კარგი, მცოდნე ბიჭები უნდა იყვნენო“, არამედ იმაში, თუ რა გვარად და რა გამოიყვანს მათ კარგ მცოდნე ბიჭებად. ამისთვის ამ მოთხოვნის დამწერს ისეთი დარიგება უნდა დაეწერა, რომ ვისაც წაეკითხა, კიდევ მოეპოვებინა ტვინისთვის სასარგებლო საზოდო...

ბ. ბ. მგალობლაშვილმა და ლომაურმა მშვენიერად გამოხატეს ხალხის ზოგიერთა ცრუ-მორწმუნეობა, სოფლის ცხოვრება; მაგრამ მათ მოთხრობებს რომ დაეუკვირდეთ, დაეინახავთ, რომ აქ დაიცინება სუსტი გლეხი. ჩვენ რომელთაც მიგვიღია ცოტაოდენი სწავლა, რომ არა გაგვეგება რა ამ ქვეყნისა, რა საკვირველია, რომ გლეხმა, რომელიც შობა, აღზარდა მხოლოდ ბუნებამ, არა იცოდეს რა? ეს (გლეხი) ბავშვია, რომელიც ჩვენზედ უარესის ბნელის თვალით უცქერის ამ გასაოცარ ქვეყანას. მაშ გასაოცარი არ არის, თუ ხალხს სწამს ანაღის არსებობა, ან მკითხავის ძალა. ეს უკანასკნელი რწმუნება არც საკვირველია ხალხისგან: კაცი გაჭირვებულია, იგი ვერ ხედავს ღონის-ძიებას ვერც სხვაგან, ვერც თავის სუსტ არსებაში. იგი ერთხელვე დარწმუნებულია მკითხავის ძალაში და აი მხოლოდ ამისთვის მიიწევს მისკენ ყოველს გაჭირვებაში. ან როგორ უნდა ამოფხვრან ეს რწმუნებები ჩვენმა მოთხრობებმა? ჩვენ თუმცა ვიცით, რომ აღი არ არსებობს, მაინც რაღაც ყრუ ძალა გველანდება ხოლმე; მეორეც ესა, რომ გლეხი სრულიადაც ვერ მიუხვდება მოთხრობას; გარდა ამისა მან კითხვა ან სულ არ იცის, ან თუ იცის, ცუდად ესეც რომ არ იყვეს, ჩვენ კიდევ იმას ვიტყვით, რომ თუ ვინმე გულით და სულით დარწმუნებულია ცრუ მორწმუნეობაში, იმას ჩვენი მოთხრობები ვერ შეუცვლიან თავის რწმუნებებს.

დავანებოთ ამას თავი და ავიღოთ ბ. მგალობლიშვილის მოთხრობა „ღამის მეხრე ცეცო“, სადაც ზოგი ადგილი ძრიელ საინტერესოა. ეს მოთხრობა, როგორც მოთხრობა, გვარიათა: ავტორს კარგად აქვს გამოხატული ჩვენი სოფლის ცხოვრება, ის, რაც ნამდვილად ხდება ჩვენს სოფელში. მაგრამ აქ კითხვა იმაშია, რად დასცინის ცეცო მღვდელს, ბოქაულს, მოურავის უსამართლო ქცევას? ან რად მიბერტყეს მოურავი ცეცომ მიხამ და სხვებმა? განა ასეთი არა კეთილშობილური სურათი ეჭირვება ხალხს, განა ჩვენ ცეცო ტყეპა უნდა ვუქადაგოთ? არა, ეს არ ივარგებს და არც შეჭშვენის კაცის ქცევას. გარდა ამისა, ცეცოები მუდამ საპყრობილეში დაიტანჯერა. და დაემონა ამ სიტყვებს; დაემონა და ეხლა მართლა სუსტ არსებად ჰგრძნობს თავის თავს. მაინც ჩვენ იმას ვიტყვით კიდევ, რომ კაცმაც და ქალმაც იმდენად უნდა იშრომონ, რავენადაც მათ გარემოებანი ხელს უწყობენ. თუ ცეცოებს ცოდვად მიაჩნიათ დედაკაცების მუშაობა, ჩვენ მაინც კვერი კი არ უნდა დაუქრათ, არამედ უნდა შევასმინოთ, რომ მაშინ უფრო ბედნიერები ვიქნებით, თუ დედაკაცებიც მშრომელები გვეყოლებიან. ნურც იმაზედ შევიბრალებთ (და

ამით გულს ნუ შეუუცვლით) ეფემიებს, რომ იგინი ქერში დაჩოქილები სდგანან და მუშაობენ იმისთვის, რომ „ის ორი შაური“ მისცენ მოხელეთ, რომელთაც იგი დაარბიეს. „იმ ორი შაურის“ გადახდევინება სრულიადაც არ არის უსამართლო: ეფემიებს და ცეცოეას ინახავს მთავრობა, შენახვისთვის კი საჭიროა ორი შაურები. თუ ჩვენი მოხელენი უსინილისოდ იქცევიან, ეს სულ სხვაა და აქ ასევე ჩვენვე ვართ დამნაშავენი, „ბედუკულმართი ჯალაბობის“ და მის გვარი მოთხრობების წერას, ვგონებთ, ის სჯობს ხეირიანი დარიგება ვაძლიოთ ჩვენს მოხელეთ. მოიგონეთ ბ. მირიანაშვილის გეგენა, რომელსაც გზირმა შავი დღე დააყინა. ასეთ ტანჯვას გლეხი მუდამ იტანს სოფლის მოხელისგან; მოხელეთ კი იგივე გლეხი ხდება, მაგრამ როცა ჩვენი რეგენი გლეხი თავის მოძმეზედ ბატონობას იღებს, მაშინ იგი ყოყლოჩინობას იწყობს და სისხლს უშრობს თავისთანავე არსებას. ეს უსინილისობაა, ამასთან უბედურებაა ქვეყნისა. აი ეს უბედურება უნდა აფიქრებდეს იმათ, რომელთაც სამშობლოსთვის კეთილი სურთ; აუვიქრებდეს იმისთვის კი არა, რომ სწერო- „ბედუკულმართი ჯალაბობა“ და ამ გვერები, არამედ იმისთვის, რომ შეუმზადონ სენს სარგო წამალი.

ეს კარგად ვიცით, რომ ხალხის და ქვეყნის ბედნიერებას ჰბადავს განათლება. ამისთვის ყოველი დაწინაურებული კაცი უნდა ეცადოს, მისცეს თავის მოძმეს განათლება, რომლის გასაფრცვლებლად საჭიროა სკოლები. მაგრამ როგორი სკოლები? აი ეს არის პირველი კითხვა. ჩვენში სახალხო სკოლები მრავალია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს სკოლები სარგებლობის მაგივრად ზარალს იძლევიან და უჭირვებენ გლეხს ისეც შეჭირვებულ ცხოვრებას. გლეხმა უნდა გაცეს: მღვდელს, სოფლის მოხელეს, ნახევარი, ან მეოთხედი თავის ნაშრომისა უნდა მისცეს მამულის პატრონს და ყველა ამის შემდეგ გლეხს რჩება ძრიელ ცოტა, ამ ცოტადგანაც გამოვაკლოთ მასწავლებლის ჯამაგირი და მაშინ იგი სულ წყალ-წადიებული რჩება. გლეხმა თვითონაც კარგად იცის, რომ „ქალაღის“ ცოდნა დიდი ბედნიერებაა, მაგრამ რა ჰქნას უბედურმა, რომ ამის შესასწავლად არც დრო აქვს, არც სახსარი. მთელ დროს შრომაში ატარებს ზემოხსენებული ვალების გასასტუმრებლად, წიგნის შესასწავლად კი დრო აღარა აქვს. ესტყვათ ნინიკამ მისცა თავისი პატარა გიგა სკოლაში, სადაც ბავშვმა ლამაზად შეისწავლა კითხვაც, წერაც... შემდეგ გიგა წამოიზარდა, მამ ეხლა ხას შეუქლიან ცოტად მაინც დაეხმაროს თვის მამას, რომელიც წლებზედ ფეხს იდგავს, გიგა თანდათან იზრდება, შრომაც ემატება და ბოლოს მამის უღელი ედება კისერ-

ზედ. ეხლა კი დრო აღარ აქვს თავისი წიგნი წაიკითხოს ხოლმე და ამასობაში ყველა დავიწყებას ეძლევა. კვირა უქმითაც ვერ ჩაიხედავს ეს წიგნში: მთელი ექვსი დღე თავ-ჩაღუნული მუშაობდა, თავისუფლად ერთი იმა არ ამოუღია; დღეს (კვირა უქმეს) თავისუფალია, სურს თავისუფლად ხმის ამოღება, ახალი ამბების შეტყობა და ამისთვის იგი მიეშურები სოფლის სალაყბოსკენ, სადაც თავი მოუყრიათ მისთანებს...

როგორც დავინახეთ, პირველი მიზეზი სკოლების უსარგებლობისა დროს და სახსარის უქონლობაა, მეორე მიზეზი მდგომარეობის შემდეგში: სოფლის სკოლების მასწავლებლად მიდიან სამასწავლებლო სემინარიებში კურს შესრულებულები, რომელთა ხასიათი, გონება სრულიადაც არ არის შემუშავებული, გაწვრთნილი ამ დანიშნულებისთვის. სამის, თუ მეტის წლის განმავლობაში ხსენებული სემინარიელნი ისხდნენ სკოლის სკამებზედ და სწავლობდნენ სხვადასხვა აღმზრდელთა თეორიებს, მაგრამ ღმერთმა უწყის, გამოიტანეს რამე აქედგან, თუ არა. გარდა ამისა, უმი სწავლება ამ თეორიებისა სრულიადაც ვერ მოამზადებს ბავშვის აღმზრდელს, რომელიც ისე ხელოვნურად უნდა იყოს გაწვრთნილი ყოვლის მხრივ, რომ როგორც სარკეში, ისე იტკირებოდეს ბავშვის სულსა და გულში. ბავშვის გონების, ხასიათის შემუშავებას, გაწვრთნას დიდი მომზადება, დიდი ხელოვნება უნდა, სოფლის სკოლებისთვის განზადებული მასწავლებლები კი ამას აშორებულები არიან. გლეხი კარვად ხედავს, რომ „უჩიტელი“ მათ შვლებს ვერას ასწავლის და სკოლაში იგინი ტყუილად დაიარებიან. მას (გლეხს) ეს გულს უცრუებს სკოლაზედ და აღარც კი უნდა თავისი ბიჭი იქ მიაბაროს. გლეხი სკოლაზედ მაშინ იქნება წახალისებული, როცა ცოტად მაინც დაინახავს მის სარგებლობას. სასოფლო სკოლების უსარგებლობას ვერ ხედავს ჩვენი წინ წასული საზოგადოება, რომელიც უნდა იყოს წინამძღოლი უკან ჩამორჩომილია: ჩვენში არსებობს „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც ცდილობს ამრავლოს იმგვარბ სკოლები, როგორებიც გვაქვს. ნეტა თუ რა აზრი აქვს ამ საზოგადოებას? ნუ თუ ის, რომ ჩვენმა გლეხმა კითხვა და წერა ისწავლოს? მართალია, თუ ჯერ კითხვა და წერა არ შევისწავლეთ სხვასაც ვერას შევისწავლით, მაგრამ ჩვენ გლეხს, რად უნდა ანბანის ცოდნა? კიდევ რომ იცოდეს, რა უნდა იკითხოს? გვაქვს გლეხისთვის წიგნები?..., ჩვენ თუ მამული, მოძმე გვიყვარს, იმას კი არ უნდა ვეცადნეთ, რომ იმას ტანჯვა მოვუმატოთ, არამედ იმას, რომ შელავათი მივსცეთ, ან თუ

შრომა მივალბინოთ, მივალბინოთ სასარგებლო საქმისთვის, მაგრამ ჩვენს პატრიოტთა ეს თითქოს სახეში არც კი აქვთ. „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ უკეთესს იზამს დააარსოს სამეურნეო და სახელოსნო სასწავლებლები, თუნდა ისეთები, როგორც ბ. წინამძღვრი შვილმა დააარსა. იმგვარ სკოლებში მოსწავლენი წიგნის გარდა შეისწავლიან როგორც ტეორეტიკულად, ისე პრაქტიკულად სხვადასხვა გვარ მუშაობას, საუკეთესო წესებს მუშაობისას, საუკეთესო იარაღებით. ასეთი სკოლები აუცილებლად სასარგებლონი იქნებიან და როცა გლეხი დაინახავს ამ სარგებლობას, მაშინ სკოლას გულიანად მოეპყრობა და ეცდება თვისი ბიჭი უეჭველად იქ მისცეს. მეურნეობის შესწავლა ჩვენი ერისთვის საზოგადოდ ძრიელ საჭიროა, რადგან ჩვენი მეურნეობა გადაცემულია. როცა მეურნეობას გავაუმჯობესებდნენ მაშინ სახსარიც გვექნება და სკოლებსაც მაგარ ნიადაგზედ დავაყენებთ. მანამდის კი ხალხს თუ შრომას ვიწვევინებთ სკოლებისთვის, უნდა გავაწვევინოთ იმგვარ სკოლებისთვის, რომლებიც შემდეგ სასარგებლო ნაყოფს გამოიღებენ. ვერ გვიშველიან ეს ეხლანდელი სკოლები და ვერც ის მოძრავი სკოლები, რომლების სარგებლობასაც ვილაც გვიმტკიცებდა ამას წინად „ივერია“-ში. ჩვენ მუდამ სხვა ქვეყნიდან მაგალითის აღება და სუფთა კაბინეტებში წინასწარმეტყველება როდი გამოგვადგება, თუ მიძმისთვის კარგი გვინდა, ჩვენ მუდამ ხალხში უნდა ვიყვნეთ, მის ავს, კარგს თვალი უნდა ვადევნოთ, მისი ყველა მოთხოვნილება უნდა ვიკვლიოთ და ამის დაგვარად ვიმოქმედოთ. მაგრამ რას იზამს კაცი, როცა არ გვინდა შევიტყოთ, თუ რა არის დღეს ჩვენთვის საჭირო, თუ რის მაგივრად რას ვშვრებთ. დიმიტრი ყიფიანის დამარხვის დღეს ერთმა ჩვენმა ლიტერატორმა სთქვა: დღეს ჩვენს ხალხში პატრიოტულმა გრძნობამ რამდენიმე გრადუსით (?) მალლა აიწიაო“. აი როგორ გვესმის, თუ რა არის პატრიოტული გრძნობა!.. არა, ბატონებო, პატრიოტობა სულ სხვაა. ჩვენ სიტყვით გვინდა ხალხისთვის. კეთილი, საქმით კი ხალხზე შორსა ვართ, შორს—იმისთვის, რომ არ ვიცნობთ ხალხს. ქართველი ერი და მისი ბედისწაღი მარტო თბილისში როდია. გადავავლოთ თვალი ჩვენს სამშობლოს, კარგად გავარჩიოთ მისი ცხოვრება და მაშინ ცხადად დავინახავთ, თუ რა უგზო-უკვლოდ მიმდინარეობს როგორც თავად-აზნაურთა ცხოვრება, ისე გლეხისა, დროა თავი დავანებოთ სხვადასხვა უსიამოვნებას, დავიდარაბას, როგორც კერძოს, ისე საზოგადოს; დროა ვიგრძნოთ, თუ რა არის დღეს ჩვენთვის საჭირო და გადმოვუხვიოთ გზას ცხოვრებისას. ჩვენი

წინ წასული საზოგადოება იმდენად შეგნებულა, რომ თუ დატვიკრ-
და, თუ ცხოვრებას ნათლის თვალთ შეხედა, ყველაფერს კარგად
იკრძნობს და შესძლებს საქმის სწორე გზაზედ დაყენებას. მაგრამ
საუბედუროდ, ეს მძალე პატრიოტიზმი ყველას გვიმონებს და ამ და-
მონებით იღუპება მთელი ქვეყანა.

აქ დრომდე შევსწყვეტავთ ჩვენს ბაასს და ბოდიშს ვიხდი
მკითხველის წინაშე, თუ მას რამე ვაწყენინეთ. ჩვენ სრულიადაც არ
გვქონია სახეში არც ღალატი, არც ვისიმე გაჯაფრება. ჩვენთვისაც
სამშობლო წმიდათა წმიდაა, სისხლი და ხორცია, აი მხოლოდ ამის-
თვის წარმოვსთქვით ორიოდ სიტყვა ჩვენს დაქსაქსულს ცხოვრე-
ბაზედ...

ა. მღებრიშვილი.

I.

უმეობის ღანსუიჭვა.

მასალუბი.

ტ ო რ ლ ი

1847 წ. 28 აგვისტოს, ზურაბ ერისთავის ვალში, გაისყიდებიან მისივე ყმანი, რომელთაც სურთ, რომ თავიანთ საკუთარი მამულებიდან ხელი აიღონ, ყველა ის გაყიდონ, ფული ბატონის მოვალეს მისცენ და თავი გაინთავისუფლონ. ეს ხალხნი სცხოვრობენ სოფ. სვირში 4 კომლი, სოფ. ციცაკში 8 კომლი, სოფ. წყალშავში 2 კომლი, ბოშევში 10 კომლი, სოფ. ჩიხირაულში 4 კომლი, მანდასტაში 7 კომლი და სულ 46 კომლი, სადაც არს 204 მამაკაცი და 152 დედა კაცი. ამათ აქვსთ სახნავი მიწა 317 დღიური, ტყე 421 ქცევა და ფითო კომლის თითო ვენახი, ბაღები არის ნახევარ ქცევიდამ ორ ქცევამდე. ყველა ამათ წელიწადში 882 მ. შემოაქვს, დაფასებულია 9742 მ. 92 კ.

ტ ო რ ლ ი

1846 წ. 29-სა ნოემბრის თვეს, თამაზ ანდრონიკოვის ვალში გაყიდულ იქნება მისივე ყმანი, სიღნაღის მაზრის სოფელს გურჯაანში მცხოვრებნი, **ორი კომლი**, ცისკ-რა ცისკარაშვილი და რამაზ ცისკარაშვილი, თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით, ვენახით და სახნავი მიწით. საიღამაც წელიწადში 44 მან. არს შემოსავალი, ათი წლის ზედშეკეცვით. დაფასებულია 440 მან.

ტ ო რ ლ ი

1846 წ. 29 ნოემბერს, ზაქ. ანდრონიკოვის ვალში, გაისყიდებიან მისივე ორი მოსახლე ყმანი ივანე გოჩიაშვილის და სოლომონ ბაბილაშვილისა, სიღნაღის მაზრის სოფელს გურჯაანში მცხოვრებნი. თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით, რომელსაც წელიწადში 61 მან. შემოაქვს, დაფასებულია 610 მან.

ტ ო რ ლ ი

1846 წ. 14 ოქტომბერს, აბაშიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმა ქუთაისის უეზდის სოფ. დილიკაურში მცხოვრები რეზიკა სეხნიევი, შვილი კახია შვილისა, თავის უძრავი და მოძრავი ქონებით და სახნავი მიწით, რომელსაც წელიწადში 22 მ. 50 კ. შემოაქვს, ათი წლის შემოსავლის ზედშეკეცვით დაფასებულია 225 მან.

ტ ო რ ლ ი

1846 წ. ნოემბრის 27-სა დათიკო ანდრონიკოვის ვალში, გაისყიდებიან მისივე ყმანი გიორგი გორიაშვილი და ნინია დათიაშვილი, თავიანთის უძრავი და მოძრავის ქონებით, სცხოვრებენ კახეთის უკანა მხარის ნაწილს სოფ. გურკანაში. მამულს წელიწადში 60 მან. შემოაქვს, დაფასებულია ათი წლის ზედშეკეცვით 600 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1846 წ. 9 დეკემბერს, ზურაბ აბაშიძის ვალში გაისყიდებიან მისივე ყმანი, სიღნაღის მაზრის სოფ. გურჯანში მცხოვრებნი ზაქარია მურკაშვილი და იორდან მურკაშვილი, თავიანთის უძრავის და მოძრავის მამულებით, რომელსაც 75 მ. აქვს შესავალი, დაფასებულია 750 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1846 წ. 20 თებერვალს დავით ზალოვის, ბეჟან ქაშივივის და ფალავანდოვის ვალში გაყიდული იქნება მისივე ყმანი: გორის მაზრის სოფელს ერგეთში, ერთი კომლი გლეხი, რომელ კომლიშიაც არიან ორი სული მამა კაცი და ერთი სული დედაკაცი. მეორე, კიდევ ერთი გლეხის ოჯახი, და სამი ვენახი დასაკმაყოფილებლად, სოსია სულხანიშვილის, ივანე ცუხაშვილის და ოანეზ გირჩაშვილის, ზემო ხსენებული კნიაზებთაგან მოპარულის დორების, სულ დაფასებულია 1858 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1846 წ. 9 დეკემბერს, გიორგი ანდრონიკოვის ვალში გაისყიდებიან, მისივე ყმანი სიღნაღის მაზრის სოფ. გურჯანში მცხოვრებნი ზურაბ ედიშაშვილი და აკოფ კეტიაშვილი, თავიანთის ქონებით, სადაც წელიწადში 55 მან. შესავალი, დაფასებულია 550 მან.

ტ ო რ ლ ი

1846 წ. 12 ნოემბერს, მაჩაბლის ვალში გაყიდული იქნება, მისივე ყმა, გორის უეზდის სოფ. გორიანში მცხოვრები თევდორე კასუმაშვილი, თავის ოჯახით, მოძრავის და უძრავის ქონებით, რომლის მამულსაც წელიწადში შემოაქვს 50 მან., 10 წლის ზედ შეკეცვით დაფასებულია 500 მანეთად.

ტ ო რ ლ ი

1846 წ. 19 დეკემბერს, კაცია წულუკიძეს ვალში, გაყიდულ იქნება, მისივე ყმათა ერთი კომლი, ქუთაისის უეზდის ახალ სოფელში მცხოვრებელი, დათიკო კობახიძე თავის მამულით, დაფასებულია 150 მანეთად.

ტ ო რ ლ ი

1847 წ. კონსტანტინე ციციშვილის ვალში გაისყიდება ორი კომლი სოფ. ქციში მცხოვრებნი, ქაკლში ერთი კომლი თავიანთის მამულებით 1534 მან. არს დაფასებული. ამავე მამულების ვალით. გაისყიდება, დავით ციციშვილის ვალში ორი კომლი მისივე ყმით, ზიდისთავში მცხოვრებნი, 30 აპრილს, დავით ციციანოვი ვალში გაისყიდება გორის უეზდის სოფ. დოესში, სამი კომლი გაბრიელ ცერყაშვილი, გიორგი აბრამიძე და გიორგი კუბაშვილი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით, დაფასებულია 987 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1847 წ. 25 თებერვალს, გაყიდულ იქნება ოთხი კომლი წულუკიძეს ყმათა: გოგინა კობახიძე, ნინიკა ბაბილაშვილი. ქონების შემოსავალი წელიწადში 152 მან. დაფასებულია 1520 მან. სცხოვრებენ სოფ. აგორში.

ტ მ რ ლ ი

1847 წ. ივლისს, ჩოლაყაშვილის, რუტსიფის და კარჩიბაშიფის ვალში გაისყიდება წისქვილი 6 ვენახი და ხუთი კომლი ყმანი სოფ. მატონში და ახმეტაში დაფასებულია 12,850 მან.

ტ მ რ ლ ი

1847 წ. 28 აპრილს ამილახვრის ვალში გაისყიდება მისივე ყმა შიო კვიცადძე, თავის უძრავის და მოძრავის ქონებხთ, გორის მაზრის სოფ. შემაქვს 57 მან. დაფასებულია 57 მან.

ტ მ რ ლ ი

1847 წ. მაისში გაისყიდება ჯანდიერს ვალში სიღნაღის სოფ. კოლაკაში მცხოვრები აბრამ მონდორაშვილი, ორი ბაღი აქვს და 8 დღის მიწა. შესავალი 32 მ. დაფასებ. 320 მანეთად.

ტ ო რ ლ ი

1847 წ. 19 ივლისს, ლევანს ციციანიშვილის ვალში გაისყიდება ევსტატი რაბინაშვილი თავის სახლობით სოფ. ხვედურეთში მცხოვრები, დაფასებულია 245 მან.

ტ ო რ ლ ი

1846 წ. 16 დეკემბერს, ღავით ჯანდიერის ვალში გაყიდულ იქმნება მისივე ყმათ ორი კომლი, თელავის მაზრის სოფ. ვაჩნაძიანში მცხოვრებნი. ქვრივი ბარბაღე ბერიკაშვილი და სოსია ბერიკაშვილი: თავიანთის ქონებით, რომელსაც წელიწადში 149 მან. 45 კ. შემოსდის. დაფასებულია 1194 მან. 50 კაპ.

ტ ო რ ლ ი

1847 წ. 30 ივლისს, ფავლენიშვილს ვალში გაისყიდა ს. ზემოხვირში მცხოვრები ვასილი გოპაშვილი თავის სახლობით ორი ვენახით და 12 დღიურ მიწით წლიური შესავალი 40 მან. დაფასებულია 400 მანეთად.

ტ ო რ ლ ი

1846 წ. 14 მარტს, ციციანოვის ვალში გაისყიდება, გორის მაზრის სოფ. ცუროში მცხოვრებნი, დათიკო იკოშვილი და სოფ. ხვედურეთში გლახა ახალკაცი, თავიანთის ოჯახით და უძრავ მოძრავის ქონებით, რომელსაც წელიწადში 32 მ. 30 კ. შემოსავლეს, დაფასებულია 323 მანეთად.

ტ ო რ ლ ი

1846 წ. 22 იანვარს მინ. მოჩაბლის ვალში გაის-
ყიდება მისივე ყმათ ერთი ოჯახი, გორის სოფ. თა-
მარშენში მცხოვრები მიხეილ პატარკაციშვილი, (იგი-
ვე იოსებაშვილი) თავის ცოლით, შვილებით და
უძრავის და მოძრავის ქონებით. 5 დღის სახნავე
მიწა და ერთი ვაზის ვენახი, წლიური შესავალი
114 მან. დაფასებულია 1143 მ.

ტ ო რ ლ ი

1846 წ. 16 დეკემბერს ეგორ ბელიანოვსკის ვალში
გაისყიდებიან, მისივე ყმანი სოფ. ვაჩნაძიანში მცხო-
ვრებნი **სამი კომლი**: გიორგი გუმრისიშვილი, გო-
გია მოსე დედლის შვილი და დიმიტრო სემიქაძე,
თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით წელი-
წადში 72 მან. 80 კ. შემოაქვს დაფასებულია
728 მანეთად.

ტ ო რ ლ ი

1847 წ. 9 იანვარს, მიხეილ მაჩაბლის ვალში გაის-
ყიდება, მისივე ერთი მოსახლე ყმა, მცხოვრები სუ-
რამის ნაწილის სოფ. ვარანახში, გვარად გვაჩამაძე,
რომელს კომლშიაც სამი კაცია და ორი დედა კაცი,
უძრავ და მოძრავ ქონების გარდა ამათ აქვსთ: ნა-
ხევარი დღიური ვენახი, 5 დღიური სახნავე მიწა,
შემოაქვს წელიწადში 28 მ დაფასებულია 267-მ. 62 კ.

ტ მ რ ლ ი

1846 წ. 13 თებერვალს, იასე ერისთავის ვალში გაისყიდება მისივე ვალში ყმა მოსე მაყაშვილი, გორის მაზრის სოფ. პარებში მცხოვრები, ამის მამულიდამ წელიწადში შემოდის 24 მ. 10 კ. დაფასებულია 241 მ.

ტ მ რ ლ ი

1846 წ. 19 თებერვალს, ნიკო ამილახერის ვალში, გაისყიდებიან, მისივე ყმათა ცხრამეტი კომლი, რომელნიც სცხოვრებენა გორის მაზრის სოფ. კორბოხში. ამათ აქვსთ საბალახე, 30 დღიური სახნავი მიწა, რამდენიმე ვაზის ვენახი და სხვა შეძლებანი, დაფასებულია 7412 მან.

ტ მ რ ლ ი

1847 წ. 22 იანვრის თვეს, ივანე ჭიჭინაძის ვალში, გაისყიდება მისივე ყმათ ერთი კომლი, ქუთაისის უეზდის სოფელს ჟოლევეში მცხოვრებნი: სოსიკო ნიშნიანიძე, მის მამულს წელიწადში შემოაქვს 22 მ. 60 კაპ. დაფასებულია 228 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1847 წ. ივნისის 21-ს ზაქ. ჯავახოვის ვალში გაისყიდება ანდრია ჯალალშვილი გორის მაზრის სოფ. ხოვლებში ერთი ბაღი აქვს და ნახევარი დღის მიწა, წლის შესავალი 24 მან. დაფასებულია 242 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1847 წ. 9-სა ივნისს დ. ერისთავის ვალში ს. ხაღუბინ-
ში 1, სახნავე მიწა 2, камышное место, 3-ე
ორი ბალი და 4, კომლი გლეხები დაფასებულია
2,300 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1847 წ. სექტემბრის 29-სა, თელავის უეზდის სა-
მართველოში გაიწყიდება ერისთავის შვილის ყმა,
სოფელს ქირასხვეველი გლეხი ნონია ვედევაშვილი,
დაფასებულია 210 მან.

ტ მ რ ლ ი

1847 წ. სექტემბრის 21-სა ერისთავის ვალში, რო-
მელსაც მართებია შაროვეისა გაესყიდება ოთხი კომ-
ლი გლეხებისა, რომელნიც თავიანთის მამულით,
სოფელს ახალგორში სცხოვრობენ, ამათი წლიური
შესავალი 57 მან. ათი წლის შემოსავლის ზედ შე-
კეც-ით დაფასებულია 578 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1847 წ. თებერვლის 5-ს ლევან მესხის ვალში გაი-
წყიდება მისივე ყმათ 1 კომლი, სოფ. რიონში
მცხოვრებნი კაცია ტურაბელიძე, მის მამულს წელი-
წადში შემოაქვს 16 მან. 10 წლის ზედ შეკეცვით
დაფასებულია 160 მან.

ტ რ რ ღ ი

1847 წ. ივნისის 24-ს სოფ. სატივოში გორის მაზრა სამი კომლი სხვა და სხვა მამულებით 2041 მანეთად დაფასებული.

ტ რ რ ღ ი

1847 წ. 29 სექტემბერს უეზნის სამრევლოში სიმონ ამირეჯიბის ვალში გაისყიდება ამავე ამირეჯიბის ერთი ოჯახი, ს. ცხინვალში მცხოვრებნი მახარა აბულაძე. წლიური შემოსავალი აქვს 45 მან. 50 კ. დაფასებულია 445 მანეთად.

ტ რ რ ღ ი

1847 წ. სექტემბრის 22-ს კაცია წულუკიძეს ვალში გაისყიდება დავით კავახიძზე. სცხოვრობს რაჭის მაზრის სოფ. ახალსოფელში თავის ცოლშვილით, დაფასებულია 83 მან. 10 კ.

II.

გაბთნუეებე პარტუი.

მასალეზი.

ლაზნელეგის ამოწვევა.

(შემოკლებით ეს წერილი დაიბეჭდა 1880 წელს გაზეთ „დროება“-ში).

იტყვიან ზოგნი: ლაზნელები თავადისშვილები იყვნენო. ზოგნი გლეხს უწოდებენ ზოგნი აზნაურიშვილებს. შეიძლება ერთნიც იყვნენ, მეორე და მესამენიც. ჩვენი გარდმოცემის აღწერა კი ვისაც შეეხება, ამას თვით ცნობების ლაღადებს. მე ამ ცნობებს კომენტარიას არ გაუკეთებ. მართლაც ლაზნელების გვარი ქართულს ისტორიულს წინებშიაც მოიხსენება და ლაზნელთ ციხეც აქედამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გვარი თავის დროს შესამჩნევი იქმნებოდა ცხოვრების და ბრძოლის ასპარეზზედ. ვინ იცის, რამდენი კიდევ სხვა ასეთ გვართა ბრძოლის ამბებია ჩვენთვის დაკარგული. ლაზნელების გვარ დღეს ამოწყვეტილია. აღარავინ არის დაშთენილი, ამ გვარის მოსაპოება XVIII საუკ. მიეწერება. ასევე ბევრიც სხვა გლებთა გვარები გამოწყდა შინაურს თუ გარეულს ბრძოლაში.

უნდა მოგახსენოთ, რომ ძველად საქართველოში მართლაც ბატონყმობა და მონობა იყო, მაგრამ მებატონენი თავიანთ ყმებზედ ისე ვერ ნავარდობდნენ, როგორც ეს მოხდა მათში XIX საუკუნის შემდეგიდამ. მებატონეს ქართველთ მეფეთა დროს, თავის ყმის დასჯა, დაჩაგრა, ან განსყიდვა ადვილად არ შეეძლო რადგანაც მაშინ მონა გლეხი მეფესთან ადვილად მივიდოდა და იჩივლებდა, რომ ბატონმა ასე დამჩაგრაო. მართალია იყვნენ თითო ოროლა ისეთი მებატონიც რომელთაც სამეფოს და მეფეს შიში არ აქვხდათ და ყმებს ჰყიდდნენ აქა იქ, მაგრამ ისიც კი უნდა ითქვას, რომ ასეთი მებატონენი ყმებზედ ქურდულად თუ იზამდნენ რამეს, თორემ აშკარად კი ვერას გააწყებდნენ. ასეთ მებატონეებს სდევნიდა თვით ეკლესიაც. ამის საბუთს გვაძლევს აფხაზეთის მალაქია კათოლიკოზის საქმე, რომელიც XVII საუკ. ერთს თავის ქადაგებით შეაჩვენა ის აფხაზეთ მებატონენი აშკარად, რომელიც თავიანთ ქრისტიან ყმებს თათრებზედ ჰყიდნიანო.

ძველად მებატონესა და ყმათა შორის თუ რამ მტრობა და ჟღერტ-წყვეტა არსებობდა, ეს იყო გამოწვეული პიროვნების უთანხმოებისაგან, რასაკვირველია შემცნებით, გაგებით უმიზეზოთ კი არა,

ვინაიდან გლეხებსაც აქვდათ საღი თვალი, ლოდიკა, ბოროტების არ დაფარვა, არ ატანა სისხლის დათხევა ვისაც უნდა ყოფილიყოს გინდ თავადის, გინდ აზნაურის, გინდ გლეხის. ქვეყნის მტრობა, ლალატი მათში ყველაფერს სახავდა. ესეთი ურთი-ერთობა მათში XIX საუკუნიდამ კა დაირღვა მოისპო. თავად აზნაურები თავიანთ ყმათა სვაფ-მგლებათ გადაექცენ და გლეხები მონებათ.

ამიტომ წინანდელ მებატონეთა და ყმათა ბრძოლა იყო უფრო პოლიტიკური ანუ ასე თუ ისე საქვეყნო და შემდეგ დროს კი იგი გადიქვა ეკონომიურად. ესეთი სარჩული არც ძველს მონობას და ბრძოლას აკლდა, მაგრამ იგი იმდენად არა, რამდენათაც შემდეგ დროს დაერთვა და დაემჩნა. ამიტომ ვიტყვით, რომ ძველად ლაზნელები რამდენათაც მებრძოლნი ყოფილან და მტერნი თავად-აზნაურებისა, იმდენადვე ივინი გამრჩენი ყოფილან ავი და კარგისა მცოდნენი ქვეყნის მტრობისა და სიავის. ივინი ემტერებოდნენ ისეთ მებატონეთა, რომელთა სიავესაც ქვეყანასთან აქვდა კავშირი, ქვეყნის მტრობას ივინი არ დაითმენდენ, დათმენას გარდა, მტრობის ამოსაგდებათ ზედაც შეეწირებოდნენ. ასე იყო ძველად.

ომში, კარგი თავად აზნაური ძმა და მეგობარი იყვნენ გლეხებისა. უმისობა არც შეიძლებოდა ამოდელა მტერთაგან ირგვლივ მომწყვდეულს ქარაველებში. ამან შეინახა კიდევ ეს ტანჯული ქვეყანა და ერი და რომეს ასე არ ყოფილიყოს და თავად აზნაურებს და გლეხთა შორის ასეთი მტრობა ყოფილიყო გავრცელებული, როგორც ეს ჰკონიათ ზოგი ერთთ, მაშინ თქვენი მტერი, აქამდე ერთი ქართველიც ვერ დაღწედა და ამოწდებოდენ ურიერთ, შინაურს და გარე მტრებთან ბრძოლაში თავადნიც, აზნაურები და გლეხებიც. ყოველივე მოისპებოდა, რადგანაც ჩვენს მოსაზრებას კავკასიის (თ) ტომთ გარეშე მრავალნი ნატრობდენ და სცდილობდენ ამის სასარგებლოდ. მაგრამ ვიტყვით, რომ ეს ასე არ იყო მაშინ და მიტომაც მოხდა რომ ჩვენ იმ მრისხანე საუკუნებს. გადავრჩით და აქამდე მოვალწით. უქვევლია ის ერი არ მოისპობოდა სადაც გლეხთა შორის იყვნენ, ისეთი თავდადებული და შეგნებულნი გლეხები როგორც იყვნენ ლაზნელები მაშ დაიწყებთ აქ ლაზნელებთა ამბების აღწერას.

სხვათა შორის ლაზნელების გვარის ერთ ქალთაგანი თამარ ლაზნელი საგნათ გაფხადა ბ. ანტონ ფურცელაძემ და მასზედ დასწერა ისტორიული პოემა „თამარ ლაზნელი, XVIII საუკ. ქართველ მდგომარეობის შესახებ. ასე თუ ისე, ეს პოემაც (ქემბისტად) ქემშარიტად ემაზნურება და სახავს ლაზნელთა დროს ქართველთ შეწუხებულ მდგომ-

მარეობას. ღაზნელები სცხოვრებდნენ თავიდგანვე ქართლში, იგინი იყენენ შეძლებულნი გლეხ-კაცნი, გაკეთებულნი, ჩვენში რომ იტყვიან. ოჯახის შვილნი. ამასთან ოჯახშიაც რიცხვითაც მრავალნი. იგინი თავის ღროის კვალად განთქმულნი იყვნენ არა მარტო ქონებით, ანუ შეძლებით და ოჯახის წევრთა სიმრავლით და მოლაშქრეობით, არამეთ მახვილ-გონიერებით, შორს მხედველობით და ქვეყნის ავი და კარგი საქმეების გარჩევის და განსჭვრეტით. ასეთ მიდრეკილებით აღსაყვება მათ ღროს იშვიათი უნდა ყოფილიყოს ქართველთ გლეხთ შორის და ამიტომ უფრო აენუსხავთ აქ ღაზნელთა უპირატესობის საყურადღებოთ.

ვისი ყმანი იყვნენ ეს კარგად არა სჩანს, მხოლოდ იგინი უნდა ყოფილიყვნენ ქსნის, ან არაგვის ერისთავის შვილების ნაყმენნი, თუმცა ზოგნი ამილახვიოს, მააბლის და ციცის შვილის ყმთაც ასახელებენ, უფრო კი ამილახვიოს, მაგრას ჩვენ ამაზედ სწორე ცნობები არა გვაქვს. ეს მაინც დიდს ნაკლს არ შეადგენს, ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ უმთავრესად გარდმოცენა, უმთავრეს საგანზედ. ჩვენი მოსაზრება ზემოდ ვსთქვით, რომ ჩვენი მეფობის ღროს, ქართველ მეფობის ჟამს, ანუ გამგეობის, ეს ასე უნდა ყოფილიყვეს და გლეხი, აზნაური, მღვდელი და თავადი ერთად უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც იგინი გარეშე მტრის წინაშე ყველანი ერთს ტათაზედ იწოდნენ. მოგახსენებთ, რომ იყო ისეთი საუჯუნეები როცა საქართველოში ეს ასე იყო და მტრის წინ ყველას ერთად მიაჩნდა თავი, მაგრამ რაც საქართველოდ სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაიყო, მას შემდეგ ასეთ ჰაზროვნებამ ამოვარდნა და მოსპობა იწყო. უკანასკნელმა მოსპობამ დიდს რიცხვამდის მიაღწია.

ამათ ასე გამრავლებას მოითხოვდა კავკასიის მუსულმანთა პოლიტიკაც. ყოველ შინათ გამცემ თავად აზნაურს მათთან აქვდა ბინა, მისავალად ადგილი, დახმირება და სხვანი, ოღონდ ქართველი მტერი თავის ღომის, თავის ძმების, მეგობრების და სხვანი. ასეთ მტერთა რიცხვი ქართველთ შორის მაშინ უფრო მრავლდებოდა, როცა ქართლ-კახეთი სპარსეთის მოხარაკეთ ითვლებოდა და იმერთ, სამცხე-აფხაზეთ, გურია-სამეგრელო ოსმალეთის. ასეთ ღროს ქართველთ მეფენი და ბატონნი უძლურნი იყვნენ, მტერთა მეხარკეებს შინაურ მტერთა მებატონეთა ალაგმა სულ ვეღარ შეეძლოთ. ერთის სიტყვით მებატონენი რასაც მოინდომებდნენ, მაშინაოვე იმასაც შესრულებდნენ, რადგანაც ამ შესრულებისათვის მას ერთის მხრით ჩვენ მტერთ მთავრობაც ჰქონდავობდა.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქართველთათვის ყოველივე მოუძღვრებას და დანახობას ეძლეოდა ქართველებში, სადაც თითო ოროლა კაი მებატონეთა რიცხვი სცხოვრებდა, იქ მათს გვერდით სჩნდებოდნენ ისეთი მებატონენიც, რომელნიც ოქრო და ვერცხლის მოყვარეობის გულისთვის ბრმავდებოდნენ—ივიწყებდნენ ს. მშობლო ქვეყნის მდგომარეობის პირობებს, შინაურ არევ-დარევას, ძმათა შორის ლალატს, შფოთებს, შინათ გამცემლებს და უფროსე ყმების ჩაგვრას, მოტაცვას, გასყიდვას, დარხევას და სხვანი. ჩვენ ზემოთ ვსთქვიტ, რომ ქართველი მებატონეთა შორის, ყოველი ბოროტება მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგიდამ გავრცელდაო. აქ ჩვენ ვიტყვიტ, რომ იგი ძველადგანვე იყო დაარსებული თვით პირველი დამეც ძველადგანვე არსებობდა. ცემა-ტყემა, ტანჯვა და სხვანი. მართალი სამეფო მფარველობდა მაშინ გლეხებს იმდენად იმიტომ კი არა, რომ მათ გლეხთა სიზრალული ჰქონიყო, არამედ იმიტომ, რომ გლეხკაცო მათ ერთობ უჭირდათ და მეტი რა გზა აქვნიდათ, თორემ ძალდი ძალის ძვალს არ გასტებდნენ, რადგანაც თავად აზნაური დამეფეც მათთან ერთად ერთს ჯგუფს წარმოადგენდა. ასე რომ ასეთ პირთა ანუსხვა არც კი ღირს რამეთ. ყველა ზემოთ მოთვლილი ცოდვანი ქართველ მებატონეთა შორის არსებობდა ძველადგანვე დიდის ბოროტებით და იგი უფრო წინ წავიდა მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდამ. მართლა და ძველად ჩვენი მებატონენი სულ არც უცოდველი მტრედები იყვნენ, სადაც ერთი და ორი კარგი კაცი იყო, იქ არც ბოროტი და ბოროტთა ბოროტების რიცხვი ილეოდა. ამასვე გიმტკიცებს შემდეგი ამბავი.

წარსულს საუკუნეში საქართველოს მებატონეებმა ერთობ მეტის-მეტად დაუწყეს თავიანთ გლეხებს შევიწროება, შამფურზედ ასაგებათ და შესაჭმელათ აღარ ინდობდნენ. ეს საძაგელი მონური ცხოვრება გავრცელდა თითქმის ბრძენ—უბრძენეს ვახტანგის დროიდან, რომელმაც სამართლის წიგნიც დასწერა და მისცა თავად-აზნაურებს ხელში და გლეხებს უთხრა: რომ „თქვენ სულის გარდა მებატონის ყმები ხართო“! ამ მეფის დროს კიდევ ცოტადდენი სამართლიანობა იყო და ამის რუსეთში წასვლის შემდეგ კი ძალიან ცუდი დრო დადგა, როცა მამა ანტონ კათალიკოზისა, იასუ ბატონის შვილი გათათრდა, მაშინ რომ გლეხს ბატონებზე ეჩივლა, იმ გლეხს ცოცხალს შამფურზე ააგებდნენ. იასე ბატონის შვილის დროს მუხრან ბატონები და ამილახვრები ძალიან ძლიერდებოდნენ, ისე რომ გლეხებს ოცობით და ორმოცობით ჰყიდდნენ. ხმის გამცემი არავინ არის ამას

მხოლოდ ერთათ ერთი საბა ორბელიანი ამტკიცებს წინაშე „პაპისა ევროპაში. აქ დაბრუნების დროს შავ ზღვაზე ქართველნი ქალ-ვაჟნი ხედებიან რომელიც ბატონებს დაუყიდნიათ ოსმალოებზე და ოსმალოებიც მიერეკებიან თავიანთ ქვეყანაში. ამ ამბავს მოკლიდ სწერს საბა. ამ მონურ ცხოვრების გამო საქართველოს გლეხი ხალხი იმხობა მასთან ქესიანდებიან, სნეულდებიან და თითქმის ულუკმა პუროთ იხოცებიან. თუ რამე აქვთ სახლში ბატონებს მიაქვთ; ქათამს საბუღ დარში ნახავენ, ქათამსაც წაიყვანენ და კვერცხებსაცა. სამეფო საქმეები ისევ, ყველა ერთმანეთის გაგლეჯას სადილობას და უფრო ადვილ საგლეჯავს გლეხებს ხედავენ. სიტყვის შებრუნება არავის შეეძლო, და თუ შეუბრუნებდა ვინმე-ვაი მის დღეს. მომყავს რამდენივე ამბავი, რომელიც გვიმტკიცებს-თუ რა დღეში იყვნენ იმ დროს გლეხები და როგორ ეპყრობოდნენ იმათ თავის ზოგერთა ბატონები:

მუხრან-ბატონი თუ ამილახვარი ერთ თავის ყმის ცოლს ძაღლების ლეკვებ ძუძუს აწოვინებს. ქმარი მიასწრობს. ამას თავის ბატონთან ჩხუბი მოუვა, ბატონი ყმას აკუწავს და ცოლს შმდეგ მინც თათრებზედ გაჰყიდის. ამათშივე გამოდის ერთი ესეთივე კახი, რომლის წყალობითაც ერთი დედა და ორი ქალი ბატონის მუქარისაგან შეშინებულნი წყალში ვარდებიან.

შგონი მაჩაბლების ბრძანებით, ერთს გლეხს, რომელიც იყო ავანთ, ბატონი სახლში არ უშვებს, ერთს ღამეს ქსანში ჩაგორდება და მდინარე წაიღებს.

ამავე დროს ხდება ერთი გლეხი ავად: ავანთყოფი ქობში მართო წევს, წყლის მომტანიც არავინა ჰყავს, ცოლ-შვილსაც არ უშვებს. რომ ჭირი არ გავრცელდესო, საქმელს თუ ვინმე მიუტანს, კარებთან მიიტანენ, დასდგამენ, თვითონ გამობრუნდებიან და შორიდგან კარებს ქვას მიართყამენ, რომ გამოვიდეს და აილოს. ერთხელ ამ კაცს ნასროლი ქვა თავში ხდება და კიდევ კვდება...

მაგრამ რომელი ერთი უნდა ჩამოსთვალოს კაცმა იმ ტანჯვისა რომელიც, მებატონეებისაგან ჰქონდათ გლეხებს. ეს გლეხისაგან ნათქვამი ლექსი გვიხატავს იმათ მდგომარეობას: „ბატონისა ყმობითა ფქვილი ვერ ჩავდგით გოდრიითა, ვერც გავზარდეთ დეკეული; ვერც ქალო ვლეწით მოზვრითა“.

ამ დროს როდესაც, ბატონები ასე სდევნიდნენ გლეხებსა, გლეხებით ასობით მირბოდნენ, საქართველოს ერთი მხრიდგან მეორეში, თუ ოსმალ სპარსელებში და თათრდებოდნენ იქა, რადგანაც გათათრების შემდეგ, მათ გაანთავისუფლებდნენ ხოლმე და ბა-

ტონები აღარ ეყოლებოდათ. ბევრს თათარს გაუჯავრებია ქრისტიანი. „იძახით, ქრისტიანები ვართო, რის ქრისტიანები, როცა თქვენს მოძმეებს თქვენვე ჩვენზე ჰყიდიოთ! აბა, ჩვენგან იყიდეთ ჩვენი ერთი თათარიო“!

კახეთი ამოაგდეს ჭავჭავაძეებმა, ჩოლოყაშვალეებმა, ყარალაშვილებმა, არეშიძეებმა, აფხაზებმა და სხვა თავადისშვილებმა, ქართლი— მუხრან-ბატონმა, ამილახვრებმა, თარხანოვებმა, ერისთავის შვილებმა და მაჩაბლებმა, იმერეთი— წერეთლებმა და აბაშიძეებმა, სამეგრელო— დალიანებმა, გურია— გურიელებმა და სხვა. აი ამისთანა დროს, როდესაც ეს უბედურებანი ხდებოდნენ ჩვენში, გამოვიდნენ ვინმე გმირნი ლაზნელები, რომლებიც იყვნენ წინააღმდეგნი ამ გვარ საქმეებისა.

ეს ლაზნელები სცხოვრობდნენ ზემო ქართლში, ოსეთის მხარეს. ამათ ჰქონდათ საკუთარი ციხე, მღევრები და თვით იყვნენ შვიდნი ძმანი, რომლებთანაც ჰქონდათ ალაგი ყველა ბატონისაგან გაქცეულ ყმებსა. ესენი იყვნენ წინამძღვრნი გლეხებისა, მფარველნი მათნი. ბევრი ბატონისაგან გაჭირვებული და ნამტირალევი ქალი და კაცი გარდახვეწილა ამათან, ბევრი თავმომწონე ბიჭი გავარდნა სახრის ქვეშიდან და ამათ მიჰფარებია. ესენი ამხნევებდნენ, ეუბნებოდნენ გლეხებს: „აი თქვენ ლაჩრებო, თქვენაო, კაცები არა ხართ თქვენა. ბატონები რომ სახრეს გარტყამდნენ განა თქვენ ხელები არ გაბიაო! თქვენ რაღა იმათზე ნაკლები ხართო! თავადების რიცხვი რომ ასანდის ავიდეს, თქვენ ასი ათასამდის ახვალთ. მიგიშვერიათ კისრები, ზოგს რას გიშვრებიან და ზოგს რასაო! ეგენი თქვენზე (შ) ვერაფერ შეიძლებენ, თუ, ყმები, პირობას შეჰკრავთ და აღუდგებით წინაო“ და სხვა, ამ გვარ სიტყვებს, ასეთ მათს ხშირს ქადაგებას ძალიან აულელებდნენ გლეხები.

მათი მოკვლის მიზეზი ყოფილა შემდეგი: ბატონს ჰყოლია გლეხის და, რომელსაც ძალა უნებურად აუპატიოსნებდა. ერთხელ დას შეუტირია ძმისათვის, მომარჩინე ამ სატახტველს, დამიხსენი ამ წყულისაგანაო. გლეხი მიპარულა ღამე ბატონის სახლში, თავისი და მოუტაცნია და იმ მოტაცვის დროს ბატონიც მოუკლავს ლოგინში. და კი ლაზნელებთან წაუყვანია. ამ ამბავს მთელი ქართლის თავადები შეუფუტუცხუნებია, უთქომთ, რომ ჩვენი საქმე ძალიან ცუდად არისო, დღეს ამას უყო თავის გლეხმა, ხვალ ჩვენი გლეხები გვიზამენო ამ საქმეებს. მოთავენი ყოფილან ახლო ნათესავები ბაგრატიონელ გვარისა: გამოუტყვევიათ საქმე და დაუწყვიათ შეფხვთან ჩვილი ლაზნელებზე. მაგრამ მეფეც ვე-

რაფერს მოხმარებია. ამის შემდეგ თავადებს რამდენიმეჯერ მოუხდენიათ კრება და ჰქონიათ ბაასი, თუ როგორ ამოსწყვიტონ დაზნელები. ბოლოს პირობა შეუკრავთ, შეუსყიდნიათ ასი ოსი, თავიანდ ახლო ნაყმევები, რომლებსაც დაზნელებსაც კავშირი ჰქონიათ და ერთს ღამეს, მძინარეს, შუა ღამისას დასხმიან იმათ ციხეს და დაუწყვიათ ბრძოლა. დაზნელებს გამოღვიძებით, შეიარაღებულან ექვსი ძმანი, გამომხტარან ციხიდან ძირსა, ამათ გამოჰყოლიან ცოლებიც, ხანჯლებით და ხელებით დარევიან, მაგრამ ამოდენა ხალხში რას გააწყობდნენ, ექვსი ძმა აქვე დაუხოციათ. შემდეგ მივარდნიან კედლებს, რომ მეშვიდე ძმაც მოჰკლან. იმ დროს ამ მეშვიდე ძმას შეუძახნია ცოლისთვის: არიქა გაჭირდა საქმეო, უნდა გადავხტე. ცოლმა მიუგო: ჯერ ჩვენ დაგვხოცე აქა და მერე ჩაგვაგდე მაგათ ხელში! ჯერ მე გამომჭერ ყელი, მერე შენს პატარა შვილებს, მერე დედაშენსა და ისე გადახტეო! მოხუცა დედას დაუწყვია ტირილი: შვილო, ჯერ მე მომკალი, მერე შენი ცოლი, მერე შვილები. რომ მე არ ვნახო ამათი წვალებათ. შვილი დაიწყებს ტირილს! ბოლოს ჯერ დედას გამოსჭრის ყელსა, შემდეგ ცოლსა და პატარა შვილებს. თვითონ ერთი კარგათ იტირებს და შემდეგ გადახტება და დაერევა მტერსა, იმასაც იქვე მოჰკლავენ.

ციხეს აიღებენ, ნივთებს წამოიღებენ და ეს საქმე შერჩებათ მათ კიდევ. ეს საქმეები საქართველოს მეფეს შეუტყვია და ნაცვლად იმისა, რომ თავადები დიეტუქსა, მადლობაც გადაუხდია, რომ ამოსწყვიტეთო, თორემ ის ჩვენც ამოგვწყვიტავდაო და ხალხსაც გაანთავისუფლებდნო.

ქიქია

III.

გატყუებთა სინგილთუი.

მასალეი.

გატონ-ყოფის ნაშთი საინგილოში*)

მიწის საკითხი.—მებატონე-გლეხები და ყმა გლეხები.—ვინ ვისი ყმაა. „ქვეშეკელი“ და მისი სისასტიკე ხალხისათვის.—საიდან წარმოსდგა ეს გადასახადი.—ლეკთა ყოფილი რესპუბლიკები და მათი მნიშვნელობა.—სხვა და სხვა მოსაზრება ქეშნელის შესახებ.—კაკის საბოქაულოს ბეგები და რაიტი ანუ ნამდვილი ბატონ-ყმობა.—სულთანოვები თუ გურამიშვილები.—ინგილოთა კენესა.—ახალი კომისიები.—რა შეუძლიანთ გააკეთონ ახალმა კომისიებმა.

მიწის საკითხი მეტად მწვავე საკითხია საინგილოში. არა ერთხელ გამოუწვევია დაუსრულებელი უსიამოვნება და ჩხუბი, რომელიც ზოგჯერ მთელ აჯანყებადაც გადაქცეულა. ასეთი იყო, მაგალითად, ჰაჯი-მურთუზას აჯანყება, რომელსაც საინგილოს ქართველთათვის მეტად ცუდი შედეგი მოჰყვა**). ასეთივე იყო დაუსრულებელი დავიდარება კაკელებისა ყოფის ელისოს სასულთნის მემკვიდრე ხალილბეგთან ალაფეწურის დიდ-ძალ ადგილ-მამულის შესახებ. მაგრამ, ჩვენ ეხლა ამებებს არ გამოუდგებით, ჩვენ გვინდა ნხოლოდ მკითხველს და უსურათხატოთ დღევანდელი მდგომარეობა მიწის საკითხისა, აღვნიშნოთ ის არაჩვეულებრივი ხასიათი მიწათ-მფლობელობისა, რომლის წყალობითაც ერთი ნაწილი საინგილოსი სრულს ყმობას განიცდის, მეორე კი ბატონურს განცხრომაშია.

მთელი საინგილოს გლეხ-კაცობა ორ ბანაკად არის გაყოფილი: ერთ მხარეს სდგანან მებატონე-გლეხები, მეორე მხარეს ყმა გლეხები, პირველი არიან განსაკუთრებით ლეკები, ხოლო მეორენი ინგილონი და თათრები. მთელი საინგილო ოთხ საბოქაულოდ არის დაყოფილი: კაკისა, ჭარის, ალიაბათისა ანუ ენისელისა და ბელაქნისა. მებატონე გლეხები სცხოვრობენ ჭარისა და ბელაქნის შემდეგ დიდ სოფლებში: თალაში, ტარში, ბელაქანში, მუხახსა და ჯინიხში. მებატონე გლეხები მეტქი, მიტომ ვაბობ, რომ გლეხები, რომელნიც ნამდვილ ბატონებად მოვლენილან საინგილოს, არაფერ უპირატესობით არ

*) ეს წერილი დაიბეჭდა 1908 წ. გაზეთ „ამირანი“-ს 189 ნომერში. გვერდებზე უცვლელია. რედაქცია.

***) ამ დიდ მნიშვნელოვან აჯანყებას ჩვენ ცალკე წერილს ვუძღვებით.

სარგებლობენ, არც თუ ბევრის ან ხანობის ხარისხს ატარებენ, არამედ უბრალო გლეხები არიან და ყოველსავე სახელმწიფო გადასახადს ისევე იხდიან, როგორც დანარჩენნი. ყმა გლეხები კი, რომელნიც ქეშქელად მონათლულან, გადასახადს აძლევენ ამ გაბატონებულ გლეხ-ლეკებს, არიან ინგილონი (უმთავრესად) და თათრები კაკისა და ენისელის საბოქაულოსი. ქეშქელის გამლეები, ე. ი. ს-აეკე-საბატონე სოფელი კაკის საბოქაულოში ოცია, ხოლო ენისელისა, რომემელიც მქიდროდ არის დასახლებული განსაკუთრებით ინგილოებით ოცდა ოთხია. მთელ საინგილოში 38 სოფელია, რომლის სრული ნახევარი მონობის მწარე უღელს განიცდის.

რას წარმოადგენს ბატონ-ყმური დამოკიდებულება და რას იხდის ყმა ბატონის-ლეკის სასარგებლოდ? მთლათ იმ გადასახადებს რასაც ყმა ინგილო და თათარი იხდის ლეკის სასარგებლოდ უწოდებენ „ქეშქელს. ქეშქელი შემდეგში მდგომარეობს: ქეშქელიც გადამხდელი ყმა-სოფლები მოვალენი არიან ერთხელვე გადაწყვეტილი რა ოდენობა ქერისა, პურისა, ფეტვისა, ბრინჯისა და აბრეშუმისა გადაუხადონ ბატონ-ლეკებს რომელისამე სოფლისას. მაგალითად ინგილო-სოფელი შოთავარი ყოველ წლივ იხდის ჯარელ*) ლეკების სასარგებლოდ 45 თალარ**) პურს, 9 თალარ ქერს და სხვა და სხვა. ეს გადასახადი უნდა წაუღოს თავიანთივე ურმებით შოთავრელმა ინგილოებმა ჯარელ ლეკებს და მერე თითონ ლეკები ინაწილებენ ერთმანეთში. სხვა სოფლებში კიდევ ლეკმა თითონ იცის, ვინ არის მისი ყმა, რამდენი ქეშქელი ერგება და თითონვე იჭერს საქმეს ყმასთან. მაგალითად, ყოველ წლივ სანგელაშვილი-ინგილო მოვალეა გადაუხადოს ჯინიხელ-ლეკს შაბან-კალის სამი თალარი პური, ერთი თალარი ქერი ან ბრინჯი და სხვა.

ეს გადასახადი უფრო ძნელია და სასტიკი გლეხისათვის, ვიდრე მაგალითად, ჩვენებური ღალა. ღალის რაოდენობა მოსავალზე დამოკიდებული, ბევრი მოჟვა გლეხს, ბევრს იხდის ბატონის სასარგებლოდ, არა და არაფერს. ქეშქელის შეუფერებლობაც და სისასტიკეც იმაში მდგომარეობს, რომ მოსავალსა და მოუსავლობას იმისთვის არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. ინგილოს რომ ერთი დაყრა მოსავალიც არ მოუვიდეს, დღეს მაინც სისრულით უნდა მიუწყოს, უნდა იყიდოს სადმე ჭირნახული, სამმა ან ოთხმა ამორჩეულმა კაცმა უნდა შეა-

*) ამ სოფელს ლეკები კარს ეძახიან, რადგან ხმა „ჯ“ მათს ლექსიკონში არ მოიძებნება.

**) ინგილური თალარი 7 ნახევარ ფუტს უდრის.

ფასოს ქეშქელის ღირებულება იმ წლის ჭირნახულის მაზანდის თანხა ზმნდ და ინგილომ ფულად უნდა გადაუხადოს ქეშქელი*).

მერე აბა გაითვალისწინეთ რამდენად შეუფერებელია და ხალხის კეთილდღეობის ძირის გამთხრელი ეს ქეშქელი. ავიღოთ ისევე სოფელი შათავარი, რომელსაც მწირ ნიადაგიანი და ჭაობიანი მიდამოები უჭირავს და მოუსავლობა ხშირი სტუმარია მისი. შათავარი შესდგება 54 კომლ ინგილოსაგან და იმდენ ქეშქელს იხდის, რომ იგი ფულად ვაქციოთ 600—800 მანეთს აღმატებ. ქეშქელის გარდა, ინგილოს, რასაკვირველია, სხვა მრავალი გადასახადიც აწევს—სახელმწიფო მიწებისა, მილირა— და ადვილად დამეთანხმებით, რომ ქეშქელის მზდელი ინგილოები სრული ყმები არიან და ჩვენ იოტის ტოლათაც არ ვცდებით, როდესაც მათ ამ სახელს უწოდებთ. ყველა ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ქეშქელის გადახდის დროს უსიამოვნებას დასასრული არა აქვს: ლეკი ძალობს—მე ხუთი თხლარის პური მეკუთვინს, შენ კი ორ თლარს მაძლევო; ან კიდევ შენ კარგი პური მოგივიდა, მე კი ცუდს მაძლევო. ასეთს უსიამოვნებას და პოლიციასთან მისვლა მოსვლას დასასრული არა აქვს ხოლმე. რასაკვირველია, პოლიცია ხშირად მძლავრის ლეკის მხარეზეა ხოლმე.

გასაოცარი უფრო ის არის, რომ მიწა, ადგილ-მამული ლეკების საკუთრებას კი არ შეადგენს, როგორც სხვაგან მებატონე-თავადი-შვილებისას, რომელთაც უფლება აქვთ, ვისაც უნდათ იმას გადასცენ მიწა დასამუშავებლად, ან კიდევ გაჰყიდონ; დააგირაონ და სხვა. არა, და სამწუხაროც ეს არის, რომ ინგილო და თათარი ტყუილად იყვლიფება და იხდის ლეკების სასარგებლოდ ამოდენა გადასახადს. ლეკს არ შეუძლიან: 1. ის მიწა, რომელსაც ქეშქელის მძლეველი ამუშავებს, წაართვას, თითონ დაამუშაოს ან კიდევ სხვას გადასცეს იჯარით; 2. გაჰყიდოს, დააგირაოს; 3. თუ ქეშქელის მძლეველი გლეხი ამოწყდა, მისი ადგილ-მამული ჯამაათის და არა ლეკის ხელში გადადის და ვისაც უნდა, იმას მისცემს ჯამაათი, გარდა ამისა, ხშირად ლეკმა არც კი იცის, რაოდენობა მიწისა და ადგილ-მდებარეობა მისი. როგორც ვხედავთ, ლეკს თითქმის არაფერი უფლება არა აქვს მიწაზედ, იგი მის საკუთრებას არ შეადგენს, პირიქით თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მიწა ინგილოს სრულ საკუთრებას წარმოადგენს და ტყუილად იხდის ქეშქელს.

*): უნდა შევნიშნოთ, რომ რამდენიმე სოფელი, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს, გაანთავისუფლა მთავრობამ ამ გადასახადისაგან.

აშ რა ძალით, რის უფლებით იღებს ლეკი ქეშქელს? რა საბუთი აქვს ამისი? ამაზედ ჯეროვანი პასუხის მიცემა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ის კი ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამისთვის ლეკებს არაფერი ისტორიული, წერილობითი საბუთი არ მოეძებნებათ.

საიდან წარმოსდგა და ძალაში შევიდა ეს გადასახადი? ქეშქელის წარმოშობა-ჩამომდინარეობას ბევრ ნაირადა ხსნიან. უმრავლესობა ამბობს, რომ ძველად დაღესტნის ცივ-მთებიდან ჩამოდინდნენ შშიერ-მწყურვალნი ლეკები, როპელნიც საშინლად ღარიბ-ღატაკები იყვნენ, რისთვისაც ადგილობრივი მცხოვრებნი „ბულხაღრებს“ ე. ი. გულტიტველებს ეძახდნენ. აი ამ ღარიბ-ღატაკ ლეკთათვის სტუმრის მოყვარე და გულუხვ ინგილოებს უძლევიათ მოწყალებასავით ცოტა რამ შემწეობა—პური, ქერი, ერთის სიტყვით რაც კი მოჰხვდებოდათ. თვით სახელიც გადასახადისა ქეშქელი რომელიც წარმოსდგა თათრულ სიტყვიდან „ქოჩგელ“—გამოირბინე, მოდიო, ამასვე გვიმტკიცებს. გამოირბინე, მოდი დამშეულო ლეკო. და ჩვენ დაგაპურებთო. გარდა ამისა, დღესაც დაღესტნის ცივ მთების მცხოვრები ლეკები იყრიან მთელის ოჯახობით, მიდიან საინგილოში და მთელს ზამთარს ინგილოებთან და თათრებთანა სახლდებიან. გულუხვი ინგილო სიამოვნებით იღებს მათ, მცირე რამ სამსახურისათვის აკმევს, ასმევს და უხვად ასაჩუქრებს. ასე ატარებენ ლეკები ზამთარს, გამოზაფხულდება თუ არა და სიცხეებს დაიჭერს, ისინი დაღესტნისაკენვე იბრუნებენ პირს.

ასე ყოფილა თავდაპირველად. შემდეგში კი, როცა შაჰაბაზმა საქართველო ააოხრა, მრავალნი აყარა საინგილოდანაც და ყიზილბაშში გადაასახლა, დაცარიელებულ ბელქანსა, ჯა-სა და სხვა სოფლებში შაჰაბაზისაგან წაქეზებულნი ლეკნი ჩამოვიდნენ და თავისუფლდ დასახლდნენ ქართველებს ნაოხარზედ. როცა ახლად ჩაპოსულნი ლეკნი მოეწყვნენ და ფეხი მოიმაგრეს, ეს წინად მოწყალების სახით გაღებული გადასახადი ალბად ნამდვილ ხარკად გადააქცეეს, რადგან ძალა და ღონე საინგილოში მაშინ მათ ხელში იყო. საქართველო ფაქტიურად არ მულობელობდა მაშინ საინგილოს და აბავისი შიში და რიდი ექნებოდათ ლეკებს! შემდეგში ხომ ისე გაძლიერდნენ ლეკები, რომ ცალკე რესპუბლიკებიც დაარსეს (ჯარისა, ბელაქნისა და სხვათა), რომელთ არჩეული კაცები განაგებდნენ. ამ რესპუბლიკებს ისეთი ძალა და გავლენა ჰქონდათ, რომ ელისოს სულთანსა და შექის (ნუხის) ხანს, მათ ნება დაურთველად ტახტზე ასვლა არ შეეძლოთ და აბა, რასაკვირველია, რომ ლეკები გვკენისეღსაც დაიმორჩილებდნენ და ის, რაც მათ ნებაყოფლობით ეძლეო-

დათ, ძალით მუდმივ ხარკად გადააქცევდნენ და ერთი-ათად გაადიდებდნენ.

ზოგნი კიდევ ქეშქელის ჩამომდინარეობას ასე ხსნიან. სოფელ ჯარში (დღევანდელ ლეკების ჭარში) ვითომ მუდმივ ბინადრობდა ქართველ მეფეთა რჩეული ჯარი საზღვრების დასაცავად,*) საიდანაც წარმოსდგა თვით სახელი სოფლისა „ჯარი“. ჯარის შესანახავად ქართველთ მეფეები აიძულებდნენ კაკ ენისელის მცხოვრებთ ეძლიათ ჯარის გამოსაკვებად პური, ქერი და სხვა საჭირო სურსათი. შემდეგში, როცა ქართველთა ძლიერება დაეცა, ჯარის კაცნი მკვიდრ მცხოვრებლებად გადიქცნენ, აირიენენ დალესტნიდან ჩამოსულ ლეკებში, დაესახლნენ ზემო ჩამოთვლილ სოფლებში, უწინდელ ჯარის გამოსაკვებად შემოღებული გადასახადი ტრადიციის ძალით ისევ ძალაში დარჩა და დღესაც იხდიან მას კაკ-ენისელნი. ასეთი ახსნა, ჩემის აზრით, ნაკლებად შეესაბამება სიმართლეს.

რაც შეეხება ისტორიულსა და სხვა რამ წერილობით საბუთებს, ამგვარი, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, არაფერი არ არსებობს ამ უამად და, მე მგონი, არც როდისმე ყოფილა. არც საქართველოს მეფეებს, არც სპარსეთის შაჰებს და სხვათ, რომელნიც კი პელობდნენ საქართველოს ამ გაოხრებულსა და დაობლებულს კუთხეს, არავისთვის არ მიუტიათ ამგვარი რამ.

ქეშქელი არის ძალმომრეობით შემოღებული გადასახადი—უფლება მძლავრისა სუსტზედ. სწორედ ამის გამოა, რომ ზოგიერთნი ლეკნი ამ თავიანთ უფლებას დღესაც ხმლის ძალაზე ამყარებენ. ჩვენ ხმლით დაგვიპყრია ეს ქვეყანა და ხმლითვე ავიღებთ ქეშქელსა, თუ ნებით არ მოგვცესო.

ასე თუ ისე ქეშქელი უკვე არსებობდა საინგილოში, როცა ეს კუთხე რუსეთმა დაიპყრო. სამართალი მოითხოვდა, რომ ახალ მთავრობას ეს ხარკი, რომელიც კერძოდ ლეკების სასარგებლოდ იყო შემოღებული, გაეუქმებინა. მაგრამ, რუსები თავდაპირველად უფროთხოვნენ ქეშქელის გაუქმებას, რადგან გალალეებულ ლეკებისათვის მცირე მიზეზიც საკმაო იყო, რომ აჯანყება მოეხდინათ. შემდეგში ლეკებმა, მიუხედავად რუსეთის ასეთის ყურადღებისა, 1831 წელს აჯანყება მაინც მოახდინეს, ამიტომ მაშინდელმა გამგემ კავკასიისამ პასკევიჩმა გააუქმა ეს გადასახადი. ინგილოებმა და თათრებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, საუკუნოებით გატანჯულმა ერმა ფრთები

*) იხილე ქემის ელიაშვილის წერილი: „Медико-топогр. описание Закавказья“.

შეისხა' წელში გასწორდა ეგონა, სამუდამოდ მოეხსნა ეს უღელი კისრიდან. მაგრამ დიდი დღე არა ჰქონდა ხალხის მხიარულებას— 1838 წელს კავკასიის ახალმა მმართველმა გოლოვინმა შეიწყნარა ლეკთა თხოვნა, და ქეშქელი უკანვე დაუბრუნა, რადგან მათ ჩვეულებრივ რბევა-აწიოკებას თავი ანებეს. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ხელახლა შეაბეს ქეშქელის უღელში ინგილოები და თათრები და დღესაც ისევე ეწევიან მძიმე უღელს. საბრალონი, მთავრობასაც ყოველსავე ხარჯსა და ბარჯს უხდიან და თავიანთ ძველ ბატონებს— ლეკებსაც ქეშქელს, და ამ გვარად ორგვარი ტყავი სძვრებათ ინგილოებსა და თათრებს.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. კაკის დღევანდელ საბოქაულოში, ქეშქელს გარდა, არსებობს ერთგვარი უფლება, რომელსაც როიატს ეძახიან და რომელიც ნამდვილ ბატონ-ყმობას წარმოადგენს. აქ არიან ბეგები, გვარად სულთანოვები, შთამომავალნი 1844 წელს გაუქმებულ ელისოს *) სულთანისა. საინტერესოა მათი გვარის წარმოშობა. ქართულის წყაროებით, ისინი ქართველ თავადის გურამიშვილის **) ჩამომავალნი არიან, რომელთაც შემდეგში, როცა სპარსეთის შაჰებს საინგილო დაუბყრიათ, მუსულმანობა უწამნიათ, გვარი გამოუცვლიათ და საჩუქრად შაჰისგან ელისოს სასულთნო მიუღიათ. სხვა წყაროებით და თვით სულთანოვების გადმოცემით, ისინი დაღესტნიდან ჩამოსულნი არიან, სახელდობრ წახურის სახანოდან, მას შემდეგ რაც იქ მათ წინააღმდეგ შეთქმულობა მომხდარა და ამის გამო გამოქცეულან. ***) მე მგონი, ეს უკანასკნელი აზრი უფრო მართალი და ჭეშმარიტი უნდა იყოს, რადგან არც სახის გამომეტყველება და არც ზნე-ჩვეულება არ გვიმტკიცებს მათს ქართველ ჩამომავლობას. ეს ბეგები და კიდევ სხვანიც, რომელნიც კაკის საბოქაულოში სცხოვრობენ, იღებენ თავიანთ ყმა გლეხებისგან გარდა ქეშქელისა, რომელიც აქ უფრო მწვავე და შეუსაბამოა, სხვა გადასახადებსაც ყმა მოვალეა:

1. საზაფხულოდ ბეგს გადაუზიდოს აგარაკში ყოველივე ბარგი-ბარხანა და ცოლ-შვილი; შემოდგომაზედ კიდევ უკანვე ჩამოუტან-ჩამოუყვანოს ყოველივე ეს;

2. ქალის თხოვნის დროს გლეხმა ბეგს ერთი შაქრის თავი მაინც უნდა მიართოს;

*) ელისოს სასულთნოს ეკირა დღევანდელ კაკის საბოქაულო და დაღესტნის მცირე ნაწილი სოფლები. წარური, კირმიწა და სხვა.

**) „Грамоты“, Пурцеладз.

***) „Замѣтки о Закав. окр.“, Бакрадзе.

3. მუშა მოახმაროს და კიდევ სხვა მრავალი ამისთანა. ერთის სიტყვით, აქ დამოკიდებულება უფრო მეტია და უფრო სასტიკი.

მას შემდეგ, რაც 1838 წელს კავკასიის მთავარ-მართველმა გოლოვინმა ქეშქელის უფლება ხელახლა აღადგინა, ინგილოთა კვნესა არ შეწყვეტილა. მრავალ გზას მიჰმართეს, სადაც ჯერ არს; მრავალჯერ შესთხოვეს, მაგრამ ყოველთვის დაპირება ბევრი იყო, აღსრულება კი არასდროს. წარსულ საუკუნის მესამოცე წლებში კომისიაც კი იყო დანიშნული, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამ საკითხის შესწავლა და რაზე გზით მოვლა. კომისია დიდხანს მუშაობდა, მაგრამ იმის შრომას ჯეროვანი ნაყოფი არ მოჰყვა და საკითხი იქვე ძველ კალაპორტში დარჩა.

გადიოდა დრო და ინგილოთა კვნესა უფრო მატულობდა და აი ამ სამი წლის წინად, როცა მთავარ-მართველის წარმომადგენელი რომანოვსკი იყო სარევიზიოდ საინგილოში, ასეთის თხოვნით მიჰმართა მას თვალცრემლიანმა ინგილომ და თათარმა: „თვით მაღალ მღერთისაგან ნაბძანებია, რომ ის მიწა-წყალი, რომელიც დაწყვი დაბადებებიდან ჩვენ შამა-პაპას უმუშავებია, ჩვენ გვეკუთნოდეს. მაგრამ ჩვენ საბრალონი, რაღაც გამოურკვეველის მიზეზისა გამო, ვიხდით ქეშქელს ლეკთა სასარგებლოდ. უსამართლობაა, რომ ჩვენ, შრომის მოყვარე ხელმწიფის მორჩილნი, ყმები ვართ ისეთივე ხელმწიფის ქვეშევრდომ გლეხებისა, როგორნიც ჩვენ თითონა ვართ“ და სხვა...

ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, მთავრობამ საჭიროდ სცნო კომისიის შედგენა. დღეს ეს კომისია ნამესტნიკის განკარგულებით უკვე მუშაობს საინგილოში. კომისიას მინდობილი აქვს, ერთხელ და საბოლოოდ გადასწყვიტოს ეს საკითხი და თავისი დასკვნა სახელმწიფო სათათბიროს წარუდგინოს. სასურველია, მეტად სასურველია, რომ ეს დიდი ხნის უღელი მოხსნას დავრდომილსა და გაკირვებულს ინგილოს და სრულიად უსასყიდლოდ განთავისუფლდეს მრავალტანჯული ხალხი.

ჩ—ი.

IV.

გატენუმტბა გუნიუი.

მასალეი.

„ქუთაისის ლუბერნიის ოზურგეთის ვეზლის და ბახვის უჩასტკის სოფლის, საქათალიკოზოს მცხოვრების, საბატონო ყმის სვიმონ გიორგისძის კუტუბიძისაგან, ყოველად უმორჩილესი

მ ე ლ რ ე ბ ა .

ერთ მხედველობაი თქვენის მართლმსაჯულებისა აწ დროისა მომდინარეობისა ჟამ, მარად გვალგიძებს ყოველთა ქვეშევრდომთა შირთა ვინაიდგან გვესმის მკაცრი სამართალი თქვენი მოწყალეო ხელმწიფევ, საიმედო არს, ესე ვედრება ჩემი მიეცემის ღვთაებრ ყურადღებასა ქვეშე, თქვენ მიმხედველნო, მე ძლიერ მაიწროებს მებატონე ჩემი, სახაზინო აზნაური კომეხი ზურაბისძე გოგიბერიძე, რომელსაც შესახვედრთა ნაწილთა, სრული სამსახური აქვს ჩემგან, გარდა სხვათა შორის, მარადის ხელმწიფის სამსახურშიდ, როგორც სხვანი სახელმწიფო მცხოვრებნი მიდიან ხელმწიფის სამუშევარშიდ, მეცა იმ რიცხვით მაწვევენ, თუმცა განსხვავებით. ოდესაც ხელმწიფის სამსახურს მოვიხთი, მაშინ უკეთუ ვიშოვნი ვისმეს მაგიორს, ქირასა ქვეშე უნდა დაუტეო მას მებატონეს, ჩემსა ზემორე ცხადის გოგიბერიძეს, თორემ უკეთუ ეს არ ვყავი ხელმწიფეს არ სამსახურებს და ვიმყოფები ამით გაჭირვებასა გარნა ყოველთა შორის. მოთმინება მქონდა, ვინაიდგან მე ჯერედ თითქმის სამართლის კარიც არ მინახავს შიშისაგან ჩემის ბატონისა, უკეთუ თავი ვიშოვნო სასამართლოზედ მისასვლელი მაშინ შემიბყრობს და არა მრიდებს საცემრად და საგვემელად, მით რომელიც სასამართლოს არ ეპოვება.

ახლა ამა მდგომარეს თვეს, რიცხვსა მეშვიდესა, ვიყავ მე თავისსავე ძმის გოგიბერიძეს ოჯახში მოსამსახურეთ, როგორც წესისაებრ კვირეშიდ მქ მარტო ორორ დღეს ვემსახურებოდი. და მე უცნობელს თუ რომლის მიზეზით მომთხოვა ფულათ ოცი მანეთი ვერცხლისა. მე თუმცაღა არღარა ძალ მიძს ამის გარდახდა სიღარიბისა გამო ჩემისა, ერთი რომ მომეტებული, მისთვის მისაცემელი წლის

თავობით, როგორც ძველის ჩვეულებითი გარდასახადი ბეგარა უნდა
ვაძლიო, მეორედ ვინაიდან ნახევრობითის წესით სახელმწიფო ფუ-
ლი მებატონის და მასთან ხელმწიფის სამსახურისა.

ამათ მიზეზებთაგან, შეუძლებლობისაგან ჩემისა, ვარა უყავი და
და ამისთვის იხმარა საჭურველი ჩემთვის მოსაკვლელად, ესე იგი თო-
ფით რომელმანც ჩახმახის დაბივრით, ღმერთმან მიხსნა სიკვდილისა-
გან, რომელსაც მოწმობენ თვით მისი ყმანი დიმიტრი და იესე კუ-
ტუბიძენი.

ამისთვის ყოვლად უმორჩილესად გთხოვ, ვინაიდან გრანიცის
პირს ვართ, ამისთვის არ ძოხთეს ცუდი საქმე შეუგონებლ მხრის გამო
კომეხი გოგიბერიძისა და მომიცეს კმაყოფილება ზოგად მოწყალის
ხელმწიფის განცენილის კანონით, ეგრეთვე თანახმად მართლმსაჯუ-
ლებამან თქვენმან მით, რომ ვიქმნე დაფარულ იმუდებითის ცხო-
ვრებისაგან მე და ოჯახი ჩემი, გოგიბერიძის მიერ და იქმნეს და-
თხოვილ რომელსაც მახთევენებს უმართლოდ ფულს, ამასთანავე ოდე-
საც ხელმწიფის სამუშევრში მე გამაწვევენ, მაშინ მისი სამსახური-
საგან თავისუფალი ვიქმნე, ეგრეთვე შესახვედრი ჩემდამი ნაწილი
თვითოეულს კვირეშიდ არა მიმემატის ორ დღეზედ სამსახური, რომ-
ლისთვის იმედი მაქვს, ამა თხოვნისა ჩემისა მსწრაფლ მომეცემის ყუ-
რადლება, თორემდა მე არღარა ძალმიძს გამოცხადებად თავისა ჩე-
მისა გურიასა შინა უკეთუ ნუგეში თქვენი არ მცავს, ამა ვაჭირვე-
ბულსა უაღორეს მწუხარებასა ჩემსა საშვალეებითა თქვენითა მოწყა-
ლეო ხელმწიფევე, არდა **ვხე გარდაგხწერე სიტყვითა მთხოვნელისათა**
ნიკი ბახტურიძემ.

ესეც მეორე წერილი, რომელიც კარგად ხატავს 1860 წლებში თავ-აშვებულ მებატონეთა უკანონობას და ყმათა შეწუხებას.

უ—ლო ოზურგეთას უეზღის ნაჩაღნიკო.

მე ვარ საკუთენელი ყმა მუნუ მცხოვრების აზნაურის ნიკო ჟღენტისა, და ვიმყოფები მხოლოდ ერთი მოსახლე, მუდამ მოვალეობა იყო ჩემი, ერთის უბედურის შინაყმის, სამსახური მებატონის ჩემისა, და კიდევაც ვასრულებდი ყოველთვის თანამდებასა სამსახურსა ჩემსა, მე მყავს ხუთი შვილები მამრის სქესისა, და ამათგანი ორი შვილები ჩემი, მისცა ზემო ხსენებულმან მებატონემან ჩემან, აზნაურმან ნიკო ჟღენტმან, კნიაზ მიხაილ ერისთავს, მებატონებრივ დარიგებაშიდ წარსულს „ჩყოის“, წელშიდ და ამა რიცხვიდგან მოკიდებული ცალკე გვიმსახურებს კიაზ მიხაილ ერისთავი, რომელსაც ჯერეთ მიღებული აქვს ჩემგან ოთხმოცდაათი მანეთი ვერცხლისა ფული საშინაყმო და ცალკე მიმსახურებს მებატონე ჩემი ნიკო აღენტა, რომ ნიდავ უცდურათ ჰყავს ჩემგან ერთი შინაყმა და ვიმყოფები მე საწყალი ერთი კომლი გლეხი, ორის მებატონებისეგან შევიწროებული, მაშინ როდესაც მე არა ოდეს არ მქონებია დებულება ორის შინაყმით სამსახურისა.

ამისთვის მოვაწვენიებ რა ვიდრე ცნობადმდე თქვენის მაღალ კეთილშობილებისა და უმორჩილესად ვითხოვ, რომელ წინეთ დებულებისამებრ ჩემისა ერთსა და ან მეორესა მებატონეზედ მაკმაოთ მე წინეთ ჩვეულობრივი სამსახური და ორიო მებატონებთაგან ნუ ვიქნები შევიწროებული.

მთხოვნელი ყმა ხუტუა ჩაღიგავა.

1860 წელს

2 მარტის დღეს.

ზოგი გლეხი ყმა ისე იყო შეწუხებული და მობეზრებული ბატონის სამსახურისაგან, რომ იგინი ბატონს ყველაფერს საცხოვრებელს მისცემდნენ: სახლ-კარს. მამულს, თვით საქონელსაც ოღონდ მის წაცვლად ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებულიყვნენ. ამას ახერხებდნენ, უფრო. ადვილად რომელსაც მამაპაპეული, ანუ საბატონოდ ზიარს მამულს გარდა, სხვებიც აქენდათ თავიანთის შრომით შეძენილი, ესენი ბატონს ახარებდნენ და აძლევედნენ ყველაფერს და მით ითავისუფლებდნენ თავს, მაგრამ მერე ცარიელ თავისუფლების მქონე გლეხნი დიდს გაქირვებაში ვარდებოდნენ და უფრო იტანჯებოდნენ სილატაკისაგან. ასეთ საქმეთა მოწამენი აქამდე მრავლად იყვნენ, უთქვამსთ ხოლმე, რომ ბატონს თვით საცერსა და ვარცლსაც კი აძლევენ, ცულსა და წალდს, ქათაშს და თვით კატა და ძაღლსაც რომ ოღონდ მის მაგიერ თავისუფლება ეშოვნათო, ზოგს ისე აქენდა სიცოცხლე გამწარებული, რომ ბატონისაგან განთავისუფლებას, ცარიელად ყოფნას, თითქმის შიმშილს რჩეოდებდნენ ბატონის ხელში ყოფნას, და მაძლარათ ყოფნასაც კი არაო. ასეთ პირთა ერთი საბუთია ქვემოლ მოყვანილი, რომელიც ეკუთვნის საბატონო ყმათ, მაგრამ ბატონისაგან გასულთა

„მისს აღმატებულებას ქუთაისის ღრაქდანსკის ლუბერნატორს უფალსა ღენერალ მაიორს და კავალერს ივანოვს.

ოზურგეთის უეზდის ჩახატურ უჩასტკის, სოფელს გომს მცხოვრების, თავდახსნილის სახაზინო ყმის, სიმონ ნიკოლოზისძის ჯოჯუასაგან.

თ ხ რ ვ ნ ა.

მე ერთად ჩემის ძმით ბეჟანით და სახლეულობით ჩემით, დავიხსენით თავი მებატონისა ჩვენისა ხუნდაძისა მონობისაგან. სახაზინოდ. თუშცა ადგილ მამულნი, გარნა იგინი სრულიად გაცემულნი გვაქვს,

რადგან ჩვენ შეძლება არა გვქონდა ავალაბულს ფულში თავის და-
ხსნის საქმეზედ და ჩვენ აწ ვიმყოფებით ფ-დ უკიდურეს მდგომარეო-
ბაში, აქა იქა სამუშევრად და დაუსახლებლად სხვათა, კართა გარნა
ამით ფ-დ დამძიმებული ვართ და შთავარდნილი სიღარიბეში, და
კოლშვილი უსაზღორობით მეხოცებიან ვინაიდგან მწყალობა
ხელმწიფისა, და თქვენი აღმატებულებისა მთავრობა მზრუნველობა
გარდაფენილა ყოველთა ჩვენებრ გაჭირვებულთა ზედა, ამისთვისა
ყ-დ უმორჩილესად წარმოვადგენთ ამასთანავე თავისუფლებისა
წერილსა, დამოწმებულსა ქუთაისის ლუბერნიის სუდში წაროსულს
1857 წელსა შა, ვთხოვთ რათა ვიქმნეთ რა შერიცხულ სახაზინო
უწყებისადმი ქუთაისის უეზდისა შა, მოგვეცეს განკარგულებითა
თქვენითა დასასახლებლად და სამუშევრად სახაზინო ადგილი, რაო-
დენიცა მიხედვისაებრ თქვენისა საკმაო იქმნებოდეს ჩემის, ძმისა ჩე-
მისა და სახლობითა ჩემისათა. რომელიცა არის გაუცემელი და თა-
ვისუფალი, როგორც მე გარეშე შეგიტყვა მდებარე ქუთაისის უეზ-
დის სახელ წოდებით შუამთას, უმემკვიდროთ გადაშენებულსა, სახა-
ზინო ყმის წყალობა ბერიძის ასული, ზომით ჩვიდმეტი ქცევა... ერთი
მტვერი სანიკიძის ნავკეტი კოპიტნარი, ამავე შუამთის ადგილი. სა-
ხელწოდებით სამზაარო შარის პირი, ყურელი პირ-ზამთარული. ნა-
ცხვართან რუის პირი და წარელარს პირი. მუხის პირთან მოგვეცეს
რომელიმე, და ანუ ხვილეფში. რათა ვიქმნეთ თქვენის აღმატებულე-
ბის მოწყალებით გამოხსნილნი სიღარიბისაგან, ყმა სიმონა ჯოჯუა
და რადგან მან წერა არ იცოდა, მისის თხოვნით ვწერ და ხელს გა-
წერ სერაპიონ დოლიძე.

ბატონისგან გლეხის დაპირაშვება.

გლეხებში იყვნენ ისეთი შეწუხებული ყმანი, რომელთაც მებატონისაგან სული შეწუხებული აქვნიდათ. ასეთი ყმანი მებატონეებს აღვილად განელტონდნენ აქეთ-იქით, ხან დაეხატა უტეხდენ მასზედ, რომ ჩვენ ბოროტად გვექცევით, ასეთი იყო მაგალითად ის გარემოება, რომ 1838 წ. ლუარსაბ შალიკაშვილმა, ერთ გლეხს დააკისრა უარის თქმისთვის 100 მ. ჯარიმა და გადაახდევინა. თ. გიორგი გურიელმა 80 მ. ეს მიტომ მოახერხეს, რომ შემდეგ დროში, ამათ მაგალითის სხვა ყმებმაც არ მიჰბაძონ და ბატონს ჩტრობა არ დაუწიონო.

1858 წ.

ზემო ხსენებულ მაგალითს ასაბუთებს შემდეგი:

1856 წ. გარდაიცვალა უძეოთ მალაქია გურიელის ყმა აზნაური ნიკოლოზ მდივანი, ამიტომ ამ უძეო აზნაურის მდივნის ყმებიც უნდა განთავისუფლებულიყვნენ.

ამისთვის ბატონს ყმებისათვის სიტყვაც ეთქვა. მაგრამ ყმა-გლეხებს ეს ვერ მოუხდათ, რადგანაც მებატონე მალაქია გურიელმა, დაეასტეხა გლეხებთან და მთავრობას სთხოვა, რომ ჩემი ყმა აზნაური მდივანი უძეოთ გარდაიცვალა და ამიტომ მისი ყმები მე უნდა შერგოსო. დროებით ეს საწყალი გახარებული გლეხები ბნელ საპატრიმროში ჩაყარეს. მერე სეაგს გურიელს ერგუნ. ცნობილმა მალაქიამ შემდეგ ამ გლეხებს დღე გაუშწარა, წაართო ყოველისფერი და შეიღებაც კი დასტაცა, ზოგიერთებს ჯიბრით ჩუმათ, და ოსმალეოში დაუყიდა.

დავსძენთ რომ ასეთი პირებით საქართველოს ყველა კუთხე იყო სავსე, ყვილგან მათ გლეხი ცხვრებით ჰყავდათ და რბეული, ამის ჩვეულება ქართლში მუხრანბატონებს ძველადგანვე აქვნიდათ, იგინი ვალვიძებულ იყვნენ გლეხთა ტაციობით. ამის სრული ნიშან წყალი იყვნენ ქართლში მრავალნი მებატონენი, და მათ შორის ივანე მუხრანსკი. კახეთში ჭავჭავაძე გარსევანი, რომელიც გლეხებს კი არა და თვით თავადისშვილებსაც არბევდა. სულ ასე წანატაცავით შეიღვირეს თავიანთი უზარმაზარი მამულები. ივანე მუხრანსკიმ 50 კომლს გლეხს, შარი მოუღო, 1860 წლებში, მამულები სულ წაართვა. გლეხები სოფლიდან აიყარნენ და მამკოდისკენ გადასახლდნენ სხვა მებატონის მამულზედ ერთი მალაქია არ იყო გურიას, ასეთი წურბელებით სავსე იყო საქართველო, ნამეტურ ქართლი და სულ ამ უსამართლოობამ დასცა ქათველი გლეხის ოჯახი.

თავ. გუგუნავა.

1859 წ.

სოფელ აკეთში მცხოვრებნი საბატონო ყმანი დავით ღლონტი, მამუკა და ბეჟან გოგვაძე, ფირან მამუკელი, მაქსიმე ქანთაქია იყვნენ ყმანი აზნაურის დათუნაიშვილისა. ერთს დღეს მძღაგრმა თავ. დათა გუგუნავა, დათუნაშვილის ყმები შეკრიბა და გამოუცხადა, რომ დღეის შემდეგ თქვენი საბატონო ღალა მე უნდა მძღლიოთო. ყმანი წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ დათა გუგუნავამ ძრვიელ შეაშინა. ერთი გლეხი სწერს: „თავ. გუგუნავამ ძალა იხმარა და რადგან თავადის-შვილი იყო, ჩვენ ძალ-ლონე არ გვქონდა, დაგვაფიცა ხატზედ და ჯვარზედ ჩვეულებისამებრ და დავპირდით მის ხარკის გადახდა“. ფიცის შემდეგ, ეს ამბები ყმებმა თავიანთ ბატონს დათუნაშვილს შეატყობინეს, მან აუწყა ოზურგეთის უფროს, და ამაზედ გუგუნავას შენიშვნა მიეცა, შემდგომ ამის, თავ. გუგუნავას ბრძანებით, ზემოხსენებულს გლეხებს, თავს დაეცა ბოქაული 30 კაცით შეიარაღებულებით და გლეხები მთლად აიკლეს. ამ აკლების გამო, ყმანი მთავრობას შემდეგ საჩივარს აძლევენ:

„გუგუნავას კაცებმა წავგართვეს, ზოგს თოფი, ზოგს კარღე-ბი და ქათმები დაგვიხოცეს, ესრეთის სიტყვით აგვაოხრეს ოჯახში შემოხევით. კაცები ქალებითურთ დაგვილახეს, მეტადრე ქალები, მეტის შეშინებით დღესაც ავათ არიან, ესე აოხრებული დაგვტოვეს და ქონება წავგვიღეს და წავიდნენ“. შემდეგ სთხოვენ მთავრობას, რომ დაგვეხმარეთ, რომ ჩვენი საკუთრება დაგვიბრუნდეს, ჩვენ ბატონთან თუ საქმე აქვს, მასთან იძნიოს და არა ჩვენთანაო.

ამაზედ უთქვამთ ძველად: „ცხენს ვერაფერი დააკლეს და უნაგირს გადაახდევინესო“.

ყმათა ქალების სყიდვა და ნაბუშრების საქმე გრუიანი.

1860 წ. ყმათა შვილებს ყიდულობდენ ყველანი, ვისაც კი სურვილი აქვდა. ყიდულობდენ, სახლში მიჰყვანდათ ნაყიდნი და იმსახურებდენ, მერე ამათ აორსულებდენ, სადაც ნაყიდ გოგოებს შვილებიც ეძლეოდათ. ნაყიდ ქალებს აორსულებდენ ახალგაზდა მყი-

დავთ შვილები, მოხუცებულნი მყიდავნი და სხვანი. ამათს სახლში გოგო სასტუმროდაც იყო დანიშნული სტუმართათვის. გოგოსთან საქმე აქენდათ თვით ცოლშვილის პატრონებსაც კი, ქვრივთა რიცხვს ხომ ნულარ იტყვიო. რომელიმე ქვრივი თავადი და აზნაური მინამ კანონიერს ცოლს შეირთავდა, მინამ ყმის ქალს იხმარდა. ამიტომ საქართველოში, და ნამეტურ გურიაში, გავრცელებული იყო ნაბიჭვართა რიცხვის საქმე, და თითქმის ყველა თავადის და აზნაურის სახლში ნახავდით უკანონოთ შობილ ყმაწვილთა რიცხვს, უნდა ითქვას, რომ ასეთ ბავშვთა და დედათა საქმე მყიდველთა ხელში სწორედ ცეცხლში დაწვას ჰგვანდა. ეხლა აქ მოვიყვან ერთ ცნობას, რომელიდამაც სჩანს, რომ ყმათა შვილების სყიდვა მებატონეთაგან იყო კანონიერი წესი და ამ დასაყიდს ყმების შვილებს ყიდულობდენ თვით გლეხის შვილები, უმეტეს შეძლებულნი და საეკლესიო და სახელმწიფო ყმანი, სადაც ნაყიდ ქალებს ნამუსის ახდა მოელოდათ და დაორსულებთა.

მყიდველს ნება ჰქონია, რომ თავის ნაყიდს საქონელს, რასაც მოისურვებდა იმას უზამდა, ჩვეულებად ისიც კი ჰქონიათ, რომ უკანონოდ შობილთ მრავლად და ძრიელ ხშირად ჰყიდდნენ. ოსმალეთში, გათათრებულ ქართველებზედ.

აქვე მოვიყვან მეორე ცნობასაც, რომელიც შეეხება საბრალო მარიამ შენგელიას ქალს, რომელიც გაყიდული ყოფილა 1858 წელს, მისული და მყიდველის სახლში ნამსახური. უეჭველია ეს საბრალო დატანჯულიც იქნებოდა, რომელ ტანჯვაშიც წილი უდევს თვით იმ დროის ქართველ სულიერ მამა მღვდელსაც.

ვითყვიო, რომ ასეთ საქმით მართოდ ეს ერთი არა სჩანს, არამედ ყოველ ქვირე მღვდელს, სახლში უეჭველად ახლდა ნაყიდი გოგოები, რომელთაგან შვილებიც ეძლეოდათ, მაგრამ შვილებს ივინი არ იშვილებდენ, არამედ სხვებს დააკისრებდენ და დაორსულებაც სხვას დაეწამებოდა, მღვდელი თავისუფალი იყო ყოველთვის და წმინდად რჩებოდა. ამაზედ ეჭვი არავინ სთქვას, რადგანაც მე მინახავს ძრიელ ბევრი ქალაღღები, ანუხსნი ყოფილა, რომ მე ამადა ამ ყმის გოგომ და გაყიდულს ბატონისაგან და მყიდავის მღვდლის სახლში ამა და ამ კაცისაგან, უკანონო შვილი მომეცაო და ეხლა ვითხოვ იმ შვილთა ამა და ამ საქმესაო: ან ჩემს გვარზედ დაიწეროს და ან შემქნელისაზედაო, ესე იგი მღვდელს გარდა ვილაც დაწამებულზედ, ეს რასაკვირველია ქალისაგან განგებ ხდებოდა, მღვდლის დარიგებით და ჩაგონებით, რომ მღვდელი არ გასვრილიყო რამე საქმეში.

ბიჭია და გრიგოლ კალანდაძეები

1860 წ. ოზურგეთის უეზლის ყმებთ გრიგოლ და ბიჭია კალანდაძეთ, ქუთაისის სამოქალაქო ლუბერნატორს სთხოვენ: „ჩვენ ვისუილეთ ყოველსა გურიაშიდ გურიელის დროს ერთი გოგო, თამარა, მან შეიძინა სამი უკანონო შობილნი ასულნი, სყიდვა იმ დროს, ყმისაგან ყმისა, იყო ჩვეულება მხარისა, როდესაც რუხეთის კანონი არ იყო მოსრული გურიაშიდ და არ მოქმედებდა, ამ გოგუებს უფლობდით. ჩვენ ათას რვას ორმოცდა ჩვილმეტს წლამდის მაგრამ, იმ წელშიდ ქუთაისის სამხედრო ლუბერნატორმა უმართლოდ ჩამოგვავართვა გოგოები, და დღეს იმყოფებიან თავის ძმასთან, იმ დროიდგან ვართ მოკლებულნი ჩვენს საკუთრებას, ამაზედ საქმე თუმცა სწარმოებს ოზურგეთის სასამართლოშიდ, მაგრამ საქმის გადაწყვეტილამდის, კანონით გოგოები უნდა გვევანდეს ჩვენ. უმორჩილესად ვსთხოვთ თქვენს აღმატებულებას უბრძანოთ ადგილობრივ ნაჩაღნიკს, მოგვბარდეს ჩვენ გოგოები საქმის დაბოლებამდის.—ყმანი გრიგოლა და ბიჭია კალანდაძეები და რადგან ამათ წერა არ იცოდა, მათის თხოვნით ხელს ვაწერ სამსონ შალორვა, ჩუი-სა წელსა ოქტომბრის ხ-სა დღესა.

მარიამ შენგელიას თხზვნა:

„უდროობისა გამო, იმა შემდგომ მიერ იმერეთის სოფ-
ლიდგან უმართლოდ, შემარჩინა ლანჩუთის უჩასკის სოფელსა
ზომლეთის მცხოვრებლებთა სახელმწიფო ყმებმა, მღვდელმა გიორ-
გი და ძმებმა მისმა, მამა სიმონ და იოანემ ღუმბაძეებმა, მახლობ-
ლად მათდამი ოჯახისა და შემდგომს აქეთ იქმნება წლოვანებით
მათადმი, ჩემ მიერ მსახურება ორმოცდა თვრამეტის წლისა—მსა-
ხურებასა შინა მათსა, ერთი უკანონო შვილი შემექმნა, ისევ იმა
მებატონისა ჩემისა იოანე ღუმბაძისა მიერ და ის მამაშვილისა
ჩემისა იოანე ღუმბაძე, გარდაიცვალა უძეოდ დაშთა ორი ძმე-
ბი გიორგი და სვიმეონ და სვიმეონიც უძეოდ გარდაიცვალა თვი-
ნიერ უწლოვანისა ასულისა და ის უკანონო შვილი იგი ჩემი, მა-
მა მისმან იოანე ღუმბაძემ, დასწრებითა მისის შაბთურისათა
განათავისუფლა მის მიერ, ზვედრის მიწამამულის ჩაბარებით და
დასტოვა იგი თავისუფალი ხელმწიფისადმი კუთნილ ყმად, მდგო-
მარეობასა შინა მსგავსა და სხვა ღუმბაძისა და შემდგომში მღვ-
დელმა გიორგი და სვიმონმა, განთავისუფლა როგორც ამ არძასა შინა
შთადებული, წაბუთს პირათ აცხადებს იქილამ ვალდებული სახელ-
მწიფო ფულს ვინდი, ამისთვის მოვილტვი და გთხოვთ უმორჩილად
რადგან უკანონო შვილი იგი ნემი დათა არს თავისუფალი, სახელ
მწიფოდ იქმნას პატივცემულ და მე ღვთის გულისათვის მიყავ
მოწყალება, თუმცა შეიძლებოდეს ჩემი თავი მაშონიე დასახსნელ
და კანონური და ფასებათ მთხოვნელი მარიამ შენგელიას ქალი“.

საყურადღებოა ეს მით უფრო, რომ საბრალო დედაკას, მყიდ-
ველის სახლში იმდენ ხანს უმსახურნია და უკანასკნელი მაინც ვერ
განთავისუფლებულა. ნუ თუ ამაზედ მეტი მონება შეიძლება?! ერთის
ცნობით სჩანს, რომ ეს საბრალო სულ ძციერ ფასად ყოფილა გაყი-
დული ბატონისაგან. ჩვენ აქ ამაზედ აღვილად ვსაუფრობთ და მეკი
უნდა ვსთქვა, რომ ეს მაშინ ერთობ ძნელი ყოფილა და ამ სიძნე-
ლეს, მთავრობა უფრო აორკეცებდა. მეორე ქალღმერთა ასევე შე-
სჩივის ეს დედაკაცი და ამუდარებს მთავრობას, ნება მიბოძეთ თავი
დავიხსნა, ვინაიდგან მოხუცებაში შესვლის გამო, სამსახურიც არ
შემეძლება გაუწიო ჩემს მსყიდველთაო. მერეკი მიუციათ ნება, რაკი
ჯაფისაგან დაღლილ მსახურ მონათაგან ასეთი განცხადება სმენიათ,
ასეთ დასჯილ ქალთა რიცხვს მაშინ სათვალავი არ აქენდა.

ვეპილი აბაშიძე.

1860 წ. შემოქმედის მცხოვრები ვეპილი ბეჟუკა აბაშიძე, სჩივის თავის ბატონის დიმიტრი და ამის ძმა მალაქია გურიელზედ, სამწუხაროდ საჩივრის მხოლოდ ერთი ფურცელი იყო დაშთენილი ისიც მიმპალი სარდაფში გდებით, დანარჩენი მოხეული იყო. დარჩენილი ფურცლიდამ ეს გამოვიტანე: „ქუთაისის გუბერნიის ყველა სამართველოში იციან, რომ მე ვიმყოფები შემოქმედის მცხოვრებთ ვეპილად. ამიტომ მე მემტერება ჩემი ბატონი დიმიტრი გურიელი. ნოემბერი თექვსმეტს, მე მოვდიოდი უფალს პომოშნიკისკენ, ერისთავთან, ჩაველ ოზურგეთს, იქ თავ- დიმიტრი გურიელმა გამომისია სამი თავის კაცი და ჩემს დაჭერას სცდილობდნენ, მე გავიქეცი და დავიმალე, ეს გაქცევა მთელმა ქალაქმა ნახა. ეხლა ვთხოვ ოზურგეთის უფროს, მიშუამდგომლოს ჩემს ბატონთან და მოსთხოვოს პასუხი თუ მას რა ნებამს ჩემგან, რა უნდა, რას მთხოვს, ყოველივეს აქ თქვენს წინაშე წარმოვადგენ, აქ მოვიდეს და აქედამ მიიღოს. ვითხოვ თქვენის მაღალკეთილშობილებისაგან, რომ უმართლო მოქმედებისაგან დამიფაროთ მე, თორემ თუ მისის სურვილით დავისაჯე, ეს იქმნება უსამართლობა, რადგანაც მას სამართალი არა აქვს. ამასთანავე დიმიტრი გურიელს ჩემგან აქვს წართმეული მრავალი ნივთები და ფული, ეხლა ხანაც წამართვა ოცდა ცამეტი მანეთი ფული, ერთი ხარი ღირებული 25 მ. რაც მიჰყიდა ესიკა ახოზელიძეს, ასევე მრავალ გზით წამართვა სხვა და სხვა ნივთები მის ძმა თავ. მალაქია გურიელმა, ჩემი ნებით მირთმეული ფული და ნივთები სხვა გახლავსთ“.

შემდეგი აღარ არის ქალაქის, დამპალია.

აზნ. კვირკელია.

1860 წლებში, თავადის გუგუნავას ყმა, აზნაური ალექსანდრე კვირიკელია, მოკლეს 23 ოქტომბერს. მკვლელნი რასაკვირველია გლეხნი იყვნენ, რომელთაც სჩაგრავდა და სტანჯავდა. მიზეზს სიკვდილისას თან ერთოდა ერთის ცხენის და ძაღლის დაკარგვის, თუ წაყვანის საქმე, რომელნიც აზნაურს კვირიკელიას თავის ბატონისაგან ეთხოვნა. მოკვლის დროს მასთან სპხოვრებდენ გლეხნი სვიმონ მორჩილაძე, ფარნაოზ ახალაძე დი სფირიდონ ხუხუნაიშვილი, ყმა კვირიკელიასი და სხვანიც. ყმა გლეხებმა იყარეს აზნაური ბატონის ჯავრი და მკვლელს ვერც არავინ მიაგნო.

კნ. ეკ. გურიელისა.

1861 წ. ქვრივმა კნენა დადიანის ასულმა ეკატერინე გურიელისამ, მთავრობასთან დავა ასტეხა, რომ მე შინაყმა მოსამსახურედ და მცველად მყვანდა ასალო ხუციშვილი თავის შვილებითაო და შავარდენა ურუშაძეო. ესენი იყვნენ ჩვენი შინა ყმანი, რადგანაც ჩემი მეუღლის შეძენილნი არიანო. ეხლა წინააღმდეგ მიხედვიან და სამსახურს მაკლებენო. ამიტომ ვითხოვ მათს დამორჩილებას და შიშის მიცემას, რომ კვალინდებურად მემსახურონო. მეც კარგად ვეპყრობი მათაო და მიზეზი არ ვიციო მათი განატოლვისა, ვითხოვ პასპორტი არ მისცეთ სადმე წასასვლელათაო.

1810—1860 წლამდე აზნაურების ქალების საქმე.

ხანდისხან მოხდებოდა საქმე ისე, რომ აზნაურის ქალი გლეხის ბიჭს შეიყვარებდა. მერე ამ შეყვარებულს ცოლათაც გაჰყვებოდა უჩუმრად, და სადმე საყდარში მოტყუებით ჯვარსაც დაიწერდენ, ამ შეითხვევაში, აზნაურის ქალი ჰკარგავდა ყოველნაირ უპირატესობას და გაირიცხებოდა ყველაფრიდამ. თუ ვინცობა არის და მამა ან დედა მოუკვდებოდა, მაშინ ამ ქალს, გლეხზედ გათხოვილს, უძრავის ქონებიდამ კი არას მისცემდნენ და მოძრავიდან კი შეიძლებოდა, მაგალითებრ: ძროხას, ხარს, ცხვარს, ცხენს, ჯორს და ამგვარებს, ან მოსავლიდამ, ისიც კეთილის გულის მყოფელ ნათესავთაგან მოხდებოდა, თორემ ბევრს ალაგას ამასაც არ აძლევდენ, რადგანაც ოჯახის წევრთ ასეთ ქალთა, ანუ გლეხებზედ გათხოვილთა ნათესავობა სძულდათ.

სძულდათ მით უფრო, რომ ქალი უსათუოთ ამ შემთხვევაში გლეხკაცის შვილს თავის ნებით უნდა გაჰყოლოდა, თორემ დედმამანი მას თავის დღეში არ მისცემდენ, გლეხზედ გათხოვების ნებართვას, გინდ რომ ქალი სულ შინ მჯარიყოს, დაბერებულყოს და სულაც არ გათხოვილიყოს, ეს უფრო სჯობდა მედიდურ თავად-აზნაურთათვის, ვინემც მათი ქალის გლეხზედ გაცემა, გლეხის ცოლად გაყოლება. ასეთ თავის ნებისად გათხოვილ ქალის არამც თუ სიყვარული აქვნდათ ნათესავეებს, არამედ კავშირი და მეგობრობაც კი ეზარებოდათ, მისვლა-მოსვლაც წყდებოდა მათში და კავშირი. ასეთ ქალზედ თავად-აზნაურები ყველა თავიანთ ახალ გაცნობილ სტუმართ აზნაურს შეიღებებს და ცოლებს ეტყოდენ ხოლმე, რომ ესა და ეს აზნაურის ქალი ამა და ამ გლეხის ბიჭს გაჰყვაო.

ამ ამბავს რასაკვირველია ყველა განცვიფრებით შეხედავდა. ყველას გმობა ეხატებოდა თავსა და თვალებში.

ასეთი მაგალითები მეც ხშირად შემხვედრია, საქართველოს კუთხეებში აქა-იქ მგზავრობის დროს, აზნაურთა ოჯახებში წყენით და გლობით უთქვამთ, რომ ესა და ეს ქალი გლეხ-კაცს გაჰყვაო. ან როცა ნათესავეებში ასეთი ქალი შემხვედრია და გაუცნობებიათ, მერე ჩუმით უთქვამთ, რომ ეს ქალი გლეხ-კაცის ცოლიაო, თავის ნებით

გლებს გაჰყვა, თორემ მას ვინ მისცემდა გლებს მის მშობლები ან ნათესალებიო. ასეთი მაგალითები დღემდეც 1890 წ. ხშირია და მოსპობა კი მკაცრათ ეტყობა, ამაზედ ვგონებ სხვებიც დამეთანხმებიან. მართალია დღემდე ასე იყო, მაგრამ დღეის შემდეგ კი სხვა გაბრწყინდება, მე ეს ამბავი მაგალითად მოვიყვანე. ისიც კი უნდა ითქვას, რომ თუმცა ასეთი მაგალითები იშვიათი იყო, მაგრამ მაინც ხდებოდა ხოლმე აქა-იქ კენტ-კუნტათ.

აზნაურის ქალებს ხშირად ათხოვებდენ გლებებზედ იმ შემთხვევაში, როცა აზნაურის ქალი ნაძრახი იყო. ასეთ საქმეთა ცნობები და მზითვის სიათა ცნობებიც კი მე ბევრი მინახავს. ნაძრახ აზნაურის ქალს გლები ბატონის თხოვნით ირთავდა, ეს ერთი მხრით მისთვის სასიამოვნოც იყო, რომ ასეთ ბატონის თხოვნას ვასრულებ და მის აჩენილს ქალს ვირთამო. იგი ჩემი მფარველი იქნებოდა. ხანდისხან ისიც მოხდებოდა, რომ ასეთ სიძე ყმას მებატონენი თავიანთ ქალის გამო ყმობიდან გაანთავსიუფლებდენ. იშვიათად მოხდებოდა, რომ აზნაურის ნაძრახი, ან არა ქალწული ქალი აზნაურზედ გათხოვილიყოს, იგი გლებზედ თუ არ გათხოვდებოდა იმ შემთხვევაში საყოველთაოდ, უქმროდ დაშთებოდა. იყვნენ ისეთი ქალებიც, რომ საყოველთაოდ შინ ჯდომას არჩევდენ და გლებ-კაცის შვილს კი არ გაჰყვებოდნენ ცოლათ. ასეთ თავადის და აზნაურის ქალებს მეც მოვესწარ, მათი რიცხვი დღესაც დიდია, ნამეტურ თავადის შვილებში. აქ ამათი ოჯახები გაუთხოვარის ხნიერი ქალებით სავსეა.

ასეთ საქმეთა შესახებ მე მთელ ტომს დავწერდი, მაგრამ ასე მოკლედ ვარჩიე. უნდა ითქვას, რომ გლეხზედ ქალის გაიხზობას ერიდებოდნენ თვით თავადის და ეკლესიის არა აზნაურებიც კი, ესენიც ძლიერ იშვიათად მისცემდნენ ქალს გლეხის შვილს, საეკლესიო პირზედ კი, სამღვდელოზედ, ეს კი არ ეძრახებოდათ, მღვდელი გინდ გლეხის ყოფილიყოს და გინდ ყრის. ხოლო ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ იყვნენ მრავლათ საქართველოში ისეთი მღვდელნი, რომელნიც ბატონის ყმანი იყვნენ, ამაზედ იხილეთ პირველი წიგნი*).

აზნაურები გლეხის ქალების შერთვასაც ძნელად მისდევდნენ. დიდათ ემძიმებოდათ, რომ ოჯახში გლეხის ქალი შეეყვანათ. თუ ვინმე სიყვარულით შეირთამდა ყმის ქალს, იმას თუ აძლევდენ პატივს ოჯახის წევრნი, ისიც ქმრის გამო, თორემ სხვა არა რაის პირობებით. გლეხის ქალი რომ აზნაურის ოჯახში გაბატონებულყო, ეს ოჯახის წევრთათვის ერთ ხნობით დიდი ცეცხლი იყო, აუტეხელი ჭირი, მათს ოჯახში ქალის ნათესავეები თავის დღეში ფეხს ვერ მიდგამდენ და ვერ ეჩვენებოდნენ სიძე აზნაურს სირცხვილის გამო, რომ იგინი გლეხები იყვნენ. გლეხის ქალის ბედი თავად-აზნაურების ხელში დაცემული და დაქვეითებული იყო. თითქმის მონაზედ გასწორებული. ჯერეთ ჩვენ დროს, 1890 წელს, ქართლში, კასპის მემამულემ თავ. ამილახვარმა თავის გლეხის ანუ ნაყმევის ქალი შეირთა ცოლად. ამაზედ ნათესავეები აუყაყანდნენ და საქმემ იქამდის მიიღწია, რომ მებატონემ „ივერიის“ საშუალებით აუწყა ქართველობას. შემდეგი: საქმე იქამდის მივიდა, რომ ჩემგან ჩემი ნაყმევი გლეხი ქალის შერთვა გავბედე. თვითონ კი სომხის ვაჭრის ქალებს ითხოვენ ფულის გულისთვის, ის არაფერი და მე რომ ჩემი ყმის და ჩემივე ტომის ქართველი ქალი, ამას მიკიჟინებენ. გონი ამით არა დამიშავებია რომ ქართველ კაცს ქართველი ქალი შემირთავს, ქართველი ქალი შემიყვანია სახლში და კნენა გამიხდიაო. ეს მაგალითად ერთი მოვიყვანე დღეინდელის მდგომარეობიდან, თორემ სხვებთანაც მოხდა ასე. ადრე კი ეს ერთობ ზშირი იყო და მრავალი.

*) ბატონყმობა საქართველოში, პირველი ტომი.

მართალია ყმის ქალებს თავად-აზნაურები ძრიელ ეტროფოდენ მაგრამ ისიც იმ შემთხვევაში, თუ ქალი კარგი სახის იყო. ისიც დროებით, მერე სტოვებდნენ. უკანონო ყმაწვილებსაც აჩენდნენ. უკანონო ყმაწვილებით სავსე იყო იმერეთი, ქართლში უკანონო შვილებს ყოველთვის, დედებისაგან სონხები ყიდულობდნენ და სომხურად ნათლავდნენ, ასეთის ქართველ სონხებით სავსეა მთელი საქართველო.

ასეთ არა საკეთილო პირობებში იყო მოთავსებული აზნაურის იმ ქალის საქმე და ცხოვრება, რომელიც გლეხ-კაცს გაჰყვებოდა ცოლად. ასეთსავე და უფრო უარეს მდგომარეობაში იყო მოთავსებული გლეხთა ქალთა საქმეც. და პირობები: 1840 წ. მარტოდ ლანჩხუთში რვა ხასა სჩანს მათი უკანონო შვილებით და მათი საჩივრები. ჩოხატაურში—5 ხასა და უკანონო შობილი შვილები. ოზურგეთში—10 ხასა და უკანონო შვილები. იმერეთშიაც ასევე და ქართლშიც ძრიელ ხშირი იყო და მრავალი. თბილისში, პირველად საკახპოები დაუხნიათ 1820 წლებში, ავლაბარში, მთაწმინდას და მეიღნისკენ, მრავალი იყო. საკახპოები მიკიტნის დუქნების გვერდით. ასეთ საკახპოები, უმეტესად ქართველ ქალებთაგან ისეთს ბოზებს ნახავდით, რომელნიც პირველად ბატონისაგან იყვნენ დაღუპულნი და მერე გაშვებულნი. ასეთი საბრალო ქალებით სავსე იყო მაშინდელი საკახპოები. ასეთ უბედურ ქალთა შესახებ ჩემთვის ნაამბობი აქვთ მრავალთ მოხუცებულთ კარგს ქართველ დედაკაცებთ, მომსწრეებს ბატონყმობის და მნახველთ ასეთ უბედურის დღეების.

1862 წ. კნენა მზესა შალიკაშვილისა სჩივის მასზედ, რომ მინამ ჩემი ქმარი ცოცხალი იყო, მე გამომართვა ჩემი ნამზითავი გოგო და იგი ვასცაო, ანუ გაყიდაო, გაყიდვას არ ამბობს, ერიდება, არამედ ვასცაო, რაც გაყიდვას ნიშნავს, ამ გოგოს სანაცვალოდ, ჩემმა ქმარმა მომცა საწინდაც ყმის მამუკელა ბურჯულაძის შვილები, რომელიც დღეს სამი კომლისაგან შეცდგებაო. გავიდა რამდენიმე ხანი და ქმარი ჩემი გარდაიცვალა, მას შეძღვ, შვილებმა წამართვეს საწინდრათ ყმის შვილებიო. მთავრობამ გამოძიება დანიშნა. საქმე ასე აღმოჩნდა, შვილები ამ ქალის იყრებოდნენ და ყმებსაც იყოფდნენ, კნენამ კვალად მიმართა მთავრობას და სთხოვა: მიშველეთ რამეო.

დაყიდული ყმების შესახებ დავა.

მას შემდეგ, რაც იმერეთში რუსები შემოვიდნენ, იმერეთ მე-ბატონებს ნება მისცეს, რომ მათ რაც ენებებოდათ იმას უზამდნენ თავიანთ ყმებს. იყო მეტად ხშირად ასეთი შემთხვევები: მებატონენი თავიანთ ყმის შვილებს დაჰყიდდნენ ოსმალებზედ. გავიღოდა ხანი და დაყიდული ეცდებოდა და თავს დაიხსნიდა რამე ღონის ძიებით და სახლში მობრუნდებოდა. იყო ისეთი შემთხვევაც, რომ მებატონესაგან დაყიდულს ბაქს ან გოგოს ვინმე ქართველი შეხვდებოდა და ის დაიხსნიდა. ამ დაყიდულს მის მერე დახსნილი ახალ მყიდველს უნდა ჰყმობოდა, ან ფული უნდა დაებრუნებინა დამხსნელისთვის. ორში ერთი იყო, ეს მათს პირობებზედ იყო დამოკიდებული.

ხშირად ხდებოდა ხოლმე ისიც, რომ ასეთ დახსნილ ყმებს თავიანთი მებატონენი დავას აუტეხდნენ და ყმობას ხელ-ახლა სთხოვდნენ. ხშირად ყმას საქმესაც უჭირებდნენ, საბრალო მდგომარეობაში ათავსებდნენ მათ, ასეთი დავა დარაბის შესახებ ბევრი ცნობები მომისმენია და მინახავს, მაგრამ აქ ყველას ვერ დავასახელებ, მოვიყვან მხოლოდ ერთის ასეთ სადავო საქმის საჩივრის ერთ ადგილს, რომელიც კარგად ხატავს მებატონის და მთავრობის უდიერს მდგომარეობას. ეს საქმე და დავა მოხდა 1840 წ. სოფელს შემოქმედში. აი თვით წერილის პირი:

სოფელსა შემოქმედის მცხოვრებს
საბატონო კაცის გაბრიელა ჩეჩელა-
შვილისაგან უმორჩილესი თხოვნა.

მე ვიმყოფები ყმა მამულიაშვილის მეუღლის აზნაური მარიამ თათრის ქალისა რომელმანცა დამიხსნა საკუთარის ფულით მცირე წლოვანობის დროსა ჩემსა და მის შემდგომ მას ვყავარ წარსულ წილს 1839 წ. უმართლოდ კნენა გურიელისა ელისაბედმა, ემძლავრა და ჩემი თავი წაართვა და მას შემდგომ ჩივილში არიან. მე ვიმყოფები ესრეთი უმოწყალოთ მიწა არა მაქვს და მამული, ერთი ზანტი ცხენი მყავდა იმას გარდა სრულიად ხუთი ყურუშის საფასო არაფერი დამ-

რჩენია და იგი ცხენი კნენიამ წამართვა. ამ ცხენის ჯერ არ მიმიცემია, დავალებული ვარ. ამა სასამართლის ძალა უნრით წამართვა და ის არ უწყის სასამართლო ამას მეტ ღონის ძიება თუ არა მაქვს. ზასედატელ ვაჩნაძეს მივართვი არზა და ჩემი მწუხარება ვამცნე მაგრამ არც არზა ჩემ მხრივა და არცა რამ კმაყოფილება მამცა. ამისთვის შევსთხოვ თქვენს მაღალ კეთილშობილებას, განიხილოთ მოხსენება ჩემი და ასე უბრალოთ ნუ წამართმევენ, რადგანაც იმის მეტი ღონისძიება არა მაქვს, ამას წინეთ შევედრეთ კნიაზ ვაჩინაძესა და მან გვიპასუხა რომა „მე რა ვქნა, რასაც შენ ბატონს უნდა იმას გიზამსო მე რაგინდა ვქნა“, ამის მეტი პასუხი არ გვიბძანა. წელსა ჩ. ყ. მ. საქრიშობისთვის ბს დღესა.

ასეთი უბედურება მაშინ ხშირად ხდებოდა და ზოგს ალავს ბატონი ისე გაუჭირებდა საქმეს, რომ თავდახსნილს მონას დღე უმწარდებოდა და ხელახლა უხდებოდა უცხოეთში ან სათათრეთში გაქცევა და თავის გადარჩენა. ასეთი შემთხვევები ხშირად მომხდარა საქართველოს ყოველს კუთხეს თითქმის ყოველ მეოჯახე მებატონის გვერდით. აბა შეხედეთ მოსამართლის პასუხს: „მე რა ვქნაო, შენი ბატონია და რასაც უნდა იმას გიზამსო“ წასულიყავ და მაშინ გეძია სამართალი, ეს ცნობაც სწორედ მიტომ მოვიყვანე აქ სრულად.

1840 წ.

ყმა გორგოშიძე.

საბატონო ყმა ივანე გრიგოლისძე გორგოშიძეს, სოფ-ლიხაურში მებატონეთაგან ისე გაუჭირდა საქმე, რომ იგი თათარში გადავიდა და იქილამ მტრობა დაუწყო არამც თუ მარტო მებატონეებს, არამედ მთავრობასაც. შემდგომ ამის ცნობა შეიტყო ოზურგეთის ზასედატელმა, რომ ვითომც ეს გაქცეული ყმა გურიაში შემოდის და გლეხებს აქეზებს როგორც მებატონეთა წინააღმდეგ ისევე მთავრობისაო, ამისთვის ბრძანება მიეწერა მთავრობისაგან ლიხაურის მებატონე მოურავს ქაიხოსრო დვალისძეს, რომ ყმა გორგოშიძე ჩუმად შემოდის გურიაშიო, მოძებნე, დაიჭირე და წამოადგინეო. მოურავმა მოძებნა მაგრამ ვერსად იპოვნა და მის გამო მთავრობას მოხსენება მისცა, ყმა გლეხი ვეძებე, მაგრამ ვერსად ვიპოვეო. ამიტომ ვერც არას წარმოვადგენო, ეს მიწერ-მოწერა მოხდა 1840 წელს.

მღვდლის გიორგი მახარაძის მამა-პაპათ სოფელს ვანს უცხოვრიათ, მერე ერთი ამათგანი მღვდლად შესულა. ესენი ყოფილან ყმანი თავადის ვახუშტი შალიკაშვილის. ამ გლეხ მახარაძეთა შთამომავალი ყოფილა გიორგი მახარაძე, რომელიც მღვდლობამდისაც მიუხწყევია. მას 1840 წ. დავას უწყებს მებატონე და სთხოვს რომ თქვენის მამის განთავისუფლების, შემდეგ მამული მე უნდა დამრჩენოდო, მაგრამ ეს მე არ ვიცოდი და ამიტომ დროებით თქვენ დაგრჩათ და ეხლა კი მე ვითხოვო, რომ ჩემი საქონელი მევე დამიბრუნდესო. მღვდელმა არ მისცა მამულები, ბატონმა ძალა იქმარა, ჯერ მოსავლის აკრება აკრძალა და მერე მამულებსაც ართმევდა, ეს მღვდელმა ველარ მოითმინა და ბატონზედ ოზურგეთის გამგეობას საჩივარი მისცა.

ამ საჩივრებიდან ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს საჩივარს. ამ დროს ეს მღვდელი მსახურობდა სოფ. ვანის მაცხოვრის ეკლესიაზედ საკვირველი აქ ის არის, რომ მღვდელი ასაბუთებს: მებატონე არამც თუ მარტოდ მამა-პაპეულ მამულს მედავება, არამედ ჩემის შრომით შეძენილსაცაო. რაზედაც დიახ, ბატონს ხმა არ აქვნდა, მაგრამ იმ დროს, მას ამის დავას და უფლებას არაეინ ჰკითხავდა, ძალა აქვნდა და მიტომ იგი ავ ძალას ხმარობდა კიდევ ყველაზედ ერთად, მღვდელზედ თუ გლეხზედ, რადგანაც მას ამის უფლება მინიჭებული აქვნდა მთავრობისაგან.

აი ესეც მღვდლის საჩივრის პირი.

„სოფელმა მე. ბატონ კნიაზ ვახუშტი შალიკაშვილმა, თვინიერ ყოვლისა სიმართლისა, მოკრიფა მამული საკუთვნიელი ჩემდა ჩემსავე სოფელსა შ-ა მდებარე სახელწოდებული ჯაშის კარი, მით რომელ ვინაიდგან მღვდლები, თანახმად უკაზისა უწყებულისა თქვენისა მალალ კეთილ შობილებისაგან უნდა შევიდეს სახელმწიფო უწყებასა შ-ა საბატონო მფლობელობისაგან და აღმიკრძალა მოსაკრეფელად ვითარცა კეთილ შეძენილი აგრეთვე მამა-პაპის დანაშთენი ვითარცა მამული, აგრეთვე აღმიკრძალა დგომა სახლ-კარშიდ და ყოველივე აწ ფლობით ხოლო მამულსაც უკვე აწ კრეთს; წარმოვადგენ რა ორსა საბუთს, რომელთაც მიერ თქვენის ან კეთილ შეძენილებიდ დაგიმორ-

ჩილებს, ვსთხოვ თქვენს მაღალ კეთილ შობილებას, უბრძანოთ ვის-
დაპიც ჯერარს აღეკრძალა, ვისაც ვის განცხადებულს ვახუშტი შალი-
კაშვილისა, ვითარცა ჩემს კეთილ შეძენილს მამულსა, და ფლობდე
ჩემსავე შეძენილს, აგრეთვე სახლ-კარსა, და პირუტყვთა და მისცეთ
მამული იგი, რომელი ა ძალითა იმავე უქაზით ეკუთვნის მას, ამას-
თანავე დავსძინებ, რომელ თვინიერ ცნობისა ადგილების მართებლო-
ბისა, წამართვა ხარი ღირებული თუთხმეტ მანეთად, რომელმანაც
კიდევაც გასყიდა მით, რომელ ყოველივე ფლობილი აწ ჩემ მიერ
პირუტყვსა ანვე სხვა კეთილ შეძენილი ეკუთვნის მას.

მიხონენლი მღვდელი გიორგი მახარაძე.

1842 წ.

მშვიდობაჲ.

სოფ. ჩიბათის მცხოვრების გლეხის დიმიტრი მშვიდობაძის სახ-
ლიდამ მოუტაცნიათ სამი წლის გოგო. ქუთაისში წაუყვანიათ და მი-
უბარებიათ ივანე არჯევანიძისთვის, ეს გოგო აქ დარჩენილა 1853 წ.
მერე აქედამ ეს გოგო მოუპარამს საეკლესიო გლეხის ცოლს დარე-
ჯანა ქელბაქიანს და მიუყიდნია სოფელ სიმონეთის მღვდლის სიმონ
ჭუმბურიძისთვის 1853 წელსვე. ეს ქალი აძლევს საჩივარს მთავრობას
და ეხვეწება, რომ მიშველეთ რამე, თორემ მე გაყიდული ვიქვენო
უკანონოდ და ეხლა ამ მღვდლის ხელში დიდათ ვწუხდები, რადგანაც
იგი სახლიდამ არსად მიშვეებს და მტანჯამს ძრიელაო.

1851 წ.

ახვ. ასათიანი.

ახნაურ საყვარელა და ზაალ ასათიანებს ყმასა და მოახლეების გამო დიდი ცილება მოუხდათ. ცილების შესდეგ გაიყვეს მამულები და მასთან ყმა და მოახლეებიც, რომელ მოახლე და ყმანიც გახდენ საბრალო მდგომარეობაში შთაცვინული საყვარელა ასათიანმა აღკრძალვა დაადვა მასზედ, რო მანამ სრულიად გავიყვებით, მანამდის ყმები და მოახლეები არ დამიყიდოსო. ერთის თხოვნათაგან სჩანს, რომ ყმების და მოახლეების დაყიდვის ორსავე ძმანი დიდი მოტრფილენი ყოფილან. საყვარელა ასათიანი ითხოვს ყმა და მოახლეები შეუნდა მომეცეს, რადგანაც ზაალ ასათიანმა მრავალი გოგო და ბიჭები დასყიდაო, მათის ფულით თვით ისარგებლაო. ამათგან ყმათა და მოახლეების დასყიდვა 1850 წლებს წინეთ ყოფილა, ძმათა შორის დავა კი 1851 წ. ატეხილა.

თავ. თავდგირიძე.

ყმათა ქალების დასყიდვის ისტორია მეტად საყურადღებოა, რადგანაც ქართველ ქალებს მებატონენი ჰყიდდნენ ოსმალეთს, სპარსეთს, დაღისტანს და შინაც, გაყიდულებზედ მრავალნაირი თავ-გადასავალი ხდებოდა, ბევრაირი გაჭირვება. ამ დიდი და მეტად დიდი საგრძნობი გარემოების შესახებ, ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით, ყოველივე დაიკარგა და ცეცხლსა და წყალს მიეცა.

ეხლა აქ მომყავს ერთი ძველი ცნობა, რომელიც შეეხება თავყარამან თავდგირიძესაგან თავის ყმის გოგოს დასყიდვის საქმეს: გოგო უყიდნია სოფ. კუხის მცხოვრებ საეკლესიო გლეხს ივანე პაატასძე კაკაბაძეს 160 მანეთად, ეს ფული იმ დროს კვალად, ყმის გოგოში კაი ფასია, რადგანაც მაშინ გოგუები ისყიდებოდნენ ბათუმში 25 მანეთიდაჲ დაწყობილი 100 მ. ამაზედ ზევით კი იშვიათად ავიდოდა. ეს წერილი მიტომ უფრო მოგვყავს აქ, რადგანაც თავდგირიძე ჩვეული იყო ასეთ საქციელს, მას ძრავლად გაჰყვანდა გოგო ბიჭები ოსმალეთში და ჰყიდდა ოხერ ფასად ოსმალებზედ. ამ გოგოს განასყიდ ფულის აღებაში გახვეულია იმ დროის ცნობილი თავადის შვილი დავით აღმასხანიძე მიქელაძე. ეს გაყიდვ-გამოყიდვა მოწმდარი 1851 წ. ესეც თვით ბარათიც მოწმობს.

1851 წ. დეკემბრის 3 დღესა ხელწერილი.

„მე ქვემოთ ამისა ხელის მომწერელი, მცხოვრები ქუთაისის ლუბერნიის და უეზდი კულაშის უჩასტკის სოფელსა კულაშს კნიაზ დავით აღმასხანის-ძე მიქელაძე, ამ პირობის წერილს გაძლევ შენ მცხოვრებ ამავე ლუბერნიის უეზდის და ხონის უჩასტკის სოფელსა კუხს საეკლესიო ივანე პაატას-ძეს კაკაბაძეს მას შინა, რომელ გოგო ისყიდე შენ კნიაზის გურიის მცხოვრების ყარამან თავდგირიძისაგან ას სამოც მანეთათ ვერცხლის ფულათ, რომელთაგანაც ოცი მანეთი მიღებული აქვს თავდგირიძეს და ას ორმოცი მანეთი ვერცხლისა უნდა მიიღო, ეხლა მონდობილებისამებრ ჩემდამი დავდგირიძისაგან, ნაღდი ფულები ვერ გიშოვე, და საწინდრად ას ორმოც მანეთშიდ მოგვეცა“

ნივთები ვერცხლისანი, საკუთვნელი შენდამი, სახედობრ ერთი დიდი
თასი, მეორე პატარა, ერთი სტაქანი ვერცხლის, ერთი ქამარი
ვერცხლისავე და ერთი ხელჯაჭვები ყველანი სირმიანი, და ვადა არის
ორი კვირა, და ამ ორ კვირის განმავლობაში უნდა მოგიზლო ზემო
აღრიცხულნი ას ორმოცი მანეთი ვერცხლისა და შენი ნივთები ყვე-
ლანი თვინიერი ყოვლის მიზეზისა შემოტანისა კუთვნილებისამებრ
დაგიბრუნო. და თუმც ვადაზედ ვერ დაგიბრუნო ხელ აღებული ვიყო
ჩენს ნივთებზე არიან მისი მოწამენი ქვემო ამისა ხელის მომწერნი:
აზნაური დათა გოცირიძე, ხელს ვაწერ ზნიაზი დავით ალქასხანისძე
მიქელაძე. და რადგან მან წერა არ იცოდა, მისი თხოვნით მის მაგი-
ერ ხელს ვაწერ ლედლის ძე ბესარიონ ჩხენკელი და ის ჯვარს ასვამს
საკუთარის ხელით + მოწამენი არიან ამისი პირსკილა ჭეიშვილი.
და გორჯასპირა მელაძე და ძე ბესარიონ ჩხენკელოვი, მიქელაძის თხო-
ვნით ვწერ და მოწამეც ვარ ამისი, ვმოწმობ წერილსა ამასა აზნაური
ივანე სურგულაძე. პირი ესე ნამღვილისაგან გარდმოღებული არს ჩემ
მიერ უმეტნაკლებოთ, მწერალი ხონის უჩასტკის უპრაველენისა აზნა-
ური გიორგი იოსელიანი.

აზნ. გოტუნა ყენია.

აზნაურ გოტუნა ყენია (წობილი დესპოტი ყოფილა თავის ყმა გლეხებში. მის გლეხკაც ყმათა შეწუხება ხელობათ აქვნდა გამხდარი.

ზოგ გლეხკაცს ისე დაარბევდა რომ აღარათურს შეარჩენდა. სხვათა შორის ძრიელ გაუჭირა საქმე ყმა გლეხთ მაქსიმელა და ნიკოლა კვინიტაძეებს. გლეხნი იქამდის მივიდნენ ბატონის წყალობით, რომ ჩივილიც აღარ დაუწყეს, გურიიდან გაქცევას აპირებდენ სადმე რომ ბატონის ბოროტებისათვის თავი დაეხრათ, იმეცადანეს და ეს მოახერხეს კიდევაცა.

ბატონის და მთავრობის უნება რთვით თავიანთის სოფლიდამ გაიპარნენ სხვაგან თავის სარჩენად, იმედი აქვნდათ, რომ სხვაგან მეტს ფულს ვიშოვნით და მერე იქნება ვიხსნათ ბატონის დიდის ხარკისაგან თავიო. ამიტომ მათ თავიანთ სახლში ცოლშვილიც-კი დასტოვეს. თან არ წაიყვანეს. ამას რასაკვირველია ვერც მოახერხებდენ, რადგანც ცოლების გაპარებას ყველა შეუტყობდა. ყმათა გაქცევა ბატონმა შეიტყო, იგი აქეთ ეცა, იქით ეცა და ცნობები შეკრიბა, თუ ყმები სად გაექცნენ. ჯალაბთა არ დაუმაღეს, იქ მეტ ფულს იშოვნიან და თქვენ მოგართმევთო. ბატონს ძრიელ ეჯავრა ჩუმად გაქცევა, რადგანაც გლეხ—ყმანი მას სულ არ ემორჩილებოდენ და ბოროტებისთვის წინააღმდეგნი იყვნენ. ამიტომ მეტატონემ 1857 ჩოხატაურის სამართველოს უფროს ეს საჩივარ მისცა.

საკუთვნელი ჩემდამი ყმანი მამუკა კვინიტაძე ძე მისი მაქსიმელა და ნიკოლა საბასძე კვინიტაძენი დიდის ხნიდან არ მემორჩილებოდნენ მე, ხოლო ახლახან დაამტკიცეს იმათი ურჩობა და წავიდნენ უბილეთოთ (ახალ ქალაქს) გორის უეზდშიდ და დასტოვეს თავის ცოლ-შვილი უმოწყალოთ. ამისთვის მოვილტვი და უმორჩილესის თხოვნით თქვენის მაღალ კეთილშობილების წინაშე, ინებოთ თქენი მართლ-მსაჯულებრივი განკარგულება და მისწეროთ ვისადმიცა ჯერარს რომ გამოგზავნონ ზემორე განცხადებული ყმანი. ამასთანავე დავასმინებ, რომელ ვინაიდგან ისინი არიან ჩემნი მოჯალა-

ბის წესით მოსამსახურენი და ვარ ესრეთ ვიწრო მდგომარეობაშიდ, მოგეცათ ნება ცოლშვილი მათი მოვიყვანო ჩემს ოჯახშიო ვარჩინო და კიდევაც ვიმსახურო, ვიდრე ყმების ჩამოყვანამდე“.

აზნაური გოტუნ ყენიას 1857 წ.“ გლეხებს მომჩივანთა მიაგნეს თუ არ მიგნეს, ეს არ სჩანს, ხოლო ერთის საჩივარი სჩანს, რომ გლეხთა სახლობა მშრომელნი ყოფილან. მათ შიმშილით გაჭირება არა ჰქონიათ, ჩვენ ვიმუშავებთ და ვიცხოვრებთო, ხოლო ბატონის თხოვნას კი ვერ ავასრულებთ და ვერც მათს სახლში გადავალთ სამსახურათაო. ჩვენს ბატონის შიშით და დევნით ჩვენი კაცები ქმრები სხვაგან გაიქცნენ ფულის საშოვნელათაო, ჩვენ და ბატონ შუა ყოველთვის დავა იყო და არის ატეხილიო. ძალით გაჭივრებით ჩვენმა კაცებმა ჩვენ დაგვყარეს ასე და აბა ეს ჩვენგან როგორ იქნება, რომ ჩვენ მათს სახლში გადავიდეთ და მან გვარჩინოსო.

ჩვენ მაგისი რჩენა არ გვინდა, ოღონდ თავი დაგვანებოს, ჩვენ ვირჩენთ ჩვენის შრომით თავსა, და მცირედ მაგასაც მივცსცემთო, ჩვენი რჩენა—კი არ უნდა ჩვენს ბატონს, არამედ ჩვენი დაპატიმრება თავის სახლში და სამსახური, ჩვენი მაგრად ყოლა, რომ ჩვენ ქრმებთან არ გავიქცეთ ჩუმათო.

მებატონე კვალად აძლევს მთავრობას თხოვნას და ძალით ითხოვს ყმათა სახლობის მის სახლში გადაყვანას, მაგრამ სხვა და სხვა საჩივრებიდამ სჩანს, რომ ეს ვერ მოწმდარა და მიტომ მებატონეს წაუთმეგია მათთვის ყოველი სარჩო საბადებელი, მოძრავი თუ უძრავი. შემდეგ ყმანი გამოჩენილან და ბატონს მოსაგერათ დიდი ხარკი გადახდათ.

1856 წ.

ყმა ვაჩეიშვილი

მებატონენი არამც თუ თავის ყმებს იმსახურებდენ, არამედ სხვათა ყმებსაც. აი მაგალითათ კვალად ყმის ეგნატე ვაჩეიშვილის, მამულში წისქვილი გააკეთეს აზნაურ დუღუჩაეებმა. ყმათა ამაზედ მთავრობასთან იჩივლეს, მაგრამ მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია, უცხო ყმის მამულს უცხო მებატონენი დაეპატრონენ და წისქვილსაც თავიანთთვის ამუშავებდენ, მერე ყმათ თავის ბატონს აზნაურს დავით ამალლობელს (?) მიმართა და აუწყა საქმის გარემოება, ბატონი მამბნათვე წავიდა სხვა და სხვა კაცებით და დუღუჩაეების აღგებულნი წისქვილი დაუქცია და ადგილი ყმის თავისუფალი ჰყო. ეს ბატონს ასე უნდა ექმნა, რადგანაც ყმის ადგილში მასაც აქვინდა წილი და ანუ ნაწილი მოსავლისა, და თუ უცხო მებატონისაგან მის ყმას ეს ადგილი წაერთმეოდა, მაშინ მასაც დააკლდებოდა იმ მოსავლის ნაწილი, რაც აქ მოსავალი მის ყმას მოუვიდოდა.

1850 წ.

პრ. თავდგირიძე.

პრაპორშიკი (გიგო) ყარამან თავდგირიძემ ხონის მცხოვრებს შორის რამდენიმე გოგუები გაყიდა, ზოგი გოგო ნისრათ მიჰყიდ-მოყიდა ხელათ, მერე ფულების აკრება ან გოგუების ჩამორთმევა და დაბრუნება მიანდო აზნაურს გიორგი იოსელიანს. ამის გამო ფულის აკრების დროს აზნაურს იოსელიანს ბევრი წვალება დასჭირდა.

მამულთ მოტაცვა.

მამულთ მოტაცვა იცოდენ არა მარტო მებატონეებმა თავიანთ ყმებზედ, არამედ ბატონებმა იცოდენ მოტაცვა სახელმწიფო გლეხთაგანაც, საეკლესიო და უცხო საბატონოთაგანაც, საქმე მამულის მოწონება იყო და წართმევის გაძბედავობა, თორემ ხშირად განძრახვა თავის ბატონი, თავის ბოროტებით, მიზანს ახწევდა. მოდავე მიმთვისებელ მებატონე გამარჯვებული რჩებოდა. ბევრს ალაც გვითქვამს და აქაც ვიტყვით, რომ ასეთ, მძლავრებთა კანონები XIX საუკუნოდამ უფრო წავიდა წინ, რაც რუსთა მთავრობამ ქართველთა ვად აზნაურებს მფარველობა დაუწყო, თორემ მინამდის საქართველოში ეს არ იყო ისე, ვინც იმძლავრებდა და დავას დაიწყებდა, ხშირად რუსის კანონის ძალით გამარჯვებულიც ის იყო.

აი ესეც მაგალითი, რომელიც კარგად ხატავს იმ გარემოების, თუ თვით უცხო მებატონე, უცხო გლეხ ყმის სახელმწიფოს, საბატონოს, თუ საეკლესიოს როგორ მძლავრებდა და როგორ იტაცავდა.

საქმე ისე იყო დაყენებული, რომ ამ ტაციობას ვერც გლეხები იმძლავრებოდენ, იგინიც ემორჩილებოდნენ. ემორჩილებოდენ მით უფრო, რადგანაც ხშირად მოდავე მებატონე იმდენ რისხვას გამოიჩენდა, რომ თვით სადავო ყმათა მებატონებზედ გაიყიდებოდა მას გააბრიყვებდა და ყმა გლეხებზედ სასტიკათ გადაამტერებდა, ათასნაირს ორგულობას ასმენდა ყმათა შესახებ, მისგან განლტოლვას და მრავალთაც სხვა ასეთებს, რაც რასაკვირველია თვით სარგებლობდა, გაქნილი—გაიძვერა ბატონს აბრიყვებდა და ატყუილებდა და მით გლეხებსაც ითრევდა თავიანთის მამულით ისაკუთრებდა.

აი ესეც მაგალითი ამისი და ამ გვარების, რაც უეჭველია საქართველოში, რუსების მოსვლის შემდეგ ხშირათ მოხდებოდა ასეთი ბოროტებანი:

მისს მაღალ კეთილ შობილებას ოზურგეთის უეზდის
ნაჩალნიკს უფალს ტიტულიარნის სოვეტნიკს და კა-
ვალერს სპრიდონ მაჭავარიანს.

ჩოხატაურის უჩასტკიის სოფელსა
საჯაონოს მცხოვრების აზნაურთა
დუჩაიების ყმებთა, ცხრა კომლთა
ძნელაძებთაგან უმორჩილესი,

გ ა ნ ც ხ ა ღ მ ბ ა :

ჩვენ გვაქვს კუთვნილი ადგილი მეოთხედის ნაწილობით,
სახელდობრ აბანო, მუნ გასაველ-გამოსაველის ჭალითურთ და გამოლ-
მა ადგილითურთ რაზედაცა, დღეს ფოჩტა მდგომარეობს, რასაცა
ვიდრე აქონამდე, ვსარგებლობთ ჩვენ ყოვლის შესაფერისა სარგებ-
ლობითა მას საზღვარზედ, სადაცა დღეს სახლი გვიდგია, ვითარცა
აქობამდე, მახსოვნობასა შ-ა ჩვენსა ვიღებთ ბაჟსა, ხოლო გარეშა-
მო ჭალასა ვსარგებლობთ ყოველ წლობით ყანათ, ვითარცა იგი აბა-
ნო გვეკუთნის ჩვენ, აგრეთვე ჭალაცა და ფოჩტის ადგილიცა, მეოთ-
ხედი ნაწილი ჩვენი არს, გარდამოცემული ჩვენის პაპისაგან, რომელ-
ზედაცა მოზიარეთ გეყავს ჩვენივე მცხოვრებნი სახელმწიფო ყმანი
ძნელაძეები, ხოლო ამა საგანსა ზედა ძალ მოქმედებისა მქონებელმან,
ჩვენზედა კ-ზ მიხაილ ერისთავმა, წარსულს წელს, მოინდომა რათა
ჩაგვეცილებოდა იმა აბანოშიდ, და აგრეთვე იმა ფოჩტის ადგილშიდ,
რათა მისყიდოს ხელმწიფეს და მიიღოს ამაებშიდ ფასი ანუ სარგებ-
ლობა, მაგრამ მაგაზედ ჩვენ თან-ხმა აღარ გაუხდით, და ვეღარც ჩა-
მოგვართვა, და ახლა განამეორა ჩვენზედ უსამართლობა და შევიწ-
როება, და შეაგნო მებატონესა ჩვენსა, აზნაურს ალექსანდრას კიკოს,
მასიკოს და ჯაბულოს და იოსება დუჩაიებსა, და ახლა ვითომც მი-
უყიდიათ ჩვენი ნაწილი მეოთხედი მას დუჩაიებსა, იმა კ-ზ მიხაილი-
სადმი, და მით სურს რათა შეგვაფიწროოს და მოგვაკლოს თავისა
და ცოლშვილისა რჩენასა, და აგრეთვე ხელმწიფის სამსახურსა, და
გარდასახადსა ამაზედ, განუცხადეთ ჩვენ ერთობით სიტყვიერად უჩას-
ტკიის ნაჩალნიკს, მაგრამ ჯერეთაც ვერა შესძლო დაკმაყოფილე-
ბა ჩვენი.

ამისთვის უმორჩილესად ვთხოვთ რადგან ყ-ლ მოწყალე ხელმ-
წიფის სამართალი, განფენილი არს ყოვლისა სოფელსა შინა, ამის-
თვის თქვენცა მოგმართოთ ამა საგანზედ, ნაჩალნიკური მოვალეობა
და ყოთ გამოძევა რასაცა მათ თხოვნისათანა მოწმებსაც წარმოვად-

გენტ, მახსოვარსა და სარწმუნოსა ს-დ საჯაოხოს მცხოვრებლებსა,
და და თუმცა კი აღმოჩნდეს სიმართლე, ხოლო ზემორე განცხადე-
ბული აბანო და ადგილები იგი ვქონებოდეს პაპებისაგან გარდმოცე-
მული, ჩვენ კუთნილად ჩვენდა და ახლაც ხელთ კი მუჭირს კანო-
ნიერად და არც მეოთხედში მოდავე არავინ გვყოლოდეს, და დამ-
ტკიციონ სიმართლე ჩვენი, ამის გამო, ვითხოვთ რათა ჩამოგვეთხო-
ვონ ერთიან მომძღავერენი იგი, და მაიწროებელი იმა ადგილებზედ,
და ჰყოთ ჯეროვანი მოწყალება და სამართალი მოწყალებო ბატონო
მოსამართლე.

აპრილის იხსა ჩყნასა წელსა.

შთხოვნელები ყმანი იესე, საბა, გოგიტა, იოვანე, ფარ-
სადან, იობა, იესიკა, დათია და გაბრიელა ძნელაძეები.

საბატონო ყმათა ქორწინების მოწმობა.

საბატონო ყმის ქალთა და ვაჟთა ქორწინების მოწმობა მღვდელს უნდა მიეცა, მღვდელი აძლევდა მოწმობას მაზედ, რომ ქალი და ვაჟი უცოლია, გაუთხოვარი, და სხვა. ქალი გასათხოვარია, ქრისტიანია, არავისზედ ყოფილა დაქორწინებული, ან ქერივი, ხომ არ არის, ასევე აძლევდა ვაჟს, რომ იგი უცოლოა, არა ნაქერივალა და სხვა. ამ გვარს მოწმობას ახლანდურათ აძლევდენ როგორც ერთის შრეველის მღვდელი თვის სამრევლოს მრევლს, ისევე მეორე სამრევლოს მღვდელი აძლევდა. ე. ი. ქალის მხრიდამაც და ვაჟის მხრიდამაც. ასე რომ ჯვრის წერის დროს წესის შემსრულებელს მღვდელს ორივე საქორწილოთა გარემოება და პირობები კარგად უნდა სცოდნიყო.

მღვდელთ უნდა სცოდნიყოთ ის გარემოებაც რომ საბატონო ყმის ქალს, ან ვაჟს, ბატონიც აძლევს ნებას თუ არა, ჯვარის წერისას, უამისობა არ შეიძლებოდა, რადგანაც მებატონეც საქორწინოს იღებდა, საჩექმეს, ძღვენს და ზოგმა პირველი ღამეც იცოდა, ეს პირველი ღამე საქართველოში შემოღებულ იქნა 1805 წლიდამ. მღვდელს ქორწინების, ან უქრმობის და უცოლობის მოწმობა მაშინ შეეძლო მიეცა, როცა მან ბატონის ამბავიც იცოდა, იცოდა, რომ მებატონე ყმას არ დაედავებოდა, ან უკვე მებატონე მღვდელს ატყობინებდა, რომ ჩემი ყმის გოგო, თუ ბიჭი თავისუფალია ჯვარის წერისთვისო. უამისოდ-კი მღვდელს მოწმობის მიცემა არ შეეძლო. ვინც ამას იზავდა და ბატონს გლეხის ქალს თუ ვაჟს, მოწმობას მისცემდა, რომ იგი ასე თუ ისე არისო, მის შემდეგ თუ ჯვარის წერაც მოუხდებოდა, მერე ამას ბატონი შეიტყობოა. ბატონი მღვდელს დაუწყებდა დავას, სამართალში მისცემდა, პასუხს ჩამოართმევდა, ჩვენების და ჯვარის წერის დარღვევის გამო ჯარიმასაც წართმევდა.

სხვათა შორის ასე მოქცეულა მღვდელი ნ. მახარაძე და საბატონო გლეხისთვის მოწმობა მიუცია მასზედ, რომ მისი ქალი ქრისტიანია და მასთან გაუთხოვარი. ბატონის უფლება და პირობები სახლიდამ გაუშვია. შემდეგ ჯვრის წერაც მომხდარა. ეს ამბავი ბა-

ტონს შეუტყვიდა და მღვდელი სასამართლოში გაუწვევია. მღვდელსაც ასეთი პასუხი მიუცია 1855 წ.

„კითხვასა ზედა თქვენის ბრწყინვალეებისასა, მაქვს პატივი პასუხობად რომელ ყმა ივანე გუსარაიშვილი ამა მღვდმარეს წელს მისის დღეში მოვიდა ჩემთან და მთხოვა მე მოწმობა მისის ასულის ნინოსათვის, რომელიცა როგორც მან განმიცხადა უნდა მიეთხოვებია ქრმისადმი, და რადგანაც მე ვითარცავე სულიერი მამა ვარ მისი, ამისათვის ვალისამებრ ჩემისა, მივეცი სწორი მოწმობა წლოვანებისა, და მართლმადიდებლობისა შესაერთებლად ობისკსა შინა. მღვდელი ნიკოლოზ მახარაძე.

ასე და ამ გვარად მღვდელი ყოველთვის ფრთხილობდა რომ ბატონის ნება დაურთველ გლეხისთვის მოწმობა არ მიეცა.

მღვდელს მემატიონე სასტიკად სჯიდა, სამაგიეროს სასტიკის წესით გადაახდევინებდა. ამიტომ ყოველი გლეხის ნებართვას სამღვდლო პირი დიდათ უფრთხოდა. მახარაძე მღვდელს-კი ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიუქცევია და მას მხოლოდ მოწმობა მიუცა. მასზედ, ესა ეს გლეხის გოგო ჯვარ-დაუწერავია, მაგრამ არც ეს დასჯდენია მას მუქთად. პასუხის გებაში მიუცია ბატონს.

1850—1856 წ.

ბ. მახარაძე.

გიორგი ქაიხოსროსძე მახარაძე, აზნაურის შვილი, თავის დროს დიდი დესპოტია, დესპოტ თავადის შვილებისაგან გამხეცებული, იყო თავის ყმების მდევნელი, მტაცებელი, მძარცველი, ოსმალში მათი შვილების დამსყიდავი. 1855 წ. სასტიკად დაარბია თავის ყმათა ოქროპირა და ეფრემ დოლიძეების ოჯახი. ყმებმა უჩივლეს ბატონს ოზურგეთის სამართველოში, გამოძიება იყო, მებატონეს სხვა და სხვა მიზეზიანი პასუხები აქვს მიცემული. ერთს პასუხში ასე სწერს:

„თუმცა გალაღებულ ჩემ ყმებთა, ოქროპირა და ეფრემ დოლიძეთაგან, საჩივარი, გარდა ამისი, ატეხილი და ამის გამოძიება თქვენ გაქვსთ მონდობილი, ხოლო მე ვითხოვ რომ ეს გამოძიება მოსპობილი იქმნეს, რადგანაც მე ბატონი ვარ და ისინი ყმანი, მე აზნაური შვილი და ისინი გლეხნი. მე ამისთვის არც მათს გალახვას ვითხოვ, არც დაბრკოლებას, არც მსურს მათ გაგეკიდოთ ყოფნა და გამოცხადებაი, ამიტომ მოემართავ ოზურგეთის ვუეზდინი სუდს და აგრეთვე უჩასტკისას და ვითხოვ საქმის მოსპობას, თორემ უარეს დღეს დავაყენებ მათ, რადგანაც იგინი ბატონის მორჩილი არ არიან, და სხვა ყმებსაც აქეზებენ“.

მებატონისაგან განთავისუფლებულ ყმათა დავა.

ზოგი ერთი ისეთი ბოროტი მებატონე იყო, რამ დღეს რომ თავის ყმას გაართავისუფლებდა, განთავისუფლების მოწმობასაც მისცემდა, გავიღოდა მის შემდეგ მცირე ხანი და მებატონე ყმას დავას აუტეხდა, ნაყიდობის ქალაქის გაუქმებას და კვალად ყმობას, ხშირად ასეთის ფოკუსებით ფონსაც გადიოდნენ.

მძლავრნი მძლავრობდნენ და იმონებდნენ იმორჩილებდნენ უძლურს, ბევრს ალაგს საწყალ ყმის თავის დახსნა უბრალოდ ჩაუვლია და ვაის ვაგლახით ნაშოვნი ფულიც დაჰკარგვია. მებატონეს შარი მოუღვია და უთქვამს, რომ შენი ფულიც ჩემია და მასთანვე სხვებიც ბევრი რამაო. შენ ხმა არა გაქვს, მე შემძლიან, რომ ძაღლის ლეკვ-ზედაც-კი გაცვალოვო. ყმებთან ასეთ დავას უფრო მოწინავე მოხერხებული თავადის შვილები ახერხებდნენ, თორემ უბრალო აზნაურის-შვილი ამას ადვილად ვერ ბუდავდენ.

ერთმა მებატონემ ყმა გაართავისუფლა, ფულს გამოართვა და ბარათი-კი არ მისცა. სიტყვით დაარწმუნა და გლეხიც ერწმუნა, ის-კი არა და შემდეგ ამ გლეხს დავა აუტეხა და იყმო ძალით.

მეორეს ბარათიც მისცა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ბარათი სხვებს მოაპარვინა და მერე ყმას დავა დაუწყო. მესამეს ერთხელ შემთხვევით ბარათი გამოართო, უნდა ვნახო და წავიკითხო შიგ რა დავწერე, ხომ არაფერი დამაკლდაო. ყმამ ბარათი მიუტანა და ბატონს მისცა. ბატონმა ბარათი ხელთ იგდო, მერე ბარათი დახია, მის მაგიერ გლეხს სხვა რაღაც ნაჯღაბნი ქალაქი მისცა და რამდენიმე ხნის შემდეგ ყმას ყმობის დავა აუტეხა, ასეთი მაგალითები ერთობ ხშირად შვრებოდა თავის გლეხებში აძაღლებული ივანე მუხრან ბატონს, რომელსაც თავის ყმები დარბეულები ჰყვანდა. აი ესეც ერთი ცნობა ამის შესახებ.

„ოზურგეთის უეზდის სასამართლოსა შინა

ბაზვის უჩასტკის სოფელსა კარის-
ყურეს მცხოვრების საბერო და ყმის
იოსებ გიორგიძის ბერტელაძისაგან.

თ ხ ო ვ ნ ა

მაქვნდა მე მათეზული მაგა უეზდის უპრავლენიასა შინა მოწმო-
ბა მასზედა, რომელ მე ნამდვილ კუთვნილ ყმად კნიაზი ბალაქია და
დიმიტრი-გურიელებისა, რომელი ერთად განთავისუფლების ქალაღ-
თან მიცემულს ჩემდაღი განცხადებულის მებატონებთაგან, წარვადგი-
ნე უწმინდესის სინოდის კანტორაში, გარნა რომელიმე მიზეზით გან-
თავისუფლება ჩემის ჯერეთ არა არს, ჩემი განთავისუფლების ცნობა
ვერც ქუთაისის გუბერნიის ხელში ვნახე ნამდვილი მოწმობა დღეს
იქნების სინოდის კანტორაშიდ და არ მალე იმას წარვადგენ სულშიდ,
ამისთვის უმორჩილესად ვითხოვ მიეცეს მოწმობა მისი, რომელ მე
მაქვნდა უეზდის უპრავლენისგან უწყება მართებული, და რომელს
წლამდის იქნა წარსადგენელსად ქუთაისის გუბერნიის სულსა შინა
იოსებ ბერტელაძე 1850 წ.“

შემდეგის საქმეებიდამ სჩანს, რომ მებატონეს ამ გლეხისათვის
ყმობის შესახებ დავა აუტეხია. მე გაგათავისუფლე, მაგრამ ფული არ
მიმიღია, გამომტყუე შენაო. შენ ისევ ჩემი ყმა უნდა იყოვო, მე არ
გაგიშვებო, ხშირად მთავრობასაც მებატონეს მხარე ეჭირა და მას
აძლევდა დახმარებას ხელ ახლა განთავისუფლებულ ყმის ყმობაში,
ასეთ მებატონეთაგანაც დიდი უსამართლობა არის მათ ყმათა წინა-
შე დათესილი.

მღვდელი მახარაძე.

1850—1857 წ.

1850 წლებში ლანჩხუთის ნაწილის სოფელ ვანის მღვდელს ნიკოლოზ მახარაძეს დავა აუტყდა ვახუშტი, მაქსიმე და კონსტანტინე შალიკაშვილებთან შემდეგს საქმეზედ ხსენებულმა თავადიშვილებმა თავის ყმა მიხეილაშვილებს ადგილ-მამული წაართვეს და ამ მღვდელს მიჰყიდეს 150 მ. მერე ამ ალაგსა და სახლ-კარზედ მღვდელი დასახლდა და დაიწყო მოშენება, მაშინათვე დავა აუტეხა მღვდელს სოფ. ჭანჭათის მცხოვრებ, საბატონო ყმა, გლეხმა ჩიჩუამ, მღვდელს აუწყა, რომ მამული ჩემია, არ გაგიშვებ ცხოვრებას მასზედაო, მღვდელი მაინც მოშენებას მიეცა და მალე კარგათაც მოშენდა, დავა გამწვავდა, მღვდელმა შალიკაშვილებს მიმართა, მათ ყური არ შეიბერტყეს. მერე მიმართა ამ საქმის მცოდნე ყარამან თავდგერიძეს, მაგრამ არც არა ამისაგან იქმნა, გლეხი ჩიჩუა-კი თავისას ითხოვდა, მერე გლეხმა მიუსია სხვა და სხვა კაცები მღვდელსა, თვითონაც შიგერია და ყოველივე ოჯახის მოუთხარა და ისე აუოხრა რომ მერე მღვდელმა-კი იკადრა მთავრობასთან. მიმართვა, გამოჩნდა, რომ მღვდელმა 1000 მ. ღირებული მამული სიხარბით ჩუმათ 150 მ. იყიდა, ისიც სხვისა და ბატონისაგან წანართმევი. ასეთ ხრიკებს ზოგი მებატონენი კარგად იყვნენ ჩვეულნი.

ჟმა მანჯკავა.

ჩოჩხათის მცხოვრებ აზნაურის თავართქილაძის მეუღლეს ელია კო ჭყონიას ასულს ადგილობრივ მთავრობამ თავის საკუთნელი ყმა ჩამოართვა, ნიკოლა მანჭკავა. აზნაურის ცოლმა იჩივლა მთავრობის წინაშე, რომ ჩემი ყმა ნიკოლა მანჭკავა ჩემი ნამზავითვია, 13 წელიწადია ჩემთან არის და ეხლა კი მთავრობა მართმევს და ამის მიზეზი არ ვიციო.

განმძიებას აღმოჩინა, რომ ამ 13 წლის განმავლობაში მათს ოჯახში ეს გლეხი თითქმის ეწამებინათ, რაზედაც თვით ოზურგეთის უფროსიც დარწმუნებულიყო, თუ რა დიდის ტანჯვის დადევნის გამო ისე მთავრობა მებატონეს საკუთარ ყმას არ ჩამოართმევდა. ცხადი საბუთია ვიფიქროთ, რომ ყმის საქმეში წამხდარ მთავრობის ჩინოვნიკმა მიტომ მიიღო მონაწილეობა, რადგანაც ყმა უეჭველია ტანჯვის ანუ წვალების ზომას გარდასვლით შეწუხებული იყო.

1857 წ.

ყ მ ა მ დ ვ დ ე ლ ნ ი.

სოფ. იანგულის მღვდელმა იოანე კეკელიძემ იჩივლა თავის ბატონ თავ. გიორგი ერისთავზედ, რომ ჩემმა ბატონმა სახლში შემომიხტა, აზნაური მატა აბაშიძე, ოთხის ხელოსნებით და ამიკლოვო. ეს არ მაკმარა, განვლო მცირე დრომ და კვალად მომისია აზნაური ვახტანგ შარაშიძე თავის ხელოსნებით და ამიკლო ყოვლისფრით, სახლში აღარაფერი დასტოვეს ხელ შეუხლებელიო, გარდა სულიერი-საო. მთავრობას სთხოვს: მიშველეთ რამე და გამანთავისუფლეთ იმ წესით, როგორც სხვა მღვდლები განთავისუფლდნენ, თორემ შევიწროებისგან მთლად დავირბევიო.

ნაამბოვი სიჟონ ნაშსაქისაგან.

სიჟონ ნემსაძე 60 წლის კაცია, სცხოვრობს ბათუმს, უმსახურ-
ნია იქაურ ქარხანებში. იცის ბევრი ძველებური ამბები, ეს ამბები
მისის გადმოცემით დავსწერე:

სოფ. ჭალატყის და საზანოს შუა სცხოვრობენ აზნაურ ალავი-
ძენი და მდივნები ეს მებატონენი თავიანთ გლეხებს ძრიელ აწუხებ-
დენ. ნამეტურ ალავიძეებს დაერბიათ გლეხი სვანიძეს ოჯახი. სვანი-
ძეთა საშინი ძმანი კახეთს გაიქცნენ. ამით გავლა ხარაჯაულისაკენ მო-
უხდათ. იქ ესენი ენათათ გზის მეტფალყურეთ კიკნაძეებს და ცნობები
გამოეკითხათ. კიკნაძეებს ეჭვთაულოთ და ამიტონ ეს ყმანი დაიჭირათ.

სვანიძეების გაქცევის მეორე დღეს ბატონს ეცნობა ამბავი, ამან
მაშინათვე კაცები გაგზავნა სახლში და დედამისითინ ეკითხათ ცნობები,
მაგრამ შათ ვერაფერი პასუხი მისცეს, ეთქვათ, რომ არ ვიცით საით
წავიდნო. მერე ბატონო მივიდა სახლში, შინ ნახა აივან მყოფი დე-
დაკაცი, ამას ჰკითხა ცნობა ყვარილით, მაგრამ მან არაფერი ცნობა
უთხრა. მაშინ გარისხდა მებატონე და მათრახით დაუწყო ცემა დე-
დაკაცს და ისე წამოაგდო, მერე წიხლებითაც ზილა და ავადმყოფი
ისე გაიგდო თავის სახლისკენ. გზაში ბევრი სცემა, ისე რომ დედა-
კაცი ძირს დავარდა, ფეხზედ ფერ დავებოდა, მაგრამ მებატონე მაინც
არ ეწვებოდა, უყვიროდა:

— სთქვი, თუ სად წავიდენ, სად გაიქცნენ შენი შვილებიო?!
დედაკაცი ვერას ეზობნებოდა, მის შერმე მამაკაცს დაუწყო ცემა ტყემა
და ლანძღვა, მაგრამ ვერც მან უთხრა რაიმე. მერე ივინი დააპატიმ-
რეს და მშიერ მწყურვალნი დასტოვა, აქ ესენი დიდათ დ ტანჯა.
მაგრამ მერე ფულთი გაანთავისუფლეს, დედ-მამამ მაინც არ იცო-
დენ თუ სად წავიდენ მისი შვილები.

კიკნაძეები სამ ძმა სვანიძეებთან ვერას გააწყობენ. ესენი კიკ-
ნაძეებს დაემუქრებიან ამოწყვეტას. ჩვენ ბევრი ამხანაგები გვყავს და
ვიდრე შენ ჩვენს ბატონს შეატყობინებ, მინამ ჩვენ შენ ამოგწყვი-
ტავთ სახლობითაო. კიკნაძეებს უკვე კაცები გაეგზავნათ ალავიძეებ-
თან და ამბავი ეცნობებიათ. ალავიძე საჩქაროთ წასულა ყმებისა და-

საჭერად, თან კაცებიც წაუყვანია. მანამ ესენი მიაღწევდნ ხარაგაულს, გლეხებს თავის დაშქერი აზნაური კიენადე მოეკლათ და გაქცეულიყენენ. ბატონმა ველარა იგდო ხელთ და ამიტომ უკანვე დაბრუნდა. მოვიდა შინა და სვანიძეთა მშობლებს კვალად დაუწყო დევნა. სდევნიდა თვით ავადმყოფთაც, მათში დევნა? ქვეყანა მოაბეზრა. კაცი და ქალი შეაწუხა, ამასობაში მშობლებმა გაიგეს თავის შესაღების ცნობები, თუ იყინი სად იყვნენ. წერილი მისწერეს და შვილებს აცნობეს თავიანთი ტანჯვის ცნობები, შვილები მალე მოვიდნენ, მებატონეს დაეცნენ და ისე გაუხადეს საქმე, რომ მასზედ მეტი უსასტიკესი აღარა შეიძლებოდა რა.

ბატონის შვილებს პირობა ჩამოართვეს, რომ დღეის შემდეგ ყმების დევნას და დაჩაგვრას თავი გაანებნენ, თორემ იცოდნენ ამოგწვეტამთო, ცოცხლებს აღარ გაგიშვებთ, რადგან თქვენის უსამართლობით ხალხი მობეზრდაო. მებატონე ალავიძე ამასობაში უკვე მოკვდა და მისმა შვილებმა პირობა მისცეს, რომ დღეის შემდეგ ჩვენ ჩვენს ყმებს ისე აღარ შევაწუხებთ, როგორც მამა ჩვენი აწუხებდაო. მართლაც მებატონენი შეშინდნ ამ მოსხვეპილ ყაზახ-ბიჭებისაგან და დვის ბატონობაზედ ხელი აიღესო.

თვით მებატონე ალავიძე მისმა ერთმა ნაყმევთაგანმა მოკლა, რომლის მოკვლაში მოწაწილებას იღებდა სვანიძეების ავადმყოფი დედა და მამაც, მაგრამ საიდუმლოდ კი. სვანიძეებმა მიტომ მისწერეს თავის შვილებს წერილი და აცნობეს თავისი ტანჯვის მიყენება ბატონის შვილებისაგან, რადგანაც ბატონის შვილები მათზედ იქვე იყვნენ და სვანიძეების ავადმყოფ მშობლების დარბევა და ყოველქონების წართმევა გადაწყვეტილი აქენდათო.

უნდა ითქვას, რომ ალავიძეებში და მდივნებში იყვნენ ისეთი ბოროტი პირები, რომელნიც თავიანთ ყმებს სძარცვავდნ და არბევდნ. შეუბრალებლათო. კარგნიც იყვნენ მათ გვარში, მაგრამ ერთობ მკრეხე კი. კარგადაც ეწინოდა თავიანთ ბტერთა ავის კაცებისაგანო. სვანიძეებმა ბატონიშვილები ამოწყვეტის, დამტკრებით ისე შეაშინეს მებატონენი, რომ მალე მათ მთლად გაანთავისუფლეს ბატონყმობისაგან გლეხნი სვანიძენი.

იოსებ ივანესკე გოკიელთა შინაგანობა

მე ოსმალეთში ხშირად ვემგზავრებოდი სავაჭროთ. ხშირად მივდიოდი სტამბოლს, ტრაპიზონს, სამსონს და სხვა ადგილებშიაც. იქილამ საქონელი ბათუმში შემოგვექონდა, მერე ბათუმის გზით აჭარელების ცხენებით საქონელს ახალციხისაკენ ვგზავნიდით, რადგანაც რუსის დამოუნა ახალციხეს ახლო იყო, სოფ. ვალესთან, სადაც რუს-ოსმალის საზღვარიც იყო. ერთხელ ვაჭრობის მიზნით მავალი, აჭარასა და ფოცხოვს შუა ერთს ძველს ტაძარს შევხვდით. ამ ტაძრის ამბებზე ჩემი საქონლის მჭიდვის მაგას ვკითხე. ამ კაცმა ბევრი რამ ამბები მიაგებო. დე შემდეგ ამ ტაძარშიაც წამდევნა და ყოველივე მაჩვენა. ტაძარი მეტად დიდი იყო, შიგ სხვილი ხეები ამოსულიყო. ხოლო დასუფთავებული იყო და კარებ შებმულიც. ასეთ მოვლის შესახებ მე ჩემთან ხლებულს ვკითხე:

— თქვენ თათრები ხართ და ამ საყდარს ვინ ასუფთავებს და ჟვლის. მან მომიგო:

— მე უფლი, მე ვპატრონობ, ყოველივეს მე ვასრულებ.

— შენ, ჩემო ძმაო, დიდს მადლობას მიიღებ ყველა მნახველებისაგან.

მომიგო მან:

— ვინ იცის, მე კი შორს დავდექ სისხლის ღვრისაგან, ღმერთმა მიხსნას, ხოლო ერთი კაცის მოკვლის ჯავრი კი მაწუხებს, რომ მე ვერ მოვკალი იგი და მისის წყალობით რამდენიმე კაცმაც მოისვენა.—

მე ვკითხე:

— თუ ვინ იყო, რა იყო ისეთი კაცი, რომ მერე ვერე ჩაგყვა გულში ბისი მოკვლის ჯავრი?

— დიდი ბოროტი კაცი იყო, უსვენდისო და მასთან უღმერთოც. მე იმ კაცს აფი წელიწადი მეტია ვიცნობ და მისი ავკაცობის შესახებ კი არა ვიცოდი რე. დაღუპულს ჩვეულება აქვდა ტყვეები ტაცვის და აქა იქ დასყიდვის. მისგან ძრიელ მრავლად ისყიდებოდენ ტყვეები ოსმალეთში და მათ ხშირად ცხარე ცრემლებსაც ადენდენ. ერთხელ ამ ვაჭარტონს, თავის სოფელ ასკანიდამ ერთი ახალგაზდა

ბიჭი და ქალი მოგტაცნა. ორივე და ძმანი ყოფილიყვნენ, ქალი გა-
თხოვილი ყოფილიყო და მასთან ორსულიც. ამ სოფ. ასკანელმა
მებატონემ ეს ტყვენი ჩვენში დაყიდა, მაგრამ ისე რომ ძმა ცალკე
და დაი ცალკე. ძმაცა და დაც დიდათ სწუხდენ, მაგრამ რას იზავდენ,
ჩვენ ბეგს ცალკ-ცალკე აქნდა დამწყვდეული.

ქალი თურმე გზაში ძრიელ დაილალა. ტყვეთ პყრობილი თურმე
დიდათ გაცივდა და მის გამო ავითაც გზდა, შობიარობამ მრუარა.
ტირილი დაიწყო, შეტად დიდრ საცოდაობა დატრიალდა, ჩვენმა ქა-
ლებმა გამოიყვანეს დამალული და ცეცხლზე ვაათბეს, დახმარება მის-
ცეს მოამშობიარეს. ამ დროს ისეთი საცოდაობა ნახა თვით ამ ასკა-
ნელმა მებატონემაც, რომ სირცხვილით და სიბრალულით უნდა აკან-
კალებულიყოს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მას არაფრის არ შერ-
ცხვა. ჩვენთან ცოცხამომხტარი, ვახშაშენდ მე და იმას უსიამოვნებო
მოგვიხდა, მე დავემუქმე მას, რომ იმას ასეთი საბრალლო მდგომარეო-
ბაში მყოფი ქალები აღარ მოგტაცნა და არ წამოყვანა გასასყიდად.
იგი კი თავისას არ ოშლიდა და შემდეგისთვის ბეგებს ჰპარდებოდა,
შემდეგ უფრო კარგს გოგონ ბიჭებს მრგვრითრ. ხსენებული ქალის
საცოდაობისაგან მე დიდათ აღვშფოთდი, მის გამო გადავწყვიტე იმ
ასკანელი მებატონის მოკვლა, მაგრამ მან ალლო აილო ამის და ვახ-
შმის შემდეგ ისე ოსტატურად გაიპარა, რომ მე მის ცნობებს სრუ-
ლებით ველარსად მივაგნე და ვერც მის კვალს და ასე ამგვარათ გა-
დარჩა ჩემს მახვილს და დღეს სად მოქმედებს და სთესავს ასეთ ბო-
როტებს, ამისი არავინ რა იცის.

მე მისი მოკვლა მით უფრო გავბედე, რადგან უკანასკნელ შე-
ვიტყე, რომ იგი ჩველნი ყოფილა ასეთ ბრროტების და მტრობის
ვრცელებას. უნდა ითქვას, რომ ეს კაცთა გამყიდავი მებატონე კი
ჩვენს საჭმელსაც კი არ სჭამდა, რადგანაც თავის-თავი სუფთად მი-
აჩნდა, არავის ეტოლებოდა. აი ეს განლაგსთ და ეს პატიოსანი პირი
ბრძანდება, რომლის მოკვლა მე გადავწყვიტე, მაგრამ შესრულებით
კი ვერ შევასრულე. ის კი არაფერი იყო მისთვის, რომ ცოცხალი
კაცები და ქალები მოყავდა და ყიდდა, მისგან დაყიდულები ზოგნი
ისე სტიროდენ და სწუხდენ, რომ მათი მნახველი ცხარეს ცრემლებით
აღივსებოდნენ. მე ამ ასკანელის ბატონისაგან იმდენი საცოდაობა
ვინახე, რომ იგი ღირსი იყო ჩემის ხელით სიკვდილის, მაგრამ მან შე-
მიტყო ესა და მიტომაც უშველა თავს.

სოფ. ასკანელის მებატონის გვარი და სახელი ამ ამბავის მო-
მთხრობს აღარ ახსოვდა, ხოლო ის კი სწორე და ნამდვილია, რომ

იგი ასკანელი იყო. თავის საკუთარ ყმათა შვილებს გარდა იგი სხვის ყმის შვილებსაც იტაცებდა თურმე ქურდულად და ოსმალეთში ჰყიდდა ნათ საიდუმლოთ და კაი ფასებში.

ნააგობი 60 წ. ია გვარჯილასის მიერ.

სოფელს დილიკაურს სცხოვრობენ თავად აბაშიძეები, ამ თავადებში ერივნენ ისეთი ბოროტი მებატონენიც, რომელნიც თავიანთ ყმებთაგანს რაზე ჟინის გამო, ხარის მაგიერ ურემში კაცებსაც კი აბამდნენ ხოლმე. ერთ აბაშიძეთაგანი, რომლის სახელი მე აღარ მახსოვს, მეტისმეტი, ბოროტი იყო. გული გლეხების დევნით ვერ გაძღა. ქვეყანა დაარბია. ერთ დღეს მან ერთი გლეხ-კაცი დაარბია, ერთი ამ ოჯახის წევრთაგანი ხარის მაგიერ ურემში შეება, მეორეს სცემა და ვინ იცის რა არ უყო. ამ არევ-დარევის და დარბევის დროს იქვე ახლოს იდგა მეორე აბაშიძეთაგანი, თავადის შვილი. ამან ვეღარ მოითმინა გლეხების წვალება და დარბევა და დაუყვირა თავის სახლიკაცს ასე:

— იცოდე, რომ შენი ცოდვები შენი შვილის შვილებსაც კი ეკითხებაო, დაანებე ამ საწყლების ტანჯვას და წვალებას თავიო.

ბატონი აბაშიძე უფრო გაცეცხლდა და ურემში შებმულ გლეხს დაუწყო სახრის ცემა, მეორე აბაშიძეს ძრიელ ეწყინა, რომ სიკეთის წილ მან გლეხს ვნება მოუტანა, მისი ბატონი უფრო გაჯავრდა და ეს ჯავრი ბატონმა საწყალ გლეხზედ იყარა, უფრო სასტიკათ დასაჯა. მერე უთხრა აბაშიძემ:

— ღმერთმა შეგაჩვენოს შენცა და შენი ადამიანობაცაო, სირცხვილი შენ, შე უღმერთოვ, ოდესმე მოგეკითხება და მაშინ ბევრს ინანებო, მაგრამ დრო გვიან იქნებაო.

მაინც თურმე აბაშიძე უკანასკნელ ცუდ ხიფათში ჩავარდა და გლეხების ტანჯვა არ შეარჩინა ღმერთმაო. ერთხელ ერთმა გლეხმა ისეთი სცემა ტყეში, რაც შემდეგ მას სიკვდილის მიზეზათ გაუხდაო. გლეხ ყმების წამება მას აღდგომასავით მიაჩნდაო, დიდი ასპიტი და ბოროტი იყოვო.

VI.

სხვა და სხვა მასალები.

„ოხერი გლეხი“ და მისი ამავენი

„ოხერი გლეხი“ ბევრჯერ იხსენება ძველ წერილებში. სხვათა შორის, მოხსენებულია ასეც: — „გლეხი თახლბითაზი გლეხი ოხერია“, სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ XVIII საუკუნის; გამოც. 1907 წ. თფ. გვ. 285 და სხვაგანაც.

ოხერი გლეხი ბოგანოს ამხანაგი ყოფილა, ხოლო ბოგანოზე უფრო დაბლა მდგარი და მასთან უპატრონო, ანუ უბატონო. ხშირად იყო, რომ ბატონი არც ბოგანოს ჰყვანდა, მაგრამ ბოგანო მაინც ყოფილა რაიმე ქონების პატრონი, მაგალითად ქიხის და მცირე რამ ბალი-ბახჩა, ბოსტნის და საყანე მიწების. ბოგანო ყოფილა და მასთან ბატონიც ჰყოლია, ხოლო როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მებატონესთან, ამაზედ არა ვიცით რა. „ოხერი გლეხი“ სრულიად უპატრონო ყოფილა, არაფრის მქონე და შარალაც ოხერი, უპატრონო, გაოხრებული, „ოხერ გლეხს“ არც სახლი ჰქონდა თურმე, არც ბაღ-ბოსტანი, არც საყანე აღგალი. დღეს ერთ ალაგას მდგარა, ხვალ მეორე ალაგას, ზეგ მესამეს და ასე და ამგვარად ოხრად უხეტიალია ოხერი გლეხი ასე ოხრად სიარულს ამჯობინებდა ბატონის ყმობას და, შეიძლება, ერთით მართალიც იყო. თავისუფალი ოხრობა სჯობია სხვის მონობისა და დამორჩილებას.

„ოხერი გლეხობა“ რომ სათაკილო მდგომარეობა ყოფილა, ეს სჩანს იმ გარემოებიდანაც, რომ ქართველებში სიტყვა „ოხერი“ და „ოხერ გლეხი“ საგინებლად მიაჩნდათ ძველად და მიაჩნიათ დღესაც.

სოციალურად ბოგანო რომ ბევრად უფრო მწლლა მდგარა „ოხერ გლეხზე“, ეს იქიდანაც სჩანს, რომ სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო გლეხთა სიაში ბოგანოებიც არიან აღნუსხულნი, როგორც მეკომუნი.

ბოგანო გლეხებშიაც იყო, აზნაურებშიაც, „ოხერი“ კი აზნაურებში გვხვდება. ჩვენის ფიქრით, „ოხერი გლეხი“ უნდა უდრიდეს რომაელთა „მეექვსე წოდებას“, თუმცა მის სოციალურ მდგომარეობაზე სრულიად არა ვიცით რა. არ ვიცით ისიც, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა სამეფო წესებთან, ჯართან, ეკლესიასთან და სახელმწიფო გადასახადებთან.

„ოხერ გლახთა“ გარდა ქართველებში იხმარება სიტყვა „ოსურ ხიდაშვილი“. უეჭველია ოსურ ხიდს ვინმე დაპატრონებულა და მერე მის შვილებს დაერქმეოდა ეს სახელი. საქართველოში იყო კიდევ „ნაოხარი სოფლები“. ამაზედ ივ. კერესელიძეს თვით პოემაც აქვს, 1855 წ. დაბეჭდილი სახელდობრ, „ნაოხარი სოფელი“. აჭარაში არის სოფელი „ნაოხრები“ და სხვანი ამგვარნი. იტყვიან კიდევ: „ოხრის მამიდა“, „ხიდის ოხერი“ და სხვა.

კარგად სჩანს, რომ „ოხერ გლახთა“ მდგომარეობა სტრალულს იწვევდა ყველაში. გლახნი და მოქალაქენი საბრალულით უმწერდენ მათ. ხოლო მეტატონნი, ანუ კეთილშობილნი სთვლიდენ მათ უვარგისებად, გამოუსადეგარად. უნდა ითქვას ისიც, რომ „ოხერ გლახთა“ გაჩენა შედეგი უნდა იყოს თვით მათი ერთნაირი უჯათობისა და გაკერპებისა, თორემ საქართველოში, ოხრად არავინ დარჩებოდა. ყველას ჰყვანდა თავისი პატრონი, ან ბატონი, ან სახელმწიფო და მისი გამგეობა, რომელ გამგეობის შორილ გლახთაც ეწოდებოდათ სახაზინო, ანუ სახელმწიფო გლახნი. საქართველოში იყვნენ შემდეგი სახელწოდების გლახნი: **გლახნი სახელმწიფონი**, ანუ სახასო გლახნი; ესენი ემორჩილებოდნენ პირდაპირ სახელმწიფოს და მას აძლევდენ ხარკს. **გლახნი საეკლესიონი**, რომელნიც ემორჩილებოდენ ეკლესიას, იყვნენ მათი ყმანი და ყოველივე ვალდებულებას და გადასახადს უხდიდნენ მონასტერს, ეკლესიას და მის ბერებს.

გლახნი, იყვნენ ბატონიშვილებისა და მათ მონათესავეთა ყმანი და მათვე ემსახურებოდნენ.

გლახნი ხათავადონი. ესენი ემსახურებოდნენ მხოლოდ თავის ბატონებს.

გლახნი აზნაურის მოყმენი.

გლახნი ყმანი. ნაყიდი გლახებისაგან. ესენი მათივე მოხარკენი და მორჩილნი იყვნენ.

გლახნი ყმანი მოქალაქეთა, ნასყიდობით, ესენიც ემორჩილებოდნენ მათ და აძლევდენ ხარკს.

გლახნი თავისუფალნი, ძველიდანვე ბატონის არ მყოფნი ბოგანონი.

ასე და ამგვარად, ჩვენა გვგონია, რომ „ოხერი გლახნი“ რომელთაც ძველიდანვე მეტატონენი არა ჰყვანდათ.

საფიქრელია ისიც, რომ იქნება ესენი ნაბიჭვრებიც იყვნენ, რადგანაც ნაბიჭვრებს ხშირად მათი მშობლები მალავდნენ და ბატონის შიშით არ აჩენდნენ. ასეთ დამალულ პირთაგან უნდა გაჩენილიყვნენ „ოხერ გლეხიც“.

„ოხერ გლეხთა“ გარდა აღსანიშნავია ბეითალ გლეხთა აბტალა ამოსულთა და ეულთა ამბავიც, მაგრამ ამათ შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

ბოგანოს ამბავი.

საქართველოში ბოგანოთა რიცხვი მრავალი ყოფილა. ბოგანო სწანს თითქმის ყველა საბატონოში, ყველა თავადის, აზნაურის და საეკლესიო ყმებშიც.

ბოგანო იხსენება თითქმის ყველა სოფლის გლეხთა გვერდით. არ არის ისეთი ძველი სოფელი რომ 20 კომლ გლეხთა შორის 5—10 ბოგანო არ მოიხსენებოდეს. ყოველ სოფელს ჰყოლია თავისი ბოგანო. მოხსენებელია, რომ ბოგანო არის მოლაშქრეო. ესე იგი ბოგანოს ვალად ჰქონია ჯარში წასვლა.

ნოდარ სუფრაჯის ყმათა შორის გლეხთა გვერდით, მოხსენებულნი არიან:—„ბოგანო ბერმა. ზანა მოლაშქრე, ბოგანო პეტრეა მოლაშქრე“ (F12 გვ. „სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ“ 1907 წ. თბ.).

აქვე მოიხსენება ბოგანო ამოვარდნილი. ამოვარდნილი ნიშნავს ამოწყვეტილ ოჯახს.

ერთი ის არის კიდევ აღსანიშნავი, რომ ბოგანოთა რიცხვი ამ წიგნში ძრაველ ხშირად მოიხსენება და მათი რიცხვი ერთობ დიდია. გამოსარკვევია: ბოგანოთა შორის ხომ არ არიან ჩათვლილნი ისეთნიც, რომელთაც მცირე რამ ქონება მაინც გააჩნდათ, მაშინ ბოგანო პროლეტარად აღარ ჩაითვლება. იგი მქონებელთა კლასი გამოდის.

საკითხავია კიდევ: თუ ბოგანო ყმაც იყო მებატონის, თავადის, აზნაურის, ეკლესიის და სხვა ასეთების, მაშინ მას ბოგანო რაღათ უნდა ერქვას?

ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვიცით დღეინდელი ბოგანოთა არსებობა, ვიცით, რომ მათი მდგომარეობა არის უპირული, ლატაკი. წარსულშიაც მათი ყოფნა, უეჭველია, სახარბიელო არ იქნებოდა მიუხედავად იმისა რომ „ბოგანო იყო მოლაშქრე“ და სხვა.

თუ,—ზოგი ერთების თქმითა და წერით, ბატონყმობა საქართველოში მამაშვილობა, ბატონისაგან ყმის პატრონობა და ერთისაგან მეორეს დაცვა იყო მაშინ ამ პატრონიან ყმობაში ბოგანოები რაღათ

უნდა გიჩენილიყვნენ, როცა ყმებს პატრონად—ბატონი ჰყვანდა? ბოგანოს ბატონად იყო არა მარტო თავადი, არამედ აზნაურიც. სჩანს, რომ საქართველოში ბატონ ყმობა ნამდვილად ყმობა ყოფილა, ანუ მონობა და არა პატრონ-ყმობა.

მაგალითად ხშირად აზნაურის ყმა ასე არის მოხსენებული: „აზნაურიშვილი ტერიაშვილი მებატონე არის, ბოგანო ხუგაზა“ მოიპოვება კიდევ ასეთი ცნობაც, რომ როცა მებატონე თავის ყმას რამე მოსაზრებით, მამულიდამ აპყრიდა, მაშინ გლეხის ასეთ აყრას, უსათუოდ გაბოგანოება მოსდევდა, აქ საკვირველი ეს არის, რომ ყმის გაბოგანოებას ბატონიც სთმობდა და ნებას აძლევდა, რომ მისი ყმა გაბოგანოებულიყო.

უმეტესად ყმათა აყრა და ბოგანოს გაჩენა ხდებოდა ხოლმე შემდეგი შემთხვევების წყალობით:

ბატონისათვის რომ ყმის რაიმე დავალება არ შესრულებინა და ბატონი გაერისხებინა, მაშინ ბატონი ურჩი ყმას მამულიდამ აყრიდა, ყველაფერს ართმევდა და ცარიელს სტოვებდა.

თუ ყმა ბატონის ვალს ვერ იხდიდა და ხარჯს დროზე და პირნათლათ არ აძლევდა, თუნდაც ამისი მიზეზი ყოფილიყო მოუსაველობა, ან ოჯახის რაიმე ზარალი, ბატონს შეეძლო ასეთი ყმა მამულიდამ აეყარა და გაებოგანოებინა.

ასეთი მაგალითები ხშირი ყოფილა.

ბატონი ყმას მოსთხოვდა ხოლმე შინა მოსამსახურეთ ბიჭს, ან გოგოს, მაგრამ ხშირად ყმა არ იმეტებდა თავის შვილს და ბატონს არ აძლევდა: გადამალავდა, ან სხვა რამეს მოახერხებდა. ასეთი ყმის საქციელს ხშირად მოსდევდა ბატონის რისხვა და გლეხის ოჯახის გაბოგანოება.

ერთი სიტყვით, ნათლად სჩანს, რომ ბოგანო ქართლისა და კახეთში ჩნდებოდა ისეთ მებატონეთა ყმებდან, რომელნიც რაიმე ურჩობინათვის თავის ყმებს მამულიდან აპყრიდნენ ხოლმე.

მამულიდამ აყრილი და გაბოგანოებული გლეხი, მაინც ბატონის ყმად რჩებოდა და ბატონის საკუთრებას შეადგენდა, მხოლოდ ამიერიდან ბოგანოდ იხსენიებოდა. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ ზოგი ყმა თავის წილ ქონებას თავის ნებით ბატონს აძლევდა, ყურადგანადსახადისაგან თავისუფლდებოდა და მით ბოგანოთა წრეში ეწერებოდა, ამას მოწმოს ის გარომება, რომ „ბოგანოდ“ წოდებული არიან ისეთ აყრილ ყმათა ჩამომავლობა რომელნიც მერე ეპყრებო.

გამზდარან, კონებაც შეჰქენიათ მაგრამ ბატონისა და სამეფოს გლახ-
თა და ყბათა სიაში—მაინც ბოგანოთ ყოფილან მოხსენებელნი. (ნახ-
ეთ „სტატისტიკური ცნობები საქართველოში XVIII საუკუნეში“)
ასეთ ბოგანოთა შესახებ ზეპირადაც ბევრი რამ ცნობებია დაშთენი-
ლი სოფლის მოხუცებულთა შორის, დღესაც კარგად ახსოვთ ამ ბო-
განოს ხიზნობა და ამბები.

ვფიქრობ, რომ ასეთ „ბოგანოლამ უნდა იყვნენ წარმომდგარ-
ნი ხიზანი, და ხიზნობა“.

„ბოგანონი“ სხვა გზითაც ჩნდებოდენ თურმე. თვით სახალხო
და საეკლესიო გლეხებიდანაც კი გამოდიოდენ ბოგანონი. უმთავრე-
სი მიზეზები იყო: სილატაკე, მოხუცება, დავროძა, სნეულება, უშვი-
ლობა, ნათესავების გადაშენება, მათხოვრობა და სხვა ასეთი უბე-
დურებანი.

„ბოგანო“ საქართველოში, ჩანს თქით ძველის ძველ დროდამ,
თითქმის იმ დროდამ, რასაც კი ქართველი ერის ისტორია მისწვდება.

ხ ი ზ ა ნ ი .

თვით სიტყვა „ხიზანი“ გვიჩვენებს, რომ იგი უნდა მოასწავებდეს ერთი პირის მეორესთან შიხიზნას, მიხიზნას და სხვა ასეთებს. ჩვენ ძაინც ამებების ძიებაში არ შევალთ და მხოლოდ შევეხებით ხიზან გლახთა ვითარების.

ხიზანი გლახი საქართველოში XVII საუკ. სჩანს, შეიძლება ძველადაც იყვნენ, მაგრამ ჩვენ იისი ცნობა არ გვაქვს.

ხიზანი გლახი ქართლ-კახეთის მიწაზე უნდა იყოს გაჩენილი იმ დღიდან, როცა საქართველოში თავად-ახნაურები გამრავლდნენ, მათი ცხოვრება აზვირთდა და იმითსა და გლახებს შორის ატყდა აურზაური, როგორც ხარკის გადახდასა, ისე, მამულებსა და სხვა ყოველნაირ საყმო ვალდებულებათა გარდასახადზე. ხიზნების საქმე ქართლსა და კახეთში ისე უღირსი ყოფილა, რომ მასზე ხმას არ იღებენ ქართველი კანონმდებლები.

ყოველივე ეს ცხად საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ხიზანი იყო წყალ-წაღებული ცხოვრებისა, დაცეული, მიწასთან გასწორებული. ვფიქრობთ, რომ ხიზანი უნდა იყოს წარმოშობილი იმ გლახთაგან, რომელთაც ბატონი ქონებას არამეცდა, ყოველივეს სტაცამდა და უმიწა-წყლოდ სტოვებდა; ასეთი გლახი, რასაკვირველია უნდა შეხიზნებოდა ვისმე.

ხიზანს საკუთარი ბინა—მამული და სახლ-კარი არა ჰქონდა. იგი ც რიელი იყო ყველაფრით. იგი იყო ნამდვილი პროლეტარი, მის საკუთრებას შეადგენდა მხოლოდ მისი მოძრავი ჯანი, დღიური მუშაობა და სხვა მეტი არაფერი. დიდი, პატარა, მოხუცი, ქალი, თუ კაცი სოლ მუშაობაზედ იყვნენ გასულნი, დღე და ღამე ამათ მუშაობაში. ჯანი ექანცებოდათ, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდათ, რომ ასე არ ემუშავნათ, იგინი სახიზნავ ხარჯს ვეო გადაუხდიდნენ მბატონეს, რადგანაც ბატონი ამათ მეტათ ბევრ გადასახადს ადებდა. ეს იყო ამათი უბედურება და გასაჭირი, ამათვის თითქოს კანონი და სამართალი არ არსებობდა.

VII.

გატონუმთა აჭარაში.

მასალები.

აჭარელის პართველ მაჰმადიანის - უზეირ ალა დავრიშ — ოღლის ნაამბობი.

ეს წერილი დევაქეს ცნობებით არის დაწერილი. უზეირ ალა დევაქე 70 წლის მოხუცი, მომსწრე ბევრის ამბების იყო. სცხოვრობს სოფ. სალორეთს. ამათ წინაპართ გათათრება XVIII საუკ. შუა რიცხვებს ეკუთვნის. თვით უზეირ ალა ხელობით გოთაულიც ყოფილა, ე. ი. ქართველთ მებატონეთაგან ყმათა შვილებს ყიდულობდა, ყველა ესენი ტრაპიზონს მიჰყანდა და იქ ჰყიდდა კაი ფასად. ეს მისი ცნობებია და ზოგიც მის დროის სხვა ქართველ მაჰმადიანთ გოთაულების. გოთაულთა ხელობა ოსმელეთის საქართველოში აღორძინდა 1820 წლებიდან. გოთაულებმა აშკარად იწყეს ვაჭრობა. გოთაულები გურიაში გადადიოდნენ და მებატონეთაგან ყიდულობდნენ მათ ყმებს, გოგო-ბიჭებს, ყველა იგინი აშკარათ მოჰყავდათ ბათუმს და მერე აქედამ ოსმალეთს მიჰყავდათ დასასყიდათ. ოსმალეთში მათ კაი ფასები აქნდათ, ასეთ გოთაულებთაგან ნაყიდ ყმათა გოგო-ბიჭებით ხანდისხან მთელი გემი გაიმსებოდა ხოლმე და ნავეებით ხომ ძრიელ მრავლად მიჰყვანდათ. ასე მიამბო უზეირ ალა დევაქემ.

გოთაულები თავისუფლად გადადიოდნენ გურია-იმერეთში და ყიდულობდნენ გოგო-ბიჭებს, თავისუფლად მოჰყვანდათ დასასყიდათ, იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ საიდუმლოთაც ყიდულობდნენ ყმათა შვილებს.

მებატონენი მარტო თავიანთ ყმებს კი არ ჰყიდდნენ, ჰყიდდნენ სხვა მებატონეთაგან მონატაცსაც. მათ ჩვეულება აქვდათ, რომ ხან ერთი მებატონე, მეორე შორეულ მებატონეს დაეცემოდა სადმე, ყმებს დასტაცავდა და მერე ამ მონატაცს დაჰყიდდა. ამისთვის ერთმანეთის გზაში დაზვერვაც იცოდნენ, ხან ყანაშიაც კი დაეცემოდნენ და მომუშავე გლეხებს მოიტაცავდნენ, ხან სახლიდგანაც. ასეთი ტაციობისაგან ხშირად, მერე მათში დაუსრულებელი ომი და ოდიგასიც ვარდებოდა და მონატაცს ყმათა მაგიერ ყმებს აძლევდნენ. ასე იხდიდნენ: გოგოში გოგოს აძლევდნენ, ბიჭში ბიჭს, ხნითაც თავ-თავის შესაფერს, ეს ხდებოდა მაშინ, როცა მომტაცავი მებატონე თავის წანატაცს ოს-

მალეთში ჩამოიყვანდა და დასყიდდა, მერე მას წანატაცთა მებატონე მოსძებნიდა, იპოვნიდა, საქმეზედ დაოწმუნდებოდა და ყმების თხოვნას და დავას დაუწყებდა. ყმებს მებატონე საიღამლა მისცემდა, როცა მისი ყმები ოსმალეთში ჰყავდა გარეკილი და დაყიდულნი, ამიტომ ყმებში ყმებს აძლევდა და საქმე მით თავდებოდა ხან ისეც მორიდებოდნენ, რომ გამყიდვნი მებატონე, განაყიდს ფულს ყმებს მებატონეს დაუბრუნებდა და საქმე მორიდებით გათავდებოდა, ხოლო გურჩეულებს კი ეს ამბები არ უნდა სცოდნოდათ. თორემ იგინიც წაედავებოდენ ამაში. მებატონენი ყმებს სტაცავდენ ერთმანეთს უფრო უცნობნი და შორეულნი. მებატონეთ გარდა, ხშირად ყმებს იტაცავდენ თვით გლეხებიც, ნამეტურ მებატონეთა შინა ყმა მოსამსახურენი.

ასეთ მტაცავ გლეხებს ყოველთვის მებატონეებთან აქვდათ ადგილი და იგინივე მფარველობდენ მათ, რადგანაც გლეხები ხშირად მათი სიტყვით და ბრძანებითაც იტაცავდენ გოგობიჭებს. ესენი იტაცავდენ ყველაფერს დიდს, პატარას, ქალს და ბავშვებსაც, თვით პატარებსაც კი. ასეთ მტაცავ გლეხთა რიცხვიც დიდი იყო გურია-იმერეთში. მებატონეთ ძრიელ ხშირად მოჰყავნდათ იმერეთის ტყვეები და ჰყიდნენ ბათუმში. მტაცავ მებატონე გურჩეულები უფრო ხშირად იმერეთიდან და სამეგრელოდან იტაცავდენ ტყვეებს და ჰყიდდნენ ოსმალეთში.

ზოგს მებატონეთა ჩათუმში თავისუფლად გადმოჰყავდა ტყვე ყმები და აშკარად ჰყიდდა ოსმალებზედ. ზოგს მებატონეს შიშით და საიდუმლოთ გადმოჰყავდა ყმა ტყვენი და ოსმალებზედ საიდუმლოთ ჰყიდდა. ასეთ ტყვეებს, ოსმალებს გარდა სხვებიც ყიდულობდენ, ფრანკულნი, ნემენცი, სომეხი და სხვანი, ვინც კი შეხედებოდა ბათუმის ბაზარში. ძრიელ მრავლად ყიდულობდენ ხოჯები და მოღები. ფასი სახის მოყვანილობისა და შეხედულობაზედ იყო დადგენილი. გოგოს ვყიდულობდით ორ ოქროთ, სამათ, ბიჭსაც ასე. ფასი იწყებოდა ერთი ოქროდამ.

მებატონეთ ყმები ჩუმათ ბათუმს გარდა აპარაშიაც გადმოჰყავნდათ აპარაშიაც ჰყიდნენ, აქეთ მოსვლა კი პარასკევის სიახლოვეს იცოდენ, ჯამესთან დაგროვდებოდნენ ახლოს და რადგანაც იქ ამდღეს ხალხი იყრის სალოცავად თავს და მის მერე ვაჭრობაც იციან. ამიტომ აქ უფრო ადვილად ჰყიდნენ. ნამეტურ ქედას იცოდენ მოყვანა, რადგანაც ქელაში, ჯამეს ლოცვის შემდეგ, ვაჭრობაც იყო გამართული, ბაზარი იმართებოდა, აქ იყრიდა მრავალ სოფელთა ქართველ თათრები თავს, როგორც შუა სოფელს, სავაჭრო დაბაში და ამიტომ ქართველ მებატონენიც აქ უფრო ადვილად ჰყიდნენ თავ-

ვიანთ ყმებს, აქ უფრო იაფად იყიდებოდა ვიდრე ბითუმს. მე მახსოვს ასეთი ამბავი: ერთ პარასკევ დღეს, ქედაში ჩვენ ვიყიდეთ რამდენიმე ყმა ტყვენი და ყველა იგინი იქილამ გამოვიმძღვანეთ. თან გამოვიყოლიეთ მათი გამყიდავი მებატონენიც, რადგანაც ფული თან არ გვაქნდა და სახლში უნდა მიგვეცა. იმ დღეს მებატონენი ჩვენა დაარჩნენ: სალორეთი შორი სოფელია და მგზავრათ აღარ გაუშვით. ჩვენ ვახშამი მოვამზადეთ ხორციეულობისა და სტუმრებსაც მივართვით. მაგრამ მათ არა ჭამეს, სთქვეს:

— დღეს მარხვა არის ჩვენი, პარასკევია, ვერ ვსჭამთ ხორცს. ჩვენ შევწყუბდით, რადგანაც ეს მათი წესი არ ვიცოდით. მალე სხვა რამ მოუჭადღეთ. მე ვსთხოვე ხორცის ჭამა, მაგრამ აქ ქნეს. მერე ჩვენ უთხარიით ხუმრობით:

— თქვე კაი კაცებო, დღეს თქვენი კაცები დაყიდეთ და ის მარხვა არ არის და ხორცის ჭამა კი მარხვა არისო, ეს როგორ იქმება, მიირთვით შემწვარი ხორციეულობა, განგებათ თქვენთვის უკეთესად მომზადებული.

მათ შაინც არ ქნეს. იმარხვეს იმ ღამეს ფულიც მივეციო და მეორე დღეს გურიისკენ გაემგზავრნენ.

აჭარაში და ქობულეთში, არ იყო ისეთი სოფელი, რომ იქ იმერეთილამ და გურიილამ ტყვე ყმები არ გადმოეყვანათ რა არ გაეყიდათ ხოლმე, ისიც კი უნდა ითქვას, რომ ხშირად ფვით მებატონეთა ტყვე ყმანიც შორბოდნენ ჩვენკენ თავის ნებით, აქ ეძლეოდნენ ცხოვრებას და მერე თათრობასაც უერთდებოდნენ. ასეც მომხდარა ხოლმე, რომ ცოლი რომ გაუყიდნიათ აქეთ, მის მერე გურია-იმერეთში აღარც ქმარი დასთენილა, აქეთ მოსულა, ცოლი მოუძებნია, აქ დასახლებულა და ბოლოს გათათრებულან. ასევე იცოდენ ხან ძმებმა გაყიდულ ძმების გულისთვინ, ხან დების და ხან ნათესავებისაც. თათართან ნაყიდი ტყვე ყმანი ყოველთვის უჩნდებოდნენ მათ მონათესავენი, მხოლოდ იგინი უნდა გათათრებულიყვნენ. რაც შეეხება შინ დაბრუნებას, ეს კი მათში იშვიათი იყო, რადგანაც ხდებოდა ისეც, რომ შინდაბრუნებულთ, მებატონე კვალად სდევნიდა და სტაცამდა ყოველთვის. ამიტომ ძრიელ ხშირად. აქვე რჩებოდნენ გურულები და თათრდებოდნენ.

გურულ და იმერელთ გოგო ბიჭების დაყიდვის საქმე ზათუმში და აჭარაში 1860 წლილამ, შემცირდა. მახსოვს ძრიელ კარგად, რომ აქ ნაყიდი გოგო-ბიჭები, თათრებს მიჰყავდათ გემებით ქურისტანს, და არაბეთს, შამს, სტამბოლს და სხვაგანაც, რადგანაც ბათუმს და ჩვენში ასეთი ბაზრობა იცოდენ ხოლმე. გურულ მებატონეთ, ამიტომ

ამ მიზნით იქიდან თათრის ვაჭრებიც მოდიოდნენ და ისინიც ყიდულობდნენ დიდ ძალ გოგო-ზიჭებს. ივინი უფრო კაი ფასს აძლევდნენ ვინემ ჩვენ. ხოლო ტყვე ყმებს ჩვენ ხელში დარჩენა უფრო უხაროდათ, რადგანაც ჩვენ მათი ენა ვიცოდით და მათ ჩვენი ენაც კარგად ესმოდათ. შორს წაყვანის დროს, მათში დიდი მწუხარება იყო ხოლმე, ტირილი, გოდება, წყველა გამყიდევებისა და ათას ნაირი უბედური საქმენი, რასაც კაცი ყველას ვერ მოსთვლის.

იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ ხშირად მებატონენიც მოდიოდნენ აქ და თავიანთ გამოქცეულ ტყვეებს ეძებდნენ. ხშირად ზოგთ პოულობდნენ კიდევ, მაგრამ ნაპოვნი მოასწრობდა, თათრობის მიიღებდა და მერე იგი თავისუფალი იყო, მებატონეს თათრები აღარ მისცემდნენ ტყვე ყმას, მის საძაგეიროდ ხან ფულს გადუხდდნენ და ხან ცარიელიც წავიდოდა, ნაყმევი აღარ შეეპოვებოდა და ეტყოდა:

— მე ეხლი თათარი ვარ და აღარ გიმოგყვები შენაო.

თათრებიც მის მხარეს იკავებდნენ და აღარ აძლევდნენ მებატონეს.

ზოგი მებატონენი ფულსაც ხარჯავდა და გამოქცეულს ტყვეს უკან იბრუნებდა და თან მიჰყავდა, მაგრამ ეს ერთობ მცირე იყო ხოლმე.

ამის შესახებ ცნობები აქარაში, მე ძრიელ ბევრი გამიგონია და სულ სხვა და სხვანაირნი გულის და სულის შემხუთავნი, ყველა ეს ცნობები რაც კი გავიგე, რომ მეწერა, მაშინ ეს წერილი კი არა და ვრცელი ტომი გამოვიდოდა. ხოლო ის კი უნდა ითქვას, რომ ამ საქმეებს და ვაქცევ გამოქცევათა ცნობებს, გაყიდვ-გამოყიდვას და ვათათრებას მეტად დიდი ვრცელი ისტორია აქვს და თან საკმარისის გულსაწვავის ცეცხლით და ცრემლით აღვსილი.

უბედურება ერთი ჩვენი ის არის, რომ რაც დრო გადის, მით ასეთ ამბებთა მცოდნე მოხუცთ კაცთა რიცხვიც მცირდება, იხოცებიან, ისპობიან და მათ მოსპობით ისპობა ათას ნაირი ძვირფასი მასალები, ჩვენის განვლილ დროთა მიერ ბატონ-ყმობის ისტორიის შესახებ. ამ გარემოებას ეხლა რომ ყურადღება მიექცეს და ვისარგებლოთ ზოგი მოხუცთ აჭარელთ და ქობულეთელთა სიცოცხლით, მაშინ ამ საგანთა შესახებ აუარებელი მისალები შეიკრიბება. შემდეგ კი თუნდ ამ 10 წლის განმავლობაში კი, ყოველივე მოისპობა, რადგანაც ასეთ დროულ პირთა რიცხვიც დღე-დღე მცირდება.

უზეირ ალა დავრიშ ოლლი დევაძე 70 წლის მოხუცებული კაცია, ქუთისტანს უვლია, დიარბექირში უცხოვრია. ბევრი ქვეყნები უნახავს ოსმალეთს, ქუთისტანს და არაბეთს. ბევრს ჭალაქებში უნახავს ქართველები და ჩვენდა სამარცხვინოთ, ეს კაცი ლაპარაკობდა, რომ ყველა ეს ქართველები სულ დაყადულები იყვნენ თათრებზედ მათ მებატონეთაგანაო.

საქართველოს
გაბთნეუბთვის ფაქტიუსნი
მასკალეზი

1. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, სა-
ნაზრო და საგუბერნიო არხიფებიდან ამო-
ღებული,
2. მომსწრე და თვით მნახველ პირთა ნაამბობი,
3. ხალხში ნაპოვნი საბუთებით აღნუსხული

ზაქარია ჭიჭინაძის და სხვათა მიერ

მ. ტომი.

საქართველოს საგამონცენლო კოოპერატივი „მწიფნობარი“-ს გამოცემა
შირ. ხუხუნაიშვილის რედაქტორობით

ტფილისი - 1924

ჩვენი მიმართვა.

ბატონ-ყმური ურთიერთობის მატთან, დღემდე სრულიად დაუმუშავებელია.

მისი შესწავლა, გამოკვლევა და ამის მეშვეობით, უტყუარი—ქართველი ერის შინაგანი ცხოვრების ისტორიის დაწერა—მეტად დიდს საჭიროებას მოითხოვს.

ამ მიზნით, უკვე ვაპოიცა საქართველოს ბატონ-ყმობის ფაქტიური მასალების პირველი ტომი.

დაგროვილ მასალების გამოცემა განძრახულია ექვს ტომათ ეხლა გამოდის 2—3 ტომი.

სამწუხაროდ, დღემდე ამ მასალების ხალხში გავრცელება დიდად მოიკოკლებს.

ამასთანავე, გაჩნდნენ ისეთი პირებიც, რომლებიც ამ მასალების გარშემო ინსინუაციებს ჰქმნიან, ცხადია მხოლოდ რეგვენებს და უფიცთ შეუძლიათ, მიაწერონ ბატონ-ყმობის ფაქტიურ მასალების გამოქვეყნებას, ის შედეგები—რომელიც შეფერის საშუალო საუკუნეს.

ერთად-ერთი დანიშნულება და მიზანი, რომელსაც ჩვენ ვეტრფით ამ მასალების გამოქვეყნებით, მათიანეს სწორი გაგება და სალი ისტორიის შეთხზვა. არ შეშვენის თანამედროვე სოციალისტურ ხანას, ყალბი და მრუდე ისტორიის სარგებლობა და წერა. ამ მხრივ ყველამ ხელი უხდა შეგვიწყონ და საშუალება მოგვცენ, რომ შეძლება ვიქონიოთ, ამ მეტათ მნიშვნელოვან ეპოქის ფაქტიურ მასალებს—მუშათა და გლეხთა ფართე მასამდე—მივახწვივინოთ.

სარედაქციო საგამომცემლო კოლეგიის

საპატიო თავმჯდომარე მისა ცხაკაია.

კოლეგიის წევრები:

1. მ. ხუხუნაიშვილი.
2. მ. კვარაცხელია.
3. პ. გელეიშვილი.
4. ი. გაბილაია.
5. ზ. კიკინაძე.

არსენა ოქელაუვილი

(მარაბდელი)

მის მცნობ და მომხარვე კაყთა ცნობების მოთხრობით.

აწერილი

ეს აღწერა უნდა იქმნეს ცნობილი მისი ცხოვრების შესახებ, დანარჩენი სულ ყალბათ არის ნაწერი და დაბეჭდილები. ლექსებიც, პროზაც და პიესებიც, სულ ყალბია.

სახალხო ლექსი არსენასი, გამოთქმულია ისეთ რაჭველი მესტიერესაგან, რომელმაც არც წერა-კითხვა იცოდა და არც არსენა უნახავს ოდესმე თვალთ. მან გამოსთქვა სხვების ჩაგონებით.

არსენას ამბავი

ვიდრე არსენას ამბავს დავსწერდე ორიოდ სიტყვით შეგეხებინებ იმ გარემოებასაც, თუ რამ წარმოშობა არსენა ოძელაშვილი, ამ გარემოების პირობები გახლავს ბატონ-ყმობა და მისი წესები საქართველოში, რაც ქართველთ ყმათათვის XIX საუკუნის დამლევიდამ ივრეთი ათად, გაზვიადდა და მან მეტათ ბოროტი სახე მიიღო, ქართველი ერის ცხოვრებაში.

ბატონ-ყმობა საქართველოში უხსოვარის დროდამ სჩანს, იგი მკვიდრათ არსებობდა ქართველ ერში, მთელ საქართველოში. ბატონ-ყმობის წესები საქართველოშიაც ისე იყო დაკანონებული, როგორც იგი არსებობდა რომს, ბიზანტიას, ევროპას და სხვაგანაც. იქ ბატონ ყმობა დაკანონებული იყო წიგნით, წერით, საქართველოში კი იგი დაკანონებული იყო სიტყვიერათ, უწიგნოთ.

ყოველი მებატონე, თვით წარმოადგენდა კანონს, მართლ-მსაჯულებს. როგორც და რასაც ბატონი მოისურვებდა, მაშინ ყმის საქმეც ისე გადაწყდებოდა.

როცა საქართველო ძლიერი იყო, მაშინ ქართველი მეფენიც ძლიერი იყვნენ, მაშინ მებატონე ყმას ისე ვერ სჩაგრავდა, როგორც მას სურდა, თუ ამას გაბედავდა ბატონი და იგი თავ აწყვეტილ აზვებული დაუწყებდა ყმას ღვენას, მაშინ მას არც ყმა დაემონებოდა, წინააღმდეგი გაუხდებოდა, საქმე თუ გაუჭირდებოდა, მაშინ ყმა გლეხი მეფესთანაც ადვილათ მიაღწევდა და თავის ბატონის ბოროტებას დაწვრილებით აცნობებდა.

ამიტომაც იყო, რომ როცა საქართველო ძლიერი იყო და მას ძლიერი მეფენიც ჰყავდნენ, მაშინ ვერც მებატონე ბედავდა თავის გლეხის დაჩაგრვას და წვალებას. მაშინ ამის ხსენებაც არ იყო, თუ სადმე რამე ხდებოდა და ბატონი ყმას სჩაგრავდა, ეს იყო ბატონისაგან ჩუმათ, ქურდულათ და არა აშკარათ, ბოროტი ბატონი ქურდულათ ყველასვერს სჩადიოდა, რადგანაც ამ ბოროტების ჩადენისათვის, მას სხვა ამხანაგებიც ჰყვანდნენ, რომელნიც მას ამ ბოროტების ჩასადენათ შველოდნენ და ხშირათ ეს მამველები იყვნენ თვით მებატონის ყმანი გლეხები.

სამწუხაროთ, როცა საქართველოს გარეშე მტერი ევლინებოდა და ქართველი ერი უძლურდებოდა, მაშინ ქართველი მეფენიც უძლურდებოდნენ და ამიტომაც მებატონენიც სარგებლობდნენ ამით და თავის ყმა გლეხებსაც სჩაგრაოდენ და დევნას უმატებდნენ მებატონე იჩენდა. ამხანაგად ყაჩაღ გლეხებს, მერე ამათის დახმარებით ეცემოდა თავის ყმებს, მათ სტაცებდა შვილებს და მერე ამ მოლატებულებს, სულ აქეთ-იქით მიერეკებოდენ დასასყიდათ, უმთავრესათ კი ოსმალ სპარსეთში, სადაც ქართველებს ისინი ჰყიდნენ ერთობ კარგს ფასებში.

მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ მაშინდელი გლეხ-კაცობა არც ისე მჩატე იყო და უძლური, რომ იგი თავის ბატონს ადვილათ დამორჩილებოდა, მაშინდელი ქართველი ყმა გლეხი ძლიერი იყო სულით და სალი კედელი იყო სხეულით. მას ადვილათ ვერც ბატონი მოერგოდა, ვერც დასჯაბნიდა, ვერც აიკლებდა, ვერც მოთოკავდა და თუ ძალაზე მივიდოდა საქმე, მაშინ შეიძლებოდა ადვილათ, რომ ყმანი მორევოდნენ მათ და მიტომ სამაგიერო მათვის უფრო მკაცრათ გადაეხადნათ. ამიტომაც მაშინ ქართველი მებატონენი ყმებს არამც თუ დევნას, ვერ დაუწყებდენ, არამედ ბუხსაც ვერ აუფრენდენ, რადგანაც ქართველი გლეხი ძლიერი იყო სულით და მაგარი მკლავით.

ამიტომაც, ვერ დაასახელებთ ვერც ერთ ისტორიულს ფაქტს, რომ დავით აღმაშენებლისა, გიორგი ბრწყინვალისა, ბაგრატ მეოთხის, გიორგი მესამისა, თამარ მეფისა, სხვათა ასეთ გმირ მეფეების დროს, ქართველი გლეხის ოჯახი მათი ბატონისაკან დარბეულიყოს. ეს შეუძლებელი იყო და თქვენ ამის ერთ მაგალითსაც ვერ დაგვისახელებთ. როცა საქართველო უძლურდება, მაშინ გლეხ-კაცის ოჯახიც უძლურდებოდა და მათზედ მებატონენიც მძლავრობდენ, ისიც უგვანნი, თორემ გონიერ კაცთაგან ეს არ მოხდებოდა.

რადგანაც მაშინ, ყოველმა გონიერმა მებატონემ კარგათ იცოდა, რომ მისი და მისი ყმის ქვეყანა იყო საქართველო და მათი მტერიც იყო გარეშე მტერი, რომელთაგანაც იგინი უძლურდებოდნენ და აბა მაშინ მათი ერთმანეთში მტრობა და შური როგორღა გამოდგებოდა, მაშინ ხომ თავადიც დაილუპებოდა და გლეხიც, ერთიც გაქრებოდა და მეორეც. ამის შეგნება კარგად ჰქონდათ მათ და მიტომაც იყო, რომ დღეს თუ მრეწი მიერეგოდა საქართველოს და ქართველ ერს დაამარცხებდა და საქართველოსაც დაიჭერდა, ხვალ, მოხდებოდა ქართველთ გაერთიანება, შეერთება, იქ გარჩევა აღარ

იყო თუ ვინ თავადი იყო, ვინ აზნაური და ვინ ყმა გლეხი, იგინი შეერთდებოდენ ერთათ, შეკრავდენ ერთ პირს და შეერთებულის ძალით აღუდგებოდენ გარეშე მტერს და ასეთი შეერთებულის ძალით იგინი მარდათ ამხობდენ საქართველოს მტერს და გააძევებდენ ხოლმე თავის მამულიდამ, თავის ქვეყნიდამ. ამიტომაც იყო მაშინ საქართველო ძლიერი და დღეს თუ ქართველი მარცხდებოდა, ხვალ იგი იმარჯვებდა ისევ დაამარცხებდა თავის სამშობლოში შემოსულს უცხო მტერს. ხშირათ ეს გამარჯვება ქართველ ერს ძლიერ ძვირათ უჯდებოდა და ამის დამამტკიცებელი საბუთია ის გარემოება, რომ საქართველოს მიწა მამულზე ყოველს გოჯს მიწაზედ, ქართველი კაცის თითო ჩაფი სისხლია ჩაღვრილი და ამ გვარის სისხლის ღვრით და თავის დადებით არის საქართველოს მიწა-მამული დაცული და შენახული ჩვენს დრომდე. ამიტომაც ვიტყვით მოკლეთ, რომ სადაც ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლა არსებობდა ასე თავის ქვეყნის დაცვისა და შენახვისათვის იქ მებატონისაგან ყმის დარბევა და დაჩაგვრა ადვილი საქმე არ გაქლავსთ, ამას მაშინ ადვილათ ვერავინ გაბედავდა, უკეთესი მებატონე თუ გაბედავდა ამას, იმასაც კაი დღე არ დაადგებოდა და მას ჩაქოლავდენ თვით თავად-აზნაურები და დაწიოკებული გლეხთა ნათესავებიც კაი დღეს არ დააყრიდნენ.

ასე თუ ისე, საყოველთაოთ კი, ქართველ მეფეთა დროს, მებატონეებს ადვილათ არ შეეძლოთ თავის ყმათა დევნა, ამ გარემოებას მკაცრათ ეწინააღმდეგებოდენ თვით ქართველ უძღურა მეფენიც, თვით ქართველ მღვდელ მთავრებიც კი შეაჩვენებდენ ხოლმე საქვეყნოთ ტახარში ისეთ მებატონეს, რომელიც თავის, ან სხვის ყმას დასჩაგრავდა, ამის მაკალითია თვით მე-XVII საუკ. იმერ აფხაზთა კათოლიკოზი ევდემოს და მალაქია კათალიკოზები, რომელთაც საქვეყნოთ დასწყევლეს და შეაჩვენეს ესეთი მებატონენი, რომელნიც ყმებზედ ასეთ ბოროტებას იხმარებდენ.

მაშინ მეფენი და კათალიკოზნიც მიტომ სდევნიდენ ასეთ მებატონეებს და სწყევლიდნენ, ვინაითგან მათ კარგათ ესმოდათ ყმათა ოჯახების შეწყობების მნიშვნელობა, რადგანაც მაშინ საქართველოს მტრის წინაშე, ყველა ერთათ იხრაკებოდა და იხოცებოდენ, მაშინ თავადს, აზნაურს, მოქალაქეს და გლეხს გარჩევა არ ჰქონდა, საქართველოს გულისთვის ყველა ერთ ტაფაზედ იწოდა და იხრაკებოდა, მტრის წინაშე ყველა ერთი იყო და ერთათ იხოცებოდენ, აბა იქ მაშინ ის როგორღა შეიძლებოდა, რომ ბატონს ყმა ეჩაგრა და ედევნა, ეს შეუძლებელი იყო.

ასე გახლდათ ეს გარემოება და ამიტომაც, როცა ამ გარემოების შესახებ ვინმე ლაპარაკობს ხოლმე, იმან ეს გარემოებაც უნდა იცოდეს კარგათ დი ამიტომ ამაზედ ადვილათ არც უნდა ბედავდენ ბოროტ ლაპარაკს. ჩვენ ასე ვლაპარაკობთ ამაზედ, ეს გარემოება ჩვენ ასე ვისწავლეთ, ეს არის ჩვენი ისტორიის მიმოხილვა და მისი სურათები, ნაშდვილ ისტორიიდან ამოკრეფილნი. ჩვენ არც იმას ვიტყვი, რომ ვითომ ჩვენს წარსულში, ჩვენი მებატონენი სულ ანგელოზები იყვნენ და მათში მტერი არავინ იყო.

არა, მათშიაც იყვნენ მტერნი და ავნი, ხოლო მათაც აქვს თავისი დრო და ხანა და ამიტომც საჭირო არის, რომ ამ დროსა და ხანის არეგ დარევა არ უნდა იყოს ერთმანერთში არეულ-დარეული. ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია, რომ ეს დრო და ხანიც თავ-თავის დროის კვალათ ავსუხნოთ და მოვიხსენოთ.

XIX საუკუნის დამდეგიდან კი, როცა საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა, მის შემდეგ, საქართველოს ერის ბატონ-ყმობის არსებობის სახეც სრულიათ შეიცვალა. 1801 წლის შემდეგ, საქართველოში, მებატონეთა და ყმათა შორის ხდებოდა ისეთი საქმენი და სურათები, რაც წინეთ, მათ შორის არას დროს არ მომხდარიყო არამც თუ მოხდომით, არამედ იგი გაგონებითაც კი არავის ვაგვანათ. ის რაც არ მომხდარიყო არას დროს, ხდებოდა ერთობ ადვილათ XIX საუკუნის შემდეგიდან მოყოლებული მთელი ნახევარ საუკუნის განმავლობაში.

ეს უბედურება და ბოროტება მოხდა იმ გარემოებისაგან, რომ რაკი საქართველოში, რუსეთის მთავრობა შემოვიდა, მათ მოიწადინეს საქართველოში ფეხის გამაგრება, ამისთვის მათთვის საჭირო იყო ქართველ თავად-აზნაურთა გაერთეულება, ამიტომ დაუწყეს მათ დალოლიება, პატივისცემა და თავაზი. მცირე ხანს შემდეგ, რუსეთის მთავრობამ, ქართველ მებატონეთა შვილებს სასტიკათ შეაძულეს თავის ყმა გლეხკაცობა, ასევე გლეხს შეაძულეს თავის მებატონენი. ან ბოროტებით დაირღვა ქართველთა დიდის ხნის საერთო კარგი კავშირი და მის მაგიერ, მათში დამკვიდრდა ერთმანერთის მტრობა და გაუტანლობა, რაც დიდათ სანატრელი იყო რუსეთის მთავრობისაც და მათი დიდი საწადელიც იყო.

გლეხებს საიდუმლოთ უქადაგებდენ: თქვენ ეხლა რუს ხემწიფის ყმები ხარო, თქვენ უნდა იყოთ რუს ხემწიფის ერთგული ყმანი, ამის გარდა სხვა მებატონენი მოგონებული ბატონები არიან, თქვენ მათი ნუ გეშინიათ, ივინი თუ ორს გეტყვიან, თქვენ ჯამი და ოთხი

უთხარი. ნულარასფერში ნულარ ემორჩილებით მათ, მათის შიშისა. თქვენ ფიქრი ნუ გაქვსთ, ივინი თქვენ ვერასფერს გიზმენ, თქვენ ოღონთ ერთგულები იყავით რუს ხელმწიფის.

თავად-აზნაურებს ეუბნებოდენ, გლებები თქვენი ყმები არიან, თქვენი მონები, თქვენ რაც გენებოსთ, ის შეგიძლიანთ რომ უყოთ თქვენს გლებებს, თქვენი დამშლელი არავინ იქნება, რადგანაც ეს წესები რუსეთშიაც არის ასე მიღებული. თქვენ, მებატონეებს, ნება გაქვსთ, რომ თქვენი მონები გინდათ გაყიდოთ, გინდათ დააგირავოთ, გინდათ შეწოთ და შექაშოთ, თქვენი დამშლელი არავინ იქნება, გინდ ძაღლებზედ ვასცვალოთ, გინდ ქალებიც მოსტაცოთ პირველ ღამეს, ამის მოდავე თქვენი არავინ იქნება, თვით რუს ხელმწიფის კანონი გაძღვესთ ამის ნებართვას, რომ ყველაფერი ქმნათ გლებზედ, თქვენი ერთად-ერთი ვალი არის, რომ თქვენ უნდა იყოთ მხოლოდ ერთგული ქვეშევრდომნი რუსეთის ხელმწიფის და მთავრობის, სხვა ამის მეტი თქვენგან არასფერია საჭირო, მხოლოდ ერთად-ერთი, თქვენ იყავით რუსეთის ერთგულნი და თავდადებულნი. ამის გარეშე თქვენ ნურათრის შიში ნუ გაქვსთ და ნურც მორიდება, კანონიც თქვენია და ხელმწიფე იმპერატორიც, ერთნაც და მეორესაც თქვენი მხარე უჭირავს.

ასეთი ქადაგება პირველად დაიწყო გენერალმა კნორინგმა, საქართველოში რუსეთის პირველმა გენერალ-გუბერნატორმა და ამის შემდეგ 1802 წ. საქართველოს მთავარმართებელმა პ. ციციშვილმა, რაც კნორინგმა ვერ მოახერხა ის გარუსებულმა პ. ციციშვილმა შეასრულა. პირველი ღამის შეგნებაც ამ ცხოველმა ასწავლა ვერაგ მებატონე ქართველებს.

ბოროტ მებატონეებს და ვერაგებს ასეთი ქადაგება მაღამოსავით მოეცხოთ, ასეთ ქადაგების წყალობით, მათ თავი აიწყვიტეს და მართლაც დაუწყეს თავის გლებებს დევნა და შეწუხება, ყმებს უწყეს შვილების მოტაცება და ამ მოტაცებულებს ყომარისა და კარტის თამაშში აგებდენ, ზოგს ჰყიდნენ, ზოგს ძაღლებში სცვლიდნენ, ზოგს უარესობასაც უშვრებოდნენ, 1814 წ. შემდეგ მათ პირველი ღამეც შემოიღეს და ეს ბოროტებაც დაიწყეს. ამებზედ უარესობა იყო კიდევ ის, რომ მებატონე იტაცებდა თავის ყმის შვილებს და ამით იგი მიერეკებოდა ოსმალეთს და სპარსეთს და იქა ჰყიდნენ ამათ კარგ ფასებში.

ასეთებისთვის აღარც სამართალი იყო, აღარც რუსის მთავრობის კანონი და სამართალი. ველა ამოთ იქმნა და ბოროტათ და

შთენილი, მებატონებმა განუსაზღვრელი ბოროტებით იწყეს გლეხებზედ მოქმედება და ყველა ეს კიდე ისე ხდებოდა, თითქოს ამ ბოროტებაში რუსის მთავრობას არასფერი წილი ედო და იგი უმანკო ანგელოზი გახლდათ, მაგრამ არა, ყველაფერი ბოროტება ამათგან იწყებოდა, ყველაფრის დამწყები მეთაურნი ესენი იყვნენ და ამათი ბოროტი პოლიტიკა.

რუსეთის მთავრობის ნებართვით და ბოროტებით ქართველების საქმე ისე დატრიალდა და ქართველ გლეხების ოჯახმა ისე იწყოდ დაქცევა და მოსპობა, რის გამო ქართველთა გლეხთა შვილები სპარსეთსა და ოსმალეთში აშკარათ იყიდებოდნენ, ათასობით. საქმემ იქამდის მიაღწია, რომ 1820 წლებში, ოსმალეთში ქართველთა შვილების შესყიდვის სავაჭროც კი დაარსდა, მაგალითებრ, ოსმალთა ვაჭართა რიცხვი, რომელნიც ქართველთა შვილებს ჰყიდულობდნენ და მერე მათ ოსმალთა სხვა და სხვა ქალაქებში ჰყიდნენ საჯაროთ. ასეთ მყიდავ და გამყიდავებს სახელათ დაერქვათ „გოთაულები“.

XIX საუკუნედან, მებატონენი თავის ყმებს მარტო შვილების მოტაცებას არ აკმარებდნენ და ამათზედ უარეს სხვეებსაც უშვებოდნენ. ასეთი ვერაგი მებატონენი თავის ყმა გლეხებს თვით მამულებსაც სტაცავდნენ ძალმომრეობით და თვით იჩემებდნენ, ისაკუთრებდნენ და მერე ყველა ამავე რუსის მთავრობის ნება რთვით, სხვა უფრო შეძლებული გლეხებზედ ჰყიდნენ. ასეთ ბოროტს პირებს აღარავისი შიში არა ჰქონდათ აღარც სამართალი, არც გლეხთა სიბრალული, აღარც სხვა რამ ადამიანური ღირსება და ადამიანური სიყვარული.

რაკი ამათ ერთხელ სხვა და სხვა გარემოების წყალობით უფლება მიიღეს ყმებზედ ნაგარდობის, მის მერე, მათ აღარ იცოდნენ, რა ექმნათ, ვინ როგორ ეკლოთ, როგორ აენიავებინათ და ვისთვის როგორი ზიანი და ზარალი მიეცათ ოჯახში, სწორეთ ასეთ პირთაგანი ყოფილა სამშვილდის მებატონე ზაალ ბარათაშვილი, რომლის ყმის შვილი იყო სოფ-მარაბდელი გლეხკაცი არსენა ოძელაშვილი. ამიტომ საჭიროთ ვსთვლით, ზაალ ბარათაშვილის გვერდით, სხვა ასეთ პირთა ცნობებიც მოვიყვანოთ.

II

არავის ეგონოს, რომ XIX საუკუნეს, რუსეთის პოლიტიკის წყალობით მიეცა ეს ზაალ ბარათაშვილი. ეს არ იყო ერთი პირი მთელ ქართლსა და კახეთში. არა, ამისივე მსგავსი იყო რუსის პოლიტიკისაგან გაბრიყვებული და გაავკაცებული ზაალ ბარათაშვილის ბი-

ძაც მისივე სენხია. ზაალ ბარათაშვილი, რომელიც თავის ავტობი-
სათვის, მისმა ყმა გლეხმა 1810 წ. აკუწეს და მოჰკლეს აქ კიდევ
დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს, ნაყოფს რუსეთის პოლიტიკისას.

ყველა ამ ცნობებს ჩვენ მოვიხსენებთ ერთობ მოკლეთ და მა-
ტივად, რასაც არც ეჭვი უნდა და არც დავა და კამათი, ყველა ეს
არის ნამდვილი ცნობები, მართალი და უტყუარი დასაბუთება.

ილია ჭავჭავაძის პოემა „კაკო ყაჩაღი“ ანუ რამდენიმე სურა-
თი ყაჩაღის ცნობებიდან“ არის მომხდარი 1830 წლებში, XIX სა-
უკუნეში და არა ძველს დროს, ანუ ქართველთ მეფებთა დროს, ეს
ცნობა რომ ჭორი არავის ეგონოს, ბარემ ამის ნამდვილი ამბავსაც
მოვიყვანთ, რაც მე მიაბზეს ამ ამბის მნახველებმა.

კაკო ყოფილა კახეთის ერთი სოფლის ოჯახისშვილი და კარგი
ვაჟკაციც, ესა ყოფილა ანდრონიკაშვილის ყმა. ამ კაკოს ვანუძრა-
ხავს ცოლის შერთვა, ამას თურმე ამის გამო ბატონი წასადებია,
რომ შენი საცოლე პირველ ღამეს ჩემიაო. კაკო თავ-მომწონე. შიჭი
ყოფილა და ეს წინადადება საძრახისად მიუღია, სოფლად რუსის
მოსაპართლესათვის მიუმართია და იმას ყურადღება არ მიუქცევია,—
ეგ ბატონის საქმე არისო. მერე მღვდლისათვის მიუმართავს, მღვდელს
ღარიგება მიუტია. ამის შემდეგ კაკოს მოუმზადებია კარგი ძღვენი.
ამასთანავე კარგათ გაუღესავს ერთი კარგი ხანჯალი და ერთ ღღეს
სწვევია თავის ბატონს თავის ძღვენით ხანჯალი კი ჩონის ქვეშ ჰქო-
ნია დამალული. კაკო მისულა ბატონთან ძღვენი მიუროთმეგია და
უთხოვნია, რომ ნება მომეცით, რომ დავქორწილდეო. ბატონს
უთქვამს, შენი ცოლი პირველ ღამეს ჩემიაო. კაკოს უთქვამს: ბატო-
ნო ჩემო, ეგ თქვენ ზრდილობას და კეთილშობილებას როგორ ეკად-
რებო.

ბატონს მიუგია:

— ჩემს ზრდილობას და კეთილშობილებას სწორეთ ეს ეკად-
რებო.

ამაზე კაკო გაცეცხლებულა, მაგრამ ბატონისათვის მაინც კიდევ
თხოვნა დაუწყევია. ბატონს კი უარი უტყვენია და გაგდება და უპი-
რებია. მაშინ კაკოს უძვრია ხანჯალი, ბატონისათვის თავი გაუგდე-
ბინებია და გაქცეულა ტყეში.

მას დასდევნიბან რუსის სალდათები და მოხელეები. კაკო
გაქცეულა ზაქათალისაკენ და ყაჩაღი კაკო ბლაქიაშვილს შეერთებია.

ამავ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „გლახის ნამბობის“ ამბე-
ბიც მომხდარი გახლავსთ 1830 წლებში კახეთისაკენ და ამ პირთა

გვარი და სახელებიც ვიცით, თამარის ამბავიც მართალია, მხოლოდ ერთი ცნობა აკლია, რომ ბოლოს თამარ ავლაბარში რუსის სალდათების ხელში ჩაგარდნილა.

დანიელ ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხის“ ამბავი მომხდარა 1840 წლებში. ეს ამბები მაშინ თურმე ბევრსაც სცოდნია ზეპირათ და ულაპარაკნიათ, ამ ამბებიდამ აუღია დანიელ ჭონქაძეს და დაუწერია მოთხრობა „სურამის ციხე“ ქართულ ენაზე არის კიდევ ერთი დამოწმება ამისი:

რაფ. ერისთავს აქვს ერთი ლექსი, სახელდობრ: — „მთხოველი მსაჯულისადმი“, სადაც გამოყვანილია ყმა ცოლ-ქმარი, რომელნიც რუსის მოსამართლეს სთხოვენ თავიანთ შვილის მობრუნებას ბატონის სამსახურის და მონობისაგან. ეს ამბავიც ეხება 1840 წლებში მომხდარს ამბავს კახეთში და ამ მომხდარ ამბისაგან აუღია პოეტს სურათი და დაუწერია თავის ლექსი: — „მთხოველი მსაჯულისადმი“.

სხვა რამ ამგვარი დამოწმებანი ჩვენ არასდერი გვაქვს და თუ არის რამე, უნდა ითქვას, რომ ყველა შეეხება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ დროის და არა წინა საუკუნის. ამგვარათ „პირველი ღამის ამბავიც“ ასევე გახლავსთ და იგიც მეცხრამეტე საუკუნის, საკუთრება არის, რუსების პოლიტიკის ნაყოფი და არა სხვა რომელიმე ძველი საუკუნის. თვით არსენა ოძელაშვილიც XIX საუკუნის პირია და ამის ამბებიც მომხდარია 1820—1840 წლებში და არა წინა საუკუნეებში.

რაკი ამ პირქუშო, სამარცხვინო ბოროტებისაგან დაიღუპა კაკო და არსენა და იქნება ამათ გარდა სხვაც ბევრი ასეთნი, რომელთა ცნობები ჩვენ არა გვაქვს, ამიტომ ამ გარემოების შესახებ კიდევ მოვიყვანთ ცნობებს, რომ მკითხველმა სამუდამოთ იცოდეს ამ ბოროტების დასაწყისის და დანერგვის დროის ისტორია.

ქართველი ერი ძველათგანვე ისეთი ფანატიკოსი იყო და სახარების სწავლის შიმიდევარი, რომ თვით ქართველი მეფენიც კი იტყოდნ ხოლმე, როგორ იქნება რომ კაცმა თავის საკუთარი ჯვარდაწერილი ცოლი არ იყოლიოს და შის მაგიერ მას ხასა ჰყვანდესო. ასეთი შეხედულების იყო მეფე, თავადი აზნაური და გლეხიც, ამ გარემოებას იგინი ასრულებდნ სახარების სწავლის თანახმათ სასტიკის წესით.

აბა ახლა თქვენა ბრძანეთ, თუ კი ქართველებში საერთოთ ასეთი წესები იყო მიღებული და ყველა ქართველი მოშიში იყო სახა-

რების სწავლის და მცნების, მაშასადამე იქ როგორ შეიძლებოდა, რომ ეს წვეული „პირველი ღამე“ წესათ ყოფილიყოს მიღებული. არა, ეს მაშინ არ იყო, ეს სენი ქართველებშივე მოვიდა რუსეთის შემოხვლის შემდგომ, ანუ 1802 წლიდან. ამაზედ წინეთ კი ჩვენ ამის არც ჭკანება ვიცით და არც მისგან რამე მსხვერპლის შეწირვა ისე, როგორც შეწირულ იქნა კაკო და არსენა.

ამიტომ ჩვენ ამის შესახებ ვაცხადებთ პროტესტს და დღეიდან ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს სენი ქართველის ერისა არის ახალი სენი და არა ძველი, რის საბუთს ჩვენ გვაძლევენ კაკო და არსენას მაგალითებიც. მე ბევრი ვეძებ ამის შესახებ, რომ ქართველ მეფეთა დროის ქართველთ ცხოვრებაში, ამისი მსგავსი ცნობა მეპოვნა, მაგრამ ვერსად რა ვიპოვნე. ამიტომაც ჩვენ უნდა ვიცოდეთ კარგათ, რომ ქართველი ერის ბატონყმობას აქვს, ორი მასალა და ორი დრო პირველი ხანა თავდება მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს და მეორე ხანა ბატონყმობისა ქართველებში შემოდის 1802 წლიდან. ამ ორ დროსა და ხანას ერთმანეთში არავითარი კავშირი არა აქვს, ან მსგავსები რამე, ერთი მეორესთან დიდათ განიზრგვა და განსხვავდება.

III.

XIX საუკუნის შემდგომ კი,—რუსეთის შეერთების შემდეგ, ბატონყმობის გააქრობა შეიცვალა, მეზატონებს ნება მიეცათ განუსაზღვრელი უფლებით და ივინი რასაც ისურვებდენ, იმას უზამდენ, ივინი სდევნიდენ ყნებს, შვილებს სტაცებდენ და ყომარის და კარტის თამაშშიაც აგებდენ, ამათ შვილებს ჰყიდდენ სპარს-ოსმალეზზე, ჰყიდდენ შინაურ ვაჭრებზედ, ლამაზ ქალებს მშობლებს ხელიდან სტაცებდენ, ასევე ვაჟებს, ყველა ამ ბოროტების ნების მიმცემი გახლდათ რუსეთის სახელმწიფო მთავრობა.

ერთი ასეთი შეოღნებელი მეზატონე ყოფილა არსენას ბატონი ზაალ ბარათაშვილი, კაცი მეტად სასტიკი, დაუნდობელი და ყმათა ამწიოკებელი.

არსენა ოძელაშვილის დაბადება დაახლოვებით ეკუთვნის 1803-ან 1804 წლებს, არა უგვიანეს, ვინაიდან როცა მან ზაალ ბარათაშვილს გოგო მოსტაცა, მაშინ იგი ყოფილა 24 წლისა და მეორე ეს ისეთი დრო ყოფილა, როცა სამცხე საათაბაგო ოსმალთ ეკავათ და ახალციხეში ოსმალთა ვალი—ფაშა, იჯდა და განაგებდა, მიტონაც არსენამ მოახერხა ახალციხეში გადავიდა და იქ შეაფარა თავი, იქ გადაიყვანა თავის სატროფოც ახალციხეში არსენას ძაურზე კარგი

მეგობრები ჰყვანდა. სხვათა შორის, არსენას კარგი მეგობარი ყოფილა ახალციხეში მცხოვრები ანტონ თამარაშვილი, ეს ანტონ ყოფილა ახალციხელი, ქართველ კათოლიკე, როგორც მიამბო სოლომონ თამარაშვილმა, ღრმათ მოხუცებულმა კაცმა და დიდათ პატივცემულმა ქართველმა, რომელიც უფროსი ძმა გახლდათ პატრის მიხეილ თამარაშვილის. არსენას მეგობარი ანტონ თამარაშვილი ძმა ყოფილა სოლომონ და მიხეილ თამარაშვილის.

ანტონ თამარაშვილს, არსენა თავის სატრფოთი დიდის პატივისცემით მიუღია, მისთვის დაუთმია ერთი ოთახი თავისი მოწყობილობით. ანტონ თამარაშვილმა იმეცადინა და არსენა გააცნო ახალციხის კათოლიკეთა არქიმანდრიტ პავლე შაჰყულიანს. ეს არქიმანდრიტი მერე არსენას ახალციხის ფაშისთან მიჰყვა და ნდობა გაუკეთა მასზედ, რომ იგი ფაშას მიიღო თავის სამფლობელოს მცხოვრებლათ, ფაშამაც იგი დიდის სიამოვნებით მიიღო.

არსენას იმ დროს, ახალციხეში თან მოჰყვა ბლომათ ფულრი, ვინაიდან არსენას თრიალეთში, სოფ. გომარეთის ახლოს დიდი ფარეხები ჰქვანდა და ბევრი თხა და ცხვარიც ჰყვანდა. ახალციხეში თურმე ეს ამბავი არავინ იცოდა, რომ არსენას საცოლვე ქეთევანი მოტაცებული იყო, ყველას თურმე ისე გააცნეს იგი, როგორც ჯვარდაწყრილი ცოლ ქმარი. ანტონ თამარაშვილმა თურმე ასე ურჩია არსენა ოძელაშვილს:

— თორემ ჩვენ ქართველ კათოლიკენი ვართ და ჩვენს ოჯახებში მაგისტანა საქმეს არავინ მოიწონებს და ქეთოსაც ძრახვას დაუწყებნო, ამიტომ უკეთესი იქნება, რომ შენ ისე იქნე ცნობილი, რომ ეგ ქალი შენი ჯვარ წვრილი ცოლი არისო. ასე ურჩია ანტონ თამარაშვილმა და არსენამაც ეს რჩევა დიდის სიამოვნებით მიიღო, ისე დაიწყო ცხოვრება, როგორც მას ანტონ თამარაშვილმა ურჩია, ამ პირისავე რჩევა იყო თურმე, რომ არსენამ ახალციხის ივანე ნათლის მცემლის კათოლიკეთა ეკლესიაშიც კი დაიწყო სიარული. თვით ამის ქეთევანიც ისე დაუახლოვდა ახალციხის ქართველ კათოლიკეთა ქალები, რომ ესეც კი მუდამ დღე დაიარებოდა თურმე ეკლესიაში. საქმე ისე დატრიალდა, რომ არსენას ამბავი არქიმანდრიტმა პავლე შაჰყულიანმაც შეიტყო და სახით ისიც, რომ არსენა ოძელაშვილი პავლე შაჰყულიანმა, თავის ეკლესიაში დააქორწილა კიდევ და მის შემდეგ, მისთვის ახალციხეში ყველა კათოლიკეთა ოჯახების კარებიც გაღებულ იქნა პატივისცემლათ. არსენა და თავისი ძეგულლე თურმე კათოლიკეთ ეკლესიაში ეზიარებოდნენ კიდევც, მონათვლა კი არ უქმნიათ.

არსენას ქორწილიც კარგათ გადუხდია, სტუმარია რიცხვი იმოდენი ყოვილა, რომ ერთი დიდი დარბაზი, მეორე ოთახი და ეზოც კი სულ კაცებით ყოფილა სავსე და არსენას სადგომ ოთახში კი ქალები მსხდარან. ქორწილს თურმე კათოლიკის ორი მღვდელიც დაესწრო, ქორწილი გადაუხადა ანტონ თამარაშვილმა. საქორწილოთ არსენამ გომარეთიდან გადმოიტანა თურქე ყველასფერი: ღვინო არაყი, ცხვრებიც იქიდან გადმორეკა. საქორწილოთაც 20 ცხვარი დაკლეს.

როგორც სჩანს, არსენა ოძელაშვილს ახალციხეში გაქცევის სურვილი სულ არ ჰქონია, ამას სდომნია ქალის გატაცებმა, მასზე ჯვრის დაწერა და ბატონის ჯვრის ამოყრა. არსენა უკმაყოფილო იყო მაზედ, რომ ეს ჩვენი ბატონი რათ მისდევს ასეთ უგვანს და სამარცხვინო საქმებს და ან მთავრობა რათ აძლევს მას ამის ნებასო, მაშასადამე თვით მთავრობაც დამნაშავეა და რაკი კაცი სამართალს ვერსად ჰპოვებს და ვერსად რას ნახავს, ისევ ჩვენ უნდა ვეძიოთ ჩვენის ძალ ღონით, რომ ჩვენი მებატონენი შევაშინოთ, იქნება ამ წუწკობას თავი გაანებონო.

ასე თურმე, ფიქრობდა არსენა. ქალის გატაცების შემდეგ მან ქორწილი ვერსად მოახერხა, მღვდელმა ჯვარი არ დასწერა, ბატონის ნება-რთვა მოსთხოვა, თორემ მე დამსჯიან შენი გულისათვისო.

აი ამ მიზეზების გამო წასულა იგი ახალციხეს.

ამ გარემოებამ გამოიწვია არსენას უბედურ ბა, რომ ბოლოს მას ყაჩაღის სახელი დაემკიდრა და ვიჯომც მან ბოლოს ხალხის ცარცვა გლეჯა იწყო, მაგრამ ეს ტყუილი გახლავთ და მოგონებული მისი ბატონის მომხრე გლეხ-კაცებისაგანა, არსენას ერთათ ერთი-ყაჩაღობის მიზეზი და სამზადისი ის იყო თურმე, რომ იქნება ოდესმე თავის ბატონს ზაალს შეხვედროდა და სამაგიერო გადაეხადნა მისთვის. მას ბატონის მოკვლა კი არ სდომნია, შეშინება და შენანება.

ისიც არის თქმული, რომ პირველ შეხვედრის დროსვე, არსენას აზრათა ჰქონდა ეთქვა თავის ბატონისთვის: ბატონო მე უკვე დავქორწილდი, თქვენი ყმის ქალი დღეს ჩემი მეუღლე გახლავსო და თქვენი ფიქრიც დღეს რიღას მაქნისია თქვენთვის, ვიყვნეთ ბატონო ასე ჩვენი ძველებურის სიყვით. თქვენ მწყალობელი ბატონი ბრძანდებოდეთ და მც თქვენი ერთგული ვიქნები. რა საჭიროა ჩვენი მტრობა და ერთმანეთის სიძულვილიო.

მაგრამ სამწუხაროდ არსენას იგი ვერსად შეხვდა რომ თავის ბატონს მოლაპარაკებოდა. არსენა რომ შერიგებოდა თავის ბატონს

თავის სოფელში კარგ ოჯახს დაიარსებდა, რადგანაც თვით არსენაც შეძლებული კაცი იყო და დიდძალი ცხვარი, თხა, ხარ-კამბუჩი და შვეველელი ძროხა ჰყოლოდა.

მოვიყვან აქ ზებირ ამბებსაც, რაც მოთხრობილია არსენას მომწერე კაცთაგან: სოფ. ბოგვის მღვდელმა ქელიძემ მი. მბთ 1894 „როცა არსენა ახალციხეში სცხოვრობდა, მაშინ ახალციხე ოსმალების ხელში იყო. არსენა იქიდან ხშირად გადმოდის და აქედან და ტყეებში იმალებოდა, ბატონს ელოდა, ხალხს კი არათერს ვნებდა. ერთ ზაფხულს, მარინაშობის მაზხვა იყო და არსენა ჩემს კლესიაზე წავიდა, საღამოს ლოცვას დაესწრო და ლოცვის შემდეგ მიტხრა მინდა ამ მაზხვაში, ფერიცვალებას, ვეზირებო. მეც თანახმა გაუხდი. მეორე დღის ლოცვაზე რომ მოვიდა, ლოცვის შემდეგ მე იგი აღარ გაუშვი ტყეში, ვუთხარი, ამდამ აქ დარჩი, ჩემს სახლში—მეთქი.

არსენა თანახმა გახდა, დარჩა ჩემსას იმ ღამეს წინა დღეს ვილაცას დაესმინა, რომ არჩენა ბოგვის მღვდელთან მოდის და თავს იფარავსო. იმ ღამეს ჩვენი მაზრის უფროსი და რუსი ყაზახ-სალდათეი ჩემს სახლს დაეცნენ, კარში გამიხმეს და არსენას გაცემო მოხივეს, მე წინათვე არსენა ამბრის ქვეშ დავმალე და მაზრის უფროსს ასეთი პასუხი მივცე:

— ბატონო, მაზრის უფროსო, მართალია არსენა ჩემს საყდარში მოდის, როცა მე მწირველი ვარ და, აბა მაშინ მე რას უზამ მას, ლოცვის შემდეგ იგი თავის გზაზე მიდის და მე მას აღარა ვხედავ. შემდეგ იგი მოდის სწორედ იმ დროს, როცა მე საღამოს ლოცვაზე ვარ, თუ თქვენ იმის დაქერა გინდათ, თქვენ სოფელს უნდა უბრძანოთ, რომ როცა ის საყდარში მოვა, მაშინ იგი სოფელმა დაიჭიროს, თუ არა და აბა მე რა შემძლიან—მეთქი.

მაზრის უფროსი დაეხსნა ჩემს სახლს, თავის ყაზახებით უკან დაბრუნდა და სოფლის მამასახლისს დაავალა არსენა დაატუსაღეო. ამას შემდეგ უფროსი თავის ყაზახებით თავის გზას გაუდგა და მეც შეველ ოთახში. მაშინათვე არსენა ამბრის ქვემოლამ გამოვიყვანე, ყველაფერი ვუამბე და აუჩრჩიე მოშორებოდა ჩვენს სოფელს.

იმ დღილიდან წავიდა არსენა და მე აღარ მინახავს არამც თუ ჩვენს სოფელსა და საყდარში, არამედ ჩვენი სოფლის ახლო მახლო ტყეებშიაც კი.

არსენა ოძელაშვილი, იყო თავ-მომკონე გლეხი, მასთან შეტად თვალადი და ტანადი, კარგი მოლ პარაკეც, მისი ნაზი და წაუზნდარი გლეხური ბუნება ვერაფერ უსამართლობას და ჩოროტებას

ეგრ ურიგდებოდა და ეთვისებოდა, ამიტომ მას სასტიკად სძულდა რუსის ყაზახ-საღდათები და თვით მათი მთავრობაც, ვინაიდან ყველა სივერაგეს და სისაძაგლეს ეს ყაზახ-საღდათები იცავენ და მათ მთავრობაც ამიტომ მფარველობსო.

სამშვილდეს ერთ მებატონეს, შეხვდა არსენა სოფ. კოდაში. არსენამ და ამ მებატონემ კარგა იქეიფეს ერთათ, მებატონემ არ იცოდა რომ ის არსენა იყო. არსენა თურმე სძრახავდა იმ პირთ რომელნიც პირელ ღამეს მისდევდენ.

მებატონე მიხვდა თურმე, რომ ეს არსენა უნდა იყოსო, მაგრამ კი არ აგრძნობინა. მაშინ თვით არსენამ უთხრა: მე ბატონისაგან გავარდნილი არსენა ვარ, მაგრამ მე არც ყაჩაღი ვარ არც კაცის მკვლელი, არც მპარცვაფი მე ვცხოვრობ ჩემი ცხვრითა და კაი შრომით და არა ყაჩაღობით. მაგრამ მუხედავით ამისა რაც ჩვენ ქვეყანაში ავკაცობაა ყველათერი მე მზრალდება და ამისი მქნელნი კი იმაღებან და იფარვიან. ყველა ეს უბედულება იმიტომ მემართება, რომ მე ჩემის სოფლიდამ გაძევებული ვარ, გავარდნილი და ტყეში მხეცივით მოსიარულე. ყველა ამის მიზეზი კი გახლავსთ ჩემი ბატონი ბარათაშვილი, მაგრამ ვიტყვი იმასაც, რომ ამაში მარტო ის კი არ არის დამნაშავე, არამედ ისიც ვინც მას აქეზებს ისეთ ბოროტებაზე — ეს არის რუსის მთავრობა თავისი ყაზახებითაო. და არსენამ დაუწყო გზობა და კიცხვა მთავრობას.

ასეთი ლაპარაკი თურმე არ მოეწონა კოდის მებატონე საგინაშვილს, ამიტომ არსენას უთხრა მუქარით, რომ რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, ეგრე ნუ ლაპარაკობ, თორემ მე ფიცია მაქვს მიცემული მათ ერთგულებაზე და ამას მე ვერ ავიტანო. ამაზედ არსენას და საგინოვს ლაპარაკი მოუვიდათ, მერე საგინოვი კარში გავიდა, არსენა თან გაჰყვა და ჰკითხა:

— სად მიხვალ, შე მურტალოვო.

საგინოვმა დაუყვირა:

— შენ რა გინდა, საცა მივალო!

არსენას გული მოუვიდა და საგინოვს ზანჯალი დაჰკრა და საკიკვდილოთ დასჭრა. ამ დროს თურმე საგინოვმა შეჰყვირა.

— ეს რათ გენი, მე სარდზე მივდიოდი. ამ დროს საგინოვი დაეცა ძირს და იქვე მოკვდა. არსენა დიდ სინანულში ჩავარდა და სწულხდა ამ მარცხის გამო. მაგრამ იქ მყოფთ დაამშვილდეს არსენა.

— ეგ ბატონი არ იყო კაი კაცი, იგი დიდი მტერი იყო გლეხკაცების და დიდი მღვენელი, სწორედ ასეთი კაცი, როგორიც შენი

ბატონი ბარათაშვილი. ამიტომ ღირსი იყო ეგ მაგისტანა სასჯელის. აქედან რომ გასულიყო უეჭველად გავცემდა, რადგანც რუსის ყაზახები და სალდათები სახლში უყენიაო.

რაკი ეს გაიგო არსენამ, გული დაიმშვიდა და სთქვა თავისთვის: მაშ, ღირსი ყოფილა ეგ მაგისიო. არსენამ ერთი ქისა ოქროს ფული დაუყარა წინ ამფსონებს—ამით გაუსწორდით მიკიტანსო. შემდეგ შეჯდა თავის ცხენზედ და გაექანა ალგეთის მთებისაკენ.

მოვიყვან კიდევ შემდეგ ზეპირ ამბავს, რაც ისევ და ისევ არსენას დახსიათკბას შეეხება. ესეც ნაამბობია არსენას მახსოვარ კაცთაგან, რომელიც აგრეთვე იყო პოეტის გრიგოლ ორბელიანის მეორე მოურავი. ეს ამბავი ერთმაც სხვა მოხუცმა მიაძმო და და ამოწმა სინამდვილით, აი ეს ზეპირი ამბავიც:

არსენა ოძელაშვილი დიდი მოძულე იყო არამც თუ მარტოთ იმ თავად-აზნაურების, რომელნიც პირველ ღამეს მისდევდნენ, არამედ იმას ეჯავრებოდა ის პირნიც, ვინც თავის ყმებს სდევნიდნენ, შვილებს სტაცებდნენ და აქეთ-იქეთ უყიდდნენ, ან რამე უბედურებაში ჰყრიდნენ მათ. არსენას ეჯავრებოდა არამც თუ მარტო ასეთი მებატონე, არამედ სძულდა ისინიც კი, ვინც ასეთ გამყიდავ მებატონეთაგან ყიდულობდნენ ყმებს და მერე სხვებზე ჰყიდდნენ მოგებით. ასეთ ვაჭრებსაც არსენა თურმე დღეს უჭრობდა და უმწარებდა.

აი რა შემთხვევია არსენა ოძელაშვილს. ერთხელ ის ყოფილა კახეთში, იქ თავის ამხანაგებში კარგი დრო გაუტარებია და მის მერე დაბრუნებულა თფილისისკენ. თფილისს რომ მოახლოვებია, ერთ ხის ქვეშ დაუსვენია, ამ დროს, აქეთ ჩამოუვლია ერთ იმერელ მებატონეს, რომელიც თურმე თან მოერეკებოდა მეძებარ ძაღლებს. იგი ყოფილა იმერეთის მცხოვრები, მას მეძებარი მწვეარი ძაღლები ბევრი ჰყოლია. ეს ძაღლები მას კახეთში ჰყოლია და იქ გოგობიჭებში გაუცვლია. წამოსვლის დროს, დარჩენილი ძაღლებისათვის ყულებზე მოუბავს ერთი წვერი თოკისა და მეორე წვერით გადაუბამს ნაყიდი გოგო და ბიჭები და მოჰყვანდა თფილისისკენ. ეს რომ არსენამ დაინახა, იგი გაკვირვებული დარჩა. ამ დროს იმერელი მებატონეც მიუახლოვდა არსენას და სალამი მისცა. არსენასაც გადაუხადა სამაგიერო სალამი. არსენამ ჰკითხა:

— ძმობილო, ეს რა არის, რომ ეს გოგო-ბიჭები და ძაღლები ერთმანეთზე გადაგდებამსო. იმერეთის მებატონეს უთქვამს: ძმობილო, ჩემი საქმე აი როგორ გახლდათ, მე იმერეთიდან ჩამოვედი კახეთში, თან ჩამოვიყვანე მეძებარი ძაღლები. ამასგან ზოგი

დაცვალებე ამ აი ამ გოგო-ბიჭებში და წამოსვლის დროს, ერთმანეთს გადავაბი, რომ გზაში არსად გამექცნენ.

ამ ლაპარაკით იმერელმა და არსენამ ერთ ალაგას მიატანიეს, აქ იყო მიკიტნის ღუქანი და მას ჰქონდა ფარები და ლამის გასათევი ოთახებიც.

აქ ჩამოხტნენ ესინი და დაბინადნენ, განიზრახეს აქ პურის ქება და დასვენებაც. იმერელმა თავის ძაღლები და გოგო-ბიჭები ერთ ოთახში შეერკა, პური მისცა, წყალი დააღვინა, მის მერე კარები გადუქეტა და გარედამ კლიტე დაადო, დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიღო, ამის შემდეგ არსენამ ეს იმერელი სადილზედ, თუ სამხარზედ დაჰპატიჟა. კარგად გადაჰკრეს, დაღამდა, იმერელს ძილი მოეკიდა და იქვე ტანტზიდ მიიძინა.

არსენამ ჯიბიდან გასაღები ამოაცალა, საჩქაროთ ვაჟლო ტყვეებს კარები, გაანთავისუფლა იგინა, საგზალი უყიდა და კახეთისკენ გაისტუმრა.

ტყვეების განთავისუფლების შემდეგ, არსენა ისევ ღუქანში შებრუნდა, მძინარე მებატონეს გასაღები ჯიბეში ჩაუღო და გათენებისას გაუდგა გზას.

არსენა ოძელაშვილს მეტის მეტად სძულდა აგი მებატონენი, ნამეტურ ისინი, რომელნიც თავიანთ ყმებს ჰყიდდენ ხოლმე. არსენა მტერი იყო არამც თუ მარტო ასეთის მებატონეების, არამედ მტერი იყო იგი იმათიც, ვინც ამ მებატონეთაგან მათ ყმის შვილებს ყიდულობდნენ. მერე ვინ იყვნენ ეს მყიდველები? უმეტესათ თბილისის მოქალაქე, ვაჭრები და ასეთივე მდიდარი სოფდაგრები. ასეთებსაც საკმარისათ ზაზღს უტხადებდა არსენა და ეუბნებოდა ხოლმე:

„ვაჭრებო და სოფდაგრებო, თქვენ მდიდარი ხალხი ხართ და ამიტომ თქვენ თუ ყიდულობთ ვისმეს, აუცილებლივ უნდა გაანთავისუფლოთ, თორემ შავდღეს დაგაყენებთო.

ამგვარათ, ასეთ ვაჭრებს არსენას დიდი შიში ჰქონდათ და ძრიელ ხშირათ, იგინი თავის ნაყიდას ყმებს ანთავისუფლებდნენ. ერთმა ვაჭარმა ივრის ხეობაში თოლია ჩოლოყაშვილისაგან მთელი სოფლის გლეხები იყიდა და მერე ყველანი გაანთავისუფლა. არსენასაგან ამ ვაჭარმა დიდი მადლობა მიიღო.

არსენას დროს, საქართველოში ყაჩაღობა და ხალხის ძარცვა-გლეჯა გმობილი იყო, მთელი წლები გაივლიდა, რომ ერთი კაცის კვლას და გაძარცვასაც კი ვერავინ გაიგონებდა. სადმე რომ ასეთი რამ მომხდარიყო, მაშინ ქალაქის ხალხი, მთელი წლობით ილაპარაკებდა, რომ აქა და აქ ძარცვა-გლეჯა და კაცის კვლა მოხდაო: იმ ადგილს თითოთ უჩვენებდენ ხოლმე.

არსენას თავის სიკვდილის დღემდე ერთი კაციც არ გაუძარცვას და ერთიც არავენ მოუკლავს, არავენ აუკლია, არ დაურბევია, არსენა ისეთი თვისების კაცი იყო, რომ მის გულს ასეთ ბოროტების მისწრაფება, სულ ვერ ეკარებოდა აბლოს, ამიტომაც იყო, რომ არსენასაგან გაძარცული კაცი არას დროს არავის უნახავს.

თუმცა არსენას დროს, ყაჩაღობა მაინც და მაინც არ იყო, მაგრამ მაინც აქა-იქ თითო-ოროლა ყაჩაღი მოიპოვებოდა. მათთან არსენას არავითარი განწყობილება და კავშირი არა ჰქონია, პირიქით სდევნიდა კიდევ მათ, რადგანაც მათი ავკაცობა არსენას ბრალდებოდა, ამიტომ სხვადასხვა ყაჩაღებიც მტრობდნენ არსენას, ნამეტუო ერთ ვიღაც ყაჩაღს ჰქონია არსენას მტრობა და შური.

ეს ყაჩაღი არსენას ერთხელ შემთხვევით ცხეთაში შეხვედროდა, გზათ მიმავალი. არსენას უთქვამს: „მე შენ გეძებდი და აი განახლო“, მკორეს უთქვამს: „მეც კარგა ხანია შენ გეძებო“, ამით მალე ლაპარაკი მოსვლიათ. არსენას უთქვამს თავის მტრისათვის:

— თქვენ სძარცვათ ხალხს, ხოცამთ და ვიმ იცის რაებს არ ჩადიხართ და ყოველივე აქვებს მერე მე მამბრალდებთ.

ამ დროს ამით აქ წამოსწევიათ ერთი თავადისშვილი რომელიც საც თან ყარაულათ ერთი ლეკა ჰყოლია, ამით არსენას მტერ ყაჩაღს გული გამაგრებია, არსენასთვის სროლა აუტეხნია, ამ სოოლაში ლეკიც მიშველებია და ანათ რამდენიმე სროლით და ტყვიით არსენა ძირს დაცემულა, მერე ზედ დასცემიან თურმე, დაუჭრიათ, იარაღი აუყრიათ და სულთმობრძავე მოუკლავთ, ეს ამბავი მომხდარა 1842-43 წლებში, არსენას მოკვლის ამბავი ცხეთელებს მალე შეუტყვიათ, მალე შეგროვილა ხალხი და არსენა მესამე დღეს იქვე დაესაფლავებიათ. მერე ამ საფლავს ქვებიც დააწყეს ნიშათ და მას შემდეგ ცხეთაში ყველამ იცოდა, რომ იქ ასაფლავია არსენა ოძელაშვილი. უკანასკნელ ხანებში, ანუ 1880 წლებში, არსენას საფლავს თლილი ქვა დაადო ქართველ მწერალმა და მოღვაწე დავით კეხიომა (დავით სოსლანძა), საფლავია ქვას აქვს ასეთი წარწერა:

„აქ ასაფლავია საქართველოში განთქმული — ყაჩაღი არსენა ოძელაშვილი“, საფლავის ეს ქვა დღესაც სჩანს ცხეთაში თავის წარწერით. არსენას მოკვლის ამბავს სხვა ნაირადაც ლაპარაკობენ, მაგრამ ეს ამბავი უფრო სწორე არის ამასაც ამბობენ, რომ ლეკთან ერთი ვიღაც ოსიც ყოფილა, არსენასაც მოუსწვრია და ერთი თავის მტრისათვის ხმალი დაურტყავს, მაგრამ ხმალი ვადაში გადასტეხია.

(გაგრძელება იქნება მე 4-ზე ტომში)

შენი შვილი ამ წერილს რუდაქცა სათანადო კომენტარიებს გუყვებებს. რ. ე. ჯ.

I.

გაბთნუებთა კარტლუი.

მასალეზი.

თავ. სუმბათოვილის გვარის ოჯახის ამოწვე- ვის ამბავი.

იყო დრო, როცა მთელ საქართველოში თავ. სუმბათაშვილებზე ლაპარაკობდნენ. თუმცა სუმბათაშვილები ქართლში სცხოვრობენ, მაგრამ მათ იცნობდნენ მთელ საქართველოში. მათ სახელი ჰქონდათ გავარდნილი ზოგს კაი კაცობით და ზოგს ავ-კაცობით. გვარში ერთი იყო და მეორეც, ავიცა და კარგიც. უამისობა არც შეიძლებოდა, ამას გვასწავლის ცხოვრების სალი დაქვირვება.

აქ ჩვენ უნდა ავუხსნათ ამბები ამ გვარის ერთი წევრის, ერთი პირის შესახებ, რომელიც თავის გვარში თურმე სამაგალითო იყო თავისი ბოროტებითა და ავ-კაცობით.

მე ვსწერ ზოგიერთ ამბებში, რომ ქართველი გლეხ-კაცობა დაძინებული გლეხ კაცობა იყო მეთქი: რაც უნდა დაეჩაგრათ ბატონებს და პირში სული ამოეხადათ, იგინი მაინც ხმას ვერ ამოიღებდნენ. იგინი ვითომც მათი მონები იყვნენ, მაგრამ არა, ეს ქართლაც სულ ასე არ ყოფილა, საქმე სხვანაირად უნდა იყოს. ამ სხვანაირად ყოფნას თვით ჩვენი ცნობებიც ასაბუთებს.

გლეხთა შორის გმირობა ყოველთვის არსებობდა, მათში სულ ტალიკ-ტალიკი მეომარი ბიჭები გამოდიოდნენ. იგინი იბრძოდნენ ყველა ომში გმირულად და ვაჟკაცურად მიუსყიდელათ. თვით ჩვენი ომების ისტორიებშიაც ბევრს ალაგას სჩანს, რომ ცხარე ომში, შეფეს და ქვეყანას უღალატეს მოწინავე გვარის შვილთა, სახელოვან კაცთა და მტრის მხარეს გავიდნენ, მაგრამ გლეხთა შოდის კი ასეთი პირები სულ არა სჩანს, არსად არავის მოიხსენებენ. ეს ქეშმარიტება გახლავს.

აქ ასეთ თავ-განწირვას დროს თუ იყვნენ ერთგულნი ქვეყნისა და თავიანთ თავის, პიროვნების, აბა, მაშ, მებატონეთა წინაშე რაღა დაამუწუებდათ, რა ვაჩუშებდათ, სადაც, მაინცა და მაინც, ხმალი, ხანჯალი, თოფი და სისხლი კი არ მუშაობდა, არამედ მათრახი, კეტი, თოკი, წართმევა, დარბევა და სხვანი. უეჭველია, რომ თუ ცხარე ომების დროს იყვნენ თავ-განწირული გმირები და მტრის არ ეჯაბნინებოდნენ, არც მეორე, ამ პიროვნების შელახვის დროს

იქმნებოდნენ მჩატენი და ჩუბნი აქაც გამოიჩენდნენ თავიანთ შესაფერ ენერჯიასა და გმირობას.

ეს ასე უნდა იყოს და ამის ცხადი საბუთია თვით ეს ამბავი. მართლაც ქართველი გლეხი სულაც დაძინებული ვირი არ ყოფილა, იმასაც ჰქონია გრძობა, გული, სული, მოსაზრება, თავმოყვარეობა და პიროვნების შეგნება, ამიტომაც იგინი თამამად მდგარან ყველას წინაშე: სამსახური და ვალდებულება ბატონისა და ხელმწიფისა სინდისიერად უსრულებიათ, მაგრამ როცა მებატონეს მათთვის საქმე გაუჭირებია და მჯთ პიროვნებას შეხებია მაშინ კი მოთმინებილად გამოსულან, საწყაულის ფიალა ავსიათ და მართლაც და მჩაგვრელისთვის სამაგიეროც გადუხდიათ.

ასეთი შეუთხვევანი და ბატონ-ყმურ ზავთა და ბრძოლათა გარემოებანი მრავალ მაგალითოვანი უნდა იყოს და მრავალ ფეროვანი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ცნობები ჩვენ არ გვაქვს. ვინც წერაკითხვა იცოდა, მაგალითად, თავად-აზნაურებმა და სამღვდლოებამ, იმათ ამის შესახებ არა უწერიათ რა და თვით გლეხები, აბა, რას დასწერდნენ, როცა მათ წერაკითხვა არ იცოდნენ. ასე და ამ გვართ, ამ დიდი, ისტორიული გარემოებათა პირობების შესახებ, ჩვენ ერთობ მცირე ცნობები გვაქვს, რა გაეწყობა, სხვა რითა ვართ სრულნი, რომ ამ გარემოებით ვიყოთ უნაკლო?!

მაშ, ჩვენ დავიწყობთ ისევ ჩვენი საგნის აღწერით. რაც გვაქვს შეკრებილი და ანუხსული ისეც ვმარა ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად და ჩვენი და გლეხების სიფხიზობს დასამტკიცებლად. აი რას გადმოგვცემენ თავ. სუმბათაშვილების ერთი ოჯახის შესახებ,

სურამისა და ხაშურის მახლობლად, არის სოფელი ქვიშხეთი, რომელიც მდებარეობს ბორჯომის ხეობის შესავალთან, რასაც ძველად ტაშის-კარი ერქვა. ამ სოფელში, სხვათა შორის, სცხოვრებდნენ თავ. სუმბათაშვილები. დიდი ყმისა და მამულის პატრონები, მასთან მონათესავენი ქართველი ბატონიშვილებისა, დიდი ხმისა და ძალის მქონებულნი. მათ შორის ყოფილა ერთი ოჯახი, რომელიც თავის სისასტიკით, სხვა სახლიკაცებისაგან თურმე დიდათ განირჩევოდა.

ჩვენ ამ ამბებს ვსწერთ ხალხის გარდმოცემით, აქ ოფიციალურ არქივის ცნობებს ალავი არა აქვს, ჩვენ მართა იმას ვლაპარაკობთ რასაც მომსწრე კაცნი ლაპარაკობდნენ, ეს ამბები მომხდარა 1830 წლიდან 40 წლებამდე. და იმ დროს ყველგან იცოდნენ თურმე საქართველოში.

თავ. სუმბათაშვილი ისეთი აბეზარი და ასპიტი კაცი იყო, რომ მისი უკმაყოფილონი იყვნენ არა მარტო გლეხნი, არამედ თავად-აზნაურნიც და მასთან თვით მისი სახლი კაცებიც. ეს თავადი, რომლის სახელსაც ხალხი არ იხსენიებს, ძრიელ ჰყვარებია თურმე, გლეხი-რბევია და მამულ-ტაცია ივანე მუხრან-ბატონსა. სუმბათაშვილისთვის გლეხი-კაცის დარბევა ჩალის ფასად ღირდა, მისთვის არც სიბრალოლი იყო, არც დასვენება, არც სხვა რამ ამ გვარს. ძილშიაც კი შფოთამდა თურმე და ერთთავად გლეხების ტანჯვა ვაგებიტ ნეტარებდა და სიამოვნებდა.

ერთ ზაფხულს, როცა მკა იყო დაწყებული, გლეხებს ბატონის სამსახური უხდა გაეწიათ ბრძანებაც ასე იყო. ვინც ბრძანებას არ შეასრულებდა, მერე იმას ბატონი ერთი ორად დასჯიდა, მუშაობაზედ წასვლის დროს, ბატონი გლეხებს თვალ-ყურს ადევნებდა და თან იხსომებდა, თუ ვინ იყო ბატონის სამუშაოზე და ვინ აკლდა. ვინც აკლდა, იმაზედ ხმას არ ამოიღებდა, მოურავს არას ეტყობდა, მერეთ მოიკითხავდა და დღეს გაუმწარებდა.

მუშაობის დაწყების მეორე კვირას, ერთი გლეხი ყმა, რომელიც ერთ კვირას დააკლდა მუშაობას, ბატონმა მოიკითხა. მოურავმა პასუხი მისცა, ამის შემდეგ მოიკითხა ყველა ისინი, რომელნიც კი მუშაობას დააკლდენ, ამარი დაკლება მოურავმაც დაასაბუთა, მერე მუხატონემ სათითაოდ ყველა დაიბარა პასუხი მოჰკითხვა და სამაგიერო გადაახდევინა. ერთი გლეხი ყმა კი, რომელიც სასტიკათ სძულდა და გადაკიდებული იყო მათ ოჯახზედ, განგებ არ დაიბარა. მოურავს ეგონა, იქნება ისე დასტოვოს და აპატიოსო. მაგრამ იმედი გაუცრუვდა.

ერთ დილას, შინა მოსამსახურეს დაუყვირა: წადი და ესა და ეს გლეხი დამიძახეთო, უთხარი, ურემი შეაბას და სამუშაოდ წამოვიდესო. ყმა მსახური მაშინათვე გაექანა ბრძანების ასასრულებლად. მალე ამ ყმა მსახურს მეორე ბიჭი დაადევნა და მუქარა შეუთვალა.

— წადით ჩქარა, მოიყვანეთ ის გლეხი თავის შვილებით. თუ არ წამოვიდნენ, სახრე იხმარეთ, სცემეთ და უსათუოდ აქ მორეკეთო.

მსახურნი მივიდნენ გლეხის სახლში და მოჰკითხეს გლეხი შვილებიანათ. აღმოჩნდა, რომ ერთი შვილი უკვე ტყეში წასულიყო სამუშაოდ და მეორე კი შინ იყო. ესენი წამოჰყოლიან მსახურთ და ბატონის სახლის ეზოში აივანის წინ გაჩერებულან. ამ დროს ბატონი ავანზე მდგარა და დაუწყია ყვირილი:

— ერთი კაცი აკლია, სად არის, არც ურემია ხარებით?

ყმა გლებმა მიუგო მოწიწებით:

— ბატონო, შენი ჭირიმი, ჩემი ერთი ბიჭი დილას ჯდრე ადგა, ურემი შეება და ტყეში წავიდა სამუშაოთ, შინ რომ ყოფილიყო მაშინ ისიც გაიხლებოდათ.

ბატონი გაგულსდა და გლებს ლანძღვა-გინება დაუწყო.

— აი შე ქოფაკო, შენა! მე გიჩვენებ თუ როგორ უნდა ბატონის ურჩობა. შე აძალღებულო, კაცი დაბერდი და ვერ ისწავლე ბატონის ყადრი, მისი ვალის გადახდა. ესლა გასწავლი შე მამაძალო, თუ როგორ უნდა უჯიათობა. შე ქოფაკო, შენი შვილი განძრახ გაგიგზანია დღეს დილა აღრიან ტყეში, რომ მიფი იგი ასცდენოდა ბატონის სამსახურს. მე შენ გიჩვენებ.

ყმ.მ დამნაშავესავით დაუწყო, ხვეწნა მუდარა, შიშისაგან სიტყვის თქმაც უქირდა.

— ბატონო მწყალობელო, გვაპატიე შენი ჭირიმი, დამნაშავენი გახლავართ, გვაპატიე აგრემც შენ მუხლებს ვენაცვალები. არ ვიცოდი, ბატონო, ჩემს თავსა და შვილებს მონად გაგიხდი. ეს ერთი კიდევ გვაპატიე ჩვენი დანაშაული შენი ჭირიმი, ჩვენო ბატონო.

— შავ ჭირს ვაპატიებ შე ქოფაკო, გასწავლი შენცა და შენ შვილებსაც ჭკუას!

აი ასე ულაპარაკნიათ. ამ ამბების კარგად მცოდნე კაცი მე ვნახე ბორჯომს, 1890 წ. კარგა მოხუცო, იყო და ბევრი რამ სხვაც ახსოვდა ამ ბატონისა და ყმათა შესახებ. უნდა ითქვას, რომ ამ პირს გარდა ამავე ამბების მცოდნენი ბორჯომს და მის ახლო-მახლო სოფლებში სხვანიც მრავლად არიან, ნამეტურ ქვიშხეთში.

გაჯავრებულმა და შელაპარაკებულმა ბატონმა თურმე ყვირალი დაიწყო.

— ურემი და ხარები ხომ გადაძალეთ, მაშ, თქვენ გაქცევთ ურმად და ხარებათ. ბიჭებო, საძნე ურემი მოამზადეთ!!

ბიჭებმა საძნე ურემი ძაღვ მოამზადეს. ბატონი ჩამობძანდა ძირს, და უბრძანა ყმებს:

— ბიჭებო, აბა, შეებით ეს ვირუბი ურემში, ხარების სანაცვლოდ. ბიჭებმა თუმცა ზღაზენა დაიწყეს, მაგრამ მაინც შეაბეს ურემში მოხუცი მამა და შვილი. მცირე ხნის შემდეგ რამდენიმე საძნე ურემი გაემგზავრა ყანისკენ, ამ ყმების ურემს თვით ბატონი დაუჯდა და სანრის ცემით დაუწყო ყმებს გარეკვა. ამ გვართ ბატონმა მიაღწია ყანამდის. იქ გამოუშვეს ურემებიდამ ხარ-კამეჩი და ეს ყმებიც ხარ-კამეჩი საძოვრად გარეკეს და ურემიდამ გამოშვებულ გლებებს კი სა-

მუშაო მიუჩინეს და სალამომდის აწუშავეს, არ მოასვენეს. ასე, რომ
ენიან საქონელს უენოზე უარესად მოექცნენ. სალამოზე ურმებს ძნა
დაუდეს. თითო ურემს გვერდით თითო მეურმე მოუდგა. ყმებშებმულ
ურემს ისევ ბატონი დაუჯდა წინა და გლებ ხარებს დაუწყო რეკა,
საძნე, ურმის ზიდვა ყმებს ძრიელ გაუჭირდათ, ძალიან დაილაღნენ
ამათი დაღალვა ბატონს არა სჯეროდა, განგებ იგონებენო, ყურად-
ღებას არ აქცევდა და ამიტომ ხშირად სახრესაც გადაუშხივლებდა.
რის წვალებით ყმებმა ურემი სოფელში ჩამოიტანეს და ბატონის
სახლთან მიათრიეს. მისვლის შემდეგ, ბატონმა დაუყვირა ბიჭებს:

— ბიჭებო, გამოუშვით ეს ვირები და გომში შერეკეთო.

ამ ამბებს მთელი სოფლის ხალხი უყურებდა და ბევრი მათგანი
სწყევლიდა ბატონს და ბევრი იკრავდა გულში ხელს.

გლებებმა გამოუშვეს ურმიდამ დაღალული ხარი-ყმები და
ბრძანებისამებრ გომში შერეკეს. კარი ჩაუკეტეს და ზედ კლიტე
დაადეს, არსად გაიქცნენო, ეს ამბავი გლების ოჯახმა დილითვე
შეიტყო, როცა ურემში შეაბეს და ძნისთვის წაიყვანეს, მაგრამ აბე-
ზარ ბატონს ვინ რას გაუბედავდა? სალამოს ტყიდან ყმის მეორე
შვილი ურმით სახლში დაბრუნდა, ეს ამბავი იმანაც გაიგო, მაგრამ
შიშით რას იზამდა? ის რომ ბატონთან მისულიყო, მეორე დღეს
იმასაც შეაბავდა ურემში. იმ დამეს ამან იმეცადინა და ბატონის
შინა ყმა-მსახურთა დახმარებით, მოხუც მამას და ძმას ბატონის ჩუმიად
კოტა წყალი და პური მიაწოდა, ეს იყო მთელი მათი სამუშაო
დღიური თუ ვახშმის ჯერი.

გათენდა მეორე დღე, ყმებმა ისევ მოამზადეს ძნის მოსატანად.
ყმათა შესაბმელ ურმებს კი ხელი არ ახლეს, ეგონათ ბატონი ამ
დღეს ყმებს აღარ დასჯიდა და ერთი დღის წვალებას აკმარებდა,
მაგრამ ბატონმა კვლავ დაუყვირა ბიჭებს:

— მოამზადეთ ურმები, გამოიყვანეთ ის ვირები და მალე შეაბითო.

ყმებმა გააღეს გომის კარები, გამოიყვანეს გლებები და შეაბეს
ურემში. საბრალონი ძრიელ დასუსტებულიყვნენ, ნამეტნავად მოხუცი
მამა, მაგრამ პირქუმ ბატონს ვერას უბედავდენ. მოხუცმა ეს ერთ-
ხელ სთხოვა შელავათი, მაგრამ ბატონს ზედაც არ შეუხედნია. არ
ხეინად დაუჯდა ურემს და გაუყენა გზას. იმ დღესაც ის განმეორდა-
რაც წინა დღით.

სალამოზე ურმიდან რომ გამოუშვეს, მამა-შვილს ლაჯები ისე
დასწოდათ რომ თავი ვეღარ შეიმავრეს და ძირს დაეცნენ, ამ უბე-
დურობას. ბატონი გაუმაძღარი თვალით უყურებდა და თან ღიმილით
ყვიროდა თურმე:

— ეგრე გინდათ, ეგრე გინდათ, თქვე მამაძაღლებო, რომ ჩემი ყადრი იცოდეთ, ჭკუას ისწავლით. ბიჭებო აიღეთ და შეათრიეთ გომში, ან სახლში წაათრიეთ და იქ დაყარეთო.

დაცემულმა ყმებმა ბიჭებს სთხოვეს, სახლში წაგვათრიეთო. ბიჭებმა, ბატონის ნებართვით ეს უბედურები თავის სახლში წაიყვანეს, მაგრამ ბევრ ხანს აღარ უცოცხლიდო. რამდენიმე დღე იავადმყოფეს და მერე ორივენი გარდაიცვალნენ.

ბატონმა მეორეთ რო შეაბა ურმეში საცოდავი გლეხები ბევრმა თავად აზნაურთაგანმა განიზრახა თურმე ერთხოვნათ პატიება, მაგრამ ბატონის ერთ-ერთმა სახლიკაცმა სთქვა:

— ჩვენ რომ ვსთხოვოთ, არ იქნება რა, აბეზარია, ჩვენს თხოვნას არ შეისმენს. ჩვენც გავგლანძღავს და იმ გლეხებსაც უფრო გადაეკიდება, უფრო დაარბევს. ისევ მღვდელი მიუგზავნოთო; მაგრამ საუბედუროდ, იმ დროს მღვდელი სხვა სოფელში წასულიყო და მიტომ არც ეს მოხერხდაო. ყმათა ასეთი დასჯისა და სიკვდილისათვის მებატონეს ჰკიცხავდენ არა მარტო გლეხები, არამედ ბევრი თავადი და აზნაურიც.

დახოცილ ყმებს, როგორც ვიცით, ოჯახში დარჩათ კიდევ ერთი წევრი. ამან მამა და ძმა დაასაფლავა დიდის მწუხარებით. დამარხვის დღეს სოფელში თურმე დიდი ამბავი და ჩოჩქოლი იყო. მთელი ჯალაბობა გააფთრებული იყო ბატონის ავ-კაცობით, ყმათა დამარხვას დაესწრნენ. თვით თავად-აზნაურებიც და ყველანი გმობდნენ ბატონის საქციელს. დამარხვის შემდეგ შინისკენ მიმავალ ხალხს ძლივ-ძლიკობით დაუწყნარებიათ დახოცილთა ჭირისუფალი, რადგანაც ძრიელ ატელვებული ყოფილა და ბატონთან შებმა სდომებიათ. მეორე დღეს კი, როცა ბატონი შეხვედრია სოფლის ბოლოში, ყმას უთქვამს:

— ჩემი და თქვენი საქმე ცუდათ იქმნება, მე ამას არ დავტოვებ ასე და ვიძიებ სამაგიეროს.

ბატონს ყვირილით უპასუხნია:

— სადაც გინდა ეძიე, მადლობელი არა ხარ, რომ შენც იმათთან არ შეგაბი და იმათსავით არ მოკვდი. კარგი, კარგი!

— სიკვდილის რალა მიკლია, მოხუცი მამა მოსიკალბ, ძმა უდროვოდ მომისპე, მთლად ოჯახი გამიქრე და, აბა, მე რალა უნდა ვიყო უიმათოდ.

— შენ ეი, ჩუმათ იყავ, თორემ შენ უარეს გიზამ. გაიგეთ და შეიტყეთ, რომ თქვენ ჩვენი უჯათობა არ შეგიძლიათ, სამართალდ

ყვენია, ყველაფერი ჩვენ ხელთ არის და თუ არ დაწყნარდები, მე ვიცი მიშინ რასაც გიზამ და სადაც გაგზავნი და დაგალობ.

ყმამ თურმე ბატონთან ბოდიში მოიხადა:

— მამისა და ძმის სიკვდილით გამწარებული ვარ, თუ რამ გაწყენინეთ ბატონო, გთხოვთ იმ მკვდრებს მაინც აპატიოთო.

ბატონი, ცოტა დაწყნარებულა და ასე და ამ გვარად ყმა და ბატონი ერთმანეთს განშორებიან და თავ-თავიანთ სახლებისაკენ წასულან.

ყმამ მაინც გადასწყვიტა გულში ბატონის მოკვლა და მით სამაგიეროს გადახდა. ამან გლეხის ბიჭებში დაიწყო ამაზედ ლაპარაკი და თანამგზობრივ ერთობ მალე იპოვნა, უფრო კი გლეხები: ლაცაბიძე, ცხოვრებაძე და ღამბაშიძე. ამ ოთხმა ითანბირეს და გადასწყვიტეს არამც თუ მარტო ბატონის მოკვლა, არამედ მთელი მისი ოჯახის ამოწყვეტა. თავდარიგსაც მალე შეუდგენ და შესაფერ დროს უცდიდენ.

რასდენიმე ხნის შემდეგ, იპოვნეს მარჯვე დროც, როცა სოფლის სხვა თავად-აზნაურები სულ სხვა და სხვა სოფლებში იყვნენ წასულნი დღესასწაულებსა, ღვინებსა და წვეულებებში. ეს დრო რომ არ ამოერჩიათ, შესაძლებელი იყო თავადები თავადს მიშველებოდენ, გლეხები გლეხებს. გაიმართებოთა მთელი ომიანობა და ვინ იცის რამდენი სული გაფუჭდებოდა უბრალოდ. ამიტომ მკვლევებმა ეს თავიდან აიცილნეს და ბატონს ისეთ დროს დაეცნენ, როცა ყოველივე ასეთი მოსალოდნელი უბედურება შეუძლებელი იყო. ბატონის მახლობლად მცხოვრებ გლეხებს-კი აუწყეს ყოველივე და განიძრახეს, რომ მათ ერთობ აღრე დაებინათ სახლში. თოფის ხმა რომ გაიგონოთ, მაისც ხმა არ ამოიღოთო.

დანიშნულ დროს, თუმცა ჯერ ისევ ბანდ-ბუნდი იყო, გლეხებმა ჩაიკეტეს კარები, ჩააქრეს სანათი და ვითომ ძილს მისცეს თავი. ეზოს ნაპირად დარბაზში, ბატონს გაეშალა სუფრა და თავის სახლობით ვახშამს შეექცეოდა. მსახურნიც თავზე ადგენ, თუმცა იცოდნენ ყველაფერი და ხელსაც კი უწყობდენ საიდუმლოდ.

ამ დროს მოვიდნენ ბატონის სახლის ახლოს ზემო ხსენებულნი გლეხნი და თოფები მოიმარჯვეს, პირველად გავარდა ორი თოფი. მათ მოჰყვა მესამეც. დაჭრილი ბატონი და ქალბატონი სკამებიდან გადმოცვივდენ.

მერე ოთხივე ერთად შევარდენ სახლში, დაეცნენ დაჭრილებს და იქვე დახოცეს. ოჯახის სხვა წევრებს ჰგონიათ, რომ ჩვენ არას

გვერდინა, საქმე ბატონთან ექნებათ და ბატონის ცოლი თუ მოკლეს, ეს შეცდომით მოხდაო. ასე ფიქრობდენ ესენი და შეშინებულნი იდგნენ და მკვლელებს ცახცახით უმზერდნენ, როცა ბატონი და მისი მეუღლე მოსპეს, მერე დანარჩენებს მიჰყვეს ხელი და დაუწყეს ანაზღაოთ ხოცვა. ამ დროს აქ იყო თურმე ერთი ოთხი წლი ყმაწვილი—ვაჟი ბატონისა, რომელმაც დაუწყყო თურმე ხვეწნა.

— თქვენი ჭირიმე, ნუ მომკლავთ, მე ხომ პატარა ვარო, მკვლელნი გაათურებულან. ერთს დაუყვირნია:

— არ იქნება, მოვკლათ ეს პატარაც, თორემ ეკალზედ ვარდი არ ამოვა. ეხლა პატარა არის არას გვერდის, მაგრამ გაიზრდება და ჩვენს ჯავრს იგი სხვა გლეხებზე ამოიყრისო.

ამიტომ ეცნენ ამ საბრალო ოთხი წლის ყმაწვილსაც და ხანჯლის ერთი დაკვრით მოჰკლეს.

ამოწყვიტეს რა ოჯახის ყველა წევრნი, მკვლელები გამოვიდნენ წყნარად და წავიდნენ ტყისაკენ დასამალად. ასე და ამ გვართ ოთხმა გლეხმა ამოწყვიტა ბატონის ოჯახი. ამ ოჯახიდან გადარჩენილა მხოლოდ ერთი ყმაწვილი, რომელიც გამდელს ახალციხისკენ ჰყოლია წაყვანილი. ესეც რომ შინ ყოფილიყო, მაშინ იმასაც მოსპობდენ თურმე.

ეს ამბავი ხალხმა იმ დამესვე გაამჟღავნა. მეორე დღეს, მკვლემკვლელებს დაუწყეს ძებნა, მაგრამ ვერსად ნახეს. ამ საქმეშიც ყველა მებატონეს ამტყუნებდა.

გლეხნი გაქცეულან ყვირილისაკენ და სოფ. ნებოძირის ტყეში დამალულან. იქ ირჩენდნენ თავს და თან ემზადებოდნენ ოსმალეთში გასასვლელად. ვიდრე ამას მოახერხებდნენ, მათი იქ ყოფნა გაიგო ზესტაფონელმა აზნაურმა ნემსაძემ, რომელმაც ყველაფერი მაზრის უფროსს შეატყობინა. მთავრობა შეუდგა დავდარიგს: შეკრიბეს ჩაფრები, ჯარის კაცნი და აღნიშნულ ტყეს ოთხივ კუთხივ შემოერტყენ. დიმიტრელების საშუალებით მათ მალე მიაგნეს მკვლელების ბინას—და ოთხივენი მოიმწყვდიეს.

გლეხები არ დანებებიან და ატეხილა საშინელი სროლა. ბოლოს მაინც ძლეულან იგინი, რადგანაც ჩაფრები და ჯარის კაცნი მრავლად ყოფილან. სამი გლეხი ცოცხლივ დაუჭვრიათ. მეოთხე გლეხი ლამბაშიძე—გაქცეულა. ბრძოლა თურმე სასტიკი ყოფილა, მაგრამ იყო თუ არა მსხვერპლი, არავენ იცის.

ლამბაშიძის შესახებ მრავალთაგან გამიგონია, რომ იგი ყოფილა მეტად ხელ-მარჯვე ბიჭი, კარგი გმიროული ტანადობის და იგი ამხანაგებში თითქმის პირველი იყო.

თქმულება არის, რომ ამ დროს, არსენა ოძელაშვილს ცოცხალი იყო, პირადად იცნობდნენ მას, მასთანვე აპირებდნენ მისვლას და ამიტომ იფარავდნენ ნებოძირის ახლოს ტყეში თავსაო. ტყეში ყოფნის დროს ისინი არავის რას ერჩოდნენ, და იკვებებოდნენ საიდუმლო მიწოდებული სანაფაგით. ამ ოთხ გლეხს სხვა და სხვა სოფლებში ბევრი გლეხის შვილი თანაუგრძნობდა. ისინი ემტერებოდნენ, მხოლოდ უდიერ მებატონეებს და მათ წინააღმდეგ სხვა ყმებსაც აღელვებდნენ და აქეზებდნენ.

აზნაურ ნიკო, იგივე ნიკოლოზ ნემსაძეს*) რომ არ დაეებზღებინა ისინი მალე მოშორდებოდნენ ამ კუთხეს და ახალციხის გზით აჭარაში გადავიდოდნენ. ბატონის წყალობით ყველა დევნილი ყმის ბინა ოსმალოს სამფლობელო აჭარა იყო. ყველა იქ მიიბრბოდა, თათრდებოდნენ და მით იხსნიდნენ ხოლმე თავს ბატონის მონობისაგან. წინად კი, ვიდრე რუსები აიღებდნენ ახალციხეს, დევნილთა თავშესაფარი იყო ახალციხე—ახალქალაქის მაზრები. აქ მათ მფარველად გამოდიოდა არსენა ოძელაშვილი. ვინც კი გაექცეოდა ხოლმე უსამართლობას პირდაპირ მესხეთა ჯავახეთში არსენასთან გაჩნდებოდა ხოლმე და იქიდან მისის საშუალებით იწყებდნენ ბატონის სამაგიეროს გადახდას. მეხეთ-ჯავახეთის რუსებისაგან აღების შემდეგ, ასეთ დევნილ ყმათა ბინათ გახდა აჭარა.

ამბობენ: არსენა რომ არ დაეჭირათ, იმასაც აჭარა ჰქონია ბინათ ამორჩეული, თავის სახლობით იქ აპირებდა თურმე საცხოვრებლათ გადასახლებას. სუმბათაშვილის მკვლელობა იქ გადავიდოდნენო.

ამ ოთხი გლეხის მცნება ყოფილა თურმე ავი მებატონეების დევნა, მათი დამონება, რომ გლეხების ტანჯვაზე ხელი აღეზინებინათ. ამ გარემოებამ მებატონენი თურმე ძლიერ შეაშინა და ყველა იმას ლაპარაკობდა, რომ სუმბათაშვილის მკვლელი გლეხებს, საერთოდ, ყველა ყმებს აქეზებენ, თავიანთ ბატონების დასაბოცავად, და ვაი თუ ჩვენც დაგვბოცონო.

ფიქრში იყვნენ ანა მართო ავი მებატონენი, რომლებიც გლეხების ტანჯვით იყვნენ ცნობილნი, არამედ შეშინებულნი იყვნენ თავით კეთილი მებატონენიც, რადგანაც ხმები ისე იყო გავრცელებული, რომ გლეხებს, ანუ ყმებს ყველა მებატონის მოკვლა სურთ—ავისაცა და კარკისაცაო. ხოლო იყვნენ ისეთ მახვილ გონიერნი კეთილ მებატონენი, რომელნიც ასეთ ხმება უარსა ჰყოფდნენ და ამბობდნენ:

*) ეს ნიკო, ანუ ნიკოლოზი პაპა იყო ცნობილი კოლიაზ ნემსაძის. ეს უკანასკნელი დიდი ქომავია რუსის მთავრობისა. ზ. კ.

კარგს ბატონებს ნურათფრის შიში ნუ აქვს. უშიშოდეს იმას, ვინც
შორბრტია და ყმათა დამრბევე-მდგენ ლი. ყმები; მართალით; არც ისე-
თი ბრიყვნი და გაუგებარნი არიან, რომ მათ ავისა და კარგის გარ-
ჩევა არ იცოდენ, და ამის ცხადი საბუთია ის გარემოებაც, რომ
იგინი სდენიან ისეთ მებატონეებს, რომელნიც მართლა დევნის ღირს-
ნი არიან. ამას თვით სუმბათაშვილის საქმეც მოწმობსო.

რასაკვირველია, ეს ასე იყო. ეს სწორედ ნამდვილი დახასიათე-
ბაა მაშინდელ გლეხ-ყმათა ცხოვრებისა. ხოლო ამით შესახებ ჭორებს
თხზავდნენ უფრო ისეთი მებატონენი, რომელთაც, მართლა შიში
ჰქონდათ თავისი ყმებისა, თვისივე ბოროტების გამო.

მათმა ჭორებმა მთავრობაც კი შეაგულაონა და ყველა სავაზრო
მოხელეებს ნება მისცა, რომ თუ ვინიცობა იგინი სუმბათოვის მკვლე-
ლებს დაიჭერდნენ, მაშინ მათ ნება ჰქონდათ, რომ იგინი, უშალღეს
მთავრობის დაუკითხავად, თვით სიკვდილითაც კი დაესაჯათ. და
როცა ეს გლეხები მზრის უფროსმა დაიჭირა, მაშინათვე მათ სიკე-
დილი გადაუწყვიტა და დასაჯა კიდევ.

აი, როგორ ყოფილა მათი დასჯა:

პატიმრებისთვის გაუთხრისთ პატარ-პატარა ორმოები, მერე
გაუტიტვლებიათ, ჩაუწყენიათ შივ პირ აღმა და ცემით ისე გაუტყა-
ვებიათ, რო ველარ ამდგარან და დიდი წვალებითაც დახოცილან. მე-
რე იქვე გაუთხრიათ სატლავი და სამივე ერთად ჩაუყრიათ. გლეხი
ლამბაშიდევ აბრძოლის დროს დაჭრილა, მას გაქცევაც კი მოუხერხე-
ბია, მაგრამ მერე ველარ უვლია, ტყეში დაცეწულა და მგლებს შეუ-
ჭამიათ. კარგა ხნის შემდეგ მისი ტანისამოსი და მგლებისაგან გამო-
ხრული ძვლები წყემსებს უნახავთ ტყეში.

ამით დასჯის შემდეგ, მათი სახლობა და ნათესავეებიც დაიჭი-
რეს, გორში ჩამოიყვანეს და დააპატიმრეს. გამოძიებამ აღმოაჩინა,
რომ იმათ არც კი სცოდნიათ მკვლელობის განზრახვა მთავრობამ
გამართლა იგინი და გაანთავისუფლა, მაგრამ მებატონეები კი იქვეთ
უყურებდნენ მათ და რადგანაც ეფიქრებოდათ, რომ ახლა ამით არ
დაგვხოცონო, კარგად ეპყრობოდნენ. გლეხებიც ერთგულნი იყვნენ
თავისი ბატონებისა.

დამბეზღებელი ნემსაძე უკანასკნელ დრომდე დიდ სინანულში
იყო თურმე და მეტად სწუხდა, თავის უნსგავსო საქციელსა გამო. მას
არც ხალხი ასვენებდა, ყოველთვის უსაყვედურებდნენ: რაზე დააბეზღე
ეს კაცები—შენ რა დაგიშავესო. თვით თავად აზნაურობაც კი უკი-
უნებდა ხოლმე: ავი ბატონი ჰყავდათ და იმიტომ მოჰკლესო. ნემ-

საძე ისე შეაწუხა თურმე სინილისმა, რომ ეპისკოპოსს გაენდო, დაპ-
გმო თავისი საქციელი და აღშფოთებული სულის დასამშვიდებლად
ეკლესიაც კი ააშენა.

უნდა ითქვას, რომ ქვიშხეთისაკენ, ქართველი გლეხნი, ძველად-
განვე განთქმულნი იყვნენ ძლიერი მკლავით, გმირობით, ქველობით
და დიდ-სულოვნობით. ნამეტნავათ განთქმული იყვნენ ქობის ხეველნი.
ამ მხრის კაცნი და ქალნი იყვნენ წარმოსადგენი ვაჟკაცნი, ტანოვანნი
და ახოვნობით სავსენი. ასეთი ღირსება მათ მომდევართ დღესაც
კარგად ეტყობათ. ამიტომ ესენი მებატონებსაც ისე ადვილად არ
ემორჩილებოდენ, როგორც მაგალითად, გლეხნი საერისთაოსი, სამა-
ჩაბლოსი, სამირეჯიბოსი, საციციანოსი, სამილახროსი და სხვანი.

ხანდისხან კი, აქეთაც ჩნდებოდენ ისეთი პირქუში მებატონენი,
ისეთი დესპოტნი და ავნი, რომელნიც გლეხებს ავაზაკურის მძლავ-
რობით იმორჩიდებდენ და მის მეოხებით მერე ყმებზედაც ნავარდობ-
დენ. შენიშნულია კარგად და თანამედროვე მნახველ კაცთაგანაც
თქმულა, რომ ყველაზე ადვილად ქართველ ყმა-გლეხებს იტაცავდენ
და ოსმალეთის ახალციხეში ჰყიდდენ, ზოგი ის მებატონენი, რომელ-
ნიც ოსმალეთის საქართველოს საღზვრებთან ახლოს იყვნენო. სხვათა
შორის ყმების მოტაცება—გაყიდვით განთქმული ყოფილა ის სუმბა-
თაშვილიც, რომლის ამბავიც აქ ავწერეთ და თუ ასე ეჯავრებოდათ
იგი, ამის ერთ-ერთი მიზეზთაგანი მისი ტაციობაც იყო...

სუმბათაშვილების საქმე.

ნაამბობი თავ. კარბოზ თავთაქიშვილისა.

ის სუმბათაშვილი, რომლის ოჯახიც გლეხებმა ამოწყვეტეს, მეტი მეტი სასტიკი კაცი ყოფილა და უდიერი, მისი ამოწყვეტის მიზეზებს დიდი ისტორია აქვს. მე ვიცი კარგად, რომ იგი გლეხებს აბანდა კევრში და მათით ლეწავდა. ერთხელ ამ ბატონის ბრძანება ერთ მის ყმას დროზედ არ შეუსრულებია. ეს გარემოება ბატონს ძრიელ სწყენია და გლეხის დასჯა განუზრახავს. მალე იგი კევრში შეუბამს, თითონ კევრზე დასჯდომია და ასე უღეწის კალო.

გლეხის ასეთი დასჯა რამდენიმე დღეს გაგრძელებულა, მაგრამ არც ეს უკმარებია. მისი სასჯელათ, მალე სხვა გვარ დაუსჯია, ვგონებ მიტომ რომ კალოში შებმისა და მუშაობის დროს ბატონისათვის რაღაც უწყენებია. ვინ იცის, იქნება კალოში შებმულმა გლეხმა მუშაობის დროს ამოიხვნეშა, ან ამოიოხრჯ, ან დაიკვნესა, დაღალულდაქანცულმა ბედისა და გარემოებისადმი სულ უბრალო დაჩივლებაც საკმარისი იყო ბატონის გაბრაზებისათვის.

დამნაშავეა თუ არა „დამნაშავე გლეხი“ ბატონს ასე დაუსჯია: დამნაშავე ურმის ღერძზედ დაუკრას, ამის მერე ერთ ალაგას ძეძვები დაუყრია, მერე ეს ძეძვები გაუშლია და ბოლოს ღერძზე დაკრული გლეხი ამ ძეძვებზედ უგორავებია. ასეთი გორაობით გლეხი ცოცხლივ დაუტანჯავს და სიცოცხლე უგმობინებია. აი, ასეთ უდიერ საქმეებს მოუშაადებია მისი ოჯახის ამოწყვეტა, თორემ ხომ იკით, ქართლის გლეხი არ არის უდიერი და ბოროტი იგი კაცის და ისიც მთელი ოჯახის ამოწყვეტას ვერ გაბედავს, რომ იქ დიდი რამ ბოროტება არ არსებობდეს.

ქართლში ასეთი მებატონე მართო სუმბათაშვილი არ იყო, თითქმის ყველა მებატონე ასეთი თვისების. გახლდათ. გვარში ოცი და ორმოცი თუ კარგი იყო, ორი და სამი კაცის საქმენი აქარწყლებდა ოცი და ორმოცის კარგ კაცობას.

ახლა ამ ამბავს ჩვენით დაუფმატებთ, რაც სხვა და სხვა დროს გაგვიგონია. ზოგი ერთი მოხუცებულისაგან სუმბათაშვილების გახსენ-

ნებძს დროს. ამ მოხუცებულებს სხვა თავადებზედაც ბევრი რამ უამბნიათ, ასე რომ ამ წერილებში ცნობები ჭათია, ხოლო ცნობების დაწერა, სიტყვა და წერილის განმარტება ჩემი გახლავს.

ქართლში მარტო სუმბათაშვილები არ იყვნენ ასეთნი, ყველანი თითქმის ერთმანეთსა ჰკავდნენ, ხოლო მუხრან-ბატონებზე უარესიც თითქმის ჭუმბათაშვილებს სადა ჰქონდათ იმდენი ძალა ყმათა დევნისა, რაც მუხრან-ბატონებს ეკავათ ხელში. მუხრანს ბატონიშვილები ცნობილნი იყვნენ არა მარტო გლეხების დევნით, არამედ ივინი ყმებს არბევდნენ, ჰყიდდნენ და სძარცვავდნენ კიდევ.

მთელი გორისა და თფილისის სომეხი ვაჭრები, ასეთ მებატონეთაგან შესყიდული გლეხებითა დაშლიდრდნენ. 1830—1840 წლებში საქართველოში ბევრი ბოროტი ბატონი მოიპოვებოდა. ვის არ ახსოვს ჩვენი დროის მძარცველი ივანე მუხრანსკი. რაც მას ბოროტება უქმნია თავის ყმებისათვის, იმას ერთი ტომი მოუწოდებდა. ეს არბევდა არამც თუ თვითოეულ გლეხს, არამედ მთელ სოფელს.

ასეთივე იყვნენ მაჩაბლები, ქსნის ერისთავები, არაგვის ერისთავები, ციციშვილები, ამილახვრები და ვინ იცის, კიდევ რამდენი სხვა, კახეთში ბატონ-ყმობა ისე არ იყო. იქ მებატონენი, საერთოდ, ვერ იბრიყვებდნენ ყმებს, ყმები უფრო ქართლში ჰყვანდათ დაბრიყვებულნი, ხოლო კახეთში ორი თავადის შვილი იყო ბოროტად ცნობილი. შიგნით კახეთს—გარსევან ჭავჭავაძე და გარე-კახეთში—თადრა ჩოლოყაშვილი.

გარსევან ჭავჭავაძე მუხრან-ბატონივით ყმათა მამულების მომტაცავი იყო და დიდი მადაც ჰქონდა გახსნილი. ხანდისხან მამულების ჩამორთმევის შემდეგ, ყმებს ათავისუფლებდა კიდევ. იგი ხშირად იტყოდა ხოლმე.

— თული მომე, მამული მომე, შენ კი ღმერთმა მშვიდობა მოგცეს საცა გინდა, იქ წადი, მე არ გედავებო.

ასეთი იყო გარსევან ჭავჭავაძე, თადრა ჩოლოყაშვილი კი სხვა ხასიათისა იყო. იგი იყო მეტად სასტიკი ბატონი, ყმა თავითფხანმდე მის საკუთარებას შეადგენდა. იგი მესი მონა, იყო. ეს ყმას მაჰულოსაც სტაცებდა ქონებასაც და მასთან სჯიდა კიდევ უღმერთოდ, უსამართლოდ, გასყიდვაც ადვილად იცოდა. მისგან მრავალი გლეხი უყიდნიათ ერევნის და განჯის სომხის ვაჭრებს და მერე ეს ყმები იქით გაურეკათ, საითაც მყიდველი მოისურვებდა, ზოგი კი თავის სულის გულისათვის ნაყიდ ყმას ათავისუფლებდა.

სიტყვისა და ცნობას მოუტანინ და ხშირად გვილაპარაკნია დანიელ ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხის“ შესახებ და მასში აღნუსხულ ისტორიულ, თუ ბატონ-ყმურ ამბებზე და ძველ ქართველ მწიგნობარ გლეხებს ბევრი რამ ულაპარაკნიათ. 1878 წ. მე რომ წიგნის მაღაზიაში მოვთავსდი „სურამის ციხე“ დავბეჭდე, მაღაზიაში ხშირად მოსულან სხვადასხვა მწიგნობარი, ხნიერი ქართველი გლეხკაცნი, „სურამის ციხე“ უყიდნიად და მერე ბატონ-ყმობის შესახებ ლაპარაკიც გვქონია. იმათ ბევრი რამ საინტერესო ცნობები უამბოიათ, და მასთან მეტად საყურადღებონიც, რითაც დაუსაბუთებიათ „სურამის ციხის“ ცნობათა სინამდვილე. სანწუხაროდ, მაშინ მე იმ ამბების წერას არ მივდედი, უყურადღებოდ ვსტოვებდი, ვინაიდან მათი მნიშვნელობა მაშინ არ ვიცოდი და არც იყო მისი წერის დრო. თურმე ვცდებოდი, ხოლო, როცა მე ამ ცნობების მნიშვნელობა შევიტყე, მაშინ აღარც ის მოხუცი სცხოვრობდენ და აღარც მე მაქსოვდა მათი ნაამბობი.

ბატონ-ყმობის შესახებ საქართველოში ლაპარაკი ბევრჯერ ატეხილა. 1759 წ. ჟურ. „ცისკარში“ დაისტამბა ალექსანდრე ორბელიანის წერილი, სახელდობრ „ბატონ-ყმობა საქართველოში“. ეს წერილი მოწმობს რომ ბატონ-ყმობა საქართველოში უმცროს სობა ანუ მამაშვილობა იყო. ამავე წელს „ცისკარში“ დაბეჭდა „სურამის ციხე“, რამაც ბატონ-ყმური კითხვა სულ სხვაგვარად გააშუქა. კვლავ ატყდა დიდი კამათი.

აღ. ორბელიანის წერილი მე ცალკე წიგნად დავბეჭდე 1879 წ. მაშინ ამ წერილის გამო, ბევრი იყო უკმაყოფილო და ჩემთან ბევრს ჰქონია საუბარი, მრავალი საბუთები მოუყვანიათ ბატონ-ყმობის ისტორიიდან და დაუსაბუთებიათ ამ წყობილების უსარგებლობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მეც ამათ ცნობებს ვაქცევდი ყურადღებას და ყოველთვის უმნიშვნელოდ ვსთვლიდი, უფრო ალ. ორბელიანის სახელს ვენდობოდი.

აქაც შემცდარი ვიყავი და ამის მეოხებით ბევრი ისტორიული ცნობაც დაიკარგა, არ დაიბეჭდა. დღეს იმ მოამბე კაცებთაგანი აღარავინ არის დარჩენილი და მეც ბევრი აღარ მახსოვს. მხოლოდ ახლა ვწერ ამ წერილს და ვნუსხავ ზოგიერთ ცნობას, რაც-კი გამივლია მაშინ სინამდვილით.

1879 წ. მე მქონდა კამათი განათლებულ, ქართველ მწერალ კ. უტიერგურმა, რომელიც 1877 წლების შემდეგ განთქმული იყო როგორც პროვერსიული მწერალი და რომელიც წინააღმდეგი იყო

ალ. ორბელი ნის წერილს და მემდუროდა კიდევ მისი გამოცემი-
სათვისა მან ბევრი რამ ცნობა მოიყვანა ამ წყობილების შესახებ,
დაასაბუთა მძეი უვარჯისობა და ერთ ლაპარაკის დროს საუქვა შემ-
დეები:

„ბატონ-ყმობა მე მიმაჩნია ქართველთა გლეხების მონობათ. მარ-
ტოთ ჩვენი ფშავ-ხევსურეთის მოხუცებულთ რომ ჰკითხოთ ისინი
იტყვიან, თუ რაც იყო ბატონ-ყმობა მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში
ბატონ-ყმობა არ იყო და ერთ თავად ბრძოლა ჰქონდათ ქარხნისა
და არაგვის ერისთავებთან. საუბარმა კითხვები გამოიწვია, კითხვებს
ცნობებიც მოსიყვინდა მერე პ. უთერგურმა ეს სთქვა ქართული მე-
ბატონეების მამაშვილობის შესახებ.

ყველა დამ თანხვება, რომ ქართველი თავადი და აზნაური
ძრიელ ადვილად მტრობდა თავის მეფეს და მის მტრებს უერთე-
ბოდა, კარგად ვიცით ისიც, რომ ასეთი მტრებისაგან ქართველთა
სამეფოს დიდი ზარალიც მოსდიოდა. მათას წყალობით ინგრეოდა
და ისპობოდა მთელი საქართველო, ასეთი პირნი, რომელნიც ლალ-
ტობდენ თავიანთ ქვეყანას, ერს, მეფეს, სჯულს, ენას, ისტორიას,
ნუ თუ ისინი თავიანთ ყნებს-კი სიკეთეს დააყრიდენ და დასტოვებ-
დენ მოსვე ებითა და უზრუნველად?! ნუ თუ შეიძლება, რომ ასეთ
პირთა მართვაგამგეობა და ბატონ-ყმობა კაცმა მამაშვილობათ
აღიაროსო? მერე სხვადასხვა ისტორიულად ნაშდვილ მომხდარ ცნო-
ბებსაც რო იხსენებდა და „სურამის ციხეს“ ყოველთვის საპატიო
თვალთ რმზერდა. ამ განათლებულმა ქართველმა ბევრი ამბები
იცოდა ბატონ-ყმობის შესახებ, იგი ბევრსა სწერდა ქართულსა და
რუსულ გაზეთებში და საკვირველია რომ მას ამის შესახებ კი არა-
ვითარი ნაწერი არ დარჩენია.

1879—80 წლებში, ჩვენ მარტო სუმბათაშვილების და არსენას
ამბები ვიცოდით, ისიც გავრით, ზეპირ. ამისთანა ამბები მაშინ
ბევრ ალაგას ხდებოდა, ხოლო მის შესახებ არავის რა უწერია. ვინც
ამ მონობისაგან იჩაგრებოდა და იღვენებოდა, იმათ წერა-კითხვა არ
იცოდენ და ვინც იცოდა ისინი კიდევ, აბა, რას დასწერდენ ამას
შესახებ. ისტორიულმა გარემოებამ ამ მონური წყობილების ამბები
ისე დაფარა რომ დღეს ბევრი არა ვიცით რა, გაივლის დრო, ჟამი
და იქმნება ამის მოსაგონად სულაც აღარაფერი გვქონდეს და არც
არავინ რა დაიჯერონ.

ქართველები სხვა რაში ვართ გამარჯვებულნი და მცდელნი,
რომ ამ საქმეში ვიყოთ მარჯვენი და მოხერხებულნი.

ამილახვრიანთ ამბავი და მათი ყმათა დარბევის საქმეები.

ძველად ვიდრე საქართველოს მეფობა იყო, მინამდისაც ამილახვრებს დიდი ხმა და გავლენა ჰქონდათ ქართლს მეფეზედ. ბატონი-შვილებზედ და სხვა მოწინავე სამეფო პირებზედაც. ესენი არავის ეპუეებოდნენ, თვით იყვნენ მეფენიც, მთავარნიც, დიდებულნიც და კანონმდებელნიც. რაც შეეხება მათ ყმებს, ამათვის იგინი იყვნენ ნამდვილი მგები, ანუ „ლახვარი“ როგორც ძველადგანვე იტყოდნენ ხოლმე მათი ყმანი, რომ „აი მოვიდა ლახვარო“.

ამილახვრები „ლახვარი“ იყვნენ არა მარტო თავიანთ ყმათათვის, არამედ სხვათა ყმათა და გლეხთათვისაც, მაგალითებრ, თვით სახელმწიფო და საეკლესიო გლეხთათვისაც, რაც შეეხება ხიზნებს და ოსებს, ამათთვისაც იგივე ლახვარი იყვნენ იგინი. ამათ გარეშე იგი არბევდნენ თვით საბატონო ყმა გლეხებსაც, როგორც თავადის ყმებს, ისევე აზნაურებისას. მათ გლეხთა და ყმათა დარბევა სულ უბრალო საქმეთ მიაჩნდათ. ოსებს და ხიზნებს ხომ პირში სულსა ხდიდნენ.

ამილახვრები ბოროტნი იყვნენ, ქართველ მეფეთა დროს მათი ბოროტება იყო წრეს გადასული, ხოლო ხშირად თვის ყმების დარბევას, მოტაცებას და გასყიდვას ისე აშკარად და ადვილად ვერ მისდევდნენ, როგორც სხვა საბატონო ყმებთა ქურდულათ ტაციობას, გასყიდვას და ათასიც სხვა ამგვარებს, რითაც სახელოვან იყო ეს გვარი ძველადვე. მათში ერთი და ხუთი კაცი თუ კარგი თვისებას იყო და მორიდებული თვის ყმათა დევნას, ჩაგვრას, დარბევას, წართმევას და სხვაც ასეთნი შრავალნი, მიტომაც მათ მაგიერ ასო და ორასიც მავნებელნი იყვნენ მათში, რომელნიც თავიანთ ბოროტებით მუსრავდნენ საქართველოს ერს და ლუპავდნენ თვით თავიანთ ყმებსაც თუმცა ამილახვრებს დიდი შეძლება და მამულ-დედულები ჰქონდათ, მაგრამ მათი რიცხვი იმოდენი იყო, რომ მათ ეს მამულები არა ჰყოფნიდა, ამიტომ თავიანთ ყმა გლეხებს პირში სულს ხუთავდნენ და აწიოკებდნენ ისე, რომ ჭათზე უსასტიკესი აღარა იქნებოდა-რა. თვის ყმებს და ხიზნებს ესენი ერთნაირად არბევდნენ, ეს

ხელობა მათ შეითვისეს იმ დღიდან, როცა მათ თავადისშვილობა იშოვეს. ამ დღიდან ესენი გახდნენ არამც თუ მარტოდ თავადები, არამედ ყმების ჭამია სვაეები და მასთან საქართველოს სასტიკი მოლაღატენიც.

ამათი ხელობა იყო უპირველესად მუქთათ ყოფნა, არ მუშავობა, მუდამ ჭამა, სმა-ჭეიჯები და მასთან მუდამ მდიდრათ ცხოვრება. ყველა ამის სახსარი იყო მათთვის მათ ყმათა შრომა და ამაგი. მაშინ თავით ფეხებამდის ყმა ამათი მსხვერპლი იყო, ამათი ზვარაკი, ამათი მონა სულით. ზორცათ და სხვაფრივათაც. ერთი სიტყვით, იგი მათი მონათ იყო თვით წყლის დაღვეითაც. თუმც მათ ყმანი ასე იყვნენ მათგან დაჯახნილნი, მაგრამ მათ მაინც მათი ნაღვაწი, ანუ ნებით მიცემული გადასახადი არა ჰყოფნიდათ, მათ ცხოვრებას არ აკმაყოფილებდა. ამიტომაც იგინი თავიანთ ყმებს ყოველთვის მუხივით დასდევდნენ უკან და არბევდნენ ყოველნაირის მხრით.

ამილახურიანთ მოძღვრება იყო ასეთი: ყმას ან უნდა ყძინოს, ან მუშავობდეს, ნაწლაგებზე ფეხს იდგავდეს და თვით ნამუშავეებს ბატონს აძღვედეს. იგი უნდა სჭამდეს ქატოს პურს, ფშვრიას, სიმინდს და ჭვავს, პური მათი საქმე არ არის. პური ჩვენ უნდა მოგვიტანონ. მათი ყოველი საქონელი და ფრინველი სულ ჩვენია, საქლავის ყოველი ხორცეულობა ჩვენ გვერგება, მათი მარტოდ ნაწლაგები არის და ხაში. ერთი სიტყვით, ჩვენი ყმა სულს იქით, ჩვენს მონად უნდა იყოს და ჩვენს ზვარაკად.

ამიტომაც ამილახურები დაეცემოდნენ თავიანთ ყმებს და არბევდნენ სასტიკათ. სტაცებდნენ შვილებს და უყიდნენ ოსმალ-სპარსელებზედ სულ უბრალო ფასად, ზოგს ლამაზ ქალებს თვით იტოვებდნენ სახლში, ამიტომ მათში გამრავლებულ იყვნენ ხასები და მასთან ნაბიჭვართა რიცხვიც ერთობ დიდი იყო.

ამილახურები დაეცემოდნენ თავიანთ ყმებს და პურის მოსავლის დროს, რასაც კი უნახავდენ კალოზიდ, ორმოში, ბელელში ან სხვაგან, ყოველივე ამაებს წაართმევდენ ისე, რომ ყმას აღარაფერი დარჩებოდა.

ხილის მოსავლის შემოსვლის დროს, გაუშინჯავდენ ვენახს და ყოველივე მოსავალს წაართმევდენ სრულიად, თითქმის ძარცვავდენ. ხილის დაღვეის შემდეგ, არც სხვა რამ მოსავალს არჩენდენ, ღვინო და არაყი ხომ სულ მათი იყო. რას უშვრებოდნენ მერე ამდენ განატაცს? სჭამდნენ უზომოთ და დანარჩენს თფილისში სომხის ვაჭრებზედ ჰყიდდენ.

ყმას თუ საქონელი ჰყვანდა სახლში, ან რამდენი ქათამი, მათ ისიც კი კარგად იცოდნენ, ღორის მონაგები თუ კამეჩის, ყოველთვის მათი ზვარაკი იყო. ყმას მარტო ერთ სულად რამეს დაუტოვებდნენ, დანარჩენი ყოველივე მათი გახლდათ. ამილახვარი ამით ისე ქებულნი იყვნენ, რომ ივინი არაფრით ჩამოუფარდებოდნენ ციციშვილებს, ერის-თაეებს და სხვა ასეთ თავადიშვილებს.

კადნიერნი იყვნენ იქამდის, რომ ესენი თავიანთ ყმებს თვით ქათმებსაც კი არ არჩენდნენ, სტაცებდნენ ყოველივეს—ქათმებს, ბატს, იხვს, ინდოურს და თვით კვერცხებსაც კი საბუდრიდამ. ამათიც თუ რამ მოდიოდა ყოველივე მათი იყო, ნამეტურ გოჭები. ერთი სიტყვით, ამილახვრიანთ ყმანი ყოველთვის ისე იყვნენ დასჯილნი, ისე გაძარ-ცულნი, რომ მასზედ უსასტიკესი სხვა აღარა იყო რა. ყმანი ყოველ-თვის დამონებულ დაკნინებული ჰყვანდათ.

ყოველი ყმის ოჯახი დარბეული იყო ამილახვართაგან, ანუ თავის მებატონისაგან. დარბეულნი იყვნენ ხშირად მითაც, რომ ესენი მათ ხშირად შეილგებსაც კი სტაცებდნენ, ზოგ ამათგანს სპარსეთში რეკავდნენ და ჰყიდდნენ, ზოგს ოსმალეთში, ლამაზ ქალებს კიდევ თვით ისვამდნენ ხასებათ, მერე ამათ ნაშობ შეილგებს თბილისის სო-მეხთა ვაჭრებზედ ჰყიდდნენ. ამილახვრებისათვის ყმის გლეხის ოჯახის დარბევა უბრალო საქმე იყო, სულ უმნიშვნელო რამ.

ამიტომაც ყმანი ყოველთვის სწყევლიდნენ ამ გვარის წევრთ, ყოველთვის ჰგმობდნენ მათ და დიდს შეჩვენებას უძღვნიდნენ. ამათი შეჩვენება იყო მუდამ მწარე ნაღველი, მწარე ცრემლი თვის ლატაკ ცხოვრების შესახებ და იმაზედაც, რომ ძლიერ ხშირად ივინი ისჯე-ბოდნენ უღვთოთ ამილახვრებისაგან.

ამიტომაც ძველიდგანვე ამილახვრიანთ შესახებ გლეხნი შაირე-ბით გამოსთქვამდნენ ხოლმე, სადაც მათ ბოროტსაქციელს და ყმობას ბოროტადაც მოიხსენიებდნენ, ასეთი შაირები ძველად ხალხში მრავა-ლად იყო გავრცელებული, სადღეისოდ კი იგი შემცირებულია. აი ეს შაირი თუ ლექსი მაინც მითხრეს ადრე, ქართლის ერთ სო-ფელში:

ამილახვრიანთ ყმობითა,
ფქვილი ვერ ჩავდგი გოდრიითა,
ვერც გავზარდე დეკეული,
ვერც კალო ვლეწე მოზვრითა.

ამ შაირის მთქმელი მოხუცი გახლდათ, თვით ამილახვრიანთ ნაყმევი. მან ბევრი რამ მიამბო ამ გვარის წინამდელ წევრთა შესახებ

რაც კი ცნობები მოვიყვანეთ, იგი სულ ამის ნაამბობი არის. აქ ესეც მე მოკლედ მოვიყვანე. ბევრი რამ არ მოგხსენიეთ, სამწუხაროდ რაც შეეხება ამილახერიანთ ზოგიერთ პირებს, თითო-ოროლა მათშიც იყო კეთილ სათნო ადამიანი, როგორც ივანე გივისძე, გენერალ ამილახვარი. კაცი პატიოსანი და გლეხთა ქომაგი, მაგრამ ასეთი პირნი მათ გვარში სანთლით საძებარი იყო.

იტყოდნენ ძველად მრავალი მოხუცებული ნაყმენი, რომ ამილახერიანთ გვარზე ბევრი ცოდვები სწევსო, მათ ქართველ გლეხების დატანჯვის საქმეებს, ღმერთი-არ შეარჩენსო, ყოველივე მოეკითხებითო.

ასეთ გამობას იწვევდა ყმებში ის სატანჯვავი გარემოება, რომ ამილახვრებში ზოგი ისეთი ბოროტი პირები იყვნენ, როგორც თადია ჩოლაყაშვილი ივრის ხეობაზედ. გურამიშვილი თათეოსი აეკალისკენ, ასევე ზაალ ციციშვილი ქართლს, აქვე ქსნისა და არაგვისა ერისთავები, როგორც მტანჯველნი ოსების და ამათსავე გვერდით იყვნენ ბარძიმ ერისთავა, ამისივე თანა მოსახლე ბარძიმ ამილახვარიც. რომელიც ბარძიმი კი არა, ყმების შრომის ფიალა და მეხი იყო. ეს იყო ისეთი ტირანი, რომელიც თავის ყმის დედაკაცებს თმებით ჰკიდებდა ხეზედ, ეს იყო ისეთი ტირანი, რომ სამართებლით სახეს უსწრავდა ზევით მოხუცებულთ ყმებს, ეს იყო ისეთი ბოროტი, რომ თვით ფეხის გულეზსაც კი უჭრიდა ყმებს, ზოგს აწიშვლებდა და სიციხეებში თუ სიცივეში კარში აბამდა ხეზედ, კალოში შებმა და მათი სახრით ცემაც ხომ, ხელობა იყო მისი. ერთ უბრალო საქმეზედ ჩსე აიშლებოდა, რომ აღარ იცოდა ყმა როგორ დაეტანჯა, როგორ ეწვალებინა.

სოფ. სამთავისში შემდეგი მიაბებს: ეს ბატონი ისეთი ბოროტი იყო, რომ იგი ყმის პატარა შვილებსაც კი სჯიდა და აწამებდა, რომ ბატონის შიშს ადრედანვე შეეჩვიონო, თორემ შეიძლება მერე ურჩობა დამიწყონო. ამიტომ თვით ქორთა ბავშვებსაც კი ეშინოდათ თურმე აქ ასპიტისა. ხდებოდა ისეც, რომ ზოგს ბავშს წიხლებ ქვეშაც გაიგდებდა, რამდენჯერ მომხდარა, რომ წიხლებ ქვეშ გდებულ ბავშვს თავისი დედა მიშველებია, ბატონს ფეხებში ჩავარდნია. კოცნა და ტირილი დაუწყვია, აპატივეო, მაგრამ მას არ შაუსმენია და თვით დედაც მიუტყუპია არამც თუ წიხლებით, არამედ სახრით და კომბლებით. ამისათვის სულ უბრალო მიზეზი კმაროდა: მაგ. ერთ ბავშვს მის ეზოში სამი ვარდი მოეგლიჯა და ამისათვის ისე დატანჯა ეს ბავშვი და მისი დედა, რომ მის მერე მათ სნეულებაც კი გაუჩნდათ, ასეთ სასჯელს როცა აყენებდა ეს ბატონი, მაშინ თურმე იგი სიხა-

რულისაგან სულ მალლა ხტოდა. სასჯელად იცოდა ყმათა ქალის თუ კაცის ორმოშიაც ჩაყრა და ზეიდან დახურვა რამე ფიცრებით, სადაც ჩაყარილნი სცდიდენ დიდს განსაცდელს, გაჭირებას, პური ჩუმათ მალევით უნდა მიეტანათ იქ ეყარნენ საცოდავთ, როცა ბატონი მოისურვებდა, მაშინ გაანთავისუფლებდა მათ. ორმოებს გარდა სხვა გვარი დაპატიმრებაც იცოდა სადმე ბოსელში გამომწყვდევა, ან ხეზე მიბმა. მათ ზოგს თოკებით შეჰკრავდა. შეკრულს არც ცემას მოაკლებდა, ამ დროს ბატონი სიამოვნებაში მოდიოდა, და თან უყვიროდა.

— კიდევ იტყვი რამეს, კიდევ იტყვი რამეს, კიდევ იტყვი. უარს, კიდევ გასწევ შენსკენ, კიდევ შემომაქცევ ზურგს.

ასე და ამ გვარად იცოდა გაცეცხლება ბატონმა იმ დროსაც კი, როცა მას ვინმე შინ აწყენინებდა. თავის ნათესავების ჯავრს სულ თავის ყმებზედ იყრიდა ხოლმეო, მითხრა სამთავისელმა გლეხმა: ასე იყო, ბატონის საქმე, ყმა დაბალი ღობე იყო და ბატონიც მიტომ ჩადიოდა ასე, ხომ მოგეხსენებათ დაბალ ღობეს ყველა ადვილად გადააღაჯებო.

ამის გარდა იცოდა პირველ რამე და რომელ ქალსაც-კი თვალს გადაავლებდა და მოეწონებოდა, იმას უსათუოდ ხელშიაც ჩაიგდებდა. სხვის ყმის ცოლებიც რომ მოსწონებოდა, არც იმის მოტაცებას შეუშინდებოდა, იმასაც მოატაცებინებდა თვით თავის ყმებს. ერთ ასეთ მოტაცებაში მეც კი ვერიეო. ამისთვის მას ხალხი ყოველთვის ქოქოლას აყრიდა და სწყევლიდა. მაინც დასაწყევლნი იყვნენ იგინი, ჩვენ დღესაც კი ვწყევლით მას, რადგანაც მისგან დარბეულები ვიყავით ყოველთვის, პირში სული არ გვედგა. ყმა მისგან ყოველთვის დარბეული იყო. იგი იმაზედაც კი ჯავრობდა ხოლმე, რომ ყმები მწყევლიანო. აბა. მაშ, მისი მაქებარი ვინ იქნებოდა!

II.

გატონუებე კახეთში.

მასალეი.

ბატონყმობა კახეთში

კახეთის მებატონე თავად-აზნაურები: გარსევან ქავჭავაძე—პოეტი
ალ. ქავჭავაძე, თად. ჩოლოყაშვილი. სხვა მებატონენი. შილდელი
გლეხნი გეგელაძეები და სხვა ცნობები.

ბატონყმობის ახალწ დროის საქმეები კახეთში ჩვენთვის უცნობია. ძველ დროში—კი, ანუ როცა ქართველთ მეთობა არსებობდა, ბატონს ყმის გაყიდვა, გოგოს მოტაცება და წართმევა ადვილად არ შეეძლო, რადგანაც განაყად—მოტაცებულის მამა, ან დედა მეფესთან ადვილად მიადწევდა, იჩივლებდა და ამ საქმისთვის მებატონეს მეფეც გაუწყობდა.

1780 წლებში, ერთმა ანდრონიკაშვილმა ერთი გლეხის ოჯახი დაიგო მოიტაცა, გოგოს შინ იმსახურებდა. აქ იგი გააუპატიურა და დააორსულა. შემდეგ ორსული ქალი ბატონმა ყმას დაუბრუნა სახლში. ეს საქციელი ყველას ეწყინა, პატიოსან ბატონებსაც და გლეხებსაც, საერთოდ საწყენი იყო მით უფრო, რომ მერე ბატონი ახლა სხვა გოგოს წაიყვანდა სახლში, ჯერ იმსახურებდა და მერე ნამუსს ახდიდა, ან თვით რა ან შვილი მისი, ან სხვა ვინმე ოჯახის წევრი. ამიტომ აღნიშნულ, დაორსულებულ გოგოს მამამ მეფე, გიორგისთან იჩივლა. მეფემ მოისმინა გლეხის საჩივარი და ქიზიყის მოტრავს მისწერა: გარდაეცი თუ ამა და ამ თავადის შვილს თქვენს სახლიკაცს, რომ ყმათა შვილების მოტაცვას თავი გაანებოს, თორემ ამოვალ მანდ და დედამიწის პირიდან ავგვი, გვაქრობ მთლად ოჯახიანად.

ასეთი იყო კახეთში ბატონყმობა ძველად. გარემოებაც ისეთი იყო აქ, რომ ყმაცა და ბატონიც ერთ ტაფაში იწოდენ და ამიტომ გლეხთა შვილების ტაცობა და დასყიდვა ისე არ იყო აქ გავრცელებული როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში. კახელ თავადებს ხელში მუდამ თოფი ეჭირათ და ლეკებისაგან თავს იცავდენ. ლეკიანობა ყველას შიშსა ჰკვირდა ბატონსაც და ყმასაც. ძლიერი ლეკები კახეთს ხშირად იკლიდენ, კახეთსვე ადვილად ევლინებოდნენ მტრად სპარსელი და სხვა თათრებიც. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ მთელი კახეთის გლეხკაცობა გმირებად გარდაიქცენ და დაედასა

და აზნაურს ისეთი ბოროტი თვისება არა ჰქონდათ, როგორც სხვაგან. მიტომაც მოხდა, რომ ქაზიყმა თავად-აზნაურობისაგან ძველადგანვე თავი იხსნა ბატონყმობა მოსპო, ადგილმამულის მფლობელობის წესები დაამკვიდრა და ამ სახით თავადი და აზნაური შეიერთა. ეს გარემოება და პირობები შეწყნარებულ იქმნა ქართველთ მეფეთაგანც. ასეთი წესებივე ბეყრად აღრე დამყარდა თუშ ფშავ ხევსურეთში. აქ არც თავადი იყო და არც აზნაური. ყველა მათგანი ერთგული იყო საქართველოს მეფისა, თავდადებული მეომარი და მშრომელი, ასევე მოხდებოდა კახეთშიაც, რომ ჩვენს სამეფოს თავის პირობებში არ შესცვლოდა და თავისუფალი არსებობა არ დაეკარგა. მაგრამ გარემოება შეიცვალა. მეფობა მოისპო. თავად-აზნაურნი კვლავ გაბატონდნენ. მათ მოეთხოვათ მთავრობის ერთგულება და ამის სანაცვლოდ გლეხებზე ყოველნაირი უფლება მიენიჭათ. XIX საუკუნის დამდეგიდან, ბატონებმა ისევ დაუწყეს გლეხთა შვილების ტაციობა, აქეთ-იქით წაყვანა და გასყიდვა. კახელ მებატონეთა ყმების ისტორიაც XIX საუკუნეში კარგად მდიდარია, ხოლო ჩვენ მისი ცნობები კი ერთობ მცირე გვაქვს, არავის არაფერი უწერია, არც რამე მთავრობის ქალაქდებია დაშთენილი, არც ყმებთაგან ბატონების საწინააღმდეგო საჩივრების ქალაქდები სჩანს. ერთის სიტყვით, ყოველივე მიმქროლებელია და აქ მებატონენი, XIX საუკუნის შემდეგიდამ, ყმებთა წინაშე ანგელოზებათ სჩანან. საქმე კი აქ ეს ასე არ გახდა. ბატონი ყმისთვის აქაც იგივე მტერი იყო, რაც საქართველოს დანარჩენ კუთხეში.

მებატონემ აქაც ისევე დაიწყო ნავარდობა, როგორც სხვაგან, აქაც ისევე ჰყიდდნენ გოგო-ბიჭებს, როგორც სხვაგან. მოტაცება, ყმათა ანიავება, დარბევა აქაც იგივე იყო და ამას ზედ ემატებოდა პირველი დამეგებიც, ყმათა ახალ ჯვარდაწერილ ცოლებზე.

რაკი ყოველივე დაემხო და დაიკარგა ასეთ საქმეთა შესახებ, რაკი ამისი არაფერი ქალაქდები გვაქვს, არაფერი ცნობები და აღარც ამის მომსწრები ძველი კაცი და დედაკაცები არიან, ამიტომ ზოგიერთებს კახელ მებატონეთა ბატონყმობა „მამაშვილობად“ გონიათ. მაგრამ ეს ასე არ გახლავსთ და გლეხ ყმათა დევნა აქაც, XIX საუკუნის შემდეგიდამ, იდევნებოდა თვით უდიდესი ოჯახის შვილებიდგან, ისეთი ოჯახებიდამ, როგორც იყო გარსევან ჭავჭავაძე, და მისი მომდევარი თადია ჩოლოყაშვილი. ამ ორ პირს კახეთში მეფური ძალა და გავლენა ჰქონდათ. კახეთის ნახევარა ამათ საკუთრებას შეადგენდა. თვით ასეთი პირობებიც—კი მტრობდნენ გლეხებს, თვით

ესენიც კი არბევდენ მათ და ამის დამშლელი მათ არავინ ჰყვანდნ, მთავრობა, პირიქით, მათ ამაში ხელსაც უწყობდა: ოდონდ ჩენი მფლობელობის ერთგულნი და გლეხებს რაც გენებოთ ის უქენითო. ხშირად გლეხებს არც მთავრობა სტოვებდა ხელშეუხებლად. კახელი გლეხკაცობა ბატონის რბევას და მონებას იმ სახით ჩვეული არ იყო, როგორც ეს XIX საუკუნის შემდეგიდამ შამოვიდა ძალაში და, ანტი-ტომ, იგინი ერთსა და იმავე დროს ბატონის წინააღმდეგიც იყვნენ და მთავრობისაც. კახელმა გლეხკაცობამ მრავალჯერ აიწია თავი ბოროტების წინააღმდეგ და ბრძოლის ასპარეზზედ გამოვიდა თავის პიროვნების დასაცველად ორი მტრის წინაშე. ეს ორი მტერი იყო მთავრობა და თავადაზნაურობა.

I.

XIX საუკუნის შემდეგიდამ, კახეთში, ყმათა დევნაში ყველაზე მეტათ თავი ისახელეს გარსევან ჭავჭავაძემ, მისმა შვილმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ცნობილმა პოეტმა და თადია ჩოლოყაშვილმა. რაც ამათ შესახებ ვიცით და შეგვიკრებია, იმას აქ მოვიყვანთ და აქედამ კარგად გამოსჩნდება ის რომ თუ ეს უდიდესი სოსიაშვილები ასეთი ტაციები იყვნენ, სხვები რალა იქნებოდენ, რომელთაც მაგოდენა მონამა ბედი ჰქონდათ და არც გონებით იყვნენ დაწინაურებულნი.

გარსევან ჭავჭავაძე დიდი მოტრფიალე იყო მამულების შექენისა. მან ბევრ გლეხს მოსტაცა მამული იგი არამც თუ არბევდა გლეხებს, არამედ თვით თავად აზნაურებსაც, როგორც მაგალითად, წაართვა მამულები ანდრონიკაშვილებს. მამის სენი შვილსაც გადაედო და ესეც მრავლად იტაცებდა მამულს, არა მარტო ყმებს არამედ მათ შვილებსაც კი. ასეთივე ეყოლა ამათვე მეგვარე სახლიკაცი გულბაათ ჭავჭავაძე, კაცი თავის დროს კაი შეძლებისა ბევრი ყმების პატრონი. ეს ზოგიერთი მებატონისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ იგი თავის ოჯახში იხმოზდა იმერეთიდგან გამოპარულ, ანუ ბატონისაგან დევნილ ყმებს და თვით უწევდა მფარველობას. გულბაათი ისეთი ოსტატი იყო ამ საქმეში, რომ მარტოდ იმერეთიდგან გამოქცეული რამდენიმე ასი კაცი ჰყვანდა მოკედლებული და მითვისებული, რომელიც, რასაკვირველია, მფარველობასაც უწევდა, და თან კარგადაც ამუშავებდა.

ამბვათ არის დარჩენილი, რომ ამ ბატონთან იმერეთიდგან, ერთთ თავადისშვილი გახდა, ამას გაეგო რომ ჩემი ყმები გულბაათან არიან

კახეთში და გვემტერებიანო. იმერელმა მებატონემ შეხვედრისას ჰკითხა:

- შენა ხარ გულბათი?
- კი მიუგო გულბათმა.
- შენთან არის ესა და ეს გლეხი მსახურად?
- კი.
- იგი ჩემი ყმა არის.
- კი!
- რათ აგიყვანია შენ გამოქცეული კაცი!
- კი.
- რა გაქვს მისაცემი ჯამაგირი?
- კი.
- შე უნდა მომცე მისი ჯამაგირი.
- კი.

— ეს ველარ მოითმინა იმერელმა მებატონემ და შეჰყვირა: შე სპარსელო თათარო, ვის იგდებ მასხარათაო და სატევარზედაც ხელი მოიკიდა.

გულბათმა ბატონი დაამშვიდა.

ეს აქ მე მაგალითად მოვიყვანე. გულბათს ყმებას გამო ბევრი ამისთანა საქმეები გადახედნია, ეს ქვეყანა უჭამნია, უსვამს და გაუვლია თვისი სიცოცხლე რომ ჰამა სმის მეტი სხვა არა გაუკეთებია რა. ამის მოქმედება ყმებზედ გავლენიანი ყოფილა, მისი ისე ეშინოდათ როგორც მეფის.

მისი სახლიკაცი გარსევანიც ასეთი იყო, გარსევანის შვილია გაბლავსთ ალექსანდრე ჰავჭავაძე. ჩვენში კარგად ცნობილი პოეტი დაბადებული 1793 წ. მონათლული ეკატერინე იმპერატრიცასაგან, ფრანკოზების პანსიონში გაზრდილი. მწიგნობარი, მთარგმნელი ლექსის „მდაბალთ ჩაგვრით მტაცებლობით და ხვეჭით“. ერთ დროს დიდი მებრძოლი რუსთა წინააღმდეგ, თანამოაზრე ალექსანდრე ბატონიშვილის, საქართველოს რუსებისაგან განთავისუფლების საქმეში. შემდეგ დროში გენერალი, სიმამრი გრიბოედოვისა და ცნობილი პირი ლექსებით, გვარით, მამულისშვილობით და შეძლებით. ამის შესახებ ვილაპარაკებ თვით მისის ყმებისა და ნაცნობების პირით.

ალ. ჰავჭავაძეც მამის მსგავსად მამულების შეძენის მოტრფილად იყო. მან ბევრი გლეხის მამული შაიძინა წართმევით. თავის მამულში მუდამ სულ სხვა და სხვა ყმის შვილებს ანუშავებდა. მუშაობის დროს ყმებს პურს არ აჭმევდა, პურიც თავიანთი უნდა ჰქონი-

ყოსთ გლეხებს. ერთ დღეს, ცხარე მუშაობის დროს, ერთმა გლეხმა დაიწყო სიმღერა:

„ბატონო ალექსანდრე,
ზერის ღვინო დაგვალევენე,
გინდა იყვეს ბადაგია:
თქვენც კარგათ მოგეხსენებათ,
ჩვენი ნაწვავ-ნადაგია“.

ეს ლექსი სრული არ არის, ნათქვამია თვით ალ. ჭავჭავაძის ყმის ისაკა მაისურაძისაგან. მაისურაძე ხნიერი კაცი იყო და კარგათ ახსოვდა ალ. ჭავჭავაძე. ესა და ყმის შვილი აბრამა ხუციშვილი ალ. ჭავჭავაძეს კახეთიდან ტფილისში ჩამოუყვანია 1840 წელს.

ბატონმა გლეხის სიმღერას ყურადღება მიაქცია და ყმას ჰკითხა: რა გინდაო? ყმა მითუგო: ბატონო, ვინოცებით მუშაობით, მკლავი აღარ გვერჩის და ფეხი, თქვენ კი ღვინო ბევრი გაქვსთ. გვასვით ცოტაოდენი, რომ მუხლებში ჯანი მოგვეცესო. თუ ჯანსალათ ვიქნებით, მაშინ უფრო კარგათ ვიმუშავებთ: მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ნაშრომი და ჩვენი ნაწვავ-ნადაგია ყოველივე ის, რაც თქვენა გაქვსთო.

ბატონმა ბრძანა ღვინის მიცემაო.

II

თავ. ალ. ჭავჭავაძემ, მთაწმინდისკენ, ერთ ქუჩაზედ დიდი შენობის კეთება დაიწყო. შემდეგ დროს ამ ქუჩასაც ჭავჭავაძის ქუჩა ეწოდება, დღესაც ისევეა. ალ. ჭავჭავაძის სახლის ალაგას დღეს გამოჭიმულია ერთი მდიდარი ბაქოელ სომხის უზარ-მაზარი სახლი.

როცა ალ. ჭავჭავაძემ, 1873 წ. ამ სახლის კეთება დაიწყო, მაშინ მან, კალატოზების და დურგლებისათვის დღიურ მაშველ მუშებათ კახეთიდან თავისი ყმები ჩამორეკა და ამათ ამუშავებდა. მაშინ ტფილისში ციება ხშირად იცოდა და ნამეტნავად ვერასა და დიდუბეში. ტფილისში მყოფ ყმა-მუშებს დასაძინებელი ოთახი არ ჰქონდათ. მუშაობის შემდეგ, ისინი ვერისკენ, ერთ ალაგას ცარიელ მიწაზედ, ცის ქვეშ ეყარნენ და ღამეს იქ ათევდნენ. ამით, რასაკვირველია, ბევრი დასნეულდა მათში, ზოგს ციება დააწყებინა, ზოგს ცხელება. ზოგი მოკვდა კიდევ, მაგრამ ბატონმა მაინც ყური არ შეიბერტყა.

ალ. ჭავჭავაძეს ყმები იმდენი ჰყვანდა, რომ მათი რიცხვი და სახე თვითაც არ იცოდა და არც ყმებმა იცოდენ ბატონის სახე.

ზოგს თვალითაც არ ენახა. ერთ ღღეს, შენობაზედ მივიდა ალ. ჭავჭავაძე და ხელოსნების მუშაობას თავს ადგა და უყურებდა. იქმდგომი ბატონი ზოგმა ყმათაგანმა ვერც კი იცნო, რადგანაც მათ მისი ცნობა არ აქენდათ. ამ დროს, ერთმა ყმა-მუშათაგანმა, რომელსაც აციებდა და აცხელებდა, ყვირილი დაიწყო:

— ოჰ! ღმერთო, ნეტა ამ ცეცხლს კი მოვრჩე და რაც შემეძლება იმას გადავიხდი სამაგიეროდ, დავიტანჯე, მოვკვდი კაცი!

ავადმყოფ ყმის სიტყვები ალ. ჭავჭავაძემ გაიგონა, ამან მაშინათვე ყმას დაუძახა, ყმა მივიდა მასთან და ბატონი ვერ იცნო, ვერც იცნობდა რადგანაც მას ეს თვალითაც არ ენახა, მას ბატონის მოურავი ეგონა. ალ. ჭავჭავაძემ უთხრა:

— რას მისცემ შენს ბატონს, რომ მე მოგიხერხო და არამც თუ აქედან, არამედ ბატონ-ყმობიდანაც გაგანთავისუფლოს?

— შენი ჭირიმე, თუ კი ამას მომიხერხებთ და ყმობიდან გამანთავისუფლებთ, რაც გენებოსთ, იმას მივართმევ.

— რას მისცემ მაინც, რომ ბატონს ასე უთხრა.

— რაც გენებოსთ, მიზრძანეთ ბატონო და იმდენს მოგართმევთ. — ამ სიტყვის შემდეგ ალ. ჭავჭავაძემ ყმა თავისკენ მიიხმო, მარტოდ მოელაპარაკა, ზამოჭკითხა ცნობები, თუ საიდან უნდა მოსცე ფულიო. ან სადა გაქვსო. გლეხმა უამბო, რომ ჩვენ ადრე გზაში რამდენიმე ვიშოვნეთ, ზოგი ვიპოვნეთ, ყველა იგინი ერთად მოგროვილი გვაქვსო. ბატონმა ჰკითხა თუ მაინც რას მისცემ ბატონსაო. გლეხმა მიუგო:

— თუ ამას მომიხერხებთ და მიშველით, მე შენი ჭირიმე, ხუთას თუმანს მივართმევ. ბატონს გაუკვირდა და სინარულით გაოცდა, რადგანც ამ დროს, მას შენობისათვის ფული უჭირდა. ამან უთხრა:

— შევიდასი მიეცი, ხუთასი თუმანი ცოტა არის. ნაკლებ არ იქმნება. გლეხი-ყმა დასთანხმდა და საქმე გარიგდა. ეს გლეხი გახლდათ სოფ. შილდის მცხოვრები გვარად ცეცხლაძე. ამ გვარის წევრნი რამდენიმე კომლი სცხოვრობდნენ შილდას, ვგონებთ, ძველად იმე რეთილამ გადმოსახლებულნი.

ყმადა და ბატონმა პირობა შეკრეს. ყმა ცეცხლაძე მალე წავიდა კახეთში, შევიდასი თუმნის ვერცხლი ჩაყარეს სკივრში, დაუღეს ურემს, თან ნათესავი ცეცხლაძეებიც გამოიყოლა და ორი კვირის განმავლობაში, ბატონს კარზედ ყმა შევიდასი თუმანი ურმით მოაყენა. ამათ მალე აცნობეს მოურავს ამბავი, მოურავი ბატონად აღმოჩნდა, გლეხები შეშინდნენ ამაზედ, მაგრამ საქმე შიშით არ გაგრძელ-

და. მალე შეუტანეს სკივრით შვიდასი თუმანი და გადასცეს ბატონს. ბატონმა სკივრს ახადა, ნახა ფული, დაითვალა და გაჰკვირდა. ყმებს ჰკითხა თურმე—თქვენც დაგროხათ რამეო. ყმებმა მიუგეს: ერთი მაგდენიო. ამის შემდეგ ალ. ჭავჭავაძემ გლეხი ცეცხლადე თავის სახლი-კაცებიანათ გაათავისუფლა და ამისათვის განთავისუფლების მოწმობაც მისცა.

ყმა გლეხნი მალე შილდას დაბრუნდნენ, მაგრამ შემდეგ დიდი უბედურება ეწვიათ. ერთ ახლად განთავისუფლებულ ოჯახს, რაღაც სენი დაერია, ვკონებთ, ტფილისიდან სახადი მოჰყვათ და სულ ამიწყდა.

გამიგონია: ალექსანდრე ჭავჭავაძემ ფულის გულისთვის რამდენიმე გლეხი გაანთავისუფლაო, ეს კაი საქმე უყო, ხოლო ფულს კი ბევრს იღებდაო. ყმების ჩუქებაც იცოდა აქა იქ, და გაცემაცაო. ჭავჭავაძიანი ოჯახი ძველთაგანვე ბატონ-ყმობის დიდი დამცველი იყო. იგინი ყმებს აწვალებდნენ, და ხშირად არბევდნენ კიდევ, ნამეტნავად გარსევან ჭავჭავაძე იყო ბოროტი და სასტიკი კაცი. იმისა და მისი შვილისაგან წართმეულ მამულებს რიცხვი არა ჰქონდა. მთელმა კახეთმა იცოდა, რომ დიდი ბატონი ჭავჭავაძე დიდი ყმა და მამულის პატრონი იყო და დიდი ბრძანებისაც. ბევრი ყმის შვილები დააპნიეს ფეშქაშათ რუსის მოხელეებზე და მოქალაქეებზე.

სხვა და სხვა ცნობების მოყვანა აქ საჭირო არ არის, რაც მოვიყვანეთ, ვკონებთ, ისიც კმარა ამის დასატმკიცებლად რომ თუ ალექსანდრე ჭავჭავაძეც კი ასეთის შეხედულებისა და ხასიათისა იყო აბა სხვა ბოროტებაც სუფევდა. სათქმელია ისიც, რომ კახელ მებატონეებს ადგილ მდებარეობათა პირობები, ნებას არ აძლევდა ყმებს გაეყიდნათ თათრებზედ და ლეკებზედ, მიტომ მის ნაცვლად, მათ იცოდნენ ყმათა ცოლების პირველი ღამე. ყმათა შვილების ტფილისში დასყიდვა სომხებზე. სომხებს რასაკვირველია ნაყირი ყმები იქით მიჰყვანდათ, საითაც მათი სურვილი იყო. უნდა ვსთქვათ, რომ თვით ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობშიც“ კახელ ბატონებსა და ყმებზეა დამოკიდებული, როგორც გამიგონია ეს ამბებიც კახეთში მომხდარა.

III.

გაბრუნებულა სეფილიზმი.

მასალა.

ბატონყმობა სამუვილდეს (სომხითი) სამხრეთ-სა- ქართველოში და ორბელიანთ გვარის საქმენი.

(ნაამბობი ორბელიანთ ნამოურაფების დ. ამერიძისა; ზ. ამირაღო-
ვისა, „ცისკრის“ რედაქტორის ივანე კერესელიძის და სხვათაგან).

ზოგნი იტყვიან და იტყოდენ ადრე, რომ ორბელიანთ გვარის წიგნი ისეთი ბატონები არ იყვნენ, როგორც სხვებიო. ამათში ძველ-
თაგანვე სჩანან ბრძენი კაცები, მწიგნობარნი, სამეფო სარდალნი და
სხვა ისეთნი, რომელთა გამო ეს გვარი ქებული უნდა იყოსო. დიახ,
ეს ასეა და მეც მოგახსენებთ, რომ ეს გვარბ ისტორიულად ღირსი
გვარია. ამათგან შესანიშნავი იყვნენ: ისტორიკოი პაპუნა ორბე-
ლიანი, ცნობილი საბა-სულხან ორბელიანი, ჯაბუა ორბელიანი, იოანე
ორბელიანი, მთარგმნელი პროკლე ფალოსოვოსის „კავშირის“-ა, და-
ვით ორბელიანი, მთარგმნელი „ყარამანიანის“, ბიგლარ ორბელიანი
შელექსე და ბრავალიც სხვანი, თვით XIX საუკუნის პირველ ხარისხო-
ვანი პოეტები გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები და, მათ შემდეგ,
შესაშე ხარისხის პოეტი გიორგი ორბელიანი და სხვანიც. ამ გვარში
ქებული ყოფილან თვით ქალებიც. ერთი მათგანი არის ცნობილი
მოღვაწე ქალი მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანისა. რასაკვირვე-
ლია ეს ცნობებიც კმარა ვსთქვათ, რომ ეს გვარი მართლაც რომ
ისტორიული და შესანიშნავი გვარია*).

მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ როდესაც ამდენი რიგიანი პირები
მოითვლებიან იქ, მათ გვერდით, იყვნენ უვარგისნი და ისეთნიც, რომ-
მელნიც ხშირად ზემოხსენებულ სახელოვან კაცებს ჩრდილს აყენებენ.
ზომ მოგეხსენებათ „გვარში ერთი მახინჯი არ დაიღვეაო“, სადაც
კარგი იყო, იქ ავიც იყო, სადაც კეთილი იყო, იქ ბოროტიც არსე-
ბობდა, უამისობას ვერავინ იტყვის და მით უფრო ჩვენ, როცა სამხ-
რეთ საქართველოს სოფლების და ხალხის მოსპობას ვეხებით. აქ
ხალხის მოსპობას საქმეში თუ მოქმედებდა ბარათაანთ მახვილი, ნა-
კლები ცუდი დღე არც ორბელიანებს დაუყენებიათ. ამას ჩვენ მით-

* 1850 წლიდან ორბელიანებმა ყმობის დევნა და სასჯელი შეამცირეს, ვკო-
ვებთ გრიგოლ ორბელიანის რჩევით: ზ. კ.

უფრო ვამბობთ, რომ ხსენებულ სოფლებში ორბელიანის გვარის წევრნი, როგორც მეფეთა ნათესავნი, უფრო ძლიერი მებატონენი იყვნენ, ვიდრე ბარათაშვილები. ამიტომ სამხრეთ (სომხეთი) საქართველოს ქართველთა მოსპობის საქმეში ამათაც დიდი ადგილა უნდა მიეცეთ.

ამ კუთხეში რაც ბარათაანთ ჰქონდათ, სამი ამდენი ამ გვარის წევრთა საკუთრებას შეადგენდა. ამათ, თითქმის, მთელი სამეფო ჰქონდათ, სადაც ასეთი მძლავრი მებატონენი იყვნენ, უეჭველია, იქ მათში მონობის მომხრენიც ბევრი იქნებოდა. ამ გვარის ბევრი წევრიც ისევე იქცეოდა, როგორც ბარათაანი. ამათგანაც ისევე მირობდნენ ყმა-გლეხნი და ყოველივე მათი მამულები ამ მებატონეებს რჩებოდათ უფასურად. იგინი ერთის მხრით ყმებს ჰკარგავდნენ და მეორეს მხრით მათ მამულებს თვით იძენდნენ, მათი საზღვრები ფართოვდებოდა.

XVIII საუკ. მეფე ერეკლეს დროს, ორბელიანთა ოჯახები ქებულნი იყვნენ. ისინი სცხოვრებდნენ ქალაქ თბილისის ძველი გალავნის მახლობლივ და ამიტომ მთელ ამათ საცხოვრებელ უბნებს გარეთ უბანი ერქვა. თითო ოჯახი შესდგებოდა 40 სულისაგან. და მათ ზოგნი „სარდლიანთ“ უწოდებდნენ და ზოგნიც სხვა ასეთ სამეფო თანამდებობის აღმნიშვნელ სახელებს. მრავლად სცხოვრობდნენ თბილისში ამ გვარის წევრნი, რომ მათის მამულებით და ბეღლებით საესე იყო მთელი თბილისის ქუჩები.

თბილისშიაც და სამშვილდესაც ამ გვარის წევრთა რიცხვი დიდბ იყო თვით მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს და მის შემდეგ 40 წლამდე.

ამ გვარის წევრნი რომ წინეთაც და შემდეგაც თბილისში ერთობ დიდი რიცხვი იყო, ამას ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ მათ ძველიდგანვე თბილისში ჰქონდათ თავიანთი საგვარეულო საკუთარი ეკლესიაც კი. ჰყვანდათ თავიანთ საკუთარი სასახლის რამდენიმე მღვდელი. ერთი მღვდელი მათ წევრს მგზავრობის დროს აქეთ იქით დასდივდა და ეკლესიასაც კარვით მართავდა და სწირავდა იქ, სადაც საჭირო იყო. ამ გვარის საკუთარი სახლის ეკლესია გარეთ უბანს დღესაც არის, თუმცა ამ გარეთ უბანს ამ გვარის წევრთა სახლებიც ხომ დიდი ხანია რაც დაიყიდა და მათ ჰვლობენ სულ სხვა ტომის ხალხნი, ამ გარემოების თვით პოეტი გრიგოლ ორბელიანიც მწარედ აღნიშნავს ერთს თავის წერილებში.

პოეტს გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს სამშვილდეში ჰქონდა იმდენი მამული, რომ მის გამოთ ათი მოურავი ჰყვანდა, წლიური

შემოსავალი 74 ათასი მანეთი ჰქონდა. მისი მამულების თავი და ბოლო კაცმა არ იცოდა. მთელ ამ მამულებზეც, ძველად ესახლენ სულ მათივე ყმა ქართველ გლეხნი, მაგრამ იგინი უამთა ვითარების წყალობით ზოგი გარეშე მტერთა თავ-დასხმის შიშით და ზოგიც ამ რიცხვ მრავლთ ბატონთა მახვილის ძალოვნებით და უსამართლობით, სულ აქეთ იქით გადიხვეწნენ და მათი მამულები—კი სულ ამ პოეტის წინაპრებს შერჩათ საკუთრებათ. ცარიელ ნასოფლარებში მეორე ამ პირებს მოჰყვანდათ სომხები და თათრები და ასახლებდნენ ამათ.

პოეტს ვახტანგ ორბელიანს ჰქონდა იმოდენი მამულები, რომ ნას, მისი მოვლის თავიც არ ჰქონდა, ამისი მამულები მთელს სამეფოს წარმოადგენდა.

ალექსანდრე ორბელიანს, ვახტანგის ძმის ცნობით ქართველ მწერალს, რომლის დრამა „დავით აღმაშენებელი“ და ტრადედია: „მეფე ირაკლი პიროველის დრო“ და სხვა ნაწარები ცალკე წიგნათ გამოვეცი 1879 წ. და შემდეგაც. თვით ამ ქართველების ცნობით მოყვარესაც ჰქონდა იმდენი მ. მული, რომ მან მათი თავი და ბოლო არ იცოდა. ამათ მამას დიმიტრი ორბელიანსაც, მთავარ მართებლის ბარიატინსკის სიმამრს—დიდ ძალი მამული ჰქონდა. ამაზე ექვი არ უნდა ვიქონიოთ, რადგანაც ამათი დედა იყო მეფე ერეკლეს ქალი თეკლე ბატონიშვილისა და მამასადამე, ბატონის ქალს ცხადია, თავის შესაფარი მამულებიც ექნებოდათ. ამ გვარის წევრთა შემძლებლობის შესახებ ჩვენ მარტოდ ეს სამი მწერალი პირნი დავსახელებთ, დავასახელებთ ისეთნი, რომელთაც ქართველი ერის მდგომარეობასთან რამე მწერლობით კავშირი ჰქონდათ იგინი ხშირად სწავლდნენ და ქართველ ერზე და მასთან ჰგოდებდნენ კიდევ.

ჩვენ სხვებს არ ვეხებით, არ ვახსენებთ, თუმცა მათში მრავლად იყვნენ ისეთნიც, რომელთაც ზემოხსენებულ—პირებზე უფრო მეტი მამულები ჰქონდათ სამშვილდეში, თუმცა სადღეისოდ მათ ეს ვერ მოიხმარეს და ყოველივე ისე წაუვიდათ ხელიდამ, რომ თვით თავიანთი ძველი ტაძრები და მამა პაპათა საფლავებიც კი სხვებს მიჰყიდეს.

აქ საქმე და კითხვა შეეხება იმ გარემოებას, რომ ყველა ეს მამულ-დედული მებატონეებს ძალით ჩაუგდიათ ხელში და ისე ავიწროებდნენ თავის ყმებს, რომ ქართველი გლეხობა მთლათ მოსპობილა და ყოველივე გამქრალა, მათ მოსაგონრად ამ ადგილებში დარჩენილა მარტო ეკლესიები. საქმე ისე ეწყობა რომ დღეს ეს კუთხე ქართველ ერს სამუდამოთ ერთმევა ხელიდამ, იქ იკარგება ქართველთ ხსენება და იგი ხდება სომხების საკუთრებათ.

ეს წერილი აქ მიტომ მოვიყვანეთ, რომ შკითხველმა იცოდნენ კარგად ის გარემოება, რომ ამ პირების ამოდელა მამულები შექმნოდა არა მათის რაიმე კეთილი მოქმედებით, არამედ ამ უწყდენელ სივრცეზე მათის ყმების მოსპობით, მათის გაქცევით, ამოწყვეტით, მებატონეთა მახვილისა, და მათრახის მეოხებით. ამ მებატონეთა წევრთ თავიანთი ყმების დევნა და დაჩაგვრა ისევე სცოდნიათ, როგორც მათ მონათესავე სხვა მებატონეებს. ამათშიაც ყოფილან პირველი ღამის მოტრფილენი ყმების დამსყიდვენი და მტანჯველნი.

ჩვენ მოვიყვანთ აქ იმ ცნობებს რაც-კი ვიცით ამ გვარის ზოგი ერთ წევრთა შესახებ. ისიც საკმარისია ვიცოდეთ, რომ სადაც ერთი და ორი ასეთი პირი მოიპოვებოდა, იქ მათ გვერდით, მათსავე ოჯახებში მათივე საქმის მიმბაძველი მრავლად იქნებოდნენ, ამას ფიქრი არ უნდა, ასეთ პირთა ცხოვრებიდამ ვინ იცის რამდენი ძვირფასი ცნობა არის დაკარგული, რამდენი ცრემლი ყმათა, რამდენი სისხლი, რამდენი ვაება მათი, ვინაიდან ქართველი გლეხიც ერთობ იშვიათად სთმობდა თავის მიწა-მ. გულს, თავის კარ-მიდამოს თავის შამა-პაპათა საფლავებს და თუ არ დიდის გაჭირებით, ის სხვაგან არსად წავიდოდა, არ გადასახლდებოდა.

ცხადია, რომ როგორც ბარათაანთ ადგილებში, ისევე ამ მებატონეთა სამფლობელოში მათ ყმებს ჰქონდათ ამათგან ცხოვრება გაჭირვებული და ესენი ისე იყვნენ მონობისაგან შევიწროებულნი, რომ სთმობდნენ ყოველივეს ბატონის საკუთრებათ და თვით კი ჩუმაძ მირობოდნენ აქეთ იქით, რომ მით ეხსნათ თავი მათის სურვილისა და მონებისაგან.

1835 წლის შემდგომ კოდა და ბოგვისკენ, ანუ ალგეთის ხეობაზე მოსავალმა იკლო, ამიტომ გლეხებმა ბატონის ხარკის გადახდა დროზედ ვერ შესძლეს ნამეტურ ხარჯის გაღება გაუჭირდნენ კოდელეებს. 1840 წელს ყველა ორბელიანებმა პირი შეკრეს, რომ ყმებისაგან ხაკი უსათუოდ უნდა ავიდოთო, ამიტომ ილია და ზაქარია ორბელიანის მოურავმა კოდელები ძალიან შეაწუხა. გაჯავრებული გლეხები ეუბნებოდნენ მოურავს:

„კაცო, ხომ მშიერები არ დავიხოცებით, მოსავალი არ იყო და რა მოგცეთ. ხომ არ დაგვახრჩობთ, ხომ უყურებთ იმდენიც არ არის მოსავალი, რომ მეველე გავისტუმროთ და ჩვენთვის სათესლეთ შევინახოთ, რა უბედურება არის, ჩვენი ბატონია, ღმერთი ხომ არ არისო.“

მოურავმა რა ნახა რომ მოსავალი არ ჰქონდათ, შინაური საქონლის წართმევა დაუწყო, ქვაბის, ჯამის, სულადი საქონლის, ფრინ-

ველის და ასეთების, ამ გარემოებამ გამოიწვია დიდი უსიამოვნება, მოურავი სასტიკათ ექცეოდა გლეხებს, ეს სისასტიკე გლეხებმა ვერ დასთმეს და მოურავს კარგად სცემეს. აი ამაზედაც უთქვამთ მებატონეებს, რომ **ჩვენი ყმა მოურავის, ცემა ჩვენი ყმებისაგან თვით ჩვენი ცემა არისო**, ეს ცემა ორბელიანებმა გლეხ-ყმებს არ აპატიეს, არც მათ გაჭირებას მიხედეს, ზაქარია და ილია ორბელიანის ბრძანებით, ყველა მოწინააღმდეგენი ქალაქში ჩამორეკეს და თითო კაცს 100 როზგი დაარტყეს. მერე აიკლეს და ყოველივე გადაახდევინეს, რამაც ეს ყმანი შემდეგ წლებში უფრო დაამშია და შეაწუხა.

თ. ალექსანდრე ორბელიანის მამულები დარჩა მის შვილი შვილს გენო ქობულავს, რომელმაც ქართველ გლეხებს ზედაც არ შეხედა და ეს მამულები სულ სომხებს მიჰყიდა. პოეტი ვახტანგ ორბელიანის მამულებიც მისმა შვილებმა, სულ სხვებზედ დაყიდეს. ამათ შესახებ გაზეთებშიც სწერეს ცნობები. პოეტის გრ. ორბელიანის მამულებიც სულ დაყიდეს უცხოელებზედ. ასე და ამ გვარად გათავდა ამ გვარის ფლობის საქმე სამშვილდეს. სამშვილდის ქართველ გლეხნი დიდათ ემდურებიან ამ მებატონეებს ასეთ უდიერობაზედ.

როგორც სხვა მებატონეთა შვილები, ისევე ორბელიანთ გვარშიც იყვნენ ი ეთნი რომელნიც მისდევდნენ პარკელ ღამის საქმეს. ასეთი მებატონენი მათში მრავლად იყვნენ ძველად და თვით XIX საუკუნის შემდეგაც. სამწუხაროდ ასეთ პირთა ცნობ ბი დაკარგული არის, აღარავის არ ახსოვს, ესეც იმათ ნაყმევ მოხუცებულებ საგან არის ნაამბობი. ჩვენთვის ესეც კმარა, ორიოდ ცნობაც გვეყოფა მის გასაცნობად, თუ რა უნდა ყოფილიყვნენ ამ გვარის უმრავლესობა ჯერ ახალგაზრდობის შემდეგ დაიწერება უმრავლესობა. ახალგაზრდობა იმ დროს როცა მათ ძალა შესწევდათ, გაბგეობის უფლება ჰქონდათ და თავის ყ ებზედაც ნავარდობდნენ.

ყაფლან ორბელიანი, დაბადებული XIX საუკ. დამდეგს, დიდი ყმა და მამულის პატრონი, ტანზე სპარსულ კაბას ისხადდა, წვერს და თითებს ინით იღებავდა, იყო სახლობის პატრონი და მასთან უშვილო. იღვა ორბელიანთ ქუჩაში, თავის საკუთარ სახლში, ამ პირმა იცოდა ახალგაზრდობიდან დიდი ქეიფები და ყმათა ქალების პირველი ღამე იტყოდნენ ყაფლანი პირველი ღამის მუსისი იყოვო. ეს ბატონი როდესაც ნახავდა თავის ყმებში ღამაზ გოგოს, ძნელად რომ ის ამას გადაურჩებოდა. ამისაგან ასეთი საქმეები მრავლად მომხდარა თავის საყმოთა გლეხებში.

ილია ორბელიანი. ძმა პოეტისა, რომლის ლექებში ტყვეთ ჩავარდნის გამო, ნ. ბარათაშვილს დაუწერია თავისი ლექსი „მერანი“.

სამხედრო პირი, დიდი ყმა და მამულის პატრონი, მეტად მიმდევარი პირველი ლამის, ძნელად რომ ამ პირს თავის დროს, ყაფლანი ან სხვა მებატონე შესდარებოდა. პირველ ლამის ოსტატობით იგი დიდათ იყო გართული ბებუთაშვილებთან, რადგანაც ამ პირის შესახებ „პირველ ლამის აღწერაში“ გვაქვს საუბარი, ამიტომ აქ აღიარას ვამბობთ და ასე მოკლ დ ვსჯით.

ზაქარია ორბელიანი. ყოფილი მიმდევარი ამხვე პირველი ლამის საქმეების და ამისთვის მას ბევრი დავა დაჩაბაც გამოუვლია ხოლმე.

ყმების გასყიდვა-გაოსყიდვა, დაგირაგებას, დარბევას, დაჩაგვრას ამ გვარის წევრნიც ისევე მისდევდნენ როგორც სხვანი. ესენი თავიანთ ყმებს ხშირად ჰყიდდნენ სხვა და სხვა პირებზე, სხვა და სხვა მოქალაქეებზე. ასეთ გაყიდვ-გამოყიდვით იგინი ისე გათამამებულნი იყვნენ, რომ თვით ქართველმა მწერალმა ალექსანდრე ორბელიანმა ქართლში ერისთავისაგან, ერთი მისი ყმის ოჯახი ქმარი, ცოლი ქალი და ვაჟი 150 მ. იყიდა, ყველა ესენი თფილისში ჩამოიყვანა და მერე იქ ესენი მოკვებით გაყიდა, ქმარი კახეთს გაყიდა, ცოლი სამშვილდეს და შვილებიც აქეთ იქით. რადგანაც ეს ამბავი სხვაგანაც გვაქვს უფრო გრძლად აწერილი, ამიტომ აქ ეს ასე მოკლედ მოვიყვანეთ.

ნაამბობი „ისკრის“ რედაქტორის ივანე კერესელიძის მიერ: ჯერეთ თუ ისეთობატონიც-კი, როგორც იყო ალექსანდრე ორბელიანი, დიდი გულშემბატკივარი და მწერალი ქართველთა, თუ ასეთი იყო, მაშინ სხვა ამ გვარის წევრნი რაღა იქნებოდნენ, რომელთაც არც საქართველოს დავრდომის გულის ტკივილი ჰქონდათ და არც მწერლები იყვნენ. ასე და ამ გვარად, ჩვენ კარგად ვიცით თანამედროვე მომთხრობ ორბელიანთ ნაყმევ პირებ მოურავებთან, რომ ორბელიანებში ხშირია და მრავალი ისეთნი მებატონენი, რომელნიც ყმებს ასე სჯიდნენ. იცოდნენ ყმების გუთანში შებმა, კალოზედ, ურემში და სხვანი, იცოდნენ მათი დასყიდვა სხვა და სხვა პირებზედ იცოდნენ აუარებლად მოახლე და მსახურის წაყვანა, უბრძლო რამ დანაშაულობაზედ ყმის ოჯახს სულ უბრალოდ და უმიზეზოთ აიკლვებდნენ. ამათგან ძლიერ ხშირად დარბეულან მათი ყმანი.

თუმცა ამათში ზოგნი იტყოდნენ თავიანთი ყმის ცე ის გამო, როცა ამათ სხვა ვინმე სცემდა, რომ „ჩვენი ყმის ცემა ჩვენი ცემა არისო“ ყმის ცემასა და სხვის მიერ დაჩაგვრაში თავსაც გამოიჩენდნენ და ყმას დაეჭობაგებოდნენ.

IV.

გაბონუმტბა გურიაში.

მასალეზი.

1830 წელსა შმათა შმოგა და მათი შმეგი.

ზოგს მებატონეს კაი ერთგული შინა ყმა-მოსამსახურენი ჰყვანდნენ. ბატონსა და ყმას შორის სიყვარულიც არსებოდა. XIX საუკუნის შემდეგ, ასეთ ერთგულ მოსამსახურეებზე მებატონეების წყალობით მიცემა აზნაურის შვილობის ერთობ უძნელდებოდათ. ამიტომ მათ ჩვეულებათ მიიღეს ერთგულ მოსამსახურეთათვის ყმების ჩუქება. ასე იცოდა, მაგალითებრ ყიქაშუ გურულმან. სოფ. კონკკათს, ერთი გლეხის ოჯახი აჩუქა იასე კობალაძეს, მერე ამ პირმა ქაიხოსრო გურიელის დამტკიცებით ეს გლეხი იერუსალიმის ჯვარის მონასტერს შესწირა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ არც თავისი თავი დაივიწყა და ასეთი წესი დაუდო: გლეხის კობალაძის ოჯახიდან ერთი პირი კი განუწყვეტლივ მე ჰყვანდეს სახლში მოსამსახურეთა და დანარჩენი მონასტერს და ბერებს ემსახურონო. როცა აქ მონასტრის ბერები მოვიდნენ, მათ ასვან, აქამონ და შეინახონო. ასე ანთავისუფლებდენ მონებს თავიანთ სულის გულისთვის კეთილი მებატონენი.

1835 წ. გუბის და კუხის მებატონენი ძველად არ იყვნენ. თავადნი და აზნაურნი აქ გაჩნდნენ მის შემდეგ, რაც საქართველო სამსამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაიყო. შინამდის ამ კუთხის ერს არც ბატონი ჰყავდა და არც თავად-აზნაურები. ამ კუთხის ერნი ძველადგანვე ვაჭრობის მხრით თავისუფალნი იყვნენ, ყოველ ნაირ ხარკისაგან, ვინაიდან მათაც ჰქონდათ მჭიდრო კავშირი თითქმის ყველა ძველ განათლებულ კულტურულ სახელმწიფოებთან. ამიტომ ძველადგანვე გუბისა და კუხისაკენ თავად აზნაურები არ იყვნენ. ესენი აქ გაჩნდნენ XVIII საუკ დამდეგს.

უპირველეს თავადიშვილებთ შორის აქ იყვნენ მებატონენი წულუკიძენი და მათი ოჯახის შვილნი, პატა და საბა წულუკიძენი. ეს პირნი ამ კუთხეში კაი ყმა და მამულის პატრონები გამხდარან. ყმები ბევრი ჰყოლიათ და ბევრსაც იძენდნენ თურმე. ყმების განთავისუფლებაც სცოდნიათ, მაგრამ ერთობ ძვირად კი. მაგალითებრ, კუხელ ივანე გორდაძეს ერთ ოჯახში, სადაც თერთმეტი სული იყო, კაცი თუ დედაკაცი, ას ათი თუმანი გამოართვეს (1100 მ.) ე. ი. თითო

სულზე (100 მ.) ასი მამეთი. ეს ფული იმ დროის კაი ჯამია. ამდონი ფულის აღებას იმდროს ბევრი მებატონე ვერ მოახერხებდა და ბევრს არც ყმა გლეხი ეყოლებოდათ ამდენი ფული რომ გარდასახადში მიეცათ. არ სჩანს თუ 1100 მ. ბატონებმა ყმა როგორ გაანთავისუფლეს, მამულ-დედუღით, თუ უმამულოთ, როგორც მაშინ იცოდნენ.

1840 წ. ბახვის ნაწილის სოფელ კვირიკეს სცხოვრობდნენ ყმანი ლომინაძენი. ერთი მათგანი 1840 წლებში, ახალგაზრდა ოთარ ლომინაძე ყოფილა მახვილ გონების, გურიის ბუნტში დიდ მონაწილეობის მიღებით და კარგი მწვეობარ—მფარველი ყმა გლეხებისა, მათი წამქეზებელიც კი და წამხალისებელი სხვა და სხვა მიზეზებით ზოგიერთ პირებმა ყმების წაქეზების გამო ქურდობა დასწამეს, ამიტომ იგი ტყვეთ იპყრეს, ეს ამბავი მათ სოფლებებს ძლიერ ეწყინათ. ოთარ ლომინაძე არ იყო ასეთიო. ამავე სოფლის ექვსმა აზნაურმა და ათმა გლეხმა დასწერეს თხოვნა და მთავრობას მიართვეს. ითხოვეს ლომინაძის განთავისუფლება. ამის განთავისუფლებას იგინი თხოულობდნენ იმპერატორის უქაზის ძალით, რომელიც ყველა ბუნტოვნიკებს ათავისუფლებდა. ქურდობა კი ამას არ უქნია და ახალგაზრდობაში ბუნტში კი ერია და მაშინ მცირე რამეს წასტაცვალ და ეს ხომ ქურდობათ არ ჩაითვლებათ. ამის დაჭერა აზნაურსოსიკა, ალექსანდრე, გრიგოლ, დათიკა და მაქსიმელა კალანდარაშვილების ჩვენებით ვიღაც თავადის შვილებს ბრალდებათ, ვისაც თურმე ეს გლეხი ლომინაძე უქეზებდა ყმებს და ოსმალეთში წაყოლას და გაყიდვას უკრძალავდა.

1840 წ. ჩოხატაურის გლეხ-ყმა ფიროზგი ცინცაძეს გადაეკიდა გიორგი ერისთავი. მებატონე 40 კაცი მიუხტა ოჯახში, მოუთხარა რა ძველი ოჯახი, აუკლო ყოველისფერი, გიორგი ცინცაძეს დააგლიჯა ულვაშები, გახადა ტანისამოსი, სცემა წიხლებით, კეტით და სულ პირიდან სისხლი აღინა. შვილებიც წაართვა თურმე. ამაზე დავა აუტყდათ და ცინცაძე სასტიკად ნაცემი აღმოჩნდა. მაგრამ ცინცაძეებს არა ეშველათ რა, უჩანსტკის ნაჩაღნიკმა ყმები გაამტყუნა, ჭატონმა მერე თავის ყმებს 30 კაცი მიუსია და მთლად ააკლებინა, ცინცაძის ოჯახი და დააზოპინა. ყმებმა ვერსად ვერაფერი გააწყეს, ბევრის დევნის შემდეგ, მერე ოზურგეთის უფროსს მიმართეს 1848 წ. და სამართალი სთხოვეს.

1840 წ. ლიხაურის მცხოვრებს, ყმას ქაიხოსრო თოიძეს დაიძროსტაცა ივანე ხავთასიმ. ხავთასს ყაჩაღების ბრბო ჰყავდა შემდგარი. სხვა და სხვა საბატონო ყმებს იტაცებდნენ და ოსმალეთში გადა

ჰყავდათ. ნამეტურ ქობულეთს, სადაც მათგან მოტაცებულ გოგო-ბი-
ჭებს ყიდულობდენ ქობულეთელი ქართველი მაჰმადიანი ფაშიოლლე-
ბი. ხავთასის, მფარველნი და ამხანაგნი სხვა და სხვა აზნაურიში-
ლები იყვნენ და უმეტეს ვილაც გოგოლაშვილი, ამათ კატა თოიძის
გარდა სხვა გოგოებიც ხშირად მოუტაცნიათ. 1849 წ. ხავთასი პა-
ტიმარ ჰყვეს ოზურგეთის სატუსალოში ამას დაეხმარნენ მფარმელნი
და მთავრობა ათავისუფლებდა, ამ ამბავმა შიში დასცა ბევრს. გლე-
ხმა თოიძემ თხოვნა მისცა მ. აერობას ასე: ხავთასი რომ გაანთავი-
სუფლეთ მაშინ ჩვენ რაღა გვეშველებო, იგიმთლათ აგვიკლებს ჩვენა
და სულ დაგვიდის ოსმალეთში.

1840 წ. სოფ. ლიხაურის მცხოვრები ენუქელა ნიკოლოზის-ძე
გორგოშიძეს ასე გაუჭირდა საქმე ზოგიერთ მებატონე პირებთან
რომ ოსმალეთში ტაცვით გასული დარჩა იქვე, მიიღო თათრის რჯული
და მით იხსნა თავი. ამის დროსვე ოსმალეთში გადადიოდა და ყმებს
ჰყიდდო კაცია ლომჯარია. კაცია ლომჯარია ოსმალეთში იყო, ფლა-
ტანას, იქ ენახა ლომჯარია, რასაკვირველია მოტაცებული ყმათა შვი-
ლების გამო. გაათარებულს გორგოშიძეს ლომჯარიასთვის 160 მა-
ნეთი გამოეტანებინა ძმებთან, მაგრამ წამომღებმა ძმებს არ გადასცა.
და ამიტომ ამაზე გორგოშიძეს ძმებმა 1846. წ. დავა ასტეხეს, რო-
გორც ეტყობათ ორივე ეს პირნი ხელოვანი გამყიდავი ყოფილან
და მომტაცველნი საბრილო საბატონო ყმათა შვილების. ეტყობათ,
რომ ფლატანაში ამათ ყმათა გამო გოგო-ბიჭების გასაყიდი ბაზარიც
კარგი ექნებოდათ. ლომჯარიას თავგასულობას კონსტანტინე თაყა-
იშვილიც ასაბუთებს, 1847 წ.

1831 წ. ვახტანგ ერისთავმა ბევრი წვალებისა და უსიამოვნე-
ბის შემდეგ გაანთავისუფლა ყმა გოგია კვაჭანტირიძე, საქმეებიდან
სჩანს, რომ ბატონსა და ყმას შორის დიდი უსიამოვნობა ყოფილა
ჩამოვარდნილი. მებატონე ამბობს, ჩვენს ბატონ-ყმობაში ბევრჯელ
მოგვსვლია უსიამოვნობა, მაგრამ გაუვლია დროს და ისევ ჩვენ დაე-
ტყებარვართ, ეხლა ჩვენც გავათავისუფლეთ ჩვენი ყმანი, რომეს სა-
ქმესაც დმსწრე ჰყავდა ათამდე აზ აური და ორი მღვდელი. ბატონ-
ყმარი დიდი სადარა საქმე ასე გათავებულა.

1840 წ. ქობულეთში ქართველ მაჰმადიანებთ შორის, გურიიდან
ყმადა შვილების გამტკიცებულნი და მებატონეთაგან მყიდველნი და
გამყიდველნი ოსმალეთში ყოფილან არიფა ფაში ოღლი და უსუფა
ბეშუა ოღლი (ბეჟანიმე) ამათ ისე ჰქონდათ მოწყობილი საქმე და
მოხერხებულნი, რომ მათ სახლში ძალით მოტაცებულ იმ მებატონე-

თავან სყიდვით ყიდულ ყმათა გოგო-ბიჭების რიცხვი თავის დღეში არ გამოლეულა. ესენი იტაცავდნ თვით თავად აზნაურის შვილებსაც და მათ საჩქაროდ უკრავდნ თავს შუა გულ ოსმალეთში, სადაც რასაკვირველია ჰყიდდნ კაი ფასებში. 1845 წ. ამათ გაიტაცეს ყმა გიგოია ოტიასძე თავდობაძე. გიგო ნაკაშიძის ყმის ბუჯარის შვილნი, მკირე წლოვანნი, პაპულა გიორგიძე თავის დედით და დებით, ამავე დროს მოურთაცნიათ ასლან ფაშა ოღლის სხვა და სხვა ახალგაზრდა პირნი, რომელნიც გაჭრელში გადაურეკიათ და აქ შეუნახავთ ერთს ოჯახში, რასაკვირველია, მინამ ოსმალეთში წაიყვანდნ გასაყიდათ. ამათგან წარტაცულ ხალხთგან ოსმალეთში პოვნილ იქმნა პრაპორ-შიკი გიორგი ჯაყელისაგან და გურიაში დაბრუნებული. სამი მამა კაცი გურიანთის მცხოვრებნი საბატონო ყმანი რუსიშვილები, მეორე ოზურგეთის მცხოვრები აზნაური ტაია მდივანი, მესამე ოზურგეთის მცხოვრები აზნაური ბესო თავმუხაისშვილი. მღედრი კნ. გ. ნაკაშიძი ყმის მუჯირის მეუღლეთ ყოფილი. ესენი დახსნილ ნაპოვნი არიან ქობულეთში, შორს წაყვანილი რომ იშვიათად მიაგნებდნ კვაიუს, რადგანაც მზიდველთ და მტაცველთ დიდი ოსტატობა ჰქონდათ წინატაცვის თუ ნაყიდის საიდუმლოდ შენახვის და შემდეგ ოსმალეთში გასყიდვის.

გატაცებულ ამათ ისეთი ჩვეულებაც ჰქონდათ მოტაცებულ ყმა-თგან გაიგებდნ თუ ისინი ვიხი ყმები იყვნენ, მერე ოსმალეთიდან გურიაში გადმოვიდოდნ, საიდუმლოდ მოსძებნიდნ მებატონეს მამი-ნათვე მიხვდებოდა საქმეს, რადგანაც მან იცოდა, რომ ყმები დიე-კარგენ. თუ ვერავი ბატონი იყო, მყიდველი ჩუმად მოურთიდებოდა, ფულს გამოართმევდა და წანატაცნი ბატონისაგან ჩუმად დაისყიდებოდნ, ხან ზოგი მებატონე ჯერ გაჰყიდდა და მერე მთავრობას მის-ცემდა ცნობას, რომ ესა და ეს მოტაცებული ყმანი ოსმალს ამა და ამ სოფელში ამა და ამ კაცის სახლში არიან დამწყვედიულნიო.

1810—1858 წ. პორტპორუჩიკი ალექსანდრე ბერიძე, არყოფილა კაი აზნაურიშვილი და მებატონე. ჩვეულება ჰქონია ყმებს ანიავების, წართმევის და დარბევის იგი გლეხებს თავის ვაგონებითაც კი აშინებდა, იგი მამულებს სტაცებდა არა მარტო თავის გლეხ-ყმებს, არამედ თუ მოეწონებოდა სხვის გლეხებსაც. ასეთია მაგალითებრ შემდეგი საქმე და დავა: 1840 წ. აზნაურის ალექსანდრე ჟღენტისაგან სოფელ გოგე-ლიის უბნის გლეხ ლაზარე სიხარულიძეებმა და სხვათა მის სახლი კაცებმა აზნაურ ჟღენტისაგან ბერეგოულში საყანური ადგილები

ჩვიდეს სყიდვა რასაკვირველია კანონურის ქალღმერთით მოხდა ამ გლეხებმა ადგილების ფლობაც დაიწყეს.

ზამდენიმე ხნით შემდეგ ეს ადგილები შეიშურა შებატონე აზნაურმა პრაპორშიკ გიორგი ბერიძემ და გლეხს სიხარულიძებს სხვა და სხვა მანქანებით დავა დაუწყო, მამულები წაართვა 1858 წ. გლეხმა სიხარულიძეებმა ქუთაისის სამოქალაქო ლუბერნატორს საჩივარი მისცეს და ეს ბატონი ასე დაასურათეს:—„აზნაურის გიორგი ბერიძის საქციელი რა ვცანით, მაშინათვე მივმართეთ ადგილობრივ ნაჩაღნიკს და ვსთხოვეთ კანონისამებრ წართმეული მამულების დაბრუნება, რომ ჩამბარდ ს მე, რადჯანაც ის ბერიძე არის უსამართლობის მოყვარე კაცი, თავისი მძლავრებით. მეორე ეხლავ კიდევ წავგვართვა მძლავრებით და ითვისებს და ჩვენ კი არა გვაქვს უფლება შესლავრებისა და მითვისების, ის ბერიძე უსამართლობით გვართმევს კუთვნილს ჩვენდამი ნასყიდობის ადგილს. ამის განკარგულებას ვითხოვ, რომ აღმისრულდეს თორემ იგი ბერიძე ჩვეულია ამას, მან ბევრ გლეხს და ყმას წაართვა მამული, დაიბრიყვა, ყველგან მტყუანია და უსამართლო, მაგრამ ყველგან სამართალში მართალი გამოდის, თავის მძლავრობით, მართალნი ყმანი და გლეხნი მტყუანნი და მამულ-დედულიდგან ხელ აღებულნი. ასეთია იგი ბერიძე. სხვა და სხვა ცნობებიდგან სჩანს, რომ მართლაც ამ ბერიძეს მრავლად ურთმევია გლეხები და უცარკვამს, ზოგად გოგო ბიჭებსაც სტაცებდა თურმე და ოსმალეთში უყიდიათ.

1840 წ. ზოგი მოურავი თავის ყმის ბიჭებს გადარეკდა ოსმალეთში და ჰყიდდა თათრებზედ და მერე ოზურგეთის უფროს მისცემდა ცნობას, რომ ჩემის სამოურავოს ესა და ეს ყმანი ოსმალეთში წავიდნენ დროებით სავაჭროთა. მერე კი საქმე სხვაფერ გამოჩნდებოდა. ასეთი ცილის წაპება მრავლად ბრალდება ლიხაურის მოურავს აზნაურს ბეჟან თაყაიშვილის. ხან ასეც მომხდარა, რომ ასე ოსმალეთში წასულთ ყმათა შეიღებეს სხვა და სხვა მცირე წლოვან ყმათა ბავშვებიც გაუტაცნია თანა და ოსმალეთში დაუსყიდნიათ.

1843 წ. თავ. სოლომონ თავდგირიძის ცოლი იყო მზესა წულუკიძის ასული. ამ თავდგირ ძეს ჰყვანდა ყმები მრავლად, იყო დიდი მამულ დედულის პატრონი, კაი შემოსავლისა. სხვათა შორის ამას ჰყვანდნენ სოფ. ლეხატურს ყმა-გლეხნი გორდელძენი. 1841 წ. გარდაიცვალა მათი ყმა საყვარელია გორდელძე, უძერ. ძმები და ნათესა-

გები კი ახლდა, ბატონმა საყვედულის ამბავი სცნა თუ არა, იგი მაშინათვე დაეპატრონა გარდაცვალებულის გლეხის მამულს.

გარდაცვალებულის ძმებმა ვერ გაუბედეს ბატონს მამულის თხოვნა, ვერც სყიდვას შესძლებდენ, რადგანაც შეძენის ძალა და ფული არ ჰქონდათ, ბატონი კი ნისიათ არ მისცემდა ძმის მამულს ძმებს.

უძეო გლეხი ყმის მამული ბატონზედ უფრო ახლოს ყოფილა ვინემ ძმებზედ.

მებატონეს მაინც მალე გაუბედეს ჯორჯოლაძეს წათესავთ ოქროპირა, ალექსა და დიმიტრი გორდელაძეთა და მიცვალებულის მამულის სყიდვა სთხოვეს. მოურიგდა პირობა დაუწერა, გლეხები ყარამან თავდგირიძეს ყმ. ნი იყვნენ. ფული სულ ვერ მისცეს, ამიტომ ნასყიდობის ბარათი გურგენ ბებურიშვილს მიაბარეს.

ყმა გლეხებმა ზოგი ფული კიდევ გადუხადეს, ზოგი დარჩა ძსევ მათზედ მალე ეს ფულიც მათ გადასცეს აზნაურს გოგია თაყაიშვილს და ბატონთან მირთმევა სთხოვეს, თვით აღარ მივიდნენ, არ შეაწუხეს, ვაი თუ ჩვენი უდროვოდ მისვლა ბატონს არ ესიამოვნოსო. ფულის მიცემა აზნაურმა გურგენ ბებურიშვილმაც ნახა და ამიტომ ყმა გლეხებს ბატონისაგან მიბარებული ნასყიდობის ბარათიც დაუბრუნა გლეხებს.

აზნაურ თაყაიშვილმა ფული გადასცა ბატონს, ბატონმა მიიღო და თაყაიშვილი თავისთვის წავიდა, მერე ბნტონი კნენამ განძრახა, რომ მამული იაფად მიჰყიდე გლეხებსაო. ბატონმა გულში შური ჩაიდვა და გლეხთათვის დავა უნდა აეტეხა, მამული წაერთვა. მაგრამ ავად გახდა და მოკვდა 1842 წ. ცოლს კი უთხრა და სხვა თავდგირიძეებს, რომ ყმა გლეხებს დავა აუტეხეთ, მამულები წართვით, ნასყიდობის ბარათს ძალა არ აქვსო, იგი უბრალო ქალაღზედ არის ნაწერიო. გარდაცვალების შემდეგ მართლაცა და გლეხ გორდელაძეებს დავა აუტეხეს და კნენა თავის სახლის კაცებისაგან ისე გათამამებული იყო, რომ გლეხების სყიდვა დაარღვია. ჩემა ქმარმა, სიტყვით უთხრა გასყიდვა. დაპირების ნიშნათ უბრალო ქალაღზედ ნასყიდობის პირობაც დაუწერაო და გურგენ ბებურიშვილს მიაბარაო, მაგრამ იგი მოკვდა და ამ ყმებს მისგან მოუპარავთო. ეხლა მამულს ისაკუთრებენო, მე ვითხოვ მათ პატრონად არ შეწყნარებას და წართმევას მით უფრო, რადგანაც იგინი სხვა თავადის ყმები არიანო. კანონიერა ქალაღდით ჩემმა ქმარმა მათ არაფერი მიჰყიდაო.

საქმე სადაოდ გახდა. გლეხებმა თხოვნა მისცეს რომ სწორედ ბატონმა მოგვეყიდა, ფულიც მიიღო და ბარათიც მოგვეცაო. ხოლო

ეგენი ჩვეულები არიან წართმევასა, გლეხობის დარბევას და ამას ჩვენ ვერ ვიზამთ. მოწმად გოგია თაყაიშვილს წარმოვადგენთ რომ ბატონმა ფული სრულიად ღიილო ჩვენგანაო.

კნენისამ წარადგინა მოხსენება: ყმებს ფული ჩემმა ქმარმა უკან დაუბრუნა და ეს ფული გოგია თაყაიშვილსვე გაატანაო. ამან უფრო ღიილი შუოთი დაბადა ყმათა შორის და მერე კი იმდენი ბოროტება გაიფინა და გამოაშკარავდა ბატონისა და კნენისა, რომ გლეხნი ძალა-უნებურად გამართლდენ. მამული მათ დარჩათ, ხოლო მტრობა კი დაშთა მებატონეთა სამკვიდრო ღირსებით. მერე გლეხთაც იხმარეს ძალა და აცნობეს თავდგირიძის მომხრეთ, რომ ჯავრი რათ მოგდით, რომ ჩვენ ვიყიდეთ ჩვენი სახლიკაცის მამულიო, ბატონის შვილს მრავალი აქვს, მისთვის ნამკვიდრევი არ არი საჭიროვო. თუ არ გინდათ და მოგვეცით ჩვენი ფული და ინებეთ მამულებიო. მართალია ბარათი ნასყიდობის უბრალო ქალღმერთა ნაწერი, მაგრამ საქმე და სყიდვა მართალია და ფულიც მიღებული აქვს ბატონსაო. უეზნდი ზასედატელთან იყო საჩივარი. ზასედატელს ბატონის მხარე ეჭირა და გლეხებს სტუქსავდა, მაგრამ მაინც არა იქნა რა, მებატონის უსამართლობა გლეხებმა შიშით დასცეს, ძალით სამართალი აღიდგინეს და მამული დაიმკვიდრეს. კარგად გამოიჩვენა, რომ სოლომონა თავდგირიძე ასეთს ხრიკებს ხშირად უშვებოდა ყმა გლეხებს და არბევდა თურმე. ამ დარბევაში რასაკვირველია რუსის მთავრობის მოხელეც მხარს აძლევდა. უმეტესად მებატონეებს რუსის მთავრობა რყვნიდა და ასწავლიდა ყმა გლეხთა დარბევის ოსტატობას და სიავეს.

1845 წ. საბატონო ყმას ბატონის ნებადაურთველად მთავრობის დაწესებულებათა წინაშე საჯაროდ ფიცის მიღება არ შეეძლო, ფიცის მიღება მოწმობის მხრივ უსათუოდ მის ბატონს უნდა სცოდნყო. ასე ყოფილა იმერეთში ძველთაგან და ამ წესებს ასაბუდედნენ თვით ვახტანგ მეფის კანონითაც. 1844 წ. ოზურგეთის ნაწილის მცხოვრებ აზნაურ ტრიფონ იორაიშვილის ყმა გიორგი აშაბუაძეს იეროდიაკონის სიმონისშვილის დავალებით დაუფიცნია. ფიცს ცუდი შედეგი მოჰყოლა. 1846 წ. მებატონე იორაიშვილი მთავრობას თხოვნას აძლევს და აუწყებს, რომ ჩემს ყმას ჩემს ნებადმურთველად დაუფიცნია და ეს არ არის კარგო.

1845 წ. რაღაც ბედზედ ელისაბედ თაყაიშვილის ცოლს მცირე საფასით უყიდნია სამეგრელოს აზნაურის ყმის გოგო სახელად შავ-

ლია (!). ამ გოგოს ამბავი მის დედა ლუნდუას ქალს მალე შეუტყვია, მისულა თაყაიშვილის ქალთან და თავის შვილი დაუსწია საფასით და თვით წაუყვანია. მერე ეს გოგო გათხოვდა სჯულიერის ქორწინებით ჩონატაურისაჲკენ ყმის სფირიდონ ქუმბერიძეზედ. ამ საბრალო გოგოს საქმე ის გამწვანებულა და წამურტლულა, რომ ქმრის ხელში მას დიდხანს ვეღარ უცოცხლია და მალე გარდაცვლილა. რადგანაც იგი წარმტაცველთაგან მრავალჯერ ყოფილა გაყიდულ გამოყიდული, დახსნილი და მასთან წვალბულნიც, ქალწულება წართმეული, რაც ქმრის დროს მისთვის მეტად მძიმე ასატანი ყოფილა. ამ გოგოს სჯულიერი ქორწინება ბატონის ნებართვით მომხდარა. სხანს ამ ქალის წახდენაში ბატონი უნდა იყოს დანაშაული, ასე იცოდენ მათ ვინც გოგოს აფუჭებდა მერე ის ცდილობდა და ადვილად აძლევდა ნებართვას რომ გოგო გათხოვილიყო, ან ამ გოგოს სხვაგან წაიყვანდა და ჩუმად გაჰყიდდა, რომ მისი დანაშაული დაფარულიყოს და დანაშაული გოგოს დაბრალდებოდა, ვგონებ, ეს ქალიც ამ საზრით იყო წარტაცებული. წარყვანილი და ჩუმად გასყიდული. ამ გოგოს გამო გამოძიებაც იყო 1848 წ. ამტყდარი. ამის ამბების გამოაშკარავებას მისმა სიკვდილმა დაუღო საზღვარი.

1845 წ. მალაქია გურული ერთ დროს დრუჟინის მართველად იყო და მილიციის უფროსად მაიორი მაჭავარიანი. ამათგან ისე იყვნენ წაქეზებულნი სხვადასხვა მებატონენი, რომ ესენი თავიანთ ყმებს დრუჟინაში ამსახურებდნენ და ჯამაგირს კი თვით იღებდნენ, ყმებს კი მცირე რაშეს აძლევდნენ. ასეთი იყო მალაქია გურული, მაჭავარიანი, მაიორი გიგო ნაკაშიძე (პრაპორშჩიკი), ერისთავი დრუჟინის მსახური და მრავალიც სხვანი, რასაც ცხადათ ამტკიცებს გიგო ნაკაშიძის ცოლის თხოვნა, ამ ქალს ქმარი მოუკვდა, გიგო ნაკაშიძე, მას თან ახლდა ორი ყმა მოსამსახურე დრუჟინაში. ყმებს ფული არ მისცეს დრუჟინიდან ვიდრე ბატონის ცოლმა არ მოითხოვა. როცა ამან მოითხოვა, მაშინ მას მისცეს.

ბატონის სიკვდილის შემდეგ როგორ იყო ყმა გლეხთა საქმე, მათ ჯამაგირს ვინ იღებდა, ამისი ჩვენ არაფერი ვიცით.

1845 წ. გარყვნილ-წამხდარი ყმა გლეხი. მებატონეებს ჰყავდათ მრავლად ისეთი ყმა გლეხებიც, რომელნიც გარყვნილები იყვნენ ბატონის ერთგულ სამსახურისაგან. ასეთ გლეხებს თავიანთი მებატონენი შვილებსაც უნათლავდნენ, უპირატესობას აძლევდნენ, ამიტომ

იგინიც ბატონის სამსახურისათვის სჩადიოდნენ ყველაფერს სიწუწკეს და დანაშაულობას.

1) სტარცავდენ საბატონო ყმებს, სახელმწიფო და საეკლესიო გლეხებს. მათ სტარცავდენ ქონებას და საქონელს.

2) სტარცავდენ მათ შვილებს, ბიჭებს, გოგოებს, პატარებსაც ერთის სიტყვით, ყველაფერს. ყველა ესენი ბატონის სახლში მიჰყვანდათ და მერე ოსმალეთში გადაჰყვანდათ და ჰყიდდენ.

3) ბატონის გულისთვის ტყუილად დაფიცვა, მისი ყოველთვის ერთგულება და სხვისა ლალატი.

ასეთის ხრიკებით და ტყუილის ფიცით გლეხები იქამდის გაფუჭებულები იყვნენ, რომ ბატონის გულისთვის ტყუილად იფიცავდენ მასზედ, რომ ესა და ეს გლეხი, ამა და ამ მებატონის ყმის შვილიაო, მისგან იმალებაო, გვარი გამოიცვალაო. პატარა ბავშვები მოახლებმა მღვდელს სხვა გვარით მოანათვლიესო. ასეთი ტყუალის ფიცით და დავის ატეხით ხშირად თვით მღვდლებსაც კი აძლევდენ სამართალში.

მერე მებატონის და კანონის წინაშე მღვდელს უნდა გაემართლებინა თავი და თვით სადაო ყმებიც დიდს ვაებას ეძლეოდნენ. მათი საოჯახო საქმე ცეცხლის გენიაში ვარდებოდა თავიანთისავე წუწკ გლეხების წყალობით, ამის მაგალითების მე ვნახე რამდენიმე სადაო საქმეთა საჩივრის ქაღალდები. ასეთი ბრძოლა და ცილისწამება მებატონეთა შორის სწარმოებდა თვით 1864 წ. ერთს ასეთი სადაო საქმე ატყდა 1867 წ. დაბა ბახვში, რადგანაც ყმა გოგია მგელაძემ ჭაბედა და ისურვა როგორც თავისუფალმა რომ ბახვის საზოგადოებას მისწეროდა, მაგრამ დავა აუტეხეს. ამ დროს იგი 60 წ. იყო, ცოლი 40 წლ. შვილი 30 წლ. ამის ცოლი 25 წლ. ამათაც ორი პატარა შვილი ჰყვანდათ, მთელა ოჯახი გასტანჯეს და გააწვალეს უსვინიფისო საბატონო გლეხთა ტყუილ ფიცის წყალობით, მებატონის და მღვდლის ჩხატარაიშვილს დავა და ახსნით. ამ მღვდელსაც ჰყვანდა ყმები. ამის ყმა იყო გლეხი ჟღენტი, ვის გამო ამ მღვდელსაც ერთხელ დიდი დავა ჰქონდა გურულებთან, ერთის სიტყვით, ეშმაკები ეშმაკებს ეჩხუბებოდნენ ხშირად და მის გამო (შუაში თავის ყმებს რყენიდნენ და სწყლეტავდნენ).

ამის მსგავსი მაგალითია შემდეგი: თავად დავით ერისთავის ყმა იყო ბეჟან შარვაშიძე, აზნაურისშვილი, ამასა ჰყვანდა ერთი კარგი ცხენი, ეს ცხენი მებატონე თავ. ერისთავს მოეწონა. ამიტომ ამნ უადვილესად წაართვა ცხენი ყმა აზნაურს შარვაშიძეს და თვით

მიითვისა, ამაზედ დავაც ატყდა. 1860 წ. დავაში ბატონმა მოიგო, რადგანაც წუწკმა გლეხებზეა თავიანთ ბატონის მხარე დაიჭირეს, სამართალში დაიფიცეს ტყუილად რომ ცხენი ბატონის იყო. ხოლო მიბარებულ ჰყვანდა ბეჟან შარვაშიძეზედო. ამითი ტყუილი გავიდა და ყმების არც მართალი. ამ შემთხვევაში ესეთი მებატონენი ნამეტურ იბრძვიდნენ ქვირე-ოხერთ, და უპატრონოებს, ამის მაგალითებიც ერთობ ბევრია.

ამისივე მაგალითია 1845 წ. მომხდარი ეს შემთხვევა: საჯავახოს სცხოვრობდა ბატონის ყმა ოქროპირა კიკვაძე, ამას ხარჯი ედვა ბატონისაგან, რასაც იხდიდა, მის გარდა თავ-წულუკიძის წყალობით სხვა და სხვა საბეგროებიც ედო კისერზედ. ისე რომ ერთ დროს სამს სხვა და სხვა ბეგარას იხდიდა. ამ გარემოებამ გლეხი ძრიელ მოლუნა წელში. მან საჩივარი ასტეხა, მე საბატონო გლეხი ვარო, მაგრამ ჩემი ბატონის საბძანებელში არა ვცხოვრებ, არამედ სხვაგანაო. გურიელების დროიდგან ჩვენ ჩვენს ხარჯს ჩვენს მებატონეს უხდითო. საბეგროსაც აქ ვაძლევთო ეხლა კი გვიბრძვივებენ და ერთის მაგიერ სამ ბეგარას ვვადებენ კისერზედო, ბატონიც შეოთხეო. ყველა ამას ჩვენ ვერ გადავიხდით და ამიტომ განთავისუფლებას ვითხოვთო.

1845 წ. უმემკვიდრო მებატონეთა საქმე. ზოგი მებატონე თუ უმემკვიდროდ გარდაიცვლებოდა და მას არავინ დარჩებოდა მემკვიდრედ: ძმანი, დები, სხვა ნათესავენი ერთი სიტყვით შორეულ ნათესავეთა გარდა ახლოს არავის, მაშინ ასეთ მებატონეთა ყმანი თავისუფლდებოდნენ. და სახელმწიფოდ ხდებოდნენ. იმის კანონიც იყო რომ ზოგს მებატონეს ნათესავეებიც დაშთებოდნენ, მაგრამ თუ იგინი აღნიშნულს მებატონისაგან აღრიდგანვე იყვნენ კანონიერად გაყრილნი და გაზავებულნი, მაშინაც გაყრილ მონათესავეთ გარდაცვლილ მებატონის ყმებზედ არავითარი უფლება არა ჰქონდათ იგინი ვერაფერს უზამდნენ და გლეხნი უნდა განთავისუფლებულიყვნენ, მამულით და სახელმწიფოდ შერიცხულიყვნენ. ეს კანონი საქართველოში ძველის დროიდგანვე არსებობდა ამას ემორჩილებოდა ყოველი მებატონე, და საქართველოს მეფობის დროს მას ვერავე დაარღვევდა. ასეთს ამომწყდარ მებატონეთა ყმანი მაშინ ხშირად გათავისუფლებულან.

დრო შეიცვალა და XIX საუკუნის შემდეგ რუსთა ფლობის წყალობით და თავად აზნაურთა პატივის ცემის გამო მთავრობამ ეს

კანონმდებულებითი მხარე გლახთა სასარგებლოდ უყურადღებოდ დასტოვა და მისი პატრონობა და განკარგვა თვით მათს ხელშივე მოემწყვდა. ამიტომ ახალ დროში მემატონეთა შორეულნი ნათესავნი და გაყრილნიც კი უტეხავდენ გლახებს დავას და ამომწყდარ შემკვიდრო ბატონის ყმათა და მამულებს ეპატრონებოდნენ. ბევრს ძალით ისაკუთრებდნენ კიდევ, რადგანაც მათ მთავრობაც აძლევდა დახმარებას. აქ მოვიყვან მხოლოდ ერთს მაგალითს, რომელნიც საგსებით ხატავს ამ გარემოებას, რომ მემატონეთა ნათესავნი და ისიც შორეულნი დავას უტეხდენ ისეთ ამომწყდარ მემატონეთა ყმებს, რომელ ყმათა ბატონებიც ერთობ ადრე იყვნენ გაყრილნი, XVIII საუკუნეში. ამის მაგალითია როსტომ შალიკაშვილის საქმე, რომლის წინაპარნიც 1793 წ. გაყრილან როსტომ შალიკაშვილი 1844 წ. გარდაცვლილა. შემკვიდროდ, არავინ დარჩენია შორეული ნათესავების შეტვი, ამიტომ გაყრილ მემატონის გლახნი უნდა განთავისუფლებულიყვნენ.

მაგრამ არა, ეს არ მომხდარა, გლახებს მოდავეთ ბატონის შორეული ნათესავი გამოსჩენიათ და დავა აუტეხნიათ, რომ გლახები თავიანთ მამულით ყმათ ჩვენ გვეკუთვნიანო. გლახებს ეს დავა უკანონოთ უცვნიათ და ამიტომ ახალ მოდავე მემატონეთა საპასუხოდ ეს მოხსენება მიუციათ, რომელიც პირდაპირ მომყავს აქ ეს ქალაქი ერთ ალაგას დამპალი არის და ამიტომ რამდენიმე სიტყვა კარგად ვერ გავარჩიეთ, აზრი სიტყვების კი ცხადია.

მის მაღალ კეთილ შობილებას შავი ზღვის პირის მეოთხე ნაწილის ნაჩალიკს უფალს პოლკოვნიკს და კავალერს ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს ბუსელოვს (?) აკეთის უჩასტკის მცხოვრებთა საბატონო ყმები იოპი, ოქროპირ გიორგი მგელაძებთა პეტრე გვიბირიძე ბეჟან ხარატის, ანდრია მუხაშავრიასაგან უმორჩილესი თხოვნა. მემატონე ჩვენი თ-დი გიორგი როსტომისძე შალუკაშვილი გარდაიცვალა, წარსულს ჩემდ წელსა, ნოემბერში, რომელსაცა არ დაშთენიეს მემკვიდრე არცა მამრისა, არცა მდედრის სქესის, ეგრეთვე არც ძმანი და დანი და არც სხვანი, გარდა მშობლის ანუკი მიქელაძის ასულისა, და რომლის მორჩილებასა ქვეშე ვართ და ვმსახურებთ, მემატონებთა ძოვალეა ხოლო ან გლახ მის სურსთ რა ცოლსა ოზრუგეთის უჩასტკისა საქათალიკოზის მცხოვრების აზნაურის პაატა გოგიბერიძის და სამეგრელოს სამთავროს სოფლის ქალას აზნაურის მეუღლის ასულის თუხარს შალიკაშვილის ასულსა ერთ მეგვარეობისა გამო მიიღოს მემკვიდრეობა იმა გარდაცვალებულის პატრონისა ჩვე-

ნჩსა სამკვიდრებელსა ზედა თქვენთ მალალ კეთილშობილებავ თუმცა მამაი, მემკვიდრეობით მამულის და მამაი მებატონისა ჩვენისა იყენენ ერთგვარნი და ნათესაენი გარნა იგინი გაყრილან ჩლყვ წელში ყოვლის ყმა და მამულის იმა ოროთ ყოფილის მთავრის მოსამართლეთაგან ესრეთ დაბოლოებულ ქმნილ არს განყრა მათი წესთამებრ მეფე ვახტანგის კანონთასა ესრდ, რომელშიდ მემკვიდრენი მომჩივართანთ ბიჭია შალიკაშვილი მოისპო უმემკვიდროდ გარეშე ამა მომჩივანებთა არა დაშთენიეს რა, გარნა დანაშთი მათის მამისა ყმა და მამული განკარგულებითა მთავრის მამია გურიელისა მიერ ბოძებული არს თვისის მდივან ბეგით ყოფილს შტაბ-კაპიტანის თავადის სვიმონ გუგუნავასადმი, რომელსაც ფლობენ მემკვიდრენი გუგუნავასანი და სხვა პირთა და მებატონისა ჩვენისა სამკვიდრებელი ესრეთის საქმის და განქარგულების გამო შორავსთ, მათ და არა აქვან არა რაიმე სიმართლე, გარნა მათ დამგდებსა თავის მამის ყმა მამულის ძიებისას დრო დაკარგულთა ან სურვან სხვათაგან მიიღონ მემკვიდრეობა მოქრთამებით ამ პირთა, რომლისათვის ჩვენ უკვე გაგვიცხადებთ ამ საგანზედ მთარველობა და დაცვა ჩვენი უფლის უჩასკის ზასედატელისადმი და აწ ვინაიდგან ჩვენ ვხელავთ თქვენს მალალკეთილშობილებასა მართლმსაჯულად და მიუცილებელ მზრუნველად სახელმწიფო ხაზინის სარგებლობისათვის, ამისათვის დავარდები რა წინაშე თქვენსა და ვითხოვ და იმედსა ქვეშე ვშთებით არა დავგაშთენთ თვინიერ ყურადღებისა რათამცა ესრეთი მათი უმართლო მემკვიდრეობის იქმნების უპატიო და ჩვენ დროზედ არ მოვაკლდებთ სახაზინო უწყებისათვის შერიცხვისა. იობი, ოქროპირ, გიორგი მგელაძენი, პეტრე გვიბირიძე, ბეჟან ხარატი და ანდროია მუხაშავრია. სიტყვისა მთხოვნელებისა დავსწერე პირმა ესე მგ აზნაურმა ზაალ ბეჟანისძე შავარდნაძემ. იანერის 18 დღ. 1845 წ.

1846 წ. როგორც სჩანს საქართველოში 19 საუკ. შემდეგ მებატონეებს ნება ჰქონიათ, რომ მათ თავიანთ ყმებისთვის ხარკი მოემატებინოსთ, რამდენსაც ისურვებდა ბატონი, იმდენ ხარჯს მოუმატებდა მათ. ამის საბუთია შემდეგი წერილი, რომელიც მომყავს ამ მთლიანად. პასუხი კარგად ხატავს, რომ თუმცა მებატონეებს ნება ჰქონდათ ხარკის მომატების, მაგრამ გლეხებსაც შესძლებიათ პასუხის მიცემა, და უკანონო ანუ, უჯერო ხარჯის უარყოფა. ეს წერილი ამ ამიტომ უფრო მომყავს, რადგანაც იგი კარგად ხატავს რუსთა მთავრობისაგან გალაღებულ ბატონთა ზნესა და ხასიათს. ჩემი კომენტარები ამას არ უნდა, ეს თვით კმარა ამისათვის. აი ეს წერილიც:

„მისს მალაკეთილშობილებას გურიის უფლის
ნაჩაღნიკს უ—ლს კოლეესკის ასესორს და კავალერს
ქორქიევს

ოზურგეთის უჩასტკის სოფელსა ბაღდადს მცხოვ-
რებთ ბეჟან, სიმონ და დავით ბორჩხაძეებთან.

თ ხ ო ვ ნ ა

„უფალმა ოზურგეთის უჩასტკის ზასედატელმა გამოგვიცხადა
ჩვენ გავლილს იელისის ოცდა ექვს რიცხვს მიწერილობა მაზედ,
თქვენი მალაკეთილშობილებისა, რომელ თხოვნისამებრ მებატონისა
ჩვენის თავადის გიორგი მაქსმელიშვილისა, ჩვენ უნდა ვიქმნეთ დაჯ-
დენილ ლიხაურის ციხეში შინა, რომლის მიზეზის სრულიად არა
უწყით, მაგრამ ჩვენ დავემორჩილეთ ბრძანებასა მის ზასედატელისა
და ჩვენგანი ვინც ვიყავით დანიშნულ დასასჯელად მის მაქსმელი-
შვილისაგან, ივინი ვიმყოფებით განცხადებულ ციხესა შინა ტყვეთ;
მაგრამ გვიჩაშს ჩვენ სამძიმოდ ესრეთი მოქმედება მებატონისაგან
ჩვენისა ჩვენზედ, უმეტეს მით, რომელ ჩვენ რაიცა ვალდებულ ვართ
მისდა ძლევად არაოდეს არა ვარს ვყოფეთ, მაგრამ მან ახლა თავი-
სის ჰაზრით ისურვა, რომელ მოგვიმატოს ჩვენზედ უწინდელ ჩვეულე-
ბასა და დაგვადვას ჩვენ ვალად მზარაულობა, რომელიც არა გვმარ-
თებია ჩვენ და არცა მამა პაპათა ჩვენთა.

ამისათვის მოვილტვით ფარველობასა ქვეშე თქვენის მალაკ-
ეთილშობილებისა და უმორჩილესად ვითხოვთ, რომელ ინებოთ ამა-
ზედ სჯულიერი განკარგულება და თუმცა არა გვემართლებოდეს
ჩვენი მებატონე ესრედ შევიწროებასა დაგვიფაროდ დატუსაღებისა-
გან და მომავალი დროისათვის უბრძანოთ მას, რომელ მომატებულ
უკანონობას ნუ ინებებს ჩვენზედ, და ჩვენი რაიცა ვალდებულ ვართ
მსახურებად აქამომდე და ახლაცა თანამდე ვართ, აღსრულებად
მისდა ბეჟან, სიმონ და დავით ბორჩხაძემან. რადგან წერა არ იცოდა
მათი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს ვაწერ მე პავლე ბეჟა-
ნიშვილი.

1846 წ. იყვნენ ისეთი მებატონენი, რომელნიც ყმების გვერ-
დით საყოველთაოდ შარზედ იდგნენ, მათ რომ ყმისაგან სწყენიყოთ
რამე, მაშინაოვე ჯავრის ამოყრას ეძიებდენ, ვინც მათს ბრძანებას
არ დაემორჩილებოდა არ შეუსრულებდა და ან შეუსრულებდა და
ბატონი მასზედ გაჯავრებული იქნებოდა, მაშინ ბატონი სამართალში

ყმას შარს მოჟუდებდა, რომ ჩემი ყმა მე არ მემორჩილებოა, ჩემს ბრძანებას არ ასრულებს და გთხოვთ მის დამორჩილებასაო. ასეთს შარებს ყმების წინაშე კადრულობდენ თვით უმაღლესი თავადის შვილთაგან უბრალო აზნაურამდე. ასეთ სადაო საქმეთა ამბები და ყმებთაგან ბატონების გმობა და მათი უდიერობა ბევრი მსმენია და ბევრიც მინახავს, ამიტომ აქ მოვიყვან ყმის საჩივარს თავის ბატონ-ზედ, რომელიც კარგად ხსნის მებატონე აზნაურის დროის უმართებულო ხრიკებს. ეს საჩივარი მიცემულია ოზურგეთის სამაზრო გამგეობაში 1846 წ. მკითხველს შეუძლია თვით აქონიოს მსჯელობა მასზედ, თუ ხშირად მებატონე თავის ყმას რა უბრალო რამისთვის უნდა ასტეხოდა, საჩივარი დაეწყო, უმორჩილების ცილი დაეწამებინა და შიტომ მისი დასჯა მოეთხოვა. აი ესეც. საჩივარი გლგხ-კაცისა.

„ჩოხატაურის უჩასტკის შინა მცხოვრებ საბატონო ყმის პეტრე ივანეს ძის ოსეპაიშვილისაგან.

თ ხ ო ვ ნ ა.

„მე, ბატონო, ჩემი აზნაური გიორგი ქაიხოსროსძე შარვაშიძე მძლავრებით უსამართლობს ჩემზედა და მაინწროებს ყოველ შემთხვევასა შინა. წარსულისა ჩემვ წელსა მაისის რიცხვსა მეუღლემან ხსენებულისა მებატონისა ჩემისა ბერიძის ასულმან ებემან მოვიდა თავით ჩემის ოჯახშიდა მთხოვა მზგავსი მეგობრობის თვინიეს ერთი ძირი ბჟოლი რომელიც პატივისცემლად მისდა თხოვნისამებრ მივეცი, რომელმან მომანიჭა უმეტესი მაღლობა, ხოლო ამა წარსულის მაისის კ-სა რიცხვსა გამოგზავნა პირველი შვილი მისი ალექსანდრე მათნი ბიჭებითურთ და თუმცა მთხოვეს ვალი ბჟოლი უქონლობისა გამო ჩემისა ვერ მივეცი კეთილნებობით გარნა შემდგომ მიუცემლობისა ჩემგან ბჟოლისა განიძრახეს მძლავრებითი წართმევითა, ვითამც მქონდეს მე დებულობა ბჟოლისა გარდახდისა და მიჰონდათ უმართლოდ მძლავრებითა, ხოლო მე უჩოულმან ესრეთის უწესო გარდახდისაგან ვერა მივეცი ნება მძლავრებით წალება, ვინაიდგან დებულე-ბით გამომიცხადა ხოლო ესრეთისა უმართლო მიზეზისა გამო შემას-შინა უჩასტკის ნაჩაღნიკს, ვითომც ვიყო მე წინააღმდეგ შემთხვევასა შინა მებატონისა ჩემისათვის, ამა უმართლო მიზეზისათვის კიდევაც დამიჭირეს, და შემდგომ თავმდებობით გამოვალ დრომდისა, გარნა გამწესებული ჩვეულებითი გარდასახადისა და მსახურებისა ჩემგან სრული ყმაყოფილი არის, და იგი ამა მდგომარისა წელისათვის გაგვანთავისუფლა ჩვენ, სამივე ძმები წერილებითი ერთისა წლისა ვადით,

და მიიღო ჩემგან ამ წლის თავისუფლებისათვის ოცდა სამი მანეთი ვერცხლისა ფული; ნაცვლად სამსახურისა და გარდახთვისა ჩვენისათვის, ხოლო მიზეზი მისგან ჩვენზედ არის ვინაიდგან თავისუფლება გვაქვს მისის მონებისაგან ამა დრომდის წლისათვის, ამისთვის მსურველი არის იგი მებატონე რათა შექმდე შეგვიყვანოს ასე უმართლოდ ნაკაზანიაში. ჩემგან მიცემული ოცდა სამი მანეთი შეირჩინოს და მე უმართლოდ დამსაჯოს და მიმცეს გარდახდევინებასა, გარნა განსხვავებული სამსახური გარდა მებატონისა სახელმწიფო მსახურებაშიდ ვართ მარადის, თვით ხარითურთ და სხვათა თავისი ყმების რიცხვით, ათი კვამლი თავისუფალი არიან, რომელსაცა ჩვენ გვასრულებინებს ყოველსა სამსახურსა და ამისათვის უმორჩილესად ვითხოვთ თქვენ მაღალკეთილშობილებას, რათა დამიფაროთ მისგან უწყესო მძლავრებიდგან და შეწამებულს მისგან ყოველსა ჩემზედ მიზეზებსა შეუდგეს ძიება და თუმცა წინააღმდეგ კერძოთ აღმოჩნების საქმე ჩემი, მაშინ თანამდებ ვარ ნაკაზანიის გარდახდისაცა, და უმართლოდ ნუ დავისჯებით. მთხოვნელი ყმა პეტრე ოსეფიშვილი უქონელობისა გამოღერბის ქალაქისა ამასთანავე წარმოვადგენ სამ შატრს პეტრე ოსეფიშვილი“.

იესე იმნაძე.

1846 წ. სოფელ ლანჩხუთის მცხოვრებ საბატონო გლეხ ყმას იმნაძეებს მამულების წართმევის გამო ბატონი გადაეკიდა, და რომ ამით ვერ წაართვა მამული, მერე პრაპორშჩიკმა გოგინა ებრაელიძემ კეტის ცემით მოკლა იესიკა იმნაძე(?). ამაზე დავა ატყდა, მიზეზი ის იყო ამ მკვლელობის, რომ გლეხისთვის მამიპაპეული მამული უნდა წაერთმია მძლავრობით. მოკლული გაშანჯულ იქმნა და შემოწმებულ, მაგრამ მის ცოლს გულქანა კუპრავას ქალს და მის მცირე წლოვან შვილებს სამართალი მაინც არ მიეცათ. ყოველივე პრაპორშჩიკის ძალოვნებისაგან, დაითურგნა. ყოველივე რასაკვირველია ითურგნებოდა რუსის მთავრობისაგან განგებ, რომ ეგებ ამით დამკვიდრებულყო ქართველ თავად აზნაურთა და გლხთა შუამტრობა ერთმანეთის.

ალ. მაჭუტაძე.

1846 წ. ალექსანდრე მაჭუტაძეს და მასთან სხვა მებატონეთაც ჩნეულება ჰქონდათ, რომ თავიანთ ყმებს საბატონო ხარჯს რომ ახდევინებდენ, ხშირად ეს ხარჯი ანუ გლეხთაგან ანაკრეფი, არა ჰყო-

ფნიდათ და ამიტომ ივინი სხვა ღონის ძიებასაც ხმარობდენ, მაგალითებრ ყმებს შვილებს სტაცებდენ და ოსმალოში უყიდდენ. მარამ, ხშირად ამასაც არ აკმარებდნენ და ყმებს უგონებდენ ისეთ სხვა და სხვა ახალ გარდასახადებს, რომელთა აკრებასაც მთავრობას აკუთვნებდენ და ყმებს ეუბნებოდენ, რომ ეს ხარჯი კერძოთ შემოგაწერათ. მთავრობამ და ამიტომ მე დამაკისრეს, რომ თქვენგან ავკრიფო ხარჯიო. მაგალითებრ, ალექსანდრე მაჭუტაძემ 1846 წ. თავის გლეხ ყმებს დააკისრა შემდეგი სხვა გადასახადი: მთავრობის სხვა და სხვა ხარჯებისათვის სულზე მანეთი და საიასაგ ულოდ 13 კაპეიკი. ამ ფულს მებატონე ჯერეთ თავის ყმებს ახდევინებდა, მაგრამ ნახა, რომ ამ გარემოებას სხვა, მებატონეთა საეკლესიო და სახელმწიფო, გლეხნი არ ექვემდებარებოდნენ, ამიტომ იგი ცოტა შეფიქრიანდა და მის საკუთარ გლეხებს, რომ არ გაეგოთ მისი საქციელი, ამიტომ მან სხვის გლეხებზედაც მოინდომა თავის მახვილის გავრცელება. ამის თავდარიგი სახელმწიფო გლეხებმა შეუტყვეს, და საჩივარი მისცეს მასზე, სადაც ჯერ იყო, რაჭუტაძე გამოძიებაში ჩაგარდა და ბოლოს თავი გაიმართლა. ყმა გლეხთაგან გარდახდილი ხარკი სხვა თავისადმი კუთვნილ გარდასახად ხარჯად ჩათვალა. ბევრი სხვა და სხვა ასეთ ოსტატობას იყო ჩვეულა ეს ბაბონი, მისი მახვილი უმეტესად კი მის ყმა გლეხებს ხვდებოდათ და ევლინებოდათ, ბევრი ასეთი ხარკი, რომლის გაგება სხვით სულ არ ჰქონია. სულ ამ გარემოების ბრალია, რომ გურიაში, 1810 წლების შემდეგიდამ, გლეხებმა ასე მრავლად იწყეს მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება. სათქმელია ისიც, რომ მებატონენი თავიანთ მახვილს გლეხებზე ხმარობდენ თვით მთავრობის ნებართვით და მათ მიერ პატივის ცემის და თავისუფლებისაგან, რომელიც მათ ჰქონდათ მინიჭებული ამ მინიჭებაში აი რა გამოიხატებოდა. თქვენ ოლონო ჩვენი ე. ი. მთავრობის ერთგულები იყავით და გლეხებს ბატონებმა რაც გენებოთ ის უყავითო. ბატონებიც სჩიდიოდენ ყველაფერ საძაგლობას რაც მათს სიამოვნებით სავსე ფულს სჭრდა. ბატონები იმას არ უფიქრდებოდენ, თუ მთავრობის ასეთ ეშმაკურს მათს პატივისცემას რა შემდეგი მოჰყვებოდა.

36. ერისთავი.

1847 წ. კენინა ერისთავის ოჯახს სასტიკად ეწინააღმდეგებოდა გლახი ყმა სიმონიკა ტულუში. ამანვე აიყოლია სიმონიკა სიოსძე: ამ ყმებს სახელმწიფო სამსახურში იხმარდნენ. ტულუში არ წავიდა

და არც მეორე გლეხი. ამით სთქვეს, ჩვენ ბატონის სამსახურისაგანაც ისედაც დალაღლნი ვართო და ჩვენ სხვა სამსახური არ შეგვიძლიანო. მთავრობას წინ აღუდგნენ ტყეში გაიქცნენ და ერქომიაშვილის ქვრივს ერთი, ძროხა მოსტაცეს. შვმდგომ ამისა ტულუშებმა სხვა და სხვა მებატონეებს გლეხები გაუორგულეს, მთავრობასაც არ ემორჩილებოდნენ, იასაულების ბრძანებას ზედაც არ უყურებდნენ, და ბატონის და მთავრობის ბრძანებას უსამართლოდ სთვლიდნენ. რადგანაც იგინი მრავალ ჯერ ყოფილან მებატონეთაგან შვილებ წართმეული და ოსმალეთში გაყიდული და მთავრობისაგან ბეგრის და ხარჯის გამო პირში სული ჰქონდათ წართმეული ტულუშმა ასე უთხრა ტყის მცველ დათიას: „ბატონისა და მათი შვილებისაგან ჩვენ შვილები გვერთმევა და ოსმალეთში თათრებზე გვეყიდება, მთავრობისაგანაც ტყავი გვიძება ხარჯის გადასახადში. ამიტომ ჩვენ არც მებატონეს ვემორჩილებით და არცა რა მთავრობას ოსმალში წავალთ და იქ ვიხსნით თავსა ასეთ შვევიწროებულ ცხოვრებისაგანაო“. ასე ჰქმნეს ამ გლეხ ყმებმა და 1847 წ. მთავრობისა და ბატონის თხოვნა დაარღვიეს, არაფერი შეასრულეს. შემდეგი დროის ცნობების არაფერი ვიცით, თუ რა მოხდა და როგორ დაიმორჩილეს ისინი.

მღვდლების დევნა.

1846 წ. თავ. დიმიტრი გურიელის ყმანი იყვნენ სოფ. უჩურეთის მცხოვრებნი გედევანიშვილები, გიორგი მასხული და მოსე. ესენი მღვდლის შვილები ყოფილან. ამიტომ 1862 წ. მთავრობას სთხოვენ, რომ გვიშუამდგომლეთ, ჩვენმა ბატონმა გავგანთავისუფლოსო, რადგანაც ჩვენ მღვდლის შვილები ვართო. ამისათვის უმაღლესი კანონი და ბრძანებაც არისო, რომ სამღვეელოთა შვილნი თავისუფალნი უნდა იქნენ ყმობისაგანო, ანუ მონობისაგანო. ბატონმა როგორი პასუხი მისცა და თუ რა უყო, ამისი ჩვენ არაფერი ვიცით, ამიტომ მოვიყვან აქ ერთ ამათ წერილს, რომელიც კარგად ხატავს, თუ თვით 1850 წ. როგორ იყო სასულიერო წოდების ყმათა განთავისუფლების საქმეც კი მათ მებატონეთაგან მაგრა შეზღუდული.

1847 წ. ჩოხატაურის ნაწილში ს. საჯავახოში მცხოვრებ მღვდლის შვილებს ბესარიონ და მის ძმებს სასტიქი დევნა აუტეხეს მათმა ბატონებმა დიმიტრი და როსტომ ერისთავებმა. ყმათა ოჯახი ცოტად მოგვარებული იყო, და მინამ მებატონეთა ეს ოჯახი არ აიკლეს უსამართლოდ, მინამ არ მოისვენეს. აკლების მიზეზი იყო

შური, რადგანაც ფეხზე დამდგარი ოჯახი უფრო წინაურდებოდა ქონებრივი შემძლებლობით, და ბატონს კი ეს ჭკუაში არ მოსდიოდა მებატონის ბრძანებით ყაჩაღურად აიკლეს მათი ოჯახი და ყოველივე მოუთხარეს. ამაზედ საჩივარი ატყდა. ყმებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენმა მებატონებმა მძლავრობით აგვიკლეს სრულიადაც, მაგრამ სამართალი მაინც არ იქნა, ჩვენ გამტყუნებული დავრჩით და იგინი გამართლებული. მებატონე გვედავება ჩვენს საკუთარ ადგილს—მამულს და მასზედ ყოველივე მდგარს მცენარეულობას. ყველა ეს შეძენილია ჩვენის მამისაგან. მებატონის არაფერი არის, მაგრამ ისე იმძლავრა ჩვენზედ, რომ ჩვენ რამდენჯერმე ხარჯიც მივეციით ამ მამულზედაც. ეხლა ნებავეთ სრულიად წართმევა, სამართალში დავდიჯართ და სამართალი კი ვერ გვიპოვნია. ჩვენგან უსამართლოდ წახლენა არ იქნება, ამიტომ გთხოვთ სამართალს, უამისოდ ჩვენ შორის მოხდება უძღურება და ადგილისაგან ჩვენისა მამულისაგან ჩვენი განტოლვაო“.

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ თუ მღვდლის შვილებიც კი ზოგი ერთ მებატონეთ, ასე ჰყავდათ დამორჩილებული და დაჩაგრული, აბა უბირ მონა გლეხებს რაღა დღეში ამყოფებდნენ?..

1847 წ. საბატონო მღვდელთაგან, მებატონენი იღებდენ მოსა^ლვალზე ათის თავს. დიმიტრი და როსტომ ერისთავებმა ერთს თავიანთ ყმა მღვდელს მოსავალზე მეოთხედი წაართვეს. და ამაზე მღვდელმა თავის სახლის კაცებით დავა აუტეხა. ბატონს, მეთედი ერგება და არა მეოთხედიო. იყვნენ ასეთი მღვდელნი და მათი შვილები, რომელნიც ბატონის ყმობას არ ეწინააღმდეგებოდენ, არ ედავებოდენ. ამის მიზეზი იყო ყმა მღვდლების უძღურება, უცოდინარობა და დამონება.

ყმა მოსაძე

1847 წ. მალაქია გურულს ჰყავდა ყმა გაბრიელა მოსაძე, რომელიც მალაქიას შეხვდა წილად მამის სიკვდილის შემდეგ, 1831 წელს. ეს გლეხი მალაქია გურიელმა ისე გაიწუწუკა ყმების ტაცვა და გასყიდვაში, რომ იგი მოურიდებლივ იტაცებდა თვით თავად-აზნაურთა ყმებს. ასე უყო ანტონ გუგუნავას და რამდენიმე ყმის გოგობიჭები მოსტაცა და ოსმალეთში გადაარეკეს და გაუყიდეს. 1847 წელს, ივლისის თვის განმავლობაში, ეს ყმა გურიელისა გუგუნავამ დააქვრინა და მთავრობას წარუდგინა, როგორც ქურდი და ყმათა მტაცე-

ბელი და მსყიდავი და მოთხოვა მისი დასჯა. გურიელმა გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინათვე გაიქცა მთავრობასთან და ითხოვა ყმა გლეხის განთავისუფლება, რაც აღსრულებულ იქმნა მთავრობისაგან და ყმა განთავისუფლებული. ასე იმონებდა და იბირებდა თავისკენ მაღაქია გურიელი თავისა და სხვის ყმებსაც კი.

ბ. ებრაელიძე

1847 წ. გოგინია ებრაელიძე ყმებისაგან მამულების წართმევას ჩვეული იყო. 1840 წ. ამან დავა აუტება ოზურგეთის სოფ. ლანჩხუთის მცხოვრებთ ბატონო და სახელმწიფო გლეხთ იმნაძეებს, ხოფერიებს, ჯორბინაძეებს და გაგაშიებს რამდენიმე კომლს, და მძლავრებით, კარგა მამულები წაართვა. დავა ატყდა. დავაში მას მიემხრენ აკეთის ზასედატელი თავ. მიხეილ ერისთავი, ლანჩხუთის მოურავი თავ. ალექსანდრე მაჭუტაძე და სხვანი, ამათ ვლახებს სამედიტორო სამართალიც შეუდგინეს. მაგრამ მათის წყალობით გამტყუნდნენ, 1847 წ. აგვისტოს თვის განმავლობაში, პორუჩიკმა ებრაელიძემ ჯარი შეუსია გლეხებს და წართმევა და გაყიდვა სისრულეში მოიყვანეს, მერე წამრთმევთ შუა გაიყვეს გლეხთა საკუთრება უძრავ-მოძრავი ქონება და ნივთები.

ბ. ერისთავი

1847 წ. სოფ. სურების მცხოვრებთ გლეხებმა უჩივლეს თავის მებატონე გიორგი დავითის ძე ერისთავს და ბევრი რამ ბოროტება დაასაბუთეს. ბატონმა ამაზედ დავა აუტება და გლეხები ისე შეაშინა, რომ ამათ ბოდიში მოსთხოვეს. მოგვიტევე, გვაპატიეო. ბატონი დაექადა, რომ აგრეთ და სულ დავამსობთო და დაგანიავებთო. ყმები შეშინდნენ. ორმოცდა ხუთის ყმის თხოვნით და დავალებით ბატონის შესახებ მთავრობას თხოვნა მისცეს სოფ. სურებში მცხოვრებმა ყმა გლეხებმა რამიშვილებმა, ტრაპაიძეებმა, სათირიშვილებმა, ბერიშვილებმა, გოგობერიძეებმა, სანიკიძეებმა და ბარამიძეებმა.

გაჭირვებულმა და შეწუხებულმა ყმებმა ბატონის შიშით თავები ბრიყვათ აღიარეს და თავიანთი სიბრიყვისა და პატიობის თხოვნა აზნაურს, ნიკოლოზ მდივანს დააწერინეს. სხვათა შორის თხოვნაში სწერია:

„მისს ბრწყინავალებას მმართველს სამხედრო და სამოქალაქო ნაწილისას და გურიის უეზდის ნაჩალნიკს, უფალს პოლკოვნიკს და კავალერს იგანე კონსტანტინეს ძეს ბაგრიტიონ-მუხრანსკის,

ჩოხატაურის უჩასტკის სოფელ სურებს მცხოვრებთან გიორგი დავითის ძის ერისთავის ყმების რამიშვილთ, ტრაპაიძის, შათირიშვილთ, ბერიშვილთ, გოგიბერიძის, სანიკიძის და ბარამიძისაგან, ერთობით თხოვნა.

ვინაიდან ჩვენ უჩიოდით მეპატონესა ჩვენსა კ—ზს გიორგი დავითის ძე ერისთავს, რომელიც გვიბრძანებდა ჩვენ მუშაობას, ქვიტკირისას და სხვათა შორის ცხენების ნათხოვრებისა, ჩვენ იმაში დიადი დანაშაული ვართ, ერთობით მათი ყმები, ამისათვის, რომ ჩვენ მხოლოდ მას ვამბობდით რომ მანდ მუშაობა ქვიტკირისა თქვა არ შეგვიძლიან, რადგანაც მთის ხალხი ვართ ვერ ვმუშაობთ და არცა ვსთხოვთ თქვენს ბრწყინვალეებას რათამცა შეცთომილება ჩვენი მოგვიტეონ და კვალად გვიშუამდგომლოთ მეპატონეთა ჩვენთა კ—ზს გიორგი ერისთავთან, რომ ჩვენი შეცდომილება რაოდენიცა გვაქვს მოგვიტეოს და ჩვენის შეძლებისამებრ გვიმსახუროს, როგორათაც ჩვენს მხარეს შეეფერებოდეს. ამასთანავე დაუმატებთ რომ ჩვენ აწიღვან არავითარი საჩივარი ჩვენს ბატონზედ არა გვაქვს რა და მხოლოდ ჩვენის რეგენობით შეესცოდეთ მოხსენებად უჩასტკის ნაჩალიკთან, ვითომც მომატებული მსახურება გვექონდეს ჩვენის ბატონისაგან. ვაბრიელ, ბეჟან, კვალად ვაბოიელ, გოგია, ბეჟან, ჟეჟუა, დავით, იესე, ვაბრიელ, მახარია, საბია, გვიტა, სვიმონ, გოგია, დათია, გლახუნა, ბეჟანა, ლაზარა, გოგია დალაქი, ეგნატა, მიქელა, სვანე, ლაზარა, დათია, ხახუტა, იესე, ლაზარე ბერი, მირანა, ბეჟანა, ზალიკა, ათანა, ოქროპირ, დათია, გოგია, გოგია, დათია, გრიგოლა, იესე, შეანა მახარობელი, დავითელა, სიმონა ვინათგან ზემორე სახელდებულთა ყმებმა წერა არ იცოდენ მათის თხოვნის და ხელის მოცემით მათ მაგიერ ხელს ვაწერ აზნაური ნიკოლოზ მდივანი.

ნათქვიმია:—„შიში შეიქმს სიყვარულსაო“. მეტი რა გზა ჰქონდათ, რომ ვაჭირებულ გლეხთ ასე არ ემართლად თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგინი იზარილებდენ, ადგილებიდან აყრიდნენ, საქმეს წააგებდნენ, სამართალს ვერსად იპოვიდნენ, რაკი მაშინ სამართალი არსად იყო, ამის კარი დახშული იყო, გიორგი ერისთავის საქმეებს მე კარგად ვიცნობ და მიტომ ვსჯი ასე მის უსამართლობაზედ თავისუფლად. ასეთს ხრიკებს მრავალი მეპატონენი ადგენენ და თავიანთ მომჩივან გლეხებს შიშით მთავრობის წინაშე ბოლიშს ახდევინებდნენ, რომ გაგვაბრიყვეს და ჩვენს ბატონზედ მტრობით გვაჩივლებინესო ბრიყვები ვართ, მოგვიტევეთ, გვიშუამდგომლეთო, რომ ბატონმა დანაშაული გვაპატიოსო. იგი ჩვენთვის კაი ბატონია და ჩვენც მისი

ერთგული მსახურნი ვართო. უსეთი ბოდისი წერილები მე ბევრი მინახავს, თითქმის ყველა ერთნაირად არიან შედგენილი, თითქმის ერთის სიტყვებით, გარჩევა იმათში ძალიან მცირეა, ამიტომ აქ მხოლოდ ეს ერთი ცნობა მომყავს, ქალაქებში გლეხთაგან ბატონის ცუდის მხილებაზე ისეთი სინანულით, რაიც გლეხნი ნამდვილ ვირგბათ ისახელებიან, გაუგებარ ბრიყვებათ, რომელთაც არ ესმოდათ რასაც ჩადიოდენ, ესეთი მათი გავირება დაცემა მკაცრად ეწინააღმდეგება ყმა გლეხთა საგმირო და ბატონების წინაშე ვაჟკაცურად თავის დაჭერას, რის ცნობებიც ჩვენს წერილებშიაც არის გაფანტული. გლეხნი, ყმანი, თუ იბუჯებოდნენ მებატონეთა წინაშე, ეს მოსდიოდნენ მთავრობის შაშით და უსამართლობით. რადგანაც მათ კარგათ იცოდნენ მთავრობასთან მიმართვის დროს, რომ ივინი აქ სამართალს ვერ ნახავდნენ: მთავრობა ბატონის მხარეს დაიჭერდა, მაინც ხანდისხან სცდიდნენ ხალმე იქნება მთავრობამ ჩვენი მხარე დაიჭიროსო, ზოგი სამართლიანი მოხელე კანონიერ განკარგულებასაც ახდენდა, ზოგი კი არა, ეს იყო გლეხთათვის ორში ერთი, უნდა ყოფილიყოს, ან ჰო, ან არა, თუ გაუჭირდებოდათ და მათთან თავიანთ ტანჯვის ცნობებს უკან წაიღებდნენ, უარს იტყოდნენ, ასე იყომავინ საქმე დაყენებული და ვისაც როგორ გენებოსთ თქვენც ისე გაამტყუვენთ. ჩვენ კი ვერას ვკადრებთ, ვერ გავკიცხავთ მათ.

ყმა მგელაძეები.

1848 წ. ბახვის მცხოვრებ სახელმწიფო გლეხთა ალექსანდრე, დიმიტრი, დავით, სიმონ, იობ, ალექსა, იესე, ნიკოლოზ მიქელაძეებმა გაათავისუფლეს თავიანთი მოყმე ივანე მგელაძე თავის შვილებით: „ჩვენს გარდა მათი გაათავისუფლება არავის შეუძლიაო. ამიტომ ოზურგეთის უფროსს მოვახსენებთ ჩვენს განძრახვას და მოწმობის მიცემას მასზედ, რომ ჩვენ ვანთავისუფლებთ ჩვენს ყმებს მგელაძეებსო“. არა ხჩანს თუ სვაფი მებატონე გლეხისაგან გლეხმა როგორ გაინთავისუფლა თავი. რა მისცა მყიდველს თავის დახსნაში.

ბ. გიგინეიშვილი.

1848 წ. სამეგრელოს თავადმა ივანე მხეიძემ დავა აუტეხა გურიაში მცხოვრებ სოფ. ჯურუყვეთის ახნაურთ ხახუტა გიგინეიშვილებს, რომ მათ მძლავრებით მომტაცეს ჩემი ყმანი მაჭიხოდი, სარია, და ოფიშხია ჯღართაია (?) (ქალაქი დამპალი იყო და ეს გვარები კარგად ვერ სჩანდა) ამ გლეხებს შვილებიც ჰყოლიათ თანა. ერთი

მებატონე ამტკიცებდა, რომ ყმები მომტაცეს მძლავრებითაო, და მეორენი კი ამბობდნენ, რომ ბატონისაგან ყმები ისე ვიციდეთ, რომ ეს განსყიდვა თვით ყმებმაც არ იცოდნენო. ამ ყმათა შესახებ მებატონემ სამეგრელოს მთავართანაც იჩივლა. მთავარმა ქუთაისის გუბერნატორს მისწერა, გუბერნატორმა ოზურგეთის მაზრის უფროსს და ამან კიდევ ყარამან თავდგირიძეს მიანდო ყმათა საქმის გარკვევა. საქმე გაირკვა და ყმების დაბრუნება უყურადღებოდ დაშთა, ყმები კი ამ საქმის გარკვევის გამო, იძღენი ათრეს, რომ მათ აღარ იცოდნენ რა ექმნათ, მზათ იყნენ თათარში გასულიყვნენ და გათათრებულიყვნენ, რომ იქნება თავი ეხსნათ ერთისა და მეორე მებატონისაგანაც.

მღვდელი უშვერიძე.

1848 წ. მღვდელმა ალექსი უშვერიძემ უარი სთქვა თავის ბატონის დიმიტრი და როსტომ ერისთავების ყმობაზე. მამულების შესახებ განაცხადა, რომ ყოველივე ნაყიდი მაქვს და ფული მიცემულიო. მე უმაღლესი უქაზის ძალით თავისუფალი ვარ და მამულიც ნაყიდი, დახსნილი გვაქვს მებატონეთაგანაო. დიმიტრი და როსტომ ერისთავები საჩივრის ზსახვს აძლევენ და მღვდლის საჩივარს უარსა ჰყოფდენ. ეგ მღვდელი უმაღლესს უქაზს გარეშე არის დაშთენილი და ამიტომ ჩვენ მის თავისუფლებას ვერა ვსცნობთო, მეორე მამულებიც მოტაცებული აქვს და არა ნასყიდიო, თუ ნასყიდი აქვს, ამას კანონიერი ბარათი ექმნებაო. მღვდელმა ალექსი უშვერიძემ მისცა პასუხი:

„რაც არ არის საკადრისი, იმას ჩაღიან მებატონენი და სარგებლობენ იმით, რომ ჩვენ მათს კეთილშობილებას, ვენდეთ, ფული გადუხადეთ, დამტკიცება მერე მოხდებოდა, ამიტომ მე, როგორც მათ პატივის მცემელმა, ბარათი არ ჩამოფართვი, ამით სარგებლობენ და მამულის მითვისებას გარეშე თვით ჩვენს ყმობასაც ქადულობენო. ვითხოვთ სიმართლით განსაჯრთ და საქმის სწორე გარჩევაზე თავადის და მებატონისშვილობით მათ რამე პატივი არ მიენიჭოთ და ჩვენ არ ვიქმნეთ უსამართლოდ გამტყუვნებულიო“.

შეოთხე საჩივრით, მებატონენი უარს ჰყოფენ მღვდლის ცნობებს და ყოველივეს ბარათის არსებობაზე ამყარებენ. ერთი ცნობით სჩანს, როდესაც მღვდელი ამბობს, რომ ეს „მებატონენი ჩვეულნი არიან ასეთ საქციელსაო“ ასეთი საქმეები გლეხ-ყმებსაც მრავალჯერ უყვესო, ამ მაგალითებსაც დავამტკიცებო.

რითი გათვდა ეს საქმე, სამწუხაროდ, ცნობები ვერსად ვნახეთ.

უბა ვაჩიშვილები.

1848 წ. თავ. როსტომ და ანტონ ერისთავებს თავიანთ ყმების ვაჩიშვილებისათვის მამულები წაურთმევიათ. ვაჩიშვილებმა მებატონეს დავა აუტეხეს მასზედ, რომ რაც კი მამულია წაგვართვით და ცარიელმა გლეხებმა რითი უნდა გემსახუროთო. მებატონეებმა პასუხი მისცეს ასე.

„ვაჩიშვილები სტყუიან, ჩვენ მამულები კი არ ჩამოვართვით, არამედ ვაუწყეთ, რომ ჩვენს ნება დაურთველად მათ არ შეეძლოთ რომელიმე სახნავი, სათესი, საბოსტნე თუ სავენახე ალაგის დაჭერაო.

ზოგ ალაგს რომ ეგენი ისაკუთრებენ ის ადგილები მაგათ თავის დღეში არა სჭერიათო. ამიტომ ვითხოვთ საქმის მოსპობას და თუ საჩივარი გაიჩნეს, უჩვენოდ არა იქნეს რა, ჩვენ ყველა ერისთავები უნდა ვიქმნეთ დაბარებულნი, რადგანაც ვანუყრელნი ვართო“.

ყმებმა მისცეს ცნობა: ჩვენ რა ადგილებსაც ვფლობდით აქამდე, ნუ თუ თქვენგან მისი მოწმობა უნდა გვერთმიაო. ეს ჩვენ არა გვქონია და არც იყო საჭირო, რადკან ჩვენ ბატონის ყმანი ვართო. ეხლა თქვენ რალაცა გსურთ და ჩვენი დაჩაგვრაო. საქმიდამ სჩანდა; რომ მებატონეებს, სურდათ ყმათათვის სხვაგან უხეირო ადგილები მიეცათ და იგი შეემუშაებინათ. კარგი კი თვით დარჩენოდით და მათ თვით გაუყოფელად ესარგებლნათ. ასეთს ოსტატობას მრავალი მებატონენი ადგნენ თვით ბატონ-ყმობის გადავარდნამდე და ქართლში ხიზნებს დღესაც ასევე უშვრებიან მათი მებატონენი. ამის მაგალითები შე თვით ვნახე გორის მაზრაში, ანუ ქართლში, სოფ. არბოს, მერეთს და კულბითის ხიზნებში, რომელნიც ჩვენი მწერლის ანტონ ფურცელაძის ძმის, კოტეს მამულში იყვნენ დასახლებულნი.

ღიაკონი უშვერიძე.

1848 წ. თავ. როსტომ ერისთავმა, საჯავახოს მცხოვრებით გლეხ-ყმათა ღიაკონს ბესარიონ, ალექსი და ნიკო უშვერიძეებს დაუმორჩილებს ვამო, დავა აუტეხა და მამულები წაართვა, ამის გარდა ადგილიდამ აყრასაც უპირებდა და სხვაგან გადასახლებას, რომ სხვა გლეხებმაც არ გამიბედონო. ყმებმა უთხრეს მამულები ჩვენი შრომით არის შექმნილიო და შენ ამაზედ დავა არ გაქესო. ბატონმა დავას მაინც თავი არ დაანება, მამულები ჩემიაო. თურმე მამულები მოსწონებია. ასე იცოდნენ, ყმის მამული, რომ მოეწონებოდა ბატონს, მერე მისი დავის ატეხა ადგილი იყო მისთვის.

აზ. ქარცივაძე.

1848 წ. აზნაურმა ალექსანდრე ქარცივაძემ გაყიდა თავისი ყმა-კაცი 120 მანეთად. ამ კაცსავე გაჰყვა თან მთელი ოჯახი. ეს კაცი თავის ბატონს ქარცივაძისთვის მზითევში მიუტია. მებატონე შალიკაშვილი ყოფილა. როცა ამას გაუგია თავისი ყმის გასყიდვის ცნობა, მაშინ მას დავა აუტყენია ქარცივაძისთვის. და რალაცა წილი უთხოვინია, ფულიდამ, ქარცივაძემ პასუხი მისცა და სთქვა:

ყმა ჩემი საკუთარი იყო, რადგანაც იგი ყმა დედაჩემს მზითევში მოჰყოლიაო, ქვრივობის შემდეგ, დედაჩემი შინ მიბრუნდა და ყმაც უნდა წაიყვანაო, მაგრამ მე მას ვეჩაილი მივეცი ჩემის ყმის და იგი მე დამრჩაო. ახლა გავყიდე და მას რა ესაქმება. ჩემთანაო. როგორც სჩანს ქარცივაძეს დედის ყმა ნაკლებ ფასად უყიდნია, ისიც ბარათა მიუტია შალიკაშვილისთვის და თვითონ კი ის ყმა მეტ ფასში გაუყიდნია. გლეხი ბევრ ხანს ატარეს ამისთვის.

ანუსია ჭანიშვილის ბავში.

1848 წ. როსტომ შარვაშიძეს სახლში ჰყვანდა მოახლედ ანუსია ჭანიშვილისა, ამ ქალისაგან მას მიეცა ერთი შვილი, სახელად ნიკო, რომელიც სამართალში შარვაშიძეს დააკისრა შვილად. უკანონო შვილი სახელმწიფო გლეხად ჩაინიშნა.

აზ. ჩხენკელი.

1848 წ. ცნობილ თავ. ყარამან თავდგირიძეს საკუთარ მამა-პაპულ ყმათა გარდა ჰყავდა, ცოლის ნამზითვი ყმებიც. იგი მტანჯავი იყო ყმათა და მომტაცებელიც, ამგვარად მან მოსტაცა აზნაურ ბეჟან კაციას ძე ჩხენკელს ყმა, ხუხუთა ბიკია. ამ წართმევამ მებატონეთა შორის დიდი დავა გამოიწვია. ჩხენკელი ისე გაბრაზდა, რომ ერთ დღეს თავდგირიძეს სახლში შეუფარდა და თავისი ყმა უნდა ეპოვნა, მაგრამ იქ მან თავისი ყმა კი ვერ ნახა და სხვების კი. სხვა მოტაცებულნი და მითვისებულნი. სხვის ყმებს ის იტაცებდა და ის, აბრიყვედა, რომ თვით ყმები მისდევდენ ცხვრების ფარასავით მას და რასაც ეს ერყოდა, მოტყუებულნი ყმანი მასვე ასრულებდენ. თავ. ყარამან თავდგირიძე ასეთ მოხერხებაში განთქმული ყოფილა. გლეხები და გლეხის შვილებიც მას თვით ოსმალეთშიც კი მისდევდენ დასაყიდათ, რადგანაც ეს მათ არწმუნებდა, რომ იქ თქვენ გაბედნიერდებით, განსყიდვის

შემდეგ, პირველი, ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლდებით, მეორე შეძლებას იშონით და თათრის სამსახურშიც კაი აღვილს დაიჭერთო. რადგანაც ოსმალნი ჩვენს კაცს კაი პატივს სცემენო. ეს ერთის მხრით ასეც იყო. ოსმალნი მართლაც და გურულებს პატივს სცემდნენ დიდათ, პირველი სიმარდისათვის და მეორე გათათრებისთვის და მესამე სილამაზისთვის.

თუმცა აზაურმა ჩხენკელმა თავისი ყმა ვერ იპოვნა თავ. ყარაიმან თავდგირიძის სახლში, მაგრამ მაინც არ დაწყნარდა და სასამართლოში საჩივარი მისცა და ყოველივე ბრალი აღნიშნულს ბატონს დასდვა და თან პასუხიც მოსთხოვა. ამ დროს ლანჩხუთის უფროსად იყო პოდპორუჩიკი კავალერი ალექსანდრე მაჭუტაძე, ყარაიმან თავდგირიძის მეგობარი. უფროსმა რასაკვირველია, თავადის მხარე დაიჭირა და ყოველივე მის სასარგებლოთ გათავდა.

ყმა ბიკაიას ხსენებაც არ აღმოჩნდა. თავ. თავდგირიძემაც ისეთი პასუხი მისცა, რომ მე არც ეს ყმა ვიცი და არც მისი გვარი გამიგონიაო. ჩხენკელმა იფიქრა: ეხლა მაგას ის ყმა უკვე გაყიდული ეყოლება ოსმალში და მე მის კეალს ველარსად მივაგნებო.

ხ ა ნ თ ა ძ ე

1849 წ. ბევრს ალაგას არის მოხსენებული თავ. ალექსანდრე მაჭუტაძე, როგორ ბოროტი და გლეხთა მღვენელი. თავის გლეხებს ეს ფეხებში ხუნდებს უყრიდა და ისე იჭერდა, მაგრამ მის ყმებთ შორის იყვნენ ისეთი გლეხნიც, რომ ბატონის სამუდამო ტანჯვას ერიდებოდნენ, მით ოსმალეთში მირბოდნენ, იქ თათრდებოდნენ, და ამით იხსნიდნენ თავს ბატონის ბოროტებისაგან. ყოფილა მავალი-თები, რომ ყმები მისი მირბოდნენ ზუმად ცოლშვილით, ქობულეთს, აჭარას, იქ ისლამის რჯულს იღებდნენ, და მერე იქვე სახლდებოდნენ სამუდამოთ. ასე და ამ გვარად, მას გაექცა ერთი ახალ გაზრდა ყმის შვილი ეგტიხი ხანთაძე, ოსმალეთში გადავიდა, მაგრამ ბატონმა მოასწრო, დააჭერინა და მოაყვანინა. ეს ბიჭი ბატონმა დასაჯა, მერე გაათავისუფლა იგი თავ, ნიკო მაქსიმეიშვილის თავდგირიძის თავდებობით, შემდეგ კიდევ გაიქცა ეს ბიჭი, ამიტომ ალექ. მაჭუტაძემ დავა აუტეხა თავდებს. თავდებმა მოსძებნენ გაქცეული და შეიტყენ, რომ იგი საქართველოში წავიდაო, ამიტომ ოზურგეთის უფროსს მოხსენებას აძლეს, რომ ალ. მაჭუტაძის ბიჭი ოსმალეთში კი არა, საქართველოში წასულა სამუშაოდ და ეხლა თვითონ მებატონემ იმეცადინოს და საქართველოდამ ამოაყვანინოსო. მე ამას ამი-

აზ. ქარცივაძე.

1848 წ. აზნაურმა ალექსანდრე ქარცივაძემ გაყიდა თავისი ყმა კაცი 120 მანეთად. ამ კაცსავე გაჰყვა თან მთელი ოჯახი. ეს კაცი თავის ბატონს ქარცივაძისთვის მზითევში მიუტია. მებატონე შალიკაშვილი ყოფილა. როცა ამას გაუგია თავისი ყმის გასყიდვის ცნობა, მაშინ მას დავა აუტეხა ქარცივაძისთვის და რაღაცა წილი უთხოვნია, ფულიდამ, ქარცივაძემ პასუხი მისცა და სთქვა:

ყმა ჩემი საკუთარი იყო, რადგანაც იგი ყმა დედაჩემს მზითევში მოჰყოლიაო, ქერავობის შემდეგ, დედაჩემი შინ მიბრუნდა და ყმაც უნდა წაიყვანაო, მაგრამ მე მას ვეჭაილი მივეცი ჩემის ყმის და იგი მე დამრჩაო. ახლა გავვიღე და მას რა ესაქმება ჩემთანაო. როგორც სჩანს ქარცივაძეს დედის ყმა ნაკლებ ფასად უყიდნია, ისიც ბარათა მიუტია შალიკაშვილისთვის და თვითონ კი ის ყმა მეტ ფასში გაუყიდნია. გლეხი ბევრ ხანს ატარეს ამისთვის.

ანუსია ჭანიშვილის ბავში.

1848 წ. როსტომ შარვაშიძეს სახლში ჰყვანდა მრახლედ ანუსია ჭანიშვილისა, ამ ქალისაგან მას მიეცა ერთი შვილი, სახელად ნიკო, რომელიც სამართალმა შარვაშიძეს დააკისრა შვილად. უკანონო შვილი სახელმწიფო გლეხად ჩაინიშნა.

აზ. ჩხენკელი.

1848 წ. ცნობილ თავ. ყარამან თავდგირიძეს საკუთარ მამაბაპეულ ყმათა გარდა ჰყავდა, ცოლის ნამზითვი ყმებიც. იგი მტანჯავი იყო ყმათა და მომტაცებელიც, ამგვარად მან მოსტაცა აზნაურ ბეჟან კაციას ძე ჩხენკელს ყმა, ხუხუთა ბიკაია. ამ წართმევამ მებატონეთა შორის დიდი დავა გამოიწვია. ჩხენკელი ისე გაბრაზდა, რომ ერთ დღეს თავდგირიძეს სახლში შეუფარდა და თავისი ყმა უნდა ეპოვნა, მაგრამ იქ მან თავისი ყმა კი ვერ ნახა და სხვების კი. სხვა მოტაცებულნი და მითვისებულნი. სხვის ყმებს ის იტაცებდა და ის, აბრეყვდა, რომ დავით ყმები მისდევდენ ცხვრების ფარასავით მას და რასაც ეს ერკოდა, მოტყუებულნი ყმანი მასვე ასრულებდენ. თავ. ყარამან თავდგირიძე ასეთ მოხერხებაში განტყმული ყოფილა. გლეხები და გლეხის შვილებიც, მას თვით ოსმალეთშიც კი მისდევდენ დასაყიდათ, რადგანაც ეს მათ არწმუნებდა, რომ იქ თქვენ გაბედნიერდებით, განსყიდვის

შემდეგ, პირველი, ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლდებით, მეორე შეძლებას იშონით და თათრის სამსახურშიც კაი აღვილს დაიჭერთო. რადგანაც ოსმალნი ჩვენს კაცს კაი პატივს სცემენო. ეს ერთის მხრით ასეც იყო. ოსმალნი მართლაც და გურულებს პატივს სცემდნენ დიდათ, პირველი სიმაღლისათვის და მეორე ვათათრებისათვის და მესამე სილამაზისთვის.

თუმცა აზაურმა ჩხენკელმა თავისი ყმა ვერ იპოვნა თავ. ყურამან თავდგირიძის სახლში, მაგრამ მაინც არ დაწყნარდა და სამართლოში საჩივარი მისცა და ყოველივე ბრალი აღნიშნულს ბატონს დასდვა და თან პასუხიც მოსთხოვა. ამ დროს ლანჩხუთის უფროსად იყო პოდპორუჩიკი კავალერი ალექსანდრე მაჭუტაძე, ყურამან თავდგირიძის მეგობარი. უფროსმა რასაკვირველია, თავადის მხარე დაიჭირა და ყოველივე მის სასარგებლოთ გათავდა.

ყმა ბიკაიას ხსენებაც არ აღმოჩნდა. თავ. თავდგირიძემაც ისეთი პასუხი მისცა, რომ მე არც ეს ყმა ვიცი და არც მისი გვარი გამიგონიაო. ჩხენკელმა იფიქრა: ეხლა მაგას ის ყმა უკვე გაყიდული ყოლებდა ოსმალში და მე მის კვალს ვეღარსად მივაგნებო.

ხ ა ნ თ ი ა ძ ე .

1849 წ. ბევრს ალავას არის მოხსენებული თავ. ალექსანდრე მაჭუტაძე, როგორ ბოროტი და გლეხთა მღვენელი. თავის გლეხებს ეს უფებში ხუნდებს უყრიდა და ისე იჭერდა, მაგრამ მის ყმებთ შორის იყვნენ ისეთი გლეხნიც, რომ ბატონის სამუდამო ტანჯვას ერიდებოდნენ, მით ოსმალეთში მირბოდნენ, იქ თათრდებოდნენ, და ამით იხსნიდნენ თავს ბატონის ბოროტებისაგან. ყოფილა მაგალითები, რომ ყმები მისი მირბოდნენ ჩუმად ცოლშვილით, ქობულეთს, აჭარას, იქ ისლამის რჯულს იღებდნენ, და მერე იქვე სახლდებოდნენ სამუდამოთ. ასე და ამ გვარად, მას გაექცა ერთი ახალ გაზრდა ყმის შვილი ევტიხი ხანთაძე, ოსმალეთში გადავიდა, მაგრამ ბატონმა მოასწრო, დააჭერინა და მოაყვანინა. ეს ბიჭი ბატონმა დასაჯა, მერე გაათავისუფლა იგი თავ, ნიკო მაქსიმეიშვილის თავდგირიძის თავდებობით, შემდეგ კიდევ გაიქცა ეს ბიჭი, ამიტომ ალექ. მაჭუტაძემ დავა აუტეხა თავდებს. თავდებმა მოსძებნენ გაქცეული და შეიტყნენ, რომ იგი საქართველოში წავიდაო, ამიტომ ოზურგეთის უფროსს მოხსენებას აძლეს, რომ ალ. მაჭუტაძის ბიჭი ოსმალეთში კი არა, საქართველოში წასულა სამუშაოდ და ეხლა თვითონ მებატონემ იმეცადინოს და საქართველოდამ ამოაყვანინოსო. მე ამას ამი-

ტოვ მოვახსენებ, რადგან დანამდვილებით ვიცი, რომ იგი საქართველოში გასულა და მუშაობს თულის მოსაგებადაო. დღეიდგან მცთავისუფალი უნდა ვიქმნე, რადგანაც მეებატონეს მოუძებნე ყმის ბინა და ვაუწყე, რომ იგი საქართველოს ქალაქ თბილისში იმყოფებაო. ბინასაც უჩვენებს თუ ვისთანაც არის ყმა მისი, მოსამსახურედ. თვით მეებატონე უფრო ადვილად ამოიყვანს ვინემც მეო. ხარჯს კი მე ვიკისრებ და რაც კნიაზ ნაკაშიძეს (?) დაეხარჯება ამოყვანაზედ იმას მე გადუხდი უკლებლივაო.

აზნ. გოგობერიძე.

1850 წ. ჩოხატაურის ახლოს სცხოვრებენ აზნაურნი გოგობერიძენი: მცირე წლოვან მათა გოგობერიძეს თავისმა მეგვარეებმა მძლავრებით წაართვეს მამულები და ყმანი, ამაზედ მათა გოგობერიძეს ვეჭილმა აზნაურმა ლევან ფლანტიმ დავა ასტეხა. აზნაურის შვილებსაც კი, რომ ასე ართმევდნენ და სტაცავდნენ თვით სულიერ მოყვრებსაც, აბა სხვებზედ რაღა უნდა ითქვას?

ყმა პატარაია.

1862 წ. გურიის მეებატონე თავ. ერისთავმა გაჰყიდა ჩუმაღ საცალა, თავის ყმის შვილი ივანე პატარია. ამ ბიჭის გულისთვის ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში დავა ატყდა და ბატონი გამოძიებაში მისცეს. შემდგომ აღმოჩნდბ ისიც, რომ თავად ერისთავი, ჩვეული ყოფილა გოგო ბიჭების მოტაცვის და ჩუმაღ დასყიდვას ოსმალეთში.

უკანონო შვილების საქმე.

1848 წ. ძველს დროში, საზოგადო საკანზოები არ იყო. მთელს თფილისში შეფუების დროს, არ არსებობდა არც ერთი ასეთი სახლი, მაშინ არც იყო საჭირო, რადგანაც გლეხკაცის შვილებს 18 წლიდან ცოლსა რთავდენ. ასევე იყვნენ მოქალაქენი და ვაჭრებიც, სალამოს ნ. საათის შემდეგ, ყველა თავის სახლში მიდიოდა და ლხინობდა.

ასე იყო, ხოლო ცხოვრების ასპარეზედ გალაღებულნი იყვნენ თავად-აზნაურთა შვილები, ისიც ყველა კი არა, ზოგიერთნი, ვინც უვარგისნი იყო, თორემ კეთილი და პატიოსანი პირთა რიცხვიც დიდი გახლდათ მათში. ვინც ურიგო იყო, იმათს ოჯახებში გამრავლებული იყო ყმათა შილების ხასად წაყვანა, ყმის გოგოს ჯერ ბატონი გაათუჟებდა და მერე ამას სხვებს მიუგდებდა.

იმერეთს და სხვაგანაც, სადაც კი ურიგო თავად-აზნაურების ოჯახს ნახავდით, იქ უსათუოდ ნახავდით თითო-ოროლა მათ ყმათა გოგოებს ხასად დამჯდართ, ესენი მებატონეთ სახლებში მოახლედ ემსახურებოდენ, თან ბატონის შვილებს ხასობას უწევდენ. ასეთი წესები უმეტესათ გურიაში იყო გავრცელებული. მარტოდ 1838 წლებიდან 1860 წლებამდე რამდენიმე ასი და თითქმის ათასი ხასის საჩივარიც კი შემხვედრია და მინახავს; ასეთ ქალების მდგომარეობა დიდს სამწუხარო სურათს წარმოადგენდა იმ დროს, ქალები დევნილნი იყვნენ, და პირად ღირსება დაცემულნი. ხასად გახდენის შემდეგ, მას ყველა ნაძრახს უძახდა, მას აღარავინ ირთავდა კანონიერების ჯვრის წესით, ერთი სიტყვით, თავის სიკვდილის დღემდე რჩებოდა საბრალო და საძრახის მდგომარეობაში.

ასეთი უძლური ქალიც კი, თავის უბედური სხეულით და დაცემული ღირსებით, მაინც ბატონის მონად რჩებოდა და ხასა მებატონეს სახლში ჰყვანდა, ვიდრე უნდოდა, მერე, შვილის მიცემის შემდეგ, რასაკვირველია ხასას ადვილად დაითხოვდა. მის მაგად მერე სხვა ახალს შეიყვანდა, ქალწულ ქალს და ასე და ამგვარად, ზოგიერთი ბოროტი მებატონე, ყოველთვის იცვლიდა ლოგინს ახალ-ახალის ქალებით: გაგდებულის, ანუ დათხოვილი ხასა კი მაინც ბატონის მონად რჩებოდა და მას არ შეეძლო ამ შემთხვევაში თავის ნებით გა-

თხოვილიყო, ვიდრე ამ ნაძრახ სარალოსაც ბატონი ნებას არ მისცემდა, ნება დაურთველად მას შეეძლო მხოლოდ მრუშობა, ბოზობა, საკახპოში დაჯდომა. ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ მებატონენი თავიანთი ყმის ქალებს, თვით საკახპოებშიაც კი ეძებდნენ და ხარკს ართმევდნენ. ამის მაგალითები ხშირად ყოფილა, რომ მებატონე თბილისში ჩამოსულა, თავისგანვე პირველად გაფუჭებული გოგო საკახპოში მოუნახავს, ბატონს ხარკი გამოურთმევია და მერე წაბრძანებულა შინ, საბრალო ქალისაგან დასაჩუქრებული.

ასეთ ქალებს სიკვდილამდე ყოველთვის დიდი უძღურება ელოდათ და ვაჭირვება. ამათი ბედი ერთი ის კი იყო, რომ ბატონისაგან ნამუსახდილს და გაფუჭებულს ზალხი და ნათესაობა არ სდევნიდა, რადგანაც მათ იცოდნენ კარგად, რომ მათი ნათესავი ქალი ბატონის ძალადობით იყო ნამუს ახდილი და გაფუჭებული. ამიტომ გლეხკაცობაში ასეთი საბრალოების, დიდი შეგნება და სიბრალოეობა აქენდათ, ეს რასაკვირველია ასეც უნდა ყოფილიყო. იყვნენ ისეთი მებატონენიც, რომელნიც თავისაგან ასეთ ნაძუს ახდილ ქალებს თვით ათხოვებდნენ თავიანთ გლეხებზედ, რასაკვირველია თავის წინადადებით და ამ შემთხვევაში გლეხს, კაი საჩუქარს აძლევდნენ, მზითვებს და ხშირად ყმობისაგანაც ათავისუფლებდნენ, უფრო კი მზითვებს აძლევდნენ, განთავისუფლება იშვიათად იცოდნენ.

ანთავისუფლებდნენ უფრო ისეთ გლეხებს, რომელნიც სწეულნი იყვნენ და ბატონის ბეგრის გადახდა არ შეეძლოთ.

ანთავისუფლებდნენ ისეთ სასიძო გლეხ ყმებს, რომელნიც დიდ ხანს ხასად ნამყოფ ქალს წაიყვანდა ცოლად და ბატონის თხოვნას აღასრულებდა. ანთავისუფლებდნენ ისეთ გლეხთ, ვისგანაც ვერაფერს იღებდნენ ადვილად. ვისაც ვერას გამოჩეხებდნენ, ვისგანაც არას მოელოდნენ. ზოგთ არც ამათ ელეოდნენ, ვასაყიდათ მაინც გამოგვადგებო. ვინც არც საამისოდ ვარგოდა და იმაზედ კი ხელს იღებდნენ უგულოდ.

თორემ იშვიათი იყო, რომ მებატონეს გაენთავისუფლებინა ისეთი გლეხ-კაცის შვილი, რომელსაც ბატონის გული შეჯერებული ჰქონდა და ხარჯსაც ყოველთვის აძლევდა ულაპარაკოდ, ასეთ გლეხებს ბატონი არამც თუ ანთავისუფლებდა, არამედ იგი ასეთებს საყმითაც ეძებდა, ზოგს ყიდულობდა კადეც, ზოგს გაბრიყვებითაც იყმობდა, ზოგს ძალით და შიშითაც. მე იმდენი საქმეები მინახავს ყმა ქალებისა, იმდენი უბედური შემთხვევები ბატონთაგან მათზედ მოხდენილი, რასაც მთელ ტომებშიაც ვერ დავტყვით. ამის ცნობებს

მრავლად მოისმინეთ ჯერ კიდევ, ბატონყმობის მომსწრე მოხუცებულებთან, რომელთაც კარგად ახსოვთ ამ ვაების ცნობები. მოვიყვან ერთს მხარეს, ასეთ ყმა-ქალთა ცხოვრებიდან.

მებატონე, ქალს რომ წაახდენდა, მერე მან ისიც კარგად იცოდა, რომ ეს ქალი დაორსულდებოდა, ამიტომ ჩუმად იგი ქალს ეუბნებოდა, რომ ჩემს გარდა შენ ერთხელ ან ორჯელ სხვა ვინმე გლეხის შვილიც დაიახლოვეო, რომელიც შენ მოგინდეს და მოგეწონოსო, ან შენ მოეწონოვო. ხოლო იმას კი ნუ გააცხადებ, რომ ჩემთან ყოფილიხარო. როცა შენ შვილი მოგეცემა, მაშინ მე იმას დავიკისრებ შენს ნაშობს და შეიძლება რომ შენც ადვილად შევრთო მასაო. ასეთს ხრიკებს ადგენენ მებატონენი და ამით იგინი არც ტყუედებოდნენ, ხშირად მათ თავიანთი ოინი გაყვანდათ და თავისგან დაორსულებულ ქალთა ბრალს სხვას სწამებდნენ. მაგრამ დაწამება უბრალო იყო. რადგანაც ქვეყანამ იცოდა მებატონეთა ხრიკები და ის გარემოებაც, თუ ესენი რა ხრიკებს თამაშობდნენ, თავიანთ სახლში საბრალო ყმის ქალების გვერდით, და ამიტომ მათს ბრძანებას ფანდებს მხოლოდ შიშით ემორჩილებოდნენ, და არა თავიანთის ნებით და წადილით. ზოგს ყმის ქალს მისცემდნენ და დაპირდებოდნენ, რომ გაგანთავისუფლებთო, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა და შემდეგ არ ათავისუფლებდნენ. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ რაც ქალს მებატონე ვერ ათხოვებდა, ყმებში ვერავის პოულობდა ასეთ მთხოვნელს და ვისაც დაბრალდებოდა ქალის დაორსულება, ისიც რამე შემთხვევებით წინედ მოასწრობდა და ცოლს შეირთავდა. იმ შემთხვევაში ქალს რომ გაისტუმრებდა ბატონი სახლიდან, თუ პატარა ჰყვანდა ქალს ყმაწვილები, მაშინ დედასთან გაატანდა აღსაზრდელად, და თუ დიდი, თვითონ იტოვებდა შინ მოსამსახურედ, ყმობიდანაც იგი ვერსად წავიდოდა, მის საკუთრებას შეადგენდა.

იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ ზოგი ერთ ქალის ნაშობს ბატონი სხვას რომ დააკისრებდა მას, რომ მოვალედ ხდიდა ქალის შერთვას და შვილის მიღებას, მაშინ ზოგი გლეხი ყმა ქალს კი არ შეირთავდა, მაგრა დადგებოდა და მხოლოდ ნაბუშრის მიღებას და გაზრდას კისრულობდა, მაშინ ყმაწვილი ამ ამყვანი მამის გვარზედ იწერებოდა, ხოლო იგიც ბატონის ყმად შთებოდა. იყო ისეთი პირობაც ნაბუშარი ქალი თუ ვაჟი საყოველთაოდ მამობილის სახლში შთებოდა, ნამეტურ ქალის მოვალეობა აწვა მამას კისერზედ, და მას ქალი უნდა გაეთხოვებინა, გაზღის შემდეგ, ისეც იყო, რომ ვაჟი კი დედას დაუბრუნდებოდა, ხან ქალსაც უბრუნებდნენ, ხან თვით დედა დაიბრუ-

ნებდა თავის სურვილით, ესა ხდებოდა მაშინ თუ დედა შეძლებულა იყო და მამობილი შეუძლო, სხვა შვილების პატრონიც.

ეს ხდებოდა მაშინაც, თუ მამობილი ნაბუშრების წინაშე რამე დალაღი შეემჩნეოდა, ზოგმა ასეთმა მამამ იცოდა, საბრალო უკანონოდ შობილ ბავშვების ჩუმიდ ოსმალეთში გადარეკვა და გასყიდვა. აქედამ ანაღებ ფულს ბატონსაც მისცემდა, და ამიტომ ამ საქმის ვითარება ბატონმაც იცოდა საიდუმლოდ, მის გარდა სხვა ვერავინ რას შეიტყობდა, ასეთ შეუბრალებელ მამობილებისაგან ხშირად დაყიდულან უჩუმიად პატარა ქალ-ვაჟნი, დამყიდავნი ყოველთვის ისე ახერხებდნენ ამას, რომ მათ ვერავინ რას გაუგებდა. შემდეგ ხალხში გაავრცელებდნენ, რომ ყმაწვილები დამეკარგნენო. დედა ბევრს იწუხებდა, აქეთ იქით ეცემოდა, და ძებნას დაუწყებდა, მაგრამ რაღა დროს და სად, მათ კვალს ველარსად მიაგნებდა საბრალო დედა, ასეთ ქალთაგან ბევრი ცრემლი დაღვრილა მწარედ, შვილების გულისთვის. ეს უბედურება ისე იყო გახშირებული, რომ მშობლები ყოველთვის ზრუნვასა და ზედამხედველობაში იყვნენ თავიანთ ნაშობებზედ, ასეთ საქმეთა შესახებ მე მრავალი საბუთები მინახავს აქა-იქ, დღესაც ბევრნი არიან ცოცხალნი მაშინ მებატონეთა წინაშე ხასად ყოფილების. ბევრი მოხუცი დედა მინახავს, რომელსაც მრავალი რამ ცნობები უამბნია ჩვენი წერილის დასაწერად. ასეთ პირთა რიცხვი, დღეს ცოტა არის და შემდეგ მთლად მოისპობა, მათგან ვერ ვისარგებლეთ და ამბები ვერ ვწერეთ. იყვნენ თურმე ისეთი მამობილი გლეხნი, რომელნიც თავიანთ ნაბუშრებს აღარ უბრუნებდნენ. დედისთვის კი—რასაკვირველია შვილი ყოველთვის ძვირფასია, მას ვინ ეყოლებრდა ნუგეშად, თუ არ ერთად ერთი თავის ნაშობი და გაზდილი შვილი, მამობილი გშირად ძალასაც ხმაობდა თურმე, და არ მისცემდა შვილს. საბატონო კანონი კი ისე ჭოფილა, რომ ვაჟი გაზრდის შემდეგ დედისა იყო თუ მამობილთან გაიზრდებოდა, მერე თუ დედა მოითხოვდა, მამობილს ძალა არ ჰქონდა, უნდა დაებრუნებინა დედისთვის.

ამის მაგალითები ასამდე მინახავს. აქ მოვიყვან მხოლოდ ერთს, რომელიც შეეხება ბახვის ნაწილ სოფელ ქალაში მცხოვრებ ედუვი ჭანიშვილის ქალის საქმეს. ეს ამბავი მომხდარა 1847 წ. ჭანიშვილები გიორგი ნაკაშიძის ყმანი ყოფილან, ჭანიშვილის ქალი ედუვი ბატონს შინა მსახურად ჰყოლია, ამ დროს, ამ ქალს, ვითომც და როსტომ მგელაძესაგან გასჩენია შვილი. შვილი მერე მამობილს წაუყვანია აღსაზრდელად. მოახლისთვის ბატონს ნება მიუცია გათხოვე-

ბის და ამიტომ ქალი გაუთავისუფლებია. ქალი თავისთვის წასულო, გათხოვილა თუ არ გათხოვილა ეს არ ვიცი, ხოლო 1847 წ. ოზურგეთის უფროსს საჩივარს აძლევს და შვილს სთხოვს; ეს საჩივრის ქალაღი მე ვნახე, გვერდები მომპალი ჰქონდა, რაც გავარჩიე, ის აქვე მომყავს: „მათს კეთილშობილებას ოზურგეთის უფზდის უფროსს. თხოვნა ედუკი ჯანიშვილის ქალისაგან. მე ვიყავი მოახლე ვინაჲ გიორგი ნაკაშიძისა და დროსა მოახლეობისა მეყოლა უკანონო შვილი როსტომა მგელაძესაგან, და რა გაუხდა შვილსა ჩემსა ოთხი წელი, მე ველარ შევსძელი მოვლება ყმაწვილისა, რადგანაც სამსახური უნდოდა, დროებით წავატანე როსტომა მგელაძეს ჩემი შვილი აღსაზრდელად და ტანფენის შესაკერავად. შემდგომ ამის გამანთავისუფლა ბატონმა და ქმრის შერთვის ნება მომცა; ეხლა შევიტყუე რომ იგი სცემს მას და არც ტანთ აცმევს, არც ფეხთ აცმევს, მე მრავალჯელ ვსთხოვე შვილი ჩემი შათ, მაგრამ შათ არ დამიბრუნეს, ეხლა ვთხოვ თქვენს ძალად კეთილშობილებას, ჰყოთ განკარგულება ამაზედ და მოეცეთ შვილი მე, რადგანაც კანონით დედისა არის, უკანონო შვილი. ანუ ბატონსა ჩემსა და ნუ ექმნების ნება მას, რომ შვილი ჩემი წამართვას მე ვითხოვ შვილის დაბრუნებას“. რასაკვირველია ამ წერილში ერთი ის არის, რომ მომჩივანი თავის შეცდომაზედ და უკანონო შვილის ყოლაზედ მთავრობის წინაშე, იმ დროს, რაც მისაბაძი იყო, ისე თავისუფლად და მოურიდელად ლაპარაკობს, სჩანს ეს ჩვეულება მაშინ გურიაში ისე ყოფილა მოთენილი, რომ მორიდება და რიდი აღსდომნია.

V.

უმცბონ ღანუიფუნ.

ნამდვილი ამგები დაყიდულ ყმათა შესახებ

ნამდვილი თანამედროვე პირთაგან.

თანამედროვე მნახველ კაცთაგან აი რა ცნობები შევკრიბე; ამ დასაყიდ თუ დაყიდულ ყმათა შესახებ, ყოველივე ეს-თვალთ ნახულია და ნამდვილი.

ქართველთ საბატონო ყსანი, მებატონეთაგან ისყიდებოდნენ ქალაქ თბილისს, თელავს, სიღნაღს, გორს და სხვა ქართლისა და კახეთის ქალაქებსა და სოფლებშიაც, სადაც გასყიდვა მოხდებოდა. ყმანი ასევე ისყიდებოდნენ იმერეთს; იმერეთს გარდა ისიც ხომ კარგად ვიცით, რომ ყმებს მებატონენი ჰყიდდნენ უცხო ქვეყნებშიაც, ანუ ოსმალეთს, სპარსეთს და ვინ იცის კიდევ საით არა. ყმათა გასყიდვა ხდებოდა ყოველთვის აშკარად და მთავრობის წინაშე, კანონიერათ.

დანიშნულ დღეს, მაგალითებრ, როცა გასყიდვა იყო დანიშნული, ვსთქვათ გუბერნატორის კანცელიარიაში, პოლიცემის ტრის, პოლიციის თუ სხვა რომელიმე ასეთ დაწესებულების წინაშე, მაშინ ამისთვის ცნობები, ჯერეთ წინეთ გაზეთის მსგავს ქალაქებზედ იბეჭდებოდა რუსულათ, ქართულად, სომხურათ და თათრულათ და ესენი ეგზავნებოდათ ყველა სამართველოებში, რათა მათ ეს განცხადებანი ევრცელებინათ, რომ ხალხს შეეტყო და მსყიდველნი გაჩენილიყვნენ. ასე აცხადებდნენ იმ დრომდე, ვიდრე თბილისში გაზეთის გამოცემა დაიწყეს და როცა ეს მოხდა 1846 წ. მერე კი ასეთ განცხადებას, ამ გაზეთებში ბეჭდავდნენ, განცხადებანი იბეჭდებოდა ყველა ენებზედ. ასეთი განცხადებანი 1818 წ. ქართულ გაზეთშიაც არის, 1821 წ. და 1830 წ. გაზეთებში დაბეჭდილი ჩვენც ვნახეთ.

ამას გარდა, როცა ყმათა გასყიდვის დღე იყო დანიშნული, მის წინა დღეს, რუსის ორი დალაბანდიანი სალდათი თბილისის ქუჩებზედ დადიოდნენ და ამ დალაბანდს, ანუ ბარაბანს უკრავდნენ, რაც მსმენელთ ატყობინებდა, რომ ამა და ამ ალაჯას ტორლი იქნება და იქ გაისყიდებიან ყმანი, ან სახლები, ან მამულები და სხვა რამეო. მაშინდელი გაზეთები, ეს ბარაბანის რატატატა გახლდათ. ეს წესი თბილისში არსებობდა კარგა ხანს, თითქმის 1865 წლამდე, თუმცა მაშინ გაზეთებიც გამოდიოდნენ თბილისში, მაგრამ მაშინ გაზეთების

ვინ რა იცოდა, მაშინ გაზეთს არავინ კითხულობდა, თუმცა ასეთ გასაყიდ განცხადებებს გაზეთებშიაც ბეჭდავდნენ, ამის მსგავსი ცნობები ხომ აქაც მოგვეყავს.

იყო ისეთი წესიც, რომ მებატონე როცა თავის ნებით ყმას მიჰყიდდა ვისმეს, მაშინ მათი განცხადება არა ხდებოდა, აქ გასყიდვა ნებაყოფლობით იყო, ამიტომ აქ ხშირად არც დავიდარაბა ხდებოდა, ეს მხოლოდ გაყიდვის დროს, მაგრამ ისიც მოხდებოდა, რომ შემდეგ დროს, ამათშიაც მოხდებოდა რამე უსიამოვნება, ან ყმები ვერ მიეთვისებოდნენ ახალ ბატონს, ან ბატონი აღმოჩნდებოდა ბოროტი და ამიტომ მათში გაიმართებოდა კიცხვა, გმობა და დავიდარაბაც, ყმათა რიცხვი ასე თვითნებით უფრო, ბევრი დაყიდულა, ათიათასჯერ მეტი, ვიდრე გაზეთების განცხადებით, ან ოფიციალურის ცნობებით და სხვანი.

სამწუხაროდ, ჩვენ თვითნება დაყიდულ ყმათა შესახებ, ბევრი რამ ცნობები არა გვაქვს, მათ შესახებ და ისიც მთელის ქართლისა და კახეთის ყმათა გამო არა ვიცით რა, ვიცით ზოგი რამ ისიც რა დიდი კდით და კაცთა მოთხრობით შეკრებილნი, მაგრამ ეს რა არის, არაფერი, როგორც წვეთი ზღვაში: ამ გაყიდვ-გამოყიდვას დიდი სულის ასამღვრევი ისტორია აქვს, ყმა-გლეხი არც ერთის ბატონის მონობის იყო მადლიერი და კმაყოფილი და ახლა რომ ერთისაგან მეორის ხელში გადადიოდა აბა ან მის რა მადლიერი უნდა ყოფილიყო, რასაკვირველია, რომ იგი ერთის უკმაყოფილო თუ იყო, მეორეს ხელში გადასვლისასაც არ იქნებოდა კმაყოფილი, ერთიცა და მეორეც მისთვის საზიზღარი იყო და საძრახი.

რაკი საქმე იყო დაყენებული, რომ რუსეთის მთავრობისაგან ბატონს ნება აქვდა, თავის ყმის გასყიდვის და ივანე კერესელიძის თქმით, ეს გაყიდვა მაშინ არც იყო საძრახისი და ყველა მებატონეს შეეძლო, რომ ამ ცოცხალი ნივთებით ევაჭრა, ამიტომ ყმანიც ძალაუნებურათ ემორჩილებოდნენ გარემოებას და მათ საითაც ბატონი უკრავდა თავს და საითაც დაჰყიდდა, ესენიც იქით წავიდოდნენ და დაემონებოდნენ ახალს მსყიდველს ბატონს. საერთოდ დასყიდვის წესი კი ერთნაირად სწარმოებდა ორივე შემთხვევაში, მაგალითებრ თვითნებით დაყიდულ ყმებსა და სხვა და სხვა ცნობებით დაყიდულებში, სცენები ორივე ერთი იყო თურმე, ერთ შემთხვევაშიაც და მეორეშიაც გამსყიდვეთ და მყიდველთ გამოკითხვა ერთნაირათ ხდებოდა.

ბატონებისაგან თავის ნებით დასაყიდი ყმათა ჯოჯის რიცხვი, ხშირად თბალისის მოედანზედაც ჩნდებოდა, აქ გასაყიდი ყმანი იდგ-

ნენ, ბატონი გვერდით, ან შორიახლო. უდგა ჯოხით და უცდიდა მსყიდველს, მოხდებოდა, რომ ხშირად ყმანი თავის ბატონით მთელ დღეს მდგარან და მყიდველი კი არ გამოჩენილა, საღამოს შინ წასულან და ბატონს ესენი სასტიკის ყუროებით შეუწახავს ლანგ, მეორე დღეს ისევე გამოუტყვია მოედანზედ დასაყიდათ და ასე ამგვარათ ოდესმე ღირსებია მათი დასყიდვა. ასეთ დასაყიდებს უფრო უწყისობა აქვდათ, დამყიდველებთან მიკერძებულნი, ესენი აქ, ანუ დასაყიდს ბინაზე არევით იღვენ და როცა მყიდველნი მოვიდოდენ სანახავათ, მაშინ თუ გაამწყრივებდენ და რიგზედ დადგებოდენ. ასეთ დაყიდულებში ყმაწვილები და ქალები იშვიათად ერივნენ, უფრო ისეთებს ჰყიდდენ რომელნიც სამუშაოთ გამოდგებოდენ. მთავრობის მოხელეთა ხელმძღვანელობით, რომ ბატონის ვალში ყმანი ისყიდებოდენ, მაშინ ამათ კი უკეთესი წესი აქვდათ. აი ამათი დასყიდვის წესი როგორი იყო:

მთავრობის მოხელეთა ბრძანებით დანიშნულ დღისათვის, ყმანი ერთობით უნდა გამოცხადებულიყვნენ, ვსთქვათ თუნდ ასე—თითო ოჯახიდან თითო კაცი, სადაც კაცი არ იყო, იქილამ დედაკაცი, მოხდებოდა ისიც, რომ ხშირათ მთელის ოჯახის წევრნიც უნდა მოსულიყვნენ, ეს რასაკვირველია ხდებოდა უფრო თბილისის ახლო-მახლოსოფლებილამ, შორის სოფლებილამ ასე ყმანი არ მოჰყვანდათ, ამიტომ ამ გარემოებისათვის ყურადღება აღრევე მიუქცევიათ და 1815 წლის შემდეგილამ, დაუდგენიათ ისიც, რომ სადაც სცხოვრობდენ ყმანი სოფლათ, იგინი იქაურს ახლო მდებარე ქალაქებში იქმნენ გასყიდულნიო. მაგალითებრ კახეთის მებატონეთა გლებ-ყმანი ისყიდებოდნენ თელავსა და სიღნაღს, ქართლისა—გორსა, და ღუშეთს და თბილისში—ახლო-მახლო მდებარე სოფლებილამ.

ხდებოდა ისიც, რომ თბილისში ხშირად კახეთის და ქართლის გლებ-ყმანიც ისყიდებოდენ, იყო ისეთი წესიც, რომ ხანდისხან დასაყიდი ყმანი დანიშნულს გასაყიდ ალაგას არ გამოცხადდებოდენ, არამედ იგინი ისყიდებოდენ ყმათა დაწვრილებითი აღწერით, სადაც ანუხსული იყო დაწვრილებით ყმათა ქონება, უძრავი და მოძრავი მამულები, შესავალი, გასავალი და მასთანვე ისიც, თუ ოჯახში რამდენი მამრობითი სქესის იყო, მდედრობითი სქესის, ყმაწვილნი, მოჰხუცნი და სხვაც, თუ ესენი იყვნენ ვინმენი. ხდებოდა ხშირათ, რომ მსყიდველთ ასეთის აღწერათა ცნობების ყოველივე სჯეროდაჲ და ამიტომ ყმებსაც ყიდულობდენ იგინი, ისიც კი ხდებოდა, რომ მსყიდველთ ხშირად ექვი ეძლეოდათ და ამიტომ გასყიდვის ვაჭრობა იშ-

ლებოდა. მერე კი მოეწყობოდა საქმე, როცა ივინი დარწმუნდებოდნენ საქმის და ცნობების სინამდვილეს. მოტყუილება არც შეიძლებოდა, რადგანაც მთავრობის ნებაროვით და მოწესრიგებით ხდებოდა ეს დასყიდვა და ამიტომ გამსყიდავს მსყიდველისათვის ყველაფერი უნდა სისწოროით ჩაებარებინა, თორემ საქმე დაიშლებოდა.

თბილისში მორეკილ ყმებს ერთად მიიყვანდნენ დანიშნულ სამმართველოში, აქ ამათ გაამწკრივებდნენ რაგზედ, ზოგი დაჯდებოდა, ზოგი დაიკუნტებოდა, ყმაწვილებს ზოგთ ხელში პური ეჭირათ, ზოგთ სხვა ასეთნი. დასაყიდვით თან აქვნიდათ ხურჯინით მოტანილი ხორბლის პური, მჭადი, ან ქერის პური და ასეთნი, ზოგს ყმას ეს გარემოება ეთაკილებოდა, ზოგი მორიდებით იდგა, ხალხს ეკრძალებოდა სახით, ზოგნი, ნამეტურ ზნიერ მამაკაცი ჯოხზედ იყვნენ დაპრდნობილნი და ფიქრობდნენ მასზედ, თუ ახლა ივინი ვის ჩაუყარდებოდნენ ხელში, მათ ვინ იყიდდა. იდგნენ ჩუმათ და უყურებდნენ საქმის დასასრულს. დაიწყებოდა ვაჭრობა, გაიმართებოდა ლაპარაკი, საქმე მოგვარდებოდა, თითქმის გათავებაზე მივიდოდა, ამ დროს, მსყიდველს მოესურვებოდა თავის სავაჭროებთან ზნისა და ხასიათების შეტყობა, რომ მათ თავიანთი ბატონი ხომ არა სძულთ, ამიტომ ბატონისაგან გამოუკითხავთ ბევრი რამ დაწვრილებით.

მსყიდველი ძველ ბატონს ყველა ოჯახის ვითარებას ცალ-ცალკე ჰკითხავდა, თუ რომელი ოჯახის წევრი როგორის თვისების იყო, რა შეძლების პატრონი, ან ხარკს როგორ უხდიდა ბატონს, ბატონიც რასაკვირველია ყოველთვის დაწვრილებით უამბობდა და ყოველთვის კარგს ცნობებს მისცემდა. შემდგომ ამისა მოხდებოდა ყმათა წევრთა ყოველივეს დაწვრილებით დათვლა და ანუსხვა როგორც ზეპირ, ისევე ქაღალდზედ ანიშვნით. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ ზოგს მებატონეს გლეხები არ ეპოებოდნენ, ბატონი მათ თავის სურვილისამებრ ვერ იმორჩილებდა, ვერ იმონებდა, ამიტომ განგებ ვალს იღებდა, მერე ამ ვალს აღარ აძლევდა და მის გამო ეს ყმანიც მას ეყიდებოდნენ ვალებში, მაშინაც მაინც ბატონი თავის არ მასიამოვნებელ ყმებზედ მსყიდველს ცუდს არას ეტყოდა.

დასაყიდ, თუ ახლათ დაყიდულთ შორის მსყიდველთაგან ხშირად ხდებოდა ასეთი საუბარიც, ხან საუბარში ვინ იცის რა არ გამოითქმებოდა ყმათაგან, მაგრამ ჩვენ ამის ცნობები სადა გვაქვს, აქ მოგვყავს მხოლოდ ის სცენები, რაც კი ერთხელ და ორჯერ კი არ მომხდარა, არამედ ათასჯერ და ორი ათასჯერაც. ახალი მებატონე ჰკითხავდა თავის საყიდელს თუ ნასყიდს ასე:

— ეხლა თქვენ რომ ისყიდებით, თქვენს ახალ ბატონს ეყობით დაემორჩილებით თუ არა?

გლენის მიუგებდენ:

— დიახ ბატონო, დავემორჩილებით, მაშ როგორ იქნება, რის ბატონი იქნება ჩვენი, თუკი მას არ დავემორჩილებით. ჩვენ რომ არ დავემორჩილოთ, აბა მით რას მოვიგებთ, თვითონ კანონი ხომ დაგვამორჩილებს. დიახ ბატონო დავემორჩილებით.

მერე ჰკითხავს მსყიდველი გამოკითხვით:

— ხარჯის გადახდა როგორ იცით, ბატონს ხომ გადახდას არ აკლებთ, ყოველივე გადასახადს ხომ თავ-თავის დროზედ აძლევთ, ხომ დცით, ესეც დიდი ვალია ყმისა, ამიტომ გკითხავთ, რომ მაცოდინოთ ხარჯის გადახდის საქმე, იქნება შეძლება არა გაქვსთ თქვენა და მიტომ არ აძლევთ, ყოველივე წინეთვე უნდა სთქვათ, რომ საქმე ვიცოდეთ, ბოლოს უსიამოვნოსა არ იყოს.

ყმანი ეტყოდენ:

— აი ბატონო, ჩვენი ბატონი აქა ბრძანდება და ჰკითხეთ მას თუ ჩვენ მის საყძო ხარჯს როგორ უხდის. აი თვითა ბრძანოს ბატონმა.

აქ ბატონი დაიწყებდა ლაპარაკს და ყმათა ჰება-დიდებას მასზედ, რომ იგინი ხარჯს კარგად იხდიანო, ამას გარდა ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ ბატონს თავის ყმები დაერიგებია, რომ ამათ თავიანთი მორჩილების ცნობები უფრო გაზვიადებით ელაპარაკნად, ახალის მყიდველისათვის ეუწყებინათ, რომ ისინი არიან ერთგული ყმანი ბატონისა, ხარჯის თავანკრად მიმცემნი, მუშაობაშიაც დაუზარებლნი და მასთან ბატონის არც მოძულენი, არც მტერნი, არამედ მოყვარენი. ასეთი დარიგებაც თურმე ძრიელ ხშირად ხდებოდა ყმათა და ბატონთ შორის.

ზოგმა მყიდველ მებატონემ ასეც იცოდა კითხვა:

— არ გადამეტეროთ, შვილები არ დამიწყევლოთ, მე არ გჩაგრავთ, ერთი შვილის პატრონი ვარ და ყმების და ნამეტურ ყმა დედა კაცების წყევლის დიდათ მეშინიან.

მიუგიათ ყმებს:

— არა, ბატონო, ჩვენი წყევლა როგორ იქნება, ჩვენი ბატონი თუ დაგვიწყევლია, მაშინ სხვაც შეიძლება დავსწავლოთ. წყევლით რა მოგვემატება ჩვენა, არაფერი, აი ჰკითხეთ ჩვენ ბატონს და ისიც მოგახსენებთ.

მერე ამაზედ ბატონი დაიწყებს ასე ლაპარაკს.

— აგენი ჩემს ხელში დაბადებულან, გაზდილან, ცოლი შეურთავთ, ქალები გათხოვილან და ზოგნიც დაბერებულან, მაგრამ მე მათი წყევლა ბატონისა, პირიდან ერთი სიტყვითაც არ გამიგონია.

მერე გლეხები იტყოდნენ ამოხვრით:

— ეს არის ჩვენს ბატონს ვალი აქვს და მის გამო ჩვენ ვისყიდებთ, თორემ ჩვენ განა დასაყიდნი ვართ, ჩვენ განა კაცმა უნდა გაგვიმეტოს და გავგყიდოს. აბა თუ ჩვენი ბატონი, ჩვენის ავის კაცობისას ერთ რამეს იტყვის.

ხდებოდა ისიც, რომ პირს უკან კი ყმეზი ბატონზედ სწვას ლაპარაკობდნენ, სძრავადენ მას როგორც ბატონს, გმობდენ როგორც ყმათა შემწუხებელს და მის გმობას ხანდისხან არცა მალადენ. 1844 თუ 1845 წ. თბილისში ისყიდებოდა რამდენიმე კომლი გუჰამიანთ ყმების, რასაკვირველია ვალებში. ამიტომ ყმანი სულ თფილისში ჩამორევეს, დანიშნულ დღეს ვაჭრობაც გაიმართა, ყმანი რასაკვირველია გაისყიდნენ. ერთ ვილაცას, ამ ყმა გლეხებისათვის ცნობების გამოკითხვა დაიწყო და მასთანვე ჰკითხა თურმე ასე:

— თქვენ ბატონს, რა მოხდენია, რა გასჭირებია ისე, რომ ამოდოლა ხალხი, სოფლიდამ აუყრიხართ, აქ ჩამოურეკიხართ და გყიდით? ყმას მიუგია.

— კი არა გვეყდის, გავგყიდა უკვე და მორჩა საქმე მიუგია. მერე იმ ვილაც კაცს, ვგონებთ სომეხს ქვემო ქვეყნიდამ მოსულს და ქართულის მცოდნეს უკითხავს:

— მიზეზი გაყიდვის ეგ არის რალა, რომ გყიდისთ და გავყიდათ? ამ დროს მებატონე გ-შვილი თ—დი იქ იდგა და ამ ლაპარაკს ყურს უგდებდა. ამას დაუყვირნია იმ მკითხველი კაცისათვის.

— რა შენი საქმეა რომ კითხულობ, რომ ვყიდი, თუ გავყიდე, შენ რა ჩემი მოდავე ხარ, თუ გინდა შენც მოგყიდი, თუ არა და მიდიხარ შენთვის წადი, ან ჩუქათ იყავ.

აქ თურმე ლაპარაკიც გაიმართა და ზოგიერთებმა ლაპარაკიც დაიწყეს, ზოგმა ყაყანი. მებატონეთაგანი ბატონს ექომავებოდნენ და სხვანი კიდევ ყმათა დაყიდვის ძაგების საქმეს.

ამ ყაყანის და მცირე აურ-ზაურის დროს ერთ მებატონეთაგანს უთქვამს:

— ოჰ და მართალს ეუბნება თ—დი. რა მაგის საქმეა, რომ ყმებს ელაპარაკება, ყმა მუყეების კანონით ბატონისა არის, ბატონს რაც უნდა იმას უზამს, უნდა გაჰყადის, უნდა დააგირავებს, გაამზითვებს და უნდა სხვა რამე, უზამს. ამასთან საქმე არავისა აქვს. ასეთი ლა-

პარაკით წაგვიხდინეს ყმანი და მიტომაც აღარ გვებუებიან იგინი. მე რომ ჩემი ყმა გავყიდო, ამაში ვის რა საქმე აქვს!

მთქმელს სხვანიც სხვა სიტყვებით დაეხმარნენ და დაუწყეს ბატონებს გამართლება. ამ დროს, ერთი ხნიერ გლეხი წამომდგარა, არც თავის ნაბატონარის მორიდებია, არც არა სხვისა და უთქვამს შემდეგი:

— ყმას გაჰყიდის მხოლოდ ისეთი ბატონი, რომელიც გვარში გამოჩნეულია და მურტალი.

ამ ამბების მთქმელის მოწმობით, გლეხის ასეთ სიტყვას, დიდი უთანხმოება გამოუწვევია იქ მყოფთა მებატონეთა წინაშე და მათ მუქრებაც დაუწყვიათ მასზედ, რომ ყმა გლეხმა ესეთი სიტყვა რათა თქვაო. მერე ერთს ბატონთაგანს უთქვამს იმ მთქმელ ყმა გაყიდულ გლეხისთვის.

— შე კოფაკო მამაძალო, შენ რომ ამბობ ბატონი მურტალი არისო, რათ ამბობ ამას, შენ ხომ იცი, რომ ხან გაიყიდება, ხან დაგირავდება, მაშ ბატონს თუ კი გაუჭირდა, თავის ყმა მაშინ რაში უნდა მოიხმაროს, იგი მას ან გაჰყიდის, ან დააგირავებს. თქვენ მადლობელი უნდა იყოთ მასზედ, რომ ბატონი ერთად გყიდით და არ გაპნევთ, რატომ მადლობელი არ ხართ ამისაც, რომ თქვენ თქვენმა ბატონმა ძაღლებში არ დაგცვალათ, ნახეთ რა სთქვა: „ყმახა, გვარში გამოჩნეულია და მურტალი მებატონე „გაჰყიდისო“

ეს უთქვამს თფილისის მებატონე თავ. ციციშვილს. იქ თურმე იყო ერთი ვიღაც მებატონეთაგანი, ქალაქელი, რომელიც სამხედრო კაცი იყო, ეს გაჯავრებულა დიდათ და უთქვამს ასე:

— ბატონის ასე მოხსენება ყმის დანაშაულათ უნდა ჩაითვალოს, მას ამაზედ ყბები უნდა ამოემტვრეს, რომ ამის თქმა მეორედ აღარ გაბედოს, სუო ასეთი მამაძალი ყმების საქმე არის, რომ თავადობა ასე ვალში ვარდება.

ეს ბატონი მუხრან-ბატონი ყოფილა, რომელიც არ უწყით, ხოლო ნათესავი და ვგონებთ ბიძა აწინდელის ცნობილის მკარცვავის მდიდრის ივანე მუხრან ბატონის, რომელმაც თურმე თავის გლეხები ბევრს სოფლებში აანბავა (ხა აჰყარა და სუო აქეთ-იქით დაჰუანტა თავის უხურო მამულებში, რომ მათ ეს მამულები გაეუმჯობესებინათ თვის მუშაობით.

ასეთ მებატონეთა ლაპარაკის და ყმათა მუქარების დროსაც კი, ზოგი ერთ ყმანი არ გაჩუქებულან და ძათ ხმა მალლა დაუწყვიათ

ლაპარაკი, იმავე დროს, ერთ გაყიდულს ასეთისავე მებატონეთა-
ყვირილის დროს, უთქვამს თამამად შემდეგი.

— კაი ბატონი თავის ყმას არ გაჰყიდისო, იტყვიან კაცი ბალოს
არ გაიმეტებს, რომ გაყიდოს და დაკარგოსო და ბატონისაგან ყმის
გაყიდვა და დაკარგვა კი უნდა იყოს დიდი უღიერობა. თუ არ უხები-
რო და ბოროტი აბა კაი ბატონი ყმას როგორ მიჰყიდის სხვასა.

ერთმა მებატონემ მიუგო ამ ყმა გლეხს ასე:

— კაი თუ ავი ბატონი ყმებით სახელოვნებლად ვი თავადი თუ აზ-
ნაური მაშინ არის, როცა ბევრი ყმა ჰყავს, თუ ეს ყმები არ ემორ-
ჩილებიან მას, მაშინ იგი ჰყიდის მათ. მაშ რა ქნას, კაი ბატონი თუ
ავი თავის დღეში არ გაიმეტებს და კაი მორჩალ ყმას არას დროს
არ გაჰყიდის, ბატონი ჰყიდის იმ ყმას, რომელიც მისი ურჩია და
უსარგებლო და აბა ეს ბატონს რათ უნდა ჩაეთვალოს რასხვათ.

მებატონეთა და ყმათა ასეთი ლაპარაკისაგან დაიწერება მთე-
ლი ტომები და არა ეს პატარა წერილი. ასეთ საუბარს თფილისში
ხედავდნენ მრავლნი, ერთობ ხშირად, ასეთი ლაპარაკი თითქმის
ყველა მებატონის გვერდით სწარმოებდა, თითქმის ყოველთვის და
ყოველ დროს. მიელმა ქვეყანამ იცოდა კარგად, რომ 1800 წლიდან
შოკოლებული 1850 წლამდე, თფილისში, ქართველი ყმანი ცხვრე-
ბივით ისყიდებოდნენ. თფილისში ამ ყმებს ჰყიდდნენ ყველა მებატო-
ნენი, ასეთ მებატონეთა გვარებსაც მოგასსენებთ.

ორბელაიანი, ბარათაიანი, ციციანი, თუმანიშვილები, ბებუ-
თაიანი და მრავალიც სხვანი, პირველობა კი ამათ უნდა დაუთმოთ
თფილისში ყმების დაყიდვის საქმეში. აღსანიშნავია ისიც, რომ ყმა-
თა სყიდვას ერთმანერთში ერთობ ხშირად მებატონენიც მისდევდნენ.
ნამეტურ ახლად გათავადებულნი, ასეთნი თვით XVIII საუკ. დამლევს:
თავად ამატუნი, აბამელიქი, ხოჯი მინასოვი და სხვანი, ახლად გა-
თავადებულთ, ყმები მრავლად არ ჰყვანდათ და ამიტომ იგინიც სია-
მოფნებით ყიდულობდნენ, რათა დიდის ყმების რიცხვით ხალხში
დიდს თავადის შვილათ, ანუ სახელოვან მებატონეთაც გამოსჩნდებო-
დნენ.

მოხდებოდა ისიც, რომ ყმათა გასყიდვის დროს, მსყიდველი
მიჭიღოდა გასასყიდლებთან და გამოჰკითხავდა ასე:

— ოჯახში რამდენი კაცია, რამდენი დედაკაცი, ყმაწვილი, რა გა-
ბადიათ, მიამბეთ გეთაყვა.

ეს და შეწდევნი სტრიქონებიც ნაამბობია თვით გამოცდილ პი-
რისაგან, რომელიც პატარა იყო და თავის დედმამასთან ერთად გაი-

ჟიდა 1855 წ. და ყოველივე ახსოვთ ეს. მიუგია ამის მამას და ბიძას მყიდველ ბატონისათვის:

— ჩვენ ამდენ ამდენი ვართ (რიცხვი ორივე სქესის) გვაქვს სახლ-კარი, ბაღი, ბოსტანი, სახნავეი და სათესი ადგილები. გვყავს საქონელი ხარი, კანეჩი, მწველელი ძროხა, ცოტა თხა და ცხვარი, გვყავს ცხენი, ვირები, ქათმები, ბატები, იხვები და სხვაც ბევრი რამ ოჯახის საჭიროებანი.

ბატონს სწორედ ასე მიუგია, აი ამ სიტყვებით:

— კარგნი ყოფილხართ, ყოჩაღთ, სხვებიც თუ თქვენისთანები არიან?

— რა მოგახსენოთ, სხვებს სხვანი მოგახსენებენ. იმათაც ჰკითხეთ და შეიტყვით.

— მეშინიან დამშუტლნი არ იყვნეთ და თავზედ ქირათ არ ავიკიდოთ. თუ ასე ხართ, მაშინ თქვენი ყიდვა ღირს, თუ არა და მაშინ კი შეუძლო ყმათა გასყიდვა და სყიდვა არ არის კარგი, უნდა გიყიდოს და იყიდოს კაცმა ისეთი ყმა, რომელმაც ბატონის ან მყიდველის სამსახური შეეძლება. თუ არა და უძლური და უქონელი ყმის სყიდვას, ჭეცინი კატა და ძაღლის სყიდვა სჯობია.

მომხდარა ასეც, რომ ყმები დასყიდულან, მყიდველს ამათი ავ-კარგიანობა არა სტოდნია, მერე შეუტყვია და ყმებისაოვის დაუწყია ლაპარაკი:

— თქვენ თქვენი ბატონის უჯათნი ყოფილხართ, ხარკს აძლევდით თურმე, სამუშაოთ არ მისდევდით დროზედ, არ ემორჩილებოდით და მას მიტომ დაუყიდინხართ. უთქვამს ასეთ პირს ასე:

— მე რომ მტოდნიყო თუ ასეთი იყავით, მაშინ მე თქვენ არ გიყიდდით. არ ვიცოდი და ამიტომ შეგცდი, თქვენმა ბატონმა მომატყულია. არც თქვენა გკითხეთ და მიტომ გაუწყებთ, რომ ჩვენში ის არ იყოს, რაც თქვენი ბატონისათვის გიქმნიათ.

ყმებს მიუგიათ:

— თქვენ ყველაფერს მართალს ამბობთ, მაგრამ ისიც იკითხეთ აბა თუ ის როგორ გვექცეოდა და რა დღეს გვაყენებდა:

ბატონმა ერთი გოგოს გათხოვების საჩქმეთ ოთხი თუმანი წაართო, მეორეს სახლში აღარაფერი არ შაარჩინა, სკლის იქით ყოველივე ამოართვა და დაარბია, აიკლო ყველაფრით და აბა იფიქრეთ აკლებულმა, ბატონს როგორ უნდა ემსახუროს, თქვენ ნუ იქმთ ასე, იცოდეთ ცოტა და მაშინ ნახავთ, თუ როგორ გადაგიხდიან საბატონოს. თუ კი ძველს ბატონს ემორჩილებოდით, მაშინ განა თქვენ

კი არ დაგეშორჩილებით, შეგვაძლებინეთ და მერე თქვენც ნახავთ ჩვენს სამსახურს.

ძრიელ ხშირად მომხდარა და ასეც: გაყიდულ ყმა მოხუც. მ. ზ. მაჭ. შვილმა მიამბო ასე:

— ჩვენმა ბატონმა რომ გვიყიდა, ეს ამბავი ჩვენში ყველას სწყინდა. ჩვენი ბატონი არ იყო მშვიდი კაცი, ძალიან გვდევნიდა იგი და გვარბევდა. დავეშორჩილეთ კანონს და დასყიდულნი ჩაგბარდით ახალ ბატონს. ეს ახალი ბატონი თფილისელი კაცი იყო, ფულის პატრონი, ამისი დიდი შიში გვქონდა და ნამეტურ იმისი, რომ ვაითუ ბიჭები წაგვევრთვას მსახურათაო, ან მოახლეებათ გოგოებიო. სხეაც ბევრი რამის შიში გქვანდა, მაგრამ ყოველივე ეს შიში ჩვენ გაგვიქარწყლდა, ახალი ბატონი ძველზედ ბევრად უკეთესი აღმოჩნდა, ჩვენის შესყიდვის რამდენიმე ხნის შემდეგ, შეგვყარა ერთად და გვითხრა ასე:

— მე ჩემს საბატონო სამსახურს გთხოვთ იმითი, ვისაც რითი შეგიძლიანთ სამსახური. შე თქვენ არ შეგაწუხებთ, ხოლო ბატონის მორჩილებას კი გეტყვით, რომ თქვენ ბატონს უნდა დაემორჩილოთ, რადგანაც ამას სამართალიც გიბრძანებსთ. უამისობა ყმათაგან არ შეიძლება, თუ ჩემი მორჩილი და მასიამოვნებელი იქმნებით, მაშინ მეც ბევრნაირად შეგაძლებინებთ.

ესეთივე სურათი მოხდა მეორე ალაგას, მდიდარ მირ. ზურ— შვ. იყიდა საბატონო ყმანი. ყმებს ამ ახალი ბატონის დიდი შიში აქენდათ, ეშინოდათ, ნეტა ახალი ბატონი ძველი ბატონისთანა იყო-სო და არა უარესიო, თორემ ამის მსგავსს როგორმე გაუძლებთო. ის კი არა, ახალი მებატონე ძველზე გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა. ასეთ კეთილ შესყიდველ მებატონეთა რიცხვი ხშირი იყო. ხდებოდა ისიც, რომ ხანდისხან ყმანი თავის მებატონეს და ნამეტურ ბოროტებას განგებ ეურჩებოდნენ, რომ ეგები ბატონი ამით მოპეზრებულყო და ბოლოს გლეხები დაეყიდნა და მით მორჩენილიყვნენ შის ღვენას. ასეთ საქმეებს ყმანი რასაკვირველია უდიერ მებატონეთა წინაშე ჩადიოდნენ და არა კარგის, ანუ კეთილ მებატონეებთან. ამისთანა მოხუცი იყო მებატონე თადია ჩოლოყაშვილი.

ერთის მოქალაქის ნაცმევის ნაამბობი: ჩვენ დაგვყიდა ჩვენმა ბატონმა (ბათათაშვილი), გაგვყიდეს ვალებში, გვიყიდა თფილისელ ვაქარმა ყ. ზ—ვმა. ამ პირის ჩვენ ძალიან გვეშინოდა, მაგრამ იგი ისეთი არ აღმოჩნდა: პირველად ჩვენ ტიტველ-შიშველ ქალებს ტანი შემოსა, საპერანგე, საკაბე და ასეთები დაურიგა, მერე ყმაწვილები

შემოსა და მის მერე კაცებს მოგვცა საჩოხეები. ჩვენ ამ გარემოებაში დიდად გაგვაკვირვა. მის მერე ჩვენ ამ ბატონმა საყანე სათესლეც გავვიმრავლა და სხვაც ბევრი რამ, ჩვენ ქართველები ვიყავით და ის სომეხი, მაგრამ ჩვენში ნათელ-მირონობაც გაიძართა და იგი ხშირად ყმაწვილებსაც გვინათლავდა, ნათლიდედების პატივისცემა და თავაზიც იცოდა, ერთი სიტყვით ყმის პატრონი იყო და ქომბავი. ამის ხელში ჩვენ ქონიერი შევიქენით და ბატონ-ყმობის გადავარდნამდის, მისგან ბევრმა თავიც დაიხსნა. წინანდელი ბატონის ხელში კი დახსნას ვინ იტყოდა, ნახევარზედ მშვივრეში ვიყავით, რადგანაც ბატონი არაფერს გვარჩენდა და ყოველივეს გვტაცავდა. ძალით და თვით ფლანგავდენ, ჰთანტავდენ წარა-მართ და უბრალოც.

ასეთ პირთა ხელში გადასვლას, თურქე დიდად ნატრობდენ და ხშირად ვინ იცის რას არ ახერხებდენ ამის სასარგებლოდ, რომ ეგებები მის ბატონს ზგინი დაეყიდნა. ყმანი მტანჯველ მეზატონეთაგან ისე იყენენ დაჩავრულნი და დევნილნი, რომ მათ აღარ იცოდნენ რა ექმნათ. თუ რამეს იშოვნებდენ, იგი ყოველივე უნდა დაემალოდ ბატონისათვის, თუ არა და თქვენი მტერი რასაც ის იმათ დააყენებდა, თფილისში მცხოვრებ ყმებს, ხომ პირში სული აქვანდათ ამორთმეული. ნაამბობი მოხუც ლადუასაგან ამავე პირის ნაოქვამი:

— კოდაზედ ვცხოვრებდით, მაგრამ ბატონი პირში სულს არ არ გვარჩენდა, ჩვენი საჩო-საბადებელი მის ხარჯს და მეგობარსაც არ ჰყოფნიდა, ყველაფერი მას მიჰქონდა, აბა წინააღმდეგ ვინ რას გაუბედავდა, ბატონი იყო და რასაც მოსურვებდა იმას გვიზანდა, ბოლოს და ბოლოს ჩვენი ოჯახი ძალიან დაეცა, ბატონის ხარჯის ადახდას ველარ ახერხებდა, ამიტომ ბატონმა აგყარა სოფლიდან თფილისში გადმოგვასახლა, აქ მოქალაქეებზედ დაგვიყიდა, მე და ჩემი ძმა ერთმა დალაქმა გვიყიდა, იმას ვემსახურებოდით, ჩემმა ძმამ, მისგან დალაქობა შეისწავლა და მერე ბატონ-ყმობაც გადავარდა და ჩვენც გავთავისუფლდით. ღმერთმა უშველოს ჩვენს მსყიდველს, თორემ თქვენი მტერი ჩვენ როგორ დავიოლუპებოდით, (ამავე პირის ნაამბობი)

— იყვნენ მრავლად ისეთი მოქალაქე შემძლებელნიც, რომელნიც ყმებს თავიანთ სულის გულისთვის ყიდულობდენ ბატონებისაგან და მერე ამათ კი არ ჰყმობდენ, არამედ ათავისუფლებდენ. ასე გათავისუფლებულთა რიცხვის უმეტესი ნაწილი ქალაქ ალაგას შთებოდენ და დღიურ მუშაობას ეჩვეოდენ, რაც მათთვის უკეთესიც იყო.

ნაამბოზი ხელოსანი დალაქ ივ. მ—საგან. ქ. თფილისში მებატონეები ხშირად ჰყიდდენ თავიანთ ყმებს. ყმებს. ჰყიდდენ მოვალეები ვალებში, ასეთ ყმებს ჰყიდდენ დიდს პოლიციისშიც და ხანდისხან პატარა პოლიციაშიც. რაც ქალაქ ალაგას ბატონებმა ყმების დაყიდვა დაიწყეს, მის შემდეგ ქალაქში გამრავლება იწყეს სოფლის ყმა კაცის შვილებისაგან ღურგლებმა, კოლოტოზებმა, შვედლებმა, ხარაზებმა, ქონებმა და სხვათაც. ისიც ხდებოდა ხოლმე, რომ ძალიან ხშირათ ყმის შვილებს ყიდულობდენ სხვადასხვა ოსტატები, მერე ამ ნაყიდ ყმის ბიჭებს ხელობას ასწავლიდნენ და ხელობაში გამოჰყვანდათ, ასეთ ბიჭებს ხელოსნები ჰყიდულობდენ უფრო მაშინ, როცა ბატონი მათ იათათ ჰყიდდა. მე ბევრჯერ მინახავს, რომ ყმის ბიჭი ხელოსანს უყიდნია და მერე იგი მყიდველს სიონის, ანქას ან სხვა საყდრისთვის შეუწირავს. მერე ეს ხელოსანი ყმა-ბიჭები ამ საყდრისგან თავს ითავისუფლებდენ.

ასეთ დასაყიდ ყმებს თფილისში ყიდულობდენ ჭველანი, ქალაქის ვაჭრებს და მოქალაქეებს გარდა ყიდულობდენ ქვემო ქვეყნულ სომხის შემძლებელი პირნიც და მერე ყველა ესენი მყიდველს თავის ქვეყანაში მიჰყვანდა, სადაც იგინი შთებოდენ საყოველთაოდ და შემდეგ დროს. მათი ამბები, მათ ნათესავეებმა აღარ იცოდნენ. ყმათათვის სანატრი იყო ისეთი დასყიდვა, როცა იგინი ერთად იყიდებოდენ, მაგალითებრ თუ ერთი ოჯახის წევრნი ერთად დაისყიდებოდენ, ანუ რამდენიმე კომლი ერთად, ესენი მაშინ ერთადვე იქნებოდენ დასახსნელნი. მაგრამ ხშირათ ეს ასე არ ხდებოდა და ბატონი ერთ ოჯახის შვალთ სულ თითო თითოს დაჰყიდდა და დააბნევდა, რაც ყმათათვის არ იყო სანატრი, ყმებრ გასყიდვის დროს განსყიდავს და მსყიდველსაც სულ იმას ეზვეწებოდნენ, ნუ დაგვაბნევთ, ერთად გვიყიდეთო.

ბევრს ახსოვს კარგათ და მის მოწმენიც არიან, რომ თფილისში მომხდარა ასეთი შემთხვევებიც, მებატონისაგან ოომელიმე პარს უყიდნია დასაყიდი ყმანი. ეს ნასყიდნი მას გირაოსავით დაუტოვებია და მათთვის უთქვამს, ჩემი დანახარჯი რაც მივეცი ის დამიბრუნეთ და თქვენ ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ, მე თქვენი ყმობა არ მინდა. მომხდარა მართლა ისეც, რომ ამ ნასყიდ ყმებს მყიდველთათვის ნელ-ნელა გადაუხდიათ დანახარჯი და მერე გათავისუფლებულან ყმისაგან, ეს მათ მის საშუალებით უხერხდებოდათ, რადგანც ბატონისაგან დაყიდულთ ყმანი თფილისში შთებოდნენ, აქ დღითურათ მუშავობას ეძღვოდენ, რაისა გამო მათ ფულსაც შოუ-

ლობდნენ და ამ გზით ახალის მყიდველისაგანც თავს იხსნიდნენ. წინაღობდნენ შემთხვევაში კი ყმა რომ სოფელში დაშთენილიყო და ქალაქი არ ენახა და ქალაქში არ გაყიდულიყო, უამისოდ იგი თავის გათავისუფლებას ვერა ღონისძიებათ ვერ მოახერხებდა. ასე ნათქვამია:— „ზოგი ჭირა მარგებელია“, ეს დაყიდვაც ყმებს ამ გზით შინც შევლოდა, თორემ უამისოდ იგინი სოფელში გროშს ვერ ნახავდნენ და ვერც ბატონისაგან განთავისუფლდებოდნენ.

დავსძენთ თანამედროვე პირთა თქმით, რომ ზემოთ მოყვანილ დასაყიდ ყმათა განცხადებათა ცნობებს დიდი ისტორია აქვს. იგი მრავალ ნაირის სასკენო ცნობებით არის საესე, რაც ყმათა ცხოვრების მონებას შეეხება. მის შესახებ თავის დროს ბევრი რამ დაიწერებოდა, დღეს კი მის მომგონ მომთხრობთ რიცხვი ერთობ იშვიათი და აღარც არავის რა ახსოვს ასეთის აღებ-მიცემის ვითარების და ლაპარაკი მორიგების. სამწუხაროდ ჩვენში ამ გარემოებას ყურადღება არავინ მიაქცია, მასზედ არავინ რა სწერა, ან ვისმეს რომ რამე მოგონება დაეტოვებინა, მაშინ ყმათა დასყიდვის შესახებ ჩვენ მთელი საუნჯე გვექნებოდა.

თფილისის მოქალაქეებში დროდათ იქებოდა ის პირი, ვინც თავის სულის გულისთვის ყმებს ბატონისაგან იყიდდა და მერე ამ დასყიდულ გათავისუფლებდა. თფილისში ასეთ პირთა რიცხვიც დიდი ყოფილა, რომელთაც მეზატონეთაგან ყმანი-მრავლად უთავისუფლებიათ, სამწუხაროდ ჩვენ არც ასეთ პირების კეთილ მოქმედების ცნობები გვაქვს, ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი ცნობა, ისიც მოკლედ რაც შეეხება აღამ ბეჟანისძე ფორაქაშვილს, რომელიც უხვად ყიდულობდა მეზატონეთაგან ყმებს და ყველა მათ თავისუფლებდა.

ასეთივე კეთილ პირად აღიარებდნენ ზაქარია დაფითის ძე სარაჯიშვილს და ბევრსაც სხვებს, რომელნიც ერთ დროს თფილისში სცხოვრებდნენ, აღებ-მიცემა აქვდათ და მასთან დიდათაც საბელოვნებდნენ ხალხში. თანამედროვე კაცთა თქმით, ასეთ პირები მეტად დიდი განუსაზღვრელი სიკეთე აქვსთ დადებულთა ყმათა წინაშე და მათ თავის დახსნაში.

ჩვენს კურთხეულ ძველს დროს, მეზატონეთა შორის ავ-კაცობით მარტოთ მეზატონე თავადიშვილები არ სახელოვნებდნენ, ამათში ერთი და ორი თუ ცუდი იყო, მიტომ კარგებიც იყვნენ, ეს რომ ასე არ ყოფილიყო და მათში ყველა აგობით ყოფილიყო ამხედრებული, მაშინ თქვენი მტერი რაც ჩვენ მრგვივიდოდა, იქნება დღეს საქართველოს გლეხთა ხსენება-კი აღარ ყოფილიყოს საქართველოში, მა-

გრამ არ იყო ასე და მიტომაც ავით თუ კარგათ საქართველოს ერიც გადარჩა თავის შინაურ მტრის მახვილს. თავადის შვილებთ გარდა ასეთი შინაური მტრები აზნაურებშიაც მოიპოვებოდნენ, ნამეტურ თავისუფალ აზნაურებში, რომელნიც ხელისუფალნი იყვნენ, ესე იგი არც სამეფო, არც სათავადო და არც საეკლესიო ყმანი, რომელნიც სრულიათ თავისუფალნი იყვნენ და მათ ყმებიც ჰყვანდათ. ხოლო ისიც-კი უნდა ითქვას, რომ აქაც კაცი როგორც ავს მებატონეს ნახავდა, სასტიკს და ბოროტს, ისევე კარგს და თავის ყმების გამტანს აღვილათ შეხვდებოდა.

ზოგი აზნაური მებატონე თუ კარგი იყო, მიტომ მათში ზოგიც ავი იყო, ავნი იყვნენ უფრო ისინი, რომელთაც თავიანთ დროის განათლება სულ არ აქვდათ მიღებული, ივინი მთელს დღეებს, კვირის, თვეებს და წლებს სულ მუქათათ ატარებდნენ, სრულებით არაფერ საქმეს აკეთებდნენ, ამათთვის არც ხენა არსებობდა, არც თესვა, არც სხვა რამ მუშაობა. ამათი მუშაობა მხოლოდ სიარული იყო, თავიანთ ყმების შეწუხება მასთან ქეიფები, წვეულება, ლხინებში სიარული, სხვა და სხვა ხატობაში წასვლა, იქ ლოთობა, ჭიდავობის გამართვა და მერე ყმების შეწუხება. ამათ ხელობას მართოდ ყმების შეწუხება შეადგენდა, გამოიყვანდნენ ყმებს ძალით და ერთმანერთში აჭიდავებდნენ.

ნამეტურ ბოროტებით იყო ავსილი ის აზნაური მებატონე, რომელნიც უფრო ღარიბი იყო, რორიოდ ყმათა ოჯახი ჰყვანდა და ცოტაოდენი მამული, ყმებიც ცოტა ჰყვანდა და მამულიც ცოტა აქვდა, მაგრამ რა გამოვიდა, მედიდურება და სიამაყე ასეთივე აქვდა, როგორც დიდი ყმა და მამულის მექონ-მებატონე თავადსა და აზნაურს, ასეთ მებატონე აზნაურის შვილებზედ ძველათვე იტყოდნენ, რომ „ერთი მშვიერი აზნაურის შვილიო“ იმერეთს და ქართლში იტყოდნენ კიდევ „კულა აზნაურის შვილიო“ ეს ლატაკ აზნაურები თავიანთ ყმებს უჭირებდნენ თხოვნით საქმეს, როგორც შამოაკლდებოდათ რამე თუ არა და მაშინათვე ივინი ყმებს მიმართავდნენ.

ერთთავათ სულ მამე, მამეს უყვიროდნენ, თორემ გაჭირდა საქმე და მორჩა ყველაფერი.

ყმებს თუ გადახდილი აქვდათ გადასახადი, მაშინ ყმანი იტყოდნენ, რომ აკი გადაგიხადეთ და მეორედ რაღას გვთხოვთო, მაგრამ ამას ვინ გაიგონებდა, გამგელბულთ და გალოთებულთ აღარაფერი ახსოვდათ და მათის პირიდან გამეს და შარის მეტი სხვა არა გამოისმოდა რა, ასეთ აზნაურის შვილები ისე იყვნენ გალექებულნი და

გათანხირებულნი, რომ მათ სრულიად დაღუპული აქვნდათ თვისი ოჯახები, დაღუპული აქვნდათ და მათ გარეშე თუ რამ გააჩნდათ, იმასაც სპობდნენ დაღუპავდნენ, რომელ დაღუპვის შეგნება სულ არ აქვნდათ მათ. ესენი თავიანთ ყმებსაც აწუხებდნენ თავიანთის შეუგნებლობით. ასეთის ყმა და მამულის მექონ აზნაურებით საესე იყო ქალაქ თფილისი, მათ აქ დიდი მამულებიც აქვნდათ, მაგრამ დღეს მათის მესე ნაწილის ხსენებაც აღარ არის, სულ შექამეს, გაფლანგეს და მასთან თითონაც მოისპნენ, აღიგავენ.

ასეთ აზნაურთა ხელობა და საქმიანობა იყო მუდამ მიკიტნის დუქნებში სიარული, იქ ძმა-ბიჭებთან ქეიფი, დუღუკი, თამაშობა და ფლანგვა, თუ ფული არ აქვნდა, მაშინ რასაკვირველია ნისია იყო, ნისიას აბა რომელი მიკიტანი და სირაჯი არ ენდობოდა, ვერავინ უარს ვერ ეტყოდა. ყველა ეტყოდა მიირთვი ბატონო და კნიაზო.

1840 წლების შემდეგ, ქართლსა და კახეთში, გლეხკეცობა აზნაურებსაც ხშირად ბატონოს გარდა კნიაზსაც უწოდებდნენ. ასეთ ქეიფების ლოთობის და ფლანგვის დროს, ნებატონე აზნაურებმა თავიანთ ქონების დაგირავებაც იცოდნენ, აგირავებდნენ ხშირათ სახლს, ვენახს, სულიერ, ანუ სულად საქონელსაც და ხანდისხან თვით თავიანთს გლეხ ყმებსაც. ძრიელ ხშირათ და თითქმის მთელს ქართლსა და კახეთში, ბევრს აზნაურის შვილს დაღუპვია კაი მამულები ლოთობის დროის დაგირავებისაგან, დაღუპვია მით უფრო, რადგანაც მთავრალს ვალი ერთი სამად დაუწერია, ერთი ათად. ასე და ამ გვარათ ყმებიც ხშირად დაუგირავებიათ ამათ და ესენიც წასვლიათ ხოლმე ხელიდამ.

გათანხირებულ და გალოთებულ აზნაურის შვილებს, როგორც რამე შემოაკლდებოდა, და იგონებდნენ რამის საჭიროებას, მაშინათვე იგინი ყველაზედ ადვილათ ყმებს მიმართავდნენ და დაუწყებდნენ თხოვნას, რომ ეს მომე და ის მომეო, რა უყოთ რომ გადახდილი გაქვსო, ბატონი ვარ, მიჯირს და კიდევ უნდა მომცე რამეო ამას მერე გამოგიბრიო. თუ ყმას აქვნდა შეძლება და მისცემდა ბატონს რამეს, ხომ კაი, საქმე მორჩებოდა და ამ მინაცემით ბატონ აზნაური მოწონდებოდა და გასწევდა სამიკიტნოსაცენ თუ არა და მაშინ თქვენი მტერი, ატყდებოდა ერთი აზნაური და აზნაური გაცეცხლდებოდა, ჯავრობას დაიწყებდა და მერე ყმებზედ დაიწყებდა ყვირილს.

— სულ გაგყიდით, სულ გაგყიდით, აბა ერთი დამაცადეთ ცოტა ხანსა, თქვენ კი არ გეგონოსთ, რომ შეგარჩინოთ ეს და აღრინდებუროთ გაბატონოთ, არა, ეს აღარ იქნება, დედა-ბუღიანათ, დედა-და

პატარაშდის და ქალით კაცამდის დაგვიდით და ისიც ვისზედ, ქრისტიანებზედ კი არა, არამედ თათრებზედ. ასე უნდა თქვენისთანა ყმებს, რომ კაცმა ჭკუა გასწავლოთ და ბატონის სამსახურის მნიშვნელობა და მისი პარტივისცემა იცოდეთ.

ხანდისხან მომხდარა ისიც, რომ შვეუებულ ყმებს ბატონისათვის უთქვათ ასეთი პასუხი:

— ნეტა არ იქნება და ვაგვიდოვო.

უთქვათ ეს, რადგანაც მებატონეთაგან მათ არც ქათამი რჩეზოდათ სახლში, არც ბატი, არც იხვი, გოჭი და სხვა ასეთნი ყოველივე მებატონე აზნაურებს მიჰქონდათ როცა კი უნდოდათ. ამიტომ მობეჭრებულთ დაუყვირნიათ აზნაურისთვის:

— შენ იცი თუ არ დაივიწყებ მაგ სიტყვას და ჩვენც დაგვიდინულარ დაიშლი, აბა ჰა, მალე მოახერხე ეს საქმე და გაათავე ყოველივე.

მერე მიუგია მებატონე აზნაურიშვილს:

— დიახ, მე ვაგათავებ თქვენა, ხოლო ცოტა მაცალეთ და მერე აქვენი ბევრს იტანებთ.

მართლაცა და გასულა რამდენიმე ხანი და გალიქებულ აზნაურისშვილს თავის ვალებში გაუყიდია ხოლმე თვისი ყმები. ყმათა დასყიდვა ხან მოვალეებისაგან ხდებოდა და ხანდისხან თავიანთ წადილით, მაგრამ ამ წადილის მიზეზებიც რასაკვირველია კიდევ და კიდევ ვალი იყო, ვალი და მისი სარგებელი, რომელიც აზნაურ-მებატონეს უბრალოთ აქვდა აღებული და მერე სარგებლებით გადადებულ. აზნაურისშვილთა ყმებიც იმავე კანონიერის წესებით ისყიდებოდნენ, როგორც თავადისშვილებიც, ხოლო ცოტა კი უფრო ნაკლებ ჭყავებში, ასე მიაშბეს და რა იყო ამის მიზეზი ჩვენ არ ვიცით რა, უგვევლია მიზეზად ის იქნებოდა, რომ აზნაურისშვილების იყენენ.

ზოგი ისეთი აზნაურის შვილი იყო, რომ თავადისშვილზედ მეტი ყმანი ჰყვანდათ და უფრო მეტი მამულები, სამწუხაროთ ამ სააზნაურო ასპარეზზედ ვერც ამათ შეინახეს თავი და ესენიც გაწყალდენ უხვირო შვილების წყალობით და ამიტომ ასეთ გლეხს იჯახის შვილთა ყმებიც კი ძრიელ ხშირად იყიდებოდნენ საჯაროთ. ბევრჯერ და ძრიელ ბევრჯერ მომხდარა, რომ მებატონე აზნაურის ყმებზედაც მთავრობისაგან გასყიდვა (ტორგი) ყოფილა დანიშნული და ყმანი აქ გასყიდულან ბატონის ვალში.

მომსწრე კაცთა სიტყვით უნდა ითქვას, რომ თუმცა ასეთი და დიდი და ვალოთებულ აზნაურთაგან მათ ყმებს ცხოვრების დღენი.

გამწარებულნი აქვნდათ და იგინი ამათის მახვილისაგან ხშირად იზაგრებოდნენ და ისჯებოდნენ კიდევ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ყმა-გლეხნი აზნაურისაგან უფრო აღვილათ დაიხსნიდა თავს, ვიდრე თავადის შვილ-მებატონესაგან. შთელს ქართლსა და კახეთში ყველამ იცოდა კარგად, რომ ყმა-გლეხებს აზნაურ-მებატონენი უფრო იაფათ ხათავისუფლებდნენ და მასთან აღვილათაც, ვინემ მებატონე-თავადის შვილები.

ყოველივე ამას აზნაურის შვილებში ის გარემოება ამზადებდა, რომ იგინი უფრო შეუძლონი იყვნენ და ეს ყოველივე შეუძლებლობა იძულებულ ჰყოფდა, რომ მათ თავიანთი ყმები იაფათ დაეყიდნათ. ასე და ამგვართ, აზნაურობაში ყმები არამც თუ შეუძლოებმა წეინახეს და არ დაჰყიდეს, ან არ დააგირავეს და დაფანტეს, არამედ თვით შეძლებულებსაც კი წაუფიდათ ყოველივე ხელიდან და სახლელისოდ იგინი დარჩნენ ხელცარიელნი, მაინც ეს გარემოება აზნაურებისათვის სასარგებლო შეიქმნა და იგინი უფრო ადრე დაუახლოვდნენ შრომის ასპარეზს, სადღესოდ მათგან უკვე ყველა სახელოსნო და სამუშაო ასპარეზზედ საკმარისი რიცხვი სჩანს. რაც ხანი გადის ესენი უფრო წინ მიდიან ამით და ცხადი საქმეა, რომ თვით თავადის შვილობასაც ეს მოეღისთ.

საისტორიოთ კი უნდა ვსთქვათ სხვათა მოწმობით, და მოთხოვნილის ცნობით, რომ მართალია აზნაურობას დიდი ყმათა რიცხვი არ აქვდა, მაგრამ რაც აქვდათ და იყო, იმათაც მათის უჯჯო-უკვლო ცხოვრებისაგან დღე აქვდათ გამწარებულნი და ყოველთვის გაყიდ-გამოყიდვის აურ-ზაურს დაუსრულებელი ვაი-ვაგლახები აქვდათ. თვით აზნაურებც დამცირებულმა შეძლებამ დააჩქარა მათ ყმათა დენის თუ გასყიდვის, გამზითვის, თუ დაგირავების საქმენი და ამიტომ აზნაურების ყმებმაც ერთ დროს გაიარეს დიდი სამწუხარო ხანა, მებატონეთაგან შეუძლებლობით, პიროვნების დამცირება, უკანონო ყმათა შევიწროება, უანგარიშო მათი დასყიდვა და ყოველივეს შელახვა, რასაც რასაკვირველია იწვევდა მათი უმცირესი ცხოვრება და ღვინოში ყვინთაობა.

ხდებოდა ისეც, რომ აზნაური ქალს რომ გაათხოვებდა, მათ ფულის მაგიერ მზითვეში ყმებს გაატანდა, მერე ამით სიძე დაჰყიდდა ხოლმე, ან ყმები დაიხსნედნენ თავს, ასეთი მაგალითები ხშირად მომხდარა, ყმათა შორის კი აზნაურების ზიზდი უფრო იყო გავრცელებული ვინემც თავადის შვილების, თავადი თუ რამე შევიწროებას აქვენებდა ყმა-გლეხს, ისინი იმაზედ კი არას ამბობდნენ ესე მძლავრად

როგორც აზნაურის საქციელზედ, აზნაურ მებატონეს ყველა სწყევ-
ლიდა, ყველა ჰგმობდა და ყველა ზიზლით უმზერდა, ამათი ასეთი
ზიზლი და მტრობა ქართველ გლეხთა შორის ყმათა გაყიდვ-გამოყი-
დვის გამო თითქმის 1870 წლამდის დაშთა. ზეპირ ამის შესახებ ბევრმა
იკოდა ლაპარაკი და სხვა და სხვა ცნობების მოყვანა ასეთ გარემო-
ებათა გამო. ამ წლებს შემდეგ კი ამ ცნობების მახსოვართა რიცხვმა
კარგათ იკლო, ყოველივე მივიწყებას ეძლევა, დღეს ქართველ აზნა-
ურს და გლეხს ერთნაირი სახელისნო შრომა აერთებს, ამას შეუერ-
ოდებიან ოდესმე თვით ქართველი თავადისშვილებიც, ეს უსათუოთ
ასე მოხდება.*)

[Faint, mostly illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page.]

*) ჩვენ ამ წერილს, კომენტარიებს არ ვაუკეთებთ. პ. ჯაფარიძე

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 29 იანვარს ელიაზარ თულაევის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, რომელიც სცხოვრებს სოფელის ბოსელში გვარათ ზაუტაშვილი. წლიური შესავალი 28 მან. 30 კაპ. აქეს. დაფასებულია 283 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 10 ივლისს, ესტატე ქუთათელაძის ვალში გაისყიდება მისივე ყმის ერთი კომლი, გვარათ ლომ-კაცი დავითისძე ჩომახიძე, თავის ცოლშვილით, უძრავის და მოძრავის ქონებით, ცხოვრობს სოფელ გოჩ ჯიხაისში. დაფასებულია 248 მანათათ.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 15 მაისს, გიორგი წულუკიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი ოჯახი, შოშია მახარობლისძე კობანისძე, რომლის ოჯახშიაც 4 მამაკაცია და 4 დედა-კაცი, ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 219 მანეთად, სცხოვრობენ რაჭის უეზდის ხატევის ნაწილის ახალ-სოფელში.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 18 სექტემბერს, დავით აბაშიძის ვაღში, გაისყიდება მისივე ყმათა სამი კომლი, რომელნიც სცხოვრებენ სოფელს ვეჯიში. ყველა ესენი თავიანთის ცოლშვილით, მოძრავ და უძრავ ქონებით, დაფასებულია 1380 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 20 თებერვალს, რევაზ ღვინიაშვილის ვაღში, გაისყიდება მისივე ყმათა შვიდი კომლი. ესენი სცხოვრებენ თელავისუბდის, სოფელ ქვემო-ხოდაშენში. ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 3006 მან.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 25 ივლისს, დავით მუხრან ბატონის ვაღში გაისყიდება მისივე ყმათა სამი კომლი. ეს გლეხნი სცხოვრებენ სოფელს ხიდისთავში. დაფასებულია 824 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 15 აპრილს, არჩილ მუხრან ბატონის ვაღში, გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, გვარაფ ველიაშვილი, იგი სცხოვრობს დუშეთის უბდის სოფელს ძაღისში დაფასებულია 167 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 15 მაისს, ქაიხოსრო ჯაფარიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, გვარად ტატუა საბანისძე, თავის უძრავის და მოძრავის ქონებით. ოჯახში ექვსი მამა-კაცია და სამი დედა-კაცია, სცხოვრებენ რაქას სოფელ ცხნოში. დაფასებულია 500 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. აპრილს, თელავის უეზდის სამართველოში გაისყიდება თვანე ჯორჯაძის ვალში 15 დღის სახნავი მიწა, რომელიც დაფასებულია 20 მან. ყვარელობის ნაწილში მცხოვრები ხუთი კომლი გლეხი, თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით. მესამე ნაწილი ალმატის ტყისა დაღები სოფელ გრემში. სულ დაფასებულია 27,414 მანათად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 30 ივნისს, ბესარიონ კორინთელის ვალში გაყიდულ იქმნება მისივე ყმათა ერთი კომლი. ამ გლეხს აქვს, ერთი ვენახი და ორი დღის სახნავი მიწა დაფასებულია 143 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 13 ივნისს, დავით ერისთავის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, მამუკა მკოლაშვილი, რომელიც სცხოვრებს სოფელს ქისტაურში.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 15 მაისს, ნიკო ავალიანის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი სიძონ ხაჩანურიძე, რომლის ოჯახიც შედგება ორბ შამაკაცისაგან, და ერთის დედა-კაცისაგან, სცხოვრებენ სოფელს ოპურჩხნეთში. თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით, დაფასებულია 210 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 13 ივნისს, მიხეილ და გიორგი ანდრონიკოვის ვალში გაყიდულ იქმნება მისივე ყმათა ოთხი კომლი გლეხი კაცისა, თავიანთის შვილებით, უძრავის და მოძრავის ქონებით. ერთი კომლი სოფელს კონდალში სცხოვრობს და სამი გურჯანში, შესავალი აქვს 125 მან. დაფასებულია 1250 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 30 იანვარს, დავით ერისთავის შვილის ვალში გაისყიდება მისივე ყმის ერთი კომლი, ნინო ვედენაშვილი თავის ქონებით. ოცი სცხოვრობს ხელავის უფხდის სოფელს ქიხტურში, დაფასებულია 170 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 23 აგვისტოს ივანე ქობულაძის ვალში გაისყიდვნ მისივე ყმათა სამი კომლი.

ბ რ ლ ი

1849 წ. 30 სექტემბერს, შალვა ერისთავის ვაღში გაყიდულ იქნება მისივე ყმის ერთი კომლი, რომელიც სცხოვრობს გორის უეზდის სოფელს დავრისში. დაფასებულია 270 მანეთად.

ბ რ ლ ი

1849 წ. 23 აგვისტოს, სიმონ აბაშიძის ვაღში გაყიდება მისივე ყმათა შვილი კომლი, რომელნიც სცხოვრებენ შორაპნის უეზდის სოფელს ჯოყოეთში და რკვიაში, პირველი გლიხა კაპანაძე, რომლის ოჯახშიაც ოთხი მამა-კაცია და ოთხი მდედრობითი სქესი. 2-რე როსტომ მოდებაძე, რომლის ოჯახშიაც ორი მამა-კაცია და სამი დედა კაცი. 3-მე მანზულო მოდებაძე, ამის ოჯახში ორი მამა-კაცია და ერთი დედაკაცი. 4-ე, სიმონ მოდებაძეს ოჯახი რომელშიაც ორი მამა-კაცია და 3 დედაკაცი, 5-ე, ზაქარია მოდებაძე 4 ქალი და ორი კაცი. 6-ე, ბერიკა კახნიაშვილი, ექვსი მამა-კაცი და 5 დედა-კაცი. 7-ე, ოქრუა კახნიაშვილი 5 მამა-კაცი და სამი დედა კაცი. ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 1.400 მანეთად.

ბ რ ლ ი

1849 წ. 2 აგვისტოს, ივანე ქობულაძის ვაღში გაყიდება მისივე ყმათა სამი კომლი, რომელნიც სცხოვრებენ თელავის უეზდის სოფელ კონდილში, ყველა ეს გლეხნი, თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით, დაფასებულია 1130 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 23 აგვისტოს, აზ. სიმონ ქლენტის ვალში გაიყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, შორაპნის მაზრის, არგვეთის ნაწილის სოფელს ჩიხაში მცხოვრებელი იორდანე ყვირილაშვილი. ამის ოჯახში ხუთი მამაკაცია და სამი დედა-კაცი, თავის საცხოვრებლით ეს დაფასებულია 250 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 23 აგვისტოს, ოტია ნიჯარაძის ვალში გაიყიდება მისი ყმათა სამი კომლი, რომელნიც სცხოვრებენ ქუთაისის უეზდის სოფელ ზედა მალაკში. ესენი არიან 1-ლი სიმონ ტყეშელაშვილი, ივანე ტყეშელაშვილი და ვასილი ტყეშელაშვილი, ყველა ამათში 12 მამაკაცია და 4-ი დედა-კაცი. სუყველა ესენი თავიანთის შეძლებით დაფასებულია 300 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 14. ოქტომბერს, გორის უეზდის სამართველოში, თავად დავით ბარათაშვილის ვალში გაიყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, ტატია გოგიაშვილი, რომელიც სცხოვრობს სოფელს კარსელში. ამის უძრავ და მოძრავ ქონებას წელიწადში შემოსავლად 33 მან., ათი წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით დაფასებულია 338 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 9 სექტემბერს, ივანე ქობულოვის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ორი კომლი, რომელნიც სცხოვრობენ სოფელს არტაზანში, ათი წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით დაფასებულია 200 მან.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 29 სექტემბერს, ივანე ამილახვრის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ხუთი კომლი, რომელნიც სცხოვრობენ გორის უეზდის საბასში, ყველა ესენი დაფასებულია 2623 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 19 აგვისტოს, თავად ივანე ქობულოვის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, გვარად დოღმაზაშვილი, რომელიც სცხოვრობს თელავის უეზდის სოფ. არტაზანში, ეს გლეხი თავის შეძლებით დაფასებულია 150 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 30 სექტემბერს, ესტატე თარხნიშვილის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ორი კომლი, რომელნიც სცხოვრობენ გორის უეზდის სოფელს ახალქალაქში. ეს გლეხნი თავიანთის ვენახებით და მამულით დაფასებულია 457 მან. 50 კა.

ტ ო რ ლ ი

1849 წ. 18 ნოემბერს, ნატალია მესხიშვილის ვალში გაისყიდება მისივე ყმის ერთი ოჯახი, რომელიც სცხოვრობს გორის უეზდის სოფელს ახრისში, დაფასებულია 443 მანეთად.

ტ ო რ ლ ი

1849 წ. 30 სექტემბერს (პრიკაზი) ტატო და რომან ყორჩიბაშვიის ვალში გაყიდულ იქნება ოთხი კომლი მათივე ყმისა, რომელნიც სცხოვრობენ თელავის უეზდის სოფელს კურდღელაურში, ყველა ესენი დაფასებულია 1199 მანეთად.

ტ ო რ ლ ი

1849 წ. 30 სექტემბერს, ივანე თარხანოვის ვალში გაყიდულ იქნება მისივე ყმათა ორი კომლი, რომელნიც სცხოვრობენ გორის უეზდის ახალქალაქში. ამ გლეხებს წელიწადში 73 მან. და 70 კაპ. აქვსთ შესავალი, დაფასებულია 734 მანეთად.

ტ ო რ ლ ი

1849 წ. 20 ივლისს, სიმონ მაყაშვილის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ცამეტი ოჯახი, თავიანთ ყმაწვილებით, მოძრავის და უძრავის ქონებით. ესენი სცხოვრობენ თელავის უეზდის სოფ. რუისპირში და იყალთოში დაფასებულია 3801 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1850 წ. 13 იანვარი, ალექსანდრე მაჩაბლის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, თავის მამულით, ეს გლეხი სცხოვრობს გორის უეზდის, სოფელს დიდს გორდეკვარში. დაფასებულია 360 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 18 ნოემბერს, სარიდან ციციშვილის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა სამი კომლი, რომელნიც სცხოვრობენ ხიდისთავის ნაწილის სოფელს ზახარშენში. ესენი თავიანთის მამულებით დაფასებულია 960 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1849 წ. 3 ოქტომბერს, დავით ერისთავის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ორი კომლი, რომელნიც სცხოვრობენ სოფელს ქისტიაურში, ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია არიან 769 მანეთად. ამ ყმებს პრიკაზი უყიდის თავის ვალში.

ტ მ რ ლ ი

1852 წ. 18 აგვისტოს, პაატა ნიქარაძის ვალში გასყიდულ იქმნება მისივე ყმათა ერთი კომლი ველიაშვილი, დაფასებულია 70 მანეთს ვალში.

ტ რ ლ ი

1849 წ. 29 ნოემბერს, სიმონ ჟღენტის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, რომელიც სცხოვრობს შორაპნის უეზდის სოფელს ჩხარში: დათიკა მკვირვიშვილი, თავის ცოლშვილით და საცხოვრებლით, დაფასებულია 337 მანეთად.

ტ რ ლ ი

1850 წ. 20 თებერვალს, (პრიკაზი ჰყიდის) დიმიტრი აფხაზის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა შვიდი კომლი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით, აგრეთვე ვენახები, სახნავი მიწები და სხვანი დაფასებულია 670 მანეთად.

ტ რ ლ ი

1849 წ. 16 ნოემბერს, თელავ-სიღნაღის უეზდის სამმართველოში, თამაზ ანდრონიკოვის ვალში გაისყიდება ორი კომლი მისივე ყმათა, რომელნიც სცხოვრობენ თელავის უეზდის სოფელს ფხოვლისში ყველა ესენი დაფასებულია 500 მანეთად.

ტ რ ლ ი

1850 წ. 18 აპრილს, თავად სოლომონ გურგენიძის ვილში გაისყიდება მისივე ყმათა ცამეტი კომლი, რომელნიც თავიანთ ცოლშვილით, უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 3500 მანეთად.

ტ რ რ ღ ი

1849 წ. 5 სექტემბერს, სიმონ გოგობერიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმის ოთხი კომლი. ესენი სცხოვრობენ მცირე ჯიხასში. 1-ლი ნიკოლოს ანდლულაძე, 2-ე ხუტუა ნიკოლაიშვილი, 3-მე ოთარ აბზიანიძე და მე-4-ე ანდრა კიკალიშვილი თავიანთის სახლობით, უძრავი და მოძრავის ქონებით, დაფასებულია 921 მანეთად და 50 კახ.

ტ რ რ ღ ი

1849 წ. 24 ოქტომბერს, ნიკალაი და დიმიტრი ციციშვილის ვალში გაყიდულ იქნება მისავე ყმათა თექვსმეტი კომლი. რვა, კომლი სოფელს ხვედურეთშია, სცხოვრობს, ოთხი ქარელში და ოთხი ც. დოესში. ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებული არიან 4576 მანეთად.

ტ რ რ ღ ი

1852 წ. 4 ნოემბერს, ზურაბ ერისთავის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ორმოცდა ერთი კომლი, ამათგან ოცდა სამი კომლი სოფელს სვირში სცხოვრობს, სამი კომლი იტავრში, ერთი კომლი ბერტისში, სამი კომლი სკინდორში, ორი კომლი შოილარში. ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 11224 მანეთად.

ბ რ ლ ი

1852 წ. 31 იანვარს, მაიორის მეუღლე, ეკატერინე ძირკველოვის ვალში, გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი ნინია ზუბიაშვილი, რომელიც სცხოვრობს გორის უეზდის სოფელს ხერთში. ამ გლეხს წლიური შესავალი 35 მანეთი აქვს, ათი, წლის შემოსავლის ზედა შეკვეცით დაფასებულია 350 მანეთად.

ბ რ ლ ი

1852 წ. 9 ივლისს, თელავ-სიღნაღის უეზდის სამმართველოში, გაისყიდება ესტატე ჯორჯაძის ვალში მისივე ყმათა ათი კომლი, რომელთა ექვსი კომლი ს. გრემში სცხოვრობენ და 4 საბუეში. ყველა ესენი თავიანთის მამულებით, შეძლებით და ქონებით დაფასებულია 3500 მანეთად.

ბ რ ლ ი

1852 წ. ივლისის თვეში, გორის უეზდის სამმართველოში, დიმიტრი ერისთავის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ცხრა კომლი, რომელშიაც ორმოცდა ერთი მამაკაცია, ყველა ესენი თავიანთის ქონებით დაფასებულია 3700 მანეთად. ესენი სცხოვრობენ ხიდისთავის ნაწილს სოფელს სვირებში.

ტ ო რ ლ ი

1852 წ. 21 სექტემბერს, რევახ და ზაალ ფაინაძეთა ვალში გაისყიდება მათივე ყმათა რვა კომლი, რომელნიც სცხოვრობენ სოფელს კარდანახში. ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით 2500 მანეთად არიან დაფასებული.

ტ ო რ ლ ი

1852 წ. 10 სექტემბერს, დავით აფხაზის ვალში გასყიდულ იქმნება მ სივე ყმათა თუთხმეტი კომლი, რომელნიც ცხოვრობენ სოფელს კარდანახში და ჩალაუბანში. 43 დღიური სახნავი მიწით, ყველა ესენი დაფასებულია 3000 მანეთად.

ტ ო რ ლ ი

1852 წ. 1 სექტემბერს, კოსტანტინე მიქელაძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, გვარად ბაბუშია ფრანგი, დაფასებულია თავისს ქონებით 180 მან. 50 კაპეკით.

ტ ო რ ლ ი

1852 4 ნოემბერს, რევახ მიქელაძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ორი კომლი, რომელნიც დაფასებულია 370 მანეთად.

ტ რ ლ ი

1849 წ. 1 აგვისტოს, სოლომონ ციციანოვის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა შვიდი კომლი, რომელნიც სცხოვრებენ გორის უეზდის ხიდისთავის ნაწილს, სოფელს კარელში. ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია. 2289 მანეთად.

ტ რ ლ ი

1853 წ. 16 თებერვალს ზურაბ ერისთავის ვალში გასყიდულ იქმნება მისივე ყმათა 41 კომლი; ამათში 145 მამაკაცია, 116 დედაკაცი. ისინი სცხოვრებენ ქუთაისის გუბერნიის შორაპნის უეზდში; 23 კომლი სვერის ნაწილის სოფელს სვირში; 9 კომლი ამავე ნაწილის სოფელს ბოსლევში. 3 კომლი სოფელ სკინდორში; 3 კომლი სოფელ ითნვისში, 1 კომლი ბერეთისაში, 2 კომლი ს. მანდაეთში, რომელნიც დაფასებულნი არიან 11,184 მან. 50 კაბ.

ტ რ ლ ი

1852 წ. 9 ნოემბერს, სალომე (წერეთლის ქალი) ანდრონიკოვის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა, ცხრა კომლი, რომელშიაც ცხრამეტი მამაკაცია და თვრამეტი დედა-კაცი. ყველა ესენი თავიანთის შეძლებით დაფასებული არიან 1710 მანეთად.

ტ. მ. რ. ლ. ი.

1852 წ. 4 ნოემბერს ბერო წულუკიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, იერიკა ოდილა-ვაძე, რომელიც სცხოვრებს სოფელს განბრში. ოჯახში ექვსი სულია დაფასებულია 300 მანეთად.

ტ. მ. რ. ლ. ი.

1852 წ. 19 თებერვალს, სოლომონ ჯორჯაძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ოცდა ოთხი კომლი, რომელშიაც ას ორი სული მამა-კაცია. ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 14,910 მანეთად.

ტ. მ. რ. ლ. ი.

1852 წ. 19 თებერვალს იაგორ ზანდუკელის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა თორმეტი კომლი, რომელშიაც სამოცდა თორმეტი მამაკაცია. დაფასებულია ყველა ესენი თავიანთის უძრავ და მოძრავის ქონებით 5400 მანეთად.

ტ. მ. რ. ლ. ი.

1852 წ. 30 იანვარს, დავით მალალაშვილის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი თავიანთის ქონებით, რომელიც სცხოვრობს გორის უეზდის სოფელს ხურვალეთში, დაფასებულია 169 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1852 წ. 29 იანვარს, ლევან და დიმიტრი ციცი-
შვილების ვალში გაისყიდებთან მათივე ყმათა ორი
კომლი: ნინია ტოტონაშვილი და დავით გოგოლა-
შვილი, თავიანთის ტოლშვილითა და უძრავ მოძ-
რავის ქონებით დაფასებულია 680 მანეთად. ამ
გლეხთა ერთი კომლი სოფელ დოესში სცხოვრობს
და ერთი კომლი ქანდრებში.

ტ მ რ ლ ი

1853 წ. 20 აპრილს, დავით აბაშიძის ვალში გაის-
ყიდება მისივე ყმათა ოთხი კომლი, რომეონიც სო-
ფელს ნაზარეთში სცხოვრობენ, ამათში მამა-კაცი
ჩვიდმეტია. შვიდი კომლი კაცსში, ამათში ოცდა
ათი მამა-კაცია და ორ-ორი კომლი სოფელ ტყვიავ-
ში მცხოვრებნი, ამათში თორმეტი მამა-კაცია. ყვე-
ლა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით
დაფასებულია 3450 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1853 წ. 11 მარტს შორაპნის უეზდის სამართყე-
ლოში გაისყიდება ელენე წულუკიძის ვალში მისივე
ყმათა ერთი კომლი, სოფელს ჩხარხაში მცხოვრები,
ხოსია რობაქიძე, დაფასებულია თავისს მამულოთ
190 მანეთად.

ტ რ რ ღ ი

1853 წ. 17 თებერვალს კნენა გულქანა აგივეის ვალში ისყიდება მისივე ყმის ერთი კომლი, ხუთი მამაკაცია და ოთხი ქალი, რომელნიც სცხოვრებენ სოფელს სანგულაუში, დაფასებულია 290 მანეთად.

ტ რ რ ღ ი

1853 წ. 20 აპრილს, სიმონ აბაშიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ცამეტი კომლი, რომლის ოთხი კომლი სცხოვრობს სოფელს ნავარზეთში, ამათში მამაკაცი ჩვიდმეტია, სოფელი კაცში შვიდი კომლი, ამათში მამაკაცი ოცდა ათია, ორი კომლი სოფელ რკვიაში, ამათში მამაკაცი თორმეტია, ყველა ესენი თავიანთის შეძლებით დაფასებულია 1700 მანეთად თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით.

ტ რ რ ღ ი

1853 წ. 18 მაისს, ილია ჩოლოყაშვილის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ხუთი კომლი, რომელნიც სცხოვრობენ თელავის უეზდის სოფელს ლილისყურში, სახელდობრ: ივაკიმ ხატელაშვილი, ივანე ხატელაშვილი, გიორგი ხატელაშვილი და გიორგი დავითაშვილი და ილია ჩიტახაშვილი ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 1750 მანეთად.

ტ რ ლ ი

1853 წ. 5 ივლისს, ალექსანდრე მუხრან-ბატონის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ცხრამეტი კომლი, რომელშიაც ოთხმოც და სამი ძამაკაცია, ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 37,955 მანეთად.

ტ რ ლ ი

1853 წ. 2 ივლისს, ალექსანდრე ვაჩნაძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა თხუთმეტი კომლი, რომელნიც სცხოვრობენ სოფელს კარდანახში. ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 32200 მანეთად.

ტ რ ლ ი

1854 წ. 23 ნოემბერს, კოსტანტინე მიქელაძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა გლეხის ერთი ოჯახი ივანიკა ხუჩუა. თავის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 278 მანეთად.

ტ რ ლ ი

1854 წ. 25 იანვარს, გიორგი ანდრონიკოვის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა თორმეტი კომლი. ოთხი კომლი ვეჯინში სცხოვრობს და რვა კომლი გურჯაანში. ყველა ესენი თავიანთის ქონებით დაფასებულია 14,500 მანეთად.

ტ ო რ ლ ი

1853 წ. 29 მაისს, თელავის უეზდის სამართველოში გაისყიდება სიმონ ჯანდიერის ყმათა სამი კომლი გლეხ-ყმებისა, რომელთაც აქვს ორმოცი დღიური სახნავი მიწა და ექვსი ვაზის ვენახი, სცხოვრობენ სოფელს ვაჩნაძიანში, ყველა ესენი დაფასებულია 818 მანეთად.

ტ ო რ ლ ი

1853 წ. 30 მაისს, როსტომ წერეთლის ვალში, გაისყიდება მისივე ყმათა სამი კომლი: გრიგორ გეტონაძე, გრიგორი და დათა ქუთათელაძე, რომელთა ოჯახებშიაც რვა მამაკაცია და ცხრა დედაკაცი. ყველა ესენი დაფასებულია 463 მანეთად, სცხოვრობენ შორაპნის უეზდის საჩხერის ნაწილს სოფელს სარეკში.

ტ ო რ ლ ი

1854 წ. 18 იანვარს, მიხეილ ანდრონიკაშვილის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა რვა კომლი, თავიანთის უძრავის და მოძრავს ქონებით, სახნავის მიწით, ვენახებით და ხეებით. სცხოვრობენ სიღნაღის უეზდის ზიარის ნაწილის სოფელს ვეჯინში. დაფასებულია ყველა ეს 9,300 მანეთად.

ტ რ რ ღ ი

1854 წ. 22 თებერვალს, სოლომონ ჯორჯაძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა თოთხმეტი კომლი, ესენი სცხოვრობენ ყვარელის ნაწილის სოფელს გრემში, სამი კომლი და თერთმეტი კომლი სოფელს აღმათში. ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 14,910 მანეთად.

ტ რ რ ღ ი

1854 წ. 20 მარტს, იოსიფ ჯაფარიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი დათუა საბანძე, თავისს ოჯახით და უძრავ მოძრავის ქონებით, სცხოვრობს რაჭის უეზდის უწერის ნაწილის სოფელს ცხრომში. ამ გლეხის მეპატონის სხვა და სხვა მამულებთან ეს გლეხი დაფასებულია 660 მანეთად.

ტ რ რ ღ ი

1854 წ. 18 იანვარს, ზურაბ თუმანიშვილის ვალში გაისყიდებიან მისივე ყმათა ორი კომლი: იოთამ საბედაშვილი და იასე მაგარაშვილი, თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით 500 მანეთად არის დაფასებული. ესენი სცხოვრებენ გორის უეზდის სოფელს ხელთუბანში.

ტ მ რ ლ ი

1854 წ. 4 იანვარს დიმიტრი ქვეკვეციძის ვალში გაისყიდებთან მისივე ყმათა ოთხი კომლი, სოფელი ყვარელში მცხოვრებნი, თავიანთის უძრავს და მოძრავის ქონებით, ვენახებით, სახნავი მიწით და თორმეტის დუქნით. დაფასებულ არიან 25.050 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1854 წ. 4 იანვარს, თავად გოჯასპირ ჩერქეზიშვილის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ოთხი კომლი, თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით და ცოლ-შვილით დაფასებულია 10.080 მანეთად. ყველა ესენი სცხოვრობენ სართაქალის ნაწილის სოფელს ფოხლიუარში.

ტ მ რ ლ ი

1854 წ. 2 ნოემბერს, გიორგი ერისთავის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ექვსი კომლი გლეხებისა: ბიქია და გოგია ხურცივაძე, მარკოზა, დათია და სიმონა შიბიჩავაძე, დათა შუგალაძე, ყველა ამათში ოც-და-შვიდი მამაკაცია და ოც-და-თერთმეტი დედა-კაცი. ესენი სცხოვრობენ ქუთაისის უეზდის ამაღლების ნაწილის სოფელს უსუტში, გნრში და ამაღლებისაში. ყველა ესენი თავიანთის საცხოვრებლით დაფასებულ არიან 1071 მანეთად.

ტ რ ლ ი

1854 წ. 17 აგვისტოს, ალექსანდრე ავალიშვილის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ექვსი კომლი, რომელნიც სცხოვრობენ სიღნაღის უეზდის სოფელს ჩუმალაუში. ყველა ამათ ორი ვაზის ვენახი აქვსთ და ნახნავი მიწები, ყველა ეს გლეხნი თავიანთის ქონებით დაფასებულია 4650 მანეთად.

ტ რ ლ ი

1854 წ. 10 იანვარს, დავით ჩხეიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ორი კომლი: ბუჩუა და სიმონ დავილოვები, გვარად გაშაკიძეები, თავიანთის ქონებით და ცოლ-შვილით, სადაც ცხრა მამა-კაცია და ოთხი დედა-კაცი. ეს გლეხები დავით ჩხეიძის უდიდეს მამულებთან ერთად დაფასებულ ყოფილა 2,964 მანეთად.

ტ რ ლ ი

1854 წ. 17 სექტემბერს, კოსტანტინე, ზაალ და რევაზ ვაჩნაძის ვალში გაისყიდება მათივე ყმათა რვა კომლი, რომელნიც სცხოვრობენ სიღნაღის უეზდის სოფელს კარდანახში თავიანთს სახნავ-სათესის მიწით, ვენახით, საძოვარ ადგილებით, მიკიტნის დუქნით და მთლათ თავიანთის ოჯახობით დაფასებულია 11,400 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1854 წ. 22 თებერვალს, გიორგი რუსივე ყორჩი-
ბაშევის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ოცი კომლი,
ესენი სცხოვრობენ თელავის უეზდის სოფელს კურ-
დღელაურში. ყველა ესენი თავიანთის უძრავის და
მოძრავის ქონებით დაფასებულია 15,710 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1854 წ. 10 აგვისტოს, ნოშრეგან ჭავჭავაძის ვალ-
ში გაისყიდება მისივე ყმათა თოთხმეტი კომლი,
რომელშიაც ორმოც-და-ერთი სული მამაკაცია. ყვე-
ლა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონე-
ბით დაფასებულია 18 450 მანეთად. სცხოვრობენ
თელავის უეზდის სოფელს ყვარელში.

ტ მ რ ლ ი

1854 წ. 11 იანვარს ნიკოლოზ მაყაშვილის ვალში
გაისყიდება მისივე ყმანი: ესენი სცხოვრობენ სო-
ფელს იყალთოში და რუისპირში, ყველა ესენი თა-
ვიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებუ-
ლრა 8400 მანეთად.

ტ მ რ ლ ი

1854 წ. 10 ნოემბერს, სიმონ ელენტის ვალში გვა-
ისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი ივანე გიორ-
გაძე, რომელიც სცხოვრობს ქუთაისის გუბერნიის
არგვეთის ნაწილს სოფელს ჩიხაში. დაფასებულია
367 მანეთად.

ტ მ რ ღ ი

1854 წ. 5 ოქტომბერს, დიმიტრი ერისთავის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ორმოც-და-ერთი კომლი, ესენი სცხოვრობენ გორის უეზდის ქსნის ნაწილის სოფელს ციხის სოფელში. ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 22,024 მანეთად.

ტ მ რ ღ ი

1854 წ. 24 ოქტომბერს, გორის უეზდის სამართველოში, მიხეილ, დიმიტრი და ბესარიონ თარხანოვის ვალში გაყიდულ იქმნება მისივე ყმათა ხუთი კომლი, ოთხი კომლი სოფელს ერთა-წმინდაში სცხოვრობს და ერთი კომლი სოფელს ახალციხეში. ყველა ესენი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით, ვენახებით დაფასებულია 8600 მანეთად.

ტ მ რ ღ ი

1854 წ. 1 აგვისტოს, აზნაურს ივანე მხეიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, ხუცია სვანიძე, ამის ოჯახში ორი მამა-კაცია და ერთი დედა-კაცი, ცხოვრობს სოფელს ნამახვანში. ეს გლეხი თავის უძრავის და მოძრავის ქონებით და ოჯახით დაფასებულია 160 მანეთად.

VI.

სსპუ ჟუ სსპუ მასაწუბი.

ბატონ-ყობის სასაცილო ამბავი.

ქართლ-კახეთ-იმერეთში იყვნენ ისეთი აჯამი მებატონენი, რომელნიც მოკლედ ფიქრობდენ: „ბატონ-ყობას ჩვენი მოწყალე იმპერატორი ისევ უკან დაგვიბრუნებს. ჩვენ აბა უყმით როგორ დაგვტოვებს, როგორც თვით ვერ გასძლებს უჯართ, ისე ჩვენ ვერ დავრჩებით უყმით და ან ხომ ჩვენი მტერი არ არის, რომ ასე გაგვწიროს. ყმობის ეს გადავარდნა დროებითი გახლავსთ, განგებ მოხდენილი. უნდა გამოსცადონ თუ ყმები რას იზენ უბატონოთო“.

ასეთ ფიქრებს მიეცნენ ნამეტურ ის მებატონე თავად-აზნაურნი, რომელთაც ყმების სანაცვლოდ ანაღები ფული მალე გაუქრათ ხელი-დამა, მასთან აღარც ყმები ჰყვანდათ და არც მამულის დამუშავებას იყვნენ შეჩვეულნი. ასეთ მებატონეთათვის სწორედ ნულარველის დღე დადგა, დღე გამწარებისა და გოდებისა.

ყველაზე უფრო ძალიან სწუხდენ მოხუცი ქვრივები. დროს გადასული გასათხოვარი კნიაჟნები და წარმავალი თაობის მუქა-ხორანი. ესენი ხშირად შეიყრებოდნენ ხოლმე ერთად, ხან წვეულებაში, ხან ქორწილში, ხან სხვა ასეთ დღესასწაულებში და მწარედ ჰგოდებდენ ამ ვაებით სავე მოსავალზედ და თან გლეხებს ემუქრებოდნენ: „დაიცადეთ, დაგიდგებათ თვალი, თქვენ ისევ დაგვიბრუნდებით, მაშ ხემწიფემ მამულები ჩვენ რათ დაგვიტოვა, რატომ თქვენ არ მოგცათ, თუ თქვენი უკან დაბრუნება არ უნდა მოხდეს, თქვენი გაყრა დროებითი იყო, თქვენ უჩვენოდ ვერ გასძლებთ... იცოდეთ, ყოველივეს ჩაგაშხამებთო. ერთი უყურეთ აქ ღორებს, რომ ქორწილს გარდა, თვით ნიშნობისა და ნათლობაშიაც კი ზურნა მოყავთ, ერთი უყურეთ როგორ მზიარულობენ, დაიცადონ, ეხლა ჩვენ მალე ვსთხოვთ ხელმწიფე იმპერატორს, რომ ჩვენი ყმები ისევ დაგვიბრუნდნენ უკან, თორემ მამულები შეუშუშავებელი გვრჩება და მაშინ ნახვენ ესენი თავიანთ სეირსაო. როგორ აღარ გვეპოებიან, სალამსაც აღარ იძლევიან, ზედაც არ გვიყურებენ, ის კი არ იციან რომ ბოლოს ყველა ეს მათ ჩაეშხამებათო.

იტყოდნენ ხოლმე, მალ-მალე და ხემწიფისადმი თხოვნის მიცემას ეპირებოდნენ.

ბევრ ალაგას თხოვნის დასაწირათ პირობაც შეუკრავთ და მეორე დღეს მცოდნეთათვის მიუშართავთ და უთხოვნიათ, რომ ზემწიფესაჲნ ერთი არზა დაგვიწერეთ, რომ ყმები მალე დაგვიბრუნდნო. მაშინ ბევრი ხუშარა მოხელე აქეზებდენ მათ და თან აიმიედებდენ:

— მაშ, მალე უნდა ითხოვოთ, რომ ყმები დაგიბრუნდეთ, თუ არა, საცაა რკინის გზას გააკეთებენ, მაშინ თქვენ წაბრძანდებით პეტერბურგს და პირადათა სთხოვთ, რომ ყმები ისევ უკან დაგიბრუნდესთ. ნუ დაიშლით, კაი თხოვნები კი უნდა დააწერებნოთ, რომ თქვენმა თხოვნამ გასჭრასო.

იქნება არ დაიჯეროთ და მე კი თვით ასეთ მოხელეთ ნაამბობს მოგახსენებთ. მათ ბევრჯერ დაუწერიათ ასეთი თხოვნები, მასში კაი ფასიც აუღლიათ. ზოგს აქეთ-იქით წაუღლიათ ეს თხოვნა და უჩვენებიათ სხვათათვის, თუ როგორ არის დაწერილი, ზოგს ალაგას მცოდნეთ ეს თხოვნა დაუხვეიაო, ზოგ ალაგას მასხარათ აუღლიათ, ზოგი არავისთვის უჩვენებიათ და თავიანთის კერპობით ფულიც დაუხარჯავენ და გაუგზავნიანთ კიდევ თვით იმპერატორის სახელზე, კარგად დაწერილ კონვერტით, გაგზავნის შემდეგ ესენი მოლოდინში ყოფილან, რომ აი დღეს გამოცხადდება ბატონყმობის უკან მობრუნება და აი ხვალაო.

ხშირად უთქვამთ ზოგიერთებს: ის ოხერი თხოვნა აღბად კარგად არ იყო დაწერილი... რა ვიცით, ამა და ამ კაცის საჩივრის პასუხი მალე მოვიდა და ე ჩვენსას რა დმერთი უწყდება. ე წყეულ ჩინოვნიკებს სულ გლეხების მხარე უჭირავთ. მეორენი იტყოდნენ ხოლმე:

უჭირამთ მაშა, ვერა ხედავთ, დაწერის დროს საგინოვმა სთქვა, არა იქნება რა, ტყუალათ ხარჯავთ ფულსაო. თვით ჩვენ კეთილშობილთ თავად-აზნაურებსაც რომ ამ წყეულების მხარე უჭირავთ, აბა მთავრობა, ან ჩვენი ხემწიფე რალაზედ გავამტყუნოდ, რომ პასუხს დროით არ გვაძლევენ. დედაკაცები იტყოდნენ ხოლმე:

გაუწყდეთ და გადაჰყვენ თანა, იყვენ ყმების მომხრენი და ერთი ვხახოთ ეს ყმანი რითი ასიამოვნებენ მათ, რითი შეიჯერებენ მათ გულს.

უამბნიათ ისიც, რომ ბევრს ალაგას, თვით გაქნილ მოხელეებს წაუქეზებიათ ასეთ მგოდებელ მებატონენი ლაპარაკის დროს:

ნუ დაიშლით, მალე გაგზავნეთ თხოვნა, თქვენ თხოვნას წაიკითხავს თუ არა ხემწიფე, ის მაშინათვე დაგიბრუნებთ უკან თქვენს ყმებს, იმედი იქონიეთ, ნუ გეშინიანთ, ასე მოხდება.

ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას, თქვენ ერთი კაი არზა დაგვიწერეთ, ღვთის მადლით და თქვენის წყალობით საქმე გავგიკეთდება: მოხელესაც რასაკვირველია აუშვლებია კაი ფული, ხშირად ასეთის თხოვნ ს დაწერის გამო ნობათიც მიუერთმევიათ და სხვა სოფლის ასეთი საჩუქრები, მერე რა მიუღიათ ამათ ამის სანაცვლოთ, არაფერი! ზოგს მოხელეს თხოვნა ყალბათ წაუკითხავს ასეთ მგოდებელ მებატონეთათვის, წაუკითხავს თხოვნიდან ის, რაც ამათ გულს სურვებია, თხოვნაში კი სულ მისი და მისი გამგეობისა, დღევრძელება რათა მან ინება და ასეთი ბედნიერება განაცხადა, რომ ყმა გლეხი ბატონს გაუთანასწოროა.

ასეთი წერილების დამწერს პირთ მე თვით მოვესწარ და მრავალ ამაოგანნი საქართველოში დღესაც იქნებიან ცოცხალნი, რომელთაც ეხსომებათ ეს სასაცალო ამბები, მაგრამ ამაზედ ლაპარაკი აბა რაღათ გვინდა, აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს ნამდვილად მომხდარს ამბავს, რომელიც ნათლად დაასურათებს იმ სამწუხარო სცენების ისტორიას რაც კი 1865 წ. 1870 წლამდე ხდებოდა.

ისიც კი უნდა ითქვას, 1870 წლამდე, ასეთ მგოდებელთა რიცხვი ქართლსა და კახეთში სრულიად შემცირდა, აქ თითქმის ყველამ შეიტყო, რომ ასეთი არა იქნება რაოდ და ამიტომ თხოვნების წერას და გოდებას თავი დაანებეს, ხოლო იმერეთში კი ეს კარგახანს დარჩა, რადგანაც იქ ბატონ-ყმობა ქართლ-კახეთის ბატონ-ყმობაზე უფრო გვიან გადავარდა და იქ უფრო დააკლდა მებატონეს გონიერი გლეხის სამსახური, ვინემც ქართლ კახეთის მებატონეს აჯამი ტეტია გლეხის მონობა და შოობა.

იმერთა მებატონენიც ასევე გოდებდნენ, ასევე სწუხდნენ და ხშირად თხოვნების წერას და ვაგზავნასაც აპირებდნენ სახელმწიფოს სახელზედ, რომ ჩვენ უყმოთ ძალიან გვიჭირდება ცხოვრება და ამიტომ ვითხოვთ მათს უკანვე დაბრუნებასაო. უცქველია ასეთ მებატონეთ ასეთი თხოვნებიც ხშირათ ექმნებათ ვაგზავნილი, თუმც მათს პასუხს კი იგინი ვერ ღირსებიან, ხოლო უკმაყოფილება კი არ მოსპობილა მათში და რაკი ასეთი მებატონენი ხელმწიფისაგან პასუხს ვეღარ ეღირსებოდნენ, მერე იმედი უწყდებოდა, მაგრამ ამ უიმედობის დროსაც გაუჩნდათ ერთი საიმედო გზა და კვალი. ეს გახლდათ შემდეგი გარემოება.

ფოთი-თფილისის რეინის გზის გაკეთების გამო მძლავრად ატყდა ლაპარაკი 1867 წლიდამ. ახლა ასეთ გულჩათხრობილი მებატონენი მიეცნენ იმის იმედს, რომ რაკი ჩვენ ასე უმწეოდ და უმოწყა-

ლოდ დაერჩით, რაკი ყოველივე გოგო და ბიჭი ხელმწიფემ ჩამოგვაცალა, ეხლა მადლობა ღმერთს, რკინის გზა კეთდება, უჩვევლია მის შემდეგ ხელმწიფეც მობრძანდება, ნახავს ამ გაკეთებულ გზას, ჩვენცა გეჩხავს და, აი, მაშინ ვისარგებლებთ ამით და შევირვლებთ ყოველივე ჩვენს ჯარანს, ჩვენს დარდს და იმედი გვაქვს, რომ იგიც შეგვიწყალებს და ჩვენს მამაპაპურს საკუთრებას ჩვენვე დაგვიბრუნებსო.

ასეთის ლოდინით იყვნენ მრავალნი შეპყრობილნი, ამასობაში რკინის გზაც გაიყვანეს და მართლაც, ასეთ პირობა გულის სანატრელად გაისმა ხმა, 1871 წ. საქართველოში უნდა მობრძანდეს იმპერატორი ალექსანდრე მეორეო. ამ დრომდის, ბევრს მებატონეს კი შეეცვალა რწმენა და იმედი გადაუწყდა ბატონ-ყმობის უკან მობრუნებაზედ, მაგრამ ზოგიერთებს კი მაინც შერჩათ და იგინი არ ტყდებოდნენ უიმედობაში და სრული იმედი ჰქონდათ რომ ყმები ისევ უკან დაგვიბრუნდებო, ხოლო ამისთვის ცდა არის საჭირო და რაკი ხელმწიფეც მობრძანდება ჩვენში, უეჭველია ჩვენს თხოვნასაც შეიწყნარებსო.

ასე ფიქრობდნენ ზოგნი, ზოგნი კი ამისთანა პირებს უიმედობას ეუბნებოდნენ და ეტყოდნენ არას მოგვეცემენო. ასეთ საჭოკძანო ხანაში მყოფთ მედავე ნაბატონარ აზნაურებს აგერ 1871 წ. მოუახლოვდათ და ხელმწიფის მობრძანებაც გამოცხადდა საქვეყნოდ. ბევრს ალაგხს აღედრათ თურმე მადა აჯამ მებატონეებს, რომ ხემწიფის წინაშე ყმების უკან დაბრუნებაზედ ეტირნათ და ეწერნათ, მაგრამ ეს ვერსად ვერავინ გაბედა, მხოლოდ ასეთ მებატონეთ წინ უსწრეს ზესტაფონის და ყვირილის მებატონეებმა, რომელთა რიცხვში უფრო კი წვრილმანი აზნაურები იყვნენ და რომელ აზნაურებსაც წინამძღვრობდნენ სოფ. მირონ წმინდასა და სხვა ამ კუთხის სოფლებში მცხოვრებ აზნაურთ დევდარიანები.

ამათ მეთაურობაში არამც თუ მარტო კაცები, შრამედ ბებერო აზნაურის ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას და ხშირად იკრიბებოდნენ ერთად და თათბირობდნენ იმაზე, თუ როგორ სთხოვონ ხელმწიფე იმპერატორს ყმების უკან დაბრუნება. ერთ კრებაზედ, ერთს მებატონეს უჩქვამს, რომ პირდაპირ ვსთხოვოთ, რომ ყმები დაგვიბრუნდეს უკანაო. მეორეს უთქვამს, რომ ეგრე—არ ივარგებს ვაი თუ დაგვცინონ ამაზედო, ისევ იგავით ველაპარაკობ და იქნება შევასმინოთ ჩვენი გოდება და ნატვრაო. ერთს უთქვამს.

— ეს ჩინებული აზრი გახლავსო, სწორედ ასე, იგავით ველაპარაკოთ და იმეღია, რომ იგიც მიგვიხდება და ჩვენს თხოვნას დააკმაყოფილებს. ერთს უთქვამს.

— სწორედ კაი ხეზი მოვიგონეთ ეს, იგავით ველაპარაკოთ, ხელწაფე ბრძინი ბრძანდება და ის მალე შეკვრტყობს ყოველივეს და ამით არც ჩვენ შევრცხვებით სხვების წინაშე და ნამეტურ ყმაგლებებთან, თორემ მერე უურო დასაცინარი გავხდებით, ვინ იცის, ყველაფერი საფიქრელია, პირდაპირ რომ ვსთხოვოთ, ვაი თუ არა იქმნეს რა და ამ თხოვნას გლებებიც გაიგებენ და მერე ხომ უფრო დაგვკინებენ, იგავიანი სიტყვისას კი ესენი ვერ მიხვდებიან. ასე და ამ გვარად, დაადგინეს ხელმწიფის წინაშე იგავით ლაპარაკი და ყმების უკან დაბრუნების თხოვნა.

მოვიდა დრო ჟამი და ხელმწიფე ჩამოვიდა ყვირილას, სადაც დახვდა ხაოხი, სამღკდელოება და თავად-აზნაურობა. ხელმწიფე მისალმა ყველა წოდების სათითაოდ და როცა ადგილობრივ აზნაურების ერთს დიდს ჯკუფს მიმართა და ჰკითხა თავიანთ ცხოვრების ვითარება და აკარგვიანობა, ამათ მაშინ მთარგმნელის საშუალებით მიუგეს შემდეგი:

— ხელმწიფეო, ჩვენი, აზნაურების, ცხოვრება ძალიან წახდა ამ რაიდენიმე წელს.

— რათა, რა მიზეზია, რა დაგემართათ რა არის ამის უმთავრესი მიზეზები რომ ცხოვრება წაგინდათ?

— დიდებულო ხელმ. ივევ, ყანები აღარ მოგვდის, აღარც ბალი და ბოსტანი გვრგებს, ყოველივე ფუჭდება, ხდება, ბალი ბოსტანი ლპება და ასევე ყანები, ყოველივე ესენი მარჯვე ხელს ითხოვს, შეჩვეულს მაჯას, მარჯვენას.

— ეს საქმეები მართოდ თქვენ გემართებათ თუ სხვა წოდების ხალხთაც?

— არა ბატონო, მართლაც ჩვენ გვემართება, მართოდ ჩვენ ჩავარდით ასეთ უბედურებაში თორემ გლებებს არაფერი უჭირთ, იმათი ყანაც კარგა მოდის და ბალი ბოსტანიც.

— თქვენც მიხედეთ იმათ, იმათგან ისწავლეთ, როგორც ისინი აკეთებენ და იუზაობენ, თქვენც ისე იმუშავეთ.

— ჩვენ ბატონო, არ გახლავართ შეჩვეული მუშაობას, ჩვენ ვერ ვიზამთ იმოდნობას, რასაც გლებები სჩადიან, მერე, ბატონო, არც გვეკადრება და საცინარიც გავხდებით.

ამ ლაპარაკს ხელმწიფე იმპერატორი კარგად მიუხვდა და გადასცა.

— მაშ, გორჩევნით მუშაობას შეეჩვიოთ, გლეხებისაგან ისწავლეთ ყოველივე ის, როგორც ისინი მუშაობენ და ირჯებიან და მაშინ აღარც თქვენ წაგიხდებათ ყანები და ბაღ-ბოსტანი, მაშინ ყოველთვის თქვენის ხელებით გააკეთებთ და მაგისტვის მოსამსახურენი აღარ ზოგინდებათ. ასე მოიქეცით დღეის შემდეგ, თორემ სხვა მაგის მეტი თქვენ საშველი არ გიქნებათ.

ასეთ დარიგებისაგან ყმების დაბრუნების მომლოდინე მებატონები საბტად დარჩნენ და რასაც ელოდნენ ის ვერ მიერთვათ. დარჩნენ ხახა მშრალნი და პირში ჩალა ამოვლებულნი.

ამ დროს, იმპერატორის უკან იდგა მისივე ადიუტანტი უგანათლებლესი ნიკოლოზ დადიანი, ეს ის დადიანია, რომელიც რუსეთის მთავრობამ ბოლგარეთის განთავისუფლების დროს თავის კანდიდატთ წარუდგინა და ევროპის სახელმწიფოებს, ურჩევდა ამ პირის ბოლგარიის ტახტზედ მთავრად დასმას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ნიკოლოზ დადიანი კაი ქართველი გულშემატკივარი თავადის შვილი გახლდათ და იმპერატორის ზურგის უკანიდამ თურმე ხელებს უქნევდა ამ ყმობის მთხოვნელ აზნაურებს და ანიშნებდა, რომ მაგას ნუ ლაპარაკობთო, მაგრამ ამან ვერაფერი გააწყობა და მძიმედ გაჯავრდა. საქმის გათავების და იმპერატორის მეორე მხარეს მიბრუნების დროს ამ პირთ უთხრა თურმე ქართულად.

— არა გრცხვენინათ თქვენ, ეგ რაებზედ ილაპარაკეთ, მაგაზედ მეტი სათხოვარი არაფერი გქონდათ, თქვე ვერებო თქვენა, ან სკოლები არ გინდათ, ან ხიდები, გზები, ან სხვა ამ გვარები, ეგ რა აყო, ეგ ვინ გასწავლათ და ვინ დაგარიგათ, რომ მაგაებზედ ილაპარაკეთ, რა გინებამთ, რა გინდათ, ყმების დაბრუნებას ელით, ეს აღარ იქნება, სირცხვილი თქვენთვის რომ ასე შეირცხვინეთ თავი.

ნიკოლოზ დადიანმა ბევრი იჯავრა და ბევრიც სხვა რამ უთხრა ამ ყმობის მაძებარ მებატონეთ, მაგრამ აღარა იქმნა რა, იმპერატორს თავისთვის მიბრძანდა და მათ კი ყმები აღარ დაუბრუნდათ.

უმათა უმანო.

უმათა უმების შესახებ ბევრი ქალაქელები მინახავს, მოხსენებულნი ყოფილა იქ რომ მე ამა და ამ საბატონო უმამ ესა და ეს უმა შევიძინეო. ასეთ პირთაგან შეძენილ უმათა კანონიც ისევე რჩებოდა, როგორც თავად აზნაურთა ხელში, ანუ უცხო პირების, თუნდ ოსმალეთში, სადაც უმათა შვილები მრავლად გაჰვანდათ და ჰყიდდნენ უცხოელებზედ. იქნება გინმემ სთქვას, რომ უმას რათ უნდოდა სხვა უმის სყიდვა, როცა თითონაც სხვისი უმა იყოვო. უნდა ითქვას, რომ უმას ყიდულობდა ისეთი საბატონო უმა, ვისაც შეძლება მეტი ჰქონდა, ქონიერობა იყო, ღონიერი. თუმცა ქონიერი უმანი ყოველთვის მალავდნენ თავის შეძლებას, რომ მის ბატონს მეტი ხარჯი არ წაერთმია, მაგრამ მაინც მებატონეთ იცოდნენ ასეთ გლეხ უმათა შეძლება და ამიტომ იგინი მათ აღვილად არ ანთავისუფლებდნენ.

ბატონს სასახლოდ მიჩნდა, რომ მე შეძლებული უმა მყავსო. ამიტომ უმა მასთან ყმად რჩებოდა. ასეთი შემძლებელი უმანი ხშირად თვით მებატონეთაგან ყმებსაც ყიდულობდნენ. ასეთი უმანი უმანი საქართველოში მრავლად იყვნენ. მათში მომხდარა ისიც, რომ უმა გლეხს უყიდნია გლეხი-უმა თვით უდიდესი თავადისაგანაც-კი, მაგრამ მომხდარა ისიც, რომ ბატონს თუ ასეთ უმაზედ ჯავრი მოსვლია, უმას უწყენინებია რამით, ხარჯი დროით არ მიუცია, ან ძღვენი არ მოურთმევია, მაშინ ბატონი აღვილად მოუდებდა ხრიკებს და მყიდავ გლეხს უმას წაართმევდა თან ეტყოდა; უმას არ შეიძლება უმა ყავდესო.

აქ მოვიყვან ერთ ძველ ცნობას, რომელიც მომხდარა 1860 წ. სახეში იქონიეთ ეს დრო და ბატონის მიერ ჩადენილი საქმეც, ისიც ქალისაგან ნამოქმედარი; თუ კნებნ მებატონე ასეთი იყო თავის უმათა წინაშე, აბა, კაცები, რაღა იქნებოდნენ, ამის განსჯა თვით მკითხველისათვის მიგვინდვია.

„უფალს ოზურგეთის უეზლნი ნაჩალნიკს

უმის ასალო ხუციშვილისაგან

თ ხ ო ვ ნ ა.

„უწყებულ არს თქვენ მაღალ კეთილშობილება, რომელ ყოველის უმიზეზონი და წინააღმდეგ კანონისა მებატონებმა ჩემმა კნებნ ეკა-

ტერინა დადიანის ასულმა წამართვა კუთვნილი ჩემდამი მამა-პაპებისათვის ყმა ურუშაძე. რასა ზედა არს მიწერ-მოწერა და სწარმოებს რწმუნებულს თქვენდამი უფედის სასამართლოსა შინა საქვე, გარნა არ შეეხების არცა ამისა წამართვა, კვალადვე ეიორე ჩემი ყმა მაქსიმელა ურუშაძე მის ნერმედ იქნება ხუთი დღე.

გარემოებასა ამის მოვაწვევინებ ცნობადმდე თქვენის მაღალკეთილშობილებასა მივილტვი ყოვლად უსოროჩილესად, რათა ქმნათ ფიცხელი განკარგულება დაბრუნებისათვის ზემო განცხადებულთა ყ ანებთა ჩემთა ვითარ უკანონოთ წართმეულთა კენიანა დადიანის ასულისა მიერ.

მთხოვნელი ასალო ხუციშვილი 1860 წ.

დეკემბრის 19 დღესა.

ასეთ ხრიკებს და ყუმბის წართმევას აღარავინ ერიდებოდა, არც დიდი თავადის გვარის შვილი და არც მცირე, ყველა ისეთ გზაზედ იყო დამდგარი, რომ ამ სამარცხვინო საქციელს არ რიდებოდა თვით ის თი უმაღლესი გვარის ქალიც-კი, როგორც გახლდათ დადიანის ასული.

მებატონე მღვდელნი.

ყმები აზნაურებს და თავიდებს ჰყვანდათ, ხანდისხან შეძლებული გლეხნიც ყიდულობდნენ მებატონეთაგან ყმებს, ხან მღვდლებიც. აზნაურის გვარიდამ მღვდლად ხშირად მიდიოდნენ, მათ რასაკვირველია ყმებიც ჰყვანდად. მღვდლობის დროს ყმებიც მათ საკუთრებათ რჩებოდნ და ამის გარდა მღვდლები თავის ყმებსა და მამულს კიდევაც ჰპატვებდნენ. ყმასა და მამულს მებატონეთაგან ყიდულობდნენ, უნდა მოგახსენოთ, რომ იყვნენ ისეთი ოსტ ტი მოძღვარნიც, რომელნიც მებატონეთაგან სამარხში იყვანდნ ყმებს. მებატონენი სამარხში აძლევდნენ ყმის შვილებს ერთს, ან ორს, გოგოს და ბიჭს, ხან გოგოს, ხან ბიჭს. ამიტომ ეს მიცემული ყმა გოგო თუ ბიჭი მღვდლის საკუთრებათ ითვლებოდა. მღვდელს შეეძლო ისინი გაეყიდნა კიდევ.

ხოლო მღვდელთაგან დაყიდვა იშვიათი იყო. ესენი ყმებს მფარველობდნ. ამიტომ გლეხებს მღ დლის ხელში გადასვლა ენატრებოდათ კიდევ. ყმებს აძლევდნ ქორწინებაშიაც, წლის წირვისა და ორმოცეულშიაც. ზოგ მღვდელს, ამ ვარად, შეუძენია რამდენიმე ოჯახი ყმებისაც კი, ხან მთელს ოჯახსაც კი უთმობდნენ. ასეთ

მღვდელთაგანი ყოფილხა ჩოსატაურელი მღვდელი ჩოხანე კეკელიძე და მისი მამა წინეთ და შემდეგ შვილიც. ამ მღვდელს ეჭვმდებარე-ბოდნენ ათი ოჯახი ყმებისა თავისი მამულ-დედულით და ხუთი ოჯახი-ბატონის საზიარო, ე. ი. მოსავლიდგან მას აძლევდენ 1 ნაწილს, ეს მორიგებაზე იყო თურმე დამოკიდებული.

ზოგი ისეთი მდიდარი მღვდელიც იყო ყმებით, რომ მას მათგან მოსავლის აკრეფაც კი არ შეეძლო, ვეღარ ასწრებდა. ეს იყო უფრო იქ, სადაც მღვდელს მრევლი მრავლად ჰყვანდა და უმეტესად თავად-აზნაურები, თავად-აზნაურებს სამადლო საქმეთაც შიანდათ ის, რომ ქრისტიანული წესის შესრულებაში აძლევდენ სულიერ ნივთს (ყმას) და არა ფულს, — უფრო უზრუნველყოფილი ვიქნებითო ცეცხლისაგან, მტერთა თავდასხმისაგან, უდროვოდ დახოცვისაგან, სანიკიოს წაწყმენ-ლისაგან და სააქაოს მანე საქმეთაგანო. ამიტომ უფრო ჰკერძავდენ მღვდელთ ყმებსა და შათს უწყლებას. ასევე სასახელოდ მიაჩნდათ მატ-ისიც, როცა იგინი თავიანთ ყმებს სწირავდენ მონასტრებს, ბერებს, ეკლესიებს და მღვდელმთავრებს, ანუ საეკლესიო ყმებათ აძლევდენ. სულ ასეთი გზით შეიძინეს ეკლესიამ, სამღვდელოებამ და ბერებმა ყმები და შათი მიწა-მამულები.

ჟგა მღვდელთა და მათი უთამოგავალ არა მღვდელთა საქმენი.

ყმებთაგან იყვნენ ისეთნიც, რომელნიც თავიანთი ცდნათ სამ-ღვდელო ხარისხამდე აღწევდენ: მღვდელნი ხშირად მებატონებს თავისუფლებას უცხადებდენ, მებატონენი ხშირად ისმენდენ ყმათა თხოვნას და მღვდელთ ანთავისუფლებდენ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მღვდლის მამული ბატონისათვის უნდა დაეტოვებინა. მის შემ-დეგ, თუ მღვდელი ისურვებდა ბატონის მამულზედ ცხოვრებას და მამულის დაკავებას, მის სანაცვლოდ, ღალა უნდა ეძლია. უამისობა არ შეიძლებოდა, რადგანაც განთავისუფლებულ მღვდელს არავითარი ხმა ჯა გაგლენა არ ჰქონდა მებატონის წინაშე.

მებატონენი ანთავისუფლებდენ მღვდლებს გარდა თვით მათ შვილებსაც, რასაკვირველია მღვდლის შვილობით. ეს ხდებოდა იქ, როცა მღვდელი ვერ მოასწრობდა განთავისუფლებას, ყმობაში მოკვ-დებოდა და შვილები დარჩებოდა, ეს შვილებიც გინდ რომ სასული-ერო წოდების პირნი არ ყოფილიყვნენ, მაინც ანთავისუფლებდენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამათაც მამულ-დედულიდან ხელი უნდა

აელოთ, ასეთი საქმეების ბევრი ცნობები ვიცი, მაგრამ აქ მოვიყვანე მხოლოდ ერთს ამბავს, რომელიც მომხდარა ოზურგეთში.

1860 წ. ალექსანდრე მაჭუტაძემ მღვდლის შვილობით განთავისუფლა მაქსიმე და მისი ძმა კალანდარიშვილები, იმ პირობით, რომ ამ ნაყმევთ თავიანთი მამულ-დედუღილად ხელი უნდა აელოთ, ყოველივე ბატონს უნდა დარჩენოდა. პირობა ასეთი იყო, მამულ-დედულს სულ ბატონს მივსცემთ, მხოლოდ ჩვენვე ვესახლებით ზედა და ამიტომ მის ნაგიერ ღალას მივსცემთ. ბატონიც თანახმა იყო. ამიტომ გლეხებმა ხელი აიღეს მთლად საცხოვრებელზე და მის გამო იშოვნეს თავისუფლება 1860 წ. მის შემდეგ ერთ წელს კი მისცეს ხარჯი მეზატონეს და მეორე წელს კი აღარ. ამიტომ მეზატონემ დავა აუტეხა მთავრობის წინაშე და მოსთხოვა თვით ყმების პასუხისგება.

არის ასეთი ცნობებიც, რომ ზოგი მღვდლის შვილები ფულს აძლევდნენ ხან ერთად, ხან ნაწილ-ნაწილ. ასეთ პირობაგან მეზატონენი უფრო ბევრს სასყიდელს იღებდნენ. ზოგს მღვდელსა და მღვდლის შვილს სოფელიც იხსნიდა ხოლმე, ზოგ ასეთ პირთ მეზატონე გადაკიდებული ჰყვანდათ, ამიტომ ბატონი სდევნიდა მათ, ასეთ მეზატონისაგან მათი თავის დახსნა ძნელი იყო, მითომ ხშირათ იგინი დიღს ხარჯსაც უხდიდენ მეზატონეს განთავისუფლებისათვის.

ასეთი ნაყმევი მღვდელნიც შემდეგ დროში მდიდრდებოდნენ, ყმა და მამულებსაც მოჟლობდნენ.

თუ როგორ უხდებოდათ ბატონთან დავა იმ მღვდლის შვილებს, რომელნიც მღვდლათ აღარ ეკურთხებოდენ, ამის მაგალითს გვიჩვენებს შემდეგი თხოვნა:

„ოზურგეთის უეზდის ბახვის უჩასტკის სოფლის უჩხუბს მცხოვრებთ მღვდლის შვილებთ გიორგი გაბრიელის ძის და მოსე იოსების ძის გედევანიძეებისაგან.

თ ხ ო ვ ნ ა.

„ვითარცა ცნობილ ვარო მდაბალ ხალხათ, რომელნიც უმაღლესის მთავრობის გადაწყვეტილებათ და სენატის უქაზით განთავისუფლებულ უნდა იქმნენ ყოველი საბატონო ყმანი, რომელნიცა წარმოსდგებიან ანუ არიან მღვდლის შვილი თუ შვილის-შვილი, ვინაიდან ჩვენ ვართ მღვდლის შვილი გიორგი და შვილის შვილი ესე იგი ძმისა ჩემის შვილი მოსე იოსების ძე რომლის დასამტკიცებლად ჩვენისა სიმართლისა, ამასთანავე წარმოვადგენთ ღრამოტასა მოცე-

მული ბაბუისა ჩვენისათვის ბატონიშვილის ქაიხოსრო გურიელისაგან, გინაიდგან ჩვენ უნდა ვიყოთ თავისუფალი მებატონის მონებისაგან ამა ღრამატის ძალით, გარნა დღეს გვულობს ჩვენი კნიაჴი დიმიტრი გურიელი, ამისათვის ყოვლად უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას ქმნათ ამა საგანზედ ჯეროვანი განკარგულება, მისწეროთ ვისდამოცა ჯერ იყოს გამოკვლევისათვის ჩვენისა სიმართლისა და შემდგომ ესრეთის აღმოჩენისა გვაქვს იმედი, რომელ არ დავრჩებით უმოწყალოთ თქვენის აღმატებისაგან და ვიქმნებით განთავისუფლებული ვითარცა განთავისუფლებულ არიან სხვანი მსგავსნი ჩვენდა რაზედაც მოველით მართლმსაჯულსა განკარგულებასა თქვენი აღმატებულებისასა. გიორგი და მოსე გედევანიძეები, რადგან მოწერა არ იცოდნენ მათი თხოვნით ხელს ვაწერ აზნაური ივანე გოგლოჩაძე 1862 წ.

ქველადგან ბატონის შებატონის მგზავრობის გორჯობა

საქართველოში ძველ დროის შესახებ კი არა ვიცი რა და XVIII-საუკ. შესახებ კი სჩანს, რომ როცა იმერეთიდან ქართლში სამუშაოთ ყმა გლეხები გადმოდიოდნენ, მაშინ მათ ამ გადმოსვლის ნებართვის ბარათს მათი ბატონი აძლევდა. ბატონი იყო მათი ყველაფერი. ეს წესები საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგაც გახლდა 1830 წლებამდე. მაგალითებრ, გურიაში, ყმა გლეხებს მათი მებატონე აძლევდა ნებართვას და საქართველოს სხვა და სხვა კუთხის ქალაქებში უშვებდა სამუშაოდ. ასე რომ ბატონმა იცოდა თავის ყმა გლეხის სამუშაო ბინა.

გურიის გარეშე იმერეთის სხვა კუთხის მებატონეთა შორისაც ასევე იყო და ყველა მებატონე ასევე აძლევდა ნებართვას თავის ყმას საცხოვრებლად. სამუშაოდ გასულ ყმას დრო და დრო ბატონისათვის ძღვენი, ანუ ფული უნდა ეგზავნა. თუ დროს გადააცდენდენ, მაშინ მათ ბატონი მოსძებნიდა და გამოართმევდა. ასეთ ყმათა საქმეზელად და საპოვნელად მებატონენი ჩამოდიოდნენ ქართლს-კახეთში, თფილისში და ეძებდნენ თავიანთ ყმებს, ხარჯს ართმევდნენ და მერე უკანვე ბრუნდებოდნენ იგინი ხშირად კითხვის საშუალებით პოულობდნენ ისეთ ყმა გლეხთა შვილებსაც, რომელთაც მათგან მოწმობა არ ჰქონდათ და ჩუმად იყვნენ გაპარულნი სხვა ქალაქებში სამუშაოდ.

ასეთი განთავისუფლების ბარათები ბევრი მინახავს, იქ მოყვანილია ყოფილა, რომ „ჩემ ამა და ამ ყმის შვილს ნებას ვაძლევ, რომ საქართველოს ქალაქებს წავიდეს სამუშაოდ და ფულის საშოვნელად“. 1830 წლიდან მთავრობისაკენაც უნდა აეღოთ ნებართვა განსვლისა, ამისთვის გლეხებს მთავრობაც სთხოვდა, რომ მას ბატონის ნებართვაც უნდა მიეტანა თავის თხოვნასთან ერთად, რომ ბატონი ათავისუფლებს. მთავრობა მხოლოდ მაშინ აძლევდა ნებართვას სხვა კუთხეში წასვლისათვის.

ცნობილია XVIII საუკ. რომ ბატონის მოწმობით იმერეთიდან მრავალი გლეხი მოდიოდა საქართველოს ქალაქებში. რაჭიდან მებურენი, მუხანანი, ხურთები, დურგლები, მუშები და სხვანი. იმერეთიდან სხვა და სხვა მუშაკნი, ქვის მჭრელნი, ასევე გურიიდან და სამეგრელოდამაც.

ზოგი ამათგანნი თფილისში სამუდამოდ სახლებოდნენ, ცოლს ირთავდნენ, შვილები ეძლეოდნენ ბატონს კი მაინც არ აკლებდნენ, ყოველთვის უჯნავდნენ, რომ ბატონი არ ჩამოსულიყოს ქალაქში და ყმები და ცოლშვილიანებული არ ენახა, თორემ შვილების ყმობის ცნობასაც მოითხოვდა. ამიტომ ასეთი მუშაკი ყმა გლეხნი ბატონის წინაშე შვილებს მალავდნენ ხოლმე, არ აჩენდნენ და ხან ხდებოდა ისიც, რომ ყმაწვილებს სომხურად ნათლავდნენ სხვის გვარზედ და თავის შვილს სხვის შვილად ზრდიდნენ. ასეთი მაგალითები ბშირად ყოფილა.

ამისთვის მებატონეთ აქა იქ ჯაშუშებაც ჰყვანდათ და ესენი თვალყურს ადევნებდნენ მათ ყმათა ცოლურ-შვილიერებას და ყოველთვის ბატონს ატყობინებდნენ. ხშირად ბატონს ისე ყმის გადასახადი არ ადარდებდა, როგორც ყმის შვილების უცნობლობა და მათი დაკარგვა. თვით დედა ჩემმა მიაზბო ასე: 1850 წ. რაჭიდან ბატონი ჩამოგვივიდა, ჩვენ ისე შევბინდით, რომ ოთხი ყმაწვილები დავმალეთ, სხვას ვაკუთნეთ და მხოლოდ ორი გამოვაჩინეთ. ასევე სხვებსაც ბევრჯერ უამბუნიათ. მე რომ დავიბადე, ჩემი ნათლია სომეხი ქალი ყოფილა, ჰავლაბრელი და ამიტომ ჩემი სომხურად მონათვლა სდომნიათ თვლეთში, რომ ეგები ბატონმა არა გაიგოს რაო, მაგრამ ეს ქართველ მღვდელს შეუტყვია და საქმი ვერ მოუხერხებიათ.

იყვნენ ისეთი ბოროტი მებატონენი, რომ ყმებს რომ იპოვებდნენ, მერე მათ ისეთ ხარჯს ადებდნენ და ისე სტიკრთავდნენ, რომ პირში სულს ხუთავდნენ. ამიტომაც იყო რომ ყოველი გლეხი სასტიკათ უფრთხიდა მებატონის მოსვლას. თფილისში ისეთი შიში

ჰქონდათ ამისა, რომ საბატონო ყმის შვილს. გინდ ვაჭარი და ხელო-
სანიც ყოფილიყო, მაინც ქალს არ მისცემდნენ საცოლედ. ბატონი
რომ ზოვიდოდა თფილისში და ახლად შერთულ კაცის ცოლი და
მისი ნათესავები რომ შეიტყობდნენ, ასე იტყოდნენ: „ერთი უყურკო
რა ვქენითო, გადაუწყდეთ, ჩვენს სიძეს ბატონი ჰყოლია“ ხშირად
ცოლს და სიდედრს შიშით და ჯაფრით გული წასვლიათ. ასეთი სუ-
რათები თფილისში ძლიერ მრავლად ხდებოდა, თუმცა მებატონენი
თფილისში მცხოვრებელ და დარჩენილ ცოლშვილიან ყმებს, სასტი-
კათ ვერ სჩაგრავენ უზომო ხარჯის თხოვნითო.

1864. საკვირველი საბუთი: სოფელში, როგორც სჩანს თავით
სახელმწიფო გლეხს საღმე წასვლა რომ სდომნიყო, სამუშაოდ, სა-
ვაჭროდ, ამისთვის მას უნდა მთავრობისაგან მოწმობა. აგლო, მოწ-
მობის ჯგერეთ სოფლის რწმუნებული პირნი აძლევდნენ, შამასახლისი
ან სხვა ვინმე და მერე მთავრობა აძლევდა. ბატონის გლეხებს მება-
ტონენი აძლევდნენ. ეს წესი პირველ წლებს იყო, 1830 წლიდან კი
მთავრობასაც კი უნდა მოეცა ბატონის მოწმობასთან ერთად, ერთი
უმეოროდ არ გამოდგებოდა. ყოფილა თურმე ისეთი წესი, რომ
თვით სახელმწიფო გლეხნიც კი აღვილობრივ თავიანთ სოფელში
რომელიმე აზნაურს ან თავადს სთხოვდნენ პირველად მოწმობას,
ჯერ ამათგან აიღებდნენ და მერე მთავრობასთან წარსდგებოდნენ,
ამას ამტკიცებს შემდეგი თხოვნა.

უფალს ჩოხატაურის უეზნდის ნაჩალნიკს.

აზნაური ნიკო კობალაძისაგან.

სახელმწიფო ყმა გიორგი ივანეს ძე წერაძე, მიდის კახეთ-
ში მისდამი საჭირო საქმსიათვის ერთის თვის ვადით,
რომელსაც არა აქვს არა ვითარი დამაბრკოლებელი მი-
ზეზი, ამისათვის ითხოვს ბილეთს და გთხოვთ უბოძოთ
ერთის თვის ვადით გზის ბილეთი.

აზნაური ნიკო კობალაძე

8 აგვისტოს 1864 წ.

ესეც მეორე მაგალითი რომელიც ასაბუთიებს ჩვენს შენი
შენებს, აქედამ სჩანს რომ სოფელში მეტად დიდი განუ-
საზღვრელი გავლენა ჰქონიათ თვით სახელმწიფო გლე-
ხებზედაც კი სოფელში მცხოვრებ თავად-აზნაურებს.

უფალს ჩოხატაურის უჩასკის ნაჩაღნიკს.
პარუჩიკს გიგო ბერიძეს.

აზნაურის ომაი ყენიასაგან.

თ ხ ო ვ ნ ა.

ეს ჩემი ყმა ეგნატა ქორიძე მიდის თფილისს ქალაქს თავის მამასთან და მისთვის გთხოვთ უმორჩილესად რომ მისცეთ ერთის თვის ვადით ბილეთი, მის თხოვნით, ჩემო ბატონო. შენი მორჩილი აზნაური ომაი ყენია.

ეს არის ცნობა იმის, როცა მემატონე თავის ყმას აძლევდა მოწმობას მთავრობასთან მისატანად და წასვლისთვის ნებართვის ასაღებად. მემატონეთაგან ყმებზედ ასეთი ნებართვის აღება მთავრობისგანაც 1830 წ. შემოვიდა, თორემ მანამდის ყვანი მარტოდ მემატონის მოწმობით მიდიოდნენ, ვისაც კი სურდა წასვლა და საქმიანობა.

რატონი ბატონყმობის გაყრის გამოცხადება.

დაბა ონში მთავრობის ბრძანებით შეიკრიბნენ მებატონენი და მათი ყმები, ტევა აღარ იყო ონში. ბრძანება იყო ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრებში ერთ დღეს უნდა ყოფილიყო ბატონ-ყმობის გაყრის გამოცხადება. დანიშნულ დღეს მობრძანდა უფროსი ქუთაისიდან. ჯერ გლეხებს გამოუცხადა: მათმა უდიდებულესობამ დიდმა ხელმწიფე ჩვენმა ალექსანდრე მეორემ, კეთილ ინება განთავისუფლება გლეხებისა—მებატონეებისაგანაო. დღეიდან მოსპობილ იქმნება ბატონ-ყმობა, თქვენ გლეხებს გექნებათ სოფლად სასამართლოები და მოსამართლენიც თქვენივე გლეხები გეყოლებათო. გაისმა ერთხმად „ურას“ ძახილი, მადლობა გამოუცხადეს უფროსს. მერე მიუბრუნდა თავად აზნაურობას: ამ ბრძანებით კეთილ ინება მათმა უდიდებულესობამ, დიდმა ხელმწიფემ ჩვენმა ალექსანდრე მეორემ, ბატონ-ყმობის გაყრა; თქვენ თავადთა და აზნაურთ დაგიარსდებათ ონში სასამართლო, თქვენი საჩივარი ოცდა ოთხ საათში გადაწყდებაო. გაისმა „ურას“ ძახილი. შემდეგ წაიკითხა უქაზი ბატონ-ყმობის გაყრის შესახებ. ბატონ-ყმობის გაყრის გამოცხადებამ დაბა ონში მშვიდობიანათ ჩაიარა, დასწერეს წერილი და გაატანეს დარისპან კვიტაიშვილს ქ. ქუთაისში გუბერნატორთან. დარისპან კვიტაიშვილს მანძილსა და მანძილზე შეკაზმული ცხენები უხედებოდა, გადაიარა ნაქერალას მთა და ტყიბულის გზით ჩავიდა ქუთაისში, მიართვა გუბერნატორს ონიდან გატანებული წერილი. რადგან ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრების მახარობლებს, რაჭის მახარობელმა კვიტაიშვილმა უმაღლესადსა დასაცა წერილი გუბერნატორს, ამისათვის დააჯილდოვეს ის ასი მანეთი ფულით და ერთი ხმალიც უბოძეს.

უმაღლეს ბრძანებაში იყო ნათქვამი: ერთი წელიწადი კიდევ უნდა ემსახუროს შინა ყმა ბატონსაო და რადგან დარწმუნდნენ, რომ წლის თავზე საუკუნო მონობის უღელს აიხსნიდნენ თავიდან, წლის სამსახურს აღარ ნანობდნენ.

მუხლელი.

ჩელჯატორის შენიშვნები.

როცა ბატონყმობის ფაქტიურ მასალებს ეცნობი, ამწნვეთ ბუნ-
დოვანობას. თუ ყურადსაღები არ გავხადეთ მკვახე ლიტერატურული
ენა და კილო, თუ შეუბრძნოთ მის ჟნეშ მიმოხვრებს, მკითხველის
გონება შაინც დაჰიძმდება იმ უთავბოლო მოთხრობით, რომელიც თან
სდევს ბატონყმობის ფაქტიურ მასალების 1—2—3 ტომებს.

ბ უ ნ ლ ო ვ ა ნ ო ბ ა

როცა ამ მასალების გადათვალთვრებას შეუდგეი, მე მაშინვე
ვიგრძენ, რომ ჩენს წინაშე მღელღარი ზღვაა, რომლის ზვირთებს და-
ხუნდა—მოთოკვა ესაჭიროება.

მივეყ ხელი მასალების შელამაზებას და როცა ორგინალი ჩემ
ნიერ გადახალისებულ მოთხრობას შევადარე, ჩენს წინაშე ვეებერთე-
ლა კითხვა დაისვა:

დასაშვებია ეს თუ არა?!

ერთს შედეგს მე საგებით მივალწიე: მასალა შევამოკლე, შევ-
სხარტე და თანამედროვე მკითხველისთვის გაცილებით გასაგები
გავხადე. ამ შხრიგ შედეგა ჩინებული გამოდგა... მაგრამ როცა თვალი
გადავავლე ორგინალს და თვითთულ მის სიტყვას თუ ანბანთწყობას
გამოვედევე, როცა ორგინალის გულის სიღრმეს ჩაუკვირდი, მიუხედა-
ვით მისი მრავალშხრივი დანაკლისისა, მიუხედავით საგრძნობი მისი
ბუნდოვანობისა, მე ვიგრძენ ორგინალში გაცილებით მეტი ვითარება,
ვიდრე ჩემ ნიერ გადახალისებულ ნაწერში, ამიტომ გადაჭრით გადავ-
წყვიტე, გარეშე ზოგად მცირეოდენ შესწორებებისა—ორგინალი ხელ-
შეუხლებელი დავტოვო.

შ ს ი ს ტ ე მ ო ბ ა

ავტორი, უმეტეს შემთხვევაში, იჩენს სასტიკ უსისტემობას, ერ-
თი საგნიდან მეორეზე გადახტომა, ერთი ამბვის მეორეზე გადაზბვა,
უადგილო აღდილას პირადი მსჯელობის წამოწყება, საგრძნობ დაღს
ასეაშ ამ მეტად შნაშენლოვან შრომას.

მსჯელობის უპირატესობა

აგტორი, ხშირად, ერთსა და იმავე წერილში—თავის ნათქვამ-ნაბჭოების წინააღმდეგი გამოდის. ერთს ადგილას ის ამბობს: ქართულ მეფეთა დროს, ბატონყმობა თითქმის მამაშვილობა იყო, მეორე ადგილას კი მიწასთან ასწორებს ქართველი მეფეების ხანას და ამტკიცებს იმ სივერავე უსამართლობას, რომელსაც—შათს ბატონობის დროს ადგილი ჰქონდა.

მეორე ადგილას ის ამბობს: კანონები თუმც სასციკი იყო და მის ფარგლებში ბატონს ყველაფერი შეეძლო, მაგრამ თავადი ლიბტიერობდა და ამ კანონს ბოროტათ არ იყენებდა.

მესამე ადგილას: ქართველი მეფეების კანონმდებლობის თანახმად, თავადს არ შეეძლო თავის ყმა გაეყიდა, ეწამებინა და ამას თუ სჩადიოდა—დათვარულად, თორემ მეფეს რომ გაეგო, დამნაშავეს სასტიკად დასჯიდნო.

როცა ბატონყმობის ხანას ორ ეპოქად შევფხვს, ის ამბობს: ბატონყმობა გამწვავდა „რუსების შემოსვლის შემდეგ“, მანამდე კი მამაშვილობის ცხოვრება იყო.

ცოტა ქვემოთ: არც მეფობის დროს იყო კარგი ცხოვრება, გლეხები მაშინაც ისეთივე ტანჯულ-წამებულნი იყვნენ.

რამდენიმე მსჯელობის უპირატესობა!

მე ამგვარ უთავბოლობას უბრალოდ ეხსნი. ჩემის აზრით, აგტორი არც ერთს ადგილას, როცა პირად მსჯელობაზე გადადის, არ არის საკუთარი აზრის გამომთქმელი, არამედ ეს აზრები და მსჯელობა ეკუთვნის იმ პირს, რომლის მეშვეობით დგი იძლევა ამა თუ იმ ცნობებს. ამიტომ არის, რომ მისი ნაწერები, თითქმის ყველგან, ერთი მეორეს ეწინააღმდეგება და მასშიდ არ გამოჩანს სისტემა—ამა თუ იმ—მთლიან მსოფლმხედველობის.

ამიტომ, ამ მახალებს ჩვენ უნდა უცქეროდეთ, რადგანაც ასეულ აღაშიანებისაგან შეზავებულ აზრებს, რომელსაც აგტორი, მის დაუნებურათ, გადმოგვცემს პირადი მეს სახელით. ეს გასაკვირიც არ არის, ეს მახალები ხომ რამოდენიმე ათეულ წლობის განმავლობაში შეკრიბა ზაქარია ჭიჭინაძემ! მას, ერთი წერილის შინაარსი თითქმის სრულიად დაეწყებული ექნებოდა, როცა მეორე წერილის წერას მიჰყოფდა ხელს. ერთ წერილს ის სწერდა ერთი ჯგუფის, წრის და ან პიროვნების გავლენის ქვეშ, მეორეს და მესამეს კი მეორე

წრის, ჯგუფის და პიროვნების... ამ შემთხვევაში, იგი მხოლოდ ტექნიკური მომუშავე იყო, რომელიც ამ მოთხრობილ ამბებს ქალაქულად სწერდა.

პრაქტიკულად, თუ როგორ ხდებოდა ეს, ამის მოთხრობა თვით ავტორს მივანდოთ, მე კი ჩემის მხრივ, მინდა მოგაგონოთ ავტორის პიროვნება, რომელიც ბავშობის ასაკიდან მიენდო ცხოვრების აზვითებულ ტალღებს, ხელი მოჰკიდა მწიგნობრობას, სკოლის კარების უნახველმა ახალგაზრდამ, დაიტვირთა უამრავი წიგნების კითხვით, ყოველათ უსისტემოთ, უფეგმოთ და უხელმძღვანელოთ. ის გახდა საზოგადოების მოსამსახურეთ, ის მთელის მისის შეგნებით, ამ საზოგადოების კეთილდღეობის საკითხებს გამოედევნა.

ზ. ჭიჭინაძე, სამოცი წლის განმავლობაში: პოლიტიკური მოღვაწეც არის, ლიტერატორიც, ისტორიკოსიც და სხვა.

ვერც ერთს საქმიანობას, მთლიანად და გადაჭრით ვერ უჩივდება.

პოლიტიკური მსოფლმხედველობის ასპარეზზე, ის განსაკუთრებით მსრბოლავი იყო, მისი: „წერილები ქართულ მწერლობაზე“, პირწმინდა კომუნისტური ნაწარმოებია... შემდგომ, ის ეკედლება ნაციონალურ მიზართულებას... არის მომენტი კვლავ მას ჰკიცხავს. ცოტახნის შემდეგ, იგი სრულიად შორდება პოლიტიკურ საკითხებს და ისტორიულ სფეროს ემსახურება... მკვლევარობას წყებულობს.

ზაქარია, დიდი პროგრესისტია. ამ ღირსებას მას ვერვინ წაართმევს.

ამ უკანასკნელ ხანამდე, მისი მოუსვენარი ტემპერამენტი, მოძრაობაშია, ის ეძებს რაღაცას, ის მოუსვენრობს და არ უნდა შეურიგდეს ქალაქს, რომელმაც მის წინაშე დიდი თავაზიანობა გაიჩინა და თითქმის ოთხმოცი წლის ზაქარია, ოღნავათაც ვერ შეარყია.

ზ. ჭიჭინაძის ორიგინალობა მეტად დამაფიქრებელია. იგი თავისებური და იშვიათია... მაგრამ ამაზე შემდეგ.

ამ რიგათ, მისი მსჯელობა, ეს ასეულ მის გარშემო, ოდესმე ნოფუსფუსე ხალხის, აზრი და გონება არის... მათი ფიქრი, მათი ნააზრევი და გრძნობები...

თუ ჩვენ წარმოვიდგენთ 30—40 წლის სივრცეს, რომლის განმავლობაში დრო გამოშვებით იკრიბებოდა და იწერებოდა ეს მასალები, ადვილად წარმოსადგენი და გასაგები იქნება მისი ბუნდოვანობის მიზეზები.

... ეს გარემოება, არათუ აბათილებს ბატონყმობის ფაქტიურ მასალების ღირსებას, არამედ, ჩემის აზრით, ხდის მას უფრო მნიშვნელოვანათ, საინტერესოთ და გამოსაღებათ.

მე, აქვე ვაქვეყნებ ოთხ იმ წერილთაგანს, რომელიც მიიღო რედაქციამ; როგორც შეფასება, საქართველოს ბატონყმობის ფაქტიურ მასალების.

მირ. ხუსუნაიშვილი.

გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ანხ. შერაზაძე

გორის მაზრა ბატონყმურ ურთი ერობის ქურუმია, სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს მიზეზათ, რომ ჩვენში რევოლუციონური სულს-კვეთება სტიქიურათ გაიზარდა.

1904—1905—1907 წლები, გორის მაზრისთვის—ძლიერი რევოლუციონური ქარტენილია, რომლის მიწელება მხოლოდ სტოლიპინის მძლავრმა რეაქციამ შესძლო.

თვით უკანასკნელ დრომდე, აქ ხშირი იყო შემთხვევები, როცა თავადი უმოწყალოთ სტანჯავდა გლეხს, რომლის ძალლი, თავადის ძალის ურჩობას გაუწევდა და დაუღრუნდა... აბა ამილახვარიანთ გვარი, ხომ ყოველ სამართლიანობის ნორმებს გვერდს უვლიდენ! მე თვით მახსოვს და მოხუცებისაგან არა ერთხელ გამიგონია, როცა მტკვარზე ტივები ჩაიარდა, ამილახვრები, ამ უკანასკნელ დრომდე, ხარკს ართმევენებდნენო. გლეხი თუ მტკვარში თევზს დაიჭერდა, ბატონისთვის წილი უნდა მიეცა. თუ მტკვრის ხეობიდან გლეხი ქვებს ამოიტანდა, ბატონისათვის ხარკი უნდა მიეცა,

ჩვენს მაზრაში, დღემდე მრავალი მოხუცები ცხოვრობენ, რომლებიც არა ერთხელ და ორხელ შეუბამს ბატონს უღელში გაუსყიდინია... პირუტყვებშიაც დაუცვლია. კარგი იქნება, თუ ასეთ პირთა ცნობებსაც შეაგროვებთ.

1917 წლიდან, როცა დიდი რევოლუცია მოხდა, გორის მაზრამ ფრთები გაშალა, მიძინებული მძევლით მხრები აირეკა და მზათ იყო აზვირთებულიყო, რომ მენშევიკურ მთავრობას დროიანათ არ წანოცწრო. მან ჩააგდო კალაპოტში ძირ-შერყველი თავად აზნაურები. მათ ხერხემალი გაუმაგრა—უსუსური აგრარული რევოლუციით.

1919 წელში, ერთი ცნობილი მენშევიკი სიმონ ბაბლიძე მეუბნებოდა: „რევოლუციონურმა მიწის რეფორმამ, ახალი ბატონყმური ურთი-ერთობა დაგვიარსაო“, და მართლაც თუ რევოლუციამდე გლეხს ერთ მებატონესთან ჰქონდა საქმე, ამ რეფორმის შემდეგ მას შეესია უამრავი კონტრ-რევოლუციონური ძალები, რომლებიც „გამოჩეკა“ თავადებმა და ყალბი გაყრილობის საბუთებით, ნორბები დაურიგა, საქმე იქმანდებოდა რომ თავადს არა თუ

მიწას ფონდში ართმევდენ, არამედ ხშირად სახელმწიფო ფონდიდანაც კი უზომავდენ, რადგან ძლიერ ბევრი „კანონიერი მემკვიდრეები“ უჩნდებოდენ., ასეთი მაგალბით ჩვენს მაზრაშიც მოხდა. აქ სახელმწიფო ფონდიდან ნორმა მიიღო ლოზინო-ლოზინსკიმ-ყოფილმა გენგ-რალ-გუბერნატორმა და სხვებმა.

მხოლოდ საბჭოთა ხელის უფლებას ხვდა წილად, აღეგავა დედა-მიწის ზურგიდან, ეს სამარცხვინო ნაშთები.

ჩვენ ვესალმებით ამ მასალების გამოქვეყნებას, რომელიც დიდს სამსახურს გიუწყევს მუშათა და გლეხთა მასებს და მისცემს დასაბამს წითელ-ისტორიის მკვლევარობას.

—:—

ცეკავშირის გორის განყოფილების გამგე ამხ. კალმანხალიძე.

გორის მაზრა, რომელიც განთქმული იყო ფეოდალური წესწყობილების სიმკაცრით, უკანასკნელ ხნობამდე სავეს იყო ბატონყმური ურთიერთობის ნაშთებით.

თვით მენშევიკური ხელისუფლების დროსაც, იქ ცოტათ თუ ბევრად სახიერობდა დამონავება: გლეხი შეძლებული თავადის წინაშე-ენა ჩაგდებულ იყო... მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო, რკინის ცოცხით აღეგავა ეს სამარცხვინო ნაშთები.

გორის მაზრაში, თვით ხალხში, უმრავი მასალები მოიპოვება ბატონყმური ურთი-ერთობის დასახასიათებლად.

ექვს გარეშეა, ჩვენი ხალხი: მუშა, გლეხი და ნამეტნავად ახალგაზდობა, დიდს ყურადღებით მოეპყრობა ამ მასალების გამოქვეყნებას და მას სადანადოთ დააფასებს, ამიტომაც ცეკავშირის გორის განყოფილება, ყოველ ღონეს იხმარს, რომ ეს მასალები ხალხში გავრცელდეს.

„22. ნოემბერი 1924 წ.“

—:—

გორის რაილმასკომის თავმჯდომარე ბუხრიძე.

კითხვა—მიზანშეწონილი არის თუ არა, რომ იქმნეს შეტანილბ თვითმნაჭველის და მომსწრე პირთა ნაამბობი იმავე კილოთი, როგორც ახასიათებს მომსწრე პიროვნება, გიპასუხებთ, რომ მე სასურველია ვსთვლი.

მასალების ნაკლოვანების შესახებ ვიტყვი, რომ ბევრი თავადების ნამოქმედარი არ არის შიგ შეტანილი, მაგ. სოფ. ოსიაურში ვეზი-

როგებისა, სუმბათოვებისა სოფ. ქვიშეთში, რომლებიც არ ჩამორჩენილან თავიანთ მოქმედებით ციციანოვებს ჩოლოყაშვილებს და ამილახვრებს: ყოველივე ამათ ნამოქმედარს, დაწერილებით გადმოგცემთ 98 წლის ზოხუცი ს. ოსიაურში მცხოვრები, (გორის მაზრა), გიორგი ანდრიას-ძე ბუხრიკიძე.

რაც შეეხება წიგნის გამოცემას, დიდად მნიშვნელოვანია და სასურველათ მიმაჩნია, ვინაიდან ამ მხრივ ჩვენ არაფერი საღი არ მოგვეპოვება.

1924. წ. 22 ნოემბერი.

ქ. გორი.

—;—

პატივცემულო რედაქტორო!

გაზეთებიდან შევიტყე, რომ ახლო ხანში უნდა გამოსულიყო წიგნი: „საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები“ და მის წაკითხვას მოუთმენლად ველოდი, რაიც ამისრულდა!..

არ შემიძლია ფრიად წრფელი მაღლობა არ უძღვნა პატივცემულს ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელიც დიდი ხანი ჰკრეფდა ამ მასალებს და მრავალი დაბრკოლებების გადალახვაც დასჭირდა ქართველი ხალხი ღრმად აღიბეჭდავს სულში ავტორს, რომლის წიგნმაც სარკის როლი ითამაშა, სადაც ხალხმა დაინახა თავისი წარსული ცხოვრების ორომტრიალი. ეს ხალხი არ დაივიწყებს ამ ძვირფას შრომას, რომელიც იმდენად პოპულარულია, რამდენადაც ავტორის ძლიერი სული და აღამიანობა.

ზედმეტია ლაპარაკი წიგნის ღირსებაზე, მისი უარმყოფელი პრიმიტიული აზროვნების პატრონი იქნება და ბატონყმობის საბრალო სილუეტი.

ხსენებული წიგნი, „ბატონყმობის ფაქტიური მასალები“ ისეთივე ცოცხალი სულის მატარებელია, როგორც ქართველი ერის სული და ბუნება, ამიტომ მის დიდმნიშვნელოვანებას ქართველი ხალხი ღრმად პატივისცემით მოეპყრობა და თავის ცხოვრების გასაღებათ დასახავს.

ამ წერილში მე მსურს შევეხო თქვენ მიერ მკითხველის საყურადღებოთ დასმულ კითხვებს და შეძლებისდაგვარათ პასუხი გაეცეს მათ.

პირველი კითხვა: „მიზანშეწონილია თუ არა, თვითმნახველ და მისწრე პირთა ნაამბობის: შინაარსის, მართლგამოთქმის და კილოს გადაუხალისებლათ ბეჭდვ ?!“

ამ კითხვის შესახებ შემდეგ ვიტყვოდი: არამც თუ „მიზანშეწონილი“-ა, არამედ იგი აუცილებელიც არის. ვინაიდან ამათი საშუალებით ჩვენ გეცნობით არა მხოლოდ მომხდარ შემთხვევებს, არამედ ავით სულს იმ დროის ხალხისას, მეტყველებას, აზროვნებას, კილოს, და თუ ვნებავთ, იმ დაღსაც, რომელიც აზის იმ ღუბჭირ პირობებში აღზრდილსა და გამოსულ გლესს. ამ ბაასში გამოიხატება მოფლი მისი ტანჯვა, წუხილი და ის კილოც ნადვლიანი, რომელიც სანართლიანად არის დატული ამ წიგნში, და იგი აუცილებელიც იყო.

მეორე კითხვასაც ზეოხსენებული განმარტებით დავახასიათებდი: მესამე კითხვის პასუხი დამოკიდებულია იმ მასალებზე, რომელიც მასშიდ უნდა მოთავსდეს და ამაზედ პასუხის მიცემა-- შეუძლებლათ მიმანია.

მეოთხე კითხვის შესახებ ვიტყვოდი შემდეგს: ეს წიგნი იმდენათ ნათელი სუათია ჩვენი წარსული ცხოვრებისა, რომ მის ნაკლულოვანებაზედ სალაბარაკოთ კალანი არ დამემორჩილება.

P. S. ერთ რასმე მსურს მივაჭვიო ოქვენნი ყურადღება, (თუ მასალეები იქნება საიმისო), რომ მკითხველმა შეუბრალებლათ დასვას ბოროტი ბატონი საბრალმდებლო სკამზე, ამიტომ სასურველი იქნებოდა, რომ ასეთ ბოროტ ბატონთა, ცოტაოდენი ბიოგრაფიული ცნობებიც იყოს, ანდა ცნობა მისი განვითარების შესახებ, ან კიდევ თუ იყო ერთსა და იმავე სოფელში ბოროტ ბატონთან ერთად, კეთილი ბატონიც.

ყველა ეს საჭირო არის იმიტომ, რომ მკითხველი უფრო სალი მსჯელობის იქნება და ნათელ პარალელს გაავლებს ამ ორ მოწინააღმდეგე მებატონეთა შოთის, და იმ ბატონს, რომელიც ბოროტებას ქმნიდა იქ, სადაც სიკეთე ითვისებოდა, შესაძლო იყოს უფრო მეტის ზიხლით შევხედოთ (თუმცა არც აქამდე უყურებდით კეთილის თვალით).

მეტს ვერაფერს ვიტყვით; ღრმათ პატივისმცემელი ვრჩებით, როგორც წიგნის და ავტორის, ისევე სხვების, რომელთაც წვლილი გაიღეს ამ განძის შექმნაში.

პატივისცემით ევგენი ნოზაძე.

1924 წელი, 16 ივლისი.

ქ. ხაშური.

გ ა ნ ხ ს ა დ ე ბ ა

ამხანაგო გლეხებო!

ა.კ. ფინსახკომის რეპუბლიკის სამეკრძელო-სთან დაარსებულ
ლია ჯავახიშვილი მომავალი ხმების რეპუბლიკანური

კ რ ე ი ს ი ა

ამ სესხის ობლიგაციების გაერცელების კაპანის მწყობრივად ჩანა-
ტარებლად საქართველოს გლეხებს შორის—მაზრებში კი—სამფინანსო-
ნებთან მოწყობილია სამაზრო კომისიები ამავე საქმისათვის; როგორც
პირველი რესპუბლიკის მასშტაბით, ისე მეორენი მაზრის მასშტაბით,
სრულიად აერთიანებენ, თავის უწყებაში, მთელ მუშაობას ყველა
პირობით და ორგანიზაციითა აღნიშნული სესხის გაერცელების საქმეში.

ამ სესხის ობლიგაციები გამოშვებულია ერთმანეთიანი, სამ
განეთიანი და ხუთ მანეთიანი ღირებულებათ; ვინც შეიძენს სესხ-
ის ბილეთს ეხლავე, — ისლის მანეთის მაგივრად 88 კაპიკს, 3 მან-
ეთის მაგივრად 2 მან. 64 კაპ., 5 მან. მაგივრად კი—4 მ. 40 კაპ.
მაგრამ ვინაიდან სესხის ობლიგაციების რიცხვი ფრიალ მცირეა, საო-
გებლობა კი მათი გლეხობისათვის და მით უფრო სასოფლო სამეურ-
ნეო გადასახადის ვადამზღვევითაა, დიდად საგრძობი და ნათელია.
რადგან ეს ობლიგაციები მიიღება სასოფლო-სამეურნეო გადასა-
ხადის ანგარიშში 1924, 25—26 წ. წ. განმავლობაში—მოთხოვნილ-
ბა მათზე ბევრათ მეტია საერთო რაოდენობისა; უკანასკნელი გარე-
მოებების მიხედვით, სესხის ბილეთები თანდათან ძვირდება, — თუ
მათი გამოშვების პირველ წანებში, მანეთიანი ბილეთი ღირდა 88
კაპ., ეხლა ეს ფასი გაიზარდა 88 კაპიკამდის და შემდეგ შიაც მისი
სწრაფი ზრდა აღვილი მოხალოდნელია.

ამისათვის ყოველი გლეხისათვის და მით უფრო სამაზრო კო-
მისიებისათვის, სავალდებულოა მიიღოს ენერგიული და ფართო ზო-
მები, რათა საქართველოს გლეხობამ მოასწროს ამ სესხის ბილეთი-
ების შექმნა, ვინემ მათი ფასი საგრძობლად და კიდევ უფრო აო-
რიატებს.

ამ სესხის ბილეთების შექმნის მსურველთ უნდა მიმართონ
დრო გადაუდებლად რესპუბლიკანური და სამაზრო კომისიებს,
სადაც მიიღებენ ობლიგაციებთან ერთად ყოველგვარ დარიგებას
მათ შესახებ.

სავლ. მომგ. სესხის რესპუბლიკანური კომისიის
თავმჯდომარე თ. ლლონძი.

სარჩევი (შინაარსი)

მე-II ტომი

	გვერდი
1. გლეხკაცობის განთავისუფლება ბატონყმურ დამოკიდებულ- ბისაგან. ფ. მახარაძე	3
2. ჩვენი ზოგადი შენიშვნები. მ. ხუხუნაიშვილი	11
3. წერილები ქართულ მწერლობაზე	—
4. ვინ მიაქცია პირველად საქართველოში ბატონ-ყმობას ყუ- რადლება. სანდალა	15
5. პასუხი იმათ, ვინც სანდალას ნაწერ წიგნს ჰგმობენ და ჰკიც- ხავენ. ა. მღებრიშვილი	54
6. I ყმების დახუცება (მასალები)	—
7. II ბატონ ყმობა ქართლში (მასალები)	—
8. ლაზნელების ამოწყვეტა	87
9. III ბატონ-ყმობა საინგილოში (მასალები)	—
10. ბატონ-ყმობის ნაშთი საინგილოში	97
11. IV ბატონ-ყმობა გურიაში (მასალები)	—
12. ბატონისაგან გლეხის დაქირავება	112
13. თავ. გუგუნავა	113
14. ბიჭია და გრიგოლ კალანდაძეები	115
15. მარიამ შენგელიას თხოვნა	116
16. ვეჭილი აბაშიძე	117
17. აზნ. კვიციანი	118
18. 1810—1860 წლამდე აზნაურების ქალების საქმე	119
19. 1810—1860 წლამდე აზნაურის ქალები	121
20. დაყიდული ყმების შესახებ დავა	123
21. ყმა გორგოშიძე	125
22. მშვიდობაძე	127
23. აზნ. ასათიანი	128
24. თავ. თავდგირიძე	129
25. აზნ. გოტუნა ყენია	131
26. ყმა ვაჩიშვილი და არ. თავდგირიძე	133
27. მამულთ მოტაცვა	134
28. საბატონო ყმათა ქორწინების მოწმობა	137
29. გ. მახარაძე	139
30. მებატონისაგან განთავისუფლებულ ყმათა დავა	140
31. მღვდელი მახარაძე	142
32. ყმა მანუკაძე	143
33. V ბატონ-ყმობა იმერეთში	—
34. ნაამბობი სიმონ ნემსაძისაგან	147
35. იოსებ. ივანესძე გოკიელოვის ნაამბობი	149
36. ნაამბობი ნიჭ. ია გვარჯალაძის მიერ	151
22. საქ. ბატონყ. ფაქტ. მასალები.	169

37. VI სხვა და სხვა მახალეები	—
38. ოხერი გლეხი და მისი ამბავი	156
39. ბოგანოს ამბავი	158
40. ხიზანი	161
41. VII ბატონ-ყმობა აჭარაში	—
42. აჭარელის ქართველ მაჰმადიანის უხეირ აღა და ვერიშ-ოღლის ნაამბობი	165

მ ე - III ტ ო მ ი.

1. ჩვენი მიმართვა	3
2. არსენა ოძელაშვილი	—
3. არსენას ამბავი	7
4. I ბატონ ყმობა ქართლში	—
5. თავ. სუმბათაშვილის გვარის ოჯახის ამოწყვეტის ამბავი	25
6. სუმბათაშვილების საქმე	36
7. ამილახერიანთ ამბები და მათი ყმათა დარბევის საქმეები	41
8. II ბატონ-ყმობა კახეთში	—
9. კახეთის მებატონე თავად აზნაურები: გარსევან ჭავჭავაძე ალ. ჭავჭავაძე თად. ჩოლაყაშვილი სხვა მებატონენი. შილდელი გლეხნი გეგელაძეები და სხვათა ცნობები	49
10. III ბატონ-ყმობა სამშვილდეში	—
11. ბატონ ყმობა სამშვილდეში და ორბელიანთ-გვარის საქმენი	59
12. VI ბატონ-ყმობა გურიაში	—
13. 1830 წ. ყმათა ყმობა და მათი ყმები	67
14. 1845 წ. უმემკვიდრო მებატონეთა საქმე.	76
15. იესე იმნაძე	81
16. ალ. მაჭუტაძე	81
17. კნ. ერისთავი	82
18. მღვდლების დევნა	83
19. ყმა მოსაძე	84
20. გ. ებრალიძე	85
21. გ. ერისთავი	85
22. ყმა მგელაძეები	87
23. ს. გიგინეიშვილი	87
24. მღვდელი უშვერიძე	88
25. ყმა ვაჩიშვილი	89
26. დიაკონი უშვერიძე	89
27. აზ. ქარცივაძე	90
28. ანუსია ჭანიშვილის ბავშვი	90
29. აზნ. ჩხენკელი	90
30. ხანთაძე	91
31. აზნ. გოგიბერიძე	92
32. ყმა პატარია	92
33. უკანონო შვილების საქმე	93

	შვერდი
34. V ყნების დასყიდვბ	99
35. ნამდვილი ამბები დაყიდულ ყმათა შესახებ	101
36. დანიშნული ტორლები მთავრობის მიერ	119
37. VI სხვა და სხვა მასალები	—
38. ბატონ-ყმობის სასაცილო ამბები	145
39. ყმათა ყმანი	151
40. მებატონე მღვდელნი	152
41. ყმათა მღვდელთა და მათ შთამომავალ არა მღვდელთა სა- ქმენი	153
42. ძველადგან ბატონის ყმებისთვის მგზავრობის მოწმობა	155
43. რაჭაში ბატონ-ყმობის გამოცხადების ამბავი	159
44. რედაქტორის შენიშვნები	160
45. გორის მაზ. აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ქურდაძე	164
46. გორის ცეკავშირის განყოფილების გამგე ამხ. კალმახელიძე	165
47. გორის რაიადმასკომის თავ—რე ბუხრიკიძე	168

უმათავრესი უმცლრმების ბასწორება

მე-11 ტომი

შვერდი	სტრიქონი ზევიდან	არის	უნდა იყოს
4	11	კანოვით	კანონით
7	7*	გასაბელავი	გასაბედავი
9	4	დირქვა	დაირქვა
17	7	დანერგულ	დანერგულ
17	25	იმ	მის
18	6*	გრძნობრის	გრძნობიერებისა
29	16	გარდაცვარებას	გარდაცვალებას
30	8	ჩაცხული	ჩაცხული
30	23	არს	ერს
31	22	ამას	მას
33	12	დაარბევინებდენ	დაარბენინებდენ
36	27	ქვეყანა	ქვეყანას
40	2*	მჭერლობისაგან	მჭერლობისაგან
44	10*	იყო	იყოს
48	5*	დი	და
50	8/7*	მიუძღვნის	მიუძღვის
51	13*	ვარმანიის	ვერმანიის
55	2*	სანდილა	სანდალა
60	11*	ბეტძულიდან	ბერძულიდან
61	7	ეგორათ	ეგონათ
64	20	ამ ების	ამ ქების
66	10	იცოდარ	იცოდა რა
66	20	გლების	გლანის
66	11*	ლაზა	გლანა
67	9	ანალის	ან აღის

*) ვარსკვლავი აღნიშნავს ქვევიდან სათვალავს.

გვერდი	სტრიქონი ზევიდან	არის	უნდა იყოს
80	13	გაისყიდა	გაისყიდება
89	10*	დახმარება	დახმარება
93	4	ლაზნელებსაც	ლაზნელებთან
100	1	აშ	მაშ
116	17	წაბუთის	საბუთის
116	19	ნემი	ჩემი
118	7	საზოგოებდენ	სცნოგოებდენ
119	3	ამ შეყვარებულს	ეს შეყვარებულს
129	20	ესეც	ამას
159	19	ბიტონა	ბატონს
161	4	ვითარების	ვითარებას
165	8	მიჰყანდა.	მიჰყავდა
167	14	ნარხვა	მარხვა

მე-III ტომი

3	3*	გელეიშვილი	გელაშვილი
13	7	ჭავჭავაძის	ჭავჭავაძის
16	25	ჯვარ წვრილი	ჯვარწვრილი
25	10*	შედის	შორი
30	8	ურემში	ურემში
30	35	ატელეგებული	ატელეგებული
30	5*	მოამიკალი	მოამიკალი
32	20/21	მკვლემკვლელებს	მკვლელებს
34	1	ეშიმოლეს	ეშინოლეს
34	18	გაუთხრისთ	გაუთხრათ
39	23	ანათლებულმა	განათლებულმა
39	27	გა ვრით	გაკვრით
49	3*	იკლიდენ	იკლებდენ
50	6	ბეკრათ	ბეკრათ
51	2	ოდონდ	ოდონდ
74	5	გამწვავებულა	გამწვავებულა
77	10*	შალუკა შვილი	შალიკა შვილი
82	9/10	საიასაგულოდ	საიასაგულოდ
84	9*	მოხაძე	მოსაძე
88	9	იყენენ	იყვენენ
89	9*	როსტომ	როსტომ
92	3*	ალმოჩინდბ	ალმოჩინდა
94	11	გაფუჭებულს	გაფუჭებულს
97	6	ჯანი შვილის	ჯანი შვილის
97	16	მოეცეთ	მომცეთ
106	10	სძრავავდენ	სძრაზავდენ
110	4*	(ბათათა შვილი)	ბათათა შვილი
111	20	ნათქვამი	ნათქვამი
112	3*	ყმობისაგან	ყმობისაგან
112	1*	მათ	ისინი
121	14	ბალები	ბალები
157	24	წერაძე	წეროძე
164	2*	საბუთებით	საბუთებით
170	20	192 წ. 25--26	1924 წ. 25--26 წ.წ.

2—3 ტომის ფანი 2 მანეთი

